რომან გოცირიძე

ეკონომიკა
პოლიტიკა
ცხოვრება

თბილისი, 1999

ამ წიგნში თავმოყრილია ავტორის ზოგიერთი წერილი თუ ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ პრესაში 1987-1999 წლებში. ეს პერიოდი საკმაოდ იყო მძაფრი პოლიტიკური მოვლენებით, ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნებით, რამაც საფუძველი დაუდო ქვეყნის დამოუკიდებლობას, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას.

კრებულში შესული სტატიები განსხვავებულ საკითხებს ეძღვნება, თუმცა უმეტესობა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესს ასახავს. რთული პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების განხილვისას, ავტორი პუბლიცისტურ ფორმას ანიჭებს უპირატესობას, ვინაიდან ამ წერილებს პირველ რიგში, მოსახლეობის ფართო ფენებთან "საუბრის" დატვირთვა გააჩნია.

ISBN – 99928-69-3

სარჩევი

1. ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნა - დროის აუცილებელი მოთხოვნა 6
2. ეკოლოგიური საფრთხე 13
3. მოდით, გავმდიდრდეთ! 16
4. შემოვაბრუნოთ ეკონომიკა ადამიანებისაკენ 22
5. დღეანდელი კვერცხი თუ 27
6. სახიფათო თამაში 32
7. ილუზორული მაჩვენებლები და ეკონომიკური რეალიები 41
8. დაველოდოთ შემოდგომას 47
9. მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს... 50
10. სრულყოფილი არაფერია ქვეყნად 57
11. რესპუბლიკას – ეკონომიკური დამოუკიდებლობა 67
12. არის თუ არა ჩვენთან უმუშევრობა? 71
13. ეკონომიკური სუვერენიტეტი: ჩვენი თავი ჩვენვე განვაგოთ 75
14. შევეშვათ "სწორებას ცენტრისაკენ!" 80
15. აღვადგინოთ ქართული ფული 85
16. დრო იყო ასეთი?! 91
17. ისევ დრომ განსაჯოს 104
18. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა: მითი თუ სინამდვილე 109
19. საბჭოეთის მზის ჩასვენება ანუ ხუთი შეკითხვის პასუხად 126
20. გზა ეკლიანი იქნება 130
21. ახალი სქემებით ძველი პოლიტიკისაკენ (ღია წერილი სახალხო დეპუტატს) 135
22. სიმპტომი: "ეკონომიკური ჰომეინიზმი" 143
23. ახალი ტალღა 150
24. SOS: ვიცე-პრემიერი ჩვეულებრივი მამაკაცია 155
25. საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე, პრობლემები და პერსპექტივები 161
26. შედეგი ის არის, რომ დაიწყო შეუქცევადი პროცესი 177
27. ჩვენ ვმოქმედებთ... 187
28. ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ 192
29. ექვსი შეკითხვა ვიცე-პრემიერს 227
30. სამანეთო სივრცეში 231

31. ვიცე-პრემიერი იცინის 235
32. ძნელია კერკეტი კაკლის გატეხვა 239
33. დღეს საქართველოში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც თავის თავზე სრულ პასუხისმგებლობას აიღებს 243
34. პოლიტიკა არ არსებობს ეკონომიკის გარეშე 248
35. მე ვიტყვი ჩემს სათქმელს 255
36. ბლოკირებული იქნა სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ მოწონებული პროგრამა 258
37. ინფლაცია საქართველოში 264
38. უპასუხისმგებლობის ვითარებაში ყველა ეპოტინება საპასუხისმგებლო პოსტს 277
39. კამათი გულუბრყვილო – ფანტასტიკურ თემაზე ანუ როგორ შეეცვალოთ კუპონი მანეთით 284
40. ვართ თუ არა "ზონაში" დაბრუნების ღირსი?!... 290
41. გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" მორიგი სიყალბის შესახებ 296
42. უპასუხისმგებლობა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი სენია 299
43. კუპონიდან ლარამდე 308
44. ის, რაც ერთხელ მოხდა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს 318
45. ნულოვან აუქციონზე ქონებას კვლავ დირექტორები ჩაიგდებენ ხელში 324
46. დღევანდელ პარლამენტში რომ არ ეარ, ალბათ ცუდია ხალხისთვის 327
47. პრეზიდენტის ზურგს ამოფარებული მთავრობა პოლიტიკური ინტრიგების საშუალებით თავის მიზნებს აღწევს 334
48. საქართველო ვალების მახეში (ვალების პალიტრა) 338
49. მინისტრები მიდიან, ბანკირები რჩებიან?! 358
50. სასტუმრო "მეტეხის" ვალი თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან დაიფარება 365
51. ენთუზიაზმით საქმე არ კეთდება, ენთუზიაზმით საქმე იწყება 376
52. საქართველო რეფორმებს გენერალ შარაშენიძეს უნდა უმადლოდეს 382
53. ყველა დახმარების ეფექტიანობის კრიტერიუმი ისეთი მდგომარეობის შექმნაა, როდესაც დასახმარებელი არაფერი გვჭირს 388

54. ეკონომიკის სტაბილიზაციის მთავრობის პროგრამა სიტყვასიტყვით არის გადაწერილი ჩემი პროგრამიდან 392
55. ნუ შეგაშინებთ... "მეთვალყურე" 397
56. ეკონომიკური პოლიტიკა: რა ვაკეთოთ? ვინ აკეთოს? 401
57. ხელისუფლება კლანების ინტერესებს არ უნდა იცავდეს 407
58. მცოცავი განვითარების დრო აღარ არის, საჭიროა ნახტომი 413
59. ლარის გაუფასურების ძირითადი მიზეზი ემისიაა 418
60. ინტერვენციების შეწყვეტა ნაადრევიც იყო და ნაგვიანევიც 422
61. ხელისუფლება მიხვდა, რომ ეკონომიკასთან თამაში სახიფათოა 427
62. ელიტა საქართველოში 432
63. საქართველომ რუსეთის ელექტროენერგიის ვალი საგარეო ვალად არ უნდა აიღოს 436
64. დოლარიზაციის პროცესი ლარის დაცემას გამოიწვევს 442
65. საეალუტო სტრატეგიის რომელი ვარიანტია ჩვენთვის მისაღები? 446
66. საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ 451
67. ბიუჯეტი რეალურია, შესრულება - არარეალური 465
68. რამდენად რეალურია ლარის გაცვლის კურსი? ანუ ბიგ მაკის ინდექსი 469

ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნა დროის აუცილებელი მოთხოვნა

სოციალისტური საზოგადოების რეფორმის პროცესში გვიწევს მრავალი რთული ამოცანის გადაჭრა. მათ შორის, ერთ-ერთ ცენტრალურს განეკუთვნება თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების გამომუშავება.

როგორი უნდა იყოს ახალი ეკონომიკური აზროვნება?! პასუხი მხოლოდ ერთია: თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებად შეიძლება ვალიაროთ მკაცრად მეცნიერული აზროვნება, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნებს, მეურნეობრიობის შეცვლილ პირობებს.

ამასთან დაკავშირებით, წარმოიშობა ბუნებრივი კითხვა: განა დღეანდელი ეკონომიკური აზროვნება არ წარმოადგენს მეცნიერულს? როდესაც ამაზე ვცემთ პასუხს, გასათვალისწინებელია, რომ აქ ლაპარაკია ეკონომიკური აზროვნების გაბატონებულ სტერეოტიპზე, წარმოდგენებზე, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული პრაქტიკოს მუშაკებს შორის მასობრივ ეკონომიკურ აზროვნებაში. რა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სამეურნეო აზროვნების არსებული სტილი ჩავთვალოთ მოძველებულად და მოვითხოვოთ მისი რადიკალური გარდაქმნა?

დავიწყოთ იქიდან, რომ დღემდე შენარჩუნებულია ობიექტური კანონების შეუფასებლობა, მისწრაფება გვერდი ავუაროთ, "მოვატყუოთ", "ვაჯობოთ" მათ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენ ვცხოვრობდით და ვმუშაობდით დეფიციტური, დაუბალანსებელი ეკონომიკის პირობებში. სამეურნეო კადრები გაიზარდნენ ასეთ გარემოში, შეეჩვივნენ მას. თვით დაუბალანსებლობასა და მასთან დაკავშირებულ შედეგებს (ქრონიკული დეფიციტი, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა, მშენებლობის ვადების გაჭიანურება და სხვა), აღიქვამდნენ როგორც გარდაუვალსა და ნორმალურსაც კი. მივეჩვიეთ იმას, რომ დაფარულიყო არსებული შესაძლებლობანი, განზრახ შემცირებულიყო უკვე დადგენილი პროგრამები, რომ შემდეგ გადაეჭარბებინათ იგი, გამართლებულიყო ჩამორჩენა და უხარისხობა ობიექტური მიზეზების მოშველიებით. ყოველივე ეს იწვევდა სახელმწიფო გეგმის ავტორიტეტის შერყევას, წარმოქმნიდა დისპროპორციებს და აქვეითებდა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანობას. ასეთი წარმოდგენები, რომლებიც თავისი დროის პრაქტიკას ასახავდნენ, გადაიქცნენ დოგმებად და დღეს სერიოზულად ამუხრუჭებენ გარდაქმნებს ეკონომიკაში.

რამდენი რამ ითქვა პროდუქციის მოცულობის მაჩვენებელზე,

რომელიც ათეული წლების განმავლობაში აბეჩავებდა ჩვენს ეკონომიკას თავისი უაზრო პრინციპებით: რაც უფრო მეტია, მით უკეთესია, რაც უფრო მძიმეა, მით უკეთესია, რაც უფრო შორსაა, მით უკეთესია, რაც უფრო ძვირია მით უკეთესია... გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლება. ამ მაჩვენებლის მიხედვით ადვილი იყო ხელმძღვანელობა, რადგან მცირდებოდა პასუხისმგებლობა და არ იყო ნათელი, ვის შეეძლო გაძღოლოდა საქმეს ყაირათიანად, ყოფილიყო ნამდვილი ხელმძღვანელი.

დღეს საბჭოთა მრეწველობა უშვებს უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე მას აწარმოებდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთად აღებული 1950 წელს. ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვებით (ფოლადი, მინერალური სასუქები, ტრაქტორები და კომბაინები, მატყლისა და ბამბის ქსოვილები) საბჭოთა კავშირი უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და საფრანგეთს ერთად აღებულს. მიუხედავად ამისა, ფოლადი მაინც არ გეყოფნის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენი მანქანა-დანადგარები გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე უცხოური. მათზე ძალზე ბევრი ლითონი იხარჯება, ისევე, როგორც დიდი რაოდენობის ცემენტი, ხეტყის მასალები და შუშა - საცხოვრებელი ბინების ანდა საწარმოო ობიექტების მშენებლობასე. ლითონის დიდი რაოდენობა იკარგება ბურბუშელას სახითაც. თანამედროვე ტექნოლოგიას შეუძლია შეამციროს ასეთი დანახარჯები თითქმის ერთნახევარჯერ, მაგრამ როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ეს ყოველთვის არ ყოფილა თურმე ხელსაყრელი ცალკეული საწარმოებისა თუ უწყებებისათვის. ამიტომაც დადგა დღის წესრიგში ამოცანა, იმის მაგივრად, რომ სულ უფრო მეტი რესურსები ჩავრთოთ წარმოებაში და უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია ვაწარმოოთ, უმჯობესია შევამციროთ მასალების ხარჯვა ეროვნული შემოსავლის ერთეულზე.

ან კიდეე ავიღოთ ასეთი მაგალითი - ფეხსაცმლის წარმოება. დღეისათვის საბჭოთა კავშირის მრეწველობა უშვებს ტყავის ფეხსაცმელს უფრო მეტს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი და იაპონია ერთად აღებული, მაგრამ მომხმარებლის მოთხოვნილება მაინც დაუკმაყოფილებელი რჩება და ის მართებულად უჩივის ასორტიმენტის სიმცირესა და დაბალ ხარისხს.

არსებული მონაცემების მიხედვით საბჭოთა კავშირში, მიუხედავად ჩატარებული ჩამოფასებებისა, ვაჭრობაში ყოველწლიურად ჩაწოლილია 3-4 მილიარდი მანეთის გაუსავლიანი საქონელი.

როგორც ვხედავთ, საბოლოო შედეგის ზრდასა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არ მოწმობს პროდუქციის მატების მრავალი რაოდენობრივი მაჩვენებელი, ეს იქნება სათბობის, ლითონის, მარც-

ვლეულის, ჩაის, ხილისა თუ სხვა პროდუქციის გამოშვების მოცულობა.

წარმოების მოცულობის მაჩვენებლების ზრდა შეიძლება მრავალი ხერხით. მათ შორის პროდუქციის ხარისხის გაუარესებით. ამის დამადასტურებლად მინდა მოვიყვანო ერთი ფაქტი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო გამოქვეყნებული ჩვენს პრესაში (ЭКО №2, 1982) და რომელიც ეკონომიკიდან ძალზე შორს მდგარ ადამიანსაც კი გააკვირვებს თავისი აბსურდულობით. თურმე, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრკ ვაჭრობის სამინისტროსა და საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, შეგნებულად შეამცირა ელექტრონათურების ვარგისიანობის ვადა, ე.ი. სპეციალურად გააუარესა მისი ხარისხი იმ მიზნით, რომ რაც უფრო მალე გადაიწვებოდნენ ისინი, მით უფრო გადიდდებოდა მოთხოვნილება მათზე, გაფართოვდებოდა საქონელბრუნვა და უზრუნველყოფილი იქნებოდა ელექტრონათურების ქარხნების სიმძლავრეთა მაქსიმალურად დატვირთვა. მომხმარებლის ინტერესების ამგვარი აბუჩად აგდება და ასეთი კურიოზული გარემოების შექმნა მარტო ამ უწყებათა ხელმძღვანელების ბრალი კი არ არის, არამედ ორიენტაციისა "უფრო მეტზე".

ან კიდევ, რას უნდა მივაწეროთ ის მრავალრიცხოვანი შემთხვევები, როდესაც რკინიგზა ვერ ასწრებს მოჭრილი ხე-ტყის გადაზიდვას და დიდძალი პროდუქცია ლპება ღია ცის ქვეშ თუ საწყობებში, ხე-ტყის მრეწველი მეურნეობები კი ზრდიან ტყის დამზადების მოცულობას, თუმცა იციან, რომ ეს გამოიწვევს პროდუქციის დანაკარგების ზრდას.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ არსებული სამეურნეო მექანიზმი გამოხატავდა წარმოების ეფექტიანობას (უფრო სწორად - "მოჩვენებით ეფექტიანობას") საკმაოდ დამახინჯებული სახით. ძალზე ხშირად იგი არ იძლეოდა საშუალებას სწორად წარემართა ეკონომიკის განვითარება. მართლაცდა, როგორ უნდა წარემართა იგი, როცა თითოეული ცალკეული საწარმო არა მარტო ასრულებდა გეგმას, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, გადაჭარბებითაც, ამცირებდა თვითღირებულებას, ერთობლიობაში კი ერთმანეთს უქმნიდნენ ისეთ პირობებს, როდესაც სისტემატიურად არ ჰყოფნიდათ ყველაზე აუცილებელი საქონელი და სახსრებიც დიდძალი იხარჯებოდა.

დიახ, ერთი შეხედვით, ვაწარმოებთ უამრავი სახის საქონელს, იმაზე მეტსაც კი, რაც აუცილებელია, მომხმარებელი კი მაინც განიცდის დეფიციტს ბევრ მათგანზე. დეფიციტი ჩვენი ეკონომიკის ქრონიკული სენი გახდა. უფრო მეტიც, დეფიციტი აყვანილია კანონზომიერების რანგში და ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვით მის წარმოქმნაში, პრაქტიკულად დაუსჯელნი რჩებიან, მორალურ სასჯელსაც

კი არ ღებულობენ.

ამ შემთხვევაში საჭიროა რაღაც ახალი, ასევე არატრადიციული მიდგომა ბევრი ისეთი საკითხისადმი, როგორიცაა წარმოების ზრდის ტემპი, ასორტიმენტი, ხარისხი, გეგმის მეცნიერული დასაბუთება ... მისი გადაჭარბება, წარმოების შედეგების შეფასების კრიტერიუმები და სხვა.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ფორმირების აუცილებლობას. პრობლემის არსია არა მხოლოდ შეფასება უკვე მოპოვებული მეცნიერული ჭეშმარიტებებისა, არამედ ახალი მოელენებისა და პროცესების ღრმა ანალიზი, ახლებური მიდგომის გამომუშავება.

დავუბრუნდეთ ისევ იმას, არის თუა არა "უფრო მეტი" ყოველთვის უკეთესი. თუ ქვეყანა, დღეს აწარმოებს უფრო მეტ მატერიალური კეთილდღეობების საშუალებებს, ვიდრე ერთი წლის წინათ, უკეთესია ეს თუ არა? სულ ახლო წარსულში პასუხი იქნებოდა ერთმნიშვნელოვანი — რა თქმა უნდა, უკეთესია! საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა მიჩნეული იყო როგორც განმაზოგადებელი მაჩვენებელი ეკონომიკური განვითარებისა. ლოგიკა საკმაოდ მარტივია - რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი პროდუქტი, მით უფრო დიდია არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. მაგრამ ყველაფერი ხომ თავის საზღვრებშია სწორი. და ეს თეზისიც სწორია მხოლოდ განსაზღვრული წანამძღვრების დროს.

პირველი წანამძღვარი მდგომარეობს იმაში, რომ უფრო მეტი დოვლათის წარმოება მაშინ არის უკეთესი, თუ ფართოვდება საზოგადოებრივი განვითარების შესაძლებლობები, ე.ი. იმ პირობით, თუ ეს სიმდიდრე შეესაბამება ნამდვილ მოთხოვნილებებს. თუკი მათ საზოგადოება არ აღიარებს როგორც აუცილებელს, და არ გამოიყენებს (ჩაწოლილია საწყობში), რაც უფრო მეტია ეს დოვლათი და მაშასადამე, რაც უფრო მეტი შრომაა დახარჯული, მით უარესია საზოგადოებისათვის.

მეორე წანამძღვარი: "ბევრია - ე.ი. უკეთესია" მხოლოდ მაშინ, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ხარისხს. გავიხსენოთ "კლასიკური" კურიოზი ნათურებთან დაკავშირებით. სინამდვილეში ერთი ნათურა, რომლის სარგებლიანობის ვადაა სამი წელიწადი, უკეთესია ვიდრე ექვსი ნათურა, რომლის თითოეული ცალი ნახევარ წელიწადში გადაიწვება (ამ შემთხვევაში ორივე ვარიანტი აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს სამი წლის განმავლობაში. მაგრამ პირველ შემთხვევაში იგი მიიღწევა უფრო ნაკლები მატერიალური და შრომითი რესურსების დანახარჯებით).

მესამე წანამძღვარი: "ბევრია - ე.ი. უკეთესია", თუ განვიხილავთ მას მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის დაკმაყოფილების

თვალსაზრისით და არ გავითვალისწინებთ წარმოების უარყოფით გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე, კერძოდ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შედეგებს (რომლებიც თავის მხრივ აუარესებენ ადამიანის შრომისა და დასვენების პირობებს, იწვევენ დაავადებათა ზრდას, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს სოციალური განვითარების ზრდის შეფერხებას).

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აუცილებელია აღინიშნოს: ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა არც თუ ისე მეცნიერული, აშკარად გადაჭარბებული წარმოდგენა ბუნებრივი ფაქტორების როლის შესახებ. ეს ფაქტორი არასდროს ყოფილა განმსაზღვრელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალზე ხშირად ვცდილობთ ყველა სიძნელე, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, ავხსნათ რთული ბუნებრივი პირობებით, ხოლო დაძაბულობა სახალხო მეურნეობაში - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პირობების გაუარესებით. თუ ასეთი კუთხით შევხედავთ ამ საკითხს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გავითვალისწინოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები და ბუნებრივ ფაქტორებს მივაწეროთ მთავარი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა. მაგრამ ეკონომიკური აზროვნება, თუ იგი ნამდვილად მეცნიერულია, არასოდეს განიხილავს ტექნიკას, როგორც უცვლელს, ერთ ადგილზე გაყინულს.

როდესაც ნეგატიური მოვლენები იზრდება, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვა ყოვნდება, საგრძნობლად ნელდება შრომის ნაყოფიერების ზრდა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამეურნეო მექანიზმი ცუდად ასრულებს თავის დანიშნულებას. წინააღმდეგობები, რომლებიც ვერ დავძლიეთ, ანელებენ ეკონომიკის განვითარებას.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი სამეურნეო მექანიზმი აგებულია დარგობრივი ეკონომიკის კანონების მიხედვით და მოწოდებულია მაქსიმალური უწყებრივი მოგების მისაღებად. საკუთარ გამორჩენაზე ზრუნვა და მომხმარებლის ინტერესების სრული უგულებელყოფა - ეს არის სწორედ "წარმოების დიქტატურის" გამოხატულება, რომელიც დაფუძნებულია უწყებრივი ეკონომიკის "თეორიულ ფუნდამენტზე". მაგალითად, გადამამუშაებლებს აწყობთ შექმნან რაც შეიძლება მძლავრი კომბინატები, თუმცა მათ სიმძლავრეთა ზრდასთან ერთად იზრდება ნედლეულის შემოტანის რადიუსები და მაშასადამე, მომიჯნავე მეურნეობათა დანახარჯები. ტრანსპორტისათვის უფრო ხელსაყრელია გადაზიდოს რაც შეიძლება მძიმეწონიანი ტვირთი და რაც შეიძლება შორ მანძილზე (რადგან მათი მუშაობის მაჩვენებლები ტონა-კილომეტრებით განისაზღვრება). ქვეყანას კი ამგვარი საქმიანობა დიდძალ ეკონომიკურ ზარალს აყენებს.

უწყება (დარგი) უფრო ხშირად აწარმოებს არა მთლიან პროდუქციას, არამედ მის რამდენიმე ნაწილს და მიისწრაფვის

გამოუშვას რაც შეიძლება მეტი შუალედური პროდუქტი. მაგრამ მოგვცემდა კი ეფექტს, მაგალითად, ფეხსაცმლის ძირების წარმოების ინტენსიფიკაცია, თუ მომიჯნავე წარმოებისათვის არ იქნება ხელსაყრელი დამატებითი ოდენობის ფეხსაცმლის გამოშვება? რა თქმა უნდა არა. იგი გამოიწვევდა მხოლოდ მკვდარი ფასეულობების რესურსების ზრდას, რესურსების ტყუილუბრალოდ ხარჯვას, ეკონომიკაში დისპროპორციების წარმოქმნას.

დარგების, გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობა საკმარისად არაა წარმართული მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შენარჩუნებულია მწარმოებლების პრიმატი. უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან მომხმარებლები, რომლებიც იძულებულნი არიან "გამოჰგლიჯონ" მომმარაგებლებს მათთვის განკუთვნილი ნედლეულისა და მასალების ფონდები, "ემუდარონ" მშენებლებს დროულად ჩააბარონ გეგმური ობიექტები, "მუხლებზე დაიჩოქონ" რკინიგზის წინაშე, რათა მიიღონ ვაგონები პროდუქციის გადასატანად და ა.შ. დარგის ეგოისტური ინტერესები ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივი წარმოების უმაღლეს მიზანს.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ ეკონომიკური მეცნიერება საესებით იგნორირებს ადამიანს, როგორც სოციალურ და ზნეობრივ არსებას, განიხილავს მას მხოლოდ როგორც "შუშახელს". მას აინტერესებს არა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება, არამედ შრომის ნაყოფიერების ზრდა და მთავარი - მოგება. ადამიანი კი გაგებულია, როგორც "ეკონომიკური მიზნის" მიღწევის საშუალება.

ადამიანის ფაქტორის წარმოჩენა - ეს არის ნაბიჯი გადასვლისა ეკონომიკიდან, სადაც ადამიანი უმეტესად იყო წარმოების ზრდის ფაქტორი, ეკონომიკისაკენ, სადაც წარმოება სულ უფრო მეტად გახდება პიროვნების განვითარების საშუალება. ეკონომიკურ თეორიაში ამან უნდა გამოიწვიოს არსებითი ხასიათის ცვლილებები.

ეკონომიკური მეცნიერების მანკიერი დებულებებისა და სამეურნეო მექანიზმის ხარვეზების უარყოფითი გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ჩარჩოებით. იგი ეხება ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. მოქმედებს ქვეყნის მოქალაქეთა ზნეობრივ-ეთიკურ საფუძვლებზე და ქცევის ნორმებზე, ქმნის დანაშაულობათა მასაზრდოებელ გარემოს. ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და გამართული მექანიზმი "ჩამოწერებისა" დამტაცებლობის ერთ-ერთი ყველაზე უებარი საშუალება იყო. "ზედმეტი" მასალები საწყობებში და მშენებლობებზე საქმოსნების ჯიბეში ხედებოდა, რაც დღესაც იწვევს უშრომელი სიმდიდრის დაგროვებას.

მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჩვენს პოლიტიკურ ეკონომიას ათეული წლების განმავლობაში წარმოედგინა ეკონომიკური ცხოვრება ყველაზე ნათელი ფერებით. ამგვარი უკონფლიქტო თეორიების

ავტორები ხელმძღვანელობდნენ "კეთილი მიზნებით" აემაღლებინათ ახალი საზოგადოების პრესტიჟი, სინამდვილეში კი დათვური სამსახური გაუწიეს მას.

ჩვენს ეკონომიკაში და სოციალურ ცხოვრებაში გამოვლენილი უარყოფითი მოვლენები იყო არა როგორც შედეგი სოციალიზმის ნორმებიდან გადახვევისა, მისი ობიექტური კანონების ჯერ კიდევ ღრმა შეუსწავლელობისა, არამედ მისი ბუნებრივი თვისება, მისი აუცილებელი წარმონაშობი, მისთვის დამახასიათებელი ნაკლი.

ძალზე ხშირად ზოგიერთი "მეცნიერი", იგრძნობდა რა ხელმძღვანელობის მხრიდან ახალ წამოწყებებს, მაამებლობის ცნობილი პრინციპის თანახმად ისწრაფოდა ეს იდეები "მარქსისტულად" გაეფუნდამენტალებინა. ამიტომაცაა, რომ დღეს ძალზე ბევრი თეორიული დებულებები არასწორადაა მიჩნეული და ხდება მათი გადაფასება. სამწუხაროდ, ასეთი მეცნიერების ხელში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება მხოლოდ ციტატების უძირო მასაზრდოებლად გადაიქცა.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან? - მხოლოდ ერთი - მანამდე, სანამ არ გამოვეთხოვებით ეკონომიკურ მეცნიერებათა (და საერთოდ საზოგადოებათმცოდნეობათა) მოძველებულ დოგმებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია არ პასუხობენ თანამედროვე პირობებს, ნაკლები შანსი გვექნება სწრაფად მივაღწიოთ წარმოებისა და ტექნიკის მსოფლიო დონეს.

პასუხის გაცემა იმაზე, როგორ და რა საშუალებებით უნდა დავძლიოთ მრავალი წინააღმდეგობა, შეიძლება მხოლოდ რეალური სოციალიზმის გამოცდილების კრიტიკული გააზრების გზით. გამოცდილებაც და თეორიაც ცხადყოფს, რომ წარმოქმნილი წინააღმდეგობანი არ შეიძლება გადაიჭრას სტიქიურად, თავისთავად. მათი გადალახვა გულისხმობს საზოგადოების მიზანდასახულ მოქმედებას, ეკონომიკური მექანიზმის მოწესრიგებას, სრულყოფას, ზოგიერთ აუცილებელ შემთხვევაში კი - გარდაქმნას. მისი განხორციელება შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ფორმირების გარეშე. ეს ძალზე ძნელი, მაგრამ ერთადერთი სწორი და ცხოვრებისეულად აუცილებელი პროცესია.

მაისი. 1987 წ.

ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად იტყობინებიან, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ბუნებას და თვით ადამიანს ტექნიკური პროგრესი. ასეთი ინფორმაცია ზოგჯერ ომის ფრონტიდან მიღებულ ცნობებს გვაგონებს. გავიხსენოთ ჩერნობილი, რეინის მოწამვლა, ქიმიური ქარხნის აფეთქება ინდოეთში, ორი ათასი ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ეგრეთ წოდებული მჟავე წვიმები, რომლებიც უზარმაზარ ტერიტორიაზე ანადგურებენ მცენარეულ საფარს, აბინძურებენ წყალსატევებს, უდიდეს ზიანს აყენებენ შენობა-ნაგებობებსაც კი. განა შესაძლებელია მისი თავიდან აცილება რომელიმე ერთი ქვეყნის მონდომებით? კანადის ქალაქ ტორონტოში, რომელიც ონტარიოს ტბის სანაპიროზე მდებარეობს, მჟავე წვიმების შედეგად განადგურდა მცენარეულობა, შენობები, ავტომანქანები, დაიხოცა დიდძალი თევზი. მიუხედავად ამ ქვეყნის დიდი მონდომებისა, ანალოგიური მოვლენები მაინც ვერ აუცილებიათ თავიდან, რადგან კანადის ტერიტორიაზე მოსული მჟავე წვიმების მიზეზი უმეტესწილად მათი სამხრეთელი მეზობელია. შეერთებულ შტატებში თბოელექტროსადგურების, სამრეწველო საქვაბეების, ქარხნების, ავტომანქანების მიერ ატმოსფეროში ამოფრქვეული ნივთიერებები წარმოქმნიან გოგირდისა და აზოტის მჟავებს, რომლებიც შემდგომ წვიმის, თოვლის ან ნისლის სახით მოდის და ანადგურებს ყველაფერს. ასეთი წვიმა შეიძლება წამოვიდეს შხამიანი ამონაფრქვევების წყაროებიდან ასეული კილომეტრის დაცილებით.

მსგავს მოვლენებს ვაწყდებით ევროპაშიც. შვედმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეამჩნიეს, რომ ტბებში გაქრა თევზი. ამის მიზეზი ყოფილა ნალექები, ჰაერს რომ მიჰქონდა დიდი ბრიტანეთიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარემოს გაჭუჭყიანება ანადგურებს ტყეებსა და წყალსაცავებს, აზიანებს კულტურულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. მრავალ ქანდაკებას დაშლით ემუქრება მანქანების გამონაბოლქვით გაბინძურებული ჰაერი. ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებს იგივე ჰაერი ადამიანს. ამიტომაცაა, რომ მკვეთრად იმატა დაავადებათა რიცხვმა.

გაჭუჭყიანების ზრდასთან ერთად მატულობს მომუშავეთა ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენა, მკურნალობის ხარჯები, კლებულობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოსავლიანობა, იზრდება სამრეწველო პროდუქციის დანაკარგები, კომუნალური მეურნეობის ხარჯები და ა.შ. ასე რომ, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ეკონომიკურადაც ხელსაყრელია.

უკრაინაში ჩატარებულმა მოსახლეობის სამედიცინო შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქალაქებში, სადაც ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობაა, 1,8-ჯერ მატულობს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას გადიან. ამასთან, ორი მესამედით იზრდება ექიმების ბინაზე გამოძახება, ერთი მესამედით - პოლიკლინიკებში მიღება.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოება ერთი მომუშავის მწვავე რესპირატორული დაავადების შემთხვევაში 38 მანეთით ზარალდება, ხოლო ანგინით - 84, ბრონქიტით - 119, გრიპით კი - 307 მანეთით, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რა კოლოსალურ დანაკარგებთან გვაქვს საქმე.

როდესაც ენერგეტიკული კრიზისის შედეგად, კალიფორნიაში ბენზინის გაყიდვა მხოლოდ 10 პროცენტით შემცირდა, ბრონქიტისაგან, ასთმისაგან, ფილტვების ემფიზემისაგან გამოწვეულმა სიკვდილიანობამ 30 პროცენტით იკლო, ხოლო გულსისხლძარღვთა დაავადებამ – 11-17 პროცენტით. საკმარისი იყო, ბენზინის გაყიდვა გაეზარდათ, რომ დაავადებებმა კვლავინდებურად იმატა. გაანგარიშებულია: თუ ამერიკის დიდ ქალაქებში ორჯერ შემცირდება გაჭუჭყიანების დონე, მაშინ მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება 3-5 წლით, სიკვდილიანობა შემცირდება 4-5 პროცენტით, ბრონქიტების, რესპირატორული დაავადებების, ფილტვების კიბოსი – 25-დან 50 პროცენტამდე, გულსისხლძარღვთა დაავადება - 10 პროცენტით. საერთოდ, სამედიცინო დანიშნულების ხარჯები შემცირდება 2 მილიარდი დოლარით. მარტო ატმოსფეროს გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზარალი 20 მილიარდი დოლარია წელიწადში.

აკადემიკოს დუბინინის აზრით, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გენეტიკური დარღვევების მქონე მილიონობით ბავშვი გაჩნდა. ასეთი მოვლენები ხშირია მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაიონებში, სადაც დიდი ოდენობით იყენებენ ქიმიურ სასუქს.

რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, მართალია, აქ არ აღინიშნება არც სმოგი და არც მასთან დაკავშირებული ავადობის კატასტროფული ზრდა, მაგრამ ეს სულაც არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფეროს გაბინძურების მხრივ საშიში ობიექტები განლაგებულია 25 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში, რომელთაგან ჰაერს ყველაზე მეტად აბინძურებენ რუსთავის ქიმიური და მეტალურგიული კომბინატები, ზესტაფონის ფეროშენადნობისა და კასპის ცემენტის ქარხნები.

განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ბუნებას ინდუსტრიულმა საქმიანობამ. დღეს საბჭოთა კავშირში მძლავრი

ჰესების მშენებლობის შედეგად წყალშია ჩაძირული 2600 სოფლისა და 165 ქალაქის ტერიტორია, რასაც ემატება მშენებარე და პროექტით გათვალისწინებული წყალსაცავები. იკარგება მიწა - მარჩენალი. მარტო საქართველოში დატბორილი მიწის ფართობი 11 ათას ჰექტარს უტოლდება.

დიდძალი ელექტროენერგია რომ გვჭირდება, ამაში ეჭვს არც ერთი გონიერი ადამიანი არ შეიტანს, მაგრამ საკითხავია, განა არ შეიძლება იმავე ოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავება ნაკლები დანაკარგებით? თუ მსოფლიო პრაქტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეს სავსებით შესაძლებელია მცირე სიმძლავრის ჰესების ქსელის ფართოდ გაშლით, ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენებით.

ექსპერტთა აზრით, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიოში ბუნების დამცავ ღონისძიებებზე უნდა დაიხარჯოს ერთობლივი ეროვნული შემოსავლის 3-5 პროცენტი მაინც, ანუ არანაკლებ 150 მილიარდი დოლარი წელიწადში. რამდენად შესაძლებელია ეს? სად არის რეზერვი? დღეისათვის სამხედრო ხარჯები მსოფლიოში ყოველწლიურად ერთ ტრილიონ დოლარს აღწევს. ამ ხარჯების შემცირება არის ის ერთ-ერთი უდიდესი მატერიალური რეზერვი, რომელიც კაცობრიობას შეუნარჩუნებდა ჯანსაღ გარემოს.

ეკოლოგიური კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიცაა, რომ ადამიანმა ირწმუნა, თითქოს იგი ბუნების "დამპყრობი" და "დამმორჩილებელია". საჭიროა ადამიანის შეგნების გარდაქმნა ისე, რომ იგი არა მარტო თანაუგრძნობდეს ბუნებას, არამედ მის განუყოფელ ნაწილადაც თვლიდეს თავს. ეს ძალზე რთული პროცესია, რადგან ჩვენში ფესვგადგმულია ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება.

"თუ შემდგომშიც ვაპირებთ არსებობას, ბიოსფერო უნდა იქცეს ნოოსფეროდ, გონების სფეროდ". ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ რუს მეცნიერს აკადემიკოს ვერნადსკის.

ივნისი. 1987 წ.

ᲛᲝᲓᲔᲗ. ᲒᲐᲕᲘᲓᲔᲓᲠᲓᲔᲗ!

დღეს კოოპერაციას აღორძინების პერიოდი დაუდგა. ამ ორიოდე ათეული წლის წინათ კი იგი გამოცხადებული იყო "კაპიტალიზმის გადმონაშთად", "ძველი ანტაგონიზმის ნარჩენად". მაშინ მიგვაჩნდა, რომ თურმე ჩვენ შევედით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ამიტომ საჭირო იყო თანდათანობით გაგვეუქმებინა კოოპერაციული საკუთრება და მასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური ფორმები, შეგვეზღუდა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობაც, რომელიც თურმე "კერძომესაკუთრულ მსოფლმხედველობას" წარმოშობდა.

კოოპერაციული საკუთრების მეორეხარისხოვნად გამოცხადების შემდეგ, დაიწყო საზოგადოებრივი საკუთრების ორი ძირითადი ფორმის ხელოვნური, იძულებითი დაახლოება, ფაქტიურად მათი გასახელმწიფოებრიობა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური მექანიზმის მოშლა, დემოკრატიულობის ყველა ფორმის იგნორირება. დაინერგა მართვის ბიუროკრატიული მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებიც კი გაცილებით ეფექტიანად მუშაობდნენ, ვიდრე საბჭოთა მეურნეობები, დაიწყო მათი მასობრივი "გადაკეთება". აი შედეგიც — 60-იან წლებში არსებული 95 ათასი კოლმეურნეობიდან დღეისათვის 26 ათასიღა შემოგვრჩა.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დამხმარე მეურნეობების ვოლუნტარისტულად შეზღუდვის შედეგად, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას დააკლდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 30-40 პროცენტი.

ამგვარმა "კომუნიზმის თეორიებმა" და შემდგომში ინერციის ძალით წარმოშობილმა "განვითარებული სოციალიზმის" კონცეფციამ, თავის მხრივ საფუძველი დაუდეს ცხოვრებიდან მოწყვეტილ სხვადასხვა შეხედულებებს, ცრუ წარმოდგენებსა და შეცდომებს. ასეთი "თეორიების" მიზეზით მეორეხარისხოვნად გამოცხადდა სასაქონლო—ფულადი ურთიერთობის როლი სოციალისტურ საზოგადოებაში, როგორც ძველი წყობის გადმონაშთი, რომლის განვითარება და სრულყოფა კი არ ყოფილა საჭირო, არამედ შესუსტება. "განვითარებულ სოციალიზმს", რომელმაც თურმე უკვე გამოისხა "კომუნიზმის ყლორტები", არ ეკადრება "კაპიტალიზმის გადმონაშთთან" თანაარსებობა?!

კოოპერაციის შეზღუდვის მიზეზები მხოლოდ იდეოლოგიური მოტივებით არ შემოიფარგლება. მას სოციალური და ეკონომიკური ფესვებიც გააჩნდა, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ბიუროკრატიული ცენტრალიზმის უკიდურესობაში მდგომარეობს. გარდა ამისა, გაბატონებული იყო აზრი, თითქოსდა კოოპერაცია ეწინააღმდეგება გეგმაზომიერი განვითარების პრინციპებს, რაც თავის მხრივ გეგმისა და ბაზრის თანაფარდობის მცდარ წარმოდგენაზე იყო დაფუძნებული.

ამას ისიც ემატებოდა, რომ კოოპერაციული შრომა, რომელიც შედარებით მაღალი ანაზღაურების მიღების საშუალებას იძლეოდა, მიჩნეული იყო სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევის ერთ-ერთ მიზეზად.

კოოპერაციის შესახებ მცდარი წარმოდგენები ინერციის ძალით დღემდე გრძელდება. კელავ გაისმის მოწოდება სოციალური სამართლიანობის დაცვისაკენ, თუმცა რატომღაც გვავიწყდება, რომ არაფერია იმაზე დიდი უსამართლობა, ვიდრე გათანაბრება. ხშირად გაიგონებთ, რომ კოოპერატივები მაღალი ფასების წყალობით დიდ შემოსავალს ღებულობენო. დიახ, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ ეკონომიკას თავისი კანონები გააჩნია და რაც უფრო ვოლუნტარისტულად მივუდგებით, მოვაქცევთ ზედმეტად მარეგლამენტებელ მარწუხებში ფასებით, გეგმებითა თუ ნორმატივებით, მით უფრო შევაფერხებთ მის განვითარებას. მისი გაფართოება კი ნიშნავს ჯანსაღი კონკურენციის გაჩენას, ნედლეულის გაიაფებას, საბოლოო ჯამში კი ფასების შემცირებასაც. ჩვენში კოოპერატივები ერთი წელიც კი არაა რაც არსებობენ. დღეისათვის ისინი თავიანთი განვითარების ბავშვობის სტადიაში იმყოფებიან და მაღალი ფასებიც მათი საყმაწვილო სენია. ვიქონიოთ ცოტა მოთმინება... ხოლო რაც შეეხება ე.წ. მონოპოლიური ფასების ეფექტს, როცა მართლაც შესაძლებელია მათი დაუსაბუთებლად გადიდებით დამატებითი შემოსავლის მიღება, გონივრული დაბეგვრის სისტემის საშუალებით შესაძლებელია მისი რეგულირება.

რატომღაც სოციალიზმი სიღარიბესთან, უკეთეს შემთხვევაში კი საშუალო ოდენობის თანაბარ შემოსავალთან გავაიგივეთ. ჩვენ წარმოების მიზნად გამოვაცხადეთ "მთელი საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა", სიმდიდრის ხსენებაზე კი ელეთ-მელეთი მოგვდის. როცა ბუხარინმა თავის დროზე წამოაყენა ლოზუნგი "მდიდ გაემდიდრდეთო", ამას ისეთი რეაქცია მოჰყვა, რომ იძულებული გახდა განეცხადებინა: ჩემი მოსაზრება მცდარიაო. პატიოსანი შრომით შექმნილი სიმდიდრე ყველას ეცემა თვალში (მის დამალვაზე არავინ ფიქრობს), თორემ უშრომლად გამდიდრებულები არც კოოპერაციამდე რომ არ გვაკლდა, ამას დიდი "ფიცი და მტკიცი" არ სჭირდება.

კიდევ ერთი ცრუწარმოდგენა, რომელიც გავრცელებულია არა მხოლოდ მოსახლეობის ფართო ფენებში, არამედ ზოგიერთ სპეციალისტთა შორისაც. მათი აზრით, დღეს თითქოსდა კოოპერატივები წარმოებაში კი არა, მხოლოდ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროში იქმნება, რის გამოც კიდეე უფრო ძვირდება საკოლმეურნეო ბაზარი და სიკეთის ნაცვლად მხოლოდ სიძვირე მოაქვს.

ეს მოსაზრება მცდარია. კოოპერაციის ძირითადი მიზანია

დააჩქაროს საწარმოო სფეროს განვითარება, ე.ი. იმ კოოპერატივებისა, რომლებიც დაამზადებენ მოხმარების საქონელს და აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. აქ შეიძლება გავიხსენოთ "პრავდაში" დაბეჭდილი აკადემიკოს პრიმაკოვის წერილიდან ერთი ფაქტი, რომელიც ამგვარ წარმოდგენას აბათილებს. თურმე, ნეპის პერიოდში რუსეთში ჩამოსული ინგლისური გაზეთის "მანჩესტერ გარდიანის" კორესპონდენტი ლენინს შეხვედრია. მან, როცა მოსკოვის ქუჩებში იხილა "გაჩაღებული ყიდვა-გაყიდვა", მივიდა იმ დასკვნამდე, რომ "ნეპის პერიოდში წარმოება შესაძლებელია მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში". ე.ი. მისი აზრით, ნეპი მხოლოდ თავისუფალ ვაჭრობას ნიშნავდა და არა წარმოებას, როცა ეს აზრი ლენინსაც გაუზიარა, მან თურმე გაკვირვებით შენიშნა: "ნუთუ იგი ვერ ხედავდაო მილიონობით რუს გლეხობას, რომლებიც სოფლად შრომობენო".

ასევეა ახლაც, თუ არ ვაწარმოეთ, მაშინ ვერც ვერაფერს გავყიდით. შეუძლებელია გავხსნათ, ვთქვათ, კოოპერატიული კაფეები და არ გექონდეს პროდუქციის შეძენის საშუალება. დღეს ჩვენთან იმდენი კოოპერატივია, რამდენის საშუალებასაც ბაზარი იძლევა, არც მეტი, არც ნაკლები. აქ ფასები სტიქიურად წესდება და იგი არის როგორც კოოპერატივების გაფართოების სტიმული, ასევე, მათი დამამუხრუჭებელიც. ამიტომაც, სავაჭრო ან სამომხმარებლო კოოპერაციის ზრდა თავისთავად გულისხმობს საწარმოო კოოპერაციის გაფართოებას.

კოოპერაციის შესახებ კანონმა უნდა დააჩქაროს მისი განვითარება, რომელიც ხანგრძლივი დისკრიმინაციის შემდეგ, პირველად იქნა აღიარებული თანასწორუფლებიანად სახელმწიფო სექტორთან მიმართებაში. სანამ კანონი ძალაში შევა, ბევრი რამ დაზუსტდება და დაიხვეწება. დასაზუსტებელი კი პროექტში არც თუ ისე ცოტაა. ზოგიერთი შენიშვნა და მოსაზრება მეც მინდა გამოვიტანო მკითხველისა და სპეციალისტების სამსჯავროზე.

ბერველი. დავიწყოთ ყველაზე მთავარით: ვინ შეიძლება იყოს კოოპერატივის წევრი? კანონში ნათქვამია, რომ მისი წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე. მაგრამ არსად არა ჩანს, შეუძლია თუ არა ადამიანს, რომ მან იმუშაოს მხოლოდ კოოპერატივში, ე.ი. კოოპერატივი იყოს მისი ძირითადი სამუშაო. თუმცა, მეთერთმეტე მუხლში ჩაწერილია, რომ საწარმოო კოოპერატივის წევრს, რომლისთვისაც იგი წარმოადგენს ძირითად სამუშაოს, თავისუფალ დროს შეუძლია მუშაობა სხვა კოოპერატივშიც. გაუგებარია, ვისთვისაა ეს სამუშაო ძირითადი. თუ გავიხსენებთ, რომ კანონით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ნებადართულია მხოლოდ პენსიონერებისათვის, ინვალიდებისათვის, დიასახლისებისათვის, ხოლო სახელმწიფო სექტორში მომუშავეთათვის ასეთი საქმიანობა დაშვებულია მხოლოდ

ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს, გამოდის, რომ კოოპერატივში შრომა, როგორც ძირითადი დასაქმება, მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის ადამიანებისთვისაა შესაძლებელი. ეს კი სათაეეშივე შეიცავს მრავალი დამახინჯებისა და დარღვევის წარმოშობის შესაძლებლობას.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ბევრი ცდილობს მოძებნოს ისეთი სამუშაო, სადაც შეიძლება ნახევარი ძალით მუშაობა. უფრო ხშირად კი, ფორმალურად ფორმდებიან სადმე და ითვლებიან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულად. რასაც, რა თქმა, უნდა, უანგაროდ არავინ გააკეთებს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთ "გაფორმებულზე" ხელფასიც უნდა გამოიწეროს და პრემიაც, ეს კი მიწერებისა და რაც კიდევ უფრო უარესია, სხვისი შრომის მითვისების შენიღბული ფორმაა — "მარცხენად" გამოწერილი ფული ხომ მშრომელი ადამიანების მიერაა გამომუშავებული და მათ ჯიბეს აკლდება.

კანონში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომ კოოპერატივში დასაქმება შეიძლება იყოს როგორც ძირითადი (პირველადი), ასევე შეთავსებითი (მეორადი), ისე როგორც ეს ყველა სოციალისტურ ქვეყანაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოოპერაციის შემდგომი განვითარება ერთობ საეჭვოა.

მეორე. ჩემი აზრით, აუცილებელია კანონში განისაზღვროს კოოპერატივების რეგისტრაციის ვადა, რათა აღმასკომებს არ მიეცეთ თვითნებობის გამოვლენის საშუალება, რაც მრავალჯერ მომხდარა კიდეც პრაქტიკაში. ყოველი განცხადების შეტანის შემდეგ კოოპერატივის გახსნის მსურველმა უნდა მიიღოს პატენტი, დაეუშვათ, ერთი თვის ან ერთი კვირის განმაელობაში.

მესამე. კანონის პროექტის 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ კოოპერატივებს ხელმძღვანელობას უწევენ "სახალხო დეპუტატთა საბჭოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები". სასურველია დაზუსტდეს, რომელია ეს "სხვა ორგანოები". იგი თავიდან აგვაცილებდა მრავალ გაუგებრობას და არ მისცემდა უფლებას ყველას, ვისაც კი მოესურვებოდა ჩარეულიყო მათ საქმიანობაში. რადგან ამ მუხლში ძირითადად სახალხო დეპუტატთა საბჭოებზეა საუბარი, უკეთესი იქნებოდა ყოფილიყო "სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მისი ორგანოები".

მეოთხე. თუ კოლმეურნეობა კოოპერატივია, მაშინ ცალკეულ პირებს უნდა შეეძლოთ კოლმეურნეობიდან გამოსვლა. ისინი მიწას იჯარით კოლმეურნეობებისაგან კი არ უნდა იღებდნენ, არამედ სახელმწიფოსაგან.

მეხუთე. როცა კანონი ითვალისწინებს კოოპერატორთა ინტერესების დაცვას, ასევე უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებელთა ინტერესების დაცვასაც. პროდუქცია, რომელსაც მომხმარებელი შეიძენს, უნდა იყოს ხარისხიანი. კოოპერატივებს უნდა ეკისრებოდეთ

როგორც ეკონომიკური, ასევე იურიდიული პასუხისმგებლობა მათი ნაწარმის ვარგისიანობაზე. რადგან ყველა მათგანს არა აქვს საფირმო ნიშანი (ზოგიერთი "ადიდასისა" და "პუმას" ფირმითაც კი გვევლინება), ძნელია მყიდველმა დაადგინოს მწარმოებლის ვინაობა და წაუყენოს მას პრეტენზია.

დაბოლოს, ერთ გარემოებაზე მინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება... ყოველი დასაწყისი რომ ძნელია, ეს მოარული ჭეშმარიტებაა და იგი, რა თქმა უნდა კოოპერაციულ მოძრაობაზეც ვრცელდება. დასაწყისში კოოპერაციის განვითარება განსაზღვრულ წახალისებასა და სტიმულირებას, კეთილსასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას რომ საჭიროებს, ესეც ყველასათვის ნათელია. მაგრამ, ხშირად როცა რაიმეს წახალისებას ვცდილობთ, განგებ ეხუჭავთ ხოლმე თვალს ბევრ რამეზე, ემანდ ვინმე არ დავაფრთხოთ და საქმე შუა გზაზე არ გაგვიჩერდესო. ასეთმა მოქმედებამ შეიძლება დათვური სამსახური გაუწიოს კოოპერაციას. ჩვენ თუ მის მხოლოდ დადებით მხარეებზე გავამახვილებთ ყურადღებას და ნაკლზეც არ მივუთითებთ, იმ არასასურველ შედეგებზეც არ ვიტყვით, რაც მას შეიძლება მოჰყვეს და დროულად არ მივიღებთ ზომებს, მაშინ წარმატების ნაკლები იმედი უნდა გვქონდეს.

აუცილებლად უნდა შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ ის გამოცდილება, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებს გააჩნიათ ამ სფეროში.

გავრცელებულია აშკარად მცდარი მოსაზრება, თითქოსდა კოოპერატივებში შრომა ადვილი იყოს. მაგალითად, უნგრეთში ყოველდღიურად 47 ხელოსანი უკან აბრუნებს ადრე აღებულ პატენტს. წლის განმავლობაში იხურება 3500 წვრილი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების საწარმო. მუშაობის პირველ წელსვე უქმდება გაცემული პატენტების 20 პროცენტი. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოსაგან დიდი დახმარების მიუხედავად, კოოპერაციული საქმიანობის წარმართვა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული მოვლენების ძირითადი მიზეზი კონკურენციაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კოოპერატივებში შრომა დიდძალი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს.

ევროპის ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში შეიმჩნევა ტენდენცია — ზუსტად არ მიუთითონ შემოსავლების ოდენობა. ამგვარი მოვლენების თავიდან ასაცილებლად მოქმედებენ საექსპერტო კომისიები, რომლებიც განსაზღვრავენ შემოსავლების ოდენობას და იმასაც, თუ რამდენად სარწმუნოა კოოპერატივების მიერ მიწოდებული ინფორმაცია. გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი პრობლემა ჩვენშიც წარმოიშვას. ამიტომ დღესვე უმკაცრესი ზომებია მისაღები მის თავიდან ასაცილებლად. განსაკუთრებით დასახვეწია კონტროლის

საქმე. ზოგიერთმა "შემმოწმებელმა" შეიძლება უბიძგოს კიდეც კოოპერატივებს ასეთი მოქმედებისაკენ. დღეს დადის ხმები, რომ ზოგიერთი სახის სახელმწიფო სავაჭრო ობიექტებს ვიღაც–ვიღაცები "შეაწერენ" ხოლმე თანხას იმის საგარანტიოდ, რომ თვალს დახუჭავენ დარღვევებზე. როცა ერთ ნაცნობ გამყიდველს ვუთხარი, ნუთუ არ გეშინია სიგარეტს ზედმეტ ფასებში რომ ჰყიდი - მეთქი, მიპასუხა: იმას, რასაც ზედმეტს ვიღებ, თანაბრად ვუნაწილებ "იმათაც" და "ამათაცო". შემდეგ კი დასძინა: ბასკაკები წელიწადში ერთხელ კრეფდენ ხარკს, ჩვენთან კი ყოველთვიური დაბეგერაა...

კოოპერატივების ყოველგვარი შემოწმება უნდა განხორციელდეს კანონის უმკაცრესი მოთხოვნით. სათავეშივე უნდა აღიკვეთოს როგორც შემოსავლების დამალვა, ასევე ყოველგვარი "ხარკთშეწერა". "შემმოწ-მებლები" არ უნდა უბიძგებდნენ "შესამოწმებლებს" დამახინჯებებისაკენ.

იმაზე, თუ რაოდენ ჯანსაღ საფუძველზე აღმოცენდება კოოპ-რატიები, ბევრად იქნება დამოკიდებული მისი შემდგომი ბედიც.

იელისი. 1987 წ.

ეს მოხდა ამ რამდენიმე წლის წინათ. გაზეთში მივიტანე წერილი სათაურით: "კარგია თუ არა გეგმის გადაჭარბება?" დახედა თუ არა "უცნაურ" სათაურს, რედაქციის მუშაკმა ეჭვით შემომხედა:

– კი მაგრამ, თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ?

– გააჩნია რა შემთხვევაში, – ვუპასუხე.

შევატყვე, მაინცა და მაინც ნასიამოვნები არ დარჩა პასუხით.

ერთი კვირის შემდეგ, როცა კვლავ შეეხვედით ერთმანეთს, წერილი დამიბრუნა და მაუწყა, რომ მასში, თურმე ყველაფერი რიგზე არ იყო. ხელნაწერს დავხედე: "ეწინააღმდეგება საქართველოს კომუნისტური პარტიის პრინციპებს. არ დაიბეჭდება".

მადლობა შევწირე უფალს, რომ ცოტა გვიან ვიყავი გაჩენილი ამ ქვეყნად, თორემ კარგად მოგეხსენებათ, არც ისე შორეულ წარსულში ასეთი იარლიყით სად ამოვყოფდი თავს. რაც შეეხება ხელნაწერს, მას დღესაც ვინახავ, რომ დიდი ხნის მერე, კერიის პირას მჯდომმა ჩემს შვილებსა და შეილიშვილებს ვუჩვენო დოგმატიზმის პერიოდის ზოგიერთი საბუთი.

ახლა კი დღევანდელობას მივუბრუნდეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბიდან სულ რაღაც სამიოდე წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს საზოგადოებაში. პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მწვავე პუბლიკაციების შემდეგ, დღეს არავის მოუვა აზრად, მსგავსი რეზოლუცია დაადოს წერილსა თუ სტატიას.

ჩვენს ქვეყანაში ისეთი სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს, რომ მან არ შეიძლება არ დაამსხვრიოს აზროვნების გაბატონებული სტერეოტიპები. რადიკალური გარდაქმნები ხდება ეკონომიკის მართვაში. იქმნება პრინციპულად ახალი სამეურნეო მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის მტკიცე დაბალანსებულობა. გეგმიანობამ, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის მართვის ქვაკუთხედია, ამ რეფორმის შედეგად უნდა გამოავლინოს თავისი ნამდვილი არსი. გეგმა აღარ იქნება დირექტიული ხასიათის, აქედან გამომდინარე, არც მისი ყოველთვის გადაჭარბება გახდება აუცილებელი. ბოლო მოელება მავნე პრაქტიკას, როდესაც გეგმის შედგენა ხდებოდა დიდი ხარვეზებით, რესურსების გაუთვალისწინებლად, იმ იმედით, რომ ისინი აღმოიფხვრებოდნენ "გეგმის შესრულების პროცესში". ეს კი იწვევდა სახელმწიფო გეგმის ავტორიტეტის შერყევას, ქმნიდა დისპროპორციებს სახალხო მეურნეობაში, აქვეითებდა ეკონომიკის ეფექტიანობას. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში სამრეწველო საწარმოები რამდენჯერმე ცვლიდნენ წლიურ გეგმებს და, რა თქმა უნდა, ყოველთვის შემცირების მიზნით. არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ ვინმეს თავისი სურვილით მისი გადიდება მოეთხოვოს.

რეფორმამდე დაგეგმვის ორიენტირი და მიზანი იქმნებოდა ძალზე მარტივად და თავისთავად: რადგან მრავალი საქონლის დეფიციტია, იგი მეტიც უნდა ვაწარმოოთ. ასეთი დამოკიდებულებისათვის შეიძლება გვეწოდებინა დაგეგმვა დეფიციტით, ანუ სწორება "ვიწრო ადგილებისაკენ". პრინციპულად სხვაგვარად გაკეთდება ეს მას შემდეგ, რაც ეკონომიკა გადავა მართვის ახალ მეთოდებზე. აქ ყველაფერს განსაზღვრავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შესწავლა, მისი აქტიური ფორმირება, პრიორიტეტების დადგენა. სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი შედეგების შეფასების, აგრეთვე კოლექტივის მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმი გახდება არა გეგმის გადაჭარბება, არამედ შეკვეთებისა და ხელშეკრულებების დროული შესრულება. იმაზე მეტის წარმოება, რასაც ხელშეკრულება არ მოიცავს, უბრალოდ უაზრობა იქნება. მისი შეუსრულობლობა კი გამოიწვევს შესაბამის იურიდიულ სანქციებს, რაც უარყოფითად იმოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ეს თვითდაფინანსების პირობებში მისი ჩავარდნის ტოლფასი იქნება.

დღეს უკვე ნათელია, რომ გეგმის მნიშვნელოვნად გადაჭარბება პროდუქციის დაბალ ხარისხზე მეტყველებს. იგივე ეხება გამომუშავების ნორმებსაც. ბოლო ათ წელიწადში მეცნიერებმა ამ პრობლემებს ათობით გამოკვლევა მიუძღვნეს. მიღწეულია აგრეთვე შესაბამისი გადაწყვეტილებებიც, თუმცა რა... პრესა, რადიო, ტელევიზია ინერციით კვლავ განაგრძობენ მათ ხოტბას, ვინც ზეგეგმით პროდუქციას უშვებს. ამ გზით "ჩაღდება" შეჯიბრებაც. ყოველივე ეს აბრკოლებს აზროვნების სტილის გარდაქმნას და უარყოფით გაავლენას ახდენს პრაქტიკაზე.

რატომაა მაინც ყოველთვის გეგმის გადაჭარბება ცუდი? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ზოგიერთი სახეობის ზეგეგმითი საქონლის წარმოება ან მისი რეალიზება ხშირად დამოკიდებულია დამატებითი მატერიალური რესურსების, ძვირადღირებული ნედლეულისა და ნაკეთობების გამოყენებაზე. ეს იწვევს ერთ სფეროში მის დეფიციტს, მეორეში კი, პირიქით, გადამეტებას. რეალური ეფექტი ამ შემთხვევაში არ წარმოიქმნება. მეორეც, საწარმოები და გაერთიანებები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ათასი სამეურნეო არხით. თუ მთელი სისტემა ამ სამეურნეო კავშირებისა არაა რეგულირებული, მაშინ დამატებითი წარმოება, მაგალითად, ხილისა, ნიშნავს დანაკარგების ზრდას, (რაც არაერთხელ მოხდა ჩვენს რესპუბლიკაშიც ვაგონებისა და ტარის უქონლობის გამო), ხოლო, ვთქვათ, დამატებითი მოპოვება ნახშირისა - მის არარაციონალურად ხარჯვას.

გეგმის გადაჭარბებისადმი ასეთმა დაუოკებელმა სწრაფვამ ჩვენს ეკონომიკაში წარმოქმნა მრავალი აბსურდული სიტუაცია, რომლებიც კანონზომიერების რანგში იყო აყვანილი. წარმოვიდგინოთ, რომ ამწეზე გამობმული ანკესით იჭერენ თევზს. კურიოზია, არა? რა თქმა

უნდა, მაგრამ როცა ამის მსგავს მოვლენებს საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით სამეურნეო პრაქტიკაში, გაკვირვებას რატომღაც არავინ გამოთქვამდა.

განა განსაცვიფრებელი არაა, რომ ქვეყანაში ჩარხების რაოდენობა სამჯერ აღემატება მათზე მომუშავეთა რიცხვს? მიუხედავად ამისა, 1985 წელს საბჭოთა კავშირმა გამოუშვა 188 ათასი ლითონსაჭრელი ჩარხი. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც წარმოების მოცულობა გაცილებით დიდია, მხოლოდ 110 ათასი ჩარხი გამოუშვეს.

ნუთუ მართლა გვჭირდება ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ამდენი ტრაქტორი (2 მილიონ 800 ათასი ცალი), თუ უმრავლეს მეურნეობებში ყოველ 100 ტრაქტორზე მოდის მხოლოდ 70-80 ტრაქტორისტი? ამასთან, 1985 წელს ჩვენმა მრეწველობამ გამოუშვა 585 ათასი ტრაქტორი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისამ - 123 ათასი, ე.ი. თითქმის ხუთჯერ ნაკლები. ჩვენ ეს საამაყოდ მიგვაჩნია.

ნუთუ მართლა აუცილებელია გვყავდეს 43 მილიონი სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, თუ მათი მხოლოდ 70 პროცენტის დაკმაყოფილება შეგვიძლია ყუათიანი საკვებით? იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰყავთ მხოლოდ 11 მილიონი სული მსხვილფეხა საქონელი, ანუ ოთხჯერ ნაკლები, მაგრამ რაგინდ განსაცვიფრებელიც იყოს, ისინი ჩვენზე ორჯერ მეტ პროდუქციას იღებენ. ბოლო 30 წელიწადში საბჭოთა კავშირში საქონლის სულადობა გაიზარდა 1,6-ჯერ, შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი 2,2-ჯერ შემცირდა.

განა გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში გვყავს მთელი მსოფლიოს მეცნიერთა მეოთხედი (1,5 მილიონი კაცი), ყველაზე მეტი ინჟინერი, მათი საქმიანობის უკუგება კი ასე მცირეა?

კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ: ეფექტიანია არა გადაჭარბება (ე.ი. ექსტენსიური მატება), არამედ არსებული რესურსების უკეთ გამოყენება (ინტენსიური ზრდა).

იქნებ უკვე დროა შევჩერდეთ? იქნებ არაა საჭირო ბუკისა და ნაღარის ცემა იმის გამო, რომ მოპოვებულია ზედმეტი ტონა მადანი, გამოშვებულია ამდენი და ამდენი მანეთის ზეგეგმით პროდუქცია, მოჭრილია ამდენი ხე-ტყე?! იქნებ სჯობდეს ეს მადანი დარჩეს მიწაში, ტყეებმა იშრიალონ, ჩვენ კი უფრო ყაირათიანად გამოვიყენოთ ის, რაც უკვე მოვიპოვეთ, უფრო სრულად ჩავრთოთ წარმოებაში მეორეული რესურსები და ნარჩენები იმის მაგიერ, რომ ისინი გადავყაროთ ან დავწვათ? (სხვათა შორის, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მთელი მასის 6-7 პროცენტი რჩება საბოლოო პროდუქტის სახით, დანარჩენი კი ნარჩენებში მიდის და თითქმის გამოუყენებელია). ჩვენ ვალდებული ვართ არ ვაწარმოოთ ისეთი პროდუქცია, რომელიც არავის არ სჭირდება, მაშინაც კი, თუ იგი აუცილებელია გეგმის

შესასრულებლად, რადგან პროდუქციის გამოშვება არც მილიონ მანეთობით, არც ტონობით, მეტრობით, ცალობით არ მოწმობს ამა თუ იმ საბოლოო შედეგის მიღწევას. მაგალითად, თუ ჩვენი რესპუბლიკის ფეხსაცმლის ფაბრიკები აჭარბებენ წარმოების გეგმას, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი კარგად მუშაობენ. მომხმარებელს უნდა სავსებით განსაზღვრული სახის, ასორტიმენტის, ხარისხის საქონელი. რესპუბლიკაში 1986 წელს 17,8 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი გამოუშვეს, ე.ი. ერთ სულ მოსახლეზე თითქმის 4 წყვილი. ეს ორჯერ აღემატება იმას, რაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოდის ერთ სულზე. ამის მიუხედავად, ჩვენ დღესაც ხარისხიანი ფეხსაცმლის დეფიციტი გვაქვს და ამიტომ, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილს ვყიდულობთ.

თვით სიტყვა გეგმაზომიერება გამოხატავს მის ნამდვილ შინაარსს: "გეგმას" და "ზომიერებას", რასაც ჩვენ არასდროს არ ვიცავდით. ზომიერება ბევრ რამეში გველალატობდა და არც ამ სფეროში ყოფილა გამონაკლისი.

ნუთუ ძნელია მიხვედრა, რომ ზეგეგმითი პროდუქციის გამომშვები საწარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც მას საწყობებში და ვაგონებში დაალპობენ, წახალისების კი არა, სასჯელის ღირსნი არიან?! მათი მოქმედებით ხომ მოცდა ამდენი ხალხი და ფუჭად ჩაიარა ამდენმა შრომამ?

დროა შევაჩეროთ ციფრების რბოლა, თავი აღარ მოვიტყუოთ მოჩვენებითი წარმატებებით.

ხშირად წაგვიკითხავს და მოგვისმენია: შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში, ან კიდევ მავანმა მუშამ გადაწყვიტა გამოუშვას მხოლოდ საუკეთესო ნახელავი. და ისევ ჩნდება ბუნებრივი კითხვა კეთილსინდისიერად რომ ვიმუშაოთ, განა აუცილებელია რომელიმე დღესასწაული დაგვიდგეს? განა ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული თაოსნობები, რომლებიც ასე ძალზე მოგვიმრავლდა? კი მაგრამ ზეიმის შემდეგ როგორ ვიმუშაოთ? განა ხარისხიანად მუშაობა ელემენტარული ყოველდღიური მოთხოვნილება არ უნდა იყოს?

ჩვენი სტატისტიკა წლების განმავლობაში ალამაზებდა ეკონომიკის მანკიერ მხარეებს, ხელს უწყობდა "უფრო მეტისაკენ" სწრაფვას. გახსოვთ, ალბათ, სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკში, როგორ მოხერხებულად გადაურჩა მხატვარი ცალთვალა მეფის რისხვას, რომელმაც უბრძანა, დამხატეო. ამ იგავის მსგავსად, ჩვენი სახალხო მეურნეობაც დაბრმავებული იყო გეგმების გადაჭარბებით. სტატისტიკამ კი, მოხერხებული მხატვრის მაგვარად, მისი სიმახინჯე რომ დაეფარა, "ხელში დააჭერინა" ისეთი იარაღი, როგორიც პროდუქციის მოცულობის მაჩვენებელი იყო და მშვენიერი ნახატი გამოუვიდა ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ზრდის თემაზე.

ერთი შეხედვით ვერავინ შეედავებოდა, სურათი არარეალურიაო. ამაზე იტყვიან, არც მწვადი დაწვა და არც შამფურიო. თუმცა, შამფურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სამწვადე ხორცს რომ ცეცხლი უკიდია, ამის დანახვას დიდი გარჯა არ სჭირდება.

დასასრულ რა შეგვიძლია ვთქვათ?

მომავალი, 1988 წლიდან მეურნეობრიობის ახალი პრინციპებით იმუშავებენ ქვეყნის, მათ შორის რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები, ხოლო 1989 წელს ახალ პირობებზე გადასვლა მთლიანად დამთავრდება. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები რეფორმის ხორცშესასხმელად უკვე გადადგმულია. მისი შემდგომი სრულყოფა და დანერგვა ჩვენი საერთო საზრუნავია.

სექტემბერი. 1987 წ.

დღევანდელი კვერცხი თუ...

ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი წინა პლანზე აყენებს საჯაროობას. მატულობს კრიტიკული დამოკიდებულება ცალკეული უწყებების მიმართ, რომლებიც არც თუ იშვიათად ვიწროუწყებრივ საფუძველზე წყვეტენ რთულ სამეურნეო ამოცანებს. დარგობრივი ეკონომიკის პრინციპებზე აგებულმა ჩვენმა სახალხო მეურნეობამ ჯერ კიდევ ვერ მოძებნა საიმედო მექანიზმი - უმტკივნეულოდ დაეკავშირებინა საერთო-სახელმწიფოებრივი და უწყებრივი ინტერესები, რომლებიც ძალზე ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

ალბათ, ძირითადად ამით უნდა აიხსნას, რომ არც თუ შორეულ წარსულში ჩვენს სახალხო მეურნეობაში ხორციელდებოდა ფართო მასშტაბური "ბუნების გარდამქმნელი" პროექტები, როგორიც იყო, მაგალითად, ზემძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რასაც მოსდევდა უზარმაზარი ტერიტორიების დატბორვა, წიალისეული სიმდიდრეების ღია წესით მოპოვება დიდი მასშტაბებით, მსხვილი ცელულოზა-ქაღალდის კომბინატების აგება ბაიკალის სანაპიროზეც კი.

ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებს ბუნების დაცვის, ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, თუ, როგორც არაერთხელ მომხდარა, მსხვერპლად შეეწირება მოჩვენებით ეკონომიკურ გამორჩენას, ეს დიდადაა დამოკიდებული მეცნიერის ობიექტურობაზე, დემოკრატიის დონეზე, საჯაროობაზე.

მე, როგორც ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროფილის ეკონომისტს, მსურს გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება სახალხო-სამეურნეო გადაწყვეტილებათა მეცნიერული დასაბუთების მდგომარეობის შესახებ.

პირველი, რაზეც მინდა გავამახვილო ყურადღება ის არის, რომ ბუნებაში დიდმასშტაბიანი ზემოქმედების შედეგების ყოველმხრივი შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ექსპერტების ვიწრო წრის მიერ, ასეთი პროექტების ფართო საჯარო განხილვის გარეშე. ეს ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა რუსეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის, მწერლების მონდომებამ, რომლებმაც განადგურებას გადაარჩინეს ბაიკალის ტბა, აიძულეს უწყებები გაეუქმებინათ ჩრდილოეთის მდინარეების სამხრეთში გადასროლის პროექტი.

დიახ, ბაიკალი მწერლებმა გადაარჩინეს და არა სპეციალისტებმა. თუმცა ისტორიაში, მათ შორის ახლო წარსულშიც, მრავლად მოიძებნება მაგალითები იმისა, თუ როგორ იყენენ შეზღუდულნი მეცნიერები და პოლიტიკოსები ტრადიციული შეხედულებებით და სტერეოტიპებით, ვერ აფასებდნენ ახალ მოვლენებს, ვერ გამოჰქონდათ სათანადო დასკვნები.

არიან ადამიანები (ვუწოდოთ მათ "ეკოკრატები"), რომლებიც

ყოველგვარ ინდუსტრიულ საქმიანობას ეწინააღმდეგებიან. ისინი სწორად მიუთითებენ ასეთი მოქმედების შედეგად საქართველოს ეკოსისტემების მოშლის საშიშროებაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საჭიროება გულუბრყვილოდ ესმით, არ სჯერათ უარყოფითი ზეგავლენის შეზღუდვის შესაძლებლობისა, ვერ სწვდებიან ბუნების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული პოტენციალის გამოყენების მნიშვნელობას.

ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგეთა პარალელურად არიან მეორე უკიდურესობის წარმომადგენლებიც – ეგრეთ წოდებული "ტექნოკრატები", რომლებიც ვულგარული პრაქტიციზმის პრინციპებით მოქმედებენ. ასეთი ადამიანები სამეურნეო იდეის მიღმა ვერაფერს ხედავენ, ჯეროვნად ვერ ითვალისწინებენ მოსალოდნელ შედეგებს. ისინი დაახლოებით ასე მსჯელობენ: რესპუბლიკა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ამიტომ არაფერი დაშავდება, თუ აქა-იქ ახალი ქალაქის, კომბინატის, ქარხნის თუ ელექტროსადგურის ირგვლივ გარემო გაჭუჭყიანდება, რომელიღაც ყვავილი თუ პეპელა გაქრება, ტყე გაიჩეხება. მთავარია, რომ მივიღებთ ბინებს, ელექტროენერგიას, ნახშირს, მანგანუმს, ხოლო ტყეები, მდელოები, მთები და ტბები საკმარისი დარჩება ყველასთვის, ირმისთვისაც და ადამიანისთვისაც–

ასეთმა ვიწრომხედველმა ადამიანებმა (პირველ ყოვლისა კი სპეციალისტებმა) ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ჩვენს გარემოს და სახალხო მეურნეობას მთლიანად. ამის საილუსტრაციოდ მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითიც კმარა. თავდაპირველად ქარხანა თბილისში შენდებოდა და, კიდევ კარგი, მშენებლობა დროზე შეწყდა, თუმცა ქარხნის მშენებლობის საკითხი არც შემდეგ გადაჭრილა გონივრულად: ქალაქი აღმოცენდა სასოფლო-სამეურნეო საავარგულების ხარჯზე, რის გამოც შემცირდა ისედაც მცირემიწიანი რესპუბლიკის სახნავ-სათესი ფართობი.

ვინ მოთვლის, რამდენი შეცდომაა დაშვებული თბილისის განაშენიანებაშიც. ვითომცდა ეკონომიურობისათვის არ გადათხარეს ვაჟა-ფშაველას პროსპექტი? ან კიდევ დოლიძის ქუჩის მიმდებარე ფერდობების, ვარაზისხევის და "თემქის" დასახლების არასწორმა არქიტექტურულ-გეგმარებითმა გადაწყვეტამ, რთული რელიეფისათვის გამოუსადეგარი სახლის – ტიპების გამოყენებამ, მიკროკლიმატური პირობების გაუთვალისწინებლობამ და სხვა მიზეზებმა არ გამოიწვია ამ ტერიტორიათა არარაციონალური გამოყენება, ჰიგიენური პირობების დარღვევა, არქიტექტურულ-მხატვრული დონის დაცემა? რით შეიძლება იმ ფაქტის გამართლება, რომ ჩვენი უძველესი ქალაქი ქუთაისი რიონის ამომშრალი კალაპოტის ამარა დატოვეს? ან რით ავხსნათ შავი ზღვის სანაპირო ზოლის წალეკვის ფაქტები, როცა უკანასკნელ 20 წელიწადში ათას ჰექტარზე მეტი მიწა აღმოჩნდა ზღვაში ჩაძირული?

თავისი ბუნდოვანობით საშიშნი არიან "ფსევდოეკოლოგიზმის" წარმომადგენლები. მათ აქვთ გარკვეული ეკოლოგიური განათლება, მსჯელობენ გარემოს დაცვის კატეგორიებით, ხედავენ ბუნების გაჭუჭყიანებით გამოწვეული შედეგების საშიშროებას, მაგრამ ასეთთა კონცეფციის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მოვლენასა და მდგომარეობას აფასებენ მხოლოდ მოცემული მომენტისათვის, დროის მოკლე შუალედში, რაც თავისთავად შემდგომში არ შეესაბამება ეკოლოგიურ კანონზომიერებებს.

შეიძლება თუ არა ვუსაყვედუროთ ადამიანს, რომელიც მონდომებით აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ ვერ ამჩნევს ბუნებისადმი მის მიერ მიყენებულ ზარალს, რომ იგი უსულგულოა, გულგრილია სახელმწიფო საქმის მიმართ? ამის თქმა ძნელია. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ეკოლოგიურად გაუნათლებელია. ეკოლოგიურად მოუმზადებელი მაღალი თანამდებობის პირის, ხელმძღვანელის, ქარხნისა თუ მეურნეობის დირექტორის უვიცობით, არასწორი მოქმედებით ზარალდება საზოგადოება, გარემო. დანაკარგები კი ხშირად არც ისე მცირეა.

ნათქვამია, არცოდნა არცოდვააო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ გამოგვადგება გამამართლებელ საბუთად, ისევე, როგორც არ შეიძლება ყოველთვის გონივრული იყოს ანდაზა – დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსო. დღეს მიღებული ეკონომიკური ეფექტი მომავალში შესაძლოა საზოგადოებას, ქვეყანას ძვირად დაუჯდეს. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ადამიანი შეეჩვია აზრს, თითქოს იგი ბუნების "დამპყრობი" და "დამმორჩილებელია". საჭიროა ადამიანის შეგნების გარდაქმნა, ისე, რომ იგი არა მარტო თანაუგრძნობდეს ბუნებას, არამედ მის განუყოფელ ნაწილად თვლიდეს თავს. ეს ძალზე რთული პროცესია, რადგან ჩვენში ფესვგადგმულია მომხმარებლური დამოკიდებულება ბუნებისადმი. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, სპეციალისტთა ფართო წრეს, მათ შორის ზოგიერთ ეკონომისტსაც, დღემდე ვერ გაუგია, არის თუ არა რაიმე კავშირი ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის. ამიტომ არის აუცილებელი ეკოლოგიური აღზრდა.

კიდევ ერთი ტიპი აზროვნებისა – ეკოლოგიური. სწორედ ასეთი მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს რაციონალურად, რამდენადაც იგი ემყარება ადამიანისა და გარემოს ურთიერთკავშირის მეცნიერულ საფუძველს. საინტერესოა, რომ მისი ჩანასახები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა, როცა ბუნების დაცვის შესახებ სახელმწიფოებრივი კანონებიც კი არსებობდა. ასეთი იყო, მაგალითად ძველი ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონი, რომელიც ჩვენს ერამდე 2000 წლის წინათ გამოიცა და, სხვასთან ერთად, ტყეების დაცვასაც ეხებოდა. ცხადია, ბუნების დაცვის ეს თავდაპირველი ნორმები

რელიგიურ–მისტიკურ საბურველში იყო გახვეული, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებდა.

ჩვენს დროში კანონები საკმარისად არის, მაგრამ ვიცავთ კი მათ? ვმოქმედებთ კი ეკოლოგიურად, როდესაც ვაშენებთ მძლავრ სამრეწველო საწარმოებს ან სხვა სახალხო მეურნეობრივი დანიშნულების ობიექტებს? არის კი ყველა პროექტი მეცნიერულად დასაბუთებული? სამწუხაროდ, მათში ბევრი საკითხი სწორად არ არის გადაწყვეტილი, რაც საზოგადოების გულისწყრომას იწვევს.

სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ვერ შეეჩერებთ და არცაა საჭირო ამისაკენ სწრაფვა. პირიქით, პროგრესი ყოველმხრივ უნდა დაჩქარდეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ იგი შეეფარდებოდეს ამ ცნების ნამდვილ არსს, ჩვენი უნიკალური ბუნების დაცვის მოთხოვნებს.

ყოველ პროექტს სჭირდება მეცნიერული დასაბუთება (მით უმეტეს, რომ წარმოების განლაგება სულაც არ არის ვიწრო ეკონომიკური პრობლემა), როგორ არის ჩვენს ეკონომიკურ თეორიაში ეს საკითხები დამუშავებული? სამწუხაროდ, დღემდე გამოიყენება თანამედროვე პირობებისათვის შეუფერებელი, ნაკლებად საიმედო, არქაული, ჯერ კიდევ 60-იან წლებში შემუშავებული მეთოდები. ისინი ეწინააღმდეგებიან ცხოვრების რეალობას, მოკლებული არიან მეცნიერულ ობიექტურობას.

პროექტების დასაბუთების ერთ-ერთი ყველაზე მიღებული "მეთოდია" ტექნიკურ გადაწყვეტილებათა ეკონომიკური ვარიანტების შედარება დამატებითი დანახარჯების ანაზღაურების ვადისა და დაყვანილი დანახარჯების სიდიდის მიხედვით. ამ მეთოდის შინაარსი ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება განვმარტოთ: ორი სხვადასხვა ვარიანტიდან უკეთესის ამოსარჩევად ერთმანეთს უდარებენ საექსპლუატაციო ხარჯებს და კაპიტალურ დაბანდებებს. ამ ორი ვარიანტიდან უკეთესად ჩაითვლება ის, რომლის დანახარჯების საერთო ჯამიც მინიმალური იქნება. სწორედ ასეთი მეთოდით ხდებოდა წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის შენებლობების, მათ შორის უმძლავრესი სამრეწველო ობიექტების ვარგისიანობის დასაბუთება.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ცხოვრების მიერ წამოჭრილი მტკივნეული პრობლემების სქოლასტიკური მეთოდებით გადაჭრა შეუძლებელია. უნდა შემუშავდეს პრინციპულად ახალი მიდგომა, რომელიც საფუძვლად დაედება საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდიკას. მით უმეტეს ახლა, ეკონომიკის რეფორმის პირობებში, ამის გაკეთება აუცილებელია.

რაში მდგომარეობს ასეთი მიდგომის არსი? ეფექტიანობის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ სამეურნეო გადაწყვეტილე-

ბათა სოციალური შედეგები. ამასთან ერთად, იგი უნდა შეიცავდეს ბუნების დაცვის, ეკოლოგიური უშიშროების მოთხოვნებს. განსხვავებული ვარიანტების შედარებისას, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რამდენად უპასუხებენ ისინი ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური ეფექტიანობის პრინციპებს. მას შემდეგ, რაც ვარიანტები მისაღები იქნება როგორც სოციალურად, ისე ეკოლოგიურად, მათ შორის საუკეთესოდ უნდა მიეჩნიოთ ის, რომელიც ეკონომიკურად ეფექტიანია. უფრო ეკონომიკური ვარიანტის ამოსარჩევად დანახარჯების მინიმუმი უნდა იყოს არა მარტო კაპიტალური დაბანდებები და მიმდინარე ხარჯები, არამედ გარემოსადმი მიყენებული ზარალიც, გამოწვეული ბუნებრივი რესურსების დიდი ოდენობის დაკარგვით (მიწების დატბორვა, ტყეების გაჩეხვა, ჰაერის, წყლის გაბინძურება და ა.შ.). ამიტომ, პირველ ყოვლისა, სწორად უნდა გავიანგარიშოთ ბუნების დამცავ ღონისძიებათა დანახარჯები. ამ დანახარჯებს უნდა დაემატოს დარღვეულ ეკოსისტემათა აღდგენის ღირებულება. ასეთი გაანგარიშებანი რომ გაკეთებულიყო ჩვენს რესპუბლიკაში ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობისას (განსაკუთრებით ენგურის კასკადის მშენებლობის დროს), შავი ზღვის ნაპირებს წყალი არ წალეკავდა. დღეისთვის კი დარღვეულია თითქმის 220 კილომეტრი სიგრძის სანაპირო ზოლი. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ნაპირდამცავ ღონისძიებებზე დაიხარჯა 20 მილიონ მანეთზე მეტი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება "საქსღვანაპირდაცვამ" 2000 წლამდე 276 მილიონი მანეთი უნდა დახარჯოს ნაპირების აღდგენისათვის. იმას, რასაც მდინარეები საუკუნეების განმავლობაში უფასოდ აკეთებდნენ, დღეს დიდძალი დანახარჯები სჭირდება (საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაშხალები იწვევენ მდინარეების მყარი ჩამონატანების ჩახერგვას და ხელს უშლიან პლაჟების გამაგრებას). დასახელებული ფაქტები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ, რომ აუცილებელია ყველა პრაქტიკული ამოცანის გადაჭრა შეეუთანხმოთ ბუნების მუდმივ კანონებს. წუთიერ გამორჩენას გამოდევნებულებმა, პრობლემები არ უნდა გავუმრავლოთ მომავალ თაობას.

სექტემბერი. 1987 წ.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება არის დღეგანდელობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემა. 2005 წლამდე პერიოდისათვის რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარების და განლაგების სქემის ძირითადი დებულებების პროექტში მოცემული ეს საკითხები ნაშდვილად არის ცალკე განხილვის ღირსი. მით უფრო, რომ გარემოს დაცვის პრობლემებით უდიდეს დაინტერესებას იჩენს ფართო საზოგადოებრიობა.

გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რომან გოცირიძე:

— ბატონო რომან, სანამ უშუალოდ სქემაზე ვისაუბრებთ, ნება მიბოძეთ გკითხოთ, რით არის გამოწვეული მასში ეკოლოგიური საკითხებისადმი ასეთი დიდი ყურადღება?

— გარემოზე ადამიანის ზემოქმედებამ უკიდურესად სამიშ ხლვარს მიაღწია. მრავალი სახის ბუნებრივი რესურსი თითქმის ამოიწურა. შესამჩნევად შემცირდა ერთი შეხედვით თითქოს გამოულეველი ისეთი რესურსები, როგორიცაა მიწა, წყალი, ტყე... სამრეწველო საწარმოთა მავნე ნარჩენები და გამონაფრქვევები რეალურად დაემუქრა ადამიანის ჯანმრთელობას, მკვეთრად გააუარესა მისი შრომისა და დასვენების პირობები. ეს არის არა მარტო სოციალური, არამედ ეკონომიკური მოვლენაც, რადგან იგი ანელებს წარმოების ზრდის ტემპს, ამცირებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას. ჩვენს ქვეყანაში ამ პრობლემებს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მართვის მწყობრი სისტემის არარსებობაც ამწვავებს.

— ჩვენს მარჩენალ ბუნებაზე ადამიანის მართლაც არაადამიანური ზემოქმედება იმითაც ხომ არ არის გამოწვეული, რომ ტრადიციული გაგებით, ბუნებრივი რესურსები, მათ შორის მიწა და წყალი, ბრაქტიკულად უფასოა, არ გააჩნია ღირებულება?

— ეს გახლავთ ძველი, სტერეოტიპული წარმოდგენა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენში მართლაც მიაჩნდათ, რომ ბუნებრივ რესურსებს არ გააჩნდა ღირებულება, რადგან ყიდვა-გაყიდვის საგანს არ წარმოადგენდა. ამგვარი არასწორი შეხედულების გამო, უკანასკნელ პერიოდამდე არ იყო დაწესებული ფასი არათუ წყალზე, ტყეებზე ან სხვა რესურსებზე, არამედ თვით მიწაზეც კი. დღესაც ბევრს მიაჩნია, რომ ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგია სხვა სახის ელექტროსადგურებში გამომუშავებულზე იაფია, მაგრამ უზარმაზარი ოდენობის მიწები რომ იკარგება, ამას ყურადღებას არ

აქცევენ. ფაქტები გნებავთ? – დღეისათვის, საბჭოთა კავშირში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შედეგად წყალში ჩაიძირა 2600 სოფელი და 165 ქალაქი. თუ მშენებარე და პროექტით გათვალისწინებულ წყალსაცავებსაც დავუმატებთ, წყალქვეშ აღმოჩნდება თითქმის საფრანგეთის მთელი ტერიტორიის ტოლი ფართობი. ეს, საუბედუროდ, არავის ადარდებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ადარდებს, მაგრამ თავს არ თვლის მოვალედ პროტესტი გამოთქვას. დღესაც მეტისმეტად ძლიერია საბედისწერო შეხედულება "ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრის" შესახებ. საწარმოსათვის სულერთია, საიდან მიიღებს წყალს – ერთი კილომეტრით დაცილებული წყაროდან თუ ათასი კილომეტრის სიგრძის არხიდან, ერთ კუბურ მეტრს დახარჯავს თუ ათასს – მისი ფასი ხომ თითქმის უცვლელია. ამიტომაცაა, რომ ჩვენი უწყებებისათვის ერთნაირად ხელსაყრელია ნებისმიერი პროექტი – ჩრდილოეთიდან მდინარეების შემობრუნება იქნება იგი, თუ ადგილზე არსებული რესურსების გამოყენება.

– საზოგადოების დღევანდელი მღელვარების საგანი ეაინც არის ხვალინდელი დღე (ეკოლოგიაზე ზრუნვას ვგულისხმობ). როგორ არის დამუშავებული სქემაში ეკოლოგიური საკითხები?

– ერთი შეხედვით, ურიგოდ არ მოეჩვენება კაცს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ 1991-2005 წლებში ბუნებისდამცავ ღონისძიებებზე 1,5 მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდებებია გამოყოფილი (ე.ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1976-1990 წლებში), საქმე საუკეთესოდ ყოფილა. მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. მეორე მხრივ, ასეთი მდგომარეობა გვაქვს: ამ წლებში (2005 წლამდე) ეროვნული შემოსავლის ორჯერ გაზრდაც არის ნავარაუდევი. ეს ნიშნავს, რომ გარემოს დაცვისათვის სახსრების გამოყოფისას, წინა წლებთან შედარებით იგივე პროპორციებია შენარჩუნებული.

ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენი სქემებისა (სხვათა შორის, ისინი ერთნაირი მეთოდიკით დგება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც) და ამჟამინდელი ეკონომიკური პროგნოზირებისაც ის გახლავთ, რომ უგულებელყოფილია ისეთი ცნება, როგორიცაა "ეკოლოგიური პოტენციალი". მას ჯერ კიდევ არ დაუმკვიდრებია კუთვნილი ადგილი ჩვენს ეკონომიკურ ლექსიკონში. თუ არ გვეცოდინება, რა ზემოქმედების ატანა შეუძლია გარემოს, ბუნებრივია, შეუძლებელი პერსპექტივაში რესპუბლიკის, მთლიანად კავშირის ეკონომიკური პოტენციალის ბანსაზღვრა. ჩვენ ზუსტად უნდა გავარკვიოთ მიწის, წყლის, ატმოსფეროს ის "ზღვრული დატვირთვის" დონე, რომელიც არსებული ტექნოლოგიური და ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში არა მარტო შესაძლებელს გახდიდა საწარმოო ძალთა მატებას, არამედ არ

გააუარესებდა ადამიანის არსებობის პირობებსაც. ნათქვამის საილუსტრაციოდ შაეი ზღვის მაგალითიც გამოგვადგება.

ჩემი გაანგარიშებით, თუ სქემაში მოცემული ყველა საწარმო აშენდა (იგულისხმება არა მარტო ის, რაც პრესაში გამოქვეყნდა, არამედ სქემის გაშლილი სახე) საჭირო გახდება ახალი საწარმოებისათვის დამატებით სულ მცირე 12 ათასი ჰექტარი მიწის გამოყოფა. ამას, როგორც გარდუვალი შედეგი, მოჰყვება მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური დაბინძურება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება და ურბანიზაციის ზრდა, რადგან სამრეწველო ობიექტი არის ძირითადი ქალაქწარმომქმნელი ფაქტორი, რომელიც იწვევს განაშენიანებული ქალაქების სწრაფ ზრდას და ისედაც უკმარი მიწის რესურსების კიდევ უფრო შემცირებას. ეს იქნება კიდევ ერთი ნამდვილი ლახვარი ჩვენი უაღრესად დეფიციტური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

სქემაში გაანგარიშებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ბუნებაში გაფრქვეული ნარჩენების მოსალოდნელი ოდენობა და მავნე ნივთიერებათა დასაშვები კონცენტრაციის ზღვარი.

— გამოქვეყნებული დოკუმენტი არის მხოლოდ პროექტის სქემა, ჯერჯერობით, არა აქვს კანონის ძალა და, ბუნებრივია, მასში ცვლილებების შეტანაც შეიძლება.

— ჩემი აზრით, უნდა შედგეს წარმოების მოცულობისა და გარემოს მდგომარეობის ხარისხის ოპტიმალური თანაფარდობის მოდელი უამრავი პარამეტრების გათვალისწინებით. დღეს ჩვენ არ შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვას - აიტანს თუ ვერა ჩვენი ბუნება (გავითვალისწინოთ არსებული ტექნოლოგიაც) სქემით გათვალისწინებული 53 მილიარდი მანეთის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოებას უპირატესად ინდუსტრიალიზაციის ხარჯზე.

— მაგრამ სქემაში ხომ არის გათვალისწინებული პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რომელმაც მკვეთრად უნდა შეამციროს წყლის, მიწის მოხმარება, გარემოს გაჭუჭყიანება. თქვენ ფიქრობთ, რომ მცირემიწიანი, მცირენარჩენებიანი, მცირეწყლიანი ტექნოლოგია არ შეამსუბუქებს "დაწოლას" ბუნებაზე?

— გეთანხმებით, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა სქემით მართლაც გათვალისწინებულია. მისი გამოყენება დიახაც შეამსუბუქებს ბუნებაზე დაწოლას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ 15 წელიწადი მეტისმეტად მცირე დროა ჩვენი საწარმოების უახლესი მანქანა-დანადგარებითა და ტექნოლოგიით აღჭურვისათვის. თანაც, წარმოუდგენლად დიდ სახსრებს მოითხოვს.

რა სჯობს, მაგალითად, წყლის ნაცვლად ჰაერით გაციების აპარატების გამოყენება: ნავთობქიმიურ მრეწველობაში იგი თითქმის

ოთხჯერ ამცირებს წყლის მოხმარებას. განმეორებადი, ეგრეთწოდებული "ჩაკეტილი სისტემის" გამოყენებისას წყლის მხოლოდ სამი პროცენტი იკარგება. ღმერთმა ქნას, ჩვენი მრეწველობა ამაზე გადავიდეს, მაგრამ ფაქტი სულ სხვას ღაღადებს: ჩვენ ვაპირებთ მინაძის ჰესის აგებას, რომ რუსთავს წყალი არ მოაკლდეს.

საქართველოში ერთ მილიონ კაპიტალურ დაბანდებებზე ორჯერ მეტი მიწის ფართობი მოდის, ვიდრე საშუალოდ კავშირში. ამიტომ, მიწების საუკეთესოდ (ეკონომიურად) გამოყენების შემთხვევაშიც კი, ჩვენ მხოლოდ საერთო-საკავშირო დონეს თუ მივუახლოვდებით, რაც, თავის მხრივ, ორჯერ ნაკლებია მოწინავე ქვეყნებთან შედარებით. შვეიცარიაში, მაგალითად, მიწისქვეშა სამუშაოებზე გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი მთელი მოცულობის ათი პროცენტია. ნორვეგიაში ელექტროენერგიის 85 პროცენტს 150 მიწისქვეშა ელექტროსადგური იძლევა. ჩვენთან, ძირითადად, ერთსართულიანი სამრეწველო ნაგებობანი შენდება, მიწისქვეშა სივრცეები კი თითქმის გამოუყენებელია. საქართველოში სამრეწველო ობიექტების განაშენიანებული ტერიტორია გამოყოფილი ფართობის მხოლოდ 30-40 პროცენტია. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი იგივე მაჩვენებელი 60 — 70 პროცენტს აღწევს. ერთ მაგალითს მოვიყვან: ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებისას "თბილჰიდროპროექტმა" 1200 ჰექტარზე მეტი მიწის გამოყოფა მოითხოვა. რესპუბლიკის მინისტრის საბჭომ კრიტიკულად განიხილა ეს მოთხოვნა და შედეგად 500 ჰექტარიც საკმარისი აღმოჩნდა. მე მგონი, ამ ფაქტს კომენტარი არ სჭირდება.

— თქვენ ახსენეთ ჰიდროელექტროსადგურების მეუნებლობა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი, რომელიც ასე აღელვებს ფართო საზოგადოებრიობას. შეიქმნა მოჯადოებული წრის მაგვარი რამ: ჰიდროელექტროენერგეტიკა იძლევა ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ენერგიას, ამავე დროს, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე. გარდა ამისა, ჩვენი სახალხო მეურნეობა, მოსახლეობა ელექტროენერგიის ქრონიკულ დეფიციტს განიცდის. ასეთ ვითარებაში, რამდენად სამართლიანია საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის მოთხოვნა არ აშენდეს ჰიდროსადგურები?

— დეფიციტი მართლაც არის, მაგრამ გავბედავ ვთქვა, რომ იგი ხელოვნურად არის შექმნილი. ეს ენერგია საბჭოთა კავშირში, ძირითადად, იხარჯება ზედმეტად წარმოებულ ფოლადზე, ჩარხებზე, ტრაქტორებზე, კომბაინებზე, მინერალურ სასუქებზე, ზედმეტად მოპოვებულ სასარგებლო წიაღისეულზე და ასე შემდეგ. მოკლედ, ვაწარმოებთ იმას და იმდენს, რაც არ გვჭირდება. მაგალითებს არ დავასახელებ. დღეს ყველამ კარგად ვიცით, როგორ "დავეწიეთ და გავუსწარით"...

1985 წელს საბჭოთა კავშირი მრეწველობის მიერ მოხმარებული

ელექტროენერგიის ოდენობის მიხედვით გაუთანაბრდა აშშ-ს. იმ განსხვავებით, რომ იქ ყოველდღიურად ამცირებენ სამრეწველო ელექტრომოხმარებას, ჩვენ კი "ვზრდით ტემპებს". საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ჩვენ რვაჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას ვხარჯავთ, ვიდრე ამერიკაში, ხოლო ეს დანახარჯები დაახლოებით სამჯერ ნაკლებია საერთო სარგებლობის ქსელებში ელექტროენერგიის ყოველწლიურ დანაკარგებზე. ტრანსპორტირებისას კავშირის მასშტაბით იკარგება მთელი გამომუშავებელი ენერგიის ცხრა, ხოლო საქართველოში — თორმეტი პროცენტი, ანუ ტყუილუბრალოდ მუშაობს ერთი უსარმახარი ჰესი. არის სხვა გარემოებაც. კერძოდ, ელექტროენერგეტიკული ობიექტები დიდი დაგვიანებით იწყებენ უკუგებას. ერთდროულად მშენებარე ობიექტების მასშტაბების შემცირების ნაცვლად, ჩვენ კვლავ ვაშენებთ და ვაშენებთ. საბჭოთა კავშირში ასეთი მშენებლობანი საშუალოდ ვადაზე ოთხი წლის დაგვიანებით მთავრდება. რეკორდსმენი კი გახლავთ ჩვენი ენგურჰესი, რომელიც 26 წელია შენდება.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ ის ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც თავს დაატყდა დასავლეთს ამ თხუთმეტიოდე წლის წინ. ჩვენ კარგ მაგალითად გამოგვადგება იმ კრიზისის დაძლევის გზები: მათ ახალი საადგურების მშენებლობაზე კი არ გადაიტანეს ძირითადი აქცენტი, არამედ თვით ეკონომიკა გარდაქმნეს, ახალი, ნაკლებად ენერგოტევადი ტექნოლოგია აითვისეს. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა იმ წლებში 33 პროცენტით შემცირდა, ხოლო იაპონიისა - 78 პროცენტით.

სქემის მიხედვით, ჩვენი ეროვნული შემოსავალი უნდა გაიზარდოს 2,1-ჯერ. ამ შემთხვევაში, ენერგოტევადობა, მხოლოდ მაშინ შემცირდება, თუ ჩვენი რესპუბლიკა მთლიანად საკუთარი ელექტროენერგიით დაიკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნებს. თუ სამრეწველო ობიექტების მშენებლობის მასშტაბებსა და რესპუბლიკის ეკოლოგიურ მდგომარეობას გაეითვალისწინებთ, ეს ფრიად საეჭვო პერსპექტივაა.

— თქვენ საკმაოდ პესიმისტური სურათი დახატეთ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ არ არსებობს აბსოლუტურად გაშოუჯალი მდგომარეობა.

— ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელად, პირადად მე ერთი გზა მესახება: სქემაში მოცემული ზოგიერთი ბევრი საწარმო არ უნდა აშენდეს და კიდევ: არ უნდა დავგეგმოთ წინასწარ წამგებიანი მუშაობისათვის განწირული დარგები, თორემ მათი ხარჯების დაფარვა კვლავაც ცენტრალური სახსრებით თუ იქნება შესაძლებელი, რაც მომავალში შეუძლებელს გახდის რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას.

— ესე იგი, ჩვენი ეკონომიკური კონცეფციის ამოსავალი

დებულება უნდა იყოს "ნებადართულია ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული", ოღონდ იმ პირობით, თუ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შევზღუდავთ ზოგიერთი დარგის განვითარებას.

— დიახ, უპირველს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ რაზე შეიძლება ვთქვათ უარი და მერე ვიფიქროთ, რის უფლებას გეაძლევს რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და თუნდაც ეროვნული შრომითი ტრადიციები.

მართალია, სქემით გათვალისწინებულია ბევრი დარგის წარმოების მოცულობის გადიდება რეკონსტრუქციის გზით, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროდნობაზე გადაყვანა, მაგრამ იმავე სქემით, მარნეულში ფოლადის სადნობი ქარხანა უნდა აშენდეს. არ ვიცი, ის ქარხანა ელექტროენერგიაზე იმუშავებს თუ შემოტანილ მადანზე, მაგრამ ამაში მაინცდამაინც დიდი განსხვავებას ვერ ვხედავ: მეტალურგიულ ქარხანაში მომხმარებელი მადანის მოპოვება თუ სხვაგან ანგრევს ბუნებას, ელექტროდნობაზე გადასვლა ჩვენიანი ტერიტორიების დატბორვის ტოლფასია, ხოლო თუ მარნეულში არ დავწვავთ მადანს, იგი თბილისისა და ქუთაისის თბოელექტროსადგურებში უნდა დაიწვას...

ჩვენ გვჭირდება არა ენერგოტევადი და რესურსტევადი, არამედ შრომატევადი და მეცნიერებატევადი დარგების განვითარება.

დღეს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები ცდილობენ მავნე საწარმოები სხვა ქვეყნებში გაიტანონ. მაგალითად, იაპონური მეტალურგიული კორპორაცია თავის საწარმოებს ფილიპინებზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმები ქიმიურ ქარხნებს ბრაზილიაში, ხოლო აშშ მექსიკისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში აშენებენ. ჩვენ კი საქართველოში ქიმიური და ნაყთობქიმიური პროდუქციის წარმოების 2,4-ჯერ გაზრდას ვაპირებთ.

— მაგრამ ჩვენ, ვთქვათ, აზოტს მარტო იმიტომ ხომ არ ვაწარმოებთ, რომ მთლიანად ჩვენვე მოვიხმაროთ. მისი გატანით რესპუბლიკას სხვა, სრულიად აუცილებელი საქონელის, თუნდაც კვების პროდუქტების შემოტანის საშუალება ეძლევა?

— ხორცი და კარაქი ნამდვილად გვჭირდება და ამიტომაც 2005 წლისათვის 120 ათასი ტონა ხორცი და 806 ათასი ტონა რძე უნდა შემოვიტანოთ. ამავე დროს, ჩვენს ნაყოფიერ (თუნდაც ნაკლებად ნაყოფიერ) მიწებზე ქარხნებს ვაშენებთ და საძოვრებს წყალსაცავებით ვტბორავთ. სამწუხაროდ, ჩვენმა ხალხმა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშიც გაყინული ხორცით უნდა იკვებოს. ეს კარგად მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს.

ეროვნული ეკონომიკა, უპირველესად, ერის ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდეს.

— ბატონო რომან, კადნიერებაში ნუ ჩამოერთმევთ, მაგრამ ცნობილია, რომ არსებულის გაკრიტიკება უფრო იოლი საქმეა, ვიდრე მისი შეცვლა და ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნა. საჭიროა ჰესიც, ქარხანაც... ასევე აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებაც.

— ყოველისშემძლე რეცეპტის გამოწერა, ვეჭვობ, შესაძლებელი იყოს. თუმცა, ნემი ღრმა რწმენით, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რესპუბლიკის რეალურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლავთ უწყებრივი მონოპოლიზმი. ილუზიაა, თითქოს ბუნებრივი რესურსები საერთო-სახალხო საკუთრება იყოს. სინამდვილეში მიწას სახელმწიფო აგრომრეწვი განაგებს, წყლის რესურსებს - მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, ტყე ერთ უწყებას ეკუთვნის, მინერალური რესურსები - მეორეს. მხოლოდ ატმოსფერო დარჩა "საერთო-სახალხო საკუთრებაში". მადლობა ღმერთს, აქამდე არ შექმნილა ატმოსფერული ჰაერის გამოყენების კომიტეტი.

დარგობრივ სამინისტროებს აუცილებლად უნდა ჩამოერთვას ბუნებრივ რესურსებზე გამგებლობის უფლება. რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის უპირველესი მოთხოვნა საკავშირო დაქვემდებარების გაუქმება უნდა გახდეს. მთელი ბუნებრივი სიმდიდრე - მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული და ა.შ. რესპუბლიკის საკუთრებად უნდა იქცეს. მას ადგილობრივი საბჭოები უნდა განაგებდნენ.

— თუ სწორად გაგიგეთ, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა საკავშირო და რესპუბლიკური ინტერესები, არსებობს უწყებრივი ინტერესებიც, რომელიც არც ერთს ემთხვევა და არც მეორეს...

— სამინისტროები იქცნენ თავისებურ ტრანსნაციონალურ ფირმებად, მათთვის მთავარია გეგმის შესრულება, უფრო ზუსტად - შესრულების იმიტაცია. როგორ და რა საშუალებით, ამას პრაქტიკულად არა აქვს მნიშვნელობა. უწყებისათვის პრაქტიკულად სულ ერთია, ამ გეგმების შესრულებისას რუსეთში ბაიკალი განადგურდება, შუა აზიაში — არალი, თუ კავკასიაში — ფშავ-ხევსურეთი და სვანეთი.

— მაგრამ გეგმებს ადგენს არა უწყება, არამედ საგეგმო კომიტეტი.

— ერთი შეხედვით, ასეც ჩანს: განვითარების პერსპექტივებს განსაზღვრავს საგეგმო კომიტეტი. სინამდვილეში კი, მას სწორედ უწყება კარნახობს თავის ინტერესებს. საკუთარი ნებით არც ერთი უწყება არ თანხმდება წარმოების მოცულობის შემცირებაზე. ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს აპარატი, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები, მუშები, ბიუჯეტი. ხოლო, სჭირდება თუ არა ქვეყანას

მისი ასეთი მასშტაბით მოლვაწეობა, არავის აინტერესებს - მთავარია გეგმის დროულად და გადაჭარბებით შესრულება. ჩვენი მრეწველობა ექვსჯერ მეტ ტრაქტორს და თექვსმეტჯერ მეტ კომბაინს უშვებს ვიდრე აშშ. მიუხედავად ამისა, მაინც კინაღამ არ აშენდა ელაბუგის სატრაქტორო ქარხანა.

— გამოდის, რომ აღნიშნული სქემის შედგენისას, ნებით თუ უნებლიეთ უწყებრივი ინტერესებით ყოფილვართ შებოჭილი.

— არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ანალოგიური სქემების ნაკლოვანებანი ფატალურად გარდუვალია. ყველა მათგანი ერთი მეთოდიკით არის შედგენილი და ტყუპის ცალივით ჰგავს ერთმანეთს. ისინი იქმნება უამრავი დარგობრიეი სქემის საფუძველზე და ამდენად, ამ სქემებში სწორედ უწყებრიეი ინტერესები აისახება და არა რესპუბლიკური.

— საკვარაუდოა, რომ ადგილობრიეი (რესპუბლიკების) ხელისუფლება ყოველთვის სიხარულით არ ხვდება უწყებრიეკ ამბიციებს.

— მიმდინარე წელს პირობითად შეიძლება "აკრძალვების წელი" ვუწოდოთ: ლატვიაში უარი თქვეს დაუგავპილსის ჰესის, რიგის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. ლიტვაში შეჩერდა იგნალინსკის ატომური ელექტროსადგურის მესამე ბლოკის მშენებლობა, ესტონეთში - ფოსფორიტების მოპოვების პროექტის რეალიზაცია, ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და სხვა მრავალი.

— დავუბრუნდთ კვლავ ეკოლოგიას.

— რესპუბლიკის რეალურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა დიდი სტიმული იქნება ყველანაირი რესურსის ყაირათიანად გამოყენებისათვის, მაგრამ ეკოლოგიური კრიზისის დასაძლევად ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ახალი ეკონომიკური და სამართლებრიეი ნორმების შემუშავება, აუცილებელია საზოგადოებრიეი ცნობიერების გარდაქმნა, ახლებური ეკოლოგიური ცნობიერების ფორმირება, ეკოლოგიური აღზრდა. ადამიანი არა მარტო უნდა თანაუგრძნობდეს ბუნებას, არამედ საკუთარ თავს მის ნაწილად უნდა თვლიდეს.

დაბოლოს: ამჟამად ხუთწლიანი და უფრო შორეული პერსპექტიეების გეგმების პროექტები აღრინდელთან შედარებით უკეთეს პირობებში მუშავდება (ვგულისხმობ ამ გეგმების საჯარო განხილვას). ამიტომ, მიუტევებელი გულგრილობა იქნებოდა არ გეესარგებლა ამით და არ შეგეეცვალა სტრატეგიული გეგმების შედგენის წესი, რომელიც სადღეისოდ უიმედოდ მოძველდა, მონოპოლიზმის საბჭედის-წერო გაელენა ვერც მას ასცდა. ჩვენ გვჭირდება ხვალინდელი დღის აზროვნება. დღეს, მართალია გვაქვს უფლება გამოვთქვათ საკუთარი

ა"ხრი, გავაკრიტიკოთ კიდევაც სქემები თუ პროექტები, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი. მეცნიერებას უნდა ჰქონდეს მსგავსი სქემების ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების უფლება. უწყებრივ პროექტებს ძლიერი კონკურენტი უნდა დაუპირისპირდეს, ხოლო მათგან საუკეთესოს ამორჩევა ცხოვრებისეულ ნორმად უნდა იქცეს.

2005 წლამდე განვითარების სქემების საჯარო განხილვა პირველი მოკრძალებული ნაბიჯია. საჭიროა უფრო მტკიცე მოქმედება. დრო არ ითმენს, ხვალ უკვე გვიან იქნება.

ოქტომბერი. 1987 წ.

ᲝᲚᲣᲜᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘ

გასეთ "თბილისში" და "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ჩემი სტატიების მიმართ გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები. იქნებ პასუხი არც ყოფილიყო საჭირო, მაგრამ მიმაჩნია, რომ არასწორმა შენიშვნებმა შესაძლოა მცდარი შეხედულება შეუქმნას მკითხველს ზედმიწევნით მნიშვნელოვან პრობლემებზე.

თავდაპირველად შევეხოთ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტს: რამდენად შეესაბამება სიმართლეს, მაგალითად, ჩემს წერილში გამოთქმული თვალსაზრისი იმის თაბაზე, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში უამრავი ტექნიკური მოწყობილობის დახვავება აუცილებელს ხდის არა მათ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ზრდას?

ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში, 70-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ლითონსაჭრელი ჩარხების საერთო რაოდენობა მცირდება, ამასთან, იზრდება მასში ახალი ტიპის ჩარხების ხვედრითი წილი.

მოვიტან ტიპიურ მაგალითს. 1975 წელს ქვეყანაში 231 ათასი ჩარხი იყო, მათ შორის რიცხვულპროგრამული მართვის ჩარხები მხოლოდ 5,5 ათასი. 1980 წელს, მას შემდეგ, რაც იმატა ამ ახალი ტიპის ჩარხების რაოდენობამ და იგი 8,9 ათასს გაუტოლდა, ჩარხების მთლიანი ოდენობა 216 ათასამდე შემცირდა, ხოლო 1985 წელს, პროგრამული მართვის ჩარხების 17,8 ათასამდე გაზრდის შემდეგ, ჩარხების საერთო ოდენობამ 182 ათასამდე იკლო, ე.ი. 1975 წელთან შედარებით 49 ათასით შემცირდა. არადა, ეს ახალი ტიპის ჩარხები უახლესი სიტყვა როდია ამ სფეროში. დღეისათვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება რობოტიზებული ჩარხების კომპლექსები (სხვათა შორის, ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ერთობლივი საწარმო "ჰომატეკი", რომელიც შენდება მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა და დასავლეთ გერმანული ფირმის "ჰაინემანის" ბაზაზე. ერთობლივი საწარმოს პირველი პროდუქცია - რობოტებითა და სენსორულლაზერული ტექნიკით აღჭურვილი ჩარხების საწარმოო სისტემები გაისად იანვარში უნდა გამოვიდეს). თუ ჩვენი მანქანათმშენებლობა ორიენტაციას ამგვარი ტიპის ტექნიკაზე აიღებს, მაშინ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ შეიძლება სულ რაღაც ორიოდე ხუთწლედში ჩვენთვის "საამაყო" 182 ათასი ჩარხისგან ნახევარიც არ შემოგვრჩეს ხელში. დღეისათვის ჩვენი უპირველესი ამოცანაა მოძველებული ტიპის ძირითადი საწარმოო ფონდების გამოშვების

მინიმუმამდე შემცირება, მათი რაც შეიძლება სწრაფად შეცვლა და არა ზრდა, მით უმეტეს, ვინმეს გასწრება.

წინა ხუთწლედში მანქანა-დანადგარების შეცვლის კოეფიციენტი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ 2,5 პროცენტის ტოლი იყო. თუ განახლება ამ ტემპით მოხდება, მოქმედ მანქანა-დანადგართა შეცვლას დაახლოებით 40 წელი დასჭირდება, ანუ მოძველებული მოწყობილობები მხოლოდ 2025 წლისათვის შეიცვლება. მგონი, ამ ფაქტის კომენტარი ნამდვილად წყლის ნაყეაა და ერთდროულად მკითხველის მიხვედრილობის შეუფასებლობაც.

ახლა სხვა მაგალითი: ჩარხების გამოყენების კოეფიციენტი თითქმის არ იზრდება და არც შეიძლება გაიზარდოს, რადგან ჩვენ გვჭირდება არა "უფრო მეტი", არამედ სულ სხვა ტიპისა და ხარისხის მოწყობილობები. საწარმოებში ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდების რეზერვების ამოქმედებითაც კი შესაძლებელია ძირითადი ფონდების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება. ამის დასტურად შემდეგი ფაქტებიც კმარა: მარტო მრეწველობაში დღეს დაუკომპლექტებელია 700 ათასამდე სამუშაო ადგილი (ე.ი. მოწყობილობები უქმად დგანან). ცვლიანობის კოეფიციენტის 1,7-მდე გადიდებისას, ეგრეთ წოდებული "ცარიელი" სამუშაო ადგილების რიცხვი 4 მილიონს გადააჭარბებს. გამოდის, რომ საწარმოებში ამუშავებენ ძველ მოწყობილობებს, ახალთან კი ვერავინ დაუყენებიათ.

ოპონენტს ეჭვი შეაქვს ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტების სისწორეში, გაკვირვებულია იმით, თუ როგორ შეიძლება ჩვენს სოფლის მეურნეობაში 2,8 მილიონი ტრაქტორი იყოს, როცა ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტ ტრაქტორს ვაწარმოებთ. მისი აზრით, ტრაქტორების რაოდენობა 80 მილიონი (?!) მაინც უნდა იყოს, თორემ "სადღაა მაშინ წინა წელს გამოშვებული ტრაქტორები"? სადაა და, მიყრილ-მოყრილია მინდვრებში, სათადარიგო ნაწილებადაა დაშლილი, ზოგიც ნაადრევად ქცეულა ჯართად, ზოგმაც "პატიოსნად" მოიხადა თავისი ვალი. რადგან, როგორც მოგეხსენებათ, მათი ექსპლუატაციის ვადა მარადიული არ არის. ასე რომ არ იყოს და სოფელში მართლაც ამდენი ტექნიკა რომ მუშაობდეს, თითოეულ შრომისუნარიან მცხოვრებზე 1 ტრაქტორი მაინც უნდა გვქონოდა. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტრაქტორის ღირებულება არც თუ ისე მცირეა, ზოგიერთი კი 25-30 ათასი მანეთი ღირს, იოლი წარმოსადგენია თუ რა დაგვიჯდებოდა, დაეუშვათ, ცენტნერი ხორბლის მოყვანა. კილოგრამი პური 100 მანეთზე მეტი თუ არა, ნაკლები არ ეღირებოდა.

სხვათა შორის, ამდენი ტრაქტორი რომ არ გვჭირდება (ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ტექნიკურ-ეკონომიკური და ხარისხობრივი სახისა, როგორსაც დღეს ვაწარმოებთ) ისიც მოწმობს, რომ ჩვენი

ქვეყნის მრავალმა მეურნეობამ თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან ერთად, უარი თქვა მათთვის გამოყოფილი ტექნიკის თითქმის 30 პროცენტზე...

რადგან ტრაქტორზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი ფაქტიც უნდა აღვნიშნო: "უფრო მეტისაკენ" სწრაფვა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდით რომ იყოს შემოფარგლული, კიდევ ძო, მაგრამ ეს ტენდენცია ფაქტობრივად ყველაფერს დაეტყო. მაგალითად, ტრაქტორი "კიროვეცი" 13 ტონაზე მეტსაც კი იწონის. აქაც, სხვა სფეროს მსგავსად იგივე "ხარჯვითი" მექანიზმი მოქმედებს. სიმძლავრის მატებასთან ერთად, მოგეხსენებათ, წონაც იზრდება. ამ გოლიათი ტრაქტორის წარმოებას, იმის გარდა, რომ დიდძალი ოდენობის ლითონი სჭირდება და მუშაობის პროცესში ბევრ საწვავს ხარჯავს, სხვა ნაკლიც გააჩნია. კერძოდ, იგი უარყოფითად მოქმედებს მიწაზე, სემძიმე წონით ამკრავებს ნიადაგს, შლის მის სტრუქტურას, რაც დიდად აქვეითებს მიწის ნაყოფიერებას. როგორც ხედავთ, მასალატევადობის შემცირება ამ შემთხვევაში ორმაგ ეფექტს მოგვიტანდა: ჯერ ერთი, არ იქნებოდა საჭირო ზედმეტი ლითონის გამოდნობა, მეორეც, თავიდან აიცილებდით ეკოლოგიურ სიანს.

კიდევ ერთი გარემოება: მეურნეობრიობის არსებული პირობები და "უფრო მეტისაკენ" სწრაფვა იწვევდა ნედლეულისა და მასალების, ტექნიკის "შავი დღისათვის" გადანახვის მავნე პრაქტიკის საყოველთაო დანერგვას. ამჟამად, მარტო ნედლეულისა და მასალების მარაგმა ჩვენს სახალხო მეურნეობაში კოლოსალურ რაოდენობას მიაღწია და იგი 460 მილიარდ მანეთადაა შეფასებული. ამ თანხაში არ შედის საწარმოო ფონდების, მათ შორის ოპონენტის მიერ აგრერიგად ნაქები გეგმის გადაჭარბებით წარმოებული ჩარხების სახით არსებული მკვდარი კაპიტალი.

რაც შეეხება ფეხსაცმლის წარმოებასთან დაკავშირებულ შენიშვნებს, მოვიყვან ორიოდე ციფრს. დარწმუნებული ვარ მკითხველი თავად გამოიტანს დასკვნას. 1985 წელს ჩვენ 788 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი ვაწარმოეთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი მხოლოდ 300 მილიონი (1979 წელს იგი 390 მილიონ წყვილს აწარმოებდა). დაახლოებით ერთ ამდენს აწარმოებს ინგლისი, საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთად აღებული. ამ რაოდენობის ფეხსაცმელი მათ არათუ ჰყოფნით, არამედ საზღვარგარეთაც გააქვთ, ჩვენ კი ყოველწლიურად დეფიციტის დასაფარავად დამატებით ვიძენთ ფეხსაცმელს ჩეხოსლოვაკიაში, იტალიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ ქვეყანაში. ასე რომ, ვეჭვობ, ოპონენტის მიერ ერთ სულზე გაანგარიშებულმა სტატისტიკურმა მანიპულაციებმა ვინმე საწინააღმდეგოში დაარწმუნოს.

ნუთუ კიდევ გვჭირდება გეგმის გადაჭარბება? კი, ბატონო, სულზე 8 წყვილი კი არა (როგორც ჩეხოსლოვაკიაშია), არამედ გნებავთ 28 წყვილი აწარმოოს ჩვენმა რესპუბლიკამ, ოღონდ მას ჰქონდეს გასავალი და საზღვარგარეთს ვინ ჩივის, ჩვენი ქვეყნის დასალიერში მაინც გაიყიდოს. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ფოლადის გამოდნობის მხრივ, ამიტომ არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა ამაზე ცალკე საუბარს, მით უმეტეს პატივცემული ოპონენტი თავადვე აღიარებს, რომ ჩვენ ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს მსოფლიოში მრავალი სახის პროდუქციის წარმოებით. მერედა რა, განა ამან განგვკურნა ქრონიკული დეფიციტისაგან? თუ "ჩვენი რაკეტები გასაოცარი სიზუსტით პოულობენ ჰალეის კომეტას", ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება, რომ ასე გვიჭირს უამრავი ნაწარმის პოვნა დახლებზე ან ადგილისა სასტუმროში? ჩვენ ხომ ყველაზე ბევრს ვაშენებთ მსოფლიოში. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობაც ხომ ყოველწლიურად იზრდება. იგი იმდენია რამდენიც შეერთებულ შტატებში, თუმცა ჩვენი ეროვნული შემოსავალი ამ ქვეყნის შემოსავლის მხოლოდ ორი მესამედია. პატივცემულმა ოპონენტმა კარგად უწყის, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდძალი სახსრებია დაუმთავრებელ მშენებლობაში დაბანდებული და მეტწილად უამრავ ობიექტზეა დანაწევრებული. ისინი ძირითადად ხმარდება ახლის მშენებლობას, არადა ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციას გაცილებით ნაკლები დანახარჯი სჭირდება და შედეგსაც დიდხანს არ უნდა ველოდოთ. ასე რომ, "უფრო მეტი" კაპიტალდაბანდებებიც არ ყოფილა თურმე ყოველთვის "უფრო კარგი".

მგონი, კმარა მაგალითების მოტანა. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ეკონომიკის გაძღოლის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულმა მეთოდებმა და მათმა პირმშომ - სამეურნეო მექანიზმის არსებულმა ფორმამ 'შექმნა ისეთი პირობები, როცა საწარმოო კოლექტივების დიდძალი ენერგია და მონდომება, ხმარდება არა მაღალი საბოლოო შედეგების უზრუნველყოფას, არამედ "მაჩვენებელთა" შესრულებას. (ოპონენტის გაკვირვება იმის თაობაზე თუ რას უნდა ნიშნავდეს "წარმოების მოცულობის მაჩვენებელი", საფუძველს მოკლებულია. მგონი, არ უნდა ყოფილიყო იგი ძნელი მისახვედრი სპეციალისტისათვის. მასში რომ ყველასათვის კარგად ცნობილი, ყბადაღებული "ხორა") "Вал" (ანუ "საერთო პროდუქციის მაჩვენებელი" იგულისხმება, ამის ცოდნას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა). ამ მაჩვენებლებსა და სტატისტიკური აღრიცხვის დღეანდელ მეთოდებს, რომელთაც ასე ესარჩლება პატივცემული ოპონენტი, დიდი "დამსახურება" მიუძღვის მიწერების საქმეში დაოსტატებული მთელი თაობის აღზრდაში. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ მაჩვენებლებმა ბევრი აღაზევა დაუმსახურებლად. რადგან მიწერები ვახსენეთ,

ოპონენტს მინდა შევახსენო ახლახან "ლიტერატურნაია გაზეტა"ში" გამოქვეყნებული მონაცემები: თურმე ქვეყნის მასშტაბით მიწერები მთელი წარმოების 3 პროცენტია, ხოლო მრეწველობის სანედლეულო დარგებში 5-დან 25 პროცენტსაც კი აღწევს. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან მთავარი "უფრო მეტი" ყოფილა და არა მისი მიღწევის ხერხები.

ზემოხსენებული მაჩვენებლების შესრულების ტიპიური სქემა დაახლოებით ამგვარია: საწარმო განსაზღვრავს პროდუქციის გამოშვების მოცულობის გეგმას, თუნდაც მოთხოვნა მასზე არც იყოს. გეგმის გადაჭარბებასთან ერთად, იზრდება არარეალიზებული პროდუქციის ოდენობაც. მისმა მოცულობამ ქვეყანაში გიგანტურ მასშტაბს მიაღწია. სასაქონლო მარაგის საერთო ჯამი მრეწველობაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში 1970 წელს 45,7 მილიარდი მანეთი იყო, 1980 წელს კი 67,1 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა, ე.ი. ათ წელიწადში მისმა იდენობამ 21,4 მილიარდი მანეთით იმატა. ბოლო ხუთ წელიწადში კი იგი უკვე 30,5 მილიარდი მანეთით გაიზარდა და 1985 წლის ბოლოს 97,6 მილიარდ მანეთს მიაღწია. ამაში პატიოსანი ოპონენტის მიერ ხამაყოდ მინნეული ზედმეტ ჩარხებს, ტრაქტორებს, ფეხსაცმელს და მსუბუქი მრეწველობის მრავალ სხვა ნაწარმს ლომის წილი რომ უდევს განსაკუთრებულ მიხვედრილობას არ საჭიროებს.

ნუთუ დღეს კიდევ ეჭვი იმაში, რომ მოქმედი ეკონომიკური მაჩვენებლებით, საწარმოებიცა და სახალხო მეურნეობის დარგებიც დაინტერესებულნი არიან პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების გადიდებით? (მატერიალური დანახარჯები მრეწველობაში მთელი დანახარჯების 85 პროცენტია). სანამ ამ მაჩვენებლებით მიხდება გეგმების შესრულების შეფასება, მომუშავეთა სტიმულირება, მანამდე დანახარჯების შემცირებაზე არც უნდა ვიფიქროთ. ჩემი ღრმა რწმენით, ამ მაჩვენებლებს დღემდე რომ ვერ შეველეკვართ, მხოლოდ არსებული სამეურნეო მექანიზმის ბრალი კი არაა, არამედ მოძველებული დოგმებისაც. მათი მეშვეობით ადვილი იყო "დასაბუთება", რომ ჩვენი ეკონომიკის ზრდის ტემპი ყოველთვის აღემატებოდა სხვისას, რომ დაე, კრიზისსზე სხვებს ედარდათ, ჩვენ კი "უფრო ზეტზე" უნდა გვეფიქრა. დღეს აღარავისთვის არაა საიდუმლო, რომ ჩვენი ეკონომიკა 80-იანი წლების დამდეგს ფაქტობრივად კრიზისის წინა მდგომარეობაში იმყოფებოდა, მისი თავიდან აცილება კი მხოლოდ რადიკალური რეფორმით იყო შესაძლებელი. დღეს ვინ არ იცის, რომ ეკონომიკური ზრდის ახალ ტემპზე გადასვლის, მისი ტრადიციული გაგების მსხვრევისა და ახლის გამოუმუშავებლად ეკონომიკის გარდაქმნა შეუძლებელია. ზრდის ტემპს არ უნდა მიეუდგეთ წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით. მისი სწორად გაგება არის ნამდვილად მეცნიერული, თანამედროვე შეხედულებების გამომუშავების გადამ-

წყვეტი პირობა. ამიტომ, ეკონომიკური აზრთვნების ახალი ტიპის ჩამოყალიბებას, მის მასობრივ ცნობიერებაში დანერგვას, აზროვნების ტრადიციული და ძალზე გამარტივებული სტერეოტიპების დაძლევას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების გაანრებაში.

ბოლოს და ბოლოს უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ მხოლოდ რაოდენობრივი მატება არ განსაზღვრავს ქვეყნის მიღწევებს. ხელაღებით, დიფერენცირებული ანალიზის გარეშე იმის მტკიცება, რომ "იკლო" — ცუდია ან პირიქით, "იმატა" — კარგია, ნიშნავს კვლავაც ძველი, დეფიციტური ეკონომიკისათვის ნიშანდობლივი აზროვნების პრინციპით მივუდგეთ საკითხს. დღესავით ნათელია, რომ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის პირობებში გაფართოებული კვლავწარმოება შეიძლება მიმდინარეობდეს, ხშირად კი უკვე მიმდინარეობს, რაოდენობრივი ზრდის გარეშე. ამ პროცესის რეალურად გაცნობიერება არა მარტო ეკონომიკური, არამედ იდეოლოგიური მოსაზრებების გადაფასებასაც მოითხოვს.

ზემოთქმულიდან შეიძლება ასეთი დასკვნებიც გამოვიტანოთ: ჩვენმა მეცნიერებამ უნდა გამოიმუშაოს ეკონომიკური ზრდის ახალი, თანამედროვე კონცეფცია, აუცილებელია უარი ვთქვათ ეკონომიკური დინამიკის შეფასების წმინდა რაოდენობრივ, მოცულობით კრიტერიუმებზე, განმსაზღვრელი უნდა გახდეს საბოლოო სახალხო სამეურნეო შედეგები, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა რეალური დაკმაყოფილების ხარისხი.

არ ვიცი, რამდენად მისაღებია ეს მოსაზრებები პატივცემული ოპონენტისათვის, არც ის ვიცი, "დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს კვლავ გააკვირვებენ" თუ არა, მაგრამ ერთი კი ცხადია: თუ ოპონენტი ახლაც არ დამეთანხმება, ისევ არ ამცდება "ზედაპირული შეფასებისა" და "მიფუნჭებულ-ბუნდოვანი" აზრების მქონე "მოდას აყოლილი არაკომპეტენტური პირის" იარლიყო. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომელთაც იგი "ჯეროვან ცოდნასა და გამოცდილებას მოკლებულ მკვლევარებს" უწოდებს, მათ კიდევ დიდხანს მოუწევთ, ალბათ, ამ "წოდების" ტარება, რადგან თუ სწორად მესმის, პატივცემული ოპონენტი ცოდნასაც და გამოცდილებასაც ასაკობრივი ნიშნით საზღვრავს (იგივე "ხარჯვითი" მეთოდით: "უფრო დიდია" — "უფრო მცოდნეა"), ხოლო დროს, სამწუხაროდ, ვერაფრით ვერ დაჭარებ (ვერც მიწერებით), რადგან მისი ზრდის ტემპი მხოლოდ ასტრონომიულ კანონებს ემორჩილება.

ნოემბერი. 1987 წ.

დაველოდოთ შეეოდგომას

სადღაც წამიკითხავს: თურმე, რომელიღაც ამერიკელ მილიონერს ყოველ დილით მიართმევდნენ ხოლმე სპეციალურად ერთ ცალად დაბეჭდილ გაზეთის ნომერს, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის სასიამოვნო ამბები იყო მოთხრობილი. განწყობილების ასამაღლებლად ასეთი სპეციალური გაზეთის გამოცემა ჩვენ არ გვჭირდებოდა, რადგან წლების მანძილზე ჩვენი პრესა "წარმატებით" ართმევდა თავს ამგვარ ამოცანას — მისი ფურცლებიდან ყოველ დილით ვგებულობდით სასიამოვნო ცნობებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის "განუხრელი წინსვლის", ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებების შესახებ. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მას არც რადიო და ტელევიზია რჩებოდა ვალში, ჩვენი ყოველდღიური განწყობილება, პატიოსანულო მკითხველო, სულაც არ უნდა ყოფილიყო დაბეჭდილისა და მოიმენილ-ნანახის საპირისპირო. არ უნდა ყოფილიყო... მაგრამ ყოველდღიური განწყობილების სოციოლოგიური გამოკითხვა ჯერ არავისჩაუტარებია, ამიტომ, მოდით, ამაზე მეტს ნუღარ გავაგრძელებთ.

ღღეს სხვა მდგომარეობაა. კმაყოფილების გრძნობა მძაფრმა კრიტიკამ შეცვალა. თუ წინათ ცეცხლმოდებულ სახლს გარს ტაშ-ფანდურით ეუვლიდით, ახლა ხმამაღლა გავიძახით "ხანძარია, ხანძარია!". ეს უკვე საღი აზრის გამოვლინების ნიშანია. მაგრამ რამდენიც უნდა ვიძახოთ, ქოხი მაინც დაიწვება, ვიღაცამ წყალიც თუ არ მოიტანა.

ერთია, როცა გაზეთის ფურცლებზე ვააშკარავებთ ნაკლოვანებებს, ხოლო მეორე, როცა ვიკვლევთ მის გამომწვევ მიზეზებს და ვეძებთ დაძლევის გზებს.

შედეგის კრიტიკა მიზეზის ძიებად უნდა გადაიქცეს. აი, ჩვენი ხვადინდელი დღის ლოზუნგი, ხვალინდელისა, ამ სიტყვის არა მარტო მეტაფორული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც.

პრესის ცხოვრებაში გასული წლის ყველაზე დიდი სიურპრიზი, ალბათ, ის იყო, რომ უამრავი დასახელების ჩვეულებრივი ჟურნალ-გაზეთები დეფიციტი გახდა. ღღეს "ოსკოვსკიე ნოვოსტი", "ოგონიოკი" ან "ლიტერატურნაია გაზეტა" რომ იყიდო, არანაკლები ნაცნობობაა საჭიროა, ვიდრე, ვთქვათ ბილეთის შოვნა კარგ სანახაობაზე. არ ვიქნებოდით მართალი, თუ მას ამ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებს დავაბრალებდით. მათი პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზად მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა მიმაჩნია. როგორც იქნა, ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე ეკონომიკურმა პუბლიცისტიკამაც მოიკიდა ფეხი. ამ თემაზე გამოქვეყნებულ წერილებს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც კითხულობენ. ხელიდან ხელში გადადის

ცნობილი ეკონომისტების: აგანბეგიანის, აბალკინის, შმელიოვის, ზასლავსკაიას, შატალინის, ბუნიჩისა და სხვათა პუბლიკაციები. უ'ხომოდ გაიზარდა ინტერესი ცენტრალური გაზეთების მიმართ. უფრო საინტერესო გახდა წმინდა მეცნიერული ხასიათის ეკონომიკური ჟურნალებიც, მაგალითად, "ეკო". მათში პირდაპირ, ყოველგვარი მინიშნებებისა და ქარაგმების გარეშეა გამ'ხეურებული მრავალი ისეთი პრობლემა, რომელზეც წლების განმავლობაში ტაბუ იყო დადებული.

ფართო მასების დაინტერესება "მოსაწყენი" ეკონომიკური საკითხებით იმითაა გამოწვეული, რომ ეკონომიკაში შექმნილ ჰდგომარეობაზე უშუალოდ გახდა დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის ბედი. თანაც ადამიანები უკვე სხვანაირნი გახდნენ. დღევანდელი მოქალაქის აზროვნება და ინტერესი აშკარად განსხვავდება ¡ამოცდაათიანი წლების ადამიანთა აზროვნებისაგან. დღეს მეტია საჯაროობა, დემოკრატია. ხალხს სურს მიიღოს უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა და რა ხდება ჩვენს ეკონომიკაში, რას მოუტანს ცვლილებები ამ სფეროში ქვეყანას და, მაშასადამე, პრადად მასაც.

საკავშირო ჟურნალ-გაზეთების ფონზე ჩვენი პრესა შედარებით ფერმკრთალად გამოიყურება. მისი ტრადიციულად სუსტი აყგილი იყო და არის ეკონომიკური პრობლემების გაშუქება. ეს განსაკუთრებით ეხება პუბლიცისტიკას.

ჩვენი პერიოდიკის ყველაზე დიდი ნაკლი, ჩემი აზრით, ის არის, რომ დღეს ძალზე განვიცდით მომთხოვნი, გონივრული, მაძიებელი კრიტიკის დეფიციტს. უნდა ითქვას, რომ უძრაობამ, რომელმაც არა მარტო ეკონომიკას, არამედ აზროვნებასა და ზნეობასაც დაასვა თავისი დაღი, ფაქტიურად გამოიწვია მეცნიერული კრიტიკის მოშლა. ეკონომიკური კრიტიკა, თუ მას შეიძლება საერთოდ კრიტიკა ეწოდოს, ზედაპირულად და, როგორც წესი, ტრაფარეტების მიხედვით იწერებოდა. ვერ გაარჩევდით ერთმანეთში რეცენზიასა და ანოტაციას. ნაწარმოების შეფასება ხდებოდა ზოგადი ფრაზებით, რაც ქარიულ სუფრაზე წარმოთქმულ სადღეგრძელოებს უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე მეცნიერულ განსჯას. მწვავე, კრიტიკულ წერილებს მხოლოდ შეკვეთით ან პირადი ინტერესით თუ წერდნენ, თუმცა, ესენიც კი წლების განმავლობაში იშვიათად თუ გაიელვებდა. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ფეხი მოიკიდა აგრეთვე მაამებლობამ.

კანონი უგამონაკლისოდ არ არსებობს. ამიტომ ძალზე ¡ცირე, მაგრამ მეცნიერული პატიოსნებით დაწერილი კრიტიკული წერილები ვერ ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის, ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების აქტიური იარაღი.

და აი, როგორც იქნა, გაიშალა დიდი ხნის ნანატრი დისკუსია

ჩვენი ეკონომიკის საჭირბოროტო პრობლემებზე, რომლის საფუძველი გახდა საჯაროობა. ამიტომ, სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ძნელი ამოცანების განხორციელებაში პრესის როლი უპირველესად თამამი მეცნიერული კრიტიკის გაძლიერებას გულისხმობს. სწორედ პრესის საშუალებით უნდა ხდებოდეს სიძნელეების პატიოსნად აღიარება და მისი დაძლევის გზების კოლექტიური ძიება.

და კიდევ ერთი. კრიტიკის ობიექტი უნდა იყოს არა პიროვნება, არამედ შეხედულებები. კრიტიკა უნდა ებრძოდეს მცდარ აზრს და არა ადამიანს. ჭეშმარიტების გამარჯვება უნდა იყოს მეცნიერული პაექრობის მიზანი და არა პიროვნების დამარცხება. ბოლო წლების ქართული კრიტიკის დამახასიათებელი მყვირალა და აბუჩად ამგდები ტონი, როცა ლანძღვა-გინება ჭეშმარიტების დასაბუთების ატრიბუტი გახდა, ყოველმხრივი დაგმობისა და უარყოფის ღირსია. იგი თვითგამოხატვის, საკუთარი ამბიციების დემონსტრირების საშუალება კი არ უნდა იყოს, არამედ სერიოზული მუშაობის, მეცნიერული ძიების იარაღი.

ახლახან საწარმოები გადავიდნენ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობაზე. ეს ძალზე რთული პროცესია. დღეს ეკონომისტებს აწევთ ყველაზე მძიმე ტვირთი და მათ იგი პრესასთან ერთად უნდა ზიდონ. გარდაქმნის პროცესის განსჯა და განზოგადოება, ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი განხილვის ყველა ფორმის გააქტიურება გაზეთის სამუშაო პროგრამა უნდა გახდეს.

შინაწერი: სიმართლე გითხრათ, ეს წერილი, როგორც საახალწლო ნომერს შეეფერებოდა, გაზეთ "თბილისის" მიერ წლის განმავლობაში ეკონომიკურ საკითხებზე გაწეულ არცთუ უნაყოფო მუშაობისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი. მართლაც, გაზეთი რომ დაინტერესდა ეკონომიკური პრობლემატიკით და თავის ფურცლებზე მრავალი მწვავე, აქტუალური საკითხი წამოჭრა, ამის დაუნახობა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, სულ უკანასკნელ წუთებში გადავწყვიტეთ ბოლო წერილიც პრობლემის დასმით დაგვემთავრებინა და განვლილი მუშაობის შეფასება თვით მკითხველისათვის მიგვენდო. ეს იმანაც განაპირობა, რომ ჩვენ შევეჩვიეთ წიწილების ნაადრევად დათვლას. მოდით, ამჯერად მაინც დაველოდოთ შემოდგომას.

დეკემბერი. 1987 წ.

მძაფრი სიუეტების მოყვარულთ, ალბათ, გაუცრუვდებათ იმედები, როცა ნახავენ, რომ სათაურის მიუხედავად არც არსენასა და არც თუთაშხიაზე არ გვექნება საუბარი. ძნელი წარმოსადგენია, დღეს ვინმე. მდიდარს ართმევდეს და ღარიბს აძლევდეს, მაგრამ რაგინდ დაუჯერებელიც უნდა იყოს, ჯერ კიდევ არსებობს ჩვენთან ისეთი "ობიექტური" მსაჯული, რომელსაც შესწევს ძალა უყოყმანოდ ჩამოართვას საკუთარი სიმდიდრე ერთსა და ასევე უყოყმანოდ გადასცეს მეორეს.

ეს მსაჯულია სამინისტრო.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ საუბარი გვაქვს შემოსავლების გადანაწილების ისეთ სისტემაზე, როდესაც მომგებიანი საწარმოებიდან ამოიღება სახსრები წამგებიანთა დასახმარებლად. შედეგი კი კარგადაა ცნობილი: როგორც პირველი, ასევე მეორეც ჰკარგავს ეფექტიანად მუშაობის სტიმულს. ანდა რა აზრი აქვს მათთვის დაძაბულ მუშაობას, თუ დამატებით შემოსავალს მაინც წაართმევენ? სადარდებელი არც ცუდად მომუშავეებს გააჩნიათ, რადგან იციან, რომ საბიუჯეტო დაფინანსება არ დატოვებთ მათ უპატრონოდ.

ცნობილია, რომ ყველაზე ძნელ პირობებში, არც თუ იშვიათად ჩავარდნილან ის საწარმოები, რომლებიც თავიდანვე კარგად მუშაობდნენ, რაკი გამოაშკარავეს თავიანთი შესაძლებლობები. მოთხოვნა მათ მიმართ ხომ ყოველწლიურად იზრდებოდა. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ბევრმა დროებით იპოვა გამოსავალი, განსაკუთრებით ყველაზე "ჭკვიანებმა". ისინი მიხვდნენ, რომ უმჯობესია იყო საშუალო, დაფარო საკუთარი შესაძლებლობები, მოითხოვო "შავი დღისათვის" იმაზე მეტი რესურსი, რაც გჭირდება. თუცა არც მართვის ორგანოები აღმოჩნდნენ "დავალებულნი". ისინიც ცდილობენ ასეთ საწარმოებს დაუმტკიცონ უფრო დაძაბული გეგმები, რესურსები კი "ჩამოაჭრან" (დაე, გამოავლინოს რაც დაუმალია). პროდუქციის გამოშვების დაგეგმვა კი, მოგეხსენებათ "ქიღწეული დონის", "ბაზის" მიხედვით ხდება, ამიტომ, ყოფილ მოწინავე საწარმოებს აღარ შესწევთ უნარი შეასრულონ გეგმა, რის გამოც არც თუ იშვიათად აღმოჩენილან ისინი როგორც ხელფასის, ასევე წახალისების ფონდების ოდენობით იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე "საშუალოები". ბუნებრივია, ამის საპასუხოდ ისინი კვლავ უფრო მეტად ცდილობენ შენიღბონ თავიანთი რეზერვები და ცოტ-ცოტათი, საჭიროებისდა მიხედვით გამოავლინონ თავი.

აი, ამ ვითარებაში, ორი ურთიერთდაპირისპირებული ძალის შეჯახების შედეგად იბადებოდნენ საგეგმო დავალებები, როცა ერთმა იცოდა თავისი შესაძლებლობები, მაგრამ დაინტერესებული იყო

დაეფარა იგი, მეორეს კი ეს შესაძლებლობები უნდა გამოაშკარავებინა, მაგრამ არ გააჩნდა ამისათვის ობიექტური კრიტერიუმები. შედეგად კი, მხოლოდ წარმოების რეალურ პროცესში ხდებოდა ნათელი, იყო თუ არა დასაბუთებული დაწესებული დავალებები, და მაშასადამე, "ფაქტის წინაშე" აუცილებელი ხდებოდა გეგმის კორექტირება. ეს კი იწვევდა წარმოებისა და მოხმარების დაუბალანსებლობას, საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში წყვეტილობას.

გეგმების დაუბალანსებლობის, სახსრების სუბიექტურად გადანაწილების, ცუდი საწარმოების კარგად მომუშავეთა კმაყოფაზე ყოფნის პრობლემა ახალი არაა, მისი შინაგანი ლოგიკა, დაგეგმვის ჩამოყალიბებული სისტემის "ფილოსოფია" კარგადაა ცნობილი. მას წლების განმავლობაში აკრიტიკებდნენ, მაგრამ უშედეგოდ - დღემდე ვერ მოხერხდა მისი შეცვლა. და აი, როგორც იქნა, გადავდივართ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე. 1988 წლის იანვრიდან საწარმოთა დიდი ნაწილი იმუშავებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით. ვართ თუ არა მზად მასზე გადასასვლელად? არ მინდა ნაჩქარევი დასკვნები გამოვიტანო, ამას პრაქტიკა გვიჩვენებს. ერთი კი ცხადია — თუ ვინმე ნაადრევ კრიტიკად მიიღებს ჩემს მოსაზრებებს, ასეთებს მინდა ვუპასუხო: უმჯობესია წინგამსწრები კრიტიკა, ვიდრე წინგამსწრები აპლოდისმენტები.

თავდაპირველად, როგორც ცნობილია, თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ სუმის ფრუნზეს სახელობის ქიმიური მანქანათმშენებლობისა და ტოლიატის საავტომობილო ქარხნები. მან არც თუ ისე ურიგო შედეგები მოგვცა. საკმარისია თუ არა ეს ფაქტი იმის დამამტკიცებლად, რომ ამ მეთოდმა გაამართლა? როგორც გამოირკვა, არა.

1987 წლიდან თვითდაფინანსებაზე გადავიდა სხვადასხვა სამინისტროს ასეულობით საწარმო და გაერთიანება. გავიდა თითქმის ერთი წელიწადი და აღმოჩნდა, რომ მათი მუშაობის შედეგები სულაც არაა სხვებზე უკეთესი. ხომ არ მეტყველებს ეს არგუმენტი თვითდაფინანსების წინააღმდეგ? აქაც არ შეიძლება ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა.

თვითდაფინანსების პრინციპის წარმატებით განხორციელება მრავალ პირობაზეა დამოკიდებული. ჩვენ დღეს მის მხოლოდ ერთ მხარეს შეეხებით, რომელზეც არსებითადაა დამოკიდებული მეურნეობრიობის ახალი ფორმის ეფექტიანად მუშაობა — ესაა შემოსავლების განაწილება, ე.ი. თუ როგორ ნაწილდება მოგება სახელმწიფოს, სამინისტროსა და საწარმოს შორის. აღმოჩნდა, რომ ინდივიდუალურმა ნორმატივებმა, რომლებიც სამინისტროების მიერ დაწესდა არსებული ხუთწლიანი გეგმების მოცულობითი მაჩვენებლების საფუძველზე, ფაქტიურად ვერავითარი ზრდის საშუალება ვერ მისცა საწარმოებს (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ქიმიური მრეწველობის

სამინისტრო, სადაც დაწესდა მოგების განაწილების ერთიანი სკალა).

რეალური თვითდაფინანსების განხორციელება დამოკიდებულია ნორმატივების ერთსახეობაზე, მათი ერთიანი წესის დაწესებაზე ყველასათვის. თუ ეს პირობა არ სრულდება, მაშინ ისევ იწყება ვაჭრობა, ვის დაუწესონ მეტი და ვის ნაკლები. ფაქტიურად, თუ წინათ სამინისტროები ადმინისტრაციული წესით ახდენდნენ სახსრების გადანაწილებას კარგად მომუშავე საწარმოებიდან ცუდისაკენ, ახლაც იგივე ხდება, ოღონდ ნორმატივების მეშვეობით. რა გამოდის? ისევ მეტს იღებენ და ნაკლებს აძლევენ ის საწარმოები, რომლებიც შეძლებენ გამოსთხოვონ სამინისტროებს მაქსიმალური საშუალებები (ე.ი. დაიწესონ მოგების გადარიცხვის შემცირებული ნორმატივები ან საერთოდ გაინთავისუფლონ თავი მისგან) და არა ისინი, ვინც უფრო რენტაბელურად მუშაობენ. ეს კი ჩვენთვის კარგად ნაცნობი სურათია: მაღალრენტაბელური კოლექტივები აგებენ, ზარალიანები კი იგებენ. ფაქტიურად ძველი ფორმები ახალ სამოსელში გამოწყობილი წარმოგვიდგა. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ სტიმული ჩაქრეს მანამ, სანამ იგი ჯერ კიდევ არ გაღვივებულა. ამ სქემით თვითდაფინანსება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვითდაფინანსებაზე ამნაირად მორგება, მოუფიქრებელი და ეკონომიკურად გაუმართლებელი უწყებრივი ინსტრუქციები და გადაწყვეტილებები კარგს არაფერს მოგვიტანს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის იმ სამინისტროებში, რომლებიც რამდენიმე დღის შემდეგ ახალი პრინციპით იმუშავებენ? შეიძლება ითქვას — აბსოლუტურად ანალოგიური. იგივე მოვლენებია დამახასიათებელი როგორც საკავშირო, ასევე ადგილობრივი დაქვემდებარების სამინისტროთა უმეტესი საწარმოებისათვის. ჩვენ, ამჟამად მხოლოდ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებზე გვექნება საუბარი.

როგორც გამოირკვა, მეურნეობრიობის ახალი პრინციპებით მუშაობა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფაქტიურად 1987 წლიდან დაუწყია. იგი საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარებისაა, ამიტომ თვითდაფინანსებაზე გადასვლის მეთოდოლოგია და ყველა ძირითადი ინსტრუქცია "ზემოთ" დამუშავდა და შემდგომ გავრცელდა დაქვემდებარებულ რგოლებში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკურ სამინისტროში.

როგორ მოხდა მოგების განაწილების ნორმატივების დაწესება ამ სისტემაში? მისი ფორმირების ამოსავალი ბაზა, როგორც გამოირკვა, იყო გასული წლის შედეგები. ე.ი. საბაზო პერიოდში შექმნილი პირობები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ წარმოების განვითარებასა და შრომითი კოლექტივების სტიმულირებას, გადატანილია მომავალში.

მოდით, ცოტა ახლოს გავეცნოთ "თვითდაფინანსების" ამ ვარიანტს.

როგორც ვთქვით, შემოსავლების განაწილების ყველაზე მტკივნეული ადგილია მისი გადანაწილება რენტაბელურ და ნაკლებად რენტაბელურ ან წამგებიან საწარმოთა შორის. ამას კი სამინისტროები ახორციელებენ ე.წ. "საერთო ქვაბის" პრინციპით. იგი ჯერ ცენტრალიზებული წესით მოუყრის ერთად თავს მათი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს, შემდეგ კი თავისი მოსაზრების მიხედვით ანაწილებს სხვადასხვა საწარმოთა შორის. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებული მოგების განაწილების წესის ერთ-ერთი ყველაზე დიდი "უპირატესობა" თურმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ აწესებს დიდ ნორმატივებს სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად, (ეს საანგარიშო მოგების მხოლოდ 6,9 პროცენტია), და თითქმის მთელი თანხა რჩება საწარმოთა განკარგულებაში.

ვნახოთ კონკრეტულად: 1987 წლის გეგმით სამინისტროს საბალანსო მოგება 128,6 მილიონი მანეთია, აქედან 15,2 მილიონი მანეთი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში ფონდებზე გადასახადის სახით, ხოლო 25,4 მილიონი მანეთი (!!) ბანკის კრედიტის დასაფარავად. სხვადასხვა არხებით მოგების შემცირების შემდეგ, სამინისტროს საწარმოთა განკარგულებაში რჩება თითქმის განახევრებული (68,9 მილიონი მანეთი) ე.წ. საანგარიშო მოგება. აი აქედან კი, როგორც საკავშირო ინსტრუქციები დაადგენენ, იწყება მისი განაწილება ჭეშმარიტი ობიექტურობის დაცვით. მას შემდეგ, რაც ამ მოგების 34 პროცენტს სახელმწიფო ბიუჯეტი წაიღებს, 6,9 პროცენტს კი სამინისტრო, დარჩენილი თანხა მთლიანად მიდის საწარმოთა განკარგულებაში მათი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესავსებად (დადგენილი ნორმატივების მიხედვით). გამოდის, რომ სამინისტრო მართლაც ყოფილა "ობიექტური" — მხოლოდ რაღაც ხუთიოდე მილიონ მანეთს იტოვებს რეზერვად. ფაქტიურად — არავითარი "საერთო ქვაბის" მეთოდი, არავითარი ცენტრალიზებული ფონდები, მთელი სახსრები რჩებათ საწარმოებს.

აი, აქ კი ერთი წუთით შეეჩერდეთ, რადგან უნებლიედ გვებადება კითხვა: კი მაგრამ, რომელ საწარმოებს რჩებათ, რომლებიც ქმნიან ამ სახსრებს? ნურას უკაცრავად: თავდაპირველად ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის ნორმატივები უწესდებათ ერთიანი წესით ყველას, წამგებიანსაც და მომგებიანსაც, თანაც არა მათი წილის, არამედ იმისდა მიხედვით, როგორი ჰქონდათ ისინი გასულ წელს. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, არა "არსენას მეთოდით", არამედ შენიღბულად, ნორმატივების მეშვეობით 21,8 მილიონი მანეთი (და არა 4,7 მილიონი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს) გადადის სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდში და, მაშასადამე, წამგებიან

და დაბალრენტაბელურ საწარმოთა ჯიბეშიც. მაგალითად, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში რჩება საანგარიშო მოგების მხოლოდ 19,2 პროცენტი, დანარჩენი კი სამინისტროს მიაქვს.

მოკლედ, არ ვიცი რას იტყვიან ამ სამინისტროს მუშაკები, რომლებმაც ასეთი ინსტრუქციები შეიმუშავეს, მე კი ისლა დამრჩენია დიდ კომბინატორს, ოსტაპ ბენდერს დავესესხო და ვთქვა: არა, ეს არ არის თვითდაფინანსება.

დიდად არც ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ვარიანტი განსხვავდება ზემოთნაჩვენები მდგომარეობისაგან. ‘ზოგადი ანალიზით თავი რომ არ მოგაწყინოთ, მოვიყვან კონკრეტული საწარმოს მაგალითს: მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლამდე, თბილისის სატრიკოტაჟო-საგალანტერეო გაერთიანებას თავის განკარგულებაში რჩებოდა მოგების დაახლოებით 15-18 პროცენტი, დანარჩენი კი სხვადასხვა გადასახადის სახით მიდიოდა სახელმწიფო ბიუჯეტსა და სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებში. სამინისტროს მიერ დადგენილი სავარაუდო ნორმატივებით იანვრიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც საწარმო თვითდაფინანსებაზე გადავა, გაერთიანების განკარგულებაში დარჩება საბალანსო მოგების დაახლოებით 25 პროცენტი (ეს იმაზე ნაკლებიც კია, რამდენიც მან ახალ პირობებში მუშაობისას სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებში უნდა გადარიცხოს). სწორია თუ არა ეს? ვფიქრობ, არა. ასეთი საფინანსო მექანიზმი ამუხრუჭებს საწარმოში შემოსავლების ზრდას. იგი ნაკლებად იქნება მონდომებული დამატებითი მოგების მისაღებად და, მაშასადამე, რენტაბელობის ასამაღლებლად. ანდა, როგორ უნდა დავაინტერესოთ, როცა 400 ათასი მანეთი დამატებითი მოგებიდან, რომელიც დაგეგმილი აქვს საწარმოს მომავალი წლისათვის, მას მხოლოდ 80 ათასი მანეთი დარჩება, დანარჩენი კი ჩამოერთმევა ნორმატიული განაწილებით. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ოდენობის ზეგეგმითი მოგება უნდა მიიღოს წარმოებამ, რომ საკუთარი ფონდები ცოტათი მაინც შეავსოს. ასეთი მდგომარეობა ვერ გახდება სტიმული კოლექტივის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

გაერთიანებაში, სადაც ძირითადი საწარმოო ფონდების ნახევარზე მეტი ამორტიზებულია და კარგა ხანია ჩამოსაწერია, ძნელი იქნება თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობა, თუ კვლავაც გროშებს დავუტოვებთ მას. საწარმოს განკარგულებაში არსებული ათასამდე ერთეული მანქანა-მოწყობილობებიდან 500-ზე მეტი მოძველებულია. მათ შორის 165 ოცი წლისაა, ხოლო 55 თითქმის ოცდაათი წელიწადია მუშაობს. ისინი უმეტესი დროის განმავლობაში გაჩერებულია და წამდაუწუმ შესაკეთებელია. ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესი პრიმიტიულად, ომამდელი მეთოდით წარმოებს, ახალი იმპორტული დანადგარები კი, რომელიც საწარმომ შეიძინა, ფართობის

უკმარისობის გამო ვერსად დაუდგიათ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი საწარმო მომავალ წელს საჭიროებს სულ მცირე 800 ათას მანეთ კაპიტალურ დაბანდებებს. საწარმოსათვის ხელსაყრელი ნორმატივების დაწესების შემთხვევაში, მას შესწევს უნარი დააფინანსოს საკუთარი თავი სამინისტროს სახსრებიდან ფონდების გამოთხოვის ან სხვა საშუალებების გამოყენების გარეშე (თვითდაფინანსების პრინციპიც ხომ ამაში მდგომარეობს). დღეისათვის საწარმოს ამის საშუალება არა აქვს, რადგან ნორმატივი მორგებულია ძველ მაჩვენებელზე, რაც შეუძლებელს ხდის არა მარტო საწარმოს ტექნიკურ მოწყობილობათა სრულყოფას, არამედ კოლექტივის სოციალური მოთხოვნილებების ელემენტარულ დაკმაყოფილებასაც კი.

ბოლომდე სამართლიანი არ ვიქნებოდით, თუ მხოლოდ სამინისტროებს გადავაბრალებთ ყველაფერს. ჯერ კიდევ ბოლომდე არაა მოგვარებული ბიუჯეტთან მათი ურთიერთობის საკითხი. ეს კი, კვლავაც ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაკავშირებას შრომითი კოლექტივების ინტერესებთან. იმის გამო, რომ დიდია ბიუჯეტში გადასარიცხი თანხის ოდენობა, სამინისტროები მათთვის განკუთვნილი გადასახადების ნორმატივებს ხშირად უწესებენ რენტაბელურ, საიმედო საწარმოებს, ხოლო ბიუჯეტს მიამაგრებენ ხოლმე ისეთებს, რომელთა იმედი მათ მაინცა და მაინც არა აქვთ. ამ შემთხვევაში სამინისტრო გარანტირებულია თავისი ფონდების შევსებით, ბიუჯეტმა კი, როგორც იტყვიან, თავისთვის იდარდოს.

არის კიდევ ერთი გარემოება: არც ის იქნება მართებული, რომ არავითარი დახმარება არ გაეწიოთ დაბალრენტაბელურ საწარმოებს, ერთი ხელის მოსმით გაეწიროთ ისინი. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი არარენტაბელურია არა მარტო ცუდი მუშაობის გამო, არამედ ფასების არარეალური სისტემის წყალობითაც. მაგალითად, მსუბუქ მრეწველობაში, საფეიქრო წარმოების თითქმის ყველა საწარმოში რენტაბელობის დონე ძალზე დაბალია (დაახლოებით 5 პროცენტი), რაც მრავალი მიზეზითაა გამოწვეული. სანამ ფასები არ მოწესრიგდება და მანამ, სანამ არ გადაიჭრება წამგებიან საწარმოთა პრობლემა, სამინისტროთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანაზე საუბარიც კი ზედმეტია. ნუ გავაყალბებთ ამ უაღრესად პროგრესულ ეკონომიკურ პრინციპებს, ნუ მოვახდენთ მათ კომპრომეტაციას. ვუწოდოთ მას არასრული თვითდაფინანსება იქნება ეს თუ სხვა რამ, ოღონდ ნუ შევქმნით იმის ილუზიას, რომ ესაა ნამდვილი, რეალური თვითდაფინანსება, რომელზეც ასე დიდ იმედებს ამყარებს ჩვენი ეკონომიკური რეფორმა.

თავდაპირველად, ალბათ ძალზე ძნელი იქნება, რომ ყველა საწარმომ თვითონვე უზრუნველყოფს საკუთარი ტექნიკური და სოციალური განვითარება, ისიც ნათელია, რომ შეუძლებელია ნაკლებად

რენტაბელური საწარმოების ბედის ანაბარა მიტოვება. გეესმის, აუცილებელია მათთვის "სასტარტო იმპულსის" მიცემა, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ისინი კვლავ სხვის კისერზე ისხდნენ. აქ საჭიროა ზომიერების დაცვა. ერთადერთი მიზანი ის უნდა იყოს, რომ მომავალი ხუთწლედისათვის მოხდეს "სასტარტო მდგომარეობის" გამოთანაბრება. როცა სხვადასხვა საწარმოები თვითდაფინანსებაზე გადადიან განსხვავებული ტექნიკური დონითა და არაერთგვაროვანი სოციალური ბაზით, ამის განხორციელება ძალზე ძნელია. ამიტომ, როდესაც ზემდგომი ორგანოები უწესებენ სამინისტროებს ნორმატივებს, ისინი კი თავის მხრივ — თავიანთ დაქვემდებარებულ რგოლებს, უნდა გამოვდიოდეთ მკაცრად დასაბუთებული მოსაზრებებიდან.

დეკემბერი. 1987 წ.

სრულყოფილი არაფერია ქვეყნად

ახლახან ხელში ჩამოვარდა 30-იანი წლების დასაწყისში გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის რუსულიდან გადმოქართულებული სახელმძღვანელო. ვისაც იუმორი უყვარს, ვურჩევ წაიკითხოს ეს წიგნი. იგი არანაკლებ სიამოვნებას მოგგვრით, ვიდრე ილფისა და პეტროვის რომანები. თუ ვინმე ამ "შედევრის" გაცნობის შემდეგ იტყვის, ხლაპარია, სიზმარიაო, ოსტაპ ბენდერის ბრძნულ შეგონებას გავახსენებ: თუ ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ, სიზმრებსაც საბჭოურს უნდა ვხედავდეთო.

"ჩვენთან და მათთან" - ასე იწყება ერთ-ერთი თავი, რომელშიც "ორი მებრძოლი მსოფლიო" - სოციალიზმისა და კაპიტალიზმის სურათია წარმოდგენილი. მასში შესაშური ოსტატობითაა ნაჩვენები "სოციალისტური მშენებლობის გაუგონარი ზრდა საბჭოთა კავშირში", "არნახული დაშლა და რღვევა კაპიტალიზმისა მსოფლიოში"

მოგეხსენებათ, რღვევას, კრიზისებსა და მომაკვდავი კაპიტალიზმის სიხარბეს კარგი არაფერი მოაქვს მშრომელებისათვის, ამიტომ, საკვლევით სამართლიანია წიგნის ავტორისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის აღშფოთება: "რატომ არ აძლევენ პასუხისგებაში ამ უმსგავსოებათა ჩამდენთ? რატომ არ ასამართლებენ მათ მთელი ხალხის წინაშე, როგორც დამნაშავეთ და მავნებლებს?".

შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს თუნდაც ის ფაქტი, რომ თურმე, "მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშები საბჭოთა კავშირს თავის სოციალისტურ სამშობლოდ თვლიან".

თუ რა უბრალო, ადამიანური ენითაა გაშუქებული ურთულესი ეკონომიკური საკითხები, ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კმარა. რას ნიშნავს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონლის წარმოება ბატონობს? აი, პასუხიც: "ფაბრიკაში, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის, მზადდება სასაქმებელი ზეთი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მთელ სასაქმებელ ზეთს თვითონ კაპიტალისტი სვამს? კაპიტალისტურ სახელოსნოში აუარებელი კუბო მზადდება. ცხადია, ისინი თვით სახელოსნოს მეპატრონისათვის არ კეთდება. უზარმაზარ ქარხანაში აუარებელი რკინა და თუჯი იდნობა. ქარხნის პატრონი არ ჭამს ამ რკინას - ის უფრო გემრიელ კერძებს მიირთმევს" და ა.შ. მოკლედ, არც მოიწყენთ და შესაშურ ცოდნასაც შეიძენთ.

სალაღობო ეკონომიკის მოყვარულთ ვურჩევ შეიძინონ აგრეთვე რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი, 1986 წელს გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო. იგი სულაც არაა იმ წიგნზე ნაკლები არც შინაარსითა და არც სატირული სიმძაფრით.

აი, თუნდაც იგივე თავი ავიღოთ. ახალში სათაური ცოტა სხვაგვარად ულერს: "შეურნეობრიობის ორი სისტემის შეჯიბრება და

მსოფლიო მასშტაბით კომუნიზმის გამარჯვების გარდაუვალობა". აქ შეიტყობთ, რომ ჩვენ და ჩვენი მეგობარი სოციალისტური ქვეყნები "ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას ეუსწრებთ მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის დონით" და შემდეგ — "მშრომელთა ცხოვრების დონის აღმავლობა სოციალიზმის დროს გულისხმობს მათ სულიერ განვითარებას, ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ აყვავებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. კაპიტალიზმი კი წარმოშობს ადამიანთა სულიერ დეგრადაციას, ცხოვრებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას, სოციალურ-პოლიტიკურ ჩაგვრას, საზოგადოების ღრმა მორალურ კრიზისს".

არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ განიმსჭვალოს საბჭოთა ადამიანი, როცა შეიტყობს, რომ "წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი წინგამსწრები ტემპები მსოფლიო მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში განსაზღვრავს ძალთა გადახრას სოციალიზმის სასარგებლოდ კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში".

მომაკვდავი კაპიტალიზმისა და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიმავალი სოციალიზმის ბრძოლისა და შეჯიბრების მდგომარეობის უფრო საფუძვლიანად გაცნობის მსურველთ და სატირულ-მეცნიერული ლიტერატურის მოყვარულთ ეურჩევ აგრეთვე წაიკითხონ "მეცნიერული კომუნიზმის" სახელმძღვანელოს ის თავი, რომელსაც "განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლა" ჰქვია. მერწმუნეთ, არ ინანებთ...

თუმცა დროა დავსვათ წერტილი.

დღეს, როცა ილუსიები საპნის ბუშტივით გაქრა და დაფდაფების ხმაც მიცხრა, საჭიროა რეალური მდგომარეობის ობიექტური შეფასება, სიმართლისათვის თვალის გასწორება, იმ მიზეზების ძიება, რომლებმაც გულუბრყვილო ოპტიმიზმის საბაბი მოგვცა.

რა გვაძლევდა ოპტიმისტური განწყობილების საფუძველს? ფაქტები - იტყვით ალბათ. ფაქტი ჯიუტია, მას ვერსად წავუვალთ, მაგრამ უფრო ჯიუტებიც ყოფილან ამქვეყნად, რომლებიც არაფრად აგდებდნენ ფაქტებს... როგორც გერცენი იტყოდა, ჩვენ "იდეოლოგია დავაყენებთ ფაქტოლოგიაზე მაღლა". ოფიციალური სტატისტიკის მიერ ფაქტების ფანტასტიკურად შელამაზებაზე ბევრი დაიწერა. ამიტომ "ზრდის ტემპებზე" და "1913 წელთან შედარებაზე" საუბრით თავი რომ არ მოგაბეზროთ, მხოლოდ ისეთ სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ, რომლებიც ზუსტად ასახავს ეკონომიკური განვითარების დონეს და ნაკლებად ექცევა "იდეოლოგიურ ზემოქმედებაში". ესაა საყოფაცხოვრებო და სასურსათო საქონლის მოხმარება ერთ სულზე.

დავიწყოთ ყველაზე მთავარით. როგორა ვართ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინით სხვა ქვეყნებთან შედარებით?

ამჟამად, ქვეყნის მოსახლეობის 17 პროცენტს არა აქვს საკუთარი ბინა, 50 პროცენტს - წყალი და კანალიზაცია (სოფლის მოსახლეობის ჩათვლით).

საბჭოთა კავშირში დღეისათვის ერთ ადამიანზე მოდის 15,2 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, შეერთებულ შტატებში - 45.

ვნახოთ სხვა მაჩვენებლებიც (ზოგიერთი მონაცემი აღებულია ჟურნალ "ეკოს" 1988 წლის №12-დან).

ყოველ ათას მცხოვრებზე (1984 წლის მონაცემებით) საბჭოთა კავშირში მოდიოდა 69 ავტომობილი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში - 700, კანადაში - 574, ავსტრალიაში - 557, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - 446, საფრანგეთში - 433, შვეციაში (1983 წ.) - 386, ნორვეგიაში (1983 წ.) - 360, იაპონიაში (1983 წ.) - 360, ვენესუელაში - 163, იუგოსლავიაში - 150, უნგრეთში - 141, ისრაელში (1983 წ.) - 140, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში - 123, მექსიკაში - 84, ბრაზილიაში - 80 და ა.შ. (საშუალო მსოფლიო მაჩვენებელია 96 ავტომობილი).

ყოველ ათას მცხოვრებზე (1985 წ.) საბჭოთა კავშირში მოდიოდა 296 ტელევიზორი, ამერიკის შეერთებულ შტატებში - 798, იაპონიაში 580, კანადაში 516, ჰოლანდიაში - 462, ისლანდიაში 304, ლიბანში - 300 და ა.შ.

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოური "რეკორდი", "ივერია" ან თუნდაც "შილიალისი" არაა არც "სონი" და არც "პანასონიკი", რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, შეიძლება თუ არა "მოსკვიჩის" ან "ვოლგის" შედარება "ფორდთან" ან "მერსედესთან".

საბჭოთა კავშირში ყოველ ათას მცხოვრებზე (1984 წ.) მოდიოდა 98 ტელეფონის აპარატი, შვეციაში - 890, შეერთებულ შტატებში - 760, ახალ ზელანდიაში - 570, ჰონკონგში - 403, სინგაპურში - 394, პორტუგალიაში - 173, სამხრეთ კორეაში - 173, საუდის არაბეთში - 146, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 138, უნგრეთში - 134, იუგოსლავიაში - 132, ურუგვაიში - 113, პოლონეთში - 109, არგენტინაში - 104 და ა.შ.

რაც შეეხება კომპიუტერებს, მისი შედარება ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან ჩვენთან კომპიუტერული წარმოების დონე შეერთებული შტატების ერთი პროცენტიც კი არ არის.

ასევე შეიძლება ითქვას საყოფაცხოვრებო ტექნიკის ახალ სახეობებზე. მაგალითად, ამერიკელთა ოჯახის 45 პროცენტს აქვს საკუთარი ვიდეომაგნიტოფონი, ჩვენთან კი იგი იშვიათობაა.

ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ეკონომიკური განვითარების ისეთი ინტეგრალური მაჩვენებლით, როგორიცაა სამრეწველო საქონლისა და კვების პროდუქტების მოხმარების, აგრეთვე

მომსახურების დონე. ერთ სულზე ჩვენს ქვეყანაში 1986 წელს შეადგენდა შეერთებული შტატების ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 30-40 პროცენტს.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ თავგზას ვუბნევთ მსოფლიოში ყველაზე მკითხველ ჩვენს საბჭოთა ხალხს? მოგახსენებთ, რომ ზემოთ მოტანილი და აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელსაც აქვე გაცნობთ, აღიარებულია სარწმუნოდ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე სახლვარგარეთის ქვეყნების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური სამსახურების მიერ. რაც შეეხება "ყველაზე მკითხველებს მსოფლიოში", ჩვენთან ერთ სულზე მოდის 9,7 კილოგრამი ქაღალდი (1984 წ.), შეერთებულ შტატებში - 126, შვეიცარიაში - 116, კანადაში - 97, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - 88, სინგაპურში - 77, იაპონიაში - 60, საფრანგეთში - 56, ჰოლანდიაში - 37, ისრაელში - 31, სამხრეთ კორეაში - 16, მექსიკაში - 13, ჩილეში - 11 (საშუალო მსოფლიო მაჩვენებელია 16,4 კილოგრამი).

ქვეყანაში დაბალია აგრეთვე სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონეც. ხორცს, რძეს, ხილსა და ბოსტნეულს იმაზე გაცილებით ნაკლებს მოვიხმართ, რაც სამედიცინო ნორმებითაა გათვალისწინებული. კვების აუცილებელი კალორიულობა ჩვენი ოჯახების უმეტეს ნაწილში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ოდენობით ივსება პურპროდუქტებითა და კარტოფილით. კვების საშუალო რაციონი ხასიათდება ცილების უკმარისობით (განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის), აგრეთვე ვიტამინების ნაკლებობითა და ნახშირწყლების სიჭარბით.

საბჭოთა კავშირში ერთ სულზე მოიხმარება 62 კგ ხორცი და ხორცის პროდუქტები (1987 წ.), შეერთებულ შტატებში - 115, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - 101 კგ. ხილისა და კენკრის მოხმარება ერთ სულზე ჩვენთან 48 კილოგრამია, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - 123.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტრადიციული ჩამორჩენილობაა. მისი განვითარების დონე კვლავინდებურად ძალზე დაბალია.

კვლავ ციფრებს მივმართოთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983-1985 წლებში მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავლიანობა ჰექტარზე იყო 42,3 ცენტნერი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - 50,5, საფრანგეთში - 55,5, იაპონიაში - 55,8, დიდ ბრიტანეთში - 58,1, ჰოლანდიაში - 65,5 ცენტნერი. საბჭოთა კავშირი 15,6 ცენტნერით მსოფლიოში 90-ე ადგილზე იმყოფება. ეს არა მარტო საშუალო მსოფლიო დონეზე (24,4 ცენტნერი), არამედ განვითარებადი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (21,5 ცენტნერი) ნაკლებიცაა. გვასწრებენ ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიცაა: პაკისტანი, ბანგლადეში, საუდის არაბეთი, სამხრეთ იემენი, ნეპალი, ლაოსი, ვიეტნამი, ბირმა, მალაიზია,

ინდონეზია, ტაიტი, მადაგასკარი, ზამბია, ნიკარაგუა, ჩილე, კოლუმბია, მექსიკა, ბრაზილია და ა.შ.

კარტოფილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობით (120 ცენტნერი, 1983-1985 წ.წ.) ჩვენ ვიმყოფებით 71-ე ადგილზე იმ 84 ქვეყანას შორის, რომლებიც მეკარტოფილეობას მისდევენ (საშუალო მსოფლიო მაჩვენებელია 147 ცენტნერი).

ანალოგიური სურათია სხვა მრავალი სასურსათო და ტექნიკური კულტურის მოსავლიანობა'შიც.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა ხდება, რა უბედურებაა ჩვენ თავს? ისევ ხომ არაა "მავნებლობა", იქნებ კვლავ თესავს ვიღაც "მოწამლულ სიმინდს" და გაჰყავს "გვირაბი ბომბეიდან ლონდონამდე". სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდე, კიდევ ორიოდე მონაცემი მინდა შემოგთავაზოთ_

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია აგრეთვე ისიც, თუ რა სახის წარმოების საშუალებებით შრომობს ადამიანი, როგორ ხარჯავს იგი ენერგიას და რამდენად ეფექტიანია მისი შრომა.

1985 წლის მონაცემებით ჩვენს ქვეყანა'ში არაკვალიფიციური ხელის შრომით დაკავებული იყო მრეწველობაში დასაქმებული მუშების 35 პროცენტი (11 მილიონი კაცი), სოფლის მეურნეობა'ში - 70 პროცენტი (165 მილიონი), მ'შენებლობაში - 55 პროცენტი (5 მილიონი ადამიანი).

1987 წელს ოფიციალური სტატისტიკით ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება შეადგენდა შეერთებული შტატების ანალოგიური მაჩვენებლის 55 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობა'ში - 20 პროცენტზე ნაკლებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ საბჭოთა და უცხოელ სპეციალისტს ეს ციფრები გადიდებულად მიაჩნია.

კიდევ ერთი ინფორმაცია: ამერიკელი სპეციალისტების გაანგარი'შებით, ვაშინგტონელმა ქათამი რომ იყიდოს, უნდა იმუშაოს 18 წუთი, მოსკოველმა - 3 საათ'ზე მეტი. ერთი ლიტრი რძის ყიდვა ვაშინგტონელს უჯდება 4 წუთი შრომა, მოსკოველს - 20 წუთი, საპონი - შესაბამისად 3 და 17 წუთი.

საბოლოოდ კი უამრავი სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორების შედეგად ყალიბდება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა და ბავშვთა სიკვდილიანობა. სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლით საბჭოთა კავშირი 32-ე ადგილზეა მსოფლიოში, ბავშვთა სიკვდილიანობით - 50-ზე. ამ მხრივ მრავალი აფრიკული სახელმწიფოც კი გვასწრებს.

ყოველივე ამის მიზეზი, ბუნებრივია, ჩვენს ეკონომიკაში უნდა ეძებოთ. ეკონომიკაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აღწევდა

წარმატებებს საშუალედო პროდუქციის (მადანი, ლითონი, ტურბინები, ტრაქტორები, ჩარხები და ა.შ.) წარმოებაში, საბოლოო პროდუქტით (ბინა, სურსათი, ტანსაცმელი) უზრუნველყოფა, რომელიც ადამიანს უნდა მოხმარებოდა, მუდამ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა.

"წარმატებების" საილუსტრაციოდ უნდა მოვიტანოთ ჩვენი ქვეყნის და შეერთებული შტატების მიერ წარმოებული ძირითადი რესურსების შედარების ცხრილი.

	1970 წ.		1986 წ.	
	აშშ	სსრკ	აშშ	სსრკ
რკინის მადანი (მლნ. ტონა)	91	195	49	250
ფოლადი (მლნ. ტონა)	122	116	75	161
ცემენტი (მლნ. ტონა)	87	95	80	135
ტრაქტორები (ათასი ცალი)	224	459	123	595
ნავთობი გაზის კონდენსატთან ერთად (მლნ. ტონა)	475	353	440	615
ბუნებრივი გაზი (მლრდ. კუბ.მ.)	621	200	480	640
მერძეული ძროხები (მლნ. სული)	20		10	42

თუ ცხრილს კარგად დააკვირდებით, ერთ "უცნაურ" ტენდენციას შეამჩნევთ: თუ 1970 წელს შეერთებული შტატები გვისწრებდა მრავალი სახის ძირითადი საშუალო პროდუქციის წარმოებით, 1986 წელს მან მნიშვნელოვნად შეამცირა მათი გამოშვება, ჩვენ კი, პირიქით, არათუ გავადიდეთ, კიდეეაც გავუსწარით.

თუ როგორ ეკოლოგიურ მდგომარეობას შექმნიდა ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ასეთი მფლანგველური ხარჯვა და გარემოს განადგურება, ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე ხარჯავს სამჯერ მეტ ენერგიასა და ლითონს, ვიდრე შეერთებული შტატები. ამის დამადასტურებლად ისიც კმარა, რომ 1987 წელს ჩვენ გამოვუშვით 96,2 ათასი კომბაინი (მხოლოდ მარცვლეულის ამღები), შეერთებულმა

შტატებმა კი მხოლოდ 8,3 ათასი; ლითონმჭრელი ჩარხები, შესაბამისად – 156 და 95 ათასი ცალი, ფეხსაცმელი – 809 და 221 მილიონი წყვილი... თუმცა, კვლავინდებურად არც ერთი მათგანი არ გვყოფნის და გარედანაც შემოგვაქვს.

მოკლედ, ფუჭად იხარჯება დიდძალი ენერგია, მივაგორებთ და მივაგორებთ უსარმაზარ ლოდს აღმართში, ვღვრით ოფლს, მაგრამ... მხოლოდ დაღვრილი ოფლით რომ იქმნებოდეს დოვლათი, ქვეყნად ყველაზე მდიდარი სიზიფე იქნებოდა.

მართლა მდიდარი გვეგონა თავი. თურმე, სულ სხეანაირად ფიქრობდნენ ჩვენი მეზობლებიც და შორებლებიც. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ახლახან საკდესისა და იაპონიის "კიოდო ცუსინის" სააგენტოს მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას, იაპონელთა მხოლოდ 35 პროცენტმა ჩათვალა საბჭოთა კავშირი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად. ასეთივე შეხედულებას გამოთქვამდა ჟურნალი "ტაიმი", რომელიც წერდა: "საბჭოთა კავშირს რომ არ ჰყავდეს თავისი ჯარი, ჩვენს წინაშე აღმოჩნდებოდა განვითარებადი ქვეყანა". ინგლისურმა "დეილი ტელეგრაფმა" კი საბჭოეთს უწოდა "აფრიკული სახელმწიფო ატომური ბომბით".

სხვათა აზრს რომ თავი დავანებოთ, მრავალ საბჭოთა ეკონომისტს მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების დონით ერთ რიგში დგას ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ირლანდია, საბერძნეთი, პორტუგალია, ვენესუელა, ურუგვაი, არგენტინა, ჩილე, ბრაზილია და სხვა. ესე იგი, საშუალოდ განვითარებულ სახელმწიფოდ თვლიან. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ იყოს განსხვავებული მოსაზრებაც. ერთი კი ფაქტია: არც საბჭოთა და არც უცხოელი მეცნიერების რადიკალური მოსაზრებები უკვე აღარ აღიქმება როგორც "იდეოლოგიური დივერსია".

ახლახან ჟურნალ "ოგონიოკში" გამოქვეყნდა ე.ევტუშენკოს ლექსი. ავღანელი დაღუპულ რუს ჯარისკაცს მიმართავს:

"Что ты дашь нашей Родине -
нищей, босой
Если в собственной -
очередь за колбасой?"

ასეთი და კიდევ მრავალი სხვა, ერთი შეხედვით დაუჯერებლის გამოქვეყნება იმის ნიშანია, რომ ჩვენ ავირჩიეთ განკურნების, ილუზიების ტყვეობიდან თავის დაღწევის ყველაზე უებარი საშუალება - სიმართლე.

მაგრამ ძნელია სასიამოვნო ილუზიების ტყვეობიდან ერთბაშად თავის დაღწევა. განა ადვილია დაეჭვება იმაში, რომ ჩვენი ეკონომიკა ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში, როცა სტატისტიკა, პრესა, ტელევიზია, დიდი თუ პატარა რანგის მეცნიერები, ასეულმილიონიანი ტირაჟით

გამოცემული სახელმძღვანელოები დაყინებით გვარწმუნებენ ამაში? როგორ უნდა შეგვეტანა ეჭვი თუნდაც იმიტომ, რომ გაბატონებული იყო აზრი: საბჭოთა კავშირმა დიდი ხანია ჩამოიტოვა მთელი მსოფლიო მრავალი სახის პროდუქციის წარმოებითთო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ზედმეტად მოპოვებული მადანი, გამოდნობილი ფოლადი თუ გამოშვებული ტრაქტორი სულაც არ ყოფილა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ამსახველი ერთადერთი მაჩვენებელი. მთელი ოთხი ხუთწლედის განმავლობაში ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატება თურმე სანედლეულო ბაზის უმოწყალო ექსპლუატაციის, მსოფლიო ბაზარზე კონიუნქტურული ფაქტორების ცვლილების შედეგად ყოფილა მიღწეული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეს ყველასათვის ნათელია, ჩვენი, "ჰომო აპლოდისმენტუსის" თაობის აზროვნების წესი მაინც იმდენადაა დამახინჯებული, რომ გვგონია, თითქოს ეკონომიკის გარდაქმნა პატარ-პატარა კოსმეტიკური ცვლილებებით შეიძლებოდეს. ცოტა თვითმმართველობა, ცოტა თვითდაფინანსება, აქეთ კოოპერაცია, იქით ოჯარა და უცბად ისე ამოქმედდება "სოციალიზმის უპირატესობები", რომ სურსათიც თავზე საყრელად გვექნება და უბინაობასაც სულ მალე მოეღება ბოლო. მაგრამ, სამწუხაროდ (შეიძლება საბედნიეროდაც კი), რეფორმის პირველმა სამმა წელმა დაგვანახა, რომ ჩვენი ეკონომიკა მძიმედაა დაავადებული. მის განკურნებას დასჭირდება დიდი დრო და, რაც მთავარია, ყველაზე რადიკალური ზომების გატარება. ეკონომიკური მდგომარეობის ფალსიფიცირებით, მისი მიჩქმალვით მხოლოდ გავართულებთ საქმეს. რეალური მდგომარეობის ყოველი შელამაზება აღრმავებს კრიზისულ მოვლენებს, იწვევს მოდუნებას, ეკონომიკური სტრატეგიის დეზორგანიზაციას და არასწორი გეზის დასახვას. დიაგნოზი უნდა დაისვას ზუსტად, ამოსაკვეთი ერთბაშად უნდა ამოიკვეთოს, თორემ იმ ადამიანს დავემსგავსებით, რომელიც საყვარელ ძაღლს სიბრალულის გამო კუდს ნაწილ-ნაწილ აჭრიდა და ამით კიდევ უფრო მეტ ტკივილს აყენებდა.

ისინი, ვინც ჩვენი ცხოვრების იდილიურ სურათებს ხატავდნენ, შეიძლება კეთილი სურვილებითაც კი მოქმედებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ დათვური სამსახური გაუწიეს ქვეყანას. სიმართლის ბოლომდე თქმა თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

არადა უკვე შეიმჩნევა აქა-იქ მიღწევებით თავის მოწონება. გაისმის სასიამოვნო "ულურტული" ტელევიზიასა და პრესაში, თითქოს თვითდაფინანსებაზე გადასვლამ უკვე ააყვავა და ააშენა ესა და ეს საწარმო (ისევე, როგორც ხარისხის სახელმწიფო მიღების დანერგვამ), რომ საკმარისია მიეცეთ საწარმოებს ცოტა თავისუფლება და შედეგებიც არ დააყოვნებს. ასეთ ზედმეტად ოპტიმისტური განწყო-

ბილება ამარტივებს მოვლენებს, ქმნის ილუსიას, თითქოს სამეურნეო ანგარიში არის რაღაც სასწაულმოქმედი, რომელიც გვიხსნის ჩვენი ყველა უბედურებისაგან...

სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობა დიახაც არის ეკონომიკის ანაბანა, მისი არსი. ამიტომაცაა, რომ მთელი მსოფლიოს საწარმოები, დაწყებული მავრიკიით და დამთავრებული იაპონიით, ამ პრინციპით მუშაობენ... მაგრამ რატომღაც ზოგი ქვეყანა უკეთ ვითარდება, ზოგი კი არა.

ეკონომიკას უამრავი მხარე აქვს და მხოლოდ მისი ყველა მექანიზმის ერთდროული მოწესრიგება იძლევა მთელი სისტემის სწორად ფუნქციონირების გარანტიას.

ჩვენ ვერ დავძლევთ ეკონომიკაში მონოპოლისტურ ტენდენციებს, ვერ მოვშლით მბრძანებლურ, "მეშტისბრახუნულ" მექანიზმს, თუ არ ვაღიარებთ, რომ საწარმოო ძალთა განვითარების დღევანდელ პირობებში, შეუძლებელია სახალხო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირება შერეული ეკონომიკის გარეშე.

სამეურნეო ანგარიშზე დაფუძნებული სასაქონლო ეკონომიკა, საზოგადოებრივი საკუთრების ფორმათა მრავალსახეობა, მისი სააქციო, კოოპერაციული, ინდივიდუალური და კერძო ფორმა, კომერცია და კონკურენცია უნდა გახდეს ახალი ეკონომიკური ორგანიზმის ჩამოყალიბების საფუძველი. ნურც კერძო საკუთრებას მიიჩნევს ვინმე კაპიტალიზმის საშინელებად. ვიღაცამ კერძო სახაჭაპურე, მაღაზია, სასტუმრო ან მომსახურების სფეროს სხვა ობიექტი რომ გახსნას, ამით სოციალიზმს არაფერი დაუშავდება. რაც შეეხება საყოველთაო თანასწორობას, სოციალიზმის ყველაზე უარესმა, "ყაზარმულმა" ვარიანტმაც კი, რომელიც სოციალურ სამართლიანობად სიღარიბეში თანასწორობას გულისხმობდა, ვერ შეძლო მისი დამყარება. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ოფიციალური და არაოფიციალური მილიონერები, მიწერები, იატაკქვეშა ეკონომიკა, "წითელი" მაფია და კიდევ მრავალი სხვა მოვლენა სოციალური უსამართლობის ყველაზე ნათელი ნიმუშებია. ოფიციალური მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად "ფარული ეკონომიკის" შედეგად მიითვისება დაახლოებით 15 მილიარდი მანეთის ოდენობის სახალხო დოვლათი.

სოციალური სამართლიანობის დამყარების ის ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს არა ყველას და ყველაფერში გათანაბრებას, არამედ ადამიანის შესაძლებლობებისა და უნარის გამოვლენას, მის წახალისებას, გამოიწვევს არა მარტო შემოსავლების გარდაუვალ დიფერენციაციას (რომელიც ბევრს ასე აშინებს), არამედ ცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებასაც. მაგრამ, როგორც სამეურნეო რეფორმის პირველი ნაბიჯები გვიჩვენებს, შემოსავლების დიფერენციაციას მოსდევს შური, დაბეზღება. იცვლება მოხელეთა

სოციალური სტატუსიც. ისინი, ვინც არაფერს ქმნიან, პრივილეგიებით კი სარგებლობენ, ადმინდებიან "ვიღაც" კოოპერატორზე ნაკლებ უზრუნველყოფილნი (რომლებიც, სხვათა შორის, დოვლათს ქმნიან და არა ქაღალდებს). ეს კი მათ ხელს არ აძლევთ, ამიტომაცაა, რომ ასე უჭირს ჩვენთან იჯარას, კოოპერაციას, მეურნეობრიობის სხვა ახალ ფორმებს. სამწუხაროდ, მათ მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ხელს უწყობს ჩვენი პრესის ზოგიერთი პუბლიკაციაც.

მაშინ, როცა მთელი სიცხადით გავაცნობიერებთ ჩვენი ეკონომიკის სერიოზულ სიძნელეებს, ნათლად დაეინახავთ რეფორმის მომავალ კონტურებს, ნაკლებად აგრესიულად განვეწყობით მეურნეობრიობის ახალი, ჩვენთვის არატრადიციული ფორმების მიმართაც. ეს დროის მოთხოვნაა. სხვა გზა არ არსებობს. რას ვიზამთ, არ არის იგი უნაკლო, მაგრამ ვისაც ჰგონია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, ეკზიუპერის სიტყვებს შეეახსენებ: "სრულყოფილი არაფერია ქვეყნად".

თებერვალი. 1988 წ.

— XIX საკავშირო კონფერენციაზე, თავის მოხსენებაში, მიხეილ გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ "მთავარი ტენდენცია, რომელიც საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს შეესაბამება — არის დეცენტრალიზაცია... არ შეიძლება ერთი ცენტრიდან დროულად და სწორად გადაწყდეს ყველა წამოჭრილი საკითხი. ეს კი განსაზღვრავს იმის საჭიროებას, რომ ბევრი რწმუნებანი გადაეცეთ ადგილებზე — რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და რაიონებს, შრომით კოლექტივებს. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— ეს მოსაზრება მე პირადად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მოხსენებაში. აქ პირდაპირ, არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ აუცილებელია შეიზღუდოს საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების უფლებები. როგორ და რა გზით უნდა განხორციელდეს ეს, ამაზე, ალბათ, ყველამ უნდა იფიქროს, ერთობლივი მოქმედებით უნდა შემუშავდეს მისი ოპტიმალურად გადაწყვეტის გეგმა. სამწუხაროდ, ჩვენ ბევრ რამეში ვაგვიანებთ. თითქოს აუცილებელია ჯერ სხვამ თქვას, სხვაგან გაჩნდეს იდეა და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქროთ მასზე. ავიღოთ, მაგალითად, საკითხი რომელიც ესტონეთის დელეგაციამ დააყენა კონფერენციაზე. როგორ ფიქრობთ, განა მარტო ესტონეთის ინტერესებს პასუხობს რესპუბლიკის თვითდაფინანსებასა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ კი კვლავ ვშიშობთ რაღაცის თუ ვიღაცის წინაშე. ბევრმა ესტონელთა ამ წამოწყებას ყური წაუყრუა, აპოლიტიკურად ჩათვალა და რომ არა რუსთაველის საზოგადოებისა და მწერალთა კავშირის გამოხმაურება და მხარდაჭერა, ჩვენი საზოგადოებრიობა მხოლოდ კონფერენციის მსელელობაში თუ გაიგებდა ასეთი ინიციატივის შესახებ, რამაც ჩემი აზრით, გარკვეულწილად უკვე ასახვა ჰპოვა მ.გორბაჩოვის მოხსენებაში.**

— დიახ, მოხსენებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ეროვნული ფორმირებების მდგომარეობის, უფლებებისა და მოვალეობის დაზუსტებაც.

ეს უშუალოდაა დაკავშირებული რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხთან. სამწუხაროდ, ბევრს იგი ძალზე ცალმხრივად ესმის. ახლახან, მაგალითად, აკადემიკოსმა ლ.აბალკინმა კონფერენციის პრესცენტრში გამართულ დიალოგში აღნიშნა, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, "რესპუბლიკური ავტონომია" ობიექტური კანონზომიერება გახლავთო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ავტონომიზაციის პროცესი გარდუვალად

წარმოშობს განცალკევების, ნაციონალისტური განწყობილებების გაძლიერების ტენდენციას.

რა გამოდის? თურმე, ერთი მხრივ, იგი "ობიექტური კანონზომიერება", აუცილებლობა და, მაშასადამე, ეფექტიანიც ყოფილა, მეორე მხრივ, კი კუთხურობის წარმოშობიც. ერთი სიტყვით, გაურკვეველი იყო მისი პოზიცია — საჭიროა თუ არა მიენიჭოს რესპუბლიკებს ეკონომიკური თავისუფლება. მოკლედ, ისევ ძველებური სიფრთხილე, მგლის შიშით ცხვრის გაწყვეტის სტერეოტიპი... ეფექტიანი კია, მაგრამ "იდეურად საეჭვოა" იტყოდნენ ამ ცოტა ხნის წინათ "უძრაობად" წოდებული ჩვენთვის კარგად ნაცნობ წლებში... ასევე მოსდის პატიუცემულ აკადემიკოსს: კარგია, მაგრამ იდეოლოგიურად არ ვარგაო.

მოხსენებაში ნათლადაა გამოკვეთილი ის იდეა, რომ ახლებურად "უნდა გაიაზროთ და რადიკალურ რეფორმას შეეუსაბამოთ მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები. როგორც ჩანს, მი'სანშეწონილია, რომ შეასრულებენ რა ვალდებულებებს საკავშირო ფონდის წინაშე, მათ შეძლონ გაზარდონ წარმოება საკუთარი საჭიროებისათვის უნარიანი, ინიციატივიანი მეურნეობრიობის გ'ხით. ესეც შეესაბამება ეროვნული ურთიერთობების განვითარებაში სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებს, სტიმულს მისცემს ჩვენს საერთო წინსვლას".

ამ სიტყვების აზრი დღესავით ნათელია. კმარა რესპუბლიკებიდან სახსრების განუკითხავად ამოქაჩვა. დროა 'შეიცვალოს რესპუბლიკური ბიუჯეტისადმი, როგორც "მეწველი ძროხისადმი" დამოკიდებულება, დაწესდეს სტაბილური ნორმატივი, რომლის მიხედვითაც მოხდება ეროვნული შემოსავლიდან ცენტრალიზებულ ფონდებში სახსრების გადარიცხვა, დანარჩენი კი რესპუბლიკას დარჩება.

რაგინდ კატეგორიულადაც უნდა მოეჩვენოს ვინმეს ჩემი მოსაზრება, მაინც გავბედავ და ვიტყვი: დღეს რესპუბლიკაში, ვგონებ, არავინ იცის ზუსტად, რა ხვედრითი წილი მიუძღვის რეალურად საქართველოს საერთო დოვლათის შექმნაში, ჩვენ ვეხმარებით სხვას თუ პირიქით, სხვები გვეხმარებიან ჩვენ. ეს იმიტომ, რომ არ ვიცით, რამდენად ეკვივალენტურია საქონელგაცვლა რესპუბლიკებს შორის, არის თუ არა ფასები რეალური, სამართლიანად ვღებულობთ თუ არა საგარეო ვაჭრობიდან ამონაგებს და უამრავი სხვა.

— მიხეილ გორბაჩოვი აქას ამბობს კიდეც თავის გამოსვლაში: "აქ ბევრ რამეს ნიშნავს საჯაროობა. ეშროშელები მთლიანად უნდა იყვნენ იმის კურსში, თუ როგორ ვითარდება მათი რესპუბლიკა და რა ადგილი უკავია მას სახალხო საეურნეო კომპლექსში. მათ უნდა იცოდნენ, როგორ ცხოვრობენ და ვითარდებიან არა მარტო მათი მეზობლები, არამედ ქვეყნის

ყველა რესპუბლიკაც".

ამისათვის კი აუცილებელია მრავალი ინფორმაციის გამომუშავება, მათ შორის სამხედრო ხარჯებისაც. ჩვენ ბრმად ვადგენთ ცალკეული რეგიონების განვითარების ოპტიმალურ მოდელებს, როცა არაფერი ვიცით სამხედრო-სამრეწველო დარგების, კოსმოსური კვლევისა და სხვა სახის დანახარჯებზე, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო საწარმოების საქმიანობაზე.

რესპუბლიკის ეკონომიკის რეალური პოტენციალი რომ გავიგოთ და სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის მოსალოდნელი შედეგები განვსაზღვროთ, აუცილებელია ღრმა თეორიული დასაბუთება და მდგომარეობის ყოველმხრივი, მშვიდი აწონ-დაწონვა, ობიექტური ანალიზი.

რაც შეეხება პირველი რიგის ამოცანებს, რომელიც არაკითარ ზიანს არ მოუტანს არც რესპუბლიკასა და არც ცენტრს, ესაა ზოგიერთი სამინისტროს ორმაგი დაქვემდებარების გაუქმება, ე.ი. მათი მხოლოდ რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადაყვანა. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან: რა საჭიროა მსუბუქი მრეწველობის დარგი საკავშირო – რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში იყოს? ნუთუ ჩვენ არ შეგვწევს უნარი ადგილზე ვმართოთ იგი?

სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების გარდა უკვე მოძავალი ხუთწლედიდანვე შეიძლება მრავალი დარგი უშუალოდ რესპუბლიკას დაუქვემდებარდეს.

— ბალტიისპირელთა მიერ დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხომ, არ ავნებს სხვა რესპუბლიკებს? მოგეხსენებათ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები სახალხო მეურნეობის განვითარების ზრდის ტემპითა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებით აშკარად სჯობიან, ვთქვათ, შუა აზიის რესპუბლიკებს...

თქვენი ნათქვამიდან შეიძლება ზოგიერთმა ისე გაიგოს, თითქოსდა ესტონელები კარგად მუშაობენ, უზბეკები კი ზარმაცები არიან. ერთი შეხედვით თითქოს ასეა, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქმე სულ სხვანაირადაა. რესპუბლიკების ეროვნული ინტერესების ეგულებელყოფამ გამოიწვია ის, რომ შუა აზიის მრავალი რეგიონის ეკონომიკა უკიდურესად ცალმხრივად განვითარდა. ორიენტაცია მხოლოდ ბამბაზე იყო აღებული. მეცნიერულად დაუსაბუთებელი რეგიონალური პოლიტიკის შედეგად დაშვებული იყო შეცდომები დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში.

ცენტრალიზებული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება იყო მოკავშირე რესპუბლიკათა დონეების გამოთანაბრება. ფაქტობრივად კი ეს პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩა. შუა აზიის რესპუბლიკები საკავშირო ბიუჯეტიდან დიდძალ სახსრებს

ღებულობენ, მაგრამ ეს დახმარება სხვა არაფერია, თუ არა მათივე წარმოებული პროდუქციის უკანვე მიღება, რომელიც არაეკვივალენტური გაცვლის შედეგად სხვა რესპუბლიკაში იყრის თავს. ასე რომ, ხელაღებით იმის მტკიცება, თითქოს ერთი რესპუბლიკა მეორეს "არნენდეს" – მცდარია. დღეს შუა აზია თავისი მრავალრიცხოვანი დაუსაქმებელი მოსახლეობითა და მწვავე ეკოლოგიური კრიზისით დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

აი, რესპუბლიკათა დონეების გამოთანაბრების იმ გზის შედეგი, რასაც დღემდე ვადექით.

– ალბათ, დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: უმჯობესია გადაისინჯოს რეგიონების ეკონომიკური გამოთანაბრების ტრადიციული მეთოდები, გამოინახოს ახალი, უფრო ეფექტიანი გზები.

დიახ, ალბათ უკვე დროა!

თებერვალი. 1988 წ.

არის თუ არა ჩვენთან უმუშევრობა?

არის თუ არა უმუშევრობა? ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი შეკითხვის დასმაც კი ალბათ ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული, რადგან პასუხი ისედაც ნათელი იყო: რა თქმა უნდა არა! ისევე, როგორც არ შეიძლებოდა ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში ყოფილიყო ნარკომანია, პროსტიტუცია, კორუფცია, მაფია და კიდევ მრავალი და მრავალი სხვა მოვლენა, რომელიც მხოლოდ კაპიტალიზმის "საფირმო კუთვნილებად" ითვლებოდა.

თუ ბევრი უარყოფითი მოვლენის არსებობაში ამჟამად ექვი არავის ეპარება, უმუშევრობაზე საუბარი ცოტა არ იყოს, ძნელია, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვართ (თუმცა, საყურადღებოდ ამაზე არც არავის უფიქრია), თუ ვინ შეიძლება მივაკუთვნოთ უმუშევართა კატეგორიას. ოფიციალური სტატისტიკით საბჭოთა კავშირში არის ე.წ. "სარეზერვო სამუშაო ძალა", ანუ ის ხალხი, რომელიც საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაშია დასაქმებული. ისინი მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ, ე.ი. ეს ის ხალხია, რომლებიც სხვაგან არსად არ მუშაობენ. ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა და ეს მაჩვენებელი დაახლოებით 12 პროცენტის ტოლია, ე.ი. 400 ათასი ადამიანი დაუსაქმებელია სახელმწიფო და საკოლმეურნეო - კოოპერაციულ სექტორში.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, რომ ისინი უმუშევრებად ჩაგვეთვალა, რადგან პირად საკარმიდამო მეურნეობაში მომუშაკე ადამიანი ხშირად იმაზე მეტ პროდუქტს ქმნის, ვიდრე სახელმწიფო სექტორში დასაქმებული. თუმცა, არის ერთი გარემოება: ამ კატეგორიის ადამიანებში ისინიც ითვლებიან (განსაკუთრებით "საოჯახო" სფეროში), რომლებსაც აქვთ სხვაგან მუშაობის სურვილი, მაგრამ შესაფერისი სამუშაო ვერ უშოვნიათ ამა თუ იმ რეგიონში.

თუ რამდენია ასეთი ადამიანი, არც კავშირის მასშტაბით, არც რესპუბლიკაში ზუსტად არავინ იცის, რადგან მისი აღრიცხვა არ ხდება.

რაც შეეხება უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მუშაობენ, ისინი "დროებით დაუსაქმებელი" ხალხია და რესპუბლიკაში მათი რიცხვი დაახლოებით 8 ათასი კაცია.

ამჟამად მრავალი მეცნიერი აღიარებს, რომ ჩვენს ქვეყანაში არის ფარული უმუშევრობა. ასე რომ არ იყოს, მაშინ რას ნიშნავს ისეთი გავრცელებული გამოთქმა, როგორიცაა "ჭარბი შრომითი რესურსებიანი რაიონები". როგორც არ უნდა დავარქვათ მას, ამ მოვლენის ეკონომიკური შინაარსი მაინც არ იცვლება.

მდგომარეობას არც ის ცვლის, რომ, ვთქვათ, ერთ რეგიონში შრომითი რესურსების დეფიციტია, მეორეში კი სიჭარბე. პრობლემა მექანიკური მიგრაციით ვერ გადაიჭრება. რადგან მრავალ წინააღმდეგობებს შორის ყველაზე არსებითი ისიცაა, რომ საბჭოთა კავშირი მრავალ ეროვნული სახელმწიფოა. იგი ცალკეულ სახელმწიფოთა კავშირია, ამიტომ ეროვნული ფაქტორი მნიშვნლოვან თავისებურებას ანიჭებს უმუშევრობის პრობლემას ჩვენს ქვეყანაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით. რა შეღავათია, მაგალითად, უმუშევრისათვის, სადაც ქალების უზარმაზარი ნაწილი დაუსაქმებელია, ის, რომ ბამზე ან შორეულ აღმოსავლეთში სამუშაო ძალის დეფიციტია? მდინარეების ჩრდილოეთიდან სამხრეთში შემობრუნების თაობაზე გამართულ კამათში 'ზოგიერთი ვაიმეცნიერი იმასაც კი ამბობდა, ჭარბი მოსახლეობის განტვირთვა შეიძლება შუა აზიიდან შორეულ აღმოსავლეთ'ში ადამიანთა გადასახლებითო.

მოკლედ, უმუშევრობის პრობლემა ჩვენთან არის და რაც უფრო მალე ვაღიარებთ ოფიციალურად მას, მით უფრო რეალური გახდება მისი დაძლევის თუ არა, ობიექტურად მართვის შესაძლებლობა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ცელის თუ არა რაიმეს ის ფაქტი, რომ ვაღიარეთ უმუშევრობის არსებობა, არის თუ არა განსხვავება იმაში, მას "უმუშევრობას" ვუწოდებთ თუ "დროებით დაუსაქმებელი მუშახელის" არსებობას? თვით ის ფაქტი, რომ უმუშევრობა ვაღიაროთ, ძალზე მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ქვეყნის დემოკრატიზაციის, სახელმწიფოს, და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ჰუმანიზაციის გზაზე. თუ ჩვენ ვაღიარებთ რომ არის უმუშევრობა, მაშინ უნდა ვაღიაროთ უმუშევრის უფლებებიც. იგი საჭიროებს თავისი სოციალური უფლებების დაცვის გარანტიას.

ამ მხრივ პირველი მოკრძალებული ნაბიჯები ჩვენთან უკვე გადაიდგა. გათვალისწინებულია, რომ შემცირებაში მოყოლილმა ადამიანმა სამი თვის განმავლობაში მიიღოს დახმარება ხელფასის სრული ოდენობით. თუმცა, როგორც სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ეს ძალზე ცოტა დროა ახალი სამუშაოს მოსაძებნად, რადგან ხშირ შემთხვევაში იგი დაკავშირებულია კვალიფიკაციის, ზოგჯერ კი პროფესიის შეცვლასთანაც კი.

თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა, ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების განხორციელება, ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა აუცილებლად საჭიროებს მომუშავეთა გარკვეული ნაწილის გამოთავისუფლებას. ისინი უნდა დასაქმდნენ სხვა სფეროში, რაც შედარებით დიდ დროს მოითხოვს.

საწარმოთა თვითდაფინანსებასა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე

გადასვლას მოჰყვება არარენტაბელურ საწარმოთა ლიკვიდაცია. გარდა ამისა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, რასაც ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნა ითვალისწინებს, გამოათავისუფლებს დიდძალ მუშახელს. ეს მოვლენები არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არარენტაბელურ საწარმოთა ლიკვიდაცია ვერ მოხდება ერთბაშად, მას დიდი დრო დასჭირდება. თანაც ლიკვიდაცია არ ნიშნავს იმას, რომ საწარმოს ბოქლომი დავადოთ, მოხდება მისი პროფილის შეცვლა. შესაძლოა ისინი მიეკიდოს სხვა, უფრო მომგებიან წარმოებას. იგივე შეიძლება ითქვას ტექნიკურ მიღწევათა დანერგვაზე. მომავალში გათვალისწინებულია წარმოების ავტომატიზაციის დონის ამაღლება. მაგრამ წარმოების გადაიარაღება არ შეიძლება ერთბაშად, ერთ მომენტში განხორციელდეს. ეს მოხდება თანდათანობით, რაც საკარაუდოა, რომ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის მომუშაკეთათვის.

თანაც, როცა ლაპარაკია საწარმოთა ლიკვიდაციაზე და წარმოების ავტომატიზაციის სოციალურ შედეგებზე, არც ის უნდა დავივიწყდეს, რომ დღეისათვის ქვეყნის სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში არ გვყოფნის მუშახელი. საწარმოებში სიმძლავრეები არაა დატვირთული სრულად, რის გამოც ძალზე დაბალია მოწყობილობათა ცვლიანობის კოეფიციენტი. ამჟამად, მრეწველობაში 700 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი დაუკომპლექტებელია.

და ყველაზე მთავარი: ჩვენთან ძალზე სუსტადაა განვითარებული მომსახურების სფერო. ამიტომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეზერვს გამოთავისუფლებული მუშების დასასაქმებლად, რა თქმა უნდა, თუ არაფერმა შეუშალა ხელი კოოპერაციის განვითარებას. მომსახურების სფეროში მარტო სახელმწიფო სექტორს რომ არ შესწევს ძალა მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ეს სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებიდანაც ჩანს. ასე, რომ ჩვენთან ადამიანთა დასაქმების დიდი რეზერვი არსებობს მომსახურების სფეროს სახით.

უმუშევრობა არც ერთი სახელმწიფოებრივი წყობისათვის არაა სასიამოვნო მოვლენა. მას ბევრი უარყოფითი რამ მოსდევს. მაგრამ ისიც უნდა ეთქვათ, რომ გარკვეულ ფარგლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი იწვევს სამუშაო ძალის მობილიზებას, მის ინტენსიურად გამოყენებას და არის ერთ-ერთი სტიმული ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა.

ეკონომიკას თავისი ობიექტური კანონები გააჩნია. ყოველი წარმოება უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი. ამაშია მისი არსი. ის არ უნდა მოქმედებდეს ფსევდომორალური წესებით. თუ საქმის გაკეთება შეიძლება ასი კაცით, იქ ორასი არ უნდა მუშაობდეს. ხოლო, სოციალური პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფოს

მოეალეობაა. თუ საწარმოს არ სჭირდება ზედმეტი მომუშავენი, მათ ხე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. საწარმო კი თავისი ეფექტიანი მუშაობით შეუქმნის დოვლათს სახელმწიფოს, რომელიც ამ სახსრებს გამოთავისუფლებულთა დასასაქმებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად ან მათი სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად გამოიყენებს. ჩვენ კი საწარმოს ვაიძულებთ ეფექტიანიც იყოს და ძიძის ფუნქციებიც შეასრულოს_ სოციალური პრობლემები უნდა წყდებოდეს არა წარმოების, არამედ გადანაწილების სფეროში.

ზედმეტ მომუშავეთა გამოთავისუფლების, მათი რაციონალურად გადანაწილების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირება. ამიტომ აუცილებელია დროულად იქნას მიღებული კანონი უმუშევრობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მათი სოციალური გარანტიების დაცვას.

დროა თავი დავაღწიოთ იდეოლოგიის ტყვეობას. ყველა ის "უპირატესობები", რომლითაც ვამაყობდით, ილუზორული რომ აღმოჩნდა, ამას ეერავის დავუმალავთ. ეკონომიკის იდეოლოგიზაციას ცუდის ეეტი არაფერი მოუტანია ჩვენთვის.

მარტი. 1988 წ.

ეკონომიკური სუვერენიტეტი: ჩვენი თავი ჩვენვე განვაგოთ

გაბატონებულია აზრი, რომ სრული დეცენტრალიზაციის შემთხვევაში, მაგალითად, თუ ყველა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო და ორგანიზაცია რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადმოვა, მათ ჩვენ ვერ შეეგინასავთ, რადგან ხარჯებს საკავშირო სამინისტროები ფარავენ. თანაც, როგორც ირკვევა, ჩვენს ტერიტორიაზე წარმოქმნილ ფინანსურ რესურსებსა და ჩვენსაკე ტერიტორიაზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობა მილიარდ მანეთზე მეტია. ვინ დაფარავს ამ სხვაობას, თუ საკავშირო დაქვემდებარება გაუქმდება?

თეორიულად ორი გზა არსებობს: ან უნდა შევამციროთ ხარჯები ან გავადიდოთ წარმოება, და, მაშასადამე, შემოსავლები ბიუჯეტში. ერთიცა და მეორეც ამ შემთხვევაში აღნიშნული მასშტაბით, როცა მილიარდიან დეფიციტზეა ლაპარაკი, შეუძლებელია. თუმცა, რატომღაც, როცა ხარჯების შემცირებაზე იწყებენ საუბარს, იმ წუთში მოიხსენიებენ ხოლმე ისეთ სფეროებს, როგორიც არის ჯანდაცვა, კულტურა, განათლება და სხვა. მაგრამ რატომ ავიწყდებათ ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაწეული ხარჯების დიდი ნაწილი საკავშირო სამინისტროების, ორგანიზაციების და უწყებათა ხარჯებია, რომლებიც საერთო-საკავშირო ინტერესებს ემსახურებიან და ვალდებულნიც არიან თავადვე დაფარონ ისინი. ჩემი აზრით, მრავალი, ამჟამად მოქმედი საკავშირო საწარმოს პროფილის შეცვლა რესპუბლიკის ინტერესის გათვალისწინებით (ან თუნდაც დახურვა, ან მათ მშენებლობაზე უარის თქმა), მნიშვნელოვნად შეამცირებდა ისეთი ხარჯების აუცილებლობას, რომლებიც ჩვენს ინტერესებს ნაკლებად ეხამებიან. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ხშირად საკავშირო უწყებებსა და სამინისტროებს ურჩევნიათ შეინახონ რესპუბლიკებში წამგებიანი ან ნაკლებრენტაბელური საწარმოები, გასწიონ დამატებითი ხარჯები, ვიდრე შეამცირონ საკუთარი წარმოების მოცულობა, ვერ შეასრულონ გეგმა, ანუ ეგრეთ წოდებული "საერთო პროდუქცია". სამინისტროებს ნაკლებად აინტერესებთ იქნება თუ არა ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებული მისი დაქვემდებარების საწარმო მომგებიანი. მთავარია მან პროდუქცია გამოუშვას და ერთობლიობაში შეასრულოს მოგების გეგმა. ერთ რესპუბლიკაში გაწეულ ზარალს სხვა რესპუბლიკაში განლაგებული მომგებიანი საწარმოებიდან მიღებული შემოსავლებიდან დაფარავს.

— იქნებ კონკრეტული მაგალითი დაგვისახელოთ?

— საწარმოებსა და ორგანიზაციებს საკავშირო დაქვემდებარების

შენარჩუნების შემთხვევაში რომ არა აქვთ უფლება თავად ამოირჩიონ მათთვის ყველაზე ეფექტიანი სამეურნეო საქმიანობის გზები, ამაზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითიც მეტყველებს. სულ სამიოდე წლის წინათ იგი ქვეყანას 35 მილიონი მანეთის ზარალს აყენებდა. მის ხარჯებს საკავშირო შავი მეტალურგიის სამინისტრო აფინანსებდა. ბევრს ეს მაინცდამაინც არ აღელვებდა, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს ქარხანა საქართველოს თანხებს კი არა, ცენტრალიზებულ სახსრებს ხარჯავდა.

შარშან ქარხანამ დაგეგმილი 12,2 მილიონი მანეთის ზარალის ნაცვლად 14,7 მილიონი მანეთი მოგება მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალში ქარხანა მონაწილეობას მიიღებს როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკური ბიუჯეტის შექმნაში.

მაგრამ დავუბრუნდეთ მთავარს: როგორ მოხდა, რომ ასე უცბად იცვალა ნირი ქარხანამ? როგორც ირკვევა, იგი ძალზე მარტივად გახდა მომგებიანი. აიღეს და დახურეს ოთხი საამქრო, რამაც საშუალება მისცა ქარხანას 27-30 მილიონი მანეთის გეგმიური ზარალის ნაცვლად მოგებაც კი მიეღო. მაგრამ უცნაური ისაა, რომ ამისთვის, როგორც ახლახან წერდა გაზეთში მისი დირექტორი, მას დიდი ბრძოლა გადახდომია საკავშირო სამინისტროსთან და რომ არა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქტიური ჩარევა და მხარდაჭერა, ალბათ მიზანსაც ვერ მიაღწევდნენ.

— უცნაური კია, განა სამინისტრო თავად არ უნდა იყოს მონდომებული, რომ საწარმო მომგებიანი იყოს?

— სწორედ ეს არის კურიოზი. სამინისტროს ურჩევნია გაიღოს მილიონობით მანეთის დოტაცია, შეინახოს წამგებიანი საწარმო, ოღონდაც არ შეამციროს გეგმა. მას ურჩევნია მიიღოს საჭირო ოდენობის ლითონი, თუნდაც აზარალოს საწარმო. რესპუბლიკას ასეთ შემთხვევაში თითქმის არა აქვს თავისუფლად მოქმედების უფლება, ეთქვათ დახუროს წამგებიანი საამქროები, ან ამოირჩიოს ნედლეულის ისეთი მომწოდებელი, რომელიც უკეთესი ხარისხის მადანს მიაწვდის ნაკლები სატრანსპორტო დანახარჯებით.

სწორედ იმის გამო, რომ რუსთაველებმა დიდი ბრძოლის ფასად უარი თქვეს უკრაინიდან დაბალხარისხიანი რკინისა და კოქსვადი კონცენტრატის შემოტანაზე, დახურეს წამგებიანი საამქროები, შეძლეს გამხდარიყვნენ რენტაბელური.

მე მგონი, ეს პატარა მაგალითი ნათლად ავლენს იმას, თუ როგორ ეწინააღმდეგება ერთმანეთს რესპუბლიკისა და სამინისტროს ინტერესები.

რაც შეეხება იმას, რომ თუ ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოვლენ საკავშირო საწარმოები, ხარჯებს არავინ დაგვიფარავსო, მცდარი მოსაზრებაა. თუ საკავშირო სამინისტროს მეშვეობით ხდება სახსრების

გადანაწილება სხვადასხვა რეგიონში განლაგებულ განსხვავებული რენტაბელობის მქონე საწარმოებს შორის, მათი გაუქმების შემთხვევაში იგივე სახსრებმა შეიძლება საკავშირო ბიუჯეტში მოიყაროს თავი და უკვე სხვა არხით გადანაწილდეს რესპუბლიკებში, რადგან ამა თუ იმ საწარმოს რენტაბელობის ამჟამინდელი დონე მხოლოდ მათი ცუდი ან კარგი მუშაობის შედეგი კი არ არის, არამედ საერთოსაკავშირო ინვესტიციური პოლიტიკის, ფასების სისტემის, დარგობრივი და ტერიტორიული არარაციონალური კავშირებისა და სხვა ფაქტორების შედეგიცაა. ამიტომ, რესპუბლიკა დასაწყისში არაა ვალდებული პასუხისმგებელი იყოს ყველა სახის ხარჯების დაფარვაზე.

— საინტერესოა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ფორმირებაში უცვლელი რჩება თუ რაიმე სიახლეს შეიცავს?

დიახ, გათვალისწინებულია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა წილის გაზრდა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსავალში.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტების ფორმირების პროექტით გათვალისწინებული ვარიანტი აშკარად სჯობია იმას, რაც დღეს მოქმედებს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი კარგია. ჩემი აზრით, ბიუჯეტთან ურთიერთობის საკითხი კვლავინდებურად არეულ-დარეულია და არც მეცნიერული და არც პრაქტიკული გამართლება არა აქვს იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს სახსრების ნაწილი შეაქვთ საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო საკავშირო დაქვემდებარებისას - რესპუბლიკურში. ასევეა ბრუნვის გადასახადისათვისაც, როცა ნაწილი რესპუბლიკის ბიუჯეტში გადაირიცხება, ნაწილი — საკავშიროში. ლოგიკურია და ძალზე მარტივიც ის, რომ ყველა სახის (მათ შორის სამხედრო) საწარმოებიდან სახსრები რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხოს და აქედან დაწესდეს სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივი, რომლითაც საკავშირო ბიუჯეტი მიიღებს საჭირო თანხებს. თავდაპირველად, საკავშირო ბიუჯეტში სახსრების გადარიცხვის ნორმატივის განსაზღვრისას, რესპუბლიკათა განვითარების დონეებში ამჟამინდელი განსხვავებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. წინაალმდეგ შემთხვევაში, ისევ მოხდება საკავშირო ბიუჯეტში შეტანილი სახსრების გასაიდუმლოება, კვლავინდებურად გაძნელდება წმინდა ტექნიკური ოპერაციების განხორციელება, იმატებს ქაღალდის ნაკადი და უაზრო გათვლა-გამოთვლა.

ბოლოს და ბოლოს ცენტრი მაინც წაიღებს თავისას, მაგრამ ერთი კი ნათელი იქნება: გვეცოდინება ზუსტად, ვინ რას ქმნის, ვის აძლევს და ვისგან ღებულობს. საჯაროობა ამ სფეროში სხვანაირად ვერ მიიღწევა.

სავსებით გაუგებარია, აგრეთვე, თუ რა ოდენობით დარჩება

ვალუტა რესპუბლიკას. როგორც პროექტიდან ირკვევა, რესპუბლიკის სავალუტო ფონდების შექმნის ძირითადი წყაროა საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავალი, მაგრამ არა ჩანს, რამდენად დიდია ის ნორმატიკები, რითაც სახსრები უნდა გადაირიცხოს ამ ფონდებში. პროექტის მიხედვით, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები სავალუტო შემოსავლების ნაწილს საკუთარ ფონდში ჩარიცხავენ, ნაწილს - საკავშიროში. ასევე მოხდება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზაციის დროსაც. მაგრამ, თუ პირველ შემთხვევაში, ნორმატიკებს ადგენს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო "საერთო–საკავშირო ფონდებში გადარიცხვის გათვალისწინებით", მეორეში – სსრკ მინისტრთა საბჭო. როგორი იქნება ეს ნორმატივები, ღმერთმა უწყის. განა არა სჯობს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საქონლის რეალიზებით მიღებული ყველა სავალუტო შემოსავალი ჩაირიცხოს რესპუბლიკის ფონდებში და აქედან სტაბილური ნორმატივით გადაირიცხოს თანხა საკავშირო ფონდებში? ეს ხომ ძალზე მარტივია და თანაც ყველაფერი ხელისგულივით ჩანს. დღეს ხომ ფაქტიურად არავინ არ იცის რეალურად რა ოდენობის ვალუტა შემოაქვთ ცალკეულ რესპუბლიკებს ქვეყნისათვის. თუმცა რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა "ინტურისტის" შემოსავლებიც კი ლამის სამხედრო საიდუმლოების რანგშია აყვანილი. ისე კი, "ინტურისტის" სისტემა რესპუბლიკების დაქვემდებარებაში უნდა გადმოვიდეს, რაც ამ პროექტით მეტად საეჭვოა რომ მოხდეს.

გარდა ამისა, აუცილებელია რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სახის ტურისტული და საკურორტო ობიექტი რესპუბლიკის მფლობელობაში გადავიდეს. ჩვენი რესპუბლიკისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთი საკითხი. პროექტში ჩაწერილია: თუ გამოვა ისეთი საკავშირო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც იწვევენ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსავლების შემცირებას, მათ უნაზღაურდებათ სახსრები საკავშირო ბიუჯეტიდან. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ ამასთან არასაკმარისი. ყველას კარგად გვახსოვს, რა აუნაზღაურებელი ზარალი იწვნია ჩვენმა რესპუბლიკამ ანტიალკოჰოლური კამპანიის შედეგად. სპეციალისტების გაანგარიშებით დანაკარგები 700 მილიონ მანეთზე მეტია. მოლდავეთში კი, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად ტრაგედია დატრიალდა, იქ თითქმის განახევრდა ვენახები. ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი, ვინ უნდა აუნაზღაუროს რესპუბლიკებს დანაკარგები? ან შეელის კი საქმეს, როგორც აღნიშნულ პუნქტში წერია, საკავშირო ბიუჯეტიდან დაიფარება ზარალი?! ეს არ არის მარტო ეკონომიკური პრობლემა. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციური გზით.

აუცილებელია რესპუბლიკებს ჰქონდეთ საკავშირო აქტებზე "ვეტოს" დადების უფლება. ახლახან გამოქვეყნდა ლიტვის ახალი კონსტიტუციის პროექტი, სადაც ამგვარი მოთხოვნაცაა ნაგულისხმევი. თუმცა, რაღა ლიტვის მაგალითი გვინდა, როცა ოციან წლებში რესპუბლიკებს გაანდათ ასეთი უფლება.

— რა თქმა უნდა, საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგად პროექტი ალბათ შეიცვლება, დაიხვეწება და მიიღებს ისეთ სახეს, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს რესპუბლიკებში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას.

მარტი. 1988 წ.

შევეშვათ »სწორებას ცენტრისაკენ!«

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი რომან გოცირიძე.

— რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხზე ცხარე კამათი მიმდინარეობს. საინტერესოა, ვინ არის ამ იდეის მომხრე და ვინაა წინააღმდეგი. როგორია მათ შორის ძალთა თანაფარდობა?

— რესპუბლიკების ეკონომიკური სუვერენიტეტის იდეას იმთავითვე უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ამ ერთი წლის წინათ მისი მომხრეები აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენდნენ. "ძალთა თანაფარდობა", როგორც თქვენ უწოდებთ, თანდათანობით იცვლება, თუმცა, მოწინააღმდეგენი კვლავინდებურად უმეტესობას წარმოადგენენ.

ყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ გვევლინებიან ცენტრალური დარგობრივი სამინისტროები. მათ ემუქრებათ ძალაუფლების დაკარგვა, უმეტესობას კი - ლიკვიდაცია.

წინააღმდეგი არიან ცენტრალური უწყებებიც (საგეგმო კომიტეტი, ფინანსთა სამინისტრო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი და სხვა). ისინი მნიშვნელოვნად დაკარგავენ გავლენის სფეროს, ზოგიერთს კი ემუქრება გაუქმება.

ძლიერ მოწინააღმდეგედ გვევლინება ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლება, რომელსაც, თუმცა, მომხრეა ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციისა, მაინც შიშის ზარსა სცემს იმის გაფიქრება, რომ ამ პროცესის გაღრმავებას შეიძლება მოჰყვეს რესპუბლიკათა რეალური პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მის მოქმედებაში ეკონომიკურ აუცილებლობაზე კვლავინდებურად "პრინციპები" და იდეოლოგია დომინირებს.

ასევე მოწინააღმდეგეა რესპუბლიკის მმართველი აპარატი და უწყებები (გამონაკლისს წარმოადგენს ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. უკანასკნელ პერიოდში, სასიკეთო ცვლილებები შეიმჩნევა ჩვენთანაც). ჯერ ერთი, მათ არ უნდათ აუტკივარი თავი აიტკიონ - გაუჩნდებათ ზედმეტი, უსვეულო და ძალზე მძიმე სამუშაო. აუცილებელი გახდება მმართველი წრეების შეცვლა, რამაც არ შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს. ზოგიერთს კეთილი გრძნობებიც ამოძრავებს - გულწრფელად ჰგონია, რომ ამ იდეის განხორციელება ავნებს რესპუბლიკის ინტერესებს.

რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, არსებული სამეურნეო მექანიზმის მსხვრევა ხელს არ აძლევთ აგრეთვე ფარული ეკონომიკის მამებს, საქმოსნებს, მაფიას. ეს პირდაპირ ემუქრება მათ პრივილეგიებს, გავლენას და რაც მთავარია, ჯიბეს.

არის აგრეთვე ხალხის დიდი ნაწილი, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც შიშობენ, რომ ამ იდეის განხორციელება გააუარესებს რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობას, დაეცემა ცხოვრების დონე. ხალხის ამ კატეგორიას შეიძლება გულუბრყვილო პატრიოტები ეუწოდოთ.

— შეიძლება თუ არა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დაჯგუფება ეროვნული ნიშნის მიხედვით?

— ეს არც ისე ადვილია. თუ ცალკეულ რესპუბლიკებს ვიგულისხმებთ, თავდაპირველად ყველა წინააღმდეგი იყო (ბალტიისპირეთის გარდა). ამჟამად, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ბევრ მეცნიერს, ხელმძღვანელ მუშაკს, ხალხს თანდათანობით ეცვლება აზრი. რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღდგენისადმი კვლავინდებურად სკეპტიკურად არიან განწყობილი რსფსრ, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, შუა აზიის რესპუბლიკები. "შუალედური" პოზიცია უჭირავს უკრაინას, ბელორუსიას, მოლდავეთს, სომხეთს.

რაც შეეხება მეცნიერებსა და სპეციალისტებს, არ შემხვედრია საკავშირო პრესაში თუნდაც ერთი რუსი თუ შუაასიელი მეცნიერი, რომელსაც უყოყმანოდ მიეღოს რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის რადიკალური - ბალტიისპირული ვარიანტი.

— მომხრედ ვინ შეიძლება ჩაითვალოს?

— უპირველეს ყოვლისა, ის საწარმოები, რომლებიც თავისუფლდებიან ზემოდან დიქტატისაგან, მოიპოვებენ რა მეტ სამეურნეო დამოუკიდებლობას.

ამ იდეის მომხრეებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (ადგილობრივი საბჭოები), რადგან მნიშვნელოვნად გაფართოვდება მათი უფლებები.

მომხრედ შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, განურჩევლად მისი ადგილისა და როლისა ხელისუფლების თუ მართვის სისტემაში, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც სწამს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა არის პირველი დიდი ნაბიჯი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე.

— დავუშვათ, მივაღწიეთ რეალურ ეკონომიკურ სუვერენიტეტს, როგორ გგონიათ, გადაიჭრება ის პრობლემები, წლების განმავლობაში ქრონიკული სენივით რომ ვერ მოგვიცილებია თავიდან? უბინაობა, დეფიციტი, რიგები... მოკლედ, ექნება ქართველ კაცს ცხოვრების ნორმალური, ადამიანური პირობები?

— გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, თითქოს რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტი ავტომატურად გადაჭრის ყველა პრობლემას. დამოუკიდებლობა გულისხმობს მოქმედებისა და არჩევანის თავისუფ-

ლებას. ეკონომიკური დამოუკიდებლობა თავისთავად არაფერს იძლევა, მაგრამ იგი ქმნის იმ პირობებს, რომ თავადვე განესაზღვროთ, როგორ ვიმოქმედოთ, რა გზა ავირჩიოთ. ცენტრის კლანჭებიდან თავის დაღწევა ჯერ კიდევ არ იძლევა ნორმალური განვითარების გარანტიას. თუ რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა არ იქნება კომპლექსური, მთლიანი, კარდინალური, მაშინ ეკონომიკაში არსებითად არაფერი შეიცვლება. ამჟამინდელი ეკონომიკური სტრუქტურების შენარჩუნების შემთხვევაში, რესპუბლიკა პოლიტიკურადაც თავისუფალი რომ იყოს, უკეთეს შემთხვევაში, მიეიღებთ ახალ რუმინეთს ან ჩრდილოეთ კორეას.

ეკონომიკის ძირეული შეცვლა შეუძლებელია ისეთი ნაწილობრივი რეფორმის შედეგად, როგორიც ამჟამად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. აუცილებელია მოძველებული, არაგონივრული და არაეფექტიანი ეკონომიკური სტრუქტურების შეცვლა და მართვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ამის განხორციელება კი შეუძლებელია მოქმედების თავისუფლების გარეშე. ამგვარი თავისუფლების საშუალებას იძლევა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ესაა ზემოთ დასახელებული ორი ამოცანის მიღწევის წინაპირობა, წანამძღვარი. მაგრამ არანაკლებ მთავარია შემდგომი ეტაპი: როგორ ვიმოქმედოთ და რა გზა ავირჩიოთ, რა ვაკეთოთ და როგორ ვაკეთოთ.

— გამოდის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლები და მისი სტრატეგია არსებითად უნდა განსხვავდებოდეს იმისაგან, რასაც ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის კონცეფცია ჰქვია. ალბათ იმიტომ, რომ მან ჯერ კიდევ ვერ გამოიღო შედეგი. რა არის, თქვენი აზრით, ამის მიზეზი? ხომ არ არის ეს საბოტაჟი ბიუროკრატიის მხრიდან?

— ამის მიზეზი ბევრს მართლაც ჰგონია "კონსერვატიულ ძალთა შეტევა", "გარდაქმნის მტრების" ხრიკები. კონსერვატორები და ძველი ადმინისტრაციული სისტემის მომხრეები ქვეყანაში ბლომად არიან, მაგრამ რეფორმის უმოქმედობის ძირითადი მიზეზი ისინი კი არა, სანახევრო ღონისძიებებია. ჩვენ ვერ გავატარეთ რეალური ცვლილებები სოფლად, მრეწველობაში, ვერ გადავსინჯეთ საკუთრების ფორმები. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კიდევ უფრო ღრმად შეეტოპეთ უძრაობის ჭაობში. მაშინ კი დავიწყებთ გარდაქმნის მტრების ძებნას და, როგორც ყოველთვის, ვიპოვით კიდეც. ამის საშიშროება უკვე იგრძნობა... ტიპიური კონსერვატორი, დილეტანტი პარტიული ფუნქციონერი ლიგაჩოვი არაფრით განსხვავდება მრავალი მაღალი თუ დაბალი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან. მაგრამ, როგორც ეტყობა, მას "გარდაქმნის მტრად" ამზადებენ. ვიღაცას ხომ უნდა დაბრალდეს არსებული კრიზისული

მდგომარეობა. თუ ეკონომიკური რეფორმა ჩაიფუშა, მისი მი'სეზი იქნება არა "ბიუროკრატიის რევან'ში", არამედ პოლიტიკური ხელისუფლების შეცდომები. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს დასახული რეფორმის საბოლოო მიზანი, არ გაგვაჩნია ტაქტიკა. ბოლომდე გაუაზრებელია რეფორმის კონცეფცია და, შესაბამისად, მიღებული სამეურნეო კანონები პალიატიურია და კომპრომისული.

ამიტომ, თუ გვინდა საქართველოს ეკონომიკა რეალურად გარდავქმნათ, გავატაროთ კარდინალური რეფორმა, უნდა დავსახოთ ხარისხობრივად ახალი მიზნები და მას'შტაბები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიშალოთ "სწორება ცენტრისაკენ", განეიკურნოთ "ცენტრული ღალტონიზმისაგან", ვისწავლოთ ფერების გარჩევა...

— ზედმეტად კრიტიკული ხომ არა ხართ. დღეს ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესი ღრმავდება და იგი ეკონომიკის სფეროშიც ვლინდება...

— რა თქმა უნდა, ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ სიტყვის თავისუფლება ჯერ კიდევ არ ნი'შნავს ქმედების თავისუფლებას. ჩემთვის, ეკონომისტისათვის, დემოკრატიზაცია, უპირველეს ყოვლისა ნი'შნავს არა მარტო აზრის თავისუფლად გამოთქმას მიტინგზე, არამედ უფლებას მქონდეს საკუთარი მიწა, გავყიდო და ვიყიდო იგი, გავხსნა საკუთარი საწარმო, გავხდე აქციონერი, დავამყარო კომერციული კავ'შირები ვისთანაც მსურს, შინ თუ გარეთ. ჭე'შმარიტი დემოკრატიზმი ეკონომიკაში ნიშნავს რისკის უფლებას, გაკოტრების უფლებას, ბოლოს და ბოლოს უმუშევრობის უფლებას. საყოველთაო იძულებითი შრომითი ბეგარა ადმინისტრაციულ-ფეოდალური სისტემის ნაყოფია.

ყველანაირ ტოტალიტარიზმს თავისი ეკონომიკური საფუძველი აქვს. ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა იყო და დარჩა "მობილიზაციური" და "კონფისკაციური". მის პოლიტიკას ყოველთვის ახორციელებდა აპარატი, შემსრულებელთა პირამიდა, რომელსაც შეეძლო მხოლოდ "ზემოთა" იდეების რეალიზაცია. ადმინისტრაციული სისტემის ფორმირებისა და განვითარების სტადიაზე ამ აპარატს ახასიათებდა ასკეტიზმი, ენთუზიაზმი, იდეურობა, რაც ქმნიდა ილუზიას მისი საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ. დღეს უკვე თავად აპარატია ურწმუნო და უიდეო ბიუროკრატთა ნავსაყუდელი. მაგრამ ერთი ტრადიციული თვისება ბიუროკრატებს მაინც შერჩათ: ისინი ექვემდებარებიან და იდეებს იღებენ მხოლოდ "ზემოდან" (თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ იყოს საჭირო" დაწოლა ქვემოდან")...

თუ კვლავინდებურად მოხდა "აპარატის რევან'ში", ეს იმას ნიშნავს რომ ზემოდან წამოსული იდეები უსუსური იყო.

— თქვენი აზრით, ახლა ასეთი სიტუაციაა?

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკის რეფორმა უკვე

თითქმის ხუთი წელია მიმდინარეობს და კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა, შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებში არაფერი შეცვლილა (თუ არ ჩავთვლით ერთადერთ რეალურ ნაბიჯს - კოოპერაციას).

ამჟამად ქვეყნის ეკონომიკაში შეიქმნა მეტად მძიმე მდგომარეობა. უბედურების მიზეზი ისაა, რომ ჯერ კიდევ არ განვკურნებულვართ "გეგმიური ცენტრიზმისაგან" და ახალი სენი კი შეგვეყარა - "საბაზრო დეცენტრიზმი". ერთდროულად აღმოვჩნდით ორი სისტემის ტყვეობაში. თუ გვსურს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მაშინ რატომ ველოლიავებით არქაულ სამხედრო-ფეოდალურ ადმინისტრაციულ მექანიზმს? მოკლედ, სანახევრო ზომებიდან არაფერი გამოვა. როგორც ერთმა ეკონომისტმა ამასთან დაკავშირებით იხუმრა, "არ შეიძლება იყო ნაწილობრივ ორსული"...

ჩვენი ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეა უნდა ემყარებოდეს ცუდი და კარგი გამოცდილების ღრმა ანალიზს. ცუდი უკვე ვნახეთ. ახლა სხვაგანაც გავიხედოთ.

მარტი. 1998 წ.

აღვადგინოთ ქართული ფული

შესაძლებელია თუ არა რესპუბლიკის რეალური ეკონომიკური დამოუკიდებლობა საკუთარი ვალუტის გარეშე? ეს საკითხი დღეს ყველას აინტერესებს - როგორც მეცნიერებს, ისე არასპეციალისტებს. ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია.

ვეჭვობ, რომ რესპუბლიკის სუვერენული უფლებების აღდგენა შესაძლებელი იყოს საკუთარი ფულადი სისტემის გარეშე. ამ ეჭვს საფუძველი გაუჩნდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი დღემდე უცნობი მასალები, გამოაშკარავდა მრავალი სტატისტიკური მონაცემი.

თურმე არც ისე შავად ყოფილა საქმე ჩვენს სტატისტიკაში. მასში ბევრი თეთრი ლაქა აღმოჩნდა. განა შეიძლება გონიერ ადამიანს არ გაეცინოს იმაზე, თუ რა საიდუმლოებით შეემოსეთ ჩვენი პათოლოგიური "შპიონომანიის" შიშით არა მარტო ჩამორჩენილი წარმოება, არქაული ტექნოლოგია, ძველი თაობის კომპიუტერები, არამედ ელემენტარული სტატისტიკური ინფორმაციაც კი? სხვას რომ თავი დავანებოთ, წლების განმავლობაში ცხრაკლიტულში იყო გამოკეტილი ქვეყნის ბიუჯეტის, ფულის მიმოქცევის, მრავალი სხვა ფინანსური მხარის ამსახველი მაჩვენებლები. გამოირკვა, რომ კარგა ხანია ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი დეფიციტური ყოფილა, ე.ი. ეხარჯავდით მეტს, ვიდრე გაგვაჩნდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიუჯეტის დაბალანსების ძირითადი საშუალება იყო ემისია, ქაღალდის ფულის გამოშვება, ანუ, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მისი "უსაიდუმლოესობა" ფულის საბეჭდი დაზგა. ახლახან კიდევ ერთ საიდუმლოს აეხადა ფარდა: თურმე ყოველწლიურად თითქმის ოთხმოც მილიარდ მანეთს ეხარჯავდით სამხედრო საჭიროებისათვის. თუ რომელ რესპუბლიკას რა წვლილი მიუძღვის ამ "საერთო საქმეში", ალბათ დატყვეებული ციფრების მორიგი ამნისტიისას შევიტყობთ. თუმცა, რასაც ახლა ვიგებთ, იმითაც შეიძლება მრავალი დასკვნის გამოტანა.

ჩვენს ყველაფრის გამსაიდუმლოებელ ქვეყანაში ფულის ემისიის მონაცემები საიდუმლო რომ ყოფილიყო, ამაში არაფერია გასაკვირი, მაგრამ ის კი მაინც წარმოუდგენელია, რომ თურმე ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ლ.აბალკინმაც კი არ იცოდა ფულის მიმოქცევის ზუსტი სტატისტიკა. თურმე, ეს ინფორმაცია მისი ინსტიტუტისთვისაც კი "დახურული" ყოფილა.

არასწორი ინფორმაციის შედეგად გამოტანილი დასკვნები, მოგეხსენებათ, არამეცნიერულია და შეუძლებელია მათზე დაყრდნობით სწორად შეფასდეს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა, დაისახოს მისი განვითარების რეალური გზები. როცა მეცნიერებს არ აძლევენ

საქმეში ჩახედვის საშუალებას, ქვეყანაში ბატონობს უწყებრივი ტაინთხელობა და აპარატული აზროვნების სწორხაზოვნება.

საფინანსო მეურნეობის ამსახველი მრავალი სახის ინფორმაციის გამომზეურება იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ახლებურად გავიაზროთ, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემებიც.

ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ამჟამად შექმნილ პირობებში, რესპუბლიკის სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად, ჩემი აზრით, აუცილებელი გახდება საკუთარი ფულადი ერთეულის შემოღება. ეს არ არის ორიგინალური იდეა. იგი პირველად ესტონეთში გაჩნდა, შემდეგ კი დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებშიც, როგორც მეცნიერებისა და სპეციალისტების, ისე მთავრობათა მხრიდან.

თავდაპირველად ბალტიისპირელ სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ რესპუბლიკური ვალუტის შემოღება აუცილებელი იყო სხვა რესპუბლიკების მყიდველებისაგან საკუთარი ბაზრის დასაცავად, რომლებსაც ისინი ირონიით "პოკუპანტებს" უწოდებენ (თუმცა, ეს სიტყვა სხვა ასოციაციასაც იწვევს). მართლაც, როგორ უნდა უბრუნველყოს რესპუბლიკამ თავისი მოსახლეობის მომარაგება, როცა ყველაფერზე დეფიციტია, ბაზარი თითქმის ცარიელია, ადგილობრივ ხალხს საქონელი არ ჰყოფნის, მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოჭრილი ათასობით "ტურისტი" კი დახლებს აცარიელებს?

ბალტიისპირელთა აზრით, ასეთ შემთხვევაში, თუ ერთი რესპუბლიკა შეძლებს გაუმჯობესოს საკუთარი ბაზრის მდგომარეობა, სხვები კი ვერა, მაშინ გარდუვალია მყიდველების მოჭარბება, დეფიციტის კიდევ უფრო გამწვავება, სპეკულაციის გაფართოება. საბოლოო ანგარიშით, რესპუბლიკა ვერ შეძლებს საკუთარი მოსახლეობის საქონლით დაკმაყოფილებას.

უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა ევროპის ზოგიერთი სოციალისტური ქვეყანაც, როცა საბჭოთა ტურისტების წყალობით მაღაზიებიდან ნელ-ნელა გაქრა ბევრი აუცილებელი საქონელი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს საკუთარი ვალუტა აქვთ, ასეთი პროცესების დარეგულირება მათ ვერ მოახერხეს და იძულებულნი გახდნენ საბაჟო კანონები გაემკაცრებინათ. ამიტომ, მცდარი იყო ბალტიისპირელთა თავდაპირველი არგუმენტი, თითქოს საკუთარი ვალუტის შემოღება უწინარესად ანალოგიური მიზეზით ყოფილიყო აუცილებელი. ზოგიერთი სხვა გზებსაც სთავაზობდა: დანერგილიყო ეგრეთ წოდებული საბარათო სისტემა, გაეცათ ხელფასი მოსახლეობაზე როგორც მანეთებში, ისე ბარათების სახითაც. ადგილობრივ მოსახლეობას ექნებოდა შესაძლებლობა შეეძინა ამ ბარათებით დეფიციტური საქონელი. ასეთი ზომების გატარება დიდად

არ განსხვავდება ჩვენთვის კარგად ცნობილი "კარაქის ტალონების" სისტემისაგან.

არც ერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში მყიდველს უკან არ აბრუნებენ. პირიქით, ყველანაირად ცდილობენ მათ მი'ზიდვას. ამგვარი აკრძალვითი ზომები შეიძლება მხოლოდ ჩამორჩენილი და მოუქნელი ეკონომიკის მქონე სოციალისტურმა ქვეყანამ მიიღოს. ამიტომ, საკუთარი ვალუტის შემოღება მხოლოდ შიდა ბაზრის დასაცავად საკმარისი არგუმენტი არ არის. პრობლემა გაცილებით უფრო რთულია.

ამჟამად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მეცნიერთა უმეტეს ნაწილს მიაჩნია, რომ საკუთარი ვალუტა უნდა ემსახურებოდეს არა მარტო ვიწრო, ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას, არამედ იგი უნდა იყოს ეკონომიკურად დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის აუცილებელი ელემენტი. მათ მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში საკუთარი ფულადი სისტემის გარეშე სრული ვერ იქნება.

საკუთარი ვალუტის საჭიროების საწინააღმდეგოდ ხშირად მოჰყავთ უსაფუძვლო არგუმენტი, როცა უთითებენ იმ ფაქტსე, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს შემოიღოს ერთიანი ფულადი სისტემა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პრობლემა არ არის მათთვის ადვილი გადასაჭრელი. ესეც რომ არ იყოს, ამ ქვეყნებში პარალელურად კვლავაც დიდხანს იარსებებს საკუთარი ეროვნული ფულადი ნიშნები. თანაც ევროპული ვალუტის შემოღება გადაწყვეტილი აქვთ მხოლოდ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, ეგრეთ წოდებულ "საერთო ბაზარში" შემავალ ქვეყნებს. ევროპის სხვა სახელმწიფოები არათუ არ ფიქრობენ ამ ვალუტის გამოყენებას, არამედ ისინი ჯერაც არ შესულან "საერთო ბაზარში". ეს იმითაა გამოწვეული, რომ მათი ეკონომიკური განვითარების დონეები და ეროვნული მეურნეობის სპეციფიკა განსხვავებულია.

ევროპის ქვეყნების ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად განსხვავდება ჩვენი ქვეყნის დონისაგან, რომ მათი სამეურნეო მექანიზმების ერთმანეთთან შედარება ცოტა უხერხულიც კია. ანალოგები გუშინდელ დღეში უნდა ვეძებოთ და არა დღევანდელში. საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დღევანდელი სურათი შეიძლება შევადაროთ დასავლეთ ევროპის ეკონომიკის ორმოცდაათიანი წლების მდგომარეობას. ამიტომ ის, რომ დასავლეთ ევროპაში საერთო ვალუტაზე ფიქრობენ, სულაც არაა დამაჯერებელი არგუმენტი რესპუბლიკური ვალუტის შემოღების წინააღმდეგ.

მაინც რით არის გამოწვეული რესპუბლიკაში დამოუკიდებელი ფულადი სისტემის შექმნის აუცილებლობა?

ჯერ ერთი, იმით, რომ ფულის მიმოქცევის ამჟამად არსებული

სისტემა მძიმედაა დასნეულებული და მას მრავალი ნაკლი გააჩნია. მისი მოსკოვის ხელში ცენტრალიზაცია მნიშვნელოვნად სდუდავს რესპუბლიკის ეკონომიკურ სეკერენიტეტს. ფულს უშვებს და მიმოქცევიდან იღებს სსრკ სახელმწიფო ბანკი. რესპუბლიკის უფლებები ხშირად უგულებელყოფილი და შელახულია.

მეორეც, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით მატულობს ინფლაციური პროცესები, ცალკეულ რესპუბლიკას, რაც უნდა კარგი ეკონომიკური შედეგები ჰქონდეს, არ შეუძლია დაიცვას თავისი მეურნეობა. მისი მდგომარეობა დამოკიდებულია არა იმდენად საკუთარ მოქმედებაზე, რამდენადაც მთლიანად ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაზე.

არის სხვა პრობლემები. თუ რესპუბლიკას თავისი ვალუტა არ ექნა, მაშინ შეუძლებელი იქნება რესპუბლიკური ბანკების რეალური დამოუკიდებლობის უსრუნველყოფა. ბანკების საკავშირო დაქვემდებარების ამჟამინდელი სისტემა ხელშემწყობი კი არა, არამედ, პირიქით, ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური რეფორმისა.

რესპუბლიკური ფულის შემოღების აუცილებლობა იმითაცაა გამოწვეული, რომ საბჭოთა მანეთი არ არის ნამდვილი ფული, იგი ფსევდოფულია. მას არ შესწევს უნარი სრულყოფილად შეასრულოს ფულის ყველა ფუნქცია. ასეთი ფულით კი რეალური ეკონომიკური სტიმულირების სისტემის შექმნა მეტად საეჭვოა. მიუხედავად მრავალი სახის ადმინისტრაციული მცდელობისა, ჩვენთვის ჩვეული იდეოლოგიური მოწოდებებისა და უამრავი დადგენილებებისა, მდგომარეობა ვერა და ვერ გამოსწორებულა.

ამჟამინდელი საფინანსო პოლიტიკა ვერ უსრუნველყოფს აგრეთვე რესპუბლიკებს შორის რესურსების ეკვივალენტურ გადანაწილებას. ეკვივალენტური საქონელგაცვლა და საბაზრო ურთიერთობების გაფართოება შეიძლება იმ პირობებში, თუ გაცვლის მონაწილეთ ექნებათ ერთიანი და საკმაოდ სტაბილური ღირებულების საზომი. ასეთი როლის შესრულება შეუძლია თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას, ესე იგი, ისეთ ფულად ერთეულს, რომლის გაცვლა, ყიდვა და გაყიდვა შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში. საბჭოთა მანეთი არაა ასეთი და არც გააჩნია უახლოეს წლებში რაიმე რეალური პერსპექტივა. რესპუბლიკები ვერ დაელოდებიან მანეთის "გამოჯანსაღებას", არამტკიცე მანეთით კი ვერ შეძლებენ სასაქონლო—ფულადი ურთიერთობის დამყარებას.

საკუთარი ვალუტა თუ ექნა, რესპუბლიკა შეძლებს არა იძულებითი, არამედ თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან. ეკვივალენტური საქონელგაცვლის უზრუნველყოფა შეიძლება ფულის კურსის ცვალებადობის (აწევის ან დაწევის)

საშუალებით. მაღალხარისხოვანი საქონლით უკეთ უსრულველყოფილი რესპუბლიკის ფულადი ერთეულის კურსი შეიძლება უფრო მაღალი იყოს სხვა რესპუბლიკის ან საკავშირო ვალუტის (მანეთის) მიმართ. მაგალითად, ერთ საკავშირო მანეთში შეიძლება მივცეთ, ვთქვათ, ოთხმოცი კაპიკი ქართული ფული, ან პირიქით, თუ სხვა რესპუბლიკის ან საკავშირო ბაზრის მდგომარეობა უკეთესია, მაშინ უფრო მეტი. ამით მოისპობა რესპუბლიკებს შორის ფასების ადმინისტრაციული წესით რეგულირების აუცილებლობა. თითოეული რესპუბლიკა რეალურად გაარკვევს, თუ რა ოდენობის დოვლათი იქმნება მისი ხალხის შრომით. ბოლო მოეღება ისეთ მდგომარეობას, როცა არავინ იცის ზუსტად, როგორ ნაწილდება შემოსაველები რესპუბლიკებს შორის.

ბუნებრივია, თავდაპირველად ქართული ფული ვერ გახდება კონვერტირებადი, მაგრამ ჩვენთვის, იგი იქნება ძირითადი ვალუტა მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ანგარიშსწორების დროს. მას ექნება მყარი სავალუტო კურსი. იგი შეიძლება იყოს თავისუფლად ბრუნვადი ქვეყნის შიგნით, ე.ი. გაიცვალოს საკავშირო მანეთზე, ან სხვა რესპუბლიკათა ფულზე. იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველად გაძნელდა მოკავშირე რესპუბლიკების ვალუტაზე ჩვენი ვალუტის გაცვლა, შეიძლება საერთო ეკონომიკური კავშირების საშუალება გახდეს საკავშირო ვალუტა - მანეთი, ისევე როგორც დოლარია საერთაშორისო ბაზარზე. ეს გადაჭრის აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა საგადამხდელო ბალანსების დარეგულირების პრობლემას. კარგად არის ცნობილი, რომ ოქრო, როგორც საგადამხდელო ბალანსების სალდირების საშუალება, უკვე დიდიხანია არ გამოიყენება მსოფლიო პრაქტიკაში. მის ფუნქციებს დოლარი ასრულებს. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების სტრუქტურას, აუცილებელი გახდება რესპუბლიკათა შორის გადასახადების რეგულირებისათვის სარეზერვო ვალუტის შემოღება. ასეთი სტატუსი შეიძლება მიიღოს საკავშირო მანეთმა, ან თუნდაც რუსულმა მანეთმა თავისი ეკონომიკური, განსაკუთრებით კი სანედლეულო და სამრეწველო პოტენციალის გამო. არც ისაა გამორიცხული, რომ ცალკეულმა რესპუბლიკებმა პირდაპირ დაფარონ საკუთარ ვალუტებში რესპუბლიკათაშორისი გადასახადები. თუმცა, ეს ძალზე ძნელი იქნება მათ ეკონომიკურ დონეებს შორის მკვეთრი განსხვავების გამო.

რესპუბლიკური ფულადი სისტემის შემოღება დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არ არსებობს საქონლის თავისუფალი ბაზარი. დარგებსა და რესპუბლიკებს შორის რესურსები ფონდირებული წესით ნაწილდება. საჭირო გახდება აგრეთვე მრავალი ტექნიკური სახის სიძნელის დაძლევაც.

დაბოლოს, ღირს კი, როგორც იტყვიან, აუტკივარი თავის ატკივება, არის თუ არა აუცილებელი ახალი პრობლემების წარმოქმნა ისედაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში? ამაზე შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა. უნდა იკამათონ მეცნიერებმა, რათა ბოლომდე გაირკვეს ყველაფერი. საჭიროა საღად ავწონ-დავწონოთ, ახლავე გადავიდეთ საკუთარ ვალუტაზე თუ ეს საქმე სამომავლოდ გადავდოთ. მე კი ერთი რამ მტკიცედ მჯერა: რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ეკონომიკურის გარეშე, და პირიქით, ფიქციაა, ისევე, როგორც ფიქციაა რეალური ეკონომიკური სუვერენიტეტი საკუთარი ეროვნული ფულის გარეშე. ჩვენ ვალდებულნი ვართ ცოტა შორს გავიხედოთ.

აპრილი. 1988 წ.

დრო იყო ასეთი?!

ცნობილმა წერილმა გასეთ "სოვეტსკაია როსიაში" ფაქტობრივად ორ ნაწილად გაყო საზოგადოებრივი აზრი. გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, თითქოს ამ წერილის ავტორი მხოლოდ ნ.ანდრეევა ყოფილიყოს და მის უკან არ მდგარიყვნენ გარკვეული გავლენიანი ძალები. ალბათ ამიტომაც იყო, რომ იგი სასწრაფოდ გადაბეჭდა რუსეთის მრავალმა გაზეთმა და სამხედრო პერიოდულმა პრესამ. შემდეგში ამ წერილს "ანტიგარდაქმნის მანიფესტი" უწოდეს.

ასეთ ვითარებაში აუცილებელია სწორი ორიენტაციის აღება, ამაში კი მნიშვნელოვანი როლი ჩვენმა მეცნიერებმა, მწერლებმა, პრესამ უნდა ითამაშოს.

აუცილებელია ერთხელ კიდევ გონების თვალით გადავხედოთ ჩვენს წარსულს, ავწონ-დაეწონოთ ისტორიის გაკვეთილები, გავერკვეთ, რატომ გამოდგა უიღბლო ორი რეფორმა. ჩვენ კი ჯიუტად ვდუმვართ, ზოგიერთი საერთოდ წინააღმდეგია "წარსულის შეწუხებისა". ამის დამადასტურებლად რესპუბლიკის პრესაში ბოლო დროს გამოქვეყნებული წერილებიც კმარა.

"ჩემი აზრით, — წერს პროფესორი ვლადიმერ მერკვილაძე ("თბილისი", 4 ნოემბერი, 1987წ.) — განვლილი გზის კრიტიკოსთა მიზანია არევ-დარევა შეიტანონ ჩვენს საზოგადოებაში, შექმნან უმაყოფილებისა და დაძაბულობის ატმოსფერო, ჩამოაშორონ საბჭოთა ადამიანების ყურადღება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის სადღეისო ამოცანებს".

ავტორი დარწმუნებულია, რომ ისინი, ვინც ისტორიის ახლებურად გააზრებას ცდილობენ, ისტორიული სიმართლის აღდგენას მოითხოვენ, "სხვადასხვა მიზეზის გამო საბჭოთა ხელისუფლებაზე განაწყენებული ადამიანები" არიან. ამიტომ, კატეგორიულად გვიკრძალავს ჩვენი ისტორიის კრიტიკულ ანალიზს, ზოგიერთი "მიღწევების" ეჭვქვეშ დაყენებას.

მსგავსი მოსაზრებები არაერთხელ გამოუთქვამთ ჩვენს პრესაში. მათი ავტორების აზრით, თურმე განსაკუთრებით შემაშფოთებელი მოვლენა ყოფილა ის, რომ ზოგიერთი კოლექტივიზაციას და ინდუსტრიალიზაციას ისე არ უყურებს, როგორც ისტორიის მოკლე კურსშია მოცემული. სოციალიზმის სხვა გზით აშენებაზე გაფიქრებაც კი მათ მკრეხელობად მიაჩნიათ.

არსებობდა თუ არა სოციალიზმის აშენების სხვა გზა, იყო თუ არა კოლექტივიზაციის შედეგად გამოწვეული მრავალი უბედურების მიზეზი მხოლოდ "თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" და არა სწორი გზიდან გადახვევა, ამას ადრე თუ გვიან გასცემენ პასუხს მეცნიერები.

ვფიქრობ, დღეს საჭიროა პატიოსანი კვლევა, სხვადასხვა აზრისა და შეხედულების შეჯერება, ისტორიული დოკუმენტების შესწავლა.

ჭეშმარიტების დადგენა ყველა ჩვენთაგანის ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს. არა მარტო ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა, ეკონომისტებმა, არამედ მწერლებმა, პუბლიცისტებმა, საერთოდ ყველა პატიოსანმა ადამიანმა უნდა შეუწყოს ხელი სიმართლის აღდგენას. დღეს მეცნიერები ვალში არიან მწერალთა და პუბლიცისტთა წინაშე. მე, პირადად, ამ უკანასკნელთა წერილები უფრო მეცნიერულად მიმაჩნია, ვიდრე მრავალი ინსტიტუტის სამეცნიერო "გამოკვლევები".

დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს: არსებობდა თუ არა ქვეყნის კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ალტერნატიული გზა. მივმართოთ ისევ მაგალითებს ჩვენი პრესიდან. ახლა ვნახოთ არა ისტორიკოსის, არამედ ლიტერატორის პოზიცია ამ საკითხზე. პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილს თავის წერილში "გვიან ნათქვამი" ("ლიტერატურული საქართველო", 8 აპრილი, 1988 წ.) მხოლოდ ერთი იდეა ამოძრავებს, – დაიცვას ლ.ქიაჩელის "გვადი ბიგვაზე" წარსულში დამკვიდრებული შეხედულებები ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ დღეს გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებებისაგან. იდეა თითქოს არაა ურიგო. რა არგუმენტებითა და "შეთოდოლოგიით" იცავს ბატონი პროფესორი თავის შეხედულებებს, ამაზე უკეთ ლიტერატორები იტყვიან. ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს – როგორ წარმოუდგენია პროფესორს სოფლად სოციალიზმის აშენების გზები? მისი აზრით, კოლექტივიზაცია მხოლოდ იმ ხერხებით იყო შესაძლებელი, რომლითაც იგი ფაქტიურად განხორციელდა და რაზეც წერდა ლ.ქიაჩელი თავის რომანში.

პროფესორ კვანჭილაშვილის კვლევის "იდეური საფუძველია" ცნობილი "კლასობრივი ბრძოლის გამწვავების" თეორია. ის თეორია, რომელიც იყო კოლექტივიზაციის იდეოლოგიური შეკვეთა და რომლის გარეშეც კოლექტივიზაცია იმ ფორმით ვერ განხორციელდებოდა.

"რა ეპოქა ასახა ლეო ქიაჩელმა თავის ამ რომანში? – გვეკითხება ავტორი, – ეს იყო ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისი, როცა მთელი ქვეყანა ცხოვრობდა კოლექტივიზაციის ლოზუნგით და მთელი ძალ-ღონე (პარტიისა და ხალხის) ხმარდებოდა ამ ლოზუნგის განხორციელებას. ეს იყო მწვავე ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის... ახლა ზოგი იმასაც კი აცხადებს, ჩვენში კულაკობა არ არსებობდაო". ვისაც ეს არ სჯერაო, დასძენს ავტორი, "იმ დროის გაზეთები მაინც უნდა გადაფურცლოს და ამოიკითხავს, რა ხდებოდა, კლასობრივი ბრძოლა როგორ გამწვავებული იყო".

მართლაც, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ჩვენთან კულაკობა არ ყოფილიყოს და არც სიძნელეები გექონოდა

სოფლად. მაგრამ ერთია ებრძოდე მოწინააღმდეგეს და მეორე — მტრად გამოაცხადო მეტ-ნაკლებად შეძლებული გლეხობის უმეტესი ნაწილი.

მოვუხმოთ მარტივ სტატისტიკას: რევოლუციამდელ რუსეთში ყოველი 100 მეურნეობიდან 65 ღარიბი გლეხისა იყო, 20 საშუალოსი და 15 კულაკისა, 1929 წელს კი შესაბამისად — 35, 60 და 5. იბადება ბუნებრივი კითხვა: კი მაგრამ, საიდან გაჩნდნენ ამდენი "განკულაკებულნი?" ცნობილია, რომ მაშინ არსებული 25 მილიონი გლეხური მეურნეობიდან განკულაკდა 4 მილიონი. არ არის ძნელი გამოსათვლელი, რამდენ მილიონ ადამიანს მოუწია გადასახლება, შიმშილი და ფიზიკური განადგურება, თუ ცნობილია, რომ ქვეყანაში იმ დროს 120 მილიონზე მეტი გლეხი ცხოვრობდა. დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დღეს არავინ იცის, ყოველ შემთხვევაში, არსად გამოქვეყნებულა. მრავალი საარქივო მასალა ჯერჯერობით კვლავაც გასაიდუმლოებულია. თუმცა, ზოგიერთი ავტორი მიახლოებით ასახელებს დაღუპულთა ოდენობას. აი, რას წერს გაზეთ "ნედელიაში" (№ 15, 1988წ.) ცნობილი სოციოლოგი ი. ბესტუჟევ-ლადა: "სახლისა და ქონების კონფისკაცია, ოჯახების გადასახლება, უმეტესწილად საბარგო ვაგონებით, უსაჭმელოდ, ბავშვებისა და მოხუცების მნიშვნელოვანი ნაწილის დახოცვა, უვადო, მძიმე იძულებითი შრომა, რომლის შედეგადაც დაიღუპა მრავალი ადამიანი, მსხვერპლის რაოდენობა მილიონებს ითვლის. მათ უნდა დავუმატოთ შიმშილით ამოწყვეტილი მილიონობით ადამიანი სოფლად... და მივიღებთ "განკულაკების" შედეგების საბოლოო სურათს".

მივმართოთ კვლავ სტატისტიკას: 1929-1933 წლებში ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე თითქმის ერთი მეოთხედით შემცირდა, მეცხოველეობისა კი ნახევარჯერ, რამაც, როგორც უკვე ვთქვით, გამოიწვია მასობრივი შიმშილი. არ შეიძლება ადამიანი არ შეძრას ცნობილი პუბლიცისტის ი.ჩერნიჩენკოს მიერ ამას წინათ "ლიტერატურნაია გაზეტაში" (13აპრილი, 1988წ.) გამოქვეყნებულ წერილში მოტანილმა ციფრებმა — 1929-1933 წლებში განადგურდა და დაიხოცა 17,7 მილიონი ცხენი, 25 მილიონზე მეტი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, მათ შორის 10 მილიონი ძროხა (ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც დღესა ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებს), 10 მილიონ'ზე მეტი ღორი, 71 მილიონი ცხვარი და თხა. "ეს ისეთი ომია, — წერს ი.ჩერნიჩენკო, თავისი მასშტაბით ისეთი პლანეტარული კატასტროფა, ისეთი დარტყმა ქვეყნის საწარმოო ძალებისადმი, რომ ხალხის შიში მამაის მიმართ გულუბრყვილოა და მოგონილი".

1934 წელს ქვეყანაში ხორცის წარმოება ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1918-1919 წლებში, იმ წლებში, როცა რუსეთი გაჩანაგებული იყო სამოქალაქო და გერმანიასთან ომით. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე

რძისა და კვერცხის წარმოება. მხოლოდ 1938 წელს მიაღწია ქვეყნის სოფლის მეურნეობამ 1918 წლის დონეს. და ეს მაშინ, როცა 1928 წლამდე ეკონომიკა სტაბილურად ვითარდებოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველწლიურმა მატებამ 1922-1928 წლებში 10 პროცენტი შეადგინა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა წილი სოფლის საწარმოო პოტენციალში კი 3 პროცენტს არ აღემატებოდა. მთელ პროდუქციას ინდივიდუალურად მომუშავე გლეხობა და კოოპერატივები აწარმოებდნენ (იმ დროისათვის სხვადასხვა სახის კოოპერატივებში გაერთიანებული იყო 28 მილიონი ადამიანი).

აი, რას წერდა მაშინ დიდი მეცნიერი, პროფესორი ა.ჩაიანოვი: "თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნება ზღვარს უდებს მის გამსხვილებას, რის გამოც მსხვილი მეურნეობის უპირატესობა წვრილთან შედარებით მიწათმოქმედებაში არასდროს არ იქნება განსაკუთრებით დიდი". თითქოს ჩვენს დღევანდელ საბჭოთა მეურნეობებზეაო ნათქვამი: რაც უფრო მსხვილდებიან ისინი, მით უფრო ნაკლებად ეფექტიანი ხდებიან. ჩაიანოვს მეურნეობათა ოპტიმალურზე მეტად გაზრდა მარტო იმიტომ კი არ მიაჩნდა მიზანშეუწონლად, რომ მატულობდა წარმოების დანახარჯები და შესაბამისად, პროდუქციის თვითღირებულება (ისევ დღევანდელი მაგალითი: როგორ იზრდება წლითიწლობით დოტაცია ხორცზე და რძის პროდუქტებზე), არამედ ამიტომაც, რომ გათანაბრებისა და საკუთარი შრომის შედეგით დაინტერესებლობის გამო მინიმუმამდე ეცემოდა ეკონომიკური სტიმული.

ჩაიანოვი ბოლომდე დარჩა კოოპერაციის იდეის ერთგული და ამ იდეას შეეწირა კიდეც 1937 წელს.

განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა 1933 წელი, როცა ყველა სხვა უბედურებას მოუსავლიანობაც დაემატა. რამდენი ადამიანი გაწყდა შიმშილით, დღეს ზუსტად არავინ იცის. გვამებით ისე აივსო მრავალი სოფელი, როგორც ყამიანობისას.

ახლახან "მოსკოვსკიე ნოვოსტში" (№14 1988 წ.) გამოქვეყნდა მ.შოლოხოვის მიერ ახლობლისადმი 1933 წელს მიწერილი უცნობი წერილი: "ჩემს ირგვლივ ასობით ადამიანი იხოცება შიმშილისაგან. ათასები და ათეული ათასები კი დახოხავენ გასიებულნი და ადამიანის იერდაკარგულნი– ერთ ხუტორში სადაც 65 მეურნეობა იყო, პირველი თებერვლიდან 150 ადამიანი მოკვდა. ფაქტიურად მთელი ხუტორი ამოწყდა. მკვდრებს კი არ ასაფლავებენ, ორმოში ყრიან. ეს ხდება რაიონში, რომელმაც ქვეყანას მისცა 2300000 ფუთი პური. რა საინტერესო დროში ვცხოვრობთ. რაოდენ მდიდარი ეპოქაა"...

აი, ეს იყო "კლასობრივი ბრძოლის გამწვავების" იდეოლოგიის ნაყოფი, იდეოლოგიისა, რომელმაც შექმნა მითები ჩვენს წარმატებებზე, მითები რომლებიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ცხოვრების წესის შენარჩუნების აუცილებელი პირობა იყო.

იბადება კითხვა: არსებობდა თუ არა ალტერნატივა? ალბათ არსებობდა, მომავალი გამოკვლევები უკეთ გასცემენ პასუხს ამ კითხვაზე. ერთი კი ცხადია — მაშინდელ ცნობილ ეკონომისტებს (რომლებიც მერე "ხალხის მტრებად" გამოცხადდნენ) მიაჩნდათ, რომ ძალდატანებითი, ფორსირებული კოლექტივიზაციის გარეშეც შეიძლებოდა ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარება, ინდუსტრიალიზაციის განხორციელება. მათივე აზრით სულაც არ იყო საშიში "მემარჯვენე ბუხარინულ" გადახრად წოდებული ის ვარიანტი, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების მეშვეობით ითვალისწინებდა სოფლის გარდაქმნას. პრაქტიკამ ცხადყო, რომ არც პოლონეთში და იუგოსლავიაში, არც უნგრეთში არ მომხდარა კოლექტივიზაცია, არ შექმნილა ჩვენი ტიპის კოლმეურნეობები. ის, რაც დღეს ჩინეთში ხდება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კი არა, განსხვავებული ეკონომიკური მოდელის დამსახურებაა. ასე რომ, ქეყანაში სოციალიზმის აშენების ალტერნატიული გზის არსებობის უარყოფა არ შეიძლება იმ არგუმენტებით, რომლებიც პარტიის ისტორიის მოკლე კურსშია ჩამოყალიბებული.

დაბოლოს, ახლა ხელმისაწვდომი წყაროებიდან ირკვევა, რომ 1929-1933 წლებში განკულაკებულთა და დაღუპულთა რაოდენობა 1935-1953 წლებში რეპრესირებულთა და დაღუპულთა რაოდენობაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ ყოფილა.

და ისევ იბადება კითხვა: ნუთუ არ შეიძლებოდა თუნდაც ნაკლები დანაკარგებით (თუმცა საკითხის ასე დასმაც კი არაზნეობრივია) გაკეთებულიყო საქმე? პროფ. ამერკვილაძეს ამის გაფიქრებაც კი დანაშაულად მიაჩნია. "ესა თუ ის საქმე, თითქოს შეიძლებოდა გაკეთებულიყო უფრო ნაკლები დანაკარგებით, წერს იგი, არის "ისტორიის პრინციპების გაყალბება და ჭეშმარიტების ღალატი".

დავბრუნდეთ მხატვრულ ლიტერატურას. იგი არანაკლებ უტყუარად გვინჩვენებს თავის ეპოქას, ვიდრე დოკუმენტები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის მრავალი ისტორიული მასალა დღემდე გასაიდუმლოებულია, ხოლო ზოგიერთი ხელმისაწვდომი წყარო ნაკლებად სარწმუნო, როგორც "პროკრუსტეს სარეცელგამოვლილი", ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ყველაზე ნათელი სურათის აღდგენას სხვა გზითაც შევძლებთ. ენახოთ, როგორი ლექსები და პოემები, მოთხრობები და რომანები, სიმღერები და კინოფილმები იყო ყველაზე მეტად აღიარებული და რეკომენდებული, ეტალონად გამხდარი. ვინ რისთვის იღებდა პრემიებსა და ჩინმედლებს და მივხვდებით, როგორი იყო საზოგადოების სოციალური შეკვეთა, მისი მოთხოვნა და გემოვნება.

ყველაზე ნათელ სურათს ის ნაწარმოებები გვაძლევს, რომლებიც შესრულებული იყო ეპოქის ყველა ლიტერატურული კანონის მიხედვით

და რომლებიც შემდგომში ეტალონად და სახელმძღვანელოდ იქცა.

რა და როგორ უნდა ყოფილიყო მათში ასახული, რომ თავისი დროის "შედეგრებად" ქცეულიყვნენ? აი, მთავარი საიდუმლო ასეთი ნაწარმოებების წარმატებისა.

მოვიტან კლასიკურ მაგალითს: "კოლხეთის ცისკარი". ამ და სხვა მსგავს წიგნებში ყველაფერი ისეა ასახული, როგორც შეეფერებოდა "დროის მოთხოვნებს" და იმათ გემოვნებასაც, ვინც განსაზღვრავდა იმ დროის ლიტერატურის და საერთოდ, კულტურის ბედს. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ "ძნელი ბედის" წიგნებისაგან განსხვავებით, (მაგალითისათვის მხოლოდ მ.ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტაც" კმარა), ასეთი ნაწარმოებების გზა ია-ვარდით იყო მოფენილი.

ამ რომანებში ცხოვრება წარმოსახულია არა ისე "როგორც იყო", არამედ ისე, როგორც "საჭირო იყო". მათ ავტორებს არ უცდიათ გაეშუქებინათ იმდროინდელი სოფლის ყოფა – ეს არ იქნებოდა დროის სულისკვეთებით გაკეთებული. დროის მოთხოვნა იყო ეჩვენებინათ, როგორ უნდა ემოქმედა ხალხს "აღთქმული მიზნის" მისაღწევად.

"კოლხეთის ცისკარი" ასეთ რომანთა რიცხვს განეკუთვნება. ამიტომაცაა, რომ იგი უკვე უიმედოდ მოძველდა.

ვნახოთ, როგორ ესმის მის ავტორს კოლექტივიზაცია და რატომ "განაკულაკებს" გლეხებს.

აკაკი ბაქრაძე წერს ("მნათობი", №3, 1987 წ.) – როცა მექი ვაშაკიძემ საგანელიძეების ოჯახი გაძარცვა (იმას, რაც მექიმ გააკეთა, სხვა სახელი არ ჰქვია, და სიტყვა "გაძარცვა" მკითხველს ნუ გააკვირვებსო, დასძენს ავტორი), მათი ავლადიდება ერთ პატარა ურემზე თუ დაეტეოდა. საგანელიძეს ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები ჰქონდა და მეტი არაფერი. "იქნებ ეს მცირე ქონებაც ბარნაბა საგანელიძემ სხვას წაართვა ან უნამუსო გზით იშოვნა და ამდენად, ასე თუ ისე, სამართლიანად ჩაითვლება, თუ მასაც ჩამოართმევენ? არა, ბარნაბა მუშაკაცი იყო და რაც ჰქონდა, ყველაფერი მწარე და მძიმე შრომით იყო შეძენილი". ამას არც თვით რომანის ავტორი უარყოფს – "ოცდასამი წელიწადი გავიდა ქეიფში არ გაუთენებია, ძილში არ დაუდამებია, არც ქალის კაბას გამობმია. მიწის რჯული დროის ტარებას უკრძალავდა".

თუ ასეა, რამ აიძულა ავტორი, ასე რომ აუწიოკა ოჯახი, "განაკულაკა" და გაძარცვა? იმან, რომ ეს იყო კოლექტივიზაციის იდეოლოგიური შეკვეთა, "კლასობრივი ბრძოლის გამწვავების" თეორიის სტანდარტი. მოკლედ, არსებობდა ნორმა და ნაწარმოებებიც მხოლოდ ამ ნორმებით უნდა შესრულებულიყო. ასეთი მოთხოვნით იწერებოდა პავლიკ მოროზოვზე (რომელმაც მშობელი მამა დააბეზღა პურის გადამალვისათვის). იგივე სტანდარტით იღებდნენ ფილმებს, რომლებშიც შვილი მამას მტრობდა, ძმა-დას, მიჯნური-მიჯნურს.

ახლახან ცენტრალური ტელევიზიით კელავ აჩვენეს ძველი ფილმი "ორმოცდამეერთე". წითელარმიელი ქალიშვილი ჰკლავს საყვარელ ადამიანს იმის გამო, რომ თეთრგვარდიელია. მას "კლასობრივი მოსასრებები" არ აძლევს უფლებას დაინდოს იგი.

"მექი ვაშაკიძეს არ განუცდია არც კაცის მოკვლა და არც საყვარელი ქალის ოჯახის გაძარცვა. პირიქით, თავი გალაღებულად იგრძნო და დიდი კმაყოფილებით დაბრუნდა სოფელში" (ა.ბაქრაძე).

დღეს, როცა პროლეტარული მწერლობისაგან განსხვავებით, ბევრი რომანი აღარ იწერება "სოციალისტური რეალიზმის" დოგმატური სტანდარტებით, წინ წამოიწია გმირის არა კლასობრივმა, არამედ ზნეობრივმა მხარემ. ჩ.აითმატოვის "საჯალათო კუნძში" ქართველი ბოლშევიკი, მას შემდეგ, რაც მოტყუებით დახოცავს კლასობრივ მტრებს, თავს იკლავს. ესაა ადამიანის ტრაგედია, კონფლიქტი ზნეობრივს, სოგადად ადამიანურსა და კლასობრივს შორის, ესაა სინდისის ქენჯნა, რომელსაც არც მექი ვაშაკიძე, არც პავლიკ მოროზოვი და არც საკუთარი სატრფოს მკველი წითელარმიელი ქალიშვილი არ განიცდიდნენ.

ახლა კელავ დავუბრუნდეთ პროფესორ ტ.კვანჭილაშვილის წერილს. მასში ნათქვამია: "გვადი ბიგვას" შეფასებისას, მისი მთავარი გმირის გაგებისას, ერთადერთი კრიტერიუმი უნდა მოვიმარჯვოთ. ეს არის სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მოთხოვნები, რადგან სწორედ ეს მეთოდი უდევს საფუძვლად არა მარტო ამ რომანის შექმნას, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს ნაწილსაც. უამმეთოდოდ "გვადი ბიგვას" ვერ გავიგებთ".

შემდეგ ავტორი ახასიათებს "სოციალისტური რეალიზმის" ძირითად ნიშნებს და ასკვნის: "გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვისაც "გვადი ბიგვასა" და მისი პერსონაჟების მიმართ რაიმე უარყოფითი დამოკიდებულება უნდება, მას მთელი სიგრძითა და სიგანით არა აქვს გააზრებული ეს მეთოდი, მისი მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში".

რა გამოდის? თურმე სინამდვილის არარეალური ასახვა ავტორების კი არა, იმ მეთოდის ბრალი ყოფილა, რითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ, ჯერ ერთი, "სოციალისტური რეალიზმი" არ იყო ერთადერთი მეთოდი, რომლითაც შეიძლებოდა ცხოვრების ასახვა. (მ.ბულგაკოვს, ა.პლატონოვს და მრავალ სხვა მწერალს არ მიუმართავს ამ მეთოდისათვის). მეორეც, მაგალითად, მიხეილ შოლოხოვისათვის ამას არ შეუშლია ხელი ჭეშმარიტად რეალისტური ნაწარმოების "წყნარი დონის" შექმნაში.

შარშან ა.ფადეევზე გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მისი თვითმკვლელობის მიზეზად "პიროვნების კულტის" მხილებასთან ერთად, მის შემოქმედებით წარუმატებლობასაც მიიჩნევენ. იგი მიხვდა,

თუ რაოდენი დრო დაუკარგავს ფუჭი საქმისათვის. დაწყებული რომანის "შავი მეტალურგიის" კონცეფცია გამოგონილი, არარეალური აღმოჩნდა.

ვოლტერი ამბობდა: ღმერთი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უნდა გამოგვეგონაო... არჩილ ფორიაც რომ არ ყოფილიყო, ლეო ქიაჩელს იგი უნდა გამოეგონა, რადგან აუცილებლად იყო საჭირო ისეთი გმირი, რომელიც ტარიელ კვანჭილაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, "კოლმეურნეობაში გაიძვერობით შემძვრალა და მას შიგნიდან უთხრის საძირკველს... როგორც კლასობრივი მტერი".

თუ არა ასეთი გმირები, როგორ უნდა დაერწმუნებინათ ხალხი, რომ ქვეყანა "მავნებლებით" იყო სავსე, რომ ისინი შემძვრალან კოლმეურნეობაში, პარტიაში, არმიაში, მეცნიერებაში; თესავენ მოწამლულ სიმინდს, გაჰყავთ გვირაბი "ბომბეიდან ლონდონამდე", იგონებენ რაღაც გენეტიკასა და კიბერნეტიკას, ქმნიან "შემარცხენე ტროცკისტულ დაჯგუფებებს". "იმპერიალიზმის აგენტები" კი ჯაშუშობენ გერმანიის და იაპონიის სასარგებლოდ.

ახლა ლიტერატურულ პრესაში თამამად იწერება, რომ "სოციალისტური რეალიზმი" წარმოიშვა როგორც უპირატესად პოლიტიკური ცნება, რომელმაც შემდგომ მკაცრად ნორმატული ფორმა მიიღო. ბევრს მიაჩნია, რომ ეს თეორია, რომელიც ჩამოყალიბდა ე.წ. "კლასობრიული ბრძოლის გამწვავების" პერიოდში, დამოკიდებული იყო პოლიტიკურ იდეოლოგიაზე და ამიტომაც ნორმებიდან გადახრა დანაშაულად ითვლებოდა.

ასეთი სტანდარტებით დაწერილ "საგმირო" რომანებში ასახული ცხოვრების სურნელით ტკბობა და ამ ცხოვრების გამოცხადება "მიღწეად" არის სულიერი ალკოჰოლიზმის ნაირსახეობა.

"მონანიებაში" აბელ არავიძე ერთადერთი არგუმენტით ამართლებს მამამისის საქციელს – "დრო იყო ასეთი". დღეს ეს მოარული ფრაზა ზოგიერთმა საფუძვლად დაუდო "განსაკუთრებულ, საგანგებო პირობებში ავტორიტარული მმართველობის აუცილებლობის თეორიას". ჩვენს პრესაში გამოჩნდა მოსაზრება, რომლის თანახმად სტალინიზმი იყო მართვის სისტემა განსაკუთრებულ, საგანგებო პირობებში. ექსტრემალური ვითარება იყო, – ამბობენ ისინი, და ამიტომ გახდა საჭირო ავტორიტარული სისტემის შექმნა. შეიქმნა კიდეც. სტალინიზმი, როგორც განსაკუთრებული ავტორიტარული მმართველობა, ისტორიული აუცილებლობა იყო, გარდუვალი და კანონზომიერი. ამ სისტემას უნდა ვუმადლოდეთ რომ გადავრჩით, როგორც ქვეყანა და როგორც სოციალისტური სისტემა. ასეთია ამ "თეორიის" შინაარსი, რომელიც ჩვენი "გადარჩენის" ერთადერთ გზას ავტორიტარულ მმართველობაში ხედავს.

საგანგებო ვითარებაში მართვის სისტემის ეს თეორია ფაქტიურად არის განსაკუთრებული სიტუაციის აუცილებლობის გამარ-

თლება, მისი წარმოდგენა სოციალიზმის იდეალად, ნიმუშად.

ლენინმაც კი, როგორც კი გარემოებებმა მისცა საფუძველი, ჩვენი ცხოვრების მძიმე, მართლაც რომ განსაკუთრებულ პერიოდში, უკვე უარი თქვა ადმინისტრაციული მართვის, "საიხედრო კომუნიზმის" პოლიტიკაზე. ნეპი ნიშნავდა ძალისმიერი მართვის მეთოდების უარყოფას. ეს იყო თავისებური რევოლუცია ეკონომიკურ აზროვნებაში, პირველი დიდი ნაბიჯი ადმინისტრაციული, ყაზარმული სოციალიზმისგან თავის დასაღწევად.

ჩვენ ობიექტურად ვერასოდეს გავიგებთ "პიროვნების კულტის" წარმოშობის მიზეზებს და ვერ დავძლევთ მას საბოლოოდ, თუ მთელი სიღრმით არ შევისწავლეთ მართვის ავტორიტარული სისტემა, თუ ვერ გავერკვიეთ, რატომ გაჩნდა იგი და მართლაც აუცილებლობით იყო გამოწვეული თუ შემთხვევითობით.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსი წერდა: "რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ იმ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელება რელიგიაა". თუ ამ სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენთ, შეიძლება ვთქვათ: "პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ იმ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელება არის პიროვნების კულტი". რომელ სამყაროზეა საუბარი? ეს იყო ბიუროკრატიული სამყარო ხალხისაგან, საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ხელისუფლებით, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკით, "ხალხის მტრებით", "დიდი და პატარა ბელადებით" და უთვალავი "სამუშაო ძალით".

ამიტომაცაა არასწორი პიროვნების კულტის ახსნა მხოლოდ სტალინის პიროვნული თვისებებით (თუმცა, არც სუბიექტური ფაქტორების 'უგულებელყოფა იქნება მართებული). არც ერთ ადამიანს, რაგინდ დიდიც უნდა იყოს, არ შეუძლია გადამწყვეტად იმოქმედოს მოვლენებზე ამა თუ იმ სოციალურ ძალებზე დაყრდნობის გარეშე. სტალინიზმის საყრდენი იყო ახლად წარმოშობილი პარტიული და სახელმწიფო ბიუროკრატია, რომელიც "ძლიერ პიროვნებაში" ხედავდა თავისი პრივილეგიური მდგომარეობის საიმედო დამცველს. სტალინი დრომ კი არ მოითხოვა, არამედ ადმინისტრაციულმა ეკონომიკურმა სისტემამ და არადემოკრატიულმა პოლიტიკურმა მექანიზმმა, სოციალიზმის ძალისმიერი მეთოდებით აშენების იდეოლოგიამ. სტალინი რომ მექანიზმის პირმშოა, ეს დღესავით ნათელია. არის თუ არა თვით ეს მექანიზმი სტალინის მიერ შექმნილი – ეს გაცილებით რთული საკითხია. თუმცა, ამაში მისი "დამსახურებაც" რომ არაა უმნიშვნელო, ესეც ფაქტია. ეს პრობლემა დიალექტიკურ გააზრებას საჭიროებს.

სანამ იარსებებს ამგვარი მექანიზმი, იარსებებენ "ბელადები" (თუნდაც იგივე ხრუშჩოვები და ბრეჟნევები), ოღონდ უფრო ლიბერა-

ლები, იმისდა მიხედვით, როგორია ქვეყანაში დემოკრატიზაციის დონე. სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია, საერთაშორისო ატმოსფერო. თუ წინათ იყო "დიდი ბელადი", შემდეგ კი მოდიოდნენ პირველი რანგის "დარგობრივი ბელადები": ეროშილოვი – წითელი არმიის ბელადი, ორჯონიკიძე – მძიმე მრეწველობის ბელადი, მიკოიანი – მსუბუქი მრეწველობის ბელადი, კაგანოვიჩი – ტრანსპორტის ბელადი და ასე შემდეგ, "უძრაობის პერიოდში" და ცოტა უფრო ადრეც კლასიფიკაცია რეგიონალური ნიშნებით წარიმართა. თუ ბრეჟნევი "დიდი ბელადი და მასწაულებელი" იყო, უსბეკეთში, ყაზახეთში, მოლდავეთში და სხვაგანაც თავისი "რეგიონალური ბელადები" ჰყავდათ. "ლიტერატურნაია გაზეტაში" ახლახან სოფლის ბელადიც ვიხილეთ – ადილოვი, რომელსაც საკუთარი საპატიმროც კი ჰქონია.

ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის კანონებით წარმოშობილი იერარქიული "ბელადიზმი" ქვეყნის ეკონომიკის გაძღოლის ერთადერთი ფორმა იყო. იგი ყველა პირობებში ბადებდა ერთმმართველობას, მლიქნელობას და მაფიასაც კი, რომელშიც იერარქიის უმაღლესი საფეხურებზე მდგომნიც იყვნენ გარეული.

ადმინისტრაციული სისტემის ბრწყინვალე ანალიზი მოგვცა ცნობილმა ეკონომისტმა, პროფესორმა გავრილ პოპოვმა ალექსანდრე ბეკის რომანის "ახალი დანიშენის" რეცენზიაში (ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ ნაწარმოებმა დაწერიდან 34 წლის შემდეგ იხილა დღის სინათლე)... მეცნიერმა რომანის მაგალითზე ნათლად დაგვანახვა ამ სისტემის ძირითადი ნიშნები. ერთ-ერთს მან "ბერიას სინდრომი" უწოდა.

მბრძანებლურმა სისტემამ რომ იმოქმედოს, მას სჭირდება ბერია. "ბერიას და ონისიმოვის (რომანის გმირის, მსხვილი სამეურნეო მუშაკის – რ.გ.) პირად მტრობაშიც კი დამალულია ერთი მნიშვნელოვანი რამ – ხელმძღვანელობის მექანიზმისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანი... ონისიმოვი საჭიროებს ბერიას. როცა მას არ გააჩნია მატერიალური და მორალური სტიმულირების საკმარისი ბერკეტები, იგი ეფექტიანად უძღვება თავის ხელქვეითებს იმიტომაც, რომ მუდამ გრძნობს საკუთარ თავზე აღმართულ "ბერიას ხელს". გამოდის, რომ ადმინისტრაციული სისტემის შინაგანი ლოგიკა საჭიროებს შიშის ქვესისტემას, "ხემდგომთა იმგვარ უფლებებს, როცა შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში მოისროლონ ქვემდგომნი ყოველგვარი მიზეზისა და განმარტების გარეშე".

"ბელადიზმის" მოსპობა მხოლოდ ადმინისტრაციული სისტემის განადგურებით შეიძლება. წინა რეფორმებმა ეს იმიტომ ვერ შეძლეს და საქმეც იმიტომ ჩაიშალა, რომ ხსნას თვით მბრძანებლურ მექანიზმში ხედავდნენ. იმ ძველმოდური ექიმივით, რომელიც ყველა დაავადების მიზეზს ღვიძლის მდგომარეობით ხსნიდა, ჩვენც წლების

განმავლობაში თავგამოდებით ვამტკიცებთ, რომ ყველაფრის თავი და თავი დისციპლინაა. დისციპლინის, ანუ უფრო ფართო გაგებით, ადმინისტრაციული წესრიგის დამყარება იყო არა მარტო ეკონომიკური, არამედ მთელი საზოგადოების მექანიზმის გამოჯანმრთელების წამალი.

ბრმა რწმენამ დისციპლინისადმი ახლებურად იფეთქა ოთხმოციანი წლების დასაწყისში. ყველას კარგად გვახსოვს ის დრო, როცა ჩვენი პრესა, ტელევიზია, მილიცია მონდომებით დასდევდა ქუჩაში, მაღაზიებში, რესტორნებსა თუ კინოთეატრებში "უდროო დროს" მოსიარულეთ. ისეთი კურიოზული შემთხვევის მომსწრეც ვყოფილვართ, როცა კინოსეანსის ჩატარებაც კი შეუწყვეტიათ "დისციპლინის დამრღვევთა" გამოსაელენად.

მოკლედ ყველა ჩვენი უბედურება დისციპლინის დარღვევით აიხსნებოდა!

კინოს ხსენებაზე: მხატვრულ ფილმებში დისციპლინებული ადმინისტრაციული მუშაკების კულტი იყო გამეფებული, რომელთაც ყოველმხრივ რეკლამას უკეთებდნენ. მათ ყველაფერი შეეძლოთ, ისიც კი, რაც არასოდეს ესწავლათ. არც სპეციალური განათლება, არც სამეურნეო საქმიანობის დიდი გამოცდილება არ იყო საჭირო. მთავარია, კარგი ორგანიზატორი ყოფილიყო, თორემ აგრონომიასა და ფინანსებს რაიონის ბიბლიოთეკაშიც ისწავლიდა კაცი ერთ კვირაში.

ასეთი ხელმძღვანელები მალე გვარწმუნებდნენ, რომ ტოლი არ ჰყავდათ, რომ მხოლოდ მათ გამჭრიახობაზე და ენერგიულობაზე იყო დამოკიდებული ამ მხარის ბედი. ფილმის დასასრულს კი, როგორც წესი, ჩვენი გმირი ამ მხარეს ააყვავებდა და "ზემოთ" წავიდოდა.

ამ ფილმებს ასეთი იდეა აქვთ: რა საჭიროა დემოკრატია, როცა გმირს შეუძლია პასუხი გასცეს ყველა კითხვაზე, მიიღოს უშეცდომო გადაწყვეტილება. ან რა საჭიროა ეფექტური სამეურნეო მექანიზმის შექმნა, როცა "ორგანიზაციული გადაწყვეტილებებითაც" ადვილად შეიძლება ყველაფრის მოგვარება.

ასეთი "რაიონული მასშტაბის ბელადებს" თუნდაც მათი პატიოსნების, ენერგიულობის და ნიჭიერების მიუხედავად ვერ გაუგიათ, რომ, თუ მათი მოქმედება ეკონომიკური სტრატეგიით არაა გამაგრებული, თუ არ არსებობს გარკვეული მეცნიერული კონცეფცია, ვერც მხარეს ააღორძინებს და ვერც საქმოსნებს გაუმკლავდებიან, რადგან საქმოსნობა არსებული მექანიზმის ატრიბუტია და არა "ნეგატიური მოვლენა" ან "დისციპლინის" დარღვევა.

"ხეცის კრიტიკა მიწის კრიტიკად უნდა იქცეს", წერს მარქსი.

კულტის კრიტიკა ამ კულტის წარმომშობი მექანიზმის კრიტიკად უნდა იქცეს, რადგან ახლა კრიტიკიდან საქმეზე გადასვლაა აუცილებელი. ძველი ადმინისტრაციული სისტემის არსის განმარტებიდან მის მსხვრევაზე გადასვლაა საჭირო.

გარდაქმნის ბედს გადაწყვეტს, უპირველეს ყოვლისა, ის რომ მბრძანებლური მართვის სისტემის მომხრეებმა კვლავინდებურად ვერ მოახერხონ, მისი ბიუროკრატიული არტახებით შებოჭვა.

თუ ახლანდელი რეფორმაც ძველებურად "დაეაკომპლექსეთ" იდეური საფრთხობელათი, ვიწუწუნებთ "კაპიტალიზმის რესტავრაციაზე", თუ ვერ დავინახეთ გარდაქმნის მოწინააღმდეგეთა იდეოლოგიური შეტევის ძირითადი მიმართულება, მაშინ ისტორია შეიძლება კვლავაც განმეორდეს.

დღეს ჩვენ ყველაზე მეტად გეჭირდება სიმართლე. იმ მილიონ სამასი ათასი ერთეული სახელმწიფო არქივის მასალებიდან დღეისათვის 700 ათასი უკვე გამომზეურდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დანარჩენებიც მალე იხილავენ დღის სინათლეს. ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით. ამიტომაცაა დღეს მეცნიერების წმიდათაწმინდა ვალი, უთხრას ხალხს სიმართლე, მოიცილოს მედროვე იდეოლოგების მიერ შექმნილი მითები.

ვინმემ შეიძლება თქვას — არ ვიცოდით, ბატონო, სიმართლე და ამიტომ ვქმნიდითო მითებს. თანაც, ხალხური ანდაზაც მოიშველიოს: "არცოდნა არცოდვააო". სწორი ბრძანდებით, მაგრამ თუ სიმართლე არ იცოდით, იმას მაინც რა გრჯიდათ, ტყუილები გეწერათ?

სანამ ის "ვინმე" განგაშს ატეხდეს, წარსულის შეურაცხყოფას და აწმყოს შეუფასებლობას დამწამებდეს და რიტორიკულად მკითხავდეს "განა კავის რუსეთის კოსმოსში გასვლა არ არის ჩვენი წარმატებაო", ბარემ იქვე ვიტყვი: დიახ, გვქონდა წარმატებები და მნიშვნელოვანიც. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო "1913 წელთან შედარებით", ზრდას კი დიალექტიკურად უნდა მიეუდგეთ. გავიხედ-გამოვიხედოთ, მეზობლებსაც შეეხედოთ, მტერსაც და მოყვარესაც. ისიც შევნიშნოთ, რომ თურმე არც სხვები ტკეპნიდნენ ადგილს. თუ ბევრ რამეში ჩვენი წარმატებები მართლაც უდავოა, ნურც ნაკლსე დავხუჭავთ თვალს. ისიც უნდა ვალიაროთ, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან მეფისდროინდელი რუსეთის ჩამორჩენა ზოგ სფეროში ჯერ კიდევ იმავე პროპორციებით არის შენარჩუნებული. ახლახან ცენტრალური ტელეეიზიით მოვისმინე ერთ-ერთი ავტორიტეტული მეცნიერის სიტყვები: დღეს სამედიცინო მომსახურების დონით ისევე ჩამოვრჩებით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, როგორც თავის დროზე მეფის რუსეთი ჩამორჩებოდაო.

წლების განმავლობაში, ჩვენ არ ვაქვეყნებდით ქვეყანაში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელს. თურმე, სიცოცხლის ხანგრძლივობით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ განვითარებულ ქვეყნებს შორის.

რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან სოციალურ მაჩვენებელს, ბავშვთა სიკვდილიანობას, ჩვენი ქვეყანა 50-ე ადგილზეა მსოფლიოში

და ისეთი ქვეყნებიც კი გვისწრებენ, როგორიცაა ბარბადოსი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა. მაგალითად, თურქმენეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა და მასზე უარესი მდგომარეობა მხოლოდ ნიგერიაში, ფილიპინებში, ანგოლაში, ჩადსა და კიდევ ოთხ სხვა სახელმწიფოშია.

ცნობილი მწერალი, მაქს ფრიში ჩვენზე წერდა: "რადგან ისინი ყველაფერ დადებითს უმალვე სისტემას მიაწერენ, კაცი ადვილად ვარდება უკიდურესობაში და ყოველივე უარყოფითს ასევე სისტემას აბრალებენ".

ასე რომ, როცა წარმატებებს ვახსენებთ, ცოტა თავშეკავებაა საჭირო... თანაც არც წარუმატებლობებზე უნდა დავხუჭოთ თვალი, თორემ იმ კულტურისტს დაევმსგავსებით, რომელიც მხოლოდ საკუთარი კუნთების გამაგრებაში აღწევს "წარმატებებს" და ავიწყდება, რომ ადამიანი მარტო მკლავები კი არ არის, არამედ თავიც და, მაპატიეთ, კუჭიც.

ჯერჯერობით ზოგნი დუმილს არჩევენ. "დუმილი ოქროა", ალბათ, ამას გულისხმობენ. თუმცა ისიც უთქვამთ, "ზოგჯერ თქმა სჯობსო"... ჩვენ კელავინდებურად ვფრთხილობთ. ალბათ იმიტომ, რომ ბოლომდე ვერ გაკრეულვართ, საით შეიძლება დაუბეროს ქარმა. კარგია, როცა ადამიანი ქარსაყოლილი არაა, მტკიცედ დგას თავის პოზიციებზე და შეუძლია თქვას "აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძსო". მაგრამ ვაი, რომ ყოველთვის არ ვდგავართ, როგორც გალაკტიონი იტყოდა "იქ, სადაც ქარიშხალია".

ივნისი. 1986 წ.

ისევ დროე განსაჯოს

რამდენად რეალურია მომავალში რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ ყოვლისა უნდა გავარკვიოთ, რას ეგულისხმობთ მასში, რაზეა საუბარი, როცა ვამბობთ, რომ 1990 წლიდან გათვალისწინებულია ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სვერდლოვსკის ოლქისა და ქალაქ მოსკოვის ამ პრინციპებით მუშაობაზე გადაყვანა.

ამეამად, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ბალტიისპირეთის თითოეულმა რესპუბლიკამ თავისი მოდელი შეიმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მათ მრავალი მსგავსი პრინციპი აქვთ, რაც შემდგომ იმაში გამოიხატა, რომ გამოქვეყნდა სამივე რესპუბლიკის მიერ შეთანხმებული რეგიონული სამეურნეო ანგარიშის ძირითადი დებულებები. მის შინაარსს ნაწილობრივ გაეცანით რესპუბლიკური პრესის პუბლიკაციებში, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთმა იგი მთლიანად გადმობეჭდა.

გარდა ბალტიისპირული მოდელისა, არსებობს სამეურნეო ანგარიშის ეგრეთ წოდებული "მოსკოვური" ვარიანტებიც. მათგან ერთ-ერთია ის ვარიანტი, რომელიც შეიმუშავა დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის კომისიის სამეცნიერო სექციამ (ხელმძღვანელი - აკადემიკოსი ა. აგანბეგიანი). ამ დოკუმენტს ეწოდება "რეკომენდაციები მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოების საკითხებზე". არსებობს აგრეთვე სხვა მოდელებიც, მათ შორის სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს კონცეფციაც, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა "ეკონომიჩესკაია გაზეტას" 44-ე ნომერში (მინისტრის მოადგილის ვ.პანსკოვის წერილი).

ორიოდე სიტყვით ამ კონცეფციებზე. ბალტიისპირული მოდელი ითვალისწინებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახის სიმდიდრის მის საკუთრებაში გადაცემას, რაც თავისთავად გულისხმობს საკავშირო დაქვემდებარების გაუქმებასაც. ხელისუფლების საკავშირო ორგანოებს რჩებათ მხოლოდ საერთო- საკავშირო მასშტაბის ფუნქციების განხორციელების უფლება (ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა, საგარეო პოლიტიკა და სხვა), რისთვისაც მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა გადარიცხონ საკავშირო ბიუჯეტში განსაზღვრული ოდენობის თანხა. ეკონომიკური საქმიანობის სხვა დანარჩენ საკითხებს რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს. კონკრეტულად ჩამოთვლას არ შევუდგებით, რადგან, როგორც ვთქვი, მათ უკვე ნაწილობრივ მაინც გაეცანით პრესაში.

რაც შეეხება დანარჩენ კონცეფციებს, ისინი ძირითადად

ერთმანეთს ემთხვევა. ამ კონცეფციების მიხედვით, მისანშეწონლადაა მინნეული საერთო-სახალხო საკუთრების რესპუბლიკათა საკუთრებად დანაწევრება. ასევე გაუმართლებლად არის ჩათვლილი, რომ რესპუბლიკებს გადაეცეთ ისეთი საკითხების გადაწყვეტის უფლება, როგორიცაა ფასებისა და ტარიფების დაწესება, საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკის რეგულირება და ა.შ.

მაინც რომელ მოდელსაა საუბარი, როცა ვამბობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რესპუბლიკები და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები გადადიან სამეურნეო ანგარიშს? სწორედ ესაა გაუგებრობის მიზეზი. ბრალი ჩვენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც მიუძღვით. მე-19 საკავშირო კონფერენციიდან მოყოლებული, როცა დაისახა ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციის კურსი, ჩვენს პრესაში ამ საკითხებზე ბოლო ხანებამდე არაფერი დაბეჭდილა. ამიტომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს რესპუბლიკები ხვალვე გადადიოდნენ ე.წ. ბალტიისპირულ მოდელზე და ისინი ფაქტობრივად დამოუკიდებელნი ხდებოდნენ. ჩემი აზრით, ეს კონცეფცია ძალზე პოზიტიურია, მაგრამ მასზე გადასვლა მოითხოვს ეტაპობრივ პროცესს. ამჟამად კი საუბარია რესპუბლიკათა თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის იმ მოდელზე, რომელსაც ნაკლები კავშირი აქვს ბალტიისპირულ მოდელთან. იგი გულისხმობს ნაწილობრივ საბიუჯეტო დამოუკიდებლობას და არა იმას, რასაც რესპუბლიკათა ეკონომიკური სუვერენიტეტი ჰქვია.

ვნახოთ, რა ძირითად პრინციპებზეა აგებული ის მოდელი, რომელზეც საეარაუდოა რესპუბლიკების გადასვლა.

· ამ კონცეფციით, პრაქტიკაში სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის დანერგვა უნდა იწყებოდეს არა მოკავშირე რესპუბლიკათა დონიდან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციული რაიონიდან (ოლქიდან). რეგიონის კავშირი ზემდგომ ორგანოებთან და სხვადასხვა რანგის რეგიონებთან უნდა ექვემდებარებოდეს განსაზღვრულ პრინციპებს: ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება უნდა მოხდეს გრძელვადიანი სტაბილური ნორმატივების საფუძველზე. რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმომ, მოგებიდან ანარიცხების ნაწილი უნდა შეიტანოს ადგილობრივ ბიუჯეტში. რაც შეეხება რესპუბლიკის ბიუჯეტის ფორმირებას, გამსხვილებული სტაბილური ნორმატივებით უნდა დაიგეგმოს რესპუბლიკათა ხარჯები განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, მშენებლობაზე, საავტომობილო გზების შენახვასა და რემონტზე და სხვა.

აი ის მოდელი, რაზეც ალბათ გადავალენ ზემოთ ჩამოთვლილი რესპუბლიკები (შესაძლოა, ჩვენი რესპუბლიკაც) და ზოგიერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. ჩემი აზრით, რესპუბლიკის

მოსახლეობას თავის დროზე უნდა სცოდნოდა ეს, რათა საკუთარში გამქრალიყო ილუზია და მითქმა-მოთქმის საბაბი. მე პირადად გაცილებით პოზიტიურად მიმანნია ბალტიისპირული მოდელი, ვიდრე ეს უკანასკნელი. "მოსკოვურ" მოდელში ის იდეა, რომელიც რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშის ბალტიისპირულ კონცეფციაში იყო ჩადებული, ფაქტობრივად შეიცვალა რეგიონული სამეურნეო ანგარიშით. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთთანაა გათანაბრებული რესპუბლიკა, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, და ოლქი, რაიონი თუ სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.

საბჭოთა კავშირი არის ცალკეულ სახელმწიფოთა გაერთიანებული სახელმწიფო. ამიტომ, თუ მაგალითად, გორკის ოლქი ან სტავროპოლის მხარე თავისი ეკონომიკური პოტენციალით, ტერიტორიით, მოსახლეობის ოდენობით მეტია, ვიდრე ვთქვათ, ესტონეთი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები ერთნაირია. ამიტომ, როცა ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშზეა საუბარი, არ უნდა გავაიგივოთ რესპუბლიკა და რეგიონი.

მოკავშირე რესპუბლიკის სპეციფიკური სახელმწიფო - სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მისი დარგობრივი სტრუქტურა აშკარად განსხვავდება ოლქის ან სხვა სახის ტერიტორიული ერთეულის სტრუქტურისაგან. იგი შეხამებულია ეროვნული კულტურის, ყოფის, ტრადიციების თავისებურებებთან. გაცილებით ფართოა რესპუბლიკის ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციები. სხვაგვარია საზოგადოებრივი საკუთრების ფორმა რესპუბლიკაში, ვიდრე რეგიონში.

ამიტომ ის ფორმა, რითაც რესპუბლიკები უნდა გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე, სულ სხვაა, ვიდრე ის, რასაც რესპუბლიკათა ეკონომიკურ სუვერენიტეტის კონცეფცია ითვალისწინებს. თუმცა, იგი შეიძლება ჩაითვალოს რესპუბლიკათა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლის პირველ საფეხურად, გარდამავალი პერიოდის საწყის ფორმად.

ახლა უკვე შეიძლება გამოკვეთილად დავსვათ თავდაპირველი კითხვა: რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში რესპუბლიკის გადაყვანა სამეურნეო ანგარიშის თუნდაც ამ ძალზე შესღუდულ ვარიანტზე?

ამ მოდელზე, ე.ი. ბიუჯეტის ნორმატიული წესით ფორმირებაზე გადასვლა, ჩემი აზრით, შესაძლებელია ერთდროულად ყველა რესპუბლიკისათვის - იმ პირობით, თუ მათ დაუწესდებათ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების დიფერენცირებული ნორმატივები, ე.ი. მოხდება რესპუბლიკათა "სასტარტო" მდგომარეობის გამოთანაბრება.

გავიხსენოთ საწარმოთა თვითდაფინანსებაზე გადაყვანა! ჩვენ

რომ დაელოდებოდით იმას, სანამ ყველა საწარმო მოგებიანი გახდებოდა ან მათი რენტაბელობის დონეები გამოთანაბრდებოდა, ვერასოდეს ვერ გადავიდოდით საწარმოთა თვითდაფინანსებაზე. ფორსირებულად გადასვლა - კარგია თუ ცუდი, სხვა გზა მაინც არ იყო - რაღაცით ხომ უნდა დაწყებულიყო. ასეთივე ანალოგია შეიძლება გაეატარეთ რესპუბლიკების თვითდაფინანსებაზე.

ჩემი აზრით, რესპუბლიკათა თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად საჭიროა ყველა სახის სახსრები რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხოს და აქედან დაწესდეს სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივი, რომლითაც საკავშირო ბიუჯეტი მიიღებს სახსრებს. ამჟამად სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ამგვარი ნორმატივების დაწესება, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენ რომ დაველოდოთ იმას, თუ როდის გამოთანაბრდება რესპუბლიკათა ე.წ. "სასტარტო პოზიცია", ალბათ ბევრი წყალი ჩაივლის. ამიტომ, დაბალ და მაღალ რენტაბელურ საწარმოთა თვითდაფინანსებაზე ერთდროულად გადაყვანის მსგავსად, საკავშირო ფონდებში სახსრების ჩარიცხვის ნორმატივების განსაზღვრისას, რესპუბლიკათა განყითარების დონეებში ამჟამად არსებული განსხვავებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამიტომ, ეთქვათ, ესტონეთის, საქართველოს ან უზბეკეთის ნორმატივი თავდაპირველად დიფერენცირებული, ე.ი. განსხვავებული უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული წესით მთელი შემოსავლების ცენტრში თავმოყრა და მისი გადანაწილება რესპუბლიკაში საბოლოო სურათს არსებითად არ ცვლის, ის გაცილებით მიზანშეწონილია, ვიდრე ამჟამინდელი საბიუჯეტო მექანიზმი, რადგან იგი აამაღლებს რესპუბლიკების დაინტერესებასა და პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ცალკეული ტერიტორიულ – ადმინისტრაციული ერთეულების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას, ეს იმ რესპუბლიკის კომპეტენციაში უნდა შევიდეს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მათი სამეურნეო საქმიანობის შეფარდებითი დამოუკიდებლობა უნდა მოქმედებდეს რაიონის, ოლქისა თუ სხვა სახის ტერიტორიული წარმონაქმნის პოლიტიკური კომპეტენციის ფარგლებში.

რესპუბლიკის შემადგენელი ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასახადების ნორმატივების ოდენობას უნდა ადგენდეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხოლო რესპუბლიკიდან საკავშირო ბიუჯეტში გადასახადის ნორმატივი უნდა დააწესოს ერთობლივად სსრ კავშირისა და რესპუბლიკის საბიუჯეტო კომისიამ. შემდეგში, სრულ თვითმმართველობაზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის კვალობაზე უნდა დაწესდეს ერთიანი ნორმატივები ყველა რესპუბლიკისათვის და თანდათან შეიზღუდოს ერთმანეთისათვის უნაცვალგებო დახმარება.

სახსრების გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ სესხის სახით.

კიდევ ერთი საკითხი:

საკავშირო უწყებათა მონოპოლია რესპუბლიკური, ტერიტორიული მონოპოლიით რომ არ შეიცვალოს, აუცილებელია რეალური დამოუკიდებლობა მიეცეს ძირითად სამეურნეო რგოლს - საწარმოს. თვითმმართველობისა და თვითდაგეგმვის პრინციპი სინამდვილედ უნდა იქცეს. საწარმო არ უნდა ემორჩილებოდეს არც სამინისტროს და არც ტერიტორიული მართვის სხვა რაიმე ორგანოს. თუ შრომითი კოლექტივი იქნება საკუთრების მფლობელი (ან თუნდაც თანამესაკუთრე), მაშინ მართვის განსაზღვრული ფუნქციაც მას უნდა გადაეცეს. სამინისტროებმა ამოწურეს თავიანთი ფუნქციები. ორგანოს, რომელიც რესურსებს არ ქმნის, არ უნდა ჰქონდეს უფლება განაგებდეს მათ. საწარმოები თავად უნდა განაგებდნენ თავიანთ რესურსებს. ცენტრალიზაცია თანამედროვე წარმოებაში გარდაუვალია, მაგრამ ამას ადმინისტრაციული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. საწარმოები ნებაყოფლობით უნდა ერთიანდებოდნენ სააქციო საწარმოს, თუ სხვა მსგავსი სახის ნებაყოფლობითი წილობრივი გაერთიანებების ბაზაზე. მართვის ასეთი სისტემა ამჟამად ინერგება ბულგარეთში, სადაც გაუქმდა სამინისტროები და საწარმოები ნებაყოფლობით ერთიანდებიან ასოციაციებში.

ამრიგად, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის პირობებში, რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გადავიდეს საწარმოთა ნებაყოფლობით გაერთიანებებში. ასეთ შემთხვევაში კი შეიძლება მართვის ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის შეხამება.

ნოემბერი; 1988 წ.

რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა: ეითი თუ სინამდვილე

ორ საწინააღმდეგო მოსაზრებას შორის ჭეშმარიტება კი არ ძევს, არამედ პრობლემაო, უთქვამს ჰაინეს... ბოლო დროს არც ერთ ეკონომიკურ იდეას არ გამოუწვევია ასთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორც რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის ე.წ. "ეკონომიკური აუტონომიის" კონცეფციას. ზოგიერთი მასში ხედავს სვენი ეკონომიკის გამოჯანმრთელების რეცეპტს, ზოგიც ახალი დაავადების - "რეგიონული ეგოიზმის" ბაცილას. სხვანი თვლიან, რომ ჭეშმარიტება ამ მოსაზრებათა შუაშია. თუ დიდ პოეტს დაეუჯერებთ, მათ შორის პრობლემის გარდა არაფერი ყოფილა.

პრობლემა კი იმ რეალურ ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ეროვნულ წინააღმდეგობებშია, რომლებმაც შემდგომ რესპუბლიკათა ეკონომიკური სუვერენიტეტის იდეა შვა. იგი შეიძლება გახდეს უწყებრივი არტახებით ხელფეხშეკრული ჩვენი სახალხო მეურნეობის ამოძრავების საშუალება.

ბევრი პრობლემის მისაზი რომ უწყებრივი სენტრალიზაციაა, საიდუმლო რიდია. ფაქტობრივად, საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ხელშია რესპუბლიკების ეკონომიკური პოტენციალის უდიდესი ნაწილი. ცენტრალურ უწყებებში უსარმასარი მატერიალური და ფინანსური რესურსების თავმოყრამ, ადგილობრივი ინტერესების უგულებელყოფამ, მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა მეთოდებმა ქვეყანაში რთული ეკონომიკური სიტუაცია შექმნა.

უწყებრიობა მუდამ ეგოისტურია. იგი ცდილობს გადაჭრას მხოლოდ საკუთარი ამოცანები. მოქმედებს ისე, თითქოსდა მისი ინტერესების გარდა ამქვეყნად სხვა არაფერი არსებობდეს. გედის, კიბოსა და ქარიყლაპიას იგავისა არ იყოს, ყველა თავისაკენ ექანება ტვირთს, მაგრამ უშედეგოდ, ძერაც ვერ უქნიათ.

ჩვენ გამოვცადეთ სახალხო მეურნეობის მართვის სხვადასხვა სისტემა - დარგობრივიც, ტერიტორიულიც, მაგრამ მათი პრონციპების რაციონალური შერწყმის ამოცანა კვლავ დადგა დღის წესრიგში. ეს პრობლემა ვერ გადაჭრეს ვერც "ეგოისტმა" სამინისტროებმა, ვერც ხრუშჩოვისეულმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა. ახლა კვლავ აღმოვჩნდით დილემის წინაშე: როგორ შეიხლულოს უწყებრივი სიხარბე ისე, რომ კვლავ არ წარმოიშვას რეგიონული კარნაკეტილობა, როგორ შეიქმნას საკავშირო ორგანოების, სამინისტროების და უწყებების ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოებთან დამოკიდებულების ახალი, უფრო ეფექტიანი მექანიზმი?

თანამედროვე პირობებში, ნებისმიერი პროდუქციის წარმოება შეუძლებელია დარგთაშორისი კავშირების გარეშე. ნემსი რომ ნემსია, მის დასამზადებლადაც კი საჭიროა ნედლეულის მომპოვებლების, მეტალურგების, ლითონდამამუშავებლების, ბოლოს კი "ყუნწის-გამხერეტთა" ერთობლივი შრომა. ახლა წარმოვიდგინოთ, რანაირი ურთიერთობა მყარდება ავტომობილსა თუ ტრაქტორის წარმოებისას, როცა მათ შექმნაში უშუალოდ მონაწილეობს ასობით ქარხანა. მაგრამ პროდუქციის გამოსაშვებად მარტო საწარმოები არ კმარა. საჭიროა ბინებიც, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებიც, ტრანსპორტიც. როცა კონკრეტულ ტერიტორიაზე მართვის არც ერთ ორგანოს არ შესწევს სხვადასხვა დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა ინტერესების დაკავშირება, მრავალი საკითხის გადაჭრა პარტიულ ორგანოებს უხდებათ. მათ კი თავიანთი ფუნქციებით ეკონომიკის მართვასთან ნაკლები კავშირი აქვთ, შეუძლიათ მხოლოდ უწყებრივი ამბიციების დაცხრომა, დაძლევა კი - არა.

თვით ამჟამინდელმა ეკონომიკურმა ვითარებამ, ცხოვრებამ მიგვიყვანა სამეურნეო ანგარიშიანი ტერიტორიული სისტემების ცნებამდე. რეგიონის დაბალანსებული განვითარების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის დაბალანსებული განვითარება. მით უმეტეს, მრავალეროვანი ფედერაციული სტრუქტურის სახელმწიფოში, სადაც ძალზე ძნელია რესპუბლიკების კომპლექსური განვითარების ინტერესების უწყებათა ინტერესებთან დაკავშირება.

ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნა გულისხმობს მართვის ადმინისტრაციული სისტემიდან (სადაც დარგობრივი მიდგომაა გაბატონებული) ეკონომიკურზე გადასვლას, რომელიც სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზეა დაფუძნებული. იბადება კითხვა: შესაძლებელია კი სამეურნეო ანგარიში რეგიონში? ბევრი სპეციალისტის და მეცნიერის აზრით, არათუ შესაძლებელია, არამედ სასურველიც, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის კი აუცილებელიც. სამეურნეო ანგარიშის პირობებში რესპუბლიკამ მთლიანად უნდა აგოს პასუხი რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომ, მის განკარგულებაში უნდა იყოს საკუთარ ტერიტორიაზე არსებული მთელი ეკონომიკური პოტენციალი, მათ შორის საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებს დაქვემდებარებული საწარმოებიც. თუმცა, წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, მოდით, ჯერ ყველაზე მთავარი კითხვა დავსვათ:

რა არის რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში?

სამეურნეო ანგარიში ზოგადად გულისხმობს საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველანაირი დანახარჯების ანაზღაურებას მათივე შემოსავლებით. არსი ვლინდება მის ძირითად პრინციპებში - ესაა

თვითანასწორება და წარმოების რენტაბელობა, სამეურნეო დამოუკიდებლობა, მატერიალური დაინტერესება და პასუხისმგებლობა საკუთარი შრომის შედეგებით. მოკლედ, საკუთარი საჭიროებისათვის შეგიძლია დახარჯო მხოლოდ ის, რაც თავად შეგიქმნია. არავითარი დახმარება გარედან. სამაგიეროდ, არც არავითარი ჩარევა. რასაც გამოიმუშავებ, როგორც გინდა ისე ხარჯავ. ამგვარი პრინციპით შეიძლება იმუშაოს არა მარტო საწარმომ ან დარგმა, არამედ მთელმა რეგიონმაც, რესპუბლიკამაც.

რესპუბლიკის ეკონომიკური ავტონომია ზემოაღნიშნული პრინციპების მიხედვით შეიძლება ზოგადად ასე დავახასიათოთ: რესპუბლიკაში შექმნილი ეროვნული შემოსავალი ეკუთვნის მისსავე მოსახლეობას, გამოიყენება მისი ინტერესებისათვის, ესე იგი, ყველამ თავისი გარჯით უნდა ირჩინოს თავი.

რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველია მათი ეროვნული შემოსაკალი. ამიტომ თავდაპირველად აუცილებელია წარმოებული ეროვნული შემოსავლის ხუსტი ოდენობის დადგენა. უამისოდ ეკონომიკურ "ავტონომიაზე" ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ეკონომიკური კონტაქტები ამას ართულებს. ამ პრობლემას მრავალი მეცნიერის "ზუბი" შეემტვრა.

ცნობისათვის: ჩვენს რესპუბლიკაში რეგიონალურ ეკონომიკურ კვლევასა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, გაანგარიშებისა და გადანაწილების პრობლემებზე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ცნობილმა ეკონომისტმა, აკადემიკოსმა ვალერიან მელქაძემ. მისმა ალღომ ჯერ კიდევ 60-იან წლებში განჭვრიტა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მართალია მას რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის იდეა არ შემოუთავაზებია, მაგრამ, მისი კვლევის შინაგან ლოგიკას სწორედ ამ კონცეფციამდე მივყავართ. მან ერთ-ერთმა პირველმა დაგვანახა, რომ რესპუბლიკაში წარმოებული და მომხმარებელი ეროვნული შემოსავალი ტოლფარდი არ არის. აი, რას წერდა იგი: "რესპუბლიკათაშორისო სასაქონლო გაცვლის დროს ხორციელდება წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ტერიტორიული გადაადგილება. ერთ შემთხვევაში მათი ფასები ღირებულებაზე მაღალია, მეორე შემთხვევაში კი ღირებულება ჭარბობს ფასებს. ამას თან ახლავს შესაბამის რესპუბლიკაში, ერთმხრივ, გარკვეული ღირებულებების არაეკვივალენტური შემოსვლა, როცა საქონელი ნაყიდია ღირებულებაზე დაბალ ფასად და გაყიდულია ღირებულებაზე მაღალ ფასად და, მეორე მხრივ, ღირებულების არაეკვივალენტური "გაუონვა", როცა საქონელი გაიყიდა ღირებულებაზე დაბალ ფასად და ყიდულობენ ღირებულებაზე მაღალ ფასად".

ამ დებულებიდან გამომდინარე, ჩვენი საკვლევი პირველი პრობლემა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საერთო საკავშირო

დოვლათის შექმნაში ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის ხვედრითი წილის, მისი ოდენობის განსაზღვრისათვის საჭიროა გავარკვიოთ - პირველი, რა რაოდენობით "გაელინება" ან "შემოელინება" არაეკვივალენტური გაცვლის შედეგად სახსრები რესპუბლიკებს შორის და მეორე, უნდა დაწესდეს საქონელზე ობიექტური ფასები, რათა არ მოხდეს დოვლათის "გაუონვა" ერთი რესპუბლიკიდან მეორეში.

ეიცით თუ არა ამჟამად ფასების მექანიზმით გადანაწილებული ღირებულების ზუსტი ოდენობა? - აკადემიკოსი ვ.მელქაძე: "რაც შეეხება ფასების მეშვეობით ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას, გარკვეული ზომით მას ფარული ხასიათი აქვს და ამჟამად მისი ასე თუ ისე საიმედო რაოდენობრივი გაზომვა არ ხერხდება". გამოდის, რომ რესპუბლიკების მიერ მოხმარებული ეროვნული შემოსავალი შეიძლება არ იყოს იმდენი, რამდენიც მათ აწარმოეს. იგი მხოლოდ რეალიზებული ეროვნული შემოსავლის ჯამია. ეს უკანასკნელი პირველისაგან განსხვავდება სხვა რესპუბლიკებისათვის არაეკვივალენტურ საფუძველზე გადაცემული და მათგან მიღებული ღირებულების მასის სხვაობით.

რესპუბლიკებს შორის ამჟამად არსებული არაეკვივალენტური საქონელგაცვლის საკითხი დღეს კვლავ აქტუალურია. გაზეთ "სოვეტსკაია ესტონიაში" რესპუბლიკის სამეცნიერო ანგარიშის თაობაზე აკადემიკოსი მ.ბრონშტეინი აღნიშნავს: "რესპუბლიკის მოსახლეობაში უსიამოვნო გრძნობა გაჩნდა როცა გამოირკვა, რომ ჩვენ მეტს ველებულობთ საკავშირო ფონდიდან, ვიდრე ვაძლევთ მას. მაგრამ ჩვენმა უწყებებმა ისე "მოხერხებულად" აურიეს საქონლის რესპუბლიკათაშორისი ბრუნვა და ფასები, რომ სპეციალისტიც კი ვერ გაერკვეა ამ პრობლემაში. ერთი მეთოდით გაანგარიშებისას ჩვენ მეტს ვიღებთ, ვიდრე ვიძლევით, მეორეთი კი პირიქით". იმავე სიძნელეებზე წერდა ამ ოციოდე წლის წინათ აკადემიკოსი ე.მელქაძე, თუმცა, პრობლემის გადაჭრა დღემდე ვერ მოხერხდა.

ე.მელქაძის მიერ ერთ-ერთი არატრადიციული მეთოდით გაანგარიშებული რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 1965 წელს 12-16 პროცენტით აღემატებოდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მეთოდით გაანგარიშებულს, ხოლო სხვა მეთოდით - 26,8 პროცენტით. მაგრამ, რადგან მეცნიერს არც თავისი მეთოდი მიაჩნდა სრულყოფილად, გულწრფელად აღნიშნავდა, რომ ამ გაანგარიშებებს "აქვს ძალზე შეზღუდული მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება და ამიტომ მათი შედეგები უნდა გამოვიყენოთ ფრთხილად, შემოფარგლული მიზნით". თუმცა იგი დარწმუნებული იყო, რომ "რესპუბლიკის საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლისათვის იმ ნაწილის მიერთება, რომელიც ახლა მასში არ შედის და ოფიციალური აღრიცხვის სისტემის გარეშე დამოუკიდებელ ბრუნვას

ასრულებს, შესამჩნევად აამაღლებდა მისი ეკონომიკური განვითარების დონეს".

სამწუხაროდ, დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ზოგს არ აეჯვებს იმ მეთოდების სისწორე, რომელთა საფუძველზე იქმნება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. ამიტომაც ისინი მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკის მეთოდით გაანგარიშებულ ციფრებს ეყრდნობიან, როგორც ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციას.

ახლა მოვუსმინოთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს არნო კიორნას: "თუ ჩვენ ამჟამად შეეცდებით რესპუბლიკებში ეროვნული შემოსავლის წარმოებისა და განაწილების ეკონომიკურად უტყუარი სურათის მიღებას, რეალობისაგან ძალზე შორს აღმოჩნდებით, რადგან ფასები არარეალური და ეკონომიკურად დაუსაბუთებელია. რესპუბლიკათაშორისი საქონელგაცვლის ფულადი აღრიცხვა არ იძლევა ჭეშმარიტ სურათს, თუ ვის რამდენი გააქვს და შემოაქვს. ეროვნული შემოსავლის მოძრაობის აღრიცხვა იმდენად გართულებულია, რომ ჩვეულებრივი ეკონომისტი მასში ვერ ერკვევა".

სამივე მეცნიერის მოსაზრებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად ძალზე ძნელია ზუსტად იმის დადგენა, თუ როგორია ცალკეული რესპუბლიკების რეალური ხვედრითი წილი საერთო დოვლათის შექმნაში - ჩვენ ვეხმარებით სხვას, თუ პირიქით, როგორც ოფიციალური სტატისტიკა იუწყება, სხვები გვეხმარებიან.

რესპუბლიკათაშორის არაეკვივალენტური საქონელგაცვლის წარმოქმნაში ფასები მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია. სხვა მოვლენებიც ართულებენ ობიექტური სურათის დადგენას, რადგან ეროვნული შემოსაკლის რესპუბლიკათაშორის გადანაწილება ფასწარმოქმნის სისტემის გარდა, სხვა მრავალი ბერკეტითაც ხდება.

თუ არარეალური ფასებით შექმნილი არაეკვივალენტური გაცვლის ოდენობის სიზუსტის დადგენა ძნელია, არსებობს ფასის ისეთი ელემენტი, რომლის გადანაწილებითი ფუნქცია შეიძლება მეტ-ნაკლებად გაიზომოს. ესაა ბრუნვის გადასახადი. იგი ფასის ელემენტი და, მაშასადამე ეროვნული შემოსავლის ნაწილია. პრობლემა ისაა, რომ მისი წარმოებისა და რეალიზაციის ადგილი ტერიტორიულად დაშორებულია. ბრუნვის გადასახადის ჯამი, რაც ამოიღება სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციით, არ ემთხვევა იქიდან შემოტანილი საქონლის რეალიზაციით მიღებულ ბრუნვის გადასახადის ოდენობას. ამიტომ ეკონომისტთა უმეტესობის აზრით, ძალზე ძნელია რესპუბლიკის მიერ შექმნილი იმ დოვლათის რეალური ოდენობის აღრიცხვა, რომელიც ბრუნვის გადასახადით არის გადანაწილებული.

წარმოებული და გამოყენებული ეროვნული შემოსავალი თეორიულად მაშინაა ტოლი, როცა შემოტანილი და გატანილი

პროდუქციის ფასთა გადახრის ჯამი რაოდენობრივად ერთმანეთს ემთხვევა. ეს ეხება ბრუნვის გადასახადსაც, როცა შემოტანილი და გატანილი პროდუქციის რეალიზაციის დროს ბრუნვის გადასახადების ჯამი ტოლია. მაგალითად, თუ ჩვენს მიერ გატანილი ელმავლის, გემის, ჩარხის, მანგანუმისა და სხვა ნაწარმის ფასში არაა გათვალისწინებული მისი ღირებულების რაღაც ნაწილი, მაშინ ამ ნაწილის კომპენსაცია შეიძლება მოხდეს გატანილი საკონდიტრო ნაწარმის, ღვინის, ჩაის, თამბაქოს, ფეხსაცმლისა და სხვა პროდუქციის ღირებულებაზე ზევით დაწესებული ფასებით რეალიზაციის შედეგად. ასევე, როცა შემოგვაქვს ჩარხი, ამწე, ნავთობპროდუქტები და წარმოების სხვა საშუალებები, რომლებიც შეიძლება ღირებულებასე ნაკლებ ფასად შევიძინოთ, ამ შემთხვევაში ფასში გამოუხატავი ღირებულების ნაწილი უკანვე "გაყონავს" სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი ქსოვილის, ტანსაცმლის, ძეხვის, არყისა თუ სამომხმარებლო პროდუქციის ღირებულებასე ზევით დაწესებული ფასებით. მაგრამ ეს, როგორც ვთქვით, მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი. თეორიულად კი, მოგეხსენებათ, დედამიწის გადაბრუნებაც შეიძლება საყრდენი წერტილი რომ იყოს... პრაქტიკულად კი ღირებულებათა ტოლფასი გადაფარვა თითქმის შეუძლებელია.

ეს პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალურია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრისას, რადგან ვაწარმოებთ დიდძალ ისეთ პროდუქციას, რომელიც ბრუნვის გადასახადითაა დაბეგრილი. თანაც მისი დიდი ნაწილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყიდება.

ბრუნვის გადასახადი, რომელიც ცენტრალიზებული წესით ამოიღება რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებით მიღებული სამომხმარებლო და სასურსათო საქონლისგან, მხოლოდ ფასის ნამეტი კი არ არის, არამედ — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილი და შესყიდვის ფასის სრულად გამოუხატავი ღირებულება. ამიტომ, რესპუბლიკის გარეთ ამგვარი პროდუქციის რეალიზაციისას ჩვენს აგრარულ სექტორში შექმნილი ღირებულებაც გაედინება.

მოვიყვან ერთ მაგალითს. განა ნორმალურია, როცა ყურძნის შესასყიდი ფასი მართლაც რომ კაპიკებია, ღვინისა კი - რამდენიმე მანეთი? ღვინის რეალიზაციით მიღებული ბრუნვის გადასახადი ფასის ნამეტი კი არ არის, არამედ სოფლად, გლეხებისათვის გადაუხდელი ღირებულების ნაწილია. ამგვარი პოლიტიკის წყალობაა კახეთის სოფლებში "საზამთროს დიქტატურის" დამყარება. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება წარმოიქმნას ისეთი ეკონომიკური კურიოზი, როცა მევენახეობის მეურნეობები ზარალიანია, მათი პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოები კი მომგებიანი. როცა კილოგრამი

ყურძენი კიტრსე ნაკლები ღირს, აიღებს გლეხი ხელში წალდს, აბა, რას იზამს. ამაზე ირონიულად წერდა ამას წინათ "ლიტერატურული საქართველო": თურმე გურჯაანის რაიონში სოფლის კრებამ გადაწყვიტა, დღეიდან არც ერთი ნუმლაყელი ვაზს საავკაცოდ ხელს ნუღარ შეახებსო. თურმე, დღესაც კი სჯერა ზოგიერთ გულუბრყვილოს, რომ ვაზის აკაფვა მარტო გლეხის ნამუსზე იყოს - "ნეტარ არიან მორწმუნენი!"

ჩვენს რესპუბლიკაში დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გადაამუშავებენ. ამიტომ ზუსტად უნდა განისაზღვროს, ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი იქმნება სოფლის მეურნეობაში და რა - მრეწველობაში. ამჟამინდელი რეალური სურათი კი არ გვაქვს (თუ არ ჩავთვლით ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს).

აკადემიკოსმა ეტიხონოვმა "მოსკოვსკიე ნოვოსტის" ფურცლებზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. მისი გაანგარიშებით 1966-1978 წლებში კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან სახელმწიფოს ცენტრალიზებულ წმინდა შემოსავალში ფასებისა და ბრუნვის გადასახადის მექანიზმის მეშვეობით ყოველწლიურად გადაედინებოდა 44-დან 56 მილიარდამდე მანეთი. გარდა ამისა, სამრეწველო დარგებთან არაეკვივალენტური გაცვლის შედეგად მრეწველობაში ხვდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 9-12 მილიარდი მანეთი შემოსავალი. ანუ, ჩვენს აღრიცხვაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება ყოველწლიურად დაახლოებით 53-68 მილიარდი მანეთით იყო შემცირებული.

თუ გვინდა, რომ რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშს მეცნიერული საფუძველი ჰქონდეს, აუცილებელია განისაზღვროს ჩვენს სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქციის რეალური ღირებულების ოდენობა. ესეც რთული პრობლემაა. აქაც ყველა გზას რომში მივყავართ, ეს "რომი" კი ფასებია.

ახლა გავეცნოთ სახელმწიფოს "ყულაბას", ფულადი სახსრების ცენტრალიზებულ ფონდს (ცემს მხრივ დავძენდი - "დიდ ილუზიონისტს"), ქვეყანაში შექმნილი დოვლათის გამანაწილებელს, რომელსაც ეწოდება ბიუჯეტი.

ბიუჯეტი

იგი ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების კიდეე ერთი, ძირითადი საშუალებაა. რესპუბლიკების ბიუჯეტის ფორმირების არსებული მეთოდი ვერ პასუხობს ცალკეული რესპუბლიკის მიერ წარმოებული დოვლათის ობიექტური განაწილების მოთხოვნებს.

ამჟამად მოქმედი საბიუჯეტო სისტემა ერთობ რთულია, იგი ზედმეტად ცენტრალიზებულია. მთელი რესურსები თავს იყრის ჯერ ცენტრში, ხოლო შემდეგ ადმინისტრაციული წესით გადანაწილდება. სახსრების რესპუბლიკიდან ცენტრში და ცენტრიდან რესპუბლიკაში მოძრაობა მრავალ სირთულეს წარმოშობს, უფრო მოუქნელს ხდის ისედაც დუნე საბიუჯეტო სისტემას, აძლიერებს მასზე სუბიექტური ფაქტორის ზემოქმედებას.

სახსრების ცენტრალიზებული გადანაწილების ერთ-ერთი მომენტი გულისხმობს ცალკეული დარგებისა თუ რეგიონების დოტაციას. სწორედ ეს გახდა ბოლო დროს სხვადასხვა პრეტენზიის საბაბი. ერთნი ამბობენ - "ჩვენ თქვენ გაჭმევთო", მეორენი - "ჩვენ თქვენ გაცმევთო". მაინც, ვინ ვის არჩენს? მართლაც ეს, გამოსარკვევია, ოღონდ დაყვედრებისათვის კი არა, არამედ, გონივრული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ჩემი აზრით, მართალია ზოგიერთი რესპუბლიკა საკავშირო ბიუჯეტიდან იღებს სახსრებს, მაგრამ ეს ყოველთვის როდი შეიძლება ჩაითვალოს დოტაციად. ზემოთ ნაჩვენებ არაეკვივალენტურ გაცვლასა და ერთი რესპუბლიკიდან მეორეში სახსრების გადინებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები თავიანთი სახსრების უდიდეს ნაწილს ცენტრალიზებულ ფონდებში რიცხავენ. ამიტომაა, რომ თუ ზოგიერთი რესპუბლიკა უკანვე იღებს თავისივე დოლათის ნაწილს, ეს დოტაცია ან სხვის კმაყოფაზე ყოფნა კი არ არის, არამედ, ჩვენი საბიუჯეტო სისტემით წარმოქმნილი მირაჟი.

1985 წელს საქართველომ საკავშირო ბიუჯეტიდან მიიღო 364,6 მილიონი მანეთი, 1986 წელს - 698,3 მილიონი. ზოგიერთს ეს უმართებულოდ ჰგონია დოტაცია. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული შემოსავლის 70 პროცენტზე მეტის გადანაწილება ბიუჯეტის მეშვეობით ხდება. აქედან საკავშირო ბიუჯეტზე მოდის 58 პროცენტი. ბუნებრივია, რესპუბლიკების მიერ შექმნილი და ცენტრში თავმოყრილი ეს სახსრები უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა სფეროსა და რესპუბლიკებში. ამგვარი განაწილების საშუალებით რუსეთმა, მაგალითად, 1986 წელს 3,8 მილიარდი მანეთი მიიღო, უკრაინამ - 3,6 მილიარდი. მაგრამ არავის მოუვა აზრად ამ რესპუბლიკებზე თქვას, ვიღაც არჩენსო.

როგორც ცნობილია, საკავშირო ბიუჯეტში პირდაპირ გადაირიცხება რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მოგების ანარიცხები, ბრუნვის გადასახადი (ნაწილი), სხვა გადასახადები, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი (ნაწილი), საბაჟოს შემოსავლები, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის (ნაწილი), სახელმწიფოს მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზა-

ციის ‘ძველგად მიღებული (50 პროცენტი), აგრეთვე, ზოგიერთი სხვა სახსრები. ‘ემდეგ ხდება მათი გადანაწილება და არა, როგორც ზოგს ჰგონია, სხვისი "რჩენა".

მაგალითად, ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა 1986 წელს 1,8 მილიარდი მანეთის მოგება მიიღეს, აქედან რესპუბლიკას დაქვემდებარებულებმა - 1,2 მილიარდი. სწორედ ამ უკანასკნელიდან ხდება ადგილობრივ და რესპუბლიკურ ბიუჯეტ‘ში სახსრების გადარიცხვა, თორემ ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულ საკავ‘შირო დაქვემდებარების საწარმოებს საკავ‘შირო ბიუჯეტსა და თავიანთი სამინისტროების ცენტრალიზებულ ფონდებ‘ში შეაქვთ სახსრები.

რაც შეეხება დოტაციაზე მყოფ ‘შუა აზიის ხუთ რესპუბლიკას, მათთვის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი თანხის საერთო მოცულობა დაახლოებით 6 მილიარდი მანეთია - ქვეყნის მთელი ბიუჯეტის მხოლოდ 0,5 პროცენტი. ეს გაცილებით ნაკლებია იმასთან ‘ედარებით, რამდენსაც ყოველწლიურად ხარჯავს "საუკუნის პროექტებ‘ზე", ზოგიერთი უწყება. მაგალითად, წყალთა მეურნეობის სამინისტრო. ამიტომ, ‘შუა აზიის რეგიონების ეკონომიკური ჩამორჩენის გამოყენება რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის საწინააღმდეგო არგუმენტად არადამაჯერებელია. ეს იდეა სულაც არ გულისხმობს ცენტრალიზებული სახსრების გაუქმებას. წმინდა საბიუჯეტო ხარჯების, მაგალითად, თავდაცვის, მმართველობის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა დაფინანსება საკავშირო ბიუჯეტის მეშვეობით მოხდება. ასე რომ, არც ‘შუა აზიის რესპუბლიკებს დატოვებენ დასაწყისში "უპატრონოდ". ამჟამად კი სახელმწიფო საფინანსო სისტემა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის მეთოდებით თავის თავ‘ზე იღებს მოსახლეობის ცხოვრების დონის მინიმალური დაკმაყოფილების გარანტიას. რესპუბლიკების საბიუჯეტო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა კი გ‘ხას გადაუღობავს სხვის მოიმედეობას და დაგვაძლევინებს ბიუჯეტის მწვავე დეფიციტს.

სხვის კმაყოფაზე ყოფნა განვითარების პერსპექტივას უხ‘შობს ნებისმიერ საწარმოს, დარგს, რეგიონს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დიდ მნიშვნელობას იძენს თვითდაფინანსებაზე გადასვლისას.

რა გაგვაქვს, რა შემოგვაქვს?

რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების სურათი არ იქნება არც სრულყოფილი, და არც ზუსტი, თუ არ გვეცოდინება მათ მიერ

გატანილი და შემოტანილი პროდუქციის მოცულობის თანაფარდობა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თუ რესპუბლიკას შემოაქვს იმაზე მეტი, ვიდრე გააქვს, მას სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის უნარი არ შესწევს.

მართლაც, თეორიულად ეს არაა სასურველი. მაგრამ გატანა-შემოტანის ბალანსში უარყოფითი სალდო შეიძლება იყოს ერთი მანეთიც და ერთი მილიარდიც. სადაა ის ოპტიმალური ზღვარი, რომელიც მის ურიგობას ან, პირიქით, უკეთესობას განსაზღვრავს?

ცხადია, რომ რომელიმე რეგიონისათვის უფრო მიზანშეწონილია საკუთარი რესურსების ისე გამოყენება, რაც მეტ ეფექტს მისცემდა. ამისათვის უნდა შემოიტანოს სხვა რეგიონიდან ისეთი პროდუქცია, რომელიც აუცილებელია როგორც საწარმოო, ისე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. მაშასადამე, ეკონომიკური თანამშრომლობის ფაქტი ქმნის იმის საფუძველს, რომ ცალკეული რეგიონის რესურსები გამოვიყენოთ იმ პროდუქტის წარმოებისათვის, რომელიც უფრო ეფექტიანია მისთვის.

ვნახოთ, რა გაგვაქვს და რა შემოგვაქვს.

თუ გადავხედავთ პროდუქციის გატანა-შემოტანის დინამიკას, დავინახავთ, რომ რესპუბლიკას შეიძლება ერთ წელიწადს გაჰქონდეს უფრო მეტი, ვიდრე შემოჰქონდეს, მეორე წელიწადს კი - პირიქით. მაგალითად, 1970 წელს გავიტანეთ 2 მილიარდი მანეთის ღირებულების პროდუქცია, შემოვიტანეთ დაახლოებით 2,2 მილიარდი მანეთის ნაწარმი. სხვაობაა 202,5 მილიონი. 1972 წელს გავიტანეთ 2,7 მილიარდი მანეთის, ხოლო შემოვიტანეთ 3 მილიარდამდე მანეთის ღირებულების პროდუქცია. სხვაობა 334,3 მილიონი მანეთი იყო. 1980-1984 წლებში კი, პირიქით, გაგვქონდა მეტი, ვიდრე შემოგვქონდა. მაგალითად, 1980 წელს გავიტანეთ დაახლოებით 4,9, შემოვიტანეთ - 4,7 მილიარდის პროდუქცია. დადებითი სალდო 227,3 მილიონი მანეთი იყო. 1984 წელს დადებითი სალდო გახდა 403,5 მილიონი მანეთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1982 წელი, როცა გავიტანეთ 5,5 და შემოვიტანეთ 4,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია: დადებითი სალდო უსარმაზარი ციფრი - მილიარდ მანეთზე მეტი იყო.

1985 და 1986 წლებში პირიქით მოხდა: შესაბამისად 267,8 და 213,6 მილიონი მანეთით მეტი პროდუქციის შემოტანა გვიხდებოდა, ვიდრე გაგვქონდა. მიზეზი ის იყო, რომ კეების მრეწველობამ 1985 წელს წინა წელთან შედარებით 723,9 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია გაიტანა. მაგალითად, თუ 1984 წელს მან შეადგინა 17,2 მილიონამდე დეკალიტრი ღვინო, 1986 წელს ეს ციფრი 6,5 მილიონამდე შემცირდა. შემცირდა კონიაკის გატანაც - 1,98 მილიონი დეკალიტრიდან 0,88 მილიონამდე. მნიშვნელოვნად იკლო აგრეთვე ჩაის ექსპორტმა. უარყოფით სალდოს სხვა მიზეზებიც აქვს: საქონლის

უხარისხობა, გეგმის შეუსრულებლობა... თუმცა, ფაქტია: უარყოფითი საეჭვო სალდო არ არის ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ქრონიკული მოვლენა. ამას 1980-1984 წლების მაგალითებიც მოწმობს, ამიტომ რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის წინააღმდეგ ეს უტყუარ არგუმენტად ვერ გამოდგება. მარტო შემოტანა-გატანაზე რომ იყოს დამოკიდებული ამ იდეის დანერგვა, მაშინ ეს 1982 წელს უფრო ადვილად შეგვეძლო, ვიდრე, ვთქვათ 1985 წელს. მაგრამ ისე მარტივად როდია საქმე, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება. ჩვენ რეალურად მაინც არ გვეცოდინება, რა გაგვაქვს და რა შემოგვაქვს, თუ საქონლის ღირებულება კვლავაც არარეალური ფასებით იქნება გამოხატული. გატანილ-შემოტანილ პროდუქციაზე ფასები ერთგვაროვანი კი არ არის, იგი სხვადასხვა სახით არის დაწესებული, რაც ძალზე აძნელებს ღირებულებათა შედარებას და, მაშასადამე, რეალური მდგომარეობის დადგენას.

გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი: განა ყოველთვის კარგია ჩვენი საქონლის გატანა თუნდაც საზღვარგარეთ, ამჟამინდელი საეალუტო ამონაგების განაწილების წესის პირობებში? სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, რომ 1986 წელს საზღვარგარეთ გავიტანეთ 226,9 მილიონი მანეთის პროდუქცია, იმაზე ნაკლები, ვიდრე 1980 ან 1984 წელს. ეს ერთობ ცოტაა იმ რესპუბლიკისათვის, რომელსაც აქვს მანგანუმის მადანი, მეევნახეობის საუკუნოვანი კულტურა, ჩაი, მინერალური წყლები, სხვა სამრეწველო თუ აგრარული პოტენციური შესაძლებლობანი. სამაგიეროდ, 1986 წელს შემოვიტანეთ 1,1 მილიარდი მანეთის საქონელი - ძირითადად მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია, რაც ჩვენს ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში, პირიქით, იქით უნდა გაგექონდეს. ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მაინც უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკური ავტონომიის პირობებში რესპუბლიკის მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას.

დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვას. გვიჩვენებს კი ეკონომიკური საქმიანობის რეალურ სურათს ის, რომ, ვთქვათ, ყირგიზეთში ან აღლანეთში გავიტანეთ ჩვენი პროდუქცია? მაგალითად, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს, თავისი პროდუქციის ნახევარზე მეტი რესპუბლიკის გარეთ, ძირითადად შუა აზიაში გააქვს, რადგან ადგილზე მყიდველი არა ჰყავს. შარშან ნაწოლილი 47 მილიონი მანეთის ღირებულების საქონლის ავღანეთში გაგზავნამ დიდი შვება მოჰგვარა ზოგიერთ საწარმოს.

არც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები არიან უკეთეს დღეში. მათი პროდუქციის 70 პროცენტზე მეტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყიდება. თუმცა უწინარესად, ჩვენივე მოსახლეობის

მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს.

ვთქვათ, ეს პროდუქცია არ გაეტანათ რესპუბლიკის გარეთ და ადგილზეეე გაეყიდათ, რით იქნებოდა ცუდი? თუ შემოტანა-გატანის ბალანსზე ილუსიურ წარმოდგენებს ვერწმუნებით, მაშინ, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა კარგი. შემცირდებოდა გატანის მაჩვენებელი, ანუ ექსპორტი. თუმცა რა პროდუქციაც გაგვაქვს, უკვე ითქვა. საწარმოებს კი სულაც არ ადარდებთ, საიდან მიიღებენ ფულს, ამაზე სახელმწიფომ იდარდოს, რადგან მისთვის სულაც არაა ერთნაირი, თბილისის რომელიმე ქარხანა ვლადივოსტოკში გაიტანს საქონელს თუ ერევანში. ჩვენს ქვეყანაში წარმოქმნილი უსარმაზარი სატრანსპორტო ხარჯები რეგიონული ეკონომიკის მოუწყობლობის უპირველესი მიზეზია. ჩემი ღრმა რწმენით, ამ პრობლემას რეგიონული სამეურნეო ანგარიში შედარებით იოლად გადაჭრის...

როცა რესპუბლიკის გატანა-შემოტანის ბალანსზე ვლაპარაკობთ, არ უნდა გამოგვრჩეს ერთი არსებითი მომენტიც. ამ ბალანსში აისახება მხოლოდ წარმოების სფეროში შექმნილი პროდუქციის გაცვლის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური ურთიერთობანი. მაგრამ რეგიონებს შორის ხდება არა მარტო პროდუქციის, არამედ მომსახურების გაცვლაც, რომელიც მატერიალური წარმოების სფეროს არ განეკუთვნება. განა შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოს მონაწილეობაზე შრომის საკავშირო დანაწილებაში, თუ არ გავითვალისწინებთ არასაწარმოო საქმიანობის ისეთ სფეროს, როგორიცაა საკურორტო-ტურისტული მომსახურება? პროდუქციის გატანის გარდა, საქართველო მონაწილეობს შრომის საკავშირო დანაწილებაში საკურორტო - ტურისტული მომსახურებით და ამით წყვეტს მთელი ქვეყნის ამოცანებსაც. უნიკალური კურორტების მქონე საქართველო, რომლის მატერიალური და შრომითი რესურსები საკავშირო მასშტაბის ამოცანების გადაჭრას ემსახურება, მარტო სავაჭრო ბალანსით არ უნდა საზღვრავდეს თავის პოტენციალს.

ჯერაც არ ვიცით, როგორ განვსაზღვროთ ჩვენს ტერიტორიაზე სხვა რესპუბლიკების ადამიანების გაჯანსაღებისა და დასვენებისათვის გაწეული მომსახურების რეალური ღირებულება და შესაბამისად ამ მხრივ, ჩვენი წილი საკავშირო დოვლათის შექმნაში. ამიტომაცაა, რომ ასე ფართოდ ეუღებთ კარს საკავშირო უწყებებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს აშენებენ.

ამ საკითხის შესწავლა და მისი გადაჭრა რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

ახლა კი განვიხილოთ უპირველესი პრობლემა. რა არის საჭირო იმისათვის, რომ რესპუბლიკა გადავიდეს თვითდაფინანსებაზე?

რა ვაკეთოთ?

რესპუბლიკა, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილი, არ შეიძლება იყოს ეკონომიკურად აბსოლუტურად დამოუკიდებელი. შეიძლება მას დაუქვემდებარდეს საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოები, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი რესურსების გამოყენების საკითხებიც, მაგრამ, რადგან იგი ერთიანი საკავშირო ორგანიზმის ნაწილია, მას გაუჭირდება შექმნას საკუთარი ფული, საფინანსო-საკრედიტო სისტემა, დახუროს სასაზღვრები და ჩაკეტოს კაპიტალისა და ფულის მოძრაობა. არათუ ერთ ქვეყანაში, არამედ თანამედროვე მსოფლიოშიც ეს შეუძლებელია. ახლახან ევროპის "საერთო ბაზრის" 12 ქვეყანამ მიიღო ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილება - 1992 წელს მათ უნდა გააუქმონ ყოველგვარი ბარიერები საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, სამუშაო ძალის მოძრაობაში. საზღვრები პირობით ცნებად იქცევა. ასეთ ვითარებაში კარჩაკეტილ ეკონომიკაზე ფიქრი არა მარტო უაზრობაა, არამედ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლაში დაღუპვის ტოლფასი. რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიში განცალკევებული ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებას კი არ გულისხმობს, არამედ, პირიქით, უწყებრივი ბარიერების მსხვრევას, ჩვენი მართლაც ყველაზე კარჩაკეტილი ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი თავისუფლების მინიჭებას. ოღონდ ერთი პირობით - რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოება მხოლოდ მაშინ გამოიღებს სასიკეთო შედეგს, როცა შეიქმნება ნამდვილად თავისუფალი წარმოების საშუალებათა ბაზარი, საბითუმო ვაჭრობა და გვექნება რეალურად ბრუნვადი ფული. თუ დამოუკიდებლობა არსებული პირობების შეუცვლელად, ავტომატურად განხორციელდება, ამან მართლაც შეიძლება წარმოქმნას კუთხურობის ტენდენცია, ტერიტორიების მეურნეობათა ნატურალიზაცია.

თავისუფალი ბაზრის შემთხვევაში, ეკონომიკური ურთიერთობანი თავისთავად მოწესრიგდება. თითოეული რესპუბლიკა შეეცდება უფრო მეტი რაოდენობით გაყიდოს ის, რისი დამზადებაც მას შეუძლია იაფად და ხარისხიანად. ამ გზით იგი მიიღებს ფულს სხვა რეგიონში წარმოებული პროდუქციის შესაძენად. ამგვარი პროცესების ეფექტიანობაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების თანამშრომლობას გადავხედავთ.

რესპუბლიკიდან ცენტრში და ცენტრიდან რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი მატერიალური ფასეულობების მოძრაობის ადმინისტრაციული რეგულირება უნდა შეიცვალოს ეკვივალენტური საბაზრო საქონელგაცვლით. მან უნდა გამოიწვიოს საქონელმიმოქცევის არსებული ადმინისტრაციული რეგულირებისა და ფონდირებული

განაწილების გადაქცევა თავისუფალ საქონელგაცვლად.

ასეთ პირობებში ცენტრალიზებული ორგანოები თავისუფლდებიან გამანაწილებლის ფუნქციისაგან. აღარ იქნება აუცილებელი ყველა რესპუბლიკის სასაქონლო რესურსების თავმოყრა ცენტრში და შემდეგ მისი ადმინისტრაციული წესით განაწილება. ამ ფუნქციას იკისრებს ბაზარი და ყველაზე კვალიფიციურ მოხელეზე უკეთ მოაწესრიგებს საქმეს. ჩვენი ეკონომიკის მუდმივი "თანამგზავრის" - დეფიციტის თავიდან აცილება ბაზრის საშუალებით მოხერხდება. სწორედ ეს წარმოშობს საწარმოთა და რეგიონთა კონკურენციას.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის სპეციალიზაცია მოხდება ადმინისტრაციული და, მაშასადამე, სუბიექტური რეგლამენტაციის გარეშე. ისინი თავად გადაწყვეტენ, რა აწარმოონ - ხორცი, ჩაი, ბამბა თუ კომბაინი. აღარ განმეორდება ისეთი ეკონომიკური კურიოზები, რომელიც ისტორიაში შევიდა "ხრუშჩოვის სიმინდის" სახელით.

ყოველივე ამას ლოგიკურად მივყავართ ეკონომიკის ტერიტორიული მართვის გაფართოებისაკენ.

ახლა რა მდგომარეობაა? რეგიონებს შორის მთელი პროდუქცია ნაწილდება ფონდებით. რას ნიშნავს ეს? ვთქვათ, საქართველო სხვა რესპუბლიკებს აწვდის ჩაის, ღვინოს, სხვა პროდუქციას. სამაგიეროდ კი იღებს ხორცს, პურს, ლითონს. ზოგის აზრით, თუ რესპუბლიკის ეკონომიკური ავტონომიის პირობებში ფონდები გაუქმდება, მაშინ შეიძლება, ვთქვათ, ესტონელებმა თავიანთი ხორცი ან სხვა პროდუქტი თვითვე მოიხმარონ. ამგვარი არგუმენტი კრიტიკას ვერ უძლებს. იმავე ესტონეთს ხორცის გარდა ესაჭიროება ფოლადიც, ნავთობიც, სასუქებიცა და მანქანებიც, ამას კი იგი მხოლოდ იმ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შეიძენს, რომელიც აქვს. ამიტომ, თუ რესპუბლიკებს მიეცემათ უწინარესად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა თავიანთი საქონლით, ამით, შესაძლოა, არ გაიზარდოს ხორცის ან რძის მოხმარება, რადგან მათ სხვა ბევრი რამ აქვთ შესაძენი. საბჭოთა კავშირი ბევრ ხიზილალასაც უშვებს და ბეწვეულსაც, შეგვიძლია ჩვენვე მოვიხმაროთ ისინი, მაგრამ იძულებული ვართ გავიტანოთ საზღვარგარეთ, ისევე როგორ მსუბუქი ავტომანქანები - ეკონომიკური სიტუაცია ყოველგვარ ფონდებზე და ლიმიტებზე მკაცრია.

და ამაოა იმაზე ფიქრი, თითქოსდა ვიღაც საკუთარ რეგიონში მოყვანილ პურსა და ხორცს თვითვე მიირთმევს, ჩვენც მთელ ღვინოს ჩვენვე დავლევთ და მას ციტრუსების მთელ მოსავალს დავაყოლებთ. ძალიანაც რომ გვინდოდეს, ამას ვერ ვიზამთ (მარტო იმიტომ კი არა, რომ ღვინოს ლიმონი არ უხდება). ეკონომიკური კანონები ადამიანის სურვილებს არ ემორჩილება, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებენ და

მათთან არანაირი "ჩაწყობა" არ შეიძლება!

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს რესპუბლიკას, უნდა შეიქმნას სახალხო მეურნეობის მართვის ახალი ფორმა, მოხდეს ტერიტორიული სტრუქტურის ოპტიმიზაცია, რადიკალურად გარდაიქმნას მისი დარგობრივი სტრუქტურა, რათა იგი შეესაბამებოდეს ჩვენს ბუნებრივ-სამეურნეო პოტენციალს და იძლეოდეს რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას. საამისოდ კი საჭიროა ეკონომიკური განვითარების ახალი, ნამდვილად მეცნიერული კონცეფციის შემუშავება. ბოლოს და ბოლოს უნდა მივხვდეთ, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით საქართველო უპირატესად აგრარული მეურნეობის განვითარების მოთხოვნებს პასუხობს. ჩვენი მრეწველობა მეტწილად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა სამრეწველო გიგანტების მშენებლობაზე. ზეინდუსტრიალიზაცია და გიგანტომანია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეუსაბამოა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ზომიერი სამრეწველო განვითარების წინააღმდეგ გამოვდიოდე. აგრარულ-ინდუსტრიულ-რეკრეაციული მეურნეობის მოდელი უნდა გახდეს ჩვენი ახალი ეკონომიკური კონცეფციის საფუძველი.

საბოლოოდ, ჩვენთან "აგრარული ქვეყანა" აღიქმება ჩამორჩენის სიმბოლოდ, რომელსაც სამრეწველო ქვეყნის ცნებას უპირისპირებენ. ეს დაპირისპირება ხელოვნურია. როგორი ქვეყანაა ჰოლანდია, რომლის ფერმები ლამის მთელ ევროპას კვებავენ ყველითა და კარაქით? არადა მისი ტერიტორია ორჯერ ნაკლებია საქართველოზე. ჩვენ კი, ჩვენით მხოლოდ ერთი მესამედით ვიკმაყოფილებთ ხორცსა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნილებას. აბა, წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ადგილზევე ვქმნიდეთ ჩვენს სამყოფ სურსათს. როგორც იტყვიან, ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა.

უნდა შეიცვალოთ სტერეოტიპული წარმოდგენა "აგრარულისა" და "ინდუსტრიულის" ცნებებზე. ის რა ერიაო, ამბობენ მავანნი, რომლებსაც ინჟინრები არ ეყოლება, კომპიუტერები არ ექნებაო. ისე ამბობენ, თითქოსდა მხოლოდ მეტალურგიულ ქარხანას ესაჭიროებოდეს ინჟინრები და კომპიუტერები. მეცხოველეობის ფერმებს, რძისა და ხორცის პროდუქციის დამზადებას კი მამა-პაპური მეთოდები ყოფნიდეს. იმავე ჰოლანდიაში დღეს ერთ "ინდუსტრიულ ძროხაზე" ლამის ერთი კომპიუტერი მოდის. ასე რომ, ერის ინტელექტუალური "ბაგაჟის" შექმნა გიგანტომანიით შეპყრობილი მძიმე ინდუსტრიის გარეშეც შეიძლება.

სამეურნეო ანგარიშის პირობებში რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს თავისი ბუნებრივი რესურსების გამოყენების სუვერენიტეტი. არ უნდა განმეორდეს მანგანუმის საბადოების ისტორია, როცა ბარბაროსული ექსპლუატაციის შედეგად იგი ფაქტიურად ამოვწურეთ. გარდა ამისა,

უნდა აიკრძალოს ნებისმიერი მშენებლობა, რომელიც დაკავშირებულია დამატებითი სამუშაო ძალის რესპუბლიკის გარედან შემოყვანასთან, უნდა გამოვნახოთ ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაოთი უზრუნველყოფის გზებიც და მაქსიმალურად შევზღუდოთ ნებისმიერი შრომითი რესურსების გამოყენება ისეთ "მკვდარ" მშენებლობებზე, როგორიც, მაგალითად, ბამ-ია.

რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ, შესაძლებელი უნდა გახდეს ცენტრალური უწყებების არაეფექტიანი ხელმძღვანელობის შედეგად ზარალიანი საწარმოების გაჯანსაღება. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას კაპიკი რომ არ შეაქვს ბიუჯეტში და ყოველწლიურად ნთქავს დიდძალ სახსრებს, ამას მხოლოდ ამეამინდელი ეკონომიკური მექანიზმი თუ აიტანს.

ჩემი ღრმა რწმენით, რეალური ეკონომიკური სუვერენიტეტის განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების გადაცემა რესპუბლიკისათვის, არამედ უწყებრივი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისაც. შეიძლება ზოგიერთი გამოსყიდულიც იქნას. ეს შეიძლება მოხდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეულ საწარმოთა კოლექტიური სახსრების საშუალებით, აგრეთვე, მოსახლეობის მიერ სააქციო ტიპის საზოგადოების შექმნით. ასევე რესპუბლიკის განკარგულებაში უნდა გადავიდეს "ინტურისტის" მთელი მეურნეობაც.

ახლა რაც შეეხება ურთიერთობას ქვეყნის ბიუჯეტთან. რა თქმა უნდა, ისეთი საკავშირო პროგრამების დაფინანსება, როგორიცაა თავდაცვა, კოსმოსის ათვისება, ენერგეტიკა, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა, ცენტრალიზებული წესით უნდა განხორციელდეს. მაგრამ აქ აუცილებელია სტაბილური ნორმატივების დაწესება. თითოეულმა რესპუბლიკამ უნდა იცოდეს, რამდენი უნდა გადარიცხოს ამა თუ იმ საერთო საქმისათვის. ისიც უნდა იცოდეს, რომ მისი შრომით შექმნილი დოვლათი ნამდვილად საჭირო და ეფექტიან საკავშირო პროგრამებზე იხარჯება და არა უწყებრივ "საუკუნის პროექტებზე" და იმ რაკეტებზე, რომლებსაც ახლა ყაზახეთის პოლიგონზე ანადგურებენ.

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის დანერგვის აუცილებელი პირობაა ინფორმაციის საჯაროობაც. ინფორმაციაზე უწყებრივი მონოპოლია ადმინისტრაციული სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. თუ მასზე ხელს არ ავიღებთ, ვერ შევქმნით მოქნილ ეკონომიკას, რადგან სამეურნეო ანგარიშსა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ სამეურნეო მექანიზმს ეკონომიკური ინფორმაციის თავისუფლება ჰაერივით ესაჭიროება. მხოლოდ ამა თუ იმ დარგის წარმოების მოცულობისა და ფასების, მოგების ოდენობისა და რენტაბელობის, ბაზრის მოცულობისა და მანეთის რეალური კურსის და სხვა უამრავი ინფორმაციის ცოდნით შეეძლებთ საქმიანი პარტნიორის ამორჩევას,

რეალური გეგმების დასახვას, ბაზრის მოთხოვნილების განსაზღვრას–თუ ეკონომიკური ინფორმაციის საჯაროობა ამჟამინდელ დონეზე დარჩება, საწარმოები, უბრალოდ ვერ შეძლებენ სრულფასოვნად გაერკვნენ სიტუაციაში და იმ მყიდველს დაემსგავსებიან, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ცათამბჯენში შევიდა და არ იცის რომელ სართულზე მოძებნოს მისთვის საჭირო საქონელი. განა კურიოზი არ არის, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ იძლეოდა ისეთ უწყვინარ ინფორმაციასაც კი, როგორიცაა ნავთობის, ქვანახშირის, მანგანუმის მოპოვება ჩვენს რესპუბლიკაში?

დაბოლოს, საჭიროდ მიმაჩნია შეიქმნას დროებითი სამეცნიერო კოლექტიური. იგი გააერთიანებს განსხვავებული პროფილის მეცნიერ–ეკონომისტებსა და პრაქტიკოსებს, სხვა დარგის სპეციალისტებს. ისინი შეიმუშავებენ რესპუბლიკაში რეგიონული მართვისა და მისი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პროგრამას. საჭიროა პრობლემის როგორც თეორიული შესწავლა, ისე მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება.

რესპუბლიკის მოსახლეობა ნიადაგ უნდა იყოს ინფორმირებული ამ საკითხზე. უნდა გაიმართოს დისკუსიები როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოების მონაწილეობით.

რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშის იდეა მომწიფებულია. მჯერა, ადრე თუ გვიან იგი გაიმარჯვებს, რამეთუ, არაფერია იმ იდეაზე ძლიერი, რომლის დროც დადგა.

ნოემბერი. 1998 წ.

საბჭოეთის მზის ჩასვენება
ანუ
ხუთი შეკითხვის პასუხად

1. წინასიტყვაობის მაგიერ

"რა გეშველება ურუსოდ"! ეს კითხვა არ ასვენებს დღეს ზოგიერთ ქართველს. განსაკუთრებით უფრთხობს იგი ტკბილ ძილს მონობაში გადიდკაცებულთ, მორჩილებისთვის დაინმედლებულთ და ორიოდე გროშ ნაშოვნ სხვის ხელში მაცქერალთ. მათი მაძღარი ბულდაჯერებულობა და სუფრული პატრიოტიზმი დაბნეულობამ მოიცვა.

მათ გასაგონად მინდა ვთქვა:

ბატონებო! კარგად გაახილეთ თვალი. თქვენ მომსწრე ბრძანდებით უდიდესი მოვლენისა: საბჭოეთის მზის ჩასვენება დაიწყო. ინგრევა ბიძია მარქსის ქოხი. ამხანაგი წითელი დრაკონი ხანგრძლივი, მაგრამ უშედეგო "ტალონით თერაპიისა" და "ლოსუნგოკვების" მიუხედავად შიმშილით სულს ღაფავს.

დრაკონს ერთი კარგი თვისება აქვს. თავი ძალიან გვიან იგებს იმას, რომ თურმე კუდი მოწყვეტია. ჩვენ უნდა მოვასწროთ გაქცევა მანამ, სანამ იგი მიხვდებოდეს თავის უბედურებას.

როგორ გაეიქცეთ?

– საკუთარი ეკონომიკით;

– საკუთარი ჯარით;

– საკუთარი მიწით;

ამათგან თუნდაც ერთ-ერთის არქონა ნიშნავს კელავ მონობაში ჩავარდნას.

და კიდევ ერთი: როგორაც დაუძლურებული უნდა იყოს დრაკონი, იგი ყოველთვის დაეწევა ერთ გაქცეულს. საჭიროა ვიმოქმედოთ ყველამ (თოთხმეტივენ) ერთად, რათა თაეგზა აებნეს იმაზე ფიქრში, თუ რომელს გამოუდგეს. ჩვენთვის დამლუპველია როგორც ანქარება, ასევე ზოზინი. ამიტომ უნდა გამოვიბათ, როგორც იტყვიან, ასი თვალი და ასი ყური, რათა არ გამოგვეპაროს "სასტარტო სიგნალი"...

ვოლტერი ამბობდა: ის, რაც სასაცილო გახდება, არ შეიძლება საშიში იყოს... ალბათ, ესეც გვაგულიანებს დღეს მოქმედებისაკენ. მაგრამ არც ის უნდა დაგვაეიწყდეს, რომ "სიფრთხილეს თავი არ სტკივა". ამიტომ ჩვენი დევიზი უნდა იყოს:

ვიჩქაროთ ნელა!

2. შუათქმა

საქართველოს დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება ე.წ. "პერესტროიკის" პროცესი საბჭოთა კავშირში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურად იგი განწირულია მარცხისათვის.

სახალხო მეურნეობის ძირეული გარდაქმნა შეუძლებელია პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დემოკრატიზაციის გარეშე. დემოკრატიის თითოეული ნაბიჯი კი თავისდათავად გვაახლოვებს საბჭოთა კავშირის დაშლასთან. ეროვნულად ერთგვაროვან ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ჩინეთი, უნგრეთი, პოლონეთი რეფორმა მძიმედ ვითარდება. საბჭოთა კავშირში ამ პროცესს ათასჯერ უფრო ართულებს ეროვნული წინააღმდეგობები. რესპუბლიკათა ინტერესები იმდენად განსხვავებულია, რომ შეუძლებელია მათი ამჟამად არსებული ფედერაციული სტრუქტურის ფარგლებში მოწესრიგება. იგი წარმოშობს ქრონიკული ქაოსისა და ეკონომიკის მუდმივი დესტაბილიზაციის პირობებს. ეს კი კიდევ დააქვეითებს ისედაც არაეფექტიანი სოციალისტური მეურნეობის მდგომარეობის დონეს.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი ის აუცილებელი ინსტრუმენტია, რომელსაც დირექტიულ ეკონომიკაში შეაქვს წესრიგი. მას იდეოლოგიურად უნერგავს ფესვებს რესპუბლიკათა ყურმოჭრილი ელიტა (დაქირავებული ინტელიგენცია, საკავშირო ნომენკლატურის ღვიძლი შვილი - მმართველი აპარატი) და მუშათა მოტყუებული ნაწილი. ამ რეჟიმის რეანიმაცია დღეს უკვე უსისხლოდ შეუძლებელია. ამის საშიშროება კვლავ არსებობს. გონიერებამ მაინც უნდა გაიმარჯვოს, რადგან რეპრესიები და სამოქალაქო ომი გლობალური კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდება.

საქართველოს ეროენული დამოუკიდებლობის მისაღწევად უპირველესად აუცილებელია ხელში ჩავიგდოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღესაც რომ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა, იგი ფიქცია აღმოჩნდება, რადგან თავი რომ დავანებოთ საკუთარი ჯარის არყოლასა და ეთნოკრიზისის თავიდან აცილების შეუძლებლობას, ეკონომიკურად კვლავ დავრჩებით "ცენტრის" ხელში, რაც კომიკურს გახდის ჩვენი დამოუკიდებლობის ფაქტს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაიწყება დამსჯელი ეკონომიკური სანქციების გატარება, საბოტაჟი, ბლოკადა. ჩვენ ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად.

აქვე უნდა ითქვას, არანაკლებ დაზარალდება თვით რუსეთიც, რადგან, ალბათ ანალოგიური ზომების გამოყენება პარალელურად სხვა რესპუბლიკების მიმართაც მოუხდება. ჩაწვება მისი საქონელი (ნედლეული, ტექნიკა, პროდუქტები), რადგან სხვა არავინ იყიდის

მას, მოეშლება ტრადიციული კავშირები, დაიწყება უმუშევრობა, რაც გაცილებით მძიმე გადასატანი იქნება ისეთი უზარმაზარი და მოუქნელი ქვეყნისათვის როგორიც რუსეთია, ვიდრე ვთქვათ, ჩვენთვის ან ესტონეთისათვის. ასეთი ეკონომიკური სანქციები გამოიწვევს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ორიენტაციას დასავლეთისაკენ, რაც რუსეთისათვის არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად მომგებიანი არ იქნება.

რუსეთთან ურთიერთობის რადიკალურად გაწყვეტის ეს გზა შესაძლებელია, მაგრამ ძალზე რთული და სარისკო. ამიტომ ყველაზე გონივრული ამჟამად, ალბათ არის რესპუბლიკის მთელი ეკონომიკის ჩამოშორება საკავშირო დაქვემდებარებისაგან. ყველაფერი, რაც კი რესპუბლიკის ტერიტორიაზეა განლაგებული, იურიდიულად და ფაქტიურად ჩვენს საკუთრებად უნდა დავამკვიდროთ. ამისათვის საჭიროა მშვიდობიანი ბრძოლის ყველა, მათ შორის უკიდურესი ფორმების გამოყენებაც. ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ არ განმეორდეს ის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ძიმართ ჩაიდინა ბოლშევიკურმა რუსეთმა, როცა გაზიდეს მთელი ქონება, მოძრავი ტექნიკა. უნდა შევინარჩუნოთ ფლოტი, ელმავლები, ავიაცია, სამხედრო ტექნიკა (უძრავი საწარმოო ფონდების შენარჩუნება გაცილებით ადვილია). ისე უნდა ავაწყოთ კავშირები რუსეთის საწარმოებთან, რომ ისინი არ იყვნენ დაინტერესებული ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტით. მათ მიერ გატარებული სანქციები ბუმერანგივით უკანვე უნდა დაუბრუნდეთ.

ყოველივე ეს ჩადებულია რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობის იმ მოდელში, რომელიც პირველად ესტონეთში შემუშავდა და შემდეგ სხვა რესპუბლიკებშიც ჰპოვა მხარდაჭერა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ესტონელთა ეს გზა მომავალში მოიხსენიება როგორც რუსეთის სოციალისტური იმპერიის დაშლის ერთ-ერთი ეფექტიანი და მოხერხებული საშუალება. მის წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელია, რადგან იგი ყოველმხრივ სამართლიანია, პოლიტიკური მოთხოვნები ეკონომიკურ საბურველშია გახვეული. ეს კი ხელ-ფეხს უბორკავს მოწინააღმდეგეს.

დავუშვათ, რუსეთში არ გაიმარჯვა საღმა აზრმა და გადაგვიკეტეს "ონკანები". მაშინ სხვა პარტნიორები უნდა მოვძებნოთ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის ხელსაყრელია ახალი ბაზრის ხელში ჩაგდება. ისინი შეეცდებიან მოგვყიდონ (თავდაპირველად, შეიძლება განვადებით) სურსათი და ნედლეული, მოგვცენ სესხი, ზოგი კი, პოლიტიკური გავლენის მოპოვების მიზნით, უნაცვალგებო დახმარების ხელსაც კი გამოგვიწვდის (როგორც დღეს პოლონეთს ეხმარება შეერთებული შტატები). ამას მოწმობს საერთაშორისო პრაქტიკა. არც ერთი ერი შიმშილით არ მომკვდარა და არა იმიტომ, რომ ისინი ასეთი

ჰუმანურები არიან, არამედ ესაა მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ზოგადი კანონი. ეს გზა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს საქართველოს საგარეო ვალის დაგროვებას, რაც არაა სასურველი, რადგან იგი მომავალ თაობას დააწვება ტვირთად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცივილიზებული ევროპის ("კარგი დამპყრობლების") გავლენაში მოქცევა გაცილებით ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ნახევრადფეოდალური, მილიტარისტული რუსეთის კოლონიად ყოფნა.

გონივრული პოლიტიკის გატარებისას (თუ ბედიც ჩვენს მხარეზე იქნა), რუსეთთან და დასავლეთთან თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობებისა და საქმიანი კონტაქტების დამყარების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის მყარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძველზე აშენება.

ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზემოთნახსენები მოდელის (რომელიც არ გულისხმობს ამ ეტაპზე სრულ ეკონომიკურ სუვერენიტეტს) მოთხოვნები შესრულდება და თანაც, იმავდროულად გვეყოლება ეროვნული საჯარისო ფორმირებები. ეს შესაძლებელს გახდის გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ფაქტიური დამოუკიდებლობა იურიდიულად გაფორმდება.

თუ ჩვენთან და აღმოსავლეთ ევროპაში პროცესები ამჟამინდელი ტემპით განვითარდა, ალბათ საუსებით შესაძლებელია, რომ ეს ათიოდე წელიწადში ან უფრო ადრეც კი მოხდეს.

3. ბოლოსიტყვაობა.

ერთ რამეში მართალი იყო თანამედროვე სამყაროს ყველაზე დიდი მითის შემთხზველი, ცხონებული უტოპისტი კარლ მარქსი, როცა ამბობდა, რომ ადამიანის თავის ქალა ყველაზე მიუვალი ციხე-სიმაგრეაო. ალბათ ამიტომაცაა, რომ ძალზე ძნელად აღწევს ბევრი ადამიანის გონებაში თავისუფლების იდეა.

ჩვენ, ქართველები, ბედმა დაგვსაჯა ვყოფილიყავით მსოფლიოში უდიდეს და უბოროტეს სოციალურ ექსპერიმენტში მონაწილე ერი. ის არაეფექტიანი და დისკრედიტებული რეჟიმი რუსეთის იმპერიაში რომ ჩაისახა, დღეს სულს ღაფავს...

ღმერთმა კეთილად მისმინოს!

მაისი. 1989წ.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალ ფორმათა შორის მისაღებად პარლამენტური ბრძოლა მიმაჩნია. მისი განხორციელება კი შეუძლებელია დემოკრატიული ეკონომიკური ბაზისის ჩამოყალიბების გარეშე. ჭეშმარიტებაა - ისე არაფერი არღვევს დრომოჭმულ პოლიტიკურ სტრუქტურებს, როგორც ახალი, პროგრესული ეკონომიკური სისტემა. ის, რაც პოლიტიკური ქარტეხილებით, სისხლისღვრითა და ძალმომრეობით მიიღწევა, ხშირად შესაძლებელია ეკონომიკური საფუძვლის ძირეული მსხვრევის შედეგად. საძირკველშერყეული შენობა განწირულია დასანგრევად. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ტოტალიტარული გეგმიანი ეკონომიკური სისტემის გაუქმება, რეგულირებადი საბაზრო მექანიზმის ამოქმედება, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, მეწარმეობის თავისუფლება, კონკურენცია, სამხედრო-ფეოდალური ყაიდის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სისტემების მოშლა (რაც ნაგულისხმევია რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ჩვენს კონცეფციაში), იქნება ის მძლავრი იარაღი, რომელიც სწრაფად და შედარებით უმტკივნეულოდ დაანგრევს ანტიჰუმანურ და არადემოკრატიულ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას. ესაა ამ კონცეფციის პოლიტიკური შინაარსი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება, საიდანაც ჩანს, რომ სოციალური თუ ეროვნული რევოლუციები მხოლოდ მაშინ იმარჯვებენ, როცა უკვე არსებობს შესაბამისი მყარი ეკონომიკური ბაზისი. ფეოდალიზმს ბოლო მოუღო არა იმდენად სისხლიანმა აჯანყებებმა, რამდენადაც მის წიაღში წარმოშობილმა კაპიტალისტური ეკონომიკის ყოვლისმღრღნელმა "ბაცილამ".

საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის, კომერციული მეურნეობის პრინციპებზე იქნება აგებული, არის გარდამავალი პერიოდი და რესპუბლიკის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის წანამძღვარი.

ამით მინდა ნაწილობრივ გავაქარწყო ზოგიერთი ოპონენტის სკეპტიკური დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ, რადგან ბევრს ჰგონია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ბრძოლის წინა პლანზე წამოწევა თითქოს იყოს პოლიტიკური ბრძოლიდან ხალხის ჩამოცილების ხრიკი. ეს არამც და არამც სწორი არ არის.

ერთი მეორეს სულაც არ უშლის ხელს.

მოარული ჭეშმარიტებაა, რომ პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება. ამიტომ, გვინდა თუ არ გვინდა,

ნებისმიერ ეკონომიკურ ქმედებას ყოველთვის ექნება ირიბი პოლიტიკური შედეგი.

მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციას, რომელიც შეიმუშავა რუსთაველის საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულმა დროებითმა სამეცნიერო კოლექტივმა, საფუძვლად ედოს რაღაც პოლიტიკური სქემები და შემდეგ ყველაფერი ამ სქემების რეალიზაციას ემსახურებოდეს, ეკონომიკური საკითხები კი მხოლოდ მეორეხარისხოვანი იყოს. პოლიტიკისადმი ეკონომიკის დამორჩილების ბოლშევიკურმა მეთოდებმა ულრმეს კრიზისამდე მიგვიყვანა, რაც ყოველთვის კარგად უნდა გვახსოვდეს.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციაში პოლიტიკა იმდენად ფიგურირებს, რამდენადაც იგი ეკონომიკის ობიექტური კანონებიდან გამომდინარეობს. ჩვენი ძირითადი ამოცანა კი არის ეკონომიკის ძირეული გარდაქმნა, ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სხვაგვარად ჩვენი საქმიანობა იქნებოდა ანტიჰუმანური. პოლიტიკურ მიზანს, რაგინდ დიადი არ უნდა იყოს, ადამიანი არ უნდა შეეწიროს.

ასევე არაჰუმანურია და გაუმართლებელი ყოველი თეორია, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია სახალხო მეურნეობის იძულებითი, ძალდატანებითი მოშლა, ქვეყანაში ეკონომიკური ქაოსის გაჩენა კრიზისული ან რევოლუციური სიტუაციის შესაქმნელად. ასე მართლაც დანგრეულა იმპერიები. მაგრამ ასეთი გზით დაქცეული იმპერიის ნამსხვრევებს ქვეშ ხშირად მოჰყოლია უდანაშაულო ადამიანები, დაჩაჩანაკებული, სულიერად და ფიზიკურად დაუძლურებული ერები.

ჩვენი მიზანია თავისუფლების მიღწევა არა ეკონომიკის მოშლით, არამედ მისი გაძლიერებით. ამიტომ, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ეს კონცეფცია, იქმნებოდა არა მხოლოდ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, არამედ ქართული სახელმწიფოს მატერიალურად და სულიერად მოსაღონიერებლად. იგი მოწოდებულია იმისათვის, რომ ქართველი ადამიანი არ იყოს მშიერი და მწყურვალი, ჩაუცმელი და დაუხურავი, უმიწო და უსახლკარო, უკულტურო და დამცირებული.

ამრიგად, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის ძირითადი მიზანია საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება, ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სურსათით, საქონლით, ბინით, სამედიცინო მომსახურებით, განათლებით. იგი მოწოდებულია ეროვნული კულტურის განვითარებისათვის სასიკეთო პირობების შესაქმნელად. მან უნდა დაიცვას ქართველი ერის პრიორიტეტი საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე. მოკლედ, ჩვენს მიერ შემუშავებული კონცეფციის უპირველესი ამოცანაა ძლიერი და სრულფასოვანი ეროვნული ეკონომიკის შექმნა.

როგორ უნდა იყოს ეროვნული ეკონომიკა - სწორედ ამაზე იძლევა პასუხს ეს პროექტი.

ჩვენში აშენებულია და დღემდე არსებობს სოციალიზმის ყაზარმული მოდელი, რომლის საფუძველია პოლიციური პოლიტიკური რეჟიმი და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემა. ეს სისტემა რევოლუციის პირველი წუთებიდან დღემდე იყო და არის (თუმცა, სახეშეცვლილი ფორმით) განსაკუთრებულ, საგანგებო მეთოდებზე და იძულებით შრომაზე დაფუძნებული სამხედრო-ფეოდალური ყაიდის მანქანა. ტოტალური დირექტიული გეგმიანობა, უსაქონლო წარმოება, უმიწო გლეხობა, საკუთრების უფლებას მოკლებული მუშები, - ამ სისტემის განუყოფელი ატრიბუტია. თითქმის შვიდი ათეული წელიწადი დაგეჭირდა იმისათვის, რომ შეგვეგნო არსებული რეჟიმის არაბუნებრიობა და უპერსპექტივობა. დღეს ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ უსაქონლო-უბაზრო მეურნეობის საფუძველზე შეუძლებელია არაეაზარმული, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ეკონომიკის საბაზრო მექანიზმი, სასაქონლო წარმოების ურთიერთობა ქმნის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის ყოვლისშემძლეობისა და განუკითხაობის ალაგმვის პირობებს, წარმოშობს ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის მექანიზმებს.

სწორედ ამიტომ, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ჩვენი კონცეფციის საფუძველია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. სხვაგვარად მოწყობილი, თუნდაც პოლიტიკურად თავისუფალი საქართველოს არსებობა ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო რუკაზე გაჩნდეს კიდევ ერთი ნიკარაგუა ან მოზამბიკი, საუკეთესო შემთხვევაში - ალბანეთი ან რუმინეთი. ილუზიაა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ტრადიციულ ეკონომიკურ ბაზისზე დაფუძნებული ეკონომიკური დამოუკიდებლობა ხვალვე მიგვიყვანს მატერიალურ სიუხვემდე. საბჭოთა კავშირი, აგერ უკვე სამოცდაათ წელზე მეტია, ყოველნაირად დამოუკიდებელია, მაგრამ რა შედეგები გააჩნია, კარგადაც მოგეხსენებათ. ამიტომ, ჩვენი მიზანია რესპუბლიკის არა მარტო სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, არამედ განვითარების ისეთი გზის დასახვა, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკურ აღმავლობას და როგორმე ჩაგვაყენებს ცივილიზებული ხალხების რიგში.

ილუზიებს ნუ გამოვეკიდებით: ჩვენ საწყის ეტაპზე გაგვაჩნია ერთადერთი რესერვი: ადამიანში ინიციატივისა და გერგილიანობის, საკუთარ სახლში ბატონ-პატრონის გრძნობის გაღვიძება, სრული დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა საკუთარი შრომის შედეგებზე, მოკლედ, შრომისადმი ინტერესის აღდგენა და მისი სტიმულირება.

ამისათვის კი აუცილებელია გექონდეს სრული თავისუფლება, იმის საშუალება, რომ თავადვე ავირჩიოთ ჩვენი გზა. სწორედ ამგვარი თავისუფლება უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ეკონომიკურმა დამო-

უკიდებლობამ. ამიტომ იგი შეიძლება ჩაითვალოს მიზნის მიღწევის საშუალებად და არა თვითმიზნად.

რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის რეალიზაცია იქნება ძალზე რთული პროცესი. ჯერ ერთი, ძნელია და ბოლომდე შეუსწავლელი გეგმიური მეურნეობიდან სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლის მექანიზმი, მისი ეტაპების სწორად გამოყოფა, პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტა. ჩვენ მოგვიწევს განსაკუთრებული მონდომება და დიდი ენერგიის დახარჯვა არა მარტო მართვის ახალი სტრუქტურების შესაქმნელად, არამედ "ცენტრის" წინააღმდეგობების დასაძლევად. უნდა ვიცოდეთ და მზად ვიყოთ იმისათვის, რომ ჩვენი გზა იქნება ეკლიანი. კარგად უნდა მოვიფიქროთ, თუ საით ვიაროთ და როგორ გადავდგათ მომდევნო ნაბიჯი. ნაბიჯი კი მტკიცე უნდა იყოს, თანაც დროული. აუცილებელია რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან კარდინალური ზომების გატარება, აპარატის სიჯიუტისა და მოუნდომებლობის დაძლევა. ჩვენ ამჟამად გვყავს ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიული აპარატი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით.

თუმცა, ბოლო ხანებში აპარატმა პოზიციები რამდენადმე შეიცვალა, გამოჩნდა პროგრესული იდეების შემცველი სამთავრობო დოკუმენტებიც. თუ რამდენად გულწრფელია მათი ეს ნაბიჯი, ამას დრო და კონკრეტული საქმეები გვიჩვენებს. ისინი, ვინც ამ რამდენიმე თვის წინ კბილებით იცავდნენ ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ბუტაფორიულ ეკონომიკურ პროექტებს, უწოდებდნენ მათ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებს, დღეს საოცარ მეტამორფოზას განიცდიან. ეს, თავისთავად მისასალმებელი ფაქტია. მაგრამ იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ რესპუბლიკის მმართველი აპარატის მოხელეების ფერიცვალების მიზეზი 9 აპრილის სასხლიანი ტრაგედია იყო. ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ უნდობლობის ჭია ჯერ კიდევ ბევრ ქართველს უღრღნის გულს.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს დაუშვებელია მთავრობის მხრიდან მერყეობა ერისათვის სასიცოცხლო საკითხების გადაჭრისას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს ნდობის იმ კრედიტს, რომელიც მან ხალხისაგან მიიღო. ფორმალური, არაფრისმაქნისი მოქმედებები და ნახევარზომები მხოლოდ ხალხის გაღიზიანებას გამოიწვევს და მდგომარეობას გაამწვავებს. ხელი უნდა ავიღოთ სხვადასხვა სახის საკავშირო პროგრამებისადმი ლაქუცზე. ის, რაც ეწინააღმდეგება რესპუბლიკაში შემუშავებულ იდეებს, უნდა იქნას უარყოფილი. "ცენტრის" მიერ თავსმოხვეული ყველა დოკუმენტის მიმართ ჩვენი პოზიცია უნდა იყოს პრინციპული, განსაკუთრებით ისეთი სახის პროგრამის მიმართ, როგორიცაა სკკპ ეროვნული პლატფორმა, რომლის ეკონომიკური ნაწილი (დანარჩენს რომ თავი დავანებოთ), სხვა

არაფერია, თუ არა რესპუბლიკათა ეკონომიკური სუვერენიტეტის "გაფართოების" ყბადაღებული "მოსკოვური" მოდელის ნაირსახეობა.

კოსმეტიკური რემონტით, სხვადასხვა სახის ვარიანტების ჰიბრიდული შეჯვარებით ეერაეითარ შედეგს ეერ მივიღებთ, დიდ დროს კი დავკარგავთ. ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში უმოქმედობის ყოველი დღე დაკარგული დროა, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და ამძიმებს ეროვნულ კაბალას.

ყველაფერი კარგია, რაც დროულია. ახალმა იდეებმა სწრაფად უნდა შეისხას ხორცი, თორემ, ერთი გამონათქვამისა არ იყოს "ქვეყანაზე არაფერი ისე სწრაფად არ ძველდება, როგორც სიახლე".

ივნისი. 1989 წ.

ახალი სქემებით ძველი პოლიტიკისაკენ
(დია ფერილი სახალხო დეპუტატს)

ყოველკვირეულში "მოსკოვსკიე ნოვოსტი" (№38, 1989 წ.) გამოქვეყნდა ინტერვიუ ჟურნალ "ვოპროსი ეკონომიკის" მთავარ რედაქტორთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ გავრილ პოპოვთან, რომლის წაკითხვის შემდეგაც გამიჩნდა სურვილი მიმემართა მისთვის ამ წერილით.

პატივცემულო გავრილ ხარიტონის ძევ,

სიმართლე გითხრათ, თქვენი ინტერვიუ მოულოდნელი არც ყოფილა, რადგან ეროვნულ ერთობებზე თქვენს შეხედულებებს ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ გავეცანი ჟურნალ "ზნამიას" ფურცლებზე ნ.აჯუბეისთან დიალოგის დროს. მაგრამ თუ აქამდე განავითარებდით თქვენს ეროვნულ "პლატფორმას" მართლაც წარმოუდგენელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნ.აჯუბეისთან საუბარში ქვეყნის ეროვნული მოწყობის შესახებ თქვენს მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა საქართველოში უარყოფითი გამოხმაურება ჰპოვა, რაც აისახა კიდევაც ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, თქვენი პიროვნების მიმართ ნეგატიური აზრი მაინც არ ჩამოყალიბებულა. ალბათ იმიტომ, რომ გთვლიან და დღესაც მიაჩნიხართ დიდ სწავლულ ეკონომისტად და რუსეთის დემოკრატიული ნაწილის ღირსეულ წარმომადგენლად. ამის დამადასტურებლად თუნდაც ამ სტრიქონების ავტორის მიერ რესპუბლიკის პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, მრავალრიცხოვან საჯარო გამოსვლებში ეკონომიკის რეფორმის თქვენეული რადიკალური იდეების მხარდაჭერისა და პროპაგანდის მაგალითიც კმარა. სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე თქვენს ბრძოლაში რომ ქართველი ეკონომისტებიც მხარს გიჭერდნენ, ამაში თუნდაც თქვენს სახელზე გამოგზავნილი იმ დეპეშებითაც დარწმუნდებოდით, რასაც, იმედია, მიიღებდით. არც იმის შეხსენება იქნებოდა ზედმეტი, რომ სახალხო დეპუტატად თქვენ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებიდან აგირჩიეს, რომლის რესპუბლიკურმა განყოფილებამ არჩევნების წინ თბილისში გულთბილი შეხვედრაც მოგიწყოთ და შემდეგ ხმებიც თქვენ მოგცათ.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ თქვენ პატიოსან, ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ჰუმანურ პოზიციას დაიკავებდით ეროვნულ და ყველა სხვა პრინციპული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი.

ბევრი ადამიანი, მრავალი მიზეზის გამო, ბოლომდე არც კი იყო გარკვეული ეროვნული პრობლემების მთელ სირთულეზე, ძალზე გამარტივებულად წარმოედგინა იგი. ზოგიერთი მხოლოდ უკანასკნელ

პერიოდში თუ ჩასწვდა ეროვნული ურთიერთობის სირთულეს და წინააღმდეგობებს. ამას თავადვე აღიარებთ ინტერვიუში, როცა გულწრფელად ამბობთ, რომ:

"В течение многих лет я, как и, наверное, миллионы советских людей, был убежден в том, что национальные проблемы - это пережиток, который мы очень скоро преодолеем, по словам Маяковского "чтобы в мире без России, без Латвии жить единым человечьим общежитьем".

სამწუხაროდ, ბატონო პროფესორო, როგორც ჩანს, საჯაროობის ოთხი წელიწადი არ ყოფილა საკმარისი იმისათვის, რომ ბოლომდე გაგეცნობიერებინათ ეროვნულ ურთიერთობათა მთელი სირთულე. ამაში მარტო თქვენ არ სცოდავთ, არამედ აკადემიკოსი ანდრეი სახაროვიც. მისმა იდეებმა საბჭოური კონფედერაციის შესახებ, რომელიც ეროვნული თავისებურებების, ისტორიული რეალობის უცოდინარობითაა ნასაზრდოები, ქართველი ხალხის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ "საქართველო მცირე იმპერიად" არის გამოყენებული, მის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო მოწყობის სქემები საერთოდ საკუთარი ტერიტორიის გარეშე ტოვებს ქართველ ერს. სამწუხაროდ ავტონომიზაციის თქვენეული მოდელი დიდად არ განსხვავდება ანდრეი სახაროვის ვარიანტისაგან.

კორესპონდენტთან საუბარში სამართლიანად მოითხოვთ თქვენი თანამემამულეების - ბერძნების ეროვნული ინტერესების დაცვას და აქ ბევრ რამეში სწორიც ბრძანდებით...

რუსიფიკატორული იდეებით შეპყრობილმა ცარისტულმა პოლიტიკამ, რომელიც ასე თანმიმდევრულად განაგრძეს და გაატარეს ბოლშევიკებმა, კავშირში შემავალ ხალხთა ეროვნული ინტერესების უგულებელყოფამ, იქამდეც კი მიგვიყვანა, რომ ზოგ რესპუბლიკაში არამკვიდრმა მოსახლეობამ უმრავლესობასაც კი მიაღწია და გადაშენების საფრთხე შეუქმნა მრავალ მკვიდრ ერს. ეგრეთ წოდებული "ინტერნაციონალური" პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ზოგიერთი პატარა ერი. ძალდატანებითი ასიმილაციის საილუსტრაციოდ თუნდაც თქვენს მიერ ნათქვამი სიტყვებიც კმარა, როცა აღიარებთ, რომ განიცდით დანაშაულის გრძნობას საკუთარი ხალხის წინაშე იმის გამო, რომ მშობლიური, ბერძნული ენა არ იცით. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ცალკეული ადამიანები კი არ არიან დამნაშავენი ამ ტრაგედიაში, არამედ ის სისტემა, რომლის შვილებიც ისინი არიან. სწორედ კოსმოპოლიტიზმის ბაცილით დასნეულებული ქვეყნის პირმშოა მილიონობით ყაზახი, მოლდაველი, თათარი, უკრაინელი, ბელორუსი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ერის ადამიანი, რომლებმაც არ იციან მშობლიური ენა. ამიტომ სავსებით კანონიერია და ჰუმანური თქვენი მონდომება, რომ ბერძნებმა ისწავლონ თავის მშობლიურ ენაზე, ჰქონდეთ საკუთარი თეატრი და გაზეთი,

შეინარჩუნონ ეროვნული თვითმყოფადობა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ბერძნები, რომლებსაც ყიმედოვნებთ, ქართველებისგან, მხოლოდ სიკეთე.და მეგობრული დამოკიდებულება ახსოვთ.

საკუთარ ერზე ზრუნვა ჭეშმარიტი პატრიოტის ვალია. თქვენც ეს გრძნობები გამოძრავებთ, მაგრამ თქვენი შეხედულებები გულისხმობს ერთი ერის ბედნიერების მიღწევას სხვა ერების ხარჯზე. საბოლოო ჯამში კი, ნებით თუ უნებლიედ, გსურდათ თუ არა, თქვენც იმპერიულ პოზიციებზე გადაიხარეთ, რაც საერთოდ გამორიცხავს სსრკ-ში შემავალი რომელიმე ერის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტერესების დაცვას. თქვენს მიერ შემოთავაზებული კავშირის მოწყობის ახლებური ვარიანტი სხვა არაფერია თუ არა სტალინურ-ორჯონიკიძისეული ეროვნული ტერიტორიების დაქუცმაცების "ინტერნაციონალური" მეთოდი.

სხვანაირად როგორ გავიგოთ თქვენი შემდეგი მოთხოვნა: "Необходимы, полагаю, автономные образования для русского населения по всей территории страны". ანდა, რას უნდა ნიშნავდეს თქვენეული მოდელი "О создании автономной греческой республики в особом исполнении. У нее не будет единой территории. Помимо автономных областей ее базой станут различные округа. районы и сельские советы"

თქვენ მარტო ამაზე რომ ჩერდებოდეთ, შეიძლება კეთილი ეროვნული გრძნობით გამოწვეულ შეცდომად ჩაგითვალოთ ეს უცნაური იდეა კაცმა, მაგრამ ანალოგიური ავტონომიის შექმნას მოითხოვთ სხვა ერებისთვისაც.

ყველა რესპუბლიკაში, სადაც ცხოვრობენ სხვა ერების წარმომადგენლები, გსურთ ტრადიციული ავტონომიები ჩამოუყალიბოთ, ზოგიერთი ავტონომიური ფორმირება კი - "გაარესპუბლიკოთ". თუმცა გავიწყდებათ, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის განსხვავებული ტრადიციები, არაერთგვაროვანი ისტორია. თქვენი იდეები არაფრით არ განსხვავდება იმ იდეებისაგან, რომლებიც ჩადებულია სკკპ პლატფორმაში ეროვნული პოლიტიკის შესახებ. შეიძლება ითქვას, უფრო რეაქციულიც კი არის. ამ პლატფორმამ პირველი შხამიანი ნაყოფი უკვე გამოიღო ლიტვაში პოლონური ავტონომიური რაიონის ფორმირების პროვოკაციული მოთხოვნის სახით.

საქართველო, პატარა რესპუბლიკა, დღეს იძულებულია, როგორც უწინ, შეინარჩუნოს თავისი მრავალსაუკუნოვანი საზღვრები. ის რაც მთლად ვერ წაგვართვეს ძალის მეოხებით, ახლა "ცივილიზებულად", "კონსტიტუციური" გზით, "ბრძნული" სქემების წყალობით უნდათ განახორციელონ. მისი ერთ-ერთი ნაირსახეობის ავტორი თქვენც ბრძანდებით, პატივცემულო პროფესორო. თქვენი

მოდელის წყალობით ერთ ციდა რესპუბლიკაში, სადაც უკვე არსებობს სამი ავტონომიური ფორმირება, უნდა გაჩნდეს რუსების, ბერძნების, სომხების, ასურბაიჯანელების და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რესპუბლიკა, ოლქი თუ რაიონი - საქართველოში ხომ მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. რა ვქნათ, შემდეგ მათ ჩვენი მიწით სხვა რესპუბლიკებთან მიერთება რომ გადაწყვიტონ კეთილმეზობლობისა და კეთილგანწყობილების სანაცვლოდ? ან ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ კვლავ არ განმეორდება ის, რაც მოჰყვა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ანექსიას 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ, როცა საქართველოს ტერიტორიები სხვა რესპუბლიკებს გადაეცა "საჩუქრად" სტალინ-ორჯონიკიძის წყალობით? ნუთუ ახალი აბსურდული სქემების განხორციელებით უნდა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის თვითლიკვიდაცია? განა ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი, გვაძლევს იმის უფლებას, რომ ქართული სახელმწიფოს ხარჯზე, მის ისტორიულ ტერიტორიაზე წარმოიქმნას ცალკე სახელმწიფოები. ეს ხომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს არსებობის ფაქტის იგნორირება და მისი ხალხის ნების აბუჩად აგდება იქნებოდა. საქართველოს არ გააჩნია არც ერთი მტკაველი მიწა, რომელიც არ იყოს მისი ისტორიული საკუთრება. მაგალითად, თუ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორია რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის შედეგად შემოერთებული ტერიტორიაა, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი არის ძველი ქართული მიწა, ისტორიული შიდა ქართლი, სადაც ჩრდილოეთ კავკასიაში ოდითგანვე მცხოვრები ოსური ტომები გადმოსახლდნენ.

ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ გაჩნდა და ამ დღიდან მოყოლებული საქართველო გადაიქცა ინტერნაციონალიზმის ექსპერიმენტულ პოლიგონად, პოტენციური კონფლიქტების კერად. ამას თქვენც აღიარებთ, როცა წერთ, რომ

"Сталин сознательно закладывал в эти решения конфликтные основы - известный принцип "разделяй и властвуй".

თქვენ ამას კი ხედებით, მაგრამ რა აზრი აქვს, როცა თავად კიდევ უფრო შორს მიდიხართ და გსურთ, რომ ამ თქვენი აკვიატებული სქემით საქართველოში უკვე არსებულ სამ ავტონომიურ წარმონაქმნს კიდევ სამი და იქნებ ბევრად მეტიც დაუმატოთ.

ჩემთვის გაუგებარია, თუ რას უნდა ნიშნავდეს თქვენი შეკითხა:

"Зачем нужно было делить Осетию на южную и северную, разделять адыгов и абхазцев".

თუ თქვენ გულისხმობთ, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა თავიდანვე არასწორი იყო, ამაში შემიძლია დაგეთანხმოთ, მაგრამ, ვეჭვობ, რომ თქვენც არასწორად მიგაჩნდეთ საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე ხელოვნურად წარმოქმნილი ავტონომიის არსებობა, რადგან იგი ეწინააღმდეგება თქვენს მიერ მოცემულ პრინციპებს.

ისე, გასაკვირი კია, როდესაც ამბობთ, რომ არ უნდა იყოსო ორი ოსეთი, თხუთმეტი რუსეთის წარმოქმნას კი მოითხოვთ...

თქვენი დიალოგის დიდი ნაწილი გამსჭვალულია იმ ა'სრით, თითქოს ეროვნული ურთიერთობების გამწვავება გამოწვეული ყოფილიყოს მხოლოდ ეკონომიკური პრობლემებით და ამიტომაც მიგანნიათ, რომ ეკონომიკური რეფორმის ფორსირებულად გატარება არის მწვავე ეროვნული პრობლემების გადაჭრის ერთადერთი უებარი წამალი. თქვენი ასეთი პოზიცია არის უაღრესად რთული მოვლენის მეტისმეტად გამარტივებული ახსნა. ილუზიაა თითქოს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრით მოისპობოდეს ეროვნული წინააღმდეგობების საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული წინააღმდეგობები ხშირად ეკონომიკურ შეფერილობასაც ღებულობენ და ძნელია იმის გარკვევა, რა რის შედეგადაა გამოწვეული, მაინც დამაჯერებლობას არის მოკლებული თქვენეული "ეკონომიკური დეტერმინიზმის" ფილოსოფია. თქვენ ცდილობთ, რომ ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, ყაზახეთში და სხვა რეგიონებში დღეს შექმნილი კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება, რომელიც არამკვიდრი მოსახლეობის მოძალების შედეგადაა გამოწვეული, და საერთოდ, სხვა მასობრივი იმიგრაციული პროცესები ახსნათ რუსი ხალხის კეთილი ნებით, დაეხმაროს ამ რესპუბლიკებს ეკონომიკურ განვითარებაში. თუ ეს ასე არაა, რას უნდა ნიშნავდეს თქვენი სიტყვები:

"В течение десятилетий значительная часть прибавочного продукта, созданного в России, изымалась и направлялась на строительство предприятий в различных национальных территориях. Вслед за ними шло и русское население. Сейчас мне кажется это население брошено в определенной степени на произвол судьбы. Оно вынуждено забастовками напоминать о своем существовании и своих человеческих правах. Спит российский парламент, а конгресс США волнует судьба даже одного американца, оказавшегося в беде".

არა, გაერილ ხარიტონის ძვ, ძალზე სცდებით, თუ გგონიათ, რომ სძინავთ იმათ, ვინც, თქვენი აზრით, უნდა "დაიცვას" რუსების ინტერესები სხვა რესპუბლიკაში. ნუთუ გჯერათ, რომ ბალტიისპირეთში ან მოლდავეთში მიმდინარე გაფიცვებში და მიტინგებში მონაწილე "ინტერნაციონალისტები" ბედის ანაბარად არიან მიტოვებული? აბა გაიხსენეთ, იგივე "მოსკოვსკიე ნოვოსტში" გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ უწყობდნენ ხელს ფარული ძალები (თუმცა რაღა ფარული – პირდაპირაა ნათქვამი მოსკოვის საქალაქო საბჭო, რსფსრ-ს მწერალთა კავშირი და ანონიმური პირები სსრკ

უმაღლესი საბჭოდან) მოსკოვის ცენტრში გამართული არასანქციონირებული მიტინგის სამას ორმოცდაათამდე მონაწილეს ანტიბალტიისპირული აქციის დაუბრკოლებლად ჩატარებაში. მათ მოაწყვეს მსელელობა ქალაქის ცენტრში, პუშკინის მოედანთან და გაემგზავრნენ ბალტიისპირეთში, რათა დახმარება გაუწიონ იქაურ "ინტერფრონტელებს", რათა

"продемонстрировать солидарность со всеми, кто борется против законодательных инициатив, противоречащих Конституции СССР".

ან რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა აშკარა მოწოდებას ეროვნული შუღლისაკენ "ლიტერატურნაია გაზეტაში" დაბეჭდილი რსფსრ-ს მწერალთა კავშირის გამგეობის მიმართვის სტრიქონები, რომლებიც შეურაცხყოფენ არა მარტო ბალტიისპირელ, არამედ ყველა რესპუბლიკის ხალხებს. ამ მიმართვაში ე.წ. "ინტერმოძრაობის" მიერ მოწყობილი გაფიცვებისა და მიტინგების შესახებ ნათქვამია, რომ

"она показала высокую политическую сознательность забастовщиков".

რაოდენ სამწუხაროა, გავრილ ხარიტონის ძევ, რომ "პამიატის" სულისკვეთებით განწყობილი ადამიანების ხმას თქვენი ხმაც შეუერთდა: "ინტერგაფიცვები" ამ რესპუბლიკებში თურმე გამოწვეული ყოფილა იმით, რომ დაჩაგრულ ხალხს თავისი არსებობა შეეხსენებინა.

თქვენი აზრით, როგორც უკვე ვთქვი, ეროვნული პროცესების შეფასების საბოლოო კრიტერიუმი ეკონომიკური პროგრესია. ამას კი საკვლევით ლოგიკურად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ციმბირის, კავკასიის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის დაპყრობა და საერთოდ კოლონიური პოლიტიკა გამართლებულია, რადგან ამ გზით "ჩამორჩენილი" ხალხები ცივილიზაციის, კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების პროცესში ერთვებიან. ნაცვლად იმისა, რომ თქვენ მოკავშირე რესპუბლიკებში უცხო ერის მოძალება "ნეოერმაკიზმად" გელიარებინათ, პირიქით, იგი ეკონომიკური აუცილებლობით ახსენით. ნუთუ ვერ ხვდებით იმას, რომ რასაც ერმაკები და ორჯონიკიძეები ცეცხლითა და მახვილით ჩადიოდნენ, დღეს გიგანტური ქარხნების ექსპორტით, ე.წ. "ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის" შექმნით კეთდება.

ძალზე ჭკვიანი და ცბიერი იყო ნიკოლო მაკიაველი. იგი ხომ დაპყრობილი ქვეყნების შენარჩუნების ყველაზე ეფექტურ გზად დამპყრობელი ხალხის ამ ქვეყანაში დასახლებას მიიჩნევდა. მაკიაველი წერდა: "რესპუბლიკებში... არასდროს ჩაქრება და არც შეიძლება ჩაქრეს დაკარგული თავისუფლების ხსოვნა. ამიტომ ყველაზე ქმედითი საშუალებაა მათი დანგრევა ან მათში დასახლება".

თქვენს მიერ გამოთქმული სინანული ყაზახი ხალხის მიმართ, ვეჭვობ, რომ გულწრფელი იყოს. თურმე ყაზახების "მანქურთიზაციის",

საკუთარი ენის დავიწყების მიზეზი სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა მისი ერკელი ტერიტორია.

"Ну как полнокровно развиваться казахскому народу. - წერთ თქვენ - если в границах нынешнего Казахстана он не составляет и никогда не составлял (ნუთუ? - რ.ბ) большинства и его язык поэтому не сможет стать повседневным и преобладающим".

თქვენი ამ იდეიდან გამომდინარე, ყაზახეთის რესპუბლიკაში მკვიდრი მოსახლეობისათვის რეზერვაციის შექმნამდე სულ ცოტალა რჩება.

ის, რომ რესპუბლიკებში, მათ შორის ნემს სამშობლოშიც, ეროვნული მოძრაობის აღმავლობაა, ეკონომიკური კრიზისის შედეგი კი არ არის, არამედ ერის ნებისა – თავადვე ეკუთვნოდეს საკუთარი თავი და საკუთარი მიწა-წყალი. ყველა ერი, მათ შორის ჩვენ, ქართველები ეროვნულ ინტერესებს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე მატერიალურ კეთილდღეობას. ამიტომ ვერ გაუგია ბევრს "ცენტრში" თუ რატომ მოვითხოვეთ ასე ჯიუტად ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რომელმაც შესაძლოა, თავდაპირველად, ცხოვრების დონის კიდევ უფრო დაქვითებაც კი გამოიწვიოს. როცა ხალხი შიდაა ეკონომიკური მდგომარეობა გაიუარესოს ეროვნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სანაცვლოდ, ეს იმის ნათელი მაგალითია, რომ ადამიანი ეროვნულ ყოფას, ეროვნულ კულტურას, სამშობლოს სიყვარულს ყველა სხვა ღირებულებაზე მაღლა აყენებს.

საქართველოს მძიმე დღეები უდგას. დღეს ისეც კი ხდება, რომ ეჭვქვეშ დგება ქართველი ხალხის უფლება, იცხოვროს და იღვაწოს თავისი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის საზღვრებში. მისი ბედი დამოკიდებული გახდა მესამე ძალაზე. რისი იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ, როცა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყველაზე დემოკრატიული და პროგრესული ნაწილიც კი იმპერიულ პოზიციებზე დგება? აქეს კი რაიმე აზრი, საერთოდ ეროვნული რესპუბლიკების წარმომადგენელთა ყოფნას უმაღლეს საბჭოში, როცა მათი ხმა კრემლის ერე კედლებში გაისმის "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"? იქნებ ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დღეს ჩვენი იმედის თვალი კონსტიტუციის 72-ე მუხლისკენაა მიმართული?

თქვენ კარგად იცით, რომ ქართველები ხალხთმოყვარე ერია. ეს მისმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ დაამტკიცა. ჩვენ არაეის ყერეკებით საქართველოდან, მაგრამ ყერც იმას შეეურიგდებით, როცა სხვა ერების წარმომადგენლები საქართველოში ინენენ სრულ ინდიფერენტიზმს მკვიდრი ერის კულტურის, მისი ენის მიმართ. თუ არამკვიდრი ერების პოზიცია - დაიცვას საკუთარი ენა და კულტურა - საუსებით სამართლიანია, ყოველად გაუმართლებელია და შეუწყნარებელი მათ მიერ ქართული ტრადიციებისა და ენის უგულებელყოფა.

ს ხომ ერის აბუჩად აგდება, მისი სუვერენული უფლებების შელახვაა.

საქართველოში არასდროს ყოფილა ანტირუსული განწყოილება, როგორც ამის დახატვა სურდა მაღალი ტრიბუნიდან ერთ ვადმოსახსენებელ "ნიჩბოსანს". მაგრამ ჩვენი პოზიცია დღეს არის სეთივე, როგორიც ჰქონდა ინდოელ ერს, მის სულიერ ბელადს ანჰატმა განდის ინგლისელთა მიმართ. იგი ამბობდა: "არ ვარ წინაღმდეგი იმისა, რომ დარჩეთ ჩემს ქვეყანაში, მაგრამ... ჩვენ კი არ ნდა ვიქცეოდეთ ისე, როგორც თქვენ გსურთ, არამედ თავად უნდა ოიქცეთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა... ჩვენს ქვეყანაში ისევე ცხოვრების ესის შემოღება გმართებთ, როგორსაც ჩვენ ვეწევით... საერთო ენა ნდოეთისათვის უნდა იყოს ჰინდი და არა ინგლისური. აქედან ამომდინარე თქვენც უნდა შეისწავლოთ იგი. ჩვენ მხოლოდ საკუთარ როვნულ ენაზე ვიქონიებთ ურთიერთობას თქვენთან".

ჩემი წერილი, პატივცემულო პროფესორო, მინდა ერთი ამბით ავამთავრო:

ახალგაზრდა გერშვინმა თხოვნით მიმართა უკვე სახელგანთქმულ ორის რაველს ესწავლებინა კომპოზიციის მისეული მეთოდები. ანცვიფრებულმა რაველმა (რომელიც იცნობდა გერშვინის ვითმყოფად შემოქმედებას და კეთილი შურით შურდა კიდევაც ისი) ასე უპასუხა მოკრძალებულ მთხოვნელს: არ მესმის, რად ინდათ გახდეთ მეორეხარისხოვანი რაველი, როცა უკვე ხართ ირველხარისხოვანი გერშინი".

გავრილ ხარიტონის ძეე, ერთაშორისი ისტორია რთული რამაა... თქვენ ხომ პირველხარისხოვანი ეკონომისტი ბრძანდებით...

სექტემბერი. 1989 წ.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ჩვენთვის უცხო ხილია. მისი არც ცოდნა გაგვაჩნია, არც გამოცდილება. ეს არცაა გასაკვირი, ამაზე ხომ არასდროს გვიფიქრია, რადგან ყველაფერს სხვა წყვეტდა და სხვა განაგებდა. ჩვენი ცოდნა იმაზე, თუ რა გავყიდოთ უცხოეთ'ში და რა ვიყიდოთ, ვისგან მივიღოთ დახმარება ან ვის გავუწიოთ, ვისთან ერთად ვაშენოთ და რა ვაშენოთ, როგორი სესხი ავიღოთ ან სულაც გეჭირდება თუ არა იგი, ეფუძნება უმარტივეს, მასობრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულ ყოფით წარმოდგენებს. ეს წარმოდგენები შესაძლოა იქცეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პრიმიტიულ "ხალხოსნურ" მოდელად, რომელიც, გამორიცხული არაა, რომ მომავალში სახელმწიფო ხელისუფლების სამოქმედო პროგრამაც კი გახდეს.

ამის საშიშროება უკვე არსებობს.

დღეს საქართველოს უფლებების უმნიშვნელოდ გაფართოების პირობებშიც კი, როცა მოგვეცა საშუალება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზეც ვიფიქროთ, ფეხს იკიდებს შეხედულებები, რომლებიც ამ ურთიერთობათა აშკარად პატრიარქალურ, გულუბრყვილო-პატრიოტულ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ შეხედულებათა მიხედვით, თურმე მომავალში საქართველოს უპირველესი მტერი იქნება უცხოური კაპიტალი. ყველაფერს, რაც კი გვაბადია, ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილს, კაპიტალისტებზე გაყიდვის საფრთხე ელის. ეხლაც კი, როცა საქართველოში უცხოური კაპიტალის ჭაჭანებაც არაა, ატეხილია ყვირილი - "იყიდებაო საქართველო". შესაბამისი განწყობილების გამომხატველი ლოზუნგებიც გაჩნდა: "არ გავყიდოთ ჩვენი წყალი" და ა.შ. ასეთი წარმოდგენის სათავე ძნელი მისახვედრი არაა. ესაა სოციალისტური იდეოლოგიური მანქანის მიერ კაპიტალის გადაქცევა საფრთხობელად, რომელიც მასობრივ საბჭოურ ცნობიერებაში ჩაბეჭდილია ექსპლუატაციის, ხალხების დამონებისა და ბუნების გაჩანაგების სიმბოლოდ. კაპიტალისტური მეწარმეობის შესახებ ჩვენში გაბატონებული სტერეოტიპი წარმოშობს ცრუ წარმოდგენებს საერთოდ სამეურნეო პოლიტიკაზე. ასეთ წარმოდგენებს უკვე კურიოზებამდეც მივყავართ. გავიძახით, რომ ვიბრძვით საბჭოური სისტემისა და მაშასადამე, სოციალიზმის წინააღმდეგ და ფაქტიურად უარს ვამბობთ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ელემენტარულ პროცესებზე. ის აუცილებელი, შინაგანად დამახასიათებელი და ორგანული, რაც კაპიტალიზმისათვის ანბანური ნიშან-თვისებებია, ჩვენი ცნობიერებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და უცხო სხეულივით ვერეკებით.

ჩვენი საზოგადოების ცნობირება დღეს მფრინავი თეფშების მისაღებად უფროა მზად, ვიდრე უცხოური კაპიტალისა. ბევრს იგი ის "მატარებელი" ჰგონია, რომელიც ჰაერს წამლავს, მრუშობა შემოაქვს,

ხალხს წაახდენს და გადააგვარებს. "რკინის მანქანის" შემოსვლის მოწინააღმდეგე ციციკორეები მალე სოკოებივით წამოყოფენ თავს.

მომავალი, დამოუკიდებელი, დასავლური ტიპის ქართული სახელმწიფოს შენებაში ყველაზე დიდი სირთულე იქნება წინააღმდეგობა დასავლური ყაიდის ღირებულებებსა და გასოციალისტურებულ ეროვნულ თვითშეგნებას შორის. სწორედ იგი გახდება პოლიტიკურ დაპირისპირებულობათა ძირითადი მიზეზი. ამ წინააღმდეგობათა სიმპტომები დღეს უკვე შეიმჩნევა და მასზე დროული და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო, რათა იგი არ გაღრმავდეს და არ ჩამოყალიბდეს როგორც ქართული "ეკონომიკური ჰომეინიზმი". განსაკუთრებით საშიშია იგი იმის გამო, რომ ამ მოვლენის სოციალისტური ბუნება ეროვნულ სამოსელშია შეფუთული.

უცხოური კაპიტალის შემოსვლის წინააღმდეგ ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მეორე, და შესაძლოა, ყველაზე მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ საუკუნეთა მანძილზე არ გვიცხოვრია სრულფასოვანი დამოუკიდებელი ცხოვრებით. არ შეგვიგრძვნია და საკუთარ თავზე არ გამოგვიცდია, თუ რა უზარმაზარი შესაძლებლობები, მრავალნაირი საშუალებები გააჩნია დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეროვნული, მათ შორის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. ამიტომ, ის ბუნებრივი შიში და სიფრთხილე, რაც კოლონიური ქვეყნებისათვის ეროვნული თვითგადარჩენის იმუნიტეტურ ფუნქციებს ასრულებდა, მომავალში კიდევ დიდხანს შეგვრჩება, ოღონდ უკვე სხვა ფორმით, არასრულფასოვნების კომპლექსის სახით. იგი თავისებურად იჩენს თავს ახალი ქართული ეკონომიკური აზროვნების ფორმირების პროცესშიც.

ყველაზე საშიში კი მაინც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, არის ის, თუ მასობრივ ცნობიერებაში არსებული გულუბრყვილო წარმოდგენები სახელმწიფო პოლიტიკას დაედება საფუძვლად. ამგვარი ტენდენციების გამოვლინებას ხელისუფლების უმაღლესი დონის წარმომადგენლთა მიერ სხვა წონა გააჩნია, ვიდრე დავუშვათ, რიგითი პუბლიცისტის აზრს. სწორედ ამიტომ, მინდა შევეხო საგარეოეკონომიკური პოლიტიკის ერთი კერძო საკითხისადმი - უცხოეთის დახმარებისადმი საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას. აქვე, იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენს დახმარებას ჯერჯერობით არავინ აპირებს და სანამ ამუამინდელ გაურკვეველ ვითარებაში ვიქნებით, არც არავინ დაგვეხმარება. ამ საკითხზე იმიტომაც ღირს ყურადღების გამახვილება, რომ სამომავლო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ამუამითვე არ ჩაეყაროს მცდარი საფუძველი.

ამ ცოტა ხნის წინათ, ყოველკვირეულ გაზეთ "რესპუბლიკაში" (№11, 1990 წ.) გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ამხანაგ (ასე პარტიული ნიშნით მიმართავენ ერთმანეთს ჯერ კიდევ ჩვენს მთავრობაში) ოთარ ქვილითაიასთან, რომელშიც შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო

ეკონომისტთა ფორუმის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ირკვევა, იგი საქართველოდან ჩასულ დელეგაციას მეთაურობდა. ამ ინტერვიუში ნათლად ჩანს, თუ რა "ბრძნული" და შორსგამიზნული სტრატეგია გააჩნია ჩვენს მთავრობას საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში.

აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების უაღრესად გონივრული, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად გამართლებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყნებს განუზრახავთ დასავლური ცივილიზაციისაკენ დაბრუნება დასავლეთის ქვეყნებისავე დახმარებითა და მხარდაჭერით, ბატონ ოთარ ქვილითაიას, არც მეტი და არც ნაკლები, მათხოვრობად და უთავმოყვარეობად მიაჩნია. ამ მოკლე ინტერვიუში თვალნათლივ ჩანს ქართული ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლის მთელი ეკონომიკური ფილოსოფია.

მსიოფლიო მნიშვნელობის ფორუმზე, სადაც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ცნობილი ეკონომისტი, ბიზნესმენი, მაღალი რანგის სახელმწიფო ხელმძღვანელი და პოლიტიკოსი მონაწილეობდა, საქართველოს ნომენკლატურულმა დელეგაციამ ღირსეულად დაიცვა საბჭოთა კავშირის იმპერიული ინტერესები. ამიტომაც იყო, რომ "კრემლის" პლატფორმაზე მდგომმა ჩვენმა დელეგაციამ თურმე "კუდით ქცა ასროლინა" უნგრეთის, პოლონეთისა და სხვა "შუა ევროპაში მიწყალების მისაღებად ხელგაწვდილი", "მათხოვარი" ქვეყნების წარმომადგენლებს. მოწყალების გაღების პრობლემაზე შემთხვევით არ შეეჩერდი, - ამბობს ამხანაგი ვიცე-პრემიერი თავის ინტერვიუში - ჯეთი განწყობილების შექმნა განიზრახეს ფორუმზე გუშინდელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმომადგენლებმა. არ დაგიმალავთ, უხერხულად ვიგრძენი თავი, არა იმიტომ, რომ ისინი (თითქმის ყველა) ცდილობდნენ თავიანთი ეკონომიკის კრიზისი მთლიანად საჭოთა კავშირისათვის გადაებრალებინათ, იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც სსრ კავშირი ატარებდა... არამედ იმიტომ, რომ მათხოვრის პოზაში დადგნენ: გვიშველეთ, ძალიან გაჭირვებულები ვართ, ყოფილი პატრონი კარგად ვერ დაგვეხმარა, ეხლა თქვენ გვიპატრონეთო... ასეთი თხოვნა უთავმოყვარეობის მანიშნებელი უფროა, ვიდრე ქვეყნის წარმომადგენლის ოფიციალური პოლიტიკის ტაქტიკური სვლა საერთაშორისო შეხვედრაზე.

ბატონი ოთარ ქვილითაია და საქართველოს დელეგაცია (დღემდე ზუსტად არავინ იცის, თუ ვინ იყო მის შემადგენლობაში), იმას გაუნწყენებია, რომ თურმე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დახმარებას მოიიხოვენ. ეს ეტყობა შეურაცხყოფად მიუღიათ ქართული ტრადიციული "ვაუკაცობის" გაგებით გაზრდილ ჯენტლმენებს და როგორც შემდეგ სიამაყით აღნიშნავენ, მთელი ევროპის (ბელგია, შვეიცარია, საფრანგეთი და სხვა) ქვეყნების პრესის წარმომადგენლებს ‘აუწყეს თავიანთი "უცვლელი" პოზიცია: არ გვინდაო "ნაჩუქარი და

ნასესხები დოლარები" (თითქოს ვინმე კალთას გვახევდეს, აიღე თორემ გვეწყინებაო). "არ დამიმალავს და ისიც განვაცხადე - განაგრძობს ბატონი ოთარ ქვილითაია - რომ არ შეიძლება რეალისტური ვუწოდოთ პოზიციას, როდესაც ყველაფრის გადაბრალებას ჩვენზე (?!) ცდილობენ. სსრკ ამ ქვეყნებზე უკეთეს მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყო დღეს, მაშინ ამ ბრალდებას ექნებოდა საფუძველი, მაგრამ ჩვენი (?!!) პრობლემები დღეს ისე მწვავეა და იმდენია, ისეთი სირთულეებით ხასიათდება, რომ აქ სულ სხვა მექანიზმი მუშაობს, სულ სხვა მიზეზებია, რომლებიც ორივე მხარეზე ერთნაირი ძალით, ერთნაირად უარყოფითად მოქმედებს, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირი მათ ხარჯზე არ გამდიდრებულა. ეგების პირიქით (?!!!).

"ეგების პირიქითო"... ეს უკვე მართლაც მეტისმეტია.

საქართველოს ამჟამინდელი ოფიციალური დელეგაციის პოზიცია არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო. ესაა წმინდა აპარატული, თანაც საბჭოური აზროვნების ტიპიური გამოვლინება, ოღონდ ჩვენთვის შედარებით უცხო, საერთაშორისო ასპექტში.

დღეს, რეფორმის გზაზე დამდგარი აღმოსავლეთ ევროპის უკლებლივ ყველა ქვეყანა დარწმუნებულია იმაში, რომ შეუძლებელია ეკონომიკური ცვლილებების გატარება, მეურნეობის საბაზრო სისტემის აღდგენა უცხოური კაპიტალის მოზიდვის გარეშე. ახალი ფინანსური სახსრების შემოსვლის, დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების, კერძო კომპანიების დახმარებისა და პარტნიორობის გარეშე დასახული პროგრამის, განსაკუთრებით კი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება არარეალურია. არ არსებობს ევროპაში ისეთი სოციალისტური ქვეყანა, რომლის წინაშე არ იდგეს ყველაზე მთავარი და ყველაზე რთული პრობლემა - მეურნეობის სტრუქტურული მოდერნიზაცია. ესაა უპირველესი ნიშანი იმისა, თუ როგორ მოსწყვიტა საბჭოთა კავშირმა მსოფლიო მეურნეობას ძალადგასოციალისტურებული ქვეყნები და თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სატელიტად აქცია.

იდეოლოგიზებული ეკონომიკური მარწუხებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა არის შემობრუნება საკუთარი ძირებისაკენ, დასავლეთად და აღმოსავლეთად გაბზარული ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გამრთელება. ეს კი შეუძლებელია ორივე დაშორებული ნაწილის ურთიერთსწრაფვისა და ურთიერთდახმარების გარეშე. მას, ვინც დახმარებას საჭიროებს, ბუნებრივია, ის უნდა დაეხმაროს, ვისაც ეს შეუძლია. მითუმეტეს, თუ პერსპექტიული ევალსაზრისით იგი ორმხრივად სასარგებლო იქნება. მაგრამ ჩვენს ცნობიერებაში დახმარება პრიმიტიულად აღიქმება. როგორც ჩანს, ზოგიერთი ამ სიტყვას ყოფით მოვლენებთან აიგივებს და მისმნიშვნელობას ამ კონტექსტში ხსნის, რაც ბადებს ასევე ყოფით სიტუაციაში დამკვიდრებულ "თავმოყვარულ", "ვაუკაცურ" რეაქციას: "მე არაკითარი დახმარება არ მჭირდება", "სამათხოვრო რა მჭირს" და ა.შ. მიკლედ,

კუდაბზიკა შემოდგომის აზნაურობის ცნობილი მოვლენა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი.

დასავლეთის დახმარება სულაც არ ნიშნავს "ხელგაწვდილი მათხოვრობით" მიღებულ რაღაც მოწყალებას. ესაა უზარმაზარი, მრავალმხრივი ფინანსური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული თუ სხვა სახის ხელშეწობა და თანამშრომლობა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერს დასავლეთი ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ხალხების ბედი. დასავლეთის ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეიძლება ისინი ცივილიზებული ერების რიგში ჩააყენოს, ან საუკუნოვანი "მეორეხარისხოვნობის" დამღით ატაროს. ასეთ პირობებში, როდესაც ევროპის მრავალი ქვეყნის მომაელის საკითხი წყდება, უკიჟინო მათ დასავლეთისაგან დახმარების მოთხოვნისა და თავიანთი სიძნელეების საბჭოთა კავშირისადმი დაკისრების გამო, არა მარტო პოლიტიკური შეცდომაა, არამედ უზნეობაც. საქართველოს დელეგაციას ისიც კი არ გახსენებია, რომ იგივე უნგრეთი (რომელსაც ყველაზე მეტად სდებენ ბრალს ჩვენი "პოლიტიკოსები") და სხვა ქვეყნები სოციალიზმის "ექსპორტის" რუსული პოლიტიკის მსხვერპლნი არიან.

მაინც რა იგულისხმება ეკონომიკური დახმარების ქვეშ?

უფრო ნათელი რომ გახდეს ამ ცნების მნიშვნელობა, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე სჯობს მისი ილუსტრირება. აიღოთ, მაგალითად, პოლონეთი. დასავლეთის დახმარება ამ ქვეყნისათვის მოიცავს: სურსათისა და წამლების უსასყიდლოდ მიწოდებას, პოლონეთის საგარეო ვალის ნაწილობრივ ჩამოწერას, დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადებას, საგარეო ვალზე პროცენტების გადახდის გადავადებას როგორც კრედიტორი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების, ასევე კერძო ბანკების მხრიდანაც; პოლონეთისათვის სპეციალური სარეზერვო ფონდების შექმნა, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ფონდია ე.წ. სტაბილიზაციის ფონდი, ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით, რომელიც შექმნა ოცდაოთხმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ ერთად. პოლონეთის მთავრობამ იგი უნდა გამოიყენოს მიზნობრივი დანიშნულებით - პოლონური ვალუტის შიდა კონვერტირებისა და მისი კურსის სიმყარის უზრუნველსაყოფად.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შექმნას პოლონეთისათვის სპეციალური ფონდი კერძო ინიციატივის მხარდასაჭერად. ამ ფონდის სახსრები გამოყენებული იქნება კერძო სექტორში ტექნიკური დახმარების, კადრების მომზადების, აგრეთვე შრომითი კოლექტივების მიერ სახელმწიფო საწარმოთა გამოსყიდვის დასაფინანსებლად. გათვალისწინებულია, აგრეთვე, კრედიტების გაცემა ახალი კერძო საწარმოების შესაქმნელად.

დასავლეთს განზრახული აქვს უახლოესი სამი წლის განმავლობაში 10 მილიარდ დოლარამდე საკრედიტო-საფინანსო დახმარება

გაუწიოს პოლონეთს.

პოლონეთი სულაც არაა გამონაკლისი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. არა მარტო ის არის მოქცეული "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" განსაკუთრებული ინტერესის სფეროში. ასეთივე დამოკიდებულებაა უნგრეთისა.და იუგოსლავიის მიმართაც. ანალოგიური პოზიციები იკვეთება აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენი ქვეყნებისადმი. განეითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკს გადაწყვეტილი აქვს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მრეწველობის ტექნიკური გადაიარაღებისათვის დახარჯოს უსარმაზარი სახსრები - 7,5 მილიარდი დოლარი.

იაპონიაც მზადაა ორი მილიარდი დოლარის ოდენობის შეღავათიანი სესხი გამოუყოს უნგრეთსა და პოლონეთს. დღეისათვის ესაა ყველაზე დიდი თანხა, რომელიც კი, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანას მიუცია აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნისათვის.

არსებობს აგრეთვე დახმარების "უჩინარი" ფორმებიც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია განსაკუთრებით ხელშემწობი რეჟიმის მინიჭება ამა თუ იმ ქვეყნისათვის საგარეო ვაჭრობაში. ესაა შეღავათები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ზრდას. იგი არის დამატებითი სავალუტო შემოსავლების მიღების ერთ-ერთი საშუალება.

ზოგადად ასეთია საგარეო დახმარების კონტურები. ჩვენ ბოლომდე არცა გვაქვს გაცნობიერებული მისი ავ-კარგიანობა, არ გაგვაჩნია არა მარტო პრაქტიკული გამოცდილება ამ სფეროში, არამედ წმინდა თეორიული თვალსაზრისითაც დილეტანტები ვართ. "საკუთარ ძალებზე დაყრდნობის" ცალსახად გაგებული ფილოსოფია ჩვენთვის სიკეთის მომტანი არაა. აუცილებელია მოწინავე ქვეყნებთან არა მარტო ხელსაყრელი ურთიერთობა და მათი გამოცდილების ათვისება, არამედ ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისაკენ სწრაფვა, როცა საქართველო (და მთლიანად კავკასია) აღმოჩნდება მსოფლიო ეკონომიკური გიგანტების ინტერესების სფეროში. დღეს, საქართველო (და მთელი კავკასიაც) მხოლოდ ეგზოტიკური პროვინციაა დასავლეთის თვალში.

მსოფლიო ეკონომიკურმა პოლიტიკამ არ იცის ფილანტროპობა. თუ იქნება დაინტერესება - ითანამშრომლებენ შენთან, თუ არა - უშენოდაც კარგად გაძლებენ (ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირის გარიყვა თითქმის საუკუნის მანძილზე მსოფლიო თანამეგობრობიდან).

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი დახმარების გაწევასაც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკურ მიზეზები გააჩნია. ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ამ რეგიონში ისეთი ცვლილებების გატარებაშია, რომელიც ხელს შეუწყობს წმინდა დასავლური ღირებულებების - თავისუფალი ბაზრისა და პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდ-

რებას, რაც საერთო ჯამში უსაფრთხო ევროპული სახლის შექმნის აცილებელი პირობაა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე კონკურენციის ფაქტორი მსოფლიოს სამ ისეთ უდიდეს ეკონომიკურ ცენტრს შორის, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა და შორეული აღმოსავლეთი. ეკონომიკურ კონკურენციაში გამარჯვებული გამოვა ის, ვინც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება აღმოსავლეთ ევროპის ინტელექტუალურ, სამრეწველო და სანედლეულო პოტენციალს. შემთხვევითი არ არის, რომ 90-იან წლებს "აღმოსავლეთ ევროპის ათწლეულს" უწოდებენ. სამი ეკონომიკური გიგანტის ძალთა თანაფარდობა მომავალში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მათ ურთიერთობებზე.

ყველაზე მეტი შანსი, ამ მხრივ, დასავლეთ ევროპას გააჩნია, რადგან მათ შორის არსებობს ისტორიული, გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე. ამას ითვალისწინებენ ამერიკელი და იაპონელი საქმიანი წრეები და სულ უფრო მზარდი ოდენობით უწევენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დახმარებას.

ასეთ ვითარებაში, აღმოსავლეთ ევროპის ყოველ სახელმწიფოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგია და ტაქტიკა გააჩნია, რომლის საბოლოო მიზანია ხელსაყრელი მომენტის გამოყენებითა და მსოფლიოში მიმდინარე ურთულესი პროცესების სწორად შეფასების გზით, საკუთარი ქვეყნისა და ერისათვის სასარგებლო შედეგების მიღწევა. სწორედ ამას ვერ მიხვდა ჩვენი დელეგაცია და თავისი სამარცხვინო პოზიციით არა მარტო მოსკოვის დამქაშების როლში მოგვევლინა, არამედ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების სრული უცოდინარობა გამოავლინა.

აგვისტო. 1990 წ.

ბატონო რომან, ეს პირველი ინტერვიუა, რომელსაც ვიცე-პრემიერის როლში გართმევთ. თქვენ საქართველოს საზოგადოებას დააშახსოვრდით, როგორც ეკონომისტი და პოლიტიკოსი, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად ოპონირებდა საქართველოში არსებულ ხელისუფლებას. დღეს თქვენი როლი შეიცვალა...

— საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის დღიდან ოპოზიციაში ვედექი ჯერ კომუნისტურ, ხოლო შემდეგ გამსახურდიას ხელისუფლებას. ვცდილობდი კრიტიკული ეყოფილიყავი არსებული ეკონომიკური რეალობისადმი არა მხოლოდ როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც მეცნიერი ეკონომისტი. ახლა კი ჩემი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, თავად მე ვხდები კრიტიკის ობიექტი. ვიყავი თუ არა შინაგანად მზად ასეთი ცვლილებისათვის? რა თქმა უნდა, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში უზენაეს საბჭოში მუშაობისას დამიგროვდა გარკვეული გამოცდილება. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ასეთ რთულ, ეკონომიკურად მეტად მძიმე და პოლიტიკურად წამგებიან პერიოდში ალბათ აზრს მოკლებული არ იქნებოდა, თუ მთავრობის მრჩეველის პოზიციას დავჯერდებოდი, რეკომენდაციებითა და რჩევებით შეეუწყობდი ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას და არ მოვკიდებდი ხელს მათ ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ ვიგრძენი, რომ დგება მომენტი, როცა საკუთარ თავზე უნდა აიღო პასუხისმგებლობა. ისიც ვიგრძენი, რომ დღევანდელი ხელისუფლება ინერციით აგრძელებდა ბოლო წელიწადნახევრის ტენდენციას, რომ კვლავაც ოპოზიციაში მომიწევდა ყოფნა. ამიტომ, როდესაც დადგა არჩევანი — ეყოფილიყავი ნეიტრალური მეთვალყურე თუ აქტიური თანამონაწილე, გადავწყვიტე მეკისრა ჩემი წილი პასუხისმგებლობა და მიმდინარე პროცესებში ჩავრთულიყავი.

ვფიქრობ, წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში არა ვარ. იმიტომ რომ ის, რაც მთავრობაში ხდება ჩემთვის უჩვეულო არ არის, არც ჩემს წინაშე მდგომი პრობლემებია ახალი და მათი დაძლეეაც სამთავრობო გზებით საკვლევით შესაძლებელია...

— მაშ რაღა გიშლით ხელს?

— როგორც ჩანს, შეუძლებელია ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარება, თუ ფსიქოლოგიურად ამისათვის მზად არ არის არა მარტო საზოგადოებრიობა, არამედ თვით ის ხალხიც, ვინც უშუალოდ უნდა განახორციელოს რეფორმა. პირველი სირთულე რეფორმების გზაზე არის აზროვნების სტილი. სოციალისტური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, რომელიც ჩვენთან არსებობდა, მრავალი

სპეციალისტისა და ფართო მოსახლეობისათვის ნორმალურად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არ არის საბაზრო ეკონომიკისათვის. მეორე სირთულე დაკავშირებულია ინტერესებთან. ლაპარაკია რეფორმის გატარება-არგატარების შემთხვევაში გარკვეული სოციალური ჯგუფებისა და პიროვნებების ინტერესებზე. რეფორმა მათ ჩამოაცილებს ქონების დაგროვების ჩვეულ მექანიზმს. ეს არის სხვადასხვა მმართველობითი სტრუქტურები, დაწყებული სამართალდამცავი ორგანოებით – სამინისტროებით დამთავრებული. ეს ინტერესები ორგანიზებულ სახეს იღებს, როგორც სოციალური ჯგუფი ან პოლიტიკური ლობი ან როგორც კასტის სახით არსებული ხელისუფლების ნაწილი. მესამე სირთულე არის თანამოაზროვნეთა საკითხი. საერთოდ ერთი მსოფლმხედველობის ადამიანები იკერებიან ერთ ჯგუფად, გამოიმუშავებენ ერთიან კონცეფციას, მიღწეულია საკადრო და აპარატული სიმყარე, ფაქტიურად ეს არის გუნდი, რომელსაც შეუძლია გაატაროს რეფორმა. ჩვენთან კი ეკლექტური მდგომარეობაა. ჩვენი ხელისუფლების სტრუქტურებში თავმოყრილია სულ სხვადასხვა იდეოლოგიურ-ეკონომიკურ პლატფორმაზე მდგომი ადამიანები ეი. არ არსებობს გუნდი. მცდარია ხელისუფლების აგება მხოლოდ სპეციალისტებზე დაყრდნობით. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მინისტრები არ არიან მხოლოდ სპეციალისტები. როგორც წესი, ისინი სპეციალისტები და პოლიტიკოსები არიან. შეიძლება პიროვნება კარგი დარგობრივი სპეციალისტი იყოს, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდეს მომიჯნავე სფეროებზე, მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებზე. მთავრობის დაკომპლექტების დროს უნდა გამოვდიოდეთ იმ მოსაზრებიდან, რომ აუცილებელია ერთიანი მიზნის მქონე, პოლიტიკურად მომზადებული კომპეტენტური ადამიანების შეკრება. სწორედ, ასეთი ერთიანი გუნდის უქონლობა ბადებს წინააღმდეგობების წამოჭრის შესაძლებლობებს და ეს წინააღმდეგობა ახლაც ჩანს.

— ხომ არ ხდება ისე, რომ მთავრობაშიც ოპოზიციონერად რჩებით?

— საესებით შესაძლებელია, მაგრამ ეს იქნება უკვე სხვა ფორმის ოპოზიცია, ამ შემთხვევაში მე არ შემიძლია პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და ერთადერთი გამოსავალი წინააღმდეგობათა დაძლევაა. შინაგანი ოპოზიცია ნიშნავს ისეთი გზებისა და ხერხების გამონახვას, რომ საკუთარი აზრი და პოზიცია გაიტანო, დაძლიო კონსერვატიზმი. ამისათვის სხვადასხვა საშუალება არსებობს: მე ვგულისხმობ საზოგადოების მხარდაჭერას, პოლიტიკური ორგანიზაციების მხარდაჭერასა და ზეწოლას, პირველ რიგში, ალბათ, პრესის მხარდაჭერას. მოგეხსენებათ, რომ პრესას "მეოთხე ხელისუფლებას" უწოდებენ. სწორედ მას შეუძლია მოამზადოს და შექმნას საზო-

გადოებაში რეფორმატორული იდეების მხარდაჭერისა და კონსერვატიზმის დაძლევის საფუძველი. მაგრამ თუ კონსერვატული ინტერესები საქართველოში დაუძლეველი აღმოჩნდა, მე ერთი რამ დამრჩენია — გულწრფელად ვუთხრა საზოგადოებას სათქმელი, დავანახო რეალური სურათი. თუმცა ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ დაახლოებით ერთთვიანი მუშაობის განმავლობაში მეტ-ნაკლებად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, იმდენად, რამდენადაც ჩვენში თანდათანობით მწიფდება შეგნება იმისა, რომ საქართველო რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზით უნდა წავიდეს.

— თქვენ ახსენეთ კონსერვატულ ძალთა სასიცოცხლო ინტერესები. მზად ხართ თუ არა კომპრომისებისათვის.

— რა თქმა უნდა, პრობლემათა ხელის ერთი დაკვრით გადაწყვეტა არ შეიძლება და იერიშით სასიკეთო შედეგების მიღწევა ძნელია, მაგრამ უნდა გაეითვალისწინოთ, რომ არის სფეროები, სადაც საჭიროა თანდათანობით, ეტაპობრივი, და შემოვლითი მოქმედება. არის ისეთიც, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი კომპრომისი. მაგალითად, ვთვლი, რომ არანაირი კომპრომისი არ შეიძლება სამართალდამცავ ორგანოთა მიმართებაში. ე.წ. სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის სამსახური (ОБХСС) ყოველთვის იყო სახელმწიფო საკუთრების დატაცების ორგანიზაცია. ამიტომ რადიკალურად უნდა შეიცვალოს ეს სტრუქტურა და გადავიდეთ სისტემაზე, რომელიც სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება და გამორიცხავს სახელმწიფო აპარატისა თუ სამართალდამცავი ორგანოების თავნებობას. არის მეორე სფერო, რომელიც აპარატული სტრუქტურების რღვევას ეხება. მაგალითად, ვაჭრობის სისტემა. საქონელი მწარმოებლიდან მომხმარებლამდე რომ მივიდეს, ათასობით ლაბირინთი უნდა გაიაროს: ტრესტები, გაერთიანებები, ბაზები, სხვადასხვა ტიპის რაიონული და საქალაქო საშუამავლო რგოლები, კონცერნის ტიპის წარმონაქმნები და ა.შ. საქონელი მომხმარებლამდე მხოლოდ ათასგვარი ბიუროკრატიული მექანიზმების გავლით ხვდება. ასეთ სტრუქტურებში ათეულ-ათასობით არამწარმოებლური შრომით დაკავებული ადამიანი მუშაობს. მაგრამ, ამ სტრუქტურების მოშლის დროს, ცხადია, არ შეიძლება ამ ადამიანების ბედით დაუინტერესებლობა. იქმნება სიტუაცია, როცა, თუნდაც სოციალური პირობების გათვალისწინებით, ფრთხილი ქმედებაა საჭირო, ე.ი. ჩემი პრონციპია: მოქმედება, როგორც რადიკალურად, ასევე კომპრომისების გზით. ხოლო თუ რომელ სიტუაციას რა მოუხდება, ეს უკვე კონკრეტულად, მრავალ ადამიანთან კონსულტაციებით, საკუთარი დაკვირვებებითა და პირველ რიგში, საკუთარი გამოცდილებით უნდა გადაიჭრას.

— ბატონო რომან, იმედი გაქვთ, რომ მთელ რეფორმებს შინაგანი რესურსებით ჩაატარებთ, თუ საგარეო მხარდაჭერასაც

ელოდებით?

— ჩვენი მთავრობა დროებითია. ის ოქტომბერში ან ნოემბერში არჩევნების შემდეგ წავა. იმ დრომდე, შვიდი-რვა თვის განმავლობაში აბსოლუტურად შეუძლებელია რეალურად ხელშესახები დახმარების მიღება. როდესაც დასავლეთის მხარდაჭერაზეა საუბარი, პირველ რიგში იგულისხმება კეთილგანწყობა, ჩვენს მიმართ შემობრუნება, სპეციალისტებითა და კონსულტანტებით დახმარება, დასავლეთთან პარტნიორული ურთიერთობების სისტემის შექმნა. ლაპარაკია დასავლეთის ორბიტაში მოქცევაზე, გრძელვადიან გეგმებზე, რაც მხოლოდ სრულფასოვანი მთავრობის იმედი შეიძლება იყოს. ხოლო მთავრობა, რომელიც მინიმალური მიზნების აღსრულებისათვის არსებობს, საგარეო დახმარების იმედად ვერ იქნება.

— მაგრამ, თითოეულ ჩვენგანს აწუხებს კითხვა, როდის დადგება დრო, როდესაც მდგომარეობა ცოტა მაინც გაუმჯობესდება ან იმის გარანტია იქნება, რომ უარესი დღეები უკან დარჩა?

— ეფიქრობ რომ საქართველოში, სამომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობა რამდენიმე თვეში უკეთესობისკენ შეიცვლება. ეს შეეხება სასურსათო პრობლემას, მოსახლეობის მომსახურებასა და აგრეთვე, სხვა სამომხმარებლო საქონლით დაკმაყოფილებას, ცხადია, იმასთან შედარებით, თუ რა იყო უკანასკნელი თვეების განმავლობაში. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს სწრაფად ჩადგომას ნორმალური, ცივილიზებული განვითარების კალაპოტში, ამის პროგნოზირება ძნელია. ის წინააღმდეგობები, რასაც ადამიანი უშუალოდ აწყდება სამომხმარებლო ბაზარზე, მჯერა, რომ თანდათანობით სამ-ოთხ თვეში გაუმჯობესდება. ხოლო ჩვენი ეკონომიკის ძირეულ რეორგანიზაციას დიდი დრო დასჭირდება, რისი პროგნოზირებაც თითქმის შეუძლებელია, ეს არა მარტო ჩვენს ძალისხმევაზე, არამედ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული.

— ხომ არ ავიწყდება ჯიცე-პრემიერს ეკოლოგიური პრობლემები?

— ცხადია არა, რადგან სწორედ ასეთ გარდამავალ პერიოდში, გარდატეხის პირას მისულ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში ნადგურდება ბუნება ყველაზე მეტად. დღეს ჩვენდა საუბედუროდ, ისეთი დრო დაგვიდგა, რომ საკუთარი თავის გადარჩენასღა ვცდილობთ, ბუნების გაჩანაგების მეშვეობითაც კი. ამიტომ, ეკოლოგიური ლოზუნგებიც აღარ გაისმის ისე მკვეთრად, როგორც თუნდაც ორი-სამი წლის წინ. ფაქტიურად, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში მოხდა პრიორიტეტების გადანაცვლება ეკონომიკის სასარგებლოდ და ეკოლოგიის საზიანოდ. ეს სამწუხარო ფაქტია. რა თქმა უნდა, მაქსიმალური გონიერების გამოჩენა და ძალისხმევა გვმართებს, იმისა-

თვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად მოხდეს გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება. მე მგონია, რომ ეკონომიკური სიძლიერე არის ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტი. ამიტომ, ეკონომიკის გაჯანსაღება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარიც იქნება.

— არსებობს თუ არა გარანტია, რომ თქვენ და თქვენი გუნდი არჩეული კურსიდან არ გადაუხვევთ?

— შეუძლებელია ამ კურსიდან გადახვევა. თქვენ ამაში დარწმუნდებით, როდესაც დაინახავთ თუ რა ნაბიჯებს განახორციელებს ჩვენი ეკონომიკური შტაბი. თუ თქვენ, ან თქვენი გაზეთი დარწმუნდით იმაში, რომ კურსიდან გადავუხვიეთ, ან ადგილზე ვტკეპნით, ქვეყანაში რეალური ძვრები არ ხდება, ეს ხმამაღლა უნდა თქვათ. როდესაც მე ასეთ დასაბუთებულ პოზიციას ვნახავ, იმავე დღესვე განვაცხადებ, თუ რა უშლიდა და რატომ არ განხორციელდა ყველაფერი დასახული გეგმის შესაბამისად.

— 35 წლის კაცისათვის ნაადრევი ხომ არ არის ვიცე-პრემიერის სავარძელი?

— სიმართლე რომ გითხრათ, არავითარი შინაგანი შიში არ მქონია. მე ვთვლი, რომ ხელისუფლებაში გაახალგაზრდავება უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს მასშტაბურად, ტალღისებურად, როგორც ზედა, ისე ქვედა ეშელონებში. საქართველოს ჩემი აზრით, ეს ახალი ტალღა გადაარჩენს.

მარტი. 1992 წ.

— მორიელი ვარ! — კაბინეტში შესვლისთანავე მითხრა რომან გოცირიძემ. ჩემი ერთი წერილის შემდეგ, რატომღაც, ყველა თვლის, რომ საუბრისას ჰოროსკოპს გამოვიყენებ. თუმცა ამ შემთხვევაში, ჰოროსკოპი კიდეც ამართლებს — გაიხსენეთ ბატონი რომანის შხამიანი საგაზეთო პუბლიკაციები, ტელე, რადიო, თუ საპარლამენტო გამოსვლები; და თუ დღეს თითოეულ ქართველს ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების, სულ ცოტა, ორი-სამი კონცეფციის შემოთავაზება შეუძლია, ამაში ბრალი რომან გოცირიძესაც მიუძღვის, რომელიც, ეკონომიკისა რა მოგახსენოთ, ნაკლებად ვერკვევი და — პუბლიცისტი კი უდავოდ კარგი და საინტერესო გახლავთ. ბატონ რომანს დიდი ხანია ვიცნობ და მართალი გითხრათ, მიჭირს კიდეც მისგან ინტერვიუს აღება. თქვენთვის და ჩემთვის საინტერესო კითხვებს მან არაერთხელ უპასუხა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ნაკლებად ველაპარაკო ბიუჯეტის დეფიციტზე, ინვესტიციებზე, რეგულირებად ბაზარზე (ჯერ — რა მძიმე სიტყვებია!) და სხვა თემებით, თუნდაც — ქალებით შემოვიფარგლო. ყოველ შემთხვევაში, ამ თემაზე პრესაში რომან გოცირიძეს ჯერ არსად უსაუბრია.

— თავდაპირველად— ერთი მარტივი კითხვა. დარწმუნებული ვარ, თქვენი ვიცე-პრემიერის ხელფასითაც კი (1800 მან) შეუძლებელია ოჯახის შენახვა. ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ცოლის შერთვისგან თავს იკავებთ, ესეც არის. როდის დაოჯახდებით, ანუ როდის გვექნება ცხოვრების ნორმალური, ადამიანური პირობები?

— როცა ხელფასები კვლავ გაორმაგდება! (ცნობისათვის: ხელფასების გაორმაგებას 3-4 თვეში ვარაუდობენ).

— თქვენ პოპულარობა არ გაკლდათ, იყავით დეპუტატი, "მოდური" ეკონომისტი, ოპოზიციონერი. ეკონომიკური რეფორმის შედეგებს ხომ ქვეყანა უცებ ვერ იგრძნობს, თან ამ რეფორმის გატარება საკმაოდ არაპოპულარული მეთოდებით მოგიხდებათ. რამ გაიძულათ ფუნქციონერი გამხდარიყავით — წმინდა პროფესიულმა ინტერესებმა, ხელისუფლებაში ყოფნის სურვილმა, პატიოსნოყვარეობამ...

— ჯერ ერთი, არ მსურდა მუდმივ ოპოზიციაში ყოფნა, რადგან ვგრძნობდი, რომ სწორედ ეკონომიკური რეფორმების გატარებასთან მიმართებაში, მაინც ოპოზიციაში აღმოვჩნდებოდი. ახლა ხელისუფლებაში ვარ, მაქვს გარკვეული ბერკეტები, ამ რეფორმის გატარებაზე ზემოქმედების საშუალება და მიუხედავად ამისა, საქმე მაინც-

დამაინც ისე არ მიდის, როგორც მე წარმომედგინა, გარედან კი ეს, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, "შიგნიდან" მეკეთებინა ის, რასაც მოვუწოდებდი "გარედან", არ ვყოფილიყავი მრნეველის როლში და უშუალოდ ამელო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. მეორეც — ადამიანის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როდესაც მან მთლიანად უნდა იკისროს პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის, თუ მას გარკვეული პოლიტიკური პრეტენზიები აქვს.

— თქვენ პრეტენზიებიც გაქვთ და საკუთარ ძალასაც გრძნობთ?

— ვგრძნობ! ასეთი პრეტენზიის გამოვლინების საუკეთესო დრო მაშინ არის, როცა ქვეყანაში სტაბილური ვითარებაა, როცა გადაიწვიმებს. წმინდა მერკანტილური თვალსაზრისით, ჯობდა ვყოფილიყავი მრნეველი, მეკრიტიკებინა ხელისუფლება და პასუხისმგებლობაც სხვისთვის დამეკისრებინა. მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, ასეთი ქცევა, უბრალოდ, არაზნეობრივია. სხვას რომ თავი დავანებოთ, დრომ მოიტანა ჩემი ხელისუფლებაში მოსვლა, იმიტომ, რომ ეკონომისტი ვარ. პრიორიტეტები იცვლება და დღეს ეკონომისტების საქმეა საკეთებელი. ჩემი თვითმიზანი ფუნქციონერობა არასდროს ყოფილა. თავს უფრო წიგნის კაცად ვგრძნობ, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლად.

— გურამ დოჩანაშვილი ერთ მოთხრობას ასე იწყებს: — "რა სჯობია კარგ, წესიერ, ვაუკაცურად ლამაზ, განათლებულ მამაკაცს? — იკითხა ეკატერინე ხოშასურიშვილმა და, თავის სიმართლში დარწმუნებულმა საზოგადოებაში ამაყად მიმოიხედა, — არაფერი.

— რა და, კაი ქალი — მიუგო ბარნაბ ჯაშმა, არც დაფიქრებულა.

— ასეკე, ვის როგორ"...

— თქვენთვის რას ნიშნავს "კაი ქალი"?

— ჩემთვის რას ნიშნავს? კარგია, გურამ დოჩანაშვილი რომ ახსენეთ. მას უცნაური ქალები ჰყავს, ანა — მარია ქალი იყო, მაგრამ შვილს ჰგავდაო, "სამოსელ პირველში" ამბობს. ერთი ლამაზი ქალი კი მას ასე ჰყავს დახატული: მოდიოდა ქალი, რომელსაც შეიძლება უწოდო "მოიისფრო"...

— სხვათა შორის, იქვე იმასაც წერს: და მე კი ამ დროს ვიდექი, როგორც სიტყვა "მაშასადამეო".

— ისიც ხდება... ცოტა უცნაური კითხვა მომეცით, იმიტომ რომ არის კითხვები, სადაც კაცი არ შეიძლება იყოს გულწრფელი, და არის კითხვები სადაც შეგიძლია პასუხობდე გულწრფელობასთან მიახლოებით. ჟან-ჟაკ რუსო თავის "აღსარებაში" აბსოლუტურად

უარყოფითი მხრიდან ახასიათებს საკუთარ პირად ცხოვრებას. მკვლევარებმა აღმოაჩინეს პარადოქსი: თავისი ცხოვრების ამ მახინჯი მხარეების მხილებითაც კი, თურმე იგი საკუთარი თავის ღირსეულად წარმოსენას ცდილობდა. ამიტომ, არის საკითხები, სადაც გულახდილობა ძალიან ძნელია, რადგან ეს ინტიმური საკითხებია. მიახლოებით კი, შემიძლია ასეთი რამ ვთქვა: ქალს, ალბათ უნდა ჰქონდეს რაღაც ქვეცნობიერი ინტუიცია, უნდა ხვდებოდეს არა მხოლოდ ლოგიკურად გადმოცემულ ა'ხრს, არამედ უნდა ხვდებოდეს შინაგანი ბუნებით. მეორეც – ალბათ, ქალი უნდა იყოს ინდივიდუალური, არ უნდა ჰგავდეს სხვას, არ უნდა იყოს განმეორებადი. შეიძლება ქალი იყოს ლამაზი და უინტერესო, რადგან ეს სილამაზე, ასე ვთქვათ, მხოლოდ ფოტოგრაფიულია და იგი გაწონასწორებული არ არის მის შინაგან ინდივიდუალობასთან.

– ჯაბა ოსელიანს ბრიჯიტ ბარდო უყვარს. თქვენ?

– არ გეტყვით! **(რამდენიმე წუთში, სულ სხვა თემაზე საუბრისას მოთხრა, რომ მოსწონს ნასტასია კინსკი).** კიდევ – ქალის მიმზიდველობას უნდა ქმნიდეს არა გარეგნული სილამაზე, არამედ მიმზიდველობის ფაქტორთა ერთობლიობა. ეს ფაქტორები არის როგორც გარეგნული, ისე – სულიერი, ინტუიციური– მანერებიც კი!

– და თქვენთვის საკლებად მიშვნელოვანია ის, თუ როგორი ფეხები აქვს ქალს, როგორი ცხვირი ან რა ფერის თვალები?

– ქალის პირველადი აღქმა ხდება მაინც არა იმით, რაც ახლა თქვენ ჩამოთვალეთ.

– მეუღლეც ასეთი გსურთ გყავდეთ?

– ალბათ!

ამას წინათ ერთი ფრიად საინტერესო ამბავი წაკიკითხეინგლისელი მამაკაცებისთვის დაურიგებიათ ანკეტა ანალოგიური კითხვით. თურმე მამაკაცების უმრავლესობამ უპასუხა, რომ მოსწონს პოეტური, ჭკვიანი, ცისფერთვალება, უმწეო, ნაზი, რომანტიკული ქალი. ანკეტას მამაკაცის ვინაობაც ერთვოდა თან.

ხოლო როდესაც გამოკითხვა ანონიმურად ჩატარდა, აღმოჩნდა, რომ უმეტესობას მოსწონს ქალი, რომელიც კარგ სადილს აპზადებს, მშვიდი და აუღელვებელია, არ ერევა მეუღლეს საქმეებში, გარეგნობით კი რუბენსის ქალს ჩამოჰგავს.

თუმცა, ჩემს პარალელს რომან გოცირიძესთან საერთო არაფერი აქვს, პოდა, განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

– ბატონო რომან, ქართველი ქალი ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ რაღაც განსაკუთრებული ფენომენი, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა ქართველი მამაკაცი?

— საერთოდ, განსაკუთრებულობისადმი პრეტენზია ეროვნული კარჩაკეტილობისა და პროვინციალიზმის გამოვლინებად მიმაჩნია. არ არსებობენ განსაკუთრებული ერები და ადამიანები, მით უმეტეს, არ არსებობს განსაკუთრებულად ქართველი ქალი ან ქართველი მამაკაცი. ხოლო თუ თავისებურებას გულისხმობთ — რა თქმა უნდა, ყოველ მათგანს რაღაც, მისთვის დამახასიათებელი გამოარჩევს.

ქართველ ქალს გამოარჩევს ზოგი დადებითი და ზოგიც — უარყოფითი ნიშანი. უარყოფითი არის ის, რომ ჩვენი ქალები ჩამორჩნენ დროის მდინარებას და ძალიან ჩამორჩნენ ზოგადევროპელ ქალს. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ქალი სხვა საუკუნით ცხოვრობს, მაგრამ სხვა დროსა და სივრცეშია და ეს რა თქმა უნდა, როგორც დადებით, ისე უარყოფით შტრიხებს ბადებს.

რაც შეეხება დადებითს, ეს არის უფრო მეტად, ქართველი ქალის გრძნობითი დამოკიდებულება ახლობლებისადმი, ოჯახისადმი, მეულლისადმი, თუმცა, ეს შესაძლებელია, ტრადიციიდან გამომდინარე მოვალეობაც იყოს და შინაგანი ბუნების თვისებაც. ძნელია ამის გარკვევა.

ქართველ ქალს გამოარჩევს სიამაყე, მაგრამ ამ სიამაყეშიც არის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ ვიტყვი, რომ ის არის ძალიან თავმოყვარე და საკუთარი ღირსების მქონე, თუმცა, ამავე თვისებების უარყოფითი მხარეა პროვინციულობა, ყოყლოჩინობა, პრიმიტიულობა.

— გასული საუკუნის ქართულ მწერლობას რომ გადახედავ, იმდენი "შეხი კი დაგაყარე და დაგეფსო თვალი" შეგხვდება, რომ მართლა დაეთანხმები სიტყვებს: ქართული სიყვარული ნახევარი ლანძღვაა. სიყვარული, გარდა გრძნობისა, უზარმაზარ კულტურას ითხოვს ჩვენგან. როგორ ფიქრობთ, რამდენად გვაქვს ქართველებს სიყვარულის კულტურა?

— ქართველებს ნაკლებად გვაქვს სიყვარულის კულტურა — ჯერ კიდევ მყარად არის ჩვენს შეგნებაში პატრიარქალური წარმოდგენები, ჩვეები. თავად სიყვარულის გაგება არის უაღრესად კონსერვატიული, დისკრიმინაციული. ქალი, მრავალი ფაქტორის გამო, მათ შორის — სოციალური, ტრადიციული ფაქტორის გამო, ჯერ კიდევ სიყვარულის ატრიბუტია, უუფლებოა. ასე რომ, სიყვარულის კულტურა, ალბათ, არის ადამიანთა ფსიქოლოგიური ურთიერთობის სირთულის გამომხატველი. მოკლედ, სიყვარულის კულტურაც იმდენივეა, რაც საერთოდ — ზოგადი კულტურა.

— წარმოიდგინეთ, რომ ძალიან მდიდარი ხართ. გყავთ ორი შვილი — გოგო და ბიჭი. შეგიძლიათ, ნებისმიერ ქვეყანაში გაუშვათ ისინი განათლების მისაღებად. გაუშვებდით?

— ერთია, როცა კაცი გრძნობს, თუ რა არის ზოგადად კარგი

და მეორე – თუ როგორ შეაფარდებს საკუთარ აღზრდასა და ჩვეულებს იმ ზოგადად კარგს. რაც უნდა გინდოდეს და იყო შინაგანი თავისუფლების მოწადინე, ყველა ქართველი მაინც "ქართველია" გარკვეული დოზით. ამიტომ, არ ვიცი, გავუშვებდი თუ რა საზღვარგარეთ. თუმცა, ალბათ, მაინც დამძლევს რეალობის შეგრძნება და– გავუშვებ. ეს რა კონსერვატორული აზრი ვთქვი! რა თქმა უნდა, გავუშვებ! ალბათ, – ამერიკაში. გოგოს ჰუმანიტარულ განათლებას მივცემ, ბიჭს – სოციალური კუთხით, მაგალითად – ეკონომიკურს და არა ტექნიკურს.

– და არ დაგაინტერესებდათ თავად მათი არჩევანი?

– რა თქმა უნდა დამაინტერესებდა, მაგრამ, რახან ასე მსურს, ეტყობა, ბავშვის აღზრდაშიაც არის შესაძლებელი წინასწარი მიმართულების მიცემა. თუმცა, შესაძლოა ეს ბუნების საწინააღმდეგოც იყოს და მაინცდამაინც თავის გამოდებაც არ არის საჭირო.

მსჯელობისას საკმაოდ კატეგორიულია. კარგად იცის, რა სურს. თვლის, რომ სიმართლის თქმა თუნდაც უეწარესი, ყოველთვის ამართლებს. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება, თუმცა, ყოველთვის აინტერესებს სხვისი აზრი. უფრო სწორად, აზრი კი არა, ის, თუ რამდენად სჯერათ მისი, აქვს იუმორის თანდაყოლილი გრძნობა, ოღონდ უმეტესად – სხვებთან მიმართებაში.

საკუთარ თავს ოპოზიციონერად მიიჩნევს, რადგან: "ძალიან დიდია არა მარტო კონსერვატიული ინერცია, არამედ საზოგადოებაში არსებული სოციალური ფაქტორები, ქონებრივ და კლანურ ინტერესებში გამოვლენილი ჯგუფური ინტერესები, რაც, საბოლოო ანგარიშით, გადაჯაჭვულია ხელისუფლების სტრუქტურებთან; რადგან: "ვგრძნობ ხელისუფლებაში თანამოაზრეთა ნაკლებობას". რადგან: "დიდი დრო მეკარგება უსარგებლო საქმეებზე. მოკლედ ვცდები". რადგან: "მოდის ხალხი, დახმარებას მთხოვს და, ან არ შემიძლია დავეხმარო ან არა მაქვს უფლება დავეხმარო". რადგან: "თუ აქედან წავალ, არაფერი მოხდება ჩემთვის განსაკუთრებული, დავუბრუნდები უნივერსიტეტს, რეფორმას კი მაინც მიიყვანენ ბოლომდე, ასეთია დროის კარნახი"...

– არ სვამთ, არ ეწევით, გიყვართ "ძძიმე" წიგნები და ფილმები. ქრთამს არ იღებთ, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობთ, 35 წლის – უკვე ვიცე – პრემიერი ხართ... რაღაც ზედმეტად დადებითი ხურათი დაიხატა...

– ზომიერად ვსვამ, არ ვეწევი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ. ვთამაშობდი კიდეც სკოლაში. "ტყავის ბურთს" ალბათ ახსოვს ჩემი გატანილი გოლები. ნაკლი, რა თქმა უნდა, ბევრი მაქვს. სოციალურ პლანში – ალბათ, დადებითი პიროვნება ვარ, პიროვნულში – არც ისე. ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ.. ძალიან მიყვარს ეკზიუპერის

"პატარა უფლისწულიდან" მელიის პრინციპი: "ჩვენ ვალდებულნი ვართ მათ წინაშე, ვისაც მივიჩვევთ". ზედმეტი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, თუმცა, ქალის წინაშე ყოველთვის არა!.

— რა ადგილი უკავია ქალს თქვენს ბიუჯეტში?

— არ გეტყვით!!!

სახელმწიფოს უცოლო ვიცე-პრემიერი უცოლო უფლისწულივით არის: პირველი ვეზირიდან დაწყებული, კონკიათი დამთავრებული, ყველა ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს მის დაოჯახებაში. ხშირად არც თუ უანგაროდ — ეფიქრობ და ფანჯარაში ვიცქირები. აშრიალებულ ხეებს წვიმა ვერაფერს აკლებს და თუმცა, ტყვიითა და ხანძრით ჩაშაკებული, ნახევრად დანგრეული შენობის ფასადიც თვალში მხვდება, რაღაცა მიხარია. გაზაფხულია! თანაც — აპრილი, რომელიც ასე უხდება თბილისს და წამით ჩვენს პრობლემებსაც გვაკიწყებს.

— ნახეთ, რა კარგი დღეა! — ვაშბობ ხმამაღლა, მაგრამ კაბინეტის კარი იღება, შემოდის ვიცე-პრემიერის პირადი მდივანი ეკა და რომან გოცირიძეს ევროპარლამენტის დელეგაციის მოსვლას აუწყებს.

მართლაც, ვის როგორ!

აპრილი. 1992 წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე, პრობლემები და პერსპექტივები

1. ეკონომიკური ვითარება

საქართველო უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა. საზოგადოება ამ უდავო დებულებას, როგორც წესი, აღიქვამს იმ ფაქტებით, რომ ჩვენ გვაქვს ორიათასწლოვანი საკუთარი დამწერლობა და ლიტერატურა, სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალი ღირშესანიშნავი ძეგლი. ამ მაღალ კულტურას საფუძვლად უეჭველად განვითარებული ეკონომიკა ედო.

უძველესი დროიდან საქართველოში მაღალგანვითარებული მეურნეობის არსებობაზე მიუთითებენ არა მარტო ზემოხსენებული კულტურის ძეგლები, არამედ, თუნდაც არგონავტების ცნობილი მითი ოქროს საწმისზე, გავრცელებული შეხედულებანი, რომ ფოლადი პირველად ქართველმა ტომებმა — ხალიბებმა გამოადნეს და რომ სიტყვა "ღვინოს" ქართული ძირი აქვს.

მეოცე საუკუნეს საქართველო მიადგა როგორც საკმაოდ ჩამორჩენილი, მაგრამ ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარე, რომელსაც ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან ერთად (მევენახეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა) უკვე ჰქონდა ტერიტორიის ადგილმკვლევი სარკინიგზო მაგისტრალი, ფოთის და ბათუმის პორტები, ჭიათურის მადნეულები, რკინიგზის სახელოსნო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები თბილისში. ერთი სიტყვით, თანდათან იკიდებდა ფეხს მანქანური სამრეწველო წარმოება. საქართველოში თავიანთ კაპიტალს აბანდებდნენ მსოფლიოში ცნობილი კაპიტალისტები. გამოჩნდნენ მსხვილი ქართველი მეწარმენი.

პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთის 1917 წლის გადატრიალებებმა და სამოქალაქო ომმა საქართველოს მსოფლიო ბაზარს მოსწყვიტა და ეკონომიკის დაცემა გამოიწვია: 1918-1921 წლებში, დამოუკიდებელ საქართველოში იყო საკუთარი საფინანსო სისტემა, მეურნეობის გამოცოცხლების და უცხოეთთან ეკონომიკური კავშირის დამყარების საინტერესო ცდები, მაგრამ 1921 წლის თებერვლიდან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის, ხოლო 1922 წლიდან სსრ კავშირში ძალდატანებით ინკორპორაციის შედეგად, საქართველო კვლავ მოექცა იმპერიული ეკონომიკის სფეროში,

---

მოხსენება წაკითხულია საერთაშორისო კონგრესზე — "საქართველო და საქმიანი სამყარო", თბილისი, 1992 წლის 23 მაისი.

რომელმაც სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სახელწოდება მიიღო.

ამ მომენტიდან კოლონიურ-იმპერიული ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე კიდევ უფრო გაძლიერდა იმის გამო, რომ საბჭოთა კოლონიალიზმისათვის დამატებითი დამახასიათებელი ნიშანი გახდა სოციალისტური ცენტრალიზებულ-დირექტიული ეკონომიკური წყობა და მსოფლიო ბაზრიდან მოწყვეტა. ასეთ პირობებში საქართველომ გაიარა სტალინური ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი და შემდგომ განვითარდა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობის რიგი დარგები – ჩარხმშენებლობა, საავტომობილო, საავიაციო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა, ქიმიური და ცემენტის მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ქვედარგები. სოფლის მეურნეობაში წარმოიქმნა სუბტროპიკული მეურნეობის სასაქონლო ქვედარგები (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). განვითარდა საავიაციო, საავტომობილო და საბაგირო ტრანსპორტი, მეტროპოლიტენი, ინდუსტრიული სახე მიეცა მშენებლობას.

დღეს საქართველოს მრეწველობას შეუძლია აწარმოოს თანამედროვე თვითმფრინავები, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, ატომური ელექტროსადგურების მართვის პულტები, მაღალი კლასის რადიოელექტრონული ტექნიკა, მძლავრი მაგისტრალური ელმავლები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, სატვირთო ავტომანქანები, პროგრამული მართვის მქონე მილდამმუშავებელი ჩარხები, მცირე სიმძლავრისა და მუდმივი დენის ელექტროძრავები. მნიშვნელოვანია მოთხოვნილება საქართველოში წარმოებულ ფეროშენადნობებზე, ნავთობის სორტამენტის მილებზე, მინერალურ სასუქებზე, მანგანუმის ელექტროლიტურ ორჟანგზე, კაპროლაქტამზე, ქიმიურ ბოჭკოსა და ძაფებზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზარზე საქართველო არის მსხვილი მიმწოდებელი ჩაის, ციტრუსების, ხილბოსტნეულის კონსერვების, მაღალხარისხოვანი ყურძნის ღვინის, კონიაკის და შამპანურისა.

მაღალნაყოფიერი მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ კლიმატურ პირობებთან ერთად, საქართველოში მაღალი საერთო განათლების მქონე შრომითი რესურსებია. წარმოებაში დასაქმებულთაგან თითქმის ყოველ მესამეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს. რესპუბლიკაში მოქმედებს 230 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ამ სფეროში 70 ათას კაცზე მეტია დასაქმებული, რომელთაც ძალუძთ მრავალი თანამედროვე საწარმოო და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა.

ცხადია, მეურნეობის თანამედროვე დარგების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის მსოფლიო პროცესებმა მოიტანეს. იგი სულაც

არ არის გეგმიანი სოციალისტური მეურნეობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამსახურება. პირიქით, თანამედროვე ეკონომიკა ძალდატანების გზით, ეროვნული შრომითი ჩვეულებისა და ტრადიციების გაუთვალისწინებლად, ბუნებრივი რესურსების მფლანგველური ექსპლუატაციის საფუძველზე იქნებოდა. გეგმაზომიერება უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატებოდა, რომ საქართველოს ეკონომიკა უთვალავი არარაციონალური საწარმოო კავშირით მიეჯაჭვა სსრ კავშირის ეკონომიკას და პრაქტიკულად მოსწყდა მსოფლიო მეურნეობას.

მწარმოებელთა მონოპოლიზმისა და ცალმხრივ სპეციალიზაციაზე ორიენტირების პირობებში, ჩამოყალიბდა ე.წ. ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი როგორც გიგანტური, მოუქნელი და ნაკლებად მობილური საწარმოო ორგანიზმი. მის ყველაზე მსხვილ ელემენტებს – ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს – არ გააჩნიათ ავტონომიური ფუნქციონირების უნარი, რამდენადაც მათ არა აქვთ ეკონომიკის კომპლექსური ხასიათი, შეკრული კვლავწარმოებითი ციკლი და მთლიანად არიან დაკავშირებული გარერესპუბლიკურ საწარმოო კავშირებზე.

ცხადია, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების პირობებში, ავტარკიულ მეურნეობათა არსებობა პრაქტიკულად მიუღებელია, მაგრამ ცალკეული რესპუბლიკებისათვის, მეტადრე ისეთი მცირე რესპუბლიკებისათვის, როგორც საქართველოა, მეურნეობის გარესაწარმო კავშირებზე დამოკიდებულებამ ანომალიური ხასიათი მიიღო. ჩვენი ეროვნული მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ძირითადად რუსეთიდან შემოტანილ რესურსებზე. კერძოდ, რესპუბლიკაში 1989 წელს მოხმარებული ელექტროენერგიის მეოთხედი, ნავთობის და ბუნებრივი გაზის თითქმის მთელი მოცულობა, საქმიანი მერქნის ოთხ მეხუთედზე მეტი, ცემენტის თითქმის ნახევარი, მარცვლის სამი მეოთხედი, რძისა და რძის პროდუქტების სამი მეხუთედი, ხორცის მესამედი, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის თითქმის ცხრა მეათედი შემოტანილ რესურსებზე მოდიოდა, რომ არაფერი ეთქვათ იმაზე, რომ ჩვენი მანქანათმშენებლობა ნაკლებად არის ორიენტირებული რესპუბლიკის ეკონომიკის მოთხოვნებზე და მანქანა-მოწყობილებები ძირითადად ყოფილი სსრ კავშირის სხვა რეგიონებიდან შემოგვქონდა.

სსრ კავშირის ეკონომიკაზე რესპუბლიკის მეურნეობის დამოკიდებულებამ განსაკუთრებით გააღრმავა საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მსხვილი სექტორის – აგროსამრეწველო კომპლექსის პრაქტიკულად მონოკულტურული დასპეციალება სამხრეთულ და სუბტროპიკულ კულტურებზე. ჯერ კიდევ 1990 წელს ნატურალური სახით საკავშირო ფონდს მიეწოდებოდა რესპუბლიკაში

დამზადებული კარტოფილის 33 პროცენტი, ბოსტნეულის – 8, ხილის 26, ციტრუსების 45 პროცენტი. ხილ-ბოსტნეულის მიწოდება (კონსერვების ჩათვლით) საკავშირო ფონდში 61 პროცენტს შეადგენდა. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გადიოდა აგრეთვე საქართველოში წარმოებული ღვინის 60 პროცენტი, შამპანურის 73, კონიაკის 93, ჩაის 96 პროცენტი და ზოგიერთი სხვა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასეთ პირობებში, ათწლეულობით ჩამოყალიბებული საწარმოო კავშირების რღვევა ჩვენი ეკონომიკისათვის მეტად რთულ და მტკივნეულ პროცესად იქცა. საქართველოს ტრადიციული ორიენტაცია სსრ კავშირის ბაზარზე მეტისმეტად ზღუდავს მსოფლიო ბაზარზე საქართველოს გასვლის შესაძლებლობას. შედარებით ხელსაყრელ ბოლო სამეურნეო წელს – 1988 წელს საქართველოდან სსრ კავშირის გარეთ გატანილი პროდუქციის საერთო მოცულობაში ექსპორტი მსოლოდ 5 პროცენტს შეადგენდა, შემოტანილში კი იმპორტის წილი 21 პროცენტი იყო.

ეროვნული მეურნეობის კრიზისის საერთო ხასიათს განზოგადებულად გამოხატავს მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია, სტრუქტურული დეფორმაციები, რომლებმაც თავი იჩინეს 1985 წლის შემდეგ.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს წარმოების მოცულობის ერთი მესამედით შემცირება. საპროგნოზო გაანგარიშებით, 1992 წელს რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 26 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი 34 პროცენტით ნაკლები იქნება 1985 წლის დონესთან შედარებით. სამრეწველო წარმოების დაცემა ამ პერიოდში 22 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა 25 პროცენტს გადააჭარბებს. წარმოების შეკვეცასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაუარესდა წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ამჟამად 30 პროცენტზე მეტით ჩამორჩება 1985 წლის დონეს.

წარმოების მოცულობის და ეფექტიანობის უარყოფითმა დინამიკამ განაპირობა მოხმარებისა და წარმოების შემდგომი განვითარებისათვის განკუთვნილი რესურსების მკვეთრი შეზღუდვა. 1992 წელს რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე 37 პროცენტით ნაკლები ეროვნული შემოსავალი შეიქმნება, ვიდრე 1985 წელს.

უარყოფით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ იმგვარი მაკროეკონომიკური დისპროპორციების წარმოშობა, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკური ზრდის შეზღუდვას შემდგომი პერსპექტივისათვის, კერძოდ, 1985 წლიდან გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში სისტემატურად და მკვეთრად მცირდება დაგროვების ფონდი, ე.ი.წარმოების შემდგომი განვითარებისათვის გამოყოფილი რესურსები. ამ ფონდის წილი 1985 წლის 30 პროცენტიდან, 1991 წელს 14 პროცენტამდე

შემცირდა.

უკიდურესად კრიზისული სიმპტომებით ხასიათდება რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევა. იგი ფაქტობრივად მოწყვეტილია მის მატერიალურ-ნივთობრივ ბაზას, საშიშ ზღვარს აღწევს დისპროპორციები. კერძოდ, შარშან რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავლის 25 პროცენტით შემცირების მიუხედავად, მოხმარებისათვის გაცემული ნაღდი ფულის მოცულობა 43 პროცენტით გაიზარდა. მატულობს ფულის ემისია. იგი 1991 წელს წინა წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა და 2,6 მლრდ მანეთი შეადგინა. წინასწარი შეფასებით, წლევანდელ პირველ კვარტალში ბრუნვაში დამატებული იქნა გაშვებული 1 მლრდ მანეთზე მეტი.

ღრმა ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი შედეგი და იმავდროულად შემდგომი დესტაბილიზაციის, ინფლაციური პროცესების გაღრმავების ფაქტორია საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის მოშლა, რამაც საკრედიტო რესურსების ამოწურვა და საკრედიტო ემისის გაზრდა გამოიწვია.

ეკონომიკურმა კრიზისმა მეურნეობის ყველა სასიცოცხლო დარგი მოიცვა. უწინარეს ყოვლისა ეს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსზე ითქმის.

საქართველოში ენერგეტიკული კრიზისი განაპირობა ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლამ, რესპუბლიკის სავალუტო-საექსპორტო შესაძლებლობათა შეზღუდვამ, ენერგომატარებლებზე ფასების შეუჩერებელმა ზრდამ.

საქართველოს ეკონომიკას წელიწადში დაახლოებით 12 მილიონი პირობითი ტონა სათბობი სჭირდება (ბუნებრივი და თხევადი გაზი, ნავთობპროდუქტები და მყარი სათბობი).

სათბობის ბალანსში ძალზე უმნიშვნელოა ადგილობრივი სათბობის ხვედრითი წილი (525 ათასი პირობითი ტონა), რაც საერთო მოთხოვნილების 5 პროცენტს არ აღემატება.

მოხმარებული სათბობის სტრუქტურაში ბუნებრივი გაზის დიდი ხვედრითი წილი ბევრ ტექნიკურ და ორგანიზაციულ დაბრკოლებებს ქმნის, რაც განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის სეზონში იგრძნობა.

იკლო ნახშირის მოპოვების მაჩვენებელმა, გაუარესდა სასაქონლო ნახშირის ხარისხი.

მნიშვნელოვნად ჩამორჩა ელექტროენერგეტიკა. ელექტროენერგიის ბალანსის მკვეთრი დარღვევა სხვადასხვა მიზეზმა — ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შეჩერებამ, თბო და ჰიდროსადგურებში არსებულ სიმძლავრეთა შემცირებამ და სარემონტო-სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში არსებულმა ჩამორჩენამ განაპირობა.

აღნიშნული მიზეზებით, ამჟამად ჩამოყალიბდა დეფიციტური

ელექტროენერგეტიკა: სამეურნეო კომპლექსის ნორმალურ ელექტრომომარაგებას სჭირდება 20 მლრდ კოლოვატსაათი, აქედან საკუთარი წარმოებით იფარება 14 მლრდ კოლოვატსაათი. დეფიციტის შესავსებად მეზობელი ენერგოსისტემებიდან ვიღებთ დაახლოებით 3 მლრდ კილოვატსაათს, ხოლო 2-3 მლრდ კილოვატსაათამდე დეფიციტად რჩება და მოთხოვნილების შესაბამისად ბალანსდება.

რთული სიტუაცია შეიქმნა ნავთობპროდუქტებით მომარაგების საქმეში. ჯერჯერობით გარანტირებულია საავტომობილო ბენზინის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 44 პროცენტის შემოტანა.

ანალოგიურია სადიზელე საწვავის, მაზუთის, საღუმელე საწვავის და ნავთის მომარაგების საქმე.

ეკონომიკური არამდგრადობის გამო რესპუბლიკაში შემოსატანი სხვადასხვა სტრატეგიული რესურსის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 15-50 პროცენტის მიღებაა გათვალისწინებული, აქედან მანქანათმშენებლობის პროდუქციისა — შარშანდელი დონის 60 პროცენტამდე, ხოლო ცალკეული სახეობისა — გასული წლის მხოლოდ 15-20 პროცენტამდე, მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა ნაწარმისა — შარშანდელი მოცულობის 10-60 პროცენტამდე.

არასახარბიელო მდგომარეობაა სამშენებლო მასალების შემოტანის მხრივ: 1991 წელთან შედარებით სავარაუდო მოწოდება შეადგენს: ცემენტისა — 42 პროცენტს; შიფერისა — 38, საქმიანი მერქნისა — 70, დახერხილი ხე-ტყისა — 48 პროცენტს და ა.შ.

სასურსათო პროდუქტების მოწოდება უჭირთ ისეთ ძირითად მომწოდებლებს, როგორიც რუსეთის ფედერაცია და უკრაინის რესპუბლიკაა.

მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ფასების ლიბერალიზაციის გამო, მატერიალური რესურსების ფასები მკვეთრად გაიზარდა. თუ გასულ 1991 წელს 1 ტონა საავტომობილო ბენზინის ფასი 200 მანეთი იყო, დღეს იგი 4500-6000 მანეთია, შესაბამისად, სადიზელე საწვავისა — 160 მანეთი და 5000-8000 მანეთი, მაზუთისა — 90-100 მანეთი და 2000-8000 მანეთი.

ენერგიისა და რესურსების ნაკლებობა გახდა წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემის მთავარი მიზეზი.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირებულია მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

რესპუბლიკაში ბოლო დროს შექმნილი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შედეგად, მწვავე ვითარება შეიქმნა აგროსამრეწველო კომპლექსშიც. დაეცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე, მძიმე სიტუაცია შეიქმნა მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში.

რესპუბლიკის ეკონომიკის ღრმა კრიზისი უარყოფით გავლენას

ახდენს სამომხმარებლო ბაზარზე, რომლის თავისებურება ის არის, რომ საქონელბრუნვისათვის საჭირო მთელი რესურსების დაახლოებით ნახევარი რესპუბლიკის გარედან შემოდის.

უკანასკნელ წლებში, როცა უქმდებოდა სამომხმარებლო ბაზრის ცენტრალიზებული წესით მომარაგება, ვერ მოხერხდა, რომ სამომხმარებლო ბაზარი ჰორიზონტალური პირდაპირი კავშირების მეშვეობით შევსებულიყო საჭირო რესურსებით. 1991 წელს მოსახლეობისათვის მისაყიდად ვერ მივიღეთ სახელშეკრულებო ვალდებულებებითა და პირდაპირი კავშირებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი რაოდენობის სასურსათო და არასასურსათო პროდუქცია.

ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია სამომხმარებლო ბაზრის მოშლა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მკვეთრი გაუარესება. უმნიშვნელოვანესი სახეობის ზოგიერთ საქონელზე 1991 წელს მოხმარების ფაქტობრივმა დონემ ნორმასთან შედარებით შეადგინა: ხორცზე და ხორცპროდუქტებზე — 39 პროცენტი, რძეზე და რძის პროდუქტებზე — 61 პროცენტი, შაქარზე — 34 პროცენტი, კვერცხზე — 52 პროცენტი და ა.შ.

ამის შედეგად, 1991 წელს რესპუბლიკის საქონელბრუნვის მოცულობა წინა წელთან შედარებით 28 პროცენტით შემცირდა. დაახლოებით ამ ოდენობით დაეცა საქონელბრუნვის მარვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე.

ყოველივე ზემონათქვამს ემატება მიწისძვრისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგები.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოში მოხდა კატასტროფული სტიქიური მოვლენები (ზვავები, წყალდიდობები, მიწისძვრები), რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს რესპუბლიკის ეკონომიკას და მოსახლეობას.

სტიქიურ მოვლენათა შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დროულად ჩატარების მიზნით, გამოყოფილი იყო მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები, საშენი მასალები და სათანადო ტექნიკა, რომელთა რაოდენობა, მართალია, მთლიანად არ იყო საკმარისი, მაგრამ განვლილ პერიოდში მაინც მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები განხორციელდა.

2. ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა

როგორც ვხედავთ, საქართველოში ამჟამად არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა. აღნიშნული გარემოებანი უდავოა, დიდ სიძნელეებს გვიქმნის, მაგრამ ხელისუფლებას ამ პრობლემების დაძლევის ერთადერთ უალტერნა-

ტიეო საშუალებად რადიკალური, ყოელისმომცველი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება მიაჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, ეკონომიკის შემდგომი ვარდნის შეჩერება, მოსახლეობის სასიცოცხლო მინიმუმით უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკური მომავლის განმსაზღვრელი საბაზრო სტრუქტურების შექმნა.

საქართველოს მთავრობა არსებული ადმინისტრაციული სისტემის თვისობრივად ახალი ლიბერალური ეკონომიკური სისტემით შეცვლის მიზნით ცდილობს მოხსნას ყველა ის წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებას და ამოქმედებას.

მთავრობის შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებს ფასების ლიბერალიზაციას, საწარმოთა რეფორმას, კერძო სექტორის განვითარებას, კონკურენციის ხელშეწყობასა და ანტიმონოპოლიურ ღონისძიებებს, საფინანსო სფეროს განვითარებას, საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების სტიმულირებას, სოციალური დაცვის სისტემის შექმნას და სხვა.

მთავრობა აპირებს დაამთავროს ყველა ზემოთ აღნიშნული სფეროს რეფორმების გეგმების შემუშავება უახლოეს ხანში და შეუდგეს მათ დაუყოვნებლივ განხორციელებას.

ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიული ხაზია საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაცია. მთავრობამ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით, დაიწყო ბინებისა და მიწის უფასო, მასშტაბური პრივატიზაცია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი უკვე წლის დამლევამდე კერძო საკუთრებაში გადაეა. სოციალისტური ტიპის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლამ და მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი რაციონალური სტრუქტურის შექმნა.

ნავარაუდევია, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია. პირველ ხანებში აქცენტი გაკეთდება სწრაფ გაყიდვაზე – ღია კონკურსებისა და აუქციონების საშუალებით. ამ გზით გაიყიდება წვრილი საწარმოები და მომსახურების სფეროს ობიექტები. პარალელურად დაიწყება ყველა იმ საწარმოთა კორპორატიზაცია, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა შედარებით დიდია.

ჩვენ უკვე ვამთავრებთ მუშაობას მასობრივი პრივატიზაციის პროგრამის პროექტზე, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება უახლოესი პერიოდიდან.

პრივატიზაციის პროცესში თანაბარი პირობები შეექმნება უცხოურ კაპიტალს, ხოლო ზოგიერთ სფეროში (მაგალითად, დაუმთავრებელი ობიექტების პრივატიზაცია, ინდუსტრიის ზოგიერთი დარგის

საწარმოთა გააქციონერება) უპირატესობითაც კი ისარგებლებს.

საქართველოში უკვე მოხდა ფასების თითქმის სრული ლიბერალიზაცია. სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფასები შენარჩუნებულია მხოლოდ რამდენიმე დასახელების საქონელსა და მომსახურებაზე.

ფასების მნიშვნელოვან მატებაზე გადამწყვეტი გავლენა, ბუნებრივია, მოახდინა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა. მაგრამ არც ის იწვევს ეჭვს, რომ ფასების ზრდაზე ისიც ახდენს ზეგავლენას, რომ არ არსებობს თავისუფალი კონკურენცია. ეს ეხება როგორც წარმოებას, ისე ვაჭრობას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონკურენტუნარიანი ბაზრების განვითარებას. ეს ითვალისწინებს ღონისძიებათა კომპლექსს, კერძოდ, ახალი საწარმოების შექმნაში ბარიერების მოხსნას (როგორიცაა არათანამიმდევრული კანონმდებლობა და უძრავი ქონების ბაზრების არარსებობა); რეგულირების ისეთი სისტემის შექმნას, როცა არ იქნება წარმოებისა და ვაჭრობის ლიცენზირების შემზღუდავი მოთხოვნები; მონოპოლიური მდგომარეობის სწრაფ გამოვლენას, კონტროლსა და სხვა. საქართველოში ვაჭრობა აბსოლუტურად თავისუფალია. უქმდება უმამრავი შუალედური მმართველობითი და სამეურნეო რგოლები. ახალ ფუნქციებს იძენენ სამინისტროები და უწყებები. სამეურნეო სუბიექტთა დემონოპოლიზაციისა და დაწვრილერთეულების პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის ყველა დარგში. პარალელურად იქმნებიან ახალ, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სამეურნეო სუბიექტები, განსაკუთრებით – მცირე ბიზნესის სფეროში.

რადიკალური ცვლილებანი ხდება საფინანსო-საბანკო სისტემაში. ნაწილობრივ დემონოპოლიზებულია საკრედიტო ბრუნვა. მეტნაკლებად დასრულებულ სახეს იღებს კაპიტალის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის სამართლებრივი და ნორმატიული ბაზა. შეიცვალა საგადასახადო და მაკონტროლებელი სისტემები. იქმნება ახალი, საერთაშორისო მოთხოვნილების შესაბამისი ეროვნული ანგარიშების სისტემა, რაც უნიფიცირებულს გახდის სამეურნეო აღრიცხვის პროცესს.

ეს და კიდევ მრავალი სხვა ღონისძიება გულისხმობს წარსული ეკონომიკური სისტემის ძირეულ შემობრუნებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისაკენ, ინფლაციის დაბალი დონითა და სტაბილური ეკონომიკური ზრდით. მაგრამ, ამ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის საწყის ეტაპზე აუცილებელია უცხოური ფინანსური დახმარების მიღება, აგრეთვე უცხოური ინვესტიციების პირდაპირი შემოტანისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ამ მხრივ დიდ იმედებს ვამყარებთ საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. საქართველო უკვე გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის,

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, რაც საშუალებას გვაძლევს ‘ოვი’ზიდოთ დიდძალი სახსრები. რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად.

მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ღია ეკონომიკური სისტემის შექმნისა და მსოფლიო ბაზარში მისი ინტეგრირების, აგრეთვე ეროვნული მეურნეობის რადიკალური სტრუქტურული გარდაქმნის უზრუნველყოფისაკენ. საქართველო ესწრაფვის გააფართოოს კონტაქტები მსოფლიოს ქვეყნებთან, კვლავაც იქონიოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. მათთან ორმხრივი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მაქსიმალურად ლიბერალური პირობების შენარჩუნებას, ხელის შემშლელი სავაჭრო ბარიერების მოხსნას, რათა ამ ქვეყნების უზარმაზარი ბაზარი და სანედლეულო რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალისათვის.

საქართველოს მთავრობამ ბოლო თვეების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სავალუტო ოპერაციების ლიბერალიზაციის საქმეში. ‘იმდინარეობს საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფო მონოპოლიის ნარჩენების სრული ლიკვიდაცია. ამჟამად, ნებისმიერ სამეურნეო სუბიექტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში ისე, რომ არ ჰქონდეს სპეციალური ნებართვა.

საქართველოში მთლიანად ლიბერალიზებულია იმპორტი, რაც შეეხება ექსპორტს, მისი გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ექვემდებარება კვოტირებასა და ლიცენზირებას. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს პერიოდში მინიმუმამდე დაიყვანოს შეზღუდვები და საქონლის გატანა თავისუფალი გახადოს რაოდენობრივი რეგულირებისაგან.

ახლახან შემოვიღეთ საბაჟო გადასახადების ახალი, უაღრესად ლიბერალური ტარიფები.

საქონლის იმპორტზე თითქმის სიმბოლური ოდენობის საბაჟო გადასახადია დაწესებული. ყველა სახის საიმპორტო ოპერაციისათვის ერთიანი საბაჟო გადასახადი შეადგენს მხოლოდ 2 პროცენტს. საიმპორტო საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებულია მედიკამენტები და სასურსათო პროდუქტები.

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი ყველა სახის საქონელი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

რაც შეეხება ექსპორტს, ყველა სახის საქონელზე დაწესდა ერთიანი საბაჟო გადასახადი; მისი სიდიდე განისაზღვრა საკონტრაქტო ღირებულების 8 პროცენტის ოდენობით.

საბაჟო გადასახადის აღნიშნული სისტემა ეხება ყველა საწარმოს, განურჩევლად მათი სამართლებრივი სტატუსისა და საკუთრების ფორმისა. შეღავათიანი საბაჟო გადასახადების შემოღება, ჩვენი აზრით, გამოიწვევს საქონლისა და კაპიტალის ინტენსიურ შემოტანას საქართველოში არა მარტო ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ მანეთის ზონის ქვეყნებში შესაღწევად; ასევე გაზრდის საქართველოს გაელით საქონლის რეექსპორტს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან საზღვარგარეთ, რაც ხელსაყრელი იქნება არა მარტო სავაჭრო-საშუამავლო ფირმებისათვის, არამედ უზრუნველყოფს შავი ზღვის პორტების მაქსიმალური დატვირთვითა და ეფექტიანობით მუშაობას.

მნიშვნელოვანი შეღავათებია დაწესებული საწარმოებისათვის საქონლის ექსპორტიდან კონვერტირებადი ვალუტით მიღებული შემოსავლების დაბეგვრაში. ასეთი ოპერაციებიდან კონვერტირებადი ვალუტის ამონაგების 12 პროცენტი ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო სავალუტო ფონდში, დანარჩენი — მთლიანად რჩება საწარმოებს. თანაც, სავალუტო ფონდებში გადარიცხული თანხები ჩაითვლება საწარმოთა მოგებიდან საბიუჯეტო გადასახადების ანგარიშში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვას. იქმნება ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის ინვესტირებას და მის სამართლებრივ დაცვას.

ეკონომიკური პროცესის მარეგულირებელი კანონები მეტნაკლებად უნიფიცირებულია და დასავლეთის ქვეყნებში მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი, რაც საკუთრივ, წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სტაბილურობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

საქართველოში უკვე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია უცხოური ინვესტიციების ნაციონალიზაცია ან შედეგების მიხედვით ტოლფასი ზომების გამოყენება.

სახელმწიფოს ან სხვა ორგანოების, აგრეთვე მათი თანამდებობების პირების უკანონო გადაწყვეტილებით უცხოელი ინვესტორისათვის მიყენებული ზარალი (დაკარგული მოგების ჩათვლით) უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით.

უცხოელ ინვესტორებს გარანტირებული აქვთ თანხების შეუფერხებელი გადარიცხვა (მოგების რეპატრიაცია) საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით. მათ მიერ მანეთობით მიღებული მოგება შეიძლება რეინვესტირებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან სამანეთო სივრცის სხვა ქვეყნებში. უცხოელ ინვესტორს შეუძლია საზღვარგარეთ გადარიცხოს მანეთობით მიღებული თანხა მათი

უცხოურ ვალუტაზე კონვერტირების გზით.

რწმუნებული ბანკები უფლებამოსილი არიან ჩაატარონ საგა-ლუტო აუქციონები და გახსნან ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში ვალუტის ეაღამცველელი პუნქტები. ნებადართულია ბანკთაშორისი საგალუტო ვაჭრობის გამართვა. გაუქმებულია შეზღუდვები გასაცელელ კურსზე, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ ბანკებს კლიენტების დავალებით ოპერაციების ჩატარებისას. არარეზიდენტებს უფლება აქვთ იყიდონ და გაყიდონ უცხოური ვალუტა ბანკთაშორის ბაზარზე მიმდინარე ოპერაციების ჩასატარებლად.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, უწინარეს ყოვლისა, ხელი უნდა შეუწყოს ლიბერალურმა საგადასახადო სისტემამაც. უცხოელ მონაწილეთა მიერ შექმნილი საწარმოები, რომელთა საწესდებო ფონდში უცხოელ პარტნიორთა წილი შეადგენს 30 პროცენტზე მეტს, ორი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან მოგებიდან გადასახადის გადახდისაგან. ასეთი ტიპის საწარმოების საკუთარი საჭიროებისათვის ამორტიზებული ტექნოლოგიები და და-ნადგარ-მოწყობილობები არ იბეგრება საბაჟო გადასახადით.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოს მიერ მიღებული მოგება იბეგრება 15 პროცენტის ოდენობით, რაც ორჯერ ნაკლებია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოგებიდან დაბეგვრის მოქმედ განაკვეთზე.

უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომელთა საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და გადამუშავებასთან, მოხმარების საქონლისა და საშენ მასალათა წარმოებასთან, სამი წლის განმავლობაში გადასახადის თანხა უმცირდებათ 30 პროცენტით.

რეინვესტიციისათვის მიმართული მოგების 50 პროცენტი დაბეგვრას არ ექვემდებარება.

კაპიტალის ფუნქციონირების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვეყნის ფულადი სისტემის სიმყარეზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ჯერ კიდევ სამანეთო სავრცეში იმყოფებიან, რაც ქმნის დამატებით სიძნელეებს. ჩვენ ვფიქრობთ საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღებას. იგი განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა გაჩნდება მისი ობიექტური აუცილებლობა.

ეროვნული ფულის ნიშნის ბრუნვაში შეტანა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. იმ მომენტისათვის, როდესაც ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა აუცილებელი გახდება როგორც შიდაეკონომიკური, ისე გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამას განახორციელებს მანეთის ზონის ქვეყნებთან წინასწარი კოორდინირების საფუძველზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის ზარალი, რომელიც შეუთანხმებელი ქმედებით შეიძლება იქნეს

მიყენებული იმ ქვეყნების ფულადი სისტემისათვის, რომლებიც მანეთს იყენებენ როგორც ერთიან ფულად ერთეულს.

3. უცხოური კაპიტალის საკარაუდო ინტერესები საქართველოში

პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის გზით ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის, გეოპოლიტიკური მდებარეობის, ბუნებრივი პირობების, საექსპორტო შესაძლებლობების, იაფი სამუშაო ძალის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება საქართველოს ჩართვა ამა თუ იმ სახით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკური ორგანიზაციების მუშაობაში, რაც შექმნის საქართველოსადმი ინტერესს და ჩააბამს მას მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საქართველოსადმი ინტერესი ამავე დროს უნდა განვიხილოთ ერთიანი კავკასიური ბაზრის ჩამოყალიბებისა და კავკასიის მეზობელი რეგიონების ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე.

დასავლეთის უპირველესი ეკონომიკური ინტერესი დაკავშირებული იქნება საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ევროპის და აზიის შესაყარზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს მეტად ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული პირობების გამოყენება მსოფლიო გლობალური სამეურნეო კავშირების განსახორციელებლად. საქართველოს ტერიტორიის, როგორც სატრანზიტო გზის გამოყენება დასავლეთ ევროპას საშუალებას მისცემს გაადვილოს სავაჭრო კავშირების დამყარება ყოფილი საბჭოთა კავშირის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან. საქართველოსა და ამიერკავკასიის გზით პერსპექტივები უჩნდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს სამხრეთ რუსეთთან, ირანთან და თურქეთთან ურთიერთობისათვის.

საქართველოში დღეისათვის არსებობს სატრანზიტო გზების მთელი ინფრასტრუქტურა. ესაა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები, თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის სამოქალაქო, სენაკისა და მერეთის სამხედრო აეროდრომები, სარკინიგზო და საავტომობილო გზები. სარკინიგზო კვანძებია სამტრედია და თბილისი. თბილისი წარმოადგენს ფოთი-ბაქოს, ბათუმი-ბაქოს, თბილისი-ერევანი-ჯულფას (ირანი), თბილისი-ყარსის (თურქეთი), სამტრედია-სოხუმი-ტუაფსეს (რუსეთი) სარკინიგზო გზების ცენტრს. ბაქო-ბათუმი დაკავშირებულია ნავთობსადენით.

ყველა ეს გზა, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მსოფლიო მოთხოვნებს, მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს საშუალებას აძლევს წარმატებით განახორციელონ ინვესტიციები.

დასავლეთ ევროპისათვის საქართველო, როგორც დამაკავშირე-

ბელი პუნქტი, მარტო იმ მხრივ კი არ იქნება საინტერესო, რომ ამ გზით შეიძლება ევროპაში წარმოებულ საქონელს ბაზარი მოეძებნოს, არამედ პირიქით — ამ გზით ევროპისათვის საინტერესო საქონლის ექსპორტი მოხდება.

აღნიშნულ ზოგად კონტექსტში, საქართველოს დასავლეთ ევროპისათვის ექნება კერძო მნიშვნელობაც. თვით საქართველო წარმოადგენს ევროპისათვის ახალ ბაზარს და აქ არსებული ბუნებრივი პირობები და რესურსები შექმნიან ახალ მოტივაციას.

უცხოელი ინვესტორები დაინტერესდებიან საქართველოში უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო გზებით, თუ რეკონსტრუირებული იქნება მეტად მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით მსოფლიო მნიშვნელობის პორტები (ფოთი, ბათუმი და სხვა) შავ ზღვაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ფართოდაა განვითარებული სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის თითქმის ყველა საშუალება — სატვირთო ავტომობილების, მაგისტრალური ელმავლების, თვითმფრინავების, საზღვაო კატარღებისა და საჰაერო-საბაგირო გზების წარმოების სახით. სულ ცოტა ხნის წინათ ამ ხელსაყრელ პირობათა გამოყენება ვერ ხერხდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ დაწესებულ სამხედრო-პოლიტიკურ შეზღუდვათა გამო. დღეისათვის ეს დაბრკოლებანი ძირითადად მოხსნილია.

საქართველო, როგორც შავიზღვისპირა და მთის მდიდარი რეკრიაციული რესურსების მქონე ქვეყანა, ფლობს საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარების დიდ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაცია მხოლოდ ინვესტიციათა სიმცირით იზღუდება. თანამედროვე სერვისის შექმნა ამ სფეროში დიდ მოგებას მისცემდა უცხოელ ინვესტორებსა და თვით რესპუბლიკას.

ვფიქრობთ, კაპიტალი უნდა მიიზიდოს საქართველოს შავი ზღვის შელფისა და მოხერხებული ეკონომიკური ზონის გამოყენებამ. საქართველოს თევზსაჭერ ფლოტს შეუძლია ხელსაყრელი გარიგების პირობებში აწარმოოს რეწვა ოკეანის ნებისმიერ რაიონში, მათ შორის ჩრდილო ატლანტიკისა და სხვა წყლებში.

კაპიტალის მაღალრენტაბელური დაბანდების საყურადღებო შესაძლებლობად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მინერალური და წყაროს წყლების მდიდარი მარაგები. ახლო აღმოსავლეთსა და სხვა სამხრეთ რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობების მკვეთრი გაფართოება წყალზე მოთხოვნილების გადიდებას გვპირდება. ყოველ შემთხვევაში, ამისათვის საკმაო ბუნებრივი რესურსები არსებობს. ასევე მდიდარია საქართველო ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვებით. არსებობს სამრეწველო ნარჩენების მომგებიანად გადამუშავების დიდი შესაძლებლობანი.

პერსპექტიულად უნდა მივიჩნიოთ საქართველოში ნავთობისა

და გაზის ძიების სამუშაოთა გაფართოება უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე. სულ ათიოდე წლის წინათ, არასწორი ექსპლუატაციის გამო მოხდა თითქმის უგოგირდო ნავთობის მაღალდებეტიანი საბადოს გაწყლოვანება თბილისის მახლობლად. რესპუბლიკაში ნავთობის ძიებისათვის მეტად საინტერესო რამდენიმე რაიონია.

დასავლეთის კაპიტალის საგრძნობი ინტერესი უნდა გამოიწვიოს საქართველოში განათლების მაღალი ცენზის მქონე და ევროპასთან შედარებით გაცილებით იაფი მუშახელის საკმაო რაოდენობამ, აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის დამზადების საკმაო გამოცდილებამ და ამ სახის საქონელზე დაუკმაყოფილებელმა დიდმა მოთხოვნილებამ საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებში. კერძოდ, საქართველოში არის ჩარხმშენებელი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი, საავტომობილო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი ქარხნები, რომელთა მოდერნიზაციაც საფუძველს შექმნიდა რეგიონში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში ამ საწარმოებში შეიძლებოდა დასავლეთიდან შემოტანილი კვანძებისა და დეტალების საფუძველზე მზა მანქანებისა და მოწყობილობის აწყობა. საკმაოდ პერსპექტიულია ელექტრონული მრეწველობა, ხოლო რაც შეეხება საავიაციო ქარხანას, იგი, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად მსოფლიო სტანდარტების დონეზეა.

სათანადო მესწავლისა და ტექნოლოგიათა შემუშავების საფუძველზე უცხოური კაპიტალისათვის ეკონომიკურად ხელსაყრელი შეიძლება აღმოჩნდეს კაპროლაქტამის წარმოების რეკონსტრუქცია და მის ბაზაზე კაპროამიდის სიმძლავრეთა შექმნა, კოსმეტიკური წარმოების, გაფართოება, საბურავების მაღალი ნომრის კაპრონის ძაფის წარმოების, გალიუმის არსენიდის, ხელოვნური ალმასების, ელექტროლიტური მანგანუმის ორჟანგის, სუფთა ლითონური დარიშხანის, დიატომიტის, სპილენძისა და ტყვია-თუთიის, ფეროშენადნობთა და სხვათა წარმოების ორგანიზაცია და გაფართოება. ყოველივე ამისათვის საქართველოში საკმაო ბუნებრივი რესურსები არსებობს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მაღალრენტაბელური ექსპორტის საფუძველს ქმნის ჩაისა და განსაკუთრებული თავისებურებებით გამორჩეული, სიწმინდის, შენახვის ეადისა და შეფუთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქართული ღვინის წარმოების შესაძლებლობანი, რაღა თქმა უნდა, თანამედროეე დასავლური ტექნოლოგიის გამოყენების გზით.

სათანადო დაფინანსებისა და მატერიალური ბაზით აღჭურვის შემთხვევაში შეიძლებოდა მაღალეფექტიანად გამოყენებულიყო საქართველოს მრავალათასიანი სამეცნიერო პოტენციალი, რომელსაც მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში შეიძლებოდა მონაწილეობა

მიელო სასარგებლო წიაღისეულის დაძიების, სამედიცინო და სხვა სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში.

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი საკმაო ეფექტიანობით შეიძლებოდა გამოყენებულიყო ასევე, გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესწავლისა და გადაჭრისათვის, უწინარეს ყოვლისა, შავი ზღვა – კავკასიის რეგიონში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებულია პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულია უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები. ამ პროექტებს შორის ზოგ მათგანს ლოკალური, ზოგს საერთაშორისო ხასიათი აქვს. ჩვენთვის ამ ეტაპზე ძირითად მიმართულებადაა მიჩნეული ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც ენერგეტიკული და სასურსათო, აგრეთვე სხვა ზოგიერთი გადაუდებელი პრობლემის მოგვარებაში შეგვიწყობს ხელს. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოში ჰიდროენერგეტიკული რესურსებით უმდიდრეს სახელმწიფოთა რიცხვს, თუმცა, ამ რესურსების მხოლოდ 12 პროცენტია ათვისებული.

ახლო მომავალში საქართველოში რაიმე ეკონომიკური სასწაულის მოხდენა ადვილი საქმე არაა, თუმცა პერსპექტივა მაინც ოპტიმისტურად გვესახება.

აუცილებლად უნდა აღინიშნის ისიც, რომ საქართველო არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ინტერესების სფეროც გახდა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარებისათვისაც უნდა იქნეს გამოყენებული.

და ბოლოს, მსოფლიო თანამეგობრობის კეთილგანწყობილება და საქმიანი წრეების დაინტერესება ჩვენი გეგმებისა და შესაძლებლობების რეალურად ხორცშესხმის იმედს გვაძლევს. თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველმხრივ ეცდება შექმნას მათი რეალიზაციისათვის საჭირო ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები.

მაისი. 1992 წ.

შედეგი ის არის, რომ დაიწყო შეუქცევადი პროცესი

— ბატონო ვიცე-პრემიერო, საქართველოში მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმა. როგორ განვითარდება საქართველოს ეკონომიკის ბედი?

— საქართველოში მართლაც დაიწყო ეკონომიკური რეფორმა. იგი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური გარდაქმნები, განსაკუთრებით კი გეგმიანი მეურნეობის დემონტაჟი, როგორც პროცესი ყოველად მშვიდ მდგომარეობაშიც კი, იწვევს უამრავ სიძნელეს. ეს გამოიხატება, პირველ რიგში, წარმოების ტემპის დაცემით, სტრუქტურული ცვლილებებით გამოწვეული მრავალი პრობლემით, მათ შორის უმუშევრობით. როდესაც იწყება ახალი ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, ხდება საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება, მიმდინარეობს თავისუფალი ფასების დამკვიდრების პროცესი, ხდება ხელოვნურად შექმნილი ფასების მსოფლიო ფასებთან ადექვატური სისტემით შეცვლა — ყველაფერი ეს დაკავშირებულია უსარმაზარ სიძნელეებთან. თავისთავად, თვით რეფორმის პროცესში ჩადებულია კრიზისის შემცველი ელემენტი, თუმცა იგი დროებითია. ამ დროებითი ეტაპის გავლის შემდეგ უნდა დაიწყოს, როგორც წესი, აღმავლობა, რასაც გვიჩვენებს ეკონომიკური რეფორმის მსოფლიო გამოცდილება. მაგრამ ამ ზოგადეკონომიკურ სიძნელეებს, ჩვენთან, რეფორმის გატარებაში ემატება ის, რომ საქართველო ჯერჯერობით კვლავაც ე.წ. ყოფილი საკავშირო ეკონომიკის სივრცის ნაწილს წარმოადგენს, მოქმედებს ძველი საფინანსო და საბანკო სისტემა, კვლავაც არსებობს სამანეთო ზონა. ამას ერთვის შიდა პოლიტიკური არეულობა: დაძაბულობა აფხაზეთში, კონფლიქტები ცხინვალში, რომელიც რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც არის პროვიცირებული. აი, ამ სიძნელეთა ფონზე მიმდინარეობს საქართველოში ეკონომიკური რეფორმა. სამწუხაროა, რომ რეფორმის გატარება გვიხდება მრავალმხრივი პრობლემების გადაწყვეტის კვალობაზე. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ ჩვენ, ვინც თავის დროზე გამოვდიოდით არა მარტო პოლიტიკური რეფორმის, ცხოვრების დემოკრატიზაციის მოთხოვნით, არამედ რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების მოთხოვნითაც, რომელიც აუცილებელი ელემენტია და რაც წარმოადგენს დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტს, აი, სწორედ ამ გარდაქმნების სწრაფად გატარების მოთხოვნის გამო აღმოჩნდით მრავალი ადამიანი და მათ შორის მეც, არსებული ხელისუფლების ოპოზიციაში. ამიტომ, პირველივე ნაბიჯები, რაც ამ დროებით მთავრობაში ჩვენი მოსვლის შემდეგ იქნა გადადგმული, ეს გახლავთ სწრაფი ტემპით ეკონომიკური რეფორ-

მის დაწყება. შესაძლებელია საერთო პროცესების მიმდინარეობის ფონზე, ერთი შეხედვით, თვალშისაცემი არ იყოს რადიკალური ცვლილებები. ყველას უნდა, რომ შედეგი სწრაფად და უცებ გამოინდეს. მაგრამ შედეგი თავისთავად ის არის, რომ დაიწყო შეუქცევადი პროცესი.

დაიწყო რეფორმები, ჩამოყალიბდა მიმართულება, ეკონომიკის განვითარების საერთო ტენდენცია და რაც მთავარია, შეიქმნა ისეთი პირობები, რომ ფაქტიურად უკან დაბრუნება შეუძლებელია ძველი ადმინისტრაციული სისტემისაკენ. პირველივე დღეებში მოხდა მიწების პრივატიზება. მოგეხსენებათ, საქართველოში დაიწყო მასშტაბური მიწის რეფორმა მოსახლეობაზე ნაკვეთების გაცემის სახით. რა თქმა უნდა, ამასაც ახლავს სიძნელეები, როგორც ორგანიზაციული, ასევე სამართლებრივიც; სირთულეები წმინდა ადმინისტრაციული, მყარი ხელისუფლებითი სტრუქტურების არქონით დაწყებული, რეგიონალური პრობლემებით დამთავრებული. ყველა რეგიონში ერთნაირი ტემპით და ერთნაირად ხელსაყრელ პირობებში ვერ მიმდინარეობს მიწის რეფორმა. ამ ეტაპზე მიწების ნახევარზე მეტი კერძო მფლობელობაში გადავა. სულ მალე სახნავი მიწების უმეტესობა კერძო ფერმერის ხელში აღმოჩნდება. უკვე დაიწყო კოლმურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმების პროცესი. ისევ ვიმეორებ, რომ ყოველივე ამას მოჰყვება მათი დაშლით გამოწვეული სიძნელეები და თავისთავად, რეფორმით მიღებულ პირველ შედეგებს არ ექნება სწრაფი ეფექტი. თავდაპირველად ვერც მასობრივ ცნობიერებაში დამკვიდრდება რეფორმით გამოწვეული სასიკეთო ცვლილებები, მაგრამ კარგი თავისთავად ის არის, რომ იმსხვრევა ყაზარმული, თუ შეიძლება ითქვას კოლონიალური სოციალისტური აგრარული სისტემა, რასაც შემდგომში უნდა მოჰყვეს სწორედ კერძო მეწარმეობის აღორძინება, კერძო ინიციატივის გაფართოება. სულ მალე კერძო მფლობელობაში გადავა სახელმწიფო ბინები.

პარალელურად დაწყებულია სახელმწიფო და სამეურნეო ადმინისტრაციული მმართველობითი სტრუქტურების დეცენტრალიზაცია, წარმოების დემონოპოლიზაცია. იცვლიან ფუნქციებს დარგობრივი სამინისტროები; ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის კონცერნები, ახალი ტიპის გაერთიანებები; ცენტრალიზებულად არსებული გაერთიანებები და კონცერნები კი იშლება. დაიწყო სახელმწიფო ვაჭრობის სფეროს კომერციალიზაცია, გათვალისწინებულია სხვა სექტორების კომერციალიზაციაც. მოხდა ფასების თითქმის სრული ლიბერალიზაცია. გარდა რამდენიმე დასახელების საქონლისა, საქართველოში მთლიანად გათავისუფლდა ფასი, მათ შორის ნავთობპროდუქტებზეც. ფიქსირებული ფასები დროებით შემორჩენილია ძირითადად რძეზე, პურზე, კომუნალური მომსახურების რამდენიმე

სახეზე და მედიკამენტებზე.

სულ მალე დაიწყება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოების განსახელმწიფოებრიობა. მოხდება სახელმწიფო საწარმოების აქციონირება. მოკლედ, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საბაზრო სტრუქტურების შექმნის შეუქცევად პროცესებს. ბუნებრივია, ყველაფერი არ მიმდინარეობს ისე, როგორც ჩვენ გვინდა — ამას აქვს მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი. გარდა ამისა, არის ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც დამოკიდებულია მმართველობითი აპარატის ინერტულობაზე, მათ კონსერვატიზმზე; რეფორმას წინააღმდეგობას უწევენ გარკვეული წრეებიც, რომელთაც არ სურთ სახელმწიფო ქონების დეცენტრალიზაცია და მისი გაკერძოება. ეს ფაქტიურად ნიშნავს მათი პოლიტიკური, ქონებრივი ზეგავლენის დაკარგვას, რადგან წარმოიშობა ახალი სოციალური ფენა, საზოგადოების ეკონომიკური ხერხემალი — მესაკუთრეთა კლასი, თავისი ინტერესების დამცველი სოციალური, სამოქალაქო თუ პოლიტიკური სტრუქტურებით. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მიმდინარეობს ხელისუფლებითი და საკუთრებითი გადანაწილების ფონზე, რაც ბუნებრივია, საზოგადოებაში ბადებს წინააღმდეგობას. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მთავარია ის, რომ პროცესი დაიწყო. ამ პროცესის დაწყებით და მისი ხასიათის შეუქცევადობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველო არის ის ქვეყანა, რომელიც არასდროს უკან არ დაბრუნდება ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკური სისტემისაკენ, და რომ მას აქვს დიდი ისტორიული შანსი თავისი გეოგრაფიული, კულტურული თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, დაბრუნდეს დასავლური პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანაცხოვრების ორბიტაში.

— ბატონო ვიცე-პრემიერო! თქვენს ამ ძალიან ტევად და ამომწურავ პასუხს, ლოგიკურად მოჰყვა ერთი შეკითხვა — 1987 წელს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა თქვენი სტატია, მართალია იგი ძალიან ადრეა დაბეჭდილი და ხასიათიც განსაზღვრული აქვს, მაგრამ იქ თქვენ მოგყავთ ამგვარი შეკითხვა — "ხომ არ გაჩნდა კაპიტალიზმის აჩრდილი ჩვენთან, ხომ არ აღორძინდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია?"

რას იტყვით, დადის თუ არა კაპიტალიზმის აჩრდილი, თუ თავად კაპიტალიზმმა შემოაბიჯა კომუნიზმის მეტისმეტად ვიწრო ქუჩებში?

— როცა კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას უსვამენ ხაზს, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამაში ადრე ყოველთვის ნეგატიურს გულისხმობდნენ. მაგრამ მე დიდი სიამოვნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ საქართველოში მართლაც აღმოცენდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია. ადამიანმა შეიგრძნო, თუ რას ნიშნავს იყო მესაკუთრე. გაჩნდა

ქონების დაფასების ყადრი; გაჩნდა საკუთრების ფლობის და მისგან მატერიალური დამოუკიდებლობის შეგრძნება. დღეს საქართველო'ში მართლაც დადის კაპიტალიზმის აჩრდილი, და შეიძლება ითქვას, არა მარტო აჩრდილი, არამედ კაპიტალიზმის გარკვეული საწყის სტადიადაც შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენი გარდამავალი პროცესი — ეს მაინც გარდამავალი პროცესია, როდესაც ხდება სოციალისტური სტრუქტურების მსხვრევა და ეკონომიკის საბაზრო მექანიზმის ჩამოყალიბება. მაგრამ ეს პროცესი არ არის ჯერჯერობით ისეთი, რომ თავისი განვითარების შუაწელს მიაღწიოს. ეს არის საწყისი ეტაპი, რომელიც, ალბათ, უფრო დინამიურად განვითარდება და, ალბათ, აჩრდილი უკვე რეალურ სახეს მიიღებს, მაგრამ არა ისეთს, როგორსაც ჩვენს კარიკატურებში ხატავდნენ — სქელს, სიგარითა და ცილინდრით, არამედ, მართლაც რომ ცივილიზებული კაპიტალიზმის სახით.

— თქვენ ბრძანეთ, რომ რეფორმის გატარება მტკივნეული პროცესია. საბაზრო ეკონომიკას ფართო მასების ცნობიერება ჯერ შეხვდა მომზადებული. რა კეთდება დღეს იმისათვის, რომ დამაჯერებლობა შეიტანოს თქვენმა რეფორმამ რიგით ადამიანში?

— რიგით ადამიანებში დამაჯერებლობას შეიტანს შედეგი, მაგრამ შედეგი არ შეიძლება მოვიდეს სწრაფად. ამიტომ, ბუნებრივია, ადამიანებს სჭირდებათ გარკვეული მომზადება, საზოგადოებრივი ატმოსფეროს შეცვლა, როგორც პროპაგანდისტული, ასევე საბაზრო ეკონომიკის სულისკვეთების ფორმირების თვალსაზრისით. ეს ფორმირება, როგორც წესი, ჩვენთან მიმდინარეობს პოპულისტური ლოზუნგებით, ხოლო პოპულიზმი და ეკონომიკური რეფორმა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. რეფორმის გატარებას გარკვეული იდეოლოგიური მომზადება რომ უნდა, ეს ცხადია, მაგრამ ასევე აუცილებელია მოსახლეობის სოციალურ დაცულობაზე — ნაკლებადუზრუნველყოფილ ოჯახებზე, მცირეშემოსაველიანებზე, უმუშევრებზე, ინვალიდებსა და მრავალშვილიანებზე ზრუნვა. გარკვეულწილად საჭიროა ხელფასების მოწესრიგება. თუმცა, ყოველთვის, ხელფასის მოწესრიგებასა და რეფორმას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არ არის. ამიტომ შეუძლებელია ატარებდე მკაცრ საბიუჯეტო შეზღუდვას და ამავე დროს პოპულისტურ სოციალურ პოლიტიკას. თუმცა, ბალანსი მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფასა და რადიკალური რეფორმის განხორციელების ტემპს შორის დაცული უნდა იყოს. უკიდურესი გადახრა რეფორმის სწრაფად გატარების მიმართებით გამოიწვევს სოციალურ აფეთქებას და, პირიქით, რეფორმის ხარჯზე გადახრა სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თავის მხრივ, გამოიწვევს უკუშედეგს — რეფორმის ჩაშლას და ფაქტიურად სოციალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

— თქვენი გამოჩენა დაემთხვა გარდაქმნის პირველ წლებს. საზოგადოებას ახსოვს თქვენი თაბამი პუბლიკაციები. მათში აშკარად იგრძნობოდა კურსი, რომელიც თქვენ გქონდათ აღებული, მაგრამ, სტატიები გარკვეულწილად მაინც შენიღბული იყო, რატომ?

— თუ შენიღბულად გულისხმობთ ადრეულ წერილებს, რომელიც იბეჭდებოდა 5-6 წლის წინათ, როდესაც საერთოდ ხსენებაც კი არ შეიძლებოდა დამოუკიდებლობის, ასევე, კაპიტალიზმის და საბაზრო ეკონომიკის, ამ შემთხვევაში ეს გარკვეული ფორმა იყო ავტორისა, რომელიც ამბობდა თავის სათქმელს, მაგრამ ისე, რომ აშკარა რეპრესიული ზემოქმედება არ ემუქრებოდა. მაგრამ ეს შენიღბული ფორმა მაინც ჩანდა: სურათი ნათელი იყო. ამიტომ ძალიან ბევრი უსიამოვნება ხვდებოდა იმ რედაქციებს, სადაც ასეთი წერილები იბეჭდებოდა. მე მახსოვს დღევანდელი ჩვენი ტელევიზიისა და რადიოკომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც მაშინ ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი იყო, ორჯერ თუ სამჯერ ხსნიდნენ სწორედ იმ წერილების გამო, რომელიც თქვენ ახსენეთ. თუმცა, დღევანდელი ეკონომიკური რეფორმის ფონზე ისინი არც ისე მწვავედ მეჩვენება. მერე უკვე, როდესაც შესაძლებელი გახდა კომუნისტურ რეჟიმთან აშკარა დაპირისპირება, პუბლიცისტიკის სიმწვავე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ პრესაში იბეჭდებოდა — თავისუფალში, მაგალითად "მამულში", თუ ოფიციალურ პრესაში. თუმცა, ბოლო პერიოდში უკვე დაუფარავად ვწერდით იმას, რაც სწორად მიგვაჩნდა.

— დღეს თქვენ ძალიან რთულსა და დაძაბულ ვითარებაში გიწევთ მუშაობა; გაქვთ თუ არა თავისუფალი მოქმედების საშუალება როგორც მეცნიერ ეკონომისტს?

— თავისუფლება პირობითი ცნებაა. თავისუფალი მოქმედების საშუალება იმ სფეროში, რომელსაც ეკონომიკური რეფორმა ჰქვია, მეტ-ნაკლებად მაქვს. ძირითადი პოლიტიკა რეფორმისა, რომელიც დღეს მიმდინარეობს საქართველოში იმ რეფორმების შტაბის მიერ არის შემუშავებული, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, როგორც ეკონომიკის სფეროში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. მაგრამ ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ღებულობს დეკრეტის, სამთავრობო განკარგულების ან დადგენილების სახეს, ვერ სრულდება, რადგამ მრავალი სირთულე ახლავს, იმიტომ რომ არ არის ჩამოყალიბებული ზუსტი სამთავრობო და სამეურნეო ვერტიკალური სტრუქტურები, როდესაც უმაღლეს ეშელონში მიღებული გადაწყვეტილება სწრაფად ვერ სრულდება მთელ სამეურნეო ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განშტოებაში. ამიტომ, ერთია თავისუფალი მოქმედების საშუალება, და მეორე — ის შედეგი, რასაც თავისუფალი მოქმედებით გამომუშავებული პოზიციის ხორცშესხმა

ჰქვია. თქვენი შეკითხვა მრავალპლანიანია და მას ცალსახად ვერ უპასუხებ. ყოველ შემთხვევაში, მე მგონია რომ ის ძირითადი კონცეპტუალური შეხედულებები, რაც ჩვენ ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე გაგვაჩნდა, წინააღმდეგობის მიუხედავად, თანდათანობით ხორცს ისხამს.

— ხვალ რომ სხვა სახის მთავრობა აღმოჩნდეს სახელმწიფოს სათავეში, ითანამშრომლებთ თუ არა მასთან, როგორც მეცნიერ-ეკონომისტი?

— მთავრობასთან, როგორიც არ უნდა იყოს, თუ იგი საბაზრო ეკონომიკისაკენ ალებულ კურსს გადაუხვევს, ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სტრუქტურების შენარჩუნებას შეეცდება, მე არ ვითანამშრომლებ; ვიქნები, როგორც აქამდე ვიყავი ოპოზიციაში. თუმცა, შინაგანად მე ახლაც, გარკვეულწილად, ოპოზიციონერად ვთვლი თავს, რადგან წინააღმდეგობა ეკონომიკური რეფორმის მიმართ არის (მათ შორის მთავრობაშიც) და მათი დაძლევის პროცესში ჩემი თავი ასეთად მიმაჩნია. ხოლო ამ რეფორმის გატარების თვალსაზრისით, მე ფუნქციონერი ვარ. ამიტომ, დღეს გაორებული მდგომარეობა მაქვს, როგორც ფუნქციონერს და როგორც შინაგანად ოპოზიციურად განწყობილს.

ახალი არჩევნების შემდეგ, თუ მთავრობა რეფორმის გზას არ დაადგა, მაშინ რა თქმა უნდა, როგორც მეცნიერი ვითანამშრომლებ, როგორც ფუნქციონერი — არა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემს აზრს გამოვთქვამ და განსხვავებული აზრიც — ესეც გარკვეული ფორმაა თანამშრომლობისა.

მე ოპოზიციურ თანამშრომლობაში ვიქნები, თუ შეიძლება ასე ითქვას.

— თქვენ რა სახის მონაწილეობას მიიღებთ არჩევნებში?

— ამას გვიჩვენებს დრო.

— წარმოადგენთ თუ არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას?

— მე გახლავართ სახალხო ფრონტის წევრი.

— ბატონო ვიცე-პრემიერო, თქვენთან ინტერვიუ მრავალგზის გადაიდო უცხოელი კოლეგების, მრავალრიცხოვანი დელეგაციების უწყვეტი ნაკადის გამო; რას გვეტყოდით, თქვენი უცხოელი კოლეგები გრძნობენ, რომ დღეს საქართველოში მყარი საფუძველი ექმნება კაპიტალიზმს?

— დიახ, რა თქმა უნდა უამრავი დელეგაცია ჩამოვიდა ამ ხნის განმავლობაში საქართველოში. უზარმაზარი ინტერესია საქართველოს მიმართ, როგორც საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო სტრუქტურების მხრიდან, ასევე სამთავრობო წრეებისა და ორგანიზაციების მხრიდან. უამრავი წინადადებაა შემოსული საქართველოში კაპიტალდაბანდების თვალსაზრისით. მათ უნდათ გამოიყენონ ჩვენი ხელსაყ-

რელი გეოგრაფიული პირობები, შავი ზღვის ფაქტორი და ის უპირატესობა, რაც საქართველოს, როგორც ცენტრალურ ხიდს და მაგისტრალს ევროპასა და აზიას შორის უჭირავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არსებობს ძალიან დიდი ტრადიცია კერძო-მესაკუთრული მეურნეობისა. პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის კვალობაზე, საქართველოში ძალიან დიდი ოდენობით ველოდებით უცხოურ ინვესტიციებს.

— ისრაელში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებაზე რა აზრის ბრძანდებით. რას იტყვით ახლანდელ მოსულ მთავრობაზე?

— მე ყოველთვის მჯეროდა და დღესაც ასე ვფიქრობ: ისრაელს ყოველთვის ჰყავდა ტრადიციულად ეროვნული მთავრობა, რომელიც დღე და ღამ იბრძოდა სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისათვის. ისრაელის ხელისუფლებმა შექმნეს ძლიერი და მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი სახელმწიფო. პოლიტიკურ არენაზე პარტიათა შეცვლა ნორმალური პროცესია, ხოლო ის, რომ დღეს ისრაელის ახალი მთავრობის მოსვლაზე ამყარებენ იმედს, რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და პოლიტიკური პროცესების დარეგულირების თვალ-საზრისით, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მათთან ვითანამშრომლოთ.

— თუ იცნობთ ისრაელის ქვეყნის ეკონომიკას და რა სახის თანამშრომლობა შეიძლება ჩვენს პირობებში მათთან?

— ისრაელის ეკონომიკას, რა თქმა უნდა, ვიცნობ, რადგან როგორც მოგეხსენებათ, მე უნივერსიტეტში ვასწავლიდი. თუმცა, ამ შემთხვევაში ცოდნა ისრაელის ეკონომიკის შესახებ არის მაინც უფრო ზოგადი აკადემიური ფორმით გამოხატული. მე ძალიან კარგად მესმის ის პოლიტიკური და ეკონომიკური როლი, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს დღეს უჭირავს, — ეს არის უაღრესად დინამიურად განვითარებული, დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანა, განსაკუთრებით მისი შრომისმოყვარე ადამიანებით და ძლიერი საქმიანი წრეებით. მე მგონია, რომ ისრაელს კიდევ უფრო მეტი პოტენციალი გააჩნია ეკონომიკური ზრდისა, რადგან მრავალი ფაქტორი განაპირობებს მისი ეკონომიკური სიძლიერის მატებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო-ისრაელს შორის შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირების დამყარება.

— კერძოდ?

როგორც ინდუსტრიულ და აგრარულ სფეროში, ასევე კერძო ბიზნესის განვითარებაში, ერთობლივი საწარმოების შექმნაში. ჩვენთან უამრავი პროექტი მზადდება მეურნეობის სხვადასხვა დარგში და არა მგონია, რომ ისრაელის საქმიანი წრეებისათვის იგი უინტერესო იყოს.

მე ვიტყოდი, რომ საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ დღეს

ასეთ მძიმე მდგომარეობაშია, პოტენციურად არის ქვეყანა, რომელიც საგულისხმო ადგილს დაიკავებს სწორედ ევროპის, რუსეთისა და აზიის გზის გასაყარზე. ამიტომ, მოკლედ თუ ვიტყვით, საქართველოში, ვინც პირველი შემოვა, ის დარჩება მოგებული. ყოველ შემთხვევაში, დღეს რისკის ფაქტორი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ის მოსალოდნელი დადებითი შედეგები, რასაც საქართველოში კაპიტალის ინვესტირება ჰქვია; ამიტომ მე ისრაელის საქმიან წრეებს მოვუწოდებდი უფრო აქტიური თანამშრომლობა დაეწყოთ საქართველოში.

— ებრაული ხასიათი ძალზე ფრთხილია და წინდახედული, იქნებ ისრაელის მთავრობა ელოდება ოფიციალურ არჩევნებს საქართველოში? აქვე მინდა ერთი შეკითხვაც დაგისვათ, თუ შეგიძლიათ განსაზღვრეთ დღევანდელი მთავრობის სტატუსი და მისი უფლება-მოვალეობანი, რამდენად იურიდიული და კანონიერია თქვენი მთავრობის დადგენილებები?

— საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე მეტყველებს ის, რომ, საქართველო, ფაქტიურად, მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნის მიერ არის აღიარებული. იგი გახდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, დღედღეზე მოხდება მისი გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დასავლეთის ქვეყნები მხარს უჭერენ ჩვენს ხელისუფლებას. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ხელისუფლებაში მოსვლის ფორმაზე, არამედ მის მიერ გატარებულ კურსზე — ის, რომ საქართველოში მოხდა ტრაგიკული მოვლენები და ხელისუფლების ჩამოყალიბება განხორციელდა არასასურველი გზით, შეიარაღებული კონფლიქტის საფუძველზე, ბუნებრივია, არ არის მისაღები, მაგრამ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ქვეყანა, მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა, ფაქტიურად იგი აღიქმებოდა როგორც ერთ-ერთი არქაული ქვეყანა, იმ პოლიტიკური პროცესების ფონზე, რაც მიმდინარეობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. დასავლეთიდან კარჩაკეტილი ქვეყნიდან ჩვენ მსოფლიო პოლიტიკურ ორბიტაზე გავედით.

— თუ ნებას მომცემთ გავიმეორებ შეკითხვის პირველ ნაწილს, როგორც ჩანს, მეორე ნაწილი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თქვენთვის, — ხომ არ ფიქრობთ, რომ ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნები მაინც ოფიციალურ არჩევნებს ელოდებიან, თვით ეკონომიკური თვალსაზრისითაც კი?

— არა მგონია, იმიტომ, რომ მათთვის მთავარია იყოს სტაბილური და მყარი ხელისუფლება. შესაძლოა, ხელისუფლება არჩეული იყოს, მაგრამ ქვეყანაში სუფევდეს ქაოსი და ამიტომ არასდროს მასთან არ დაამყარონ კავშირ—ურთიერთობები და, პირიქით; დღეს, ისეთი ვითა-

რება არ არის, რომ საგარეო ურთიერთობები მხოლოდ არჩევნებზე იყოს დამოკიდებული. არჩევნები ყველაზე მეტად გეჭირდება ჩვენ და არა იგივე დასავლეთის ქვეყნებს. ჩვენ გვჭირდება არჩევნები იმისათვის, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს ერის გამთლიანება, რომ ქართველ ხალხს ჰყავდეს ისეთი პარლამენტი და მთავრობა, რომელიც იქნება მისი მოსახლეობის ნების გამომხატველი. საქართველომ და ქართველმა ხალხმა ბევრი რამ ისწავლა საკუთარი გამოცდილებით, საკუთარ შეცდომებზე. ვიცით, თუ რა არის თავისუფალი არჩევნები, რა შეუძლია თითოეულ ამომრჩეველის ხმას, და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს, როდესაც დაუფიქრებელ ნაბიჯს დგამს მოსახლეობა (ამომრჩეველი). არჩევნები მაშინ, რომ ჩატარდა, მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის პრიორიტეტით; იქ სულ სხვა პოლიტიკური ლოზუნგები იყო. დღეს საქართველოში სხვაგვარი პოლიტიკური სიტუაციაა. ამიტომ, არჩევნებისას წინ წამოიწევს პარტიების ეკონომიკური პოზიცია, აგრეთვე, თუ რა ურთიერთობა ექნებათ დასავლეთთან, როგორი იქნება მათი დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანასთან.

დღეს არჩევნები უფრო საღი და უფრო აწონილ-დაწონილ ვითარებაში წარიმართება, რაც შერიგების ფაქტორიც უნდა გახდეს.

რაც შეეხება იმას, რომ რაღაც განსაკუთრებული მოლოდინი იყოს არჩევნებისადმი, რომ უცხოელი ინცესტორები მოუთმენლად ელოდებოდნენ ჩვენს არჩევნებს, ეს არა ჩანს, თუმცა, არჩევნებით მოსულ ხელისუფლებას მეტად რომ ენდობიან, ესეც ფაქტია.

— ჩემთვის, პირადად, ცნობილია, რომ სტუდენტობის წლებში უსაზღვროდ გიყვარდათ ლიტერატურა, ხელოვნება და დიდ დროსაც უთმობდით მას. ხომ არ შეცვალა თქვენი განწყობა ეათ მიმართ დაძაბულმა საქმიანმა გარემომ?

— ალბათ, ძალიან დიდი ხანია ლიტერატურა და ხელოვნება არ უხსენებიათ ჩემთან. ამ საუბარში თითქოს, რაღაც აღმოვაჩინე. მოგეხსენებათ, ბოლო ორი წლის განმავლობაში გაცხოველებული პოლიტიკური კატაკლიზმები გადავიტანეთ პარლამენტში, როცა ჯერ კიდევ იქ ვმუშაობდით, ხოლო შემდეგ, როცა ე.წ. ქუჩის ოპოზიციაში ვიმყოფებოდით.

ახლა მიეხვედი, რომ მოვწყდი იმ სფეროს, რომელიც ძალიან მიყვარს.

— თქვენ გაიარეთ ძალიან დიდი გზა, ვიდრე მოხვიდოდით ამ თანამდებობამდე, როგორც ნიჭიერმა და პერსპექტიულმა მეცნიერმა, ხოლო შემდეგ, როგორც მებრძოლმა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; იღებდით მონაწილეობას გამოსვლებში, არჩევნებში. და აი, ბოლოს, თქვენ ხართ მთავრობაში

საკმაოდ საპასუხისმგებლო პოსტზე.

როგორ გგონიათ, ეს არის თქვენი ხანგრძლივი ბრძოლის, მუშაობის ლოგიკური შედეგი, თუ უბრალოდ ბედისწერით იყო განსაზღვრული?

— ეს არის დროის შედეგი, აგრეთვე შედეგი იმისა, რომ მე ვარ იმ სპეციალობის ადამიანი, რომლის პროფესიაც ყოველთვის იქნება საზოგადოებისათვის აუცილებელი და საჭირო, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელიც ცვლის თავის ცხოვრების წესს და წინ უდევს ახალი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნის პროცესი. ეკონომისტი წამყვანი ფიგურა ხდება ყველა სფეროში. ამიტომ მე არა მგონია, რომ ხელისუფლებაში ჩემი მოსვლა განაპირობეს მხოლოდ იმ ფაქტორებმა, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, მან გავლენა მოახდინა, მაგრამ ძირითადად მე მაინც ამას ავხსნიდი ჩემი სპეციალობის მიხედვით.

— და არავითარი ბედისწერა ამაში მონაწილეობას არ ღებულობდა?

— ბედისწერის არ მჯერა.

— ბატონო ვიცე-პრემიერო, ამჯერად ცოტა გაცვეთილი შეკითხვის დასმის უფლებას მიკცემ ჩემს თავს. თქვენ რომ კორესპონდენტი ყოფილიყავით, რა შეკითხვას დაუსვამდით თქვენს თავს უშუალოდ ისრაელის გაზეთის მკითხველისათვის?

— რა შეკითხვას დავუსვამდი? ალბათ, მაინც დავსვამდი შეკითხვას საქართველოდან წასულ ებრაელებზე... თუმცა, რადგან თქვენ ეს არ გააკეთეთ, შესაძლებელია, ასე ვთქვათ, ტრაფარეტული და ბანალურიც კი გამოჩენილიყო. ჩვენ ყოველთვის გვიყვარს ხოლმე ხაზგასმა იმისა, თუ რა ტკბილად ვცხოვრობდით, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, და როგორი ურთიერთპატივისცემა გექონდა ერთმანეთის მიმართ. მაგრამ ეტყობა ეს იმდენად თავისთავადი და ბუნებრივი რამ არის, რომ ხშირად გამეორება კიდევაც აუფასურებს მას. ამიტომ, უბრალოდ არც დავსვამდი ამ შეკითხვას.

— კეთილი. ჩვენ ვამთავრებთ ინტერვიუს იმ იმედით, რომ კიდევ ერთხელ შეხვდებით, უკვე არჩევნების შემდეგ, ისრაელის ქართველ მკითხველს.

ივნისი. 1992 წ.

— ბატონო რომან, რას გვეტყვით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შესახებ?

— თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ჩვენს მიერ დაწყებული ეკონომიკური რეფორმა უაღრესად რთულ ვითარებაში მიმდინარეობს. სამწუხაროდ, რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური. მძიმე გავლენას ახდენს ის ეკონომიკური სანქციები, ეკონომიკური ბლოკადა, რომელსაც რუსეთი იყენებს არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა რესპუბლიკების მიმართაც. ამ "დამსჯელ" აქციას განაპირობებენ არა მხოლოდ პოლიტიკური მოტივები, არამედ ეკონომიკური რღვევის პროცესით გამოწვეული სიძნელეები. ამიტომ, არ მინდა ეს მოვლენები მხოლოდ კრემლის ხრიკებთან დავაკავშირო, იგი გამოწვეულია მრავალი მიზეზით: გარეშე ფაქტორებით, რომელიც სსრ კავშირის დაშლის გარდაუვალი შედეგია და უშუალოდ საქართველოში მიმდინარე წმინდა პოლიტიკური პროცესებით. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ცხინვალის კონფლიქტი, დესტაბილიზაცია მთელ საქართველოში, დაძაბულობა აფხაზეთში, ბანდიტური გამოხდომები, რაც თბილისშიც ხდება.

ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, სამწუხაროდ, უაღრესად რთული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე დაიწყო. მიუხედავად ამისა, ოთხიოდე თვეში ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა და საფუძველი ჩაეყარა შეუქცევად პროცესებს. საქართველოში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის ფორმირება, შესაბამისი სამეურნეო სტრუქტურების ჩამოყალიბება და ახალი ყაიდის ეკონომიკური მოდელის შექმნა. შეუქცევადი პროცესების დამკვიდრება რეფორმის დაწყების ძირითადი შედეგია. რა ძალებიც არ უნდა მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, როგორადაც არ უნდა მოახდინონ მოსახლეობის ცნობიერების მანიპულირება, განსაკუთრებით სოციალური დაძაბულობის ფონზე, ერთხელ გაკვალული კალაპოტიდან ამოგდება, მიმართულების შეცვლა უკვე შეუძლებელია.

— როგორ აღიქვამს მოსახლეობა რეფორმით გამოწვეულ რთულ პროცესებს?

— ბუნებრივია, მოსახლეობა რეფორმით გამოწვეულ სირთულეებს ყოფით დონეზე აღიქვამს. რეალურ, ობიექტურ შეფასებას კი დრო სჭირდება. ამიტომ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ შეფასების ემოციური, გრძნობითი და ობიექტური კრიტერიუმები.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. დაიწყო მიწებისა და ბინების პრივატიზაცია. უამრავი მიწა დარიგდა. მალე მთელ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ათეული სპეციალიზებული

მეურნეობა დარჩება, დანარჩენი მიწა კი კერძო ფერმერების ხელში გადავა.

ამ შემთხვევაში, რეფორმის შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს ის რეალური შედეგი, რომელიც პრაქტიკულად, მხოლოდ მომავალში თუ შეგვიძლია დავინახოთ.

— მისთვის ჩვეული უნდობლობით ხომ არ შეხვდა ჩვენი გლეხობა მიწის პრივატიზაციას? შეუძლებელია ადამიანს მიწა მისცე და ის უარზე იყოს. ეს აბსურდია ეკონომიკური თვალსაზრისით!

თუმცა ასეთ ფაქტებსაც ვხვდებით.

— არა მგონია ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ დღეს დარიგებულ მიწებს რომელიმე ხელისუფლება გლეხობას ხვალ ისევ წაართმევს. გლეხის მოტყუება იოლი როდია. ყველამ იცის, რა ხდება მსოფლიოში, საითკენ მიდის ცივილიზაცია და მით უმეტეს, ეკონომიკური ცხოვრება. ამიტომაც, შიში, რომ ამ მიწებზე ხვალ რომელიმე ხელისუფლება გამოთქვამს პრეტენზიას, უსაფუძვლოა. სხვა საკითხია, რომ გლეხს უჭირს მიწის დამუშავებაც. მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას უამრავი პრობლემა ახლავს თან, მაგრამ მთავარია ის, რომ პროცესის შედეგად ჩნდება მესაკუთრე, მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონი, რომელიც გარკვეული ქონების მფლობელია. ნაჩუქარ ქონებაზე კი უარს არავინ ამბობს.

როდესაც მიწის მესაკუთრეს სურს მიწის რაციონალური გამოყენება, რათა იგი უქმად არ მოცდეს, მაშინ მას იმის პრეტენზიაც უჩნდება, რომ იყოს ტექნიკითა და მინერალური სასუქებით მომარაგების შესაძლებლობა, მიიღოს შეღავათიანი კრედიტები, და, საბოლოო ჯამში ჰქონდეს მიწის დამუშავების საშუალება. ეს სწორედაც რომ სამართლიანი პრეტენზიაა.

როგორც ცნობილია, ბინების პრივატიზაცია დაიწყო და ფაქტიურად, უკვე ყველა ბინა კერძო მფლობელობაშია გადაცემული. მოსახლეობა შეიძლება ჯერ ვერც კი გრძნობს, რომ იგი უკვე ბინათმფლობელია, რადგან ეს ასე უმტკივნეულოდ მოხდა. ბინების გაყიდვა, შეიძლება ფსიქოლოგიურად მომგებიანი ყოფილიყო, რადგან ადამიანი გაცილებით მეტად აფასებს შენაძენს, ვიდრე საჩუქარს, მაგრამ ამას თავისი უარყოფითი მხარეც ექნებოდა! მთელი სამეურნეო, ადმინისტრაციული და სამართლებრივი აპარატი დაიწყებდა ხელის მოთბობას. ამიტომ ბინების გაკერძოება ყველაზე ოპტიმალური ფორმით მოხდა.

— პრივატიზაციის გარდა კიდევ რა დადებით მომენტს ითვალისწინებს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა?

— ჩვენს ეკონომიკაში ძირეული ცვლილებები მოხდა. დაიწყო სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაცია, ცალკეული სამეურნეო სტრუქტურების დამოუკიდებლად გამოყოფა და მცირე და საშუალო

ფირმებად ჩამოყალიბება. სამინისტროების ნაწილი დაიშალა, იცვლება მათი ფუნქციები. ზოგიერთის ბაზაზე კონცერნები იქმნება. მოხდა ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. სახელმწიფო ვაჭრობა კომერციულ, კერძო ვაჭრობაზე გადადის. საერთოდ,. ვაჭრობა წარმოების პირველი გენერატორია. თუ იგი თავისუფალი არ იქნა, წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ფასების ლიბერალიზაცია, თუმცა იგი დასაწყისში მტკივნეულად მოქმედებს მოსახლეობაზე, თავისთავად მძლაერი ეკონომიკური ბერკეტია. სწორედ ფასების ლიბერალიზაციის შედეგად ყალიბდება ნორმალური თანაფარდობა საქონელგაცვლისას. თუ არ არსებობს ადეკვატური ფასი, მაშინ არც ნორმალური ეკონომიკა არსებობს. დამახინჯებული ფასი ყოველთვის ასევე დამახინჯებულ ეკონომიკურ ურთიერთობას იწვევს, რაც საბოლოო ანგარიშით ძირს უთხრის ეკონომიკას. ასე რომ, შეუქცევადი პროცესების დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ კმაყოფილი ვიყოთ ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობით. ამ პროცესის ნორმალურად წარმართვას ჯერჯერობით კვლავ ხელს უშლის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები (ობიექტურ ფაქტორში იგულისხმება პოლიტიკური დაძაბულობა, მყარი ხელისუფლებითი სტრუქტურების არქონა).

— ალბათ, მომავალ არჩევნებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული...

— არჩევნებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ემოქმედებთ, რათა არჩევნების შემდეგ მოსულ ხელისუფლებას ზოგი რამ გაკეთებული დავახვედროთ. რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, უპირველეს ყოვლისა ესაა კონსერვატიზმი. კონსერვატიზმი მოსახლეობის ცნობიერებაში, მართველობითი აპარატის ცნობიერებაში, სამინისტროებისა და უწყებების ცნობიერებაში და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებშიაც კი. არ შემიძლია დიდი გულისტკივილით არ ვთქვა, რომ ეკონომიკურ რეფორმაზე ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს ერთნაირი აზრიც კი არა აქვს. მე, როგორც პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, რომელსაც გარკვეულწილად პასუხისმგებლობა მეკისრება ეკონომიკური რეფორმის გამო, რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი წარმოდგენები; ეს წარმოდგენები სუბიექტური კი არ არის, არამედ ნაკარნახევია მსოფლიო ეკონომიკური ისტორიის გამოცდილებით, შეჯერებულია მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითით. მე არა ვარ იმპროვიზატორი და გამომგონებელი. ამავე დროს, მშვენივრად მესმის, რომ ყოვლგვარი სქემის ბრმად გადმოღება და დანერგვა ვოლუნტარიზმი და გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა. ჩვენთან არ არის ერთიანი გუნდი. ფაქტიურად

ეკონომიკური ეკლექტიზმია — თითქოს ყველას უნდა საბაზრო ეკონომიკა, მაგრამ ეს ტერმინი ყველას განსხვავებულად ესმის. შეხედულებათა ასეთი უპრინციპო ნარევი აფერხებს რეფორმებს და აშლიდ იკარგება დრო.

— რას გვეტყვით საბანკო საქმიანობის შესახებ?

— სამწუხაროა, რომ საქართველოში საბანკო რეფორმა არ დაწყებულა და ეკონომიკის ყველაზე ჩამორჩენილი სფეროც სწორედ ეს არის. საბანკო სტრუქტურები ალტერნატიულად ჩამოყალიბდა კომერციული ბანკების სახით. ეს უაღრესად დადებითი მოვლენაა, მაგრამ სრულიადაც არ არის ჩვენი ხელისუფლების დამსახურება. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს მიღებულმა საბანკო კანონებმა ბიძგი მისცა კომერციული ბანკების შექმნას. ფაქტიურად, კომერციული ბანკები ჩვენი ძალისხმევის გარეშე ჩამოყალიბდა, რაც მისასალმებელია, მაგრამ საბანკო რეფორმა, როგორც ასეთი, ჯერ არ დაწყებულა. საქართველოში უნდა არსებობდეს ორ იარუსიანი საბანკო სისტემა. უნდა მოქმედებდეს ეროვნული (ან ცენტრალური) ბანკი, რომელიც, ასე ვთქვათ, ბანკების ბანკი იქნება. იგი უნდა აწესრიგებდეს ბანკების საქმიანობას, ქმნიდეს ნორმატიულ ბაზას და კოორდინაციას უწევდეს საბანკო თამაშის წესს. აქედან გამომდინარე, ის თანაბრად უნდა უწყობდეს ხელს ყველა ბანკის საქმიანობას.

დღევანდელი საქართველოს საბანკო სისტემა უაღრესად არქაულია. არსებობს ერთი შეხედვით ცენტრალური ბანკის უფლებების მქონე ეროვნული ბანკი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, კომუნისტური დროის ტიპიური სახელმწიფო ბანკია. ფაქტიურად ცენტრალური ბანკის ფილიალია ხუთი სახელმწიფო ბანკი. საკრედიტო რესურსების ცენტრალიზება ხდება ეროვნული ბანკის მიერ, განსაკუთრებით, შემნახველი ბანკების ანგარიშზე არსებული რესურსებისა, შემდეგ კი ეს თანხები გადანაწილდება სახელმწიფო ბანკებზე ისე, რომ არ არსებობს ამ გადანაწილების ეკონომიკურად დასაბუთებული პრინციპები. უფრო მეტად, თანხა ნაწილდება იმის მიხედვით, თუ რომელ სახელმწიფო ბანკზე რომელი საწარმოა მიმაგრებული. უფრო ზუსტად, გადანაწილება ხდება იმ პრინციპით, თუ ხელისუფლება რომელ სფეროს, ან რომელ საწარმოს მიაქცევს მეტ ყურადღებას. უცნაური ისაა, რომ ფაქტობრივად ბანკის ფუნქციებს ასრულებს არა მხოლოდ ეროვნული ბანკი, არამედ თვით მთავრობაც. იგი განსაზღვრავს, მისცეს თუ არა ბანკმა სესხი რომელიმე საწარმოს, შემდეგ ავალებს ეროვნულ ბანკს, გამოუყოს თავისი ცენტრალიზებული სახსრებიდან კრედიტი იმ ბანკს, რომელზედაც ეს საწარმოა მიმაგრებული. ეს ყველაფერი ხდება სამთავრობო რეზოლუციის ან მთავრობის წარმომადგენელთა უშუალო მითითებითა და ხელმოწერით. საკრედიტო რესურსების განაწილება, მისი ხარჯვა სხვადასხვა

საჭიროებისათვის — იქნება ეს ნავთობპროდუქტების შეძენა თუ სურსათის შემოტანა, — ხდება სამთავრობო განკარგულების საფუძველზე. ამ ფონზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოში საკრედიტო სისტემამ უკანაც კი დაიხია რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით.

საქართველოში სასწრაფოდ უნდა გატარდეს საბანკო სისტემის რეფორმა. უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი კომერციული საბანკო ქსელი, ყველა ბანკი, განურჩევლად საკუთრების ფორმისა, უნდა იყოს კომერციული. ეროვნულ ბანკს უნდა დაეკისროს მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიულ-მარეგულირებელი ფუნქციები. ეს პროცესი რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს.

ბანკი ეკონომიკური ცხოვრების გულია, თუმცა დღემდე მას დიდ ყურადღებას ვერ ვაქცევდით, ახლა კი არ შეიძლება მაქსიმალური სიმკაცრით არ შევუდგეთ ამ სფეროში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებას.

ივლისი. 1992 წ.

ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ

1. ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება

ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობის ცალსახა შეფასება შეუძლებელია, ეს ნაწილობრივ რწმენის საკითხიც კი არის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საბოლოო ზღვრამდე. ვითარების ოპტიმისტური ან პესიმისტური შეფასება შეიძლება შევადაროთ ცნობილ ტესტს ჭიქაში სანახევროდ ჩასხმული წყლის შესახებ. ზოგიერთმა მას შეიძლება უწოდოს ნახევრად სავსე, ზოგიერთმა — ნახევრად ცარიელი. ეს დამოკიდებულია იმ ადამიანის ფსიქოლოგიურ განწყობზე, რომელიც ამ ჭიქას უყურებს.

ჩვენი საზოგადოების ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმას აღიქვამს როგორც ახალი, ჯანსაღი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს და მომავალს იმედის თვალით უყურებს. მეორე ნაწილს მდგომარეობა გამოუვალი ეჩვენება და ვერ ხედავს მისი გამოსწორების პერსპექტივას. ისეთ პირობებში, როცა ისტორიაში არ ყოფილა ანალოგი გეგმიანი ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო მეურნეობით შეცვლისა, როცა არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკით დადასტურებული კრიტერიუმები ამ პროცესის ობიექტურად შეფასებისა, რწმენის საკითხი, რეფორმებისადმი მხარდაჭერის საკითხი ერთ-ერთ არსებით ფუნქციას იძენს და შეიძლება გადაიქცეს პროცესების განვითარების მნიშვნელოვან უარყოფით ან დადებით ფაქტორად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად დაეცა, ხოლო წარმოების მოცულობა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასულ წელთან შედარებით, თითქმის 50 პროცენტით შემცირდა, თუ მოვლენებს განვიხილავთ არა ხანმოკლე, არამედ პერსპექტივის თვალთახედვით, ჩვენ გვჯერა, რომ ეკონომიკის მდგომარეობა მაინც არის არა როგორც ნახევრად ცარიელი, არამედ როგორც ნახევრად სავსე.

ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს არა მარტო ჩვენი სამეურნეო პოტენციალი და რეფორმის შეუქცევადი ხასიათი, არამედ ის ისტორიული ფონიც, რომელშიც ეს პროცესი მიმდინარეობს და რომელიც გასცდა ცალკეული ქვეყნების პრობლემათა სფეროს. ამ პროცესში, ფაქტობრივად, სამყაროს უდიდესი ნაწილია ჩართული, რომლის წარმატებით დასრულებითაც მთელი მსოფლიოა დაინტერესებული.

მოხსენება წაკითხულია საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ერთობლივ სხდომაზე 1992 წლის 27 იელისს.

სწორედ მაღალგანვითარებული ქვეყნების ხელშეწყობითა და საკუთარი ძალისხმევით მოხდება არსებული სისტემის შეცვლა.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ დადებით ტენდენციებს, რომლებიც სამომავლოდ ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, ამასთან ერთად, დღეს აუცილებელია ეკონომიკური მდგომარეობის უაღრესად რეალისტური, მაქსიმალურად ობიექტური შეფასება. წინაალმდეგ შემთხვევაში, შეგვექმნება მოვლენებზე ილუზორული წარმოდგენა, რაც გამოუსწორებელი შეცდომის ტოლფასია.

ეკონომიკური სიტუაცია მეტად არასახარბიელოა.

კრიზისმა მოიცვა მეურნეობის ყველა დარგი და მთელი სოციალური სფერო. როგორც გარეშე ფაქტორების ზემოქმედების, ასევე შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შედეგად, ეკონომიკა თითქმის მოშლილია.

კრიზისს აძლიერებს მწვავე კრიმინოგენული სიტუაცია, ტერორისტული აქტები და დივერსიები.

განსაკუთრებით საგანგაშო გახდა ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების რღვევის პროცესი, საფინანსო სფეროსა და ფულის მიმოქცევის სისტემის მოშლა. კიდევ უფრო შეიზღუდა სათბობენერგეტიკული და მატერიალური რესურსების მოწოდება მეზობელი ქვეყნებიდან, რის გამო მკვეთრად დაირღვა ელექტროენერგიის ბალანსი. ამას დაემატა გაზსადენის ბლოკადა ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან, რკინიგზის მუშაობის ხშირი პარალიზება ქვეყნის შიგნით, აგრეთვე ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების მკვეთრი ზრდა, რის გამოც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

აღნიშნულ ფაქტორთა ზეგავლენით ბევრი სამრეწველო საწარმო გაჩერდა. საწვავის, სათადარიგო ნაწილების, შხამქიმიკატების და თესლის უკმარისობამ შეაფერხა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც, რამაც საგრძნობლად შეუშალა ხელი ქვეყნის გარედან შემოსატანი მატერიალური და სასურსათო რესურსების სანაცვლოდ საჭირო გასაცვლელი პროდუქციის წარმოებას.

ხელიდან იქნა გაშვებული ის მომენტი, როდესაც შედარებით უმტკივნეულოდ შეგვეძლო რეფორმის დაწყება.

ამჟამად ორი მიმართულებით გვიხდება მოქმედება: ჯერ ერთი, აუცილებელია შეჩერებულ იქნეს წარმოების კატასტროფული დაცემა, მეორეც, გაგრძელდეს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი და განხორციელდეს მეურნეობის სტრუქტურული მოდერნიზაცია. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გამოიწვევს წარმოების დაცემის ტენდენციის გაძლიერებას, რის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდება დამატებით გზების გამონახვა, უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის ჩათვლით.

ამასთან, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, რომელ

დარგებშია შესაძლებელი წარმოების მოცულობის შემცირების თავიდან აცილება, რომელ სფეროში უნდა მოხდეს იგი განსაზღვრული ოდენობით და რომელში არის დაუშვებელი ასეთი შემცირება.

ამ ეტაპზე ერთი რამ ცალსახად ნათელია: დაუშვებელია წარმოების შემდგომი შემცირება სამომხმარებლო პროდუქციის მწარმოებელი დარგების უმეტეს ნაწილში. ამ დარგებში პირვანდელი მასშტაბის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანაში სტაბილური გახდება პოლიტიკური ვითარება, აღდგება ტრადიციული ეკონომიკური კავშირები და ოპტიმალურად იქნება გამოყენებული ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებადი ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სივრცე. პარალელურად კი აუცილებელია დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება და დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალის მოზიდვა.

ეკონომიკის გამოცოცხლება დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე იმაზე, იქნება თუ არა მკაცრად დაცული ეკონომიკური რეფორმის აპრობირებული მოთხოვნები და პოლიტიკური, სოციალური ან სხვა სახის კონიუნქტურა (რაც სამწუხაროდ უკვე შეიმჩნევა) თუ არ მისცემს მას პოპულისტურ სახეს, არასწორ მიმართულებას, რასაც საბოლოო ანგარიშით ეკონომიკის ქრონიკული კრიზისი შეიძლება მოჰყვეს.

2. ნახევარი წლის ძირითადი სამეურნეო შედეგები

საქართველოში სამრეწველო წარმოების მოცულობამ მოქმედი საბითუმო ფასებით 1992 წლის იანვარ-ივნისში 28,4 მილიარდი მანეთი შეადგინა. წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესადარი ფასებით 28,2 მლრდ მანეთით ანუ 47,4%-ით შემცირდა.

რესპუბლიკის 29 სამინისტროდან და უწყებიდან 26-ში აღინიშნება წარმოების მოცულობის შემცირება, მათ შორის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 17,9 მლრდ. მანეთით ანუ 52,7%-ით, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი – 60 მლრდ. მანეთით (48,4%), არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსი – 0,97 მლრდ. მანეთით (51%).

1992 წლის I ნახევარში მომხმარებლისათვის მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობამ მრეწველობაში 1381,6 მლნ. მანეთი შეადგინა, მათ შორის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში – 1082,2 მლნ.მანეთი (მთელი მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობის 78,3%), არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსი– 159,4 მლნ მანეთი (11,5%), მატერიალური რესურსების სამინისტროსი –

73,9 მლნ. მანეთი (5,3%), კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს – 28,1 მლნ. მანეთი (2,1%).

78 სახეობის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციიდან ნატურალური გამოხატულებით 1992 წ. I ნახევარში 65 სახეობის მიხედვით აღინიშნა წარმოების შემცირება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 333 ათასი ტონით ანუ 79,1%-ით შემცირდა ქვანახშირის მოპოვება. 1,8 მლრდ. კუბური მეტრით (22,5 %-ით) – თანამდევი გაზის, 19,8 ათასი ტონით (21,1 %) – ნავთობის, 802 მლნ. კვტ. საათით (12,2 %-ით) – ელექტროენერგიის წარმოება. 265,0 ათასი ტონით (50,0 %) – ფოლადის გამოდნობა, 14,3 ათასი ტონით (86,6 %) – კაპროლაქტამის წარმოება, 9068 ათასი კვადრატული მეტრით (85,7 %) – მსუბუქი სახურავი მასალის და იზოლის, 146,1 ათასი ტონით (75,6 %) – საავტომობილო ბენზინის, 202 ათასი ტონით (74,5 %) – დიზელის საწვავის, 303,8 ათასი ტონით (72,6 %) – საწვავი მაზუთის, 888 ცალით (72,8 %) – დიზელის ძრავიანი სატვირთო ავტომობილების, 642 ცალით (70,5 %) – მისაბმელების და ნახევარმისაბმელების, 161,7 ათასი ტონით (64,1 %) – ცემენტის, 42,9 ათასი ტონით (64.1%) – მინერალური სასუქების, (100% მასაზრდოებელ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) 150,1 ათასი ტონით (53,7%) – თუჯის, 128,2 ათასი ტონით (52,1%) – ფოლადის მილების, 10 ცალით (41,3%) – მაგისტრალური ელმავლების და სხვა.

სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობა 1992 წლის I ნახევარში გასული წლის შესაბამისი პერიოდის რიცხოვნობის 83,6 %-ს შეადგენს და 53,2 ათასი კაცით შემცირდა. მრეწველობაში ერთი მუშაკის გამომუშავება 115,4 ათას მანეთს შეადგენს, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 37,1 %-ით ნაკლებია.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოებულია 20,1 ათასი ტონა ხორცი (გასული წლის დონის 67,2 %), რძე – 45,0 ათასი ტონა (45,5 %), კვერცხი – 66,4 მლნ. ცალი (34,6 %), ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წელადობამ 395 კგ. შეადგინა (გასულ წელს 745 კგ.).

1992 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე ამოქმედდა 141,2 მლნ. მანეთის ძირითადი ფონდები, მათ შორის, მეორე კვარტალში – 127,8 მლნ. მანეთისა ანუ 114, 4 მლნ. მანეთით მეტი პირველ კვარტალთან შედარებით.

ექვს თვეში ათვისებულია 1476,2 მლნ. მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები, მათ შორის მეორე კვარტალში – 1338,6 მლნ. მანეთის, რაც 9-ჯერ მეტია პირველი კვარტლის შესაბამის მაჩვენებელზე; ივნისში კი – 689,0 მლნ. მანეთის ცენტრალიზებული

კაპიტალური დაბანდებები ანუ მაისთან შედარებით – 2,2-ჯერ მეტი. სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების წლიური მაჩვენებელი 6 თვეში შესრულებულია 17,2 პროცენტით.

1992 წ. იანვარ-ივნისში საერთო სარგებლობის რკინიგზის ტრანსპორტით გადატანილია 3546,9 ათასი ტონა ტვირთი, რაც 3-ჯერ ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდში გადატანილი ტვირთის მოცულობაზე. იანვარ-მაისში გადაყვანილია 3200,6 ათასი კაცი, ანუ 31%-ით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს. მგზავრთბრუნვამ შეადგინა 417 მლნ. მგზავრკილომეტრი, რაც დავალების 90,7 %-ია, და თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება გასული წლის ხუთი თვის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რესპუბლიკის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით 1992 წ. იანვარ-მაისში გადატანილ იქნა 4538 ათასი ტონა ტვირთი. 1991 წ. ხუთ თვესთან შედარებით ტვირთის გადატანა შემცირდა 10,4-ჯერ. ტვირთბრუნვამ შეადგინა 72,5 მლნ. ტონაკილომეტრი ანუ 9,2-ჯერ ნაკლები, ვიდრე გასულ წელს.

ხუთ თვეში საერთო სარგებლობის ავტობუსებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 26667 ათასი კაცი, მგზავრთბრუნვამ – 422,9 მლნ. მგზავრკილომეტრი. ეს მაჩვენებლები გასული წლის ხუთ თვესთან შედარებით შემცირდა, შესაბამისად 10-ჯერ და 7-ჯერ.

ავტობუსით და მსუბუქი ტაქსით მგზავრთა გადაყვანიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 86,1 მლნ. მანეთი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ 1992 წ. პირველ ნახევარში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტვირთის გაგზავნა შეამცირა 45 %-ით, ხოლო ფოსტის გაგზავნა – 7,1-ჯერ. ექვს თვეში ტვირთბრუნვის მოცულობა გასული წლის ექვს თვესთან შედარებით 43,5 %-ით შემცირდა.

საავიაციო ტრანსპორტით გადაყვანილ იქნა 391,2 ათასი კაცი და შესრულდა 717,2 მლნ. მგზავრკილომეტრი. ეს მაჩვენებლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა შესაბამისად 2,7-ჯერ და 2,8-ჯერ.

ეკონომიკაში არსებული სერიოზული სიძნელეების შედეგად უკიდურესად გაუარესდა რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მკვეთრად იკლო მოგების მოცულობამ, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სერიოზული ჩამორჩენა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში.

მიმდინარე წლის 6 თვეში რესპუბლიკაში ნაღდი ფულის საკასო ბრუნვის შემოსავლებმა 7,3 მლრდ. მანეთი შეადგინა, რაც გათვალისწინებულის 84,9 პროცენტია და გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 13,3 %-ით. რესპუბლიკა ვერ ღებულობს გათვალისწინებულ შემოსავლებს საცალო

ვაჭრობიდან (სავაჭრო ამონაგები 5,2 მლრდ. მანეთი, ანუ გათვალისწინებულის 73,2 პროცენტია), რადგან საქონელბრუნვის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (შესადარი ფასებით) 75,7 %-ით შემცირდა. შემცირდა შემოსავალი ტრანსპორტიდან, სანახაობითი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან და სხვა.

საანალიზო პერიოდში ნაღდი ფულის საკასო ბრუნვის ხარჯები 10,4 მლრდ. მანეთია, რაც 8,8 პროცენტით ნაკლებია გათვალისწინებულზე და 42,5 პროცენტით სჭარბობს მის შემოსავლებს. რესპუბლიკის მოსახლეობას ხელფასის და ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საზღაურის სახით ჯერ კიდევ არ მიუღია 748,0 მლნ. მანეთზე მეტი კუთვნილი თანხა.

3. ეკონომიკური რეფორმის სცენარი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში ითვალისწინებდა შემდეგი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით მოქმედებას:

ა) ეკონომიკის დერეგულირება, ადმინისტრაციული შეზღუდვების მოხსნა ფასებზე, სამეურნეო კავშირებზე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე; თავისუფალი ვაჭრობის განვითარება არსებული ბიუროკრატიული გამანაწილებელი სისტემის სანაცვლოდ.

ბ) ფინანსებისა და ფულადი სისტემის სტაბილიზაცია, რომელმაც უნდა შექმნას საქმიანი აქტივობის სტიმულირების ძირითადი წანამძღვრები.

გ) პრივატიზაცია, მეწარმეობის განვითარება, ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანი საბაზრო მეურნეობის ინსტიტუციონალური წანამძღვრების შექმნა.

დ) ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, მსოფლიო ბაზარზე საკუთარი წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო მეურნეობაში.

ე) დემონოპოლიზაცია და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა.

ვ) აქტიური სოციალური პოლიტიკა მოსახლეობის ახალ პირობებთან შეგუების მიზნით;

საბაზრო ეკონომიკის ფორმირება გულისხმობს ერთდროულ მოქმედებას ყველა ზემოჩამოთვლილი მიმართულებით.

საქართველოში ეს პროცესები დაწყებულია უკლებლივ ყველა მიმართულებით. ზოგი მათგანი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ზოგიც — ნაკლებით. ამასთან, თითოეული მიმართულება ხასიათდება თავისი ბუნებრივი ტემპით და განსხვავებული ხანგრძლივობით.

მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის სცენარი მოიცავს რამდენიმე ძირითად საწყის პროცესს, აქედან გადამწყვეტი მნიშვნელობის მიმართულებებია: პირველი – ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ფულადი სისტემის სტაბილიზაცია და მეორე – ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა.

ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ფულადი სისტემის სტაბილიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს საქმიანი აქტივობისა და მისი სწორად ორიენტაციის პირველ წანამძღვარს.

ლიბერალიზაცია გზას უხსნის მეწარმეობას და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმის ფორმირებას. საფინანსო და ფულადი სისტემის სტაბილიზაცია კი აძლიერებს ეკონომიკურ სტიმულებს.

ამასთან, ეს პროცესები თავისთავად არ ქმნიან საბაზრო ეკონომიკის განვითარების იმპულსებს. ისინი აყალიბებენ მათი წარმოქმნისათვის აუცილებელ პირობებს. რაც შეეხება საბაზრო მეურნეობის ძირითად მამოძრავებელ ძალებს – ეს არის კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მეწარმეობა და თავისუფალი კონკურენცია. პრივატიზაცია და სხვა სახის ინსტიტუციონალური ცვლილებები აუცილებელია, რათა ეს ძალები ამოქმედდეს.

რეფორმის მეორე არსებითი ფაქტორია ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მისი საშუალებით უნდა მოხდეს წარმოების სტრუქტურაში არსებული დეფორმაციების შეცვლა და მისი შეგუება მოთხოვნის სტრუქტურასთან.

საწყის ეტაპზე წარმოების დანახარჯებისა და ფასების სტრუქტურის ცვლილება და ფასების ლიბერალიზაცია გადამწყვეტ ზემოქმედებას მოახდენს წარმოების სტრუქტურულ ცვლილებაზე. თავდაპირველად ამ ზემოქმედებას ექნება უარყოფითი ხასიათი, რადგან გამოიწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას. მაგრამ ამ პროცესების თავიდან მთლიანად აცილება შეუძლებელია. იგი აუცილებელიც კი არის გარკვეული ზომით, რათა შეიქმნას ნიადაგი ეფექტიანი კაპიტალდაბანდებებისა და შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის წანამძღვრების შესაქმნელად.

სტრუქტურული გარდაქმნის პირველ ეტაპზე თანდათანობით მოხდება არაეფექტიანი წარმოების შეკვეცა. შემდგომ ფაზაში, როცა უკვე შეიქმნება ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი, სწრაფად განვითარდება პერსპექტიული ახალი სტრუქტურის წარმომქმნელი დარგები. სწორედ ამ ფაზით უნდა დაიწყოს ეკონომიკური ზრდის ტემპის მატება.

რაც შეეხება უშუალოდ ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობას, დასასრულს უახლოვდება მისი განხორციელების წინა, მოსამზადებელი სამუშაოები. ჩამოყალიბდა მისი უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები. უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური

კრიზისის პირობებში, საერთო არასტაბილურობისა და არსებული ინტეგრაციული კავშირების რღვევის მიუხედავად, დაისახა და განხორციელდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, როგორიცაა მიწისა და საცხოვრებელი ბინების გაკერძოება, ფასების ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის შემოღება. გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სამეურნეო კომპლექსის დემონოპოლიზაციისა და წარმოების მართვის დეცენტრალიზაციის მიმართულებით.

ყოველივე ამის შედეგად, შეუქცევად ხასიათს იძენს საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება, რასაც განსაკუთრებულად უწყობს ხელს საგარეო კავშირ-ურთიერთობების განვითარებაში დასახული პროგრესული ტენდენციები.

ამავე დროს ეკონომიკური რეფორმის მსვლელობა დიდი ხარვეზებითა და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს.

ქვემოთ საუბარი გვექნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის ძირითად მომენტებზე.

4. საფინანსო პოლიტიკა

ეკონომიკური სტაბილიზაციის დასახული მიზნის მისაღწევად, ინფლაციის შესამცირებლად აუცილებელი იყო საფინანსო პოლიტიკის გამკაცრება. მნიშვნელოვანი ზომები უნდა გაგვეტარებინა ფულადი და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში.

ჩვენ ვვარაუდობდით მიგვეღო მეტნაკლებად დაბალანსებული ბიუჯეტი. როგორც წლის პირველი ნახევრის შედეგები და საპროგნოზო გაანგარიშებები გვიჩვენებენ, ბიუჯეტის დეფიციტი – დაგეგმილზე გაცილებით უფრო დიდი იქნება. ამ მოვლენის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დამატებითი სერიოზული ზომების მიღება.

მიმდინარე წლის 6 თვეში, წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შესრულდა 48,8 პროცენტით, ნაცვლად 8,1 მლრდ. მანეთისა შემოვიდა მხოლოდ 3,9 მლრდ. მანეთი. ამ პერიოდში ბიუჯეტის ხარჯები 6,6 მლრდ. მანეთია, დეფიციტი 2,7 მლრდ. მანეთს აღწევს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება წარმოების მკვეთრმა დაცემამ განაპირობა. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საწარმოთა საფინანსო მდგომარეობაზე. მიმდინარე წლის ხუთ თვეში მათ მიერ მიღებულმა მოგებამ (პოლიტიკურად არასტაბილური რაიონების გამოკლებით) დაახლოებით 700 მლნ. მანეთი ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (რომელიც 23 მლრდ. მანეთის ოდენობით იყო გათვალისწინებული) მხოლოდ 3 პროცენტი

შეადგინა. განვლილ ხუთ თვეში საწარმოების ზარალის თანხამ ამ პერიოდში მიღებული მოგების თითქმის მესამედი შეადგინა.

რა თქმა უნდა, საწარმოთა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა საანგარიშსწორებო დისციპლინაზე. მიმწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა 1 ივნისის მდგომარეობით 11,8 მლრდ მანეთი იყო. გარდა ამისა, დიდი რაოდენობის გაუნაღდებელი ანგარიშები ირიცხება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ მომხმარებლებზე. მარტო ზესტაფონის ფეროშანადნობთა ქარხანას საქართველოს გარეთ ერიცხება გაუნაღდებელი ანგარიშები 2 მილიარდი მანეთის ოდენობით. თბილისში განლაგებულ საწარმოებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მომხმარებლებისაგან ერგება 3 მილიარდ მანეთზე მეტი. საერთოდ, საქართველოს საწარმოთა ანგარიშების განაღდების შემთხვევაში რესპუბლიკის ბიუჯეტი მიიღებდა რამდენიმე მილიარდ მანეთს.

მნიშვნელოვანი თანხები დააკლდა სახელმწიფო ბიუჯეტს იმის გამო, რომ საწარმოებში ირიცხებოდა დიდი რაოდენობის მზა პროდუქციის არარეალიზებული ნაშთები. მაგალითად, ღვინის ქარხნებში ღვინისა და ღვინომასალების ნაშთებმა 24 მილიონი დეკალიტრი, ხოლო კონიაკის ნაშთებმა 1 მილიონ დეკალიტრზე მეტი შეადგინა, რაც დაახლოებით 7 მლრდ მანეთს შეადგენს. ამ პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში ბიუჯეტი 4,5 მლრდ მანეთს მიიღებდა დამატებული ღირებულების გადასახადის, მოგების გადასახადისა და აქციზების სახით.

ანალოგიური მდგომარეობაა არარეალიზებული ჩაის შემთხვევაშიც, დაფასოებული ჩაის ნაშთები 2500 ტონას, ხოლო დაფასოებული ჩაის არარეალიზებული ნაშთები 30 ათას ტონაზე მეტს შეადგენდა. ამ პროდუქციის რეალიზაციიდან ბიუჯეტი 3 მლრდ მანეთს მიიღებდა.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა მძიმე მრეწველობის დარგში. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ განვლილ პერიოდში აწარმოა 301,9 მილიონი მანეთის პროდუქცია, რომელიც დღემდე არაა რეალიზებული.

ბიუჯეტის შემოსავლების დანაკარგებს აგრეთვე განაპირობებს საგადასახადო პოლიტიკაში არსებული ნაკლოვანებები, გადამხდელთა ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა, მათი კვალიფიკაციის დაბალი დონე. როგორც შემოწმებით ირკვევა, საწარმოთა თითქმის 80 პროცენტში გამოვლინდა მოგების და დასაბეგრი სხვა შემოსავლების დამალვის ფაქტები. განვლილ პერიოდში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გამოვლინდა და დარიცხულია დამალული შემოსავლები დაახლოებით 400 მილიონი მანეთის ოდენობით. ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენისას, სრულად არ იქნა გათვალისწინებული ეკონომიკაში შექმნილი

სიტუაცია და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები. მოგების გადასახადის საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრისას ყურადღება არ მიექცა საგადასახადო შეღავათების არსებობას, მიმდინარე წლის 1 კვარტალ'ში მიღებულ შედეგებს, საევალუტო ფონდის შექმნის თაობაზე მოქმედი სისტემით საევალუტო ამონაგების გადასახადებში ჩათვლის წესს. აღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობამ განაპირობა მოგების გადასახადის მილიარდ მანეთზე მეტი ოდენობით დაგეგმვა. რეალურზე გაცილებით მეტია დაგეგმილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აფასების შედეგად მიღებული შემოსავლები (300 მლნ. მანეთით მეტი), სახელმწიფო ბაჟი (150 მილიონი მანეთით მეტი), შემოსავლები სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მობილიზაციის საქმე'ში დიდია ახლადშექმნილი სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის როლი.

საგადასახადო ინსპექცია ამჟამინდელი კადრებით და მუშაობის სტილით ვერ უპასუხებს მასზე დაკისრებულ მოთხოვნებს. ხ'შირია ინსპექციის მუშაკთა მიერ შემოსავლების დამალვის ხელშეწყობის შემთხვევები. აუცილებელია ინსპექციის დაკომპლექტება კვალიფიციური და პატიოსანი კადრებით.

საგადასახადო რეფორმის განხორციელება და გადამხდელებზე სათანადო კონტროლის დაწესება მოითხოვს ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კომპიუტერული სისტემის დანერგვას, ინსპექციის მუშაკთა პასუხისმგებლობის გაზრდას. შემოსავლების დამალეისა და გადასახადებისაგან თავის არიდების ტენდენცია მოითხოვს ამ სამსახურის უფლებების გაფართოებას და მათი დაცულობის უზრუნველყოფას. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, მძლავრი სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შექმნა გამართლებულია არა მარტო იმით, რომ მან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის თანხების მობილიზაცია, საგადასახადო კანონმდებლობის სრული დაცვა უწყვეტრივი მეურვეობის გარეშე, არამედ გარკვეული ზემოქმედებაც უნდა მოახდინოს რეალური, დაბალანსებული ბიუჯეტის ფორმირების პროცესზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ფინანსთა სამინისტრომ უნდა იკისროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია მაკროეკონომიკის სფეროში. სამწუხაროდ, დღეისათვის ამ სამინისტროს როლი მხოლოდ ვიწროსაბიუჯეტო საკითხების ტექნიკური მოგვარებით ამოიწურება და თითქმის უმნიშვნელო როლს თამაშობს ეკონომიკის სტაბილიზაციაში. დღემდე მეთოდოლოგიურ დონეზეც კი არ არის გარკვეული სახელმწიფოს შიდა და საგარეო ვალის გაფორმების და მომსახურების საკითხები, აგრეთვე ბიუჯეტის რეალური დეფიციტის პრობლემები და მრავალი სხვა საკითხი.

განსაკუთრებით საშურია ბიუჯეტის დეფიციტის შესწავლა და ამ საკითხში სწორი მიდგომების გამომუშავება.

ჩვენ ფაქტობრივად არ ვიცით, რამდენია ჩვენი ბიუჯეტის რეალური დეფიციტი. მთავრობის მიერ გაწეულია ისეთი სახის ხარჯები, რომლებიც ძველი საბიუჯეტო მეთოდიკით, დღემდე არ არი შეტანილი საბიუჯეტო მაჩვენებლებში. გაუთვალისწინებელია ბიუჯეტის გარე არსებული ფონდების (სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, დასაქმების ფონდი) არასაბიუჯეტო ხარჯები და ისეთი სამთავრობო ხარჯები, რომლებიც დაფარულია საბანკო კრედიტების საშუალებით.

მთავრობის მიერ საწარმოებზე გაცემული სესხები, მაშინ როცა არ არსებობს ანგარიშსწორების წესი მთავრობასა და საწარმოებს შორის, წარმოადგენს ფარულ სუბსიდიებს და იგი ყველგან, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს ემატება.

ამიტომ, ჩვენი ბიუჯეტი გაცილებით უფრო დაუბალანსებელია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. საბიუჯეტო მოწყობის რეორგანიზაციის პროექტი სასწრაფოდ არის შესამუშავებელი, რადგან უკვე დღეიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენაზე.

ახლავე უნდა გატარდეს მკაცრი ზომები საბიუჯეტო ხარჯების შეზღუდვისათვის. თანდათანობით უნდა შემცირდეს არაეფექტიანი საწარმოების დაფინანსება და იგი განხორციელდეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში.

დამატებითი ზომები უნდა იქნეს გატარებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდისათვის.

უნდა გაძლიერდეს საბიუჯეტო კონტროლო სამი ძირითადი მიმართულებით: პირველი — განხორციელდეს მკაცრი სეკვესტრირების პრინციპი, ე.ი ხარჯები შეზღუდული უნდა იქნეს შემოსავლების ოდენობით. მეორე — მთავრობამ არ უნდა შექმნას ახალი არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები, ხოლო ზოგიერთი უკვე არსებული უნდა იქნეს გათვალისწინებული კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, და მესამე — მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა მიიღონ ზომები, რათა რაც შეიძლება მინიმალურ დონეზე დაიყვანონ საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსება საბანკო კრედიტების ხარჯზე.

ახალი საბიუჯეტო პოლიტიკის გამომუშავებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაბეგვრის სისტემის სწორ ორგანიზებას.

საგადასახადო პოლიტიკამ ამ ეტაპზე უნდა გადაჭრას ორი ურთიერთდაკავშირებული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანა: პირველი — ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფა და ინფლაციის შეჩერება, და მეორე — საქმიანი აქტივობის გამოცოცხლება, წარმოებისა და ვაჭრობის სფეროების ხელშეწყობა.

კრიზისული განვითარების ეტაპზე, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ პირველ ამოცანას. ჩვენ ამ ამოცანის გადაჭრა გვიხდება წარმოების მკვეთრად დაცემისა და საგადასახადო შემოსავლების შემცირებული ბაზის პირობებში.

ამასთან, ასეთ ვითარებაში აუცილებელია გადასახადების მოცულობისადმი განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომა, რადგან არსებობს გადასახადების ზრდის ობიექტური, კრიტიკული ზღვარი, რომლის გადამეტება იწვევს უკუპროცესს და ამცირებს შემოსავლებს, საგადასახადო ბაზის შეზღუდვის, შემოსავლების დამალვისა და დაბეგვრისაგან თავის არიდების გამო.

სწორედ ასეთი სცენარით განვითარდა ჩვენთან მოვლენები, როცა თავდაპირველად არასწორად დაიგეგმა ბიუჯეტი და შესაბამისად მისი დაბალანსების ერთადერთ გზად მომატებული საგადასახადო განაკვეთები იქნა აღებული. განსაკუთრებით ეხება ეს დამატებული ღირებულების გადასახადის ოდენობას, რომელიც უკანასკნელ ხანებში საქმიანი წრეების განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გადასახადია და მისი შემოღება ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

ამასთან ერთად, საესებით გასაგებია ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გამოიწვია ამ გადასახადის განაკვეთის ოდენობამ მეწარმეებში. იგი მართლაც დიდია და ხშირ შემთხვევაში იწვევს უარყოფით შედეგებს.

ნორმალურად ფუნქციონირებად ეკონომიკაში ამ ტიპის გადასახადის მაღალი დონე სულაც არ უშლის ხელს მეწარმეობის განვითარებას. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის განაკვეთი, მაგალითად, ავსტრიაში არის 20%, დანიაში — 22, ისლანდიაში — 24, ნორვეგიაში — 20, საფრანგეთში — 18,6, ფინეთში — 20,5, გერმანიაში — 14, ჰოლანდიაში — 18,5, პორტუგალიაში — 17%. არსებობენ ქვეყნები, სადაც დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი შედარებით დაბალია, მაგალითად, ესპანეთში იგი არის 12%, ახალ ზელანდიაში — 12,5, ბულგარეთში — 10, ლუქსემბურგში — 12%. არის ქვეყნები, სადაც გადასახადი დაწესებულია შემცირებული და გადიდებული კურსის სახით. მაგალითად თურქეთში არის 5-8, და 12%, შვეიცარიაში 12,9 და 25%, იტალიაში 9 და 19%, საბერძნეთში 8 და 18%, ირლანდიაში — 10 და 25%.

ჩვენს პირობებში, როცა პირველად შემოდის ასეთი რთული სახის გადასახადი, თანაც მეტად მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში, 28 - პროცენტიანი განაკვეთი მეტისმეტად მაღალია და საჭიროა მისი შემცირება. ამასთან, ვინაიდან იგი ახალი შემოღებულია და რთულია

მისი ამოღების პროცედურა, აგრეთვე ამ სახის შემოსავლებზე კონტროლის განხორციელება არაა ადვილი, სასურველია მოქმედებდეს ერთიანი განაკვეთი, ან უკიდურეს შემთხვევაში ორი: ერთი მინიმალური განაკვეთი – სასურსათო საქონელზე; მეორე მაღალი – დანარჩენ ყველა სახის ნაწარმზე.

საერთოდ, მომავალში შესამუშავებულია ახალი, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებული საგადასახადო პოლიტიკა.

5. ფულად – საკრედიტო პოლიტიკა

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის პირველ ეტაპზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინფლაციის შენელება, რაც დამოუკიდებელი ფულად – საკრედიტო და საფინანსო სისტემის შექმნამდე მეტად რთული განსახორციელებელია.

კრიზისმა ყველაზე მეტად ფულის მიმოქცევაში იჩინა თავი – მანეთის მყიდველობითი უნარის სისტემატიური შემცირება, ინფლაცია, ქრონიკული შეუსაბამობა მიმოქცევაში არსებულ ფულად მასასა და საქონელს შორის მეტად უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ისე თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

1992 წლის პირველი ივლისისათვის საქართველოში მიმოქცევაში იყო დაახლოებით 8,1 მლრდ. მანეთი. ეს გასული წლის ჩვენი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 34,5 პროცენტია. შედარებისათვის – ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმოქცევაში მყოფი ფულის საერთო ნომინალი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 4,82%-ს შეადგენს (1990 წლის მდგომარეობით). ამის გარდა, საქართველოს მოსახლეობას ამჟამად ხელზე აქვს დაახლოებით 6,7 მლრდ. მანეთი ნაღდი ფული (მიმდინარე შემოსავლების გარდა), რომელიც ფორმალურად მიმოქცევაში არ გადის, მაგრამ რეალურად "მთელი დატვირთვით" ემსახურება საქონელბრუნვის პროცესს, უპირატესად იმ საქონელბრუნვისას, რომელიც ჯერაც ჩრდილოვან ეკონომიკას წარმოადგენს.

მიმოქცევაში გაშვებული ფულის დიდი ნაწილი აღარ უბრუნდება საბანკო სისტემას. 1991 წელს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის საშუალო ბრუნვამ წელიწადში მხოლოდ 1,8 შეადგინა, ე.ი. ერთ ბრუნვას დასჭირდა 200 დღეზე მეტი (ეს იმ დროს, როდესაც ინკასაციის გარეშე დარჩენილი ფულადი სახსრების ბრუნვის სიჩქარე კომერციულ სტრუქტურებში დაახლოებით 3-6-ჯერ უფრო მაღალია). ფულის ბრუნვის სიჩქარე საქართველოში, მაგალითად, პოლონეთთან

შედარებით დაახლოებით 4-ჯერ, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით 6-ჯერ ნაკლებია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა ამ ეტაპზე ოყო მოქნილი საკრედიტო მექანიზმის ჩამოყალიბება. ფულის მასის დინამიკა ისე უნდა წარმართულიყო, რომ არ გამოეწვია არც მაღალი ინფლაცია, და არც წარმოების მნიშვნელოვანი დაცემა. ეს უნდა განხორციელებულიყო მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარების, ბანკთაშორისი დაკრედიტების განეითარების, არაეფექტიანი საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების შემცირების, საკრედიტო ემისიის მასშტაბის ოპტიმალურად მართვის გზით.

საქართველოს ეროვნულ ბანკს უკვე ამ ეტაპზე უნდა დაეწყო საკრედიტო ბაზრის დარეგულირება საბაზრო სისტემაში დამკვიდრებული ბერკეტებით და მეთოდებით.

ამ ამოცანის განხორციელება ვერ მოხერხდა.

საქართველოს საბანკო სისტემა დღემდე დრომოჭმული ინსტრუქციებითა და ნორმატიული აქტებით მუშაობს, რაც აფერხებს მიმდინარე რეფორმებს. აშკარაა კანონქვემდებარე აქტების, ნორმატიული და სხვა ინსტრუქციული მასალების დეფიციტი. აღნიშნული დოკუმენტები შექმნილი უნდა ყოფილიყო ეროვნული ბანკის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს, სხვა შესაბამისი უწყებებისა და აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ. ეს სამუშაო არ შესრულებულა, სათანადო მექანიზმის გარეშე კი ვერც ერთი კანონი ვერ იმუშავებს, ვერ გახდება პრაქტიკულად ქმედითი.

ამ მხრივ განსაკუთრებით ვალში არიან ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ისინი ფაქტობრივად უმოქმედოდ იმყოფებიან და დღემდე ვერ განუსაზღვრავთ თავიანთი ფუნქციები და ადგილი ეკონომიკური რეფორმების პროცესში.

ბოლო პერიოდამდე ეროვნული ბანკი საკრედიტო რესურსების გაანგარიშებისას ხელმძღვანელობდა საბჭოური მეთოდიკით და რამდენიმე თვის განმავლობაში აიძულებდა სპეციალიზებულ სახელმწიფო - კომერციულ ბანკებს ემუშავათ 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საკრედიტო დაბანდებათა ნაშთების ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ბანკები ამ ხნის განმავლობაში მუშაობდნენ რამდენიმეჯერ ნაკლები საკრედიტო რესურსებით, ვიდრე ამჟამად არის განსაზღვრული. ამ მიზეზით ბანკებმა ვერ შეძლეს დაეკრედიტებინათ მეურნეობისთვის, მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებები, რის გამოც ქვეყანაში ვერ შემოვიდა რამდენიმე მილიარდი მანეთის ღირებულების საქონელი, მათ შორის, კვების პროდუქტები.

გასული ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოში საკრედიტო დაბანდების მატებამ შეადგინა 21,4 მლრდ.მანეთი, აქედან

მთავრობის დავალებების საფუძველზე გაცემულია 14,5 მლრდ მანეთის სესხი, ანუ მთელი საკრედიტო დაბანდების 67,8%. ბიუჯეტის ხარჯების დასაკრედიტებლად გამოყოფილი იყო 2,6 მლრდ მანეთი. სახელმწიფო სპეციალიზებული და კომერციული ბანკების მიერ სათანადო მითითებების გარეშე გაცემული აღმოჩნდა მხოლოდ 4,3 მლრდ მანეთის სესხი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს დამოუკიდებელი საბანკო სისტემა და მინიმუმამდეა შეზღუდული სხვადასხვა საინვესტიციო და კომერციული საჭიროებისათვის სესხის მიღების შესაძლებლობა. ეს ბადებს ე.წ. "საკრედიტო შიმშილს", რაზეც შესაძლებელია კიდეეაც ხელს ითბობდეს საბანკო და არა მარტო საბანკო სფეროში დასაქმებული ზოგიერთი პირი.

საკრედიტო პოლიტიკის სერიოზული შეცდომა იყო თითქმის სრული პარალიზება ინვესტიციური პროცესისა, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორში. ამის მიზეზი არის არა მარტო ჰიპერინფლაცია და საწარმოთა ქრონიკული გადახდისუუნარობა, არამედ საკრედიტო დაბანდებათა ზემოთ აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა, როცა კომერციული სექტორი უფლებამოკლებულია მიიღოს სესხი კაპიტალდაბანდებისათვის.

ნახევარი წლის განმავლობაში სავსებით შესაძლებელი იყო შემუშავებულიყო დაკრედიტების, ანგარიშსწორების ახალი წესები, მაგრამ თავი ვერ მოება ამ საქმეს.

ეროვნული ბანკი ოპერატიული საქმიანობითაა დაკავებული. როგორც ჩანს, ამ მთავარ ბანკს (ფულად-საკრედიტო, საანგარიშსწორებო პოლიტიკის შემმუშავებელ ცენტრს) დიდი სურვილი აქვს ადმინისტრირების წესით ერეოდეს არა მარტო სახელმწიფო-კომერციული, არამედ კომერციული ბანკების საქმიანობაში, რაზეც მეტყველებს ეროვნული ბანკის მითითებების შინაარსი და ფორმაც კი.

ვერც ფულის ნიშნების დეფიციტის აღმოფხვრის ღონისძიებებია ბოლომდე მოფიქრებული. ნაცვლად იმისა, რომ შემოეთავაზებინა მსოფლიო საბანკო სისტემაში აპრობირებული მექანიზმები, ეროვნული ბანკი შემოიფარგლა მხოლოდ შემზღუდავი ღონისძიებებით, ხოლო სხვა ბანკები ჯერჯერობით ვერ გვთავაზობენ ანგარიშსწორების, სათამასუქო, აგრეთვე უნაღდო ანგარიშსწორების სხვა პროგრესული ფორმების დასანერგად წინადადებებსაც კი.

საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფო-კომერციული ბანკების სააქციო-კომერციულ ბანკებად გარდაქმნის პროცესი. ეს გათვალისწინებულია ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის პროგრამით, მაგრამ, ჩანს, როგორც ხელისუფლების ეშელონებში, ასევე თვით საბანკო სისტემაშიც არიან ძალები, რომლებსაც არ სურთ სახელმწიფო სპეცბანკების განსახელმწიფოებრიობა.

არასასურველი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფო-

კომერციული ბანკების შექმნისა და მათი ძლიერ სტრუქტურებად ჩამოყალიბების პროცესი, რაც ნაწილობრივ ეროვნული ბანკის არასწორი საკრედიტო პოლიტიკის შედეგიცაა.

1992 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოში იყო 64 კომერციული ბანკი თითქმის 400 მლნ. მანეთი საწესდებო კაპიტალით (შემნახველი კომერციული ბანკის გარდა). წლის დასაწყისთან შედარებით მათი რიცხვი 16 ერთეულით, ხოლო საწესდებო კაპიტალის მოცულობა 3-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ასეთი მატებისა, ეს სრულებითაც არ არის ბევრი. ფინეთში, მაგალითად, სადაც დაახლოებით იმდენი ადამიანი ცხოვრობს, რამდენიც საქართველოში, 4000 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს (რუსეთის ფედერაციაში, ამჟამად — 1500-მდე ბანკი). ფაქტობრივად, ჩვენი კომერციული ბანკები ფინანსურად ძალზე სუსტები არიან და რეალურ გავლენას ვერ ახდენენ საკრედიტო ბაზარზე. მათი საწესდებო კაპიტალის ერთობლივი მოცულობა იმდენად მცირეა, რომ იგი ერთი სოლიდური ბანკისათვისაც კი არ არის საკმარისი.

რესპუბლიკის შემნახველი ბანკები კვლავ რჩებიან მოსახლეობის ფინანსური რესურსების მონოპოლისტებად. ამ სისტემაში თავმოყრილია მოსახლეობის მიერ რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში განთავსებული ფულადი სახსრების 96,9% და მთელი ფულადი სახსრების 62,5%. დანარჩენ კომერციულ ბანკებზე მოდიოდა მხოლოდ 440 მლნ. მანეთის მოზიდული თანხა, რომელთაგან თითქმის ნახევარი გამოშვებული აქციების ღირებულება იყო.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა საანგარიშსწორებო საქმეში. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საანგარიშსწორებო ცენტრებით მომსახურებაზე გადასვლა განხორციელდა მოუმზადებლად, ბევრი რამ მეთოდურადაც გაურკვეველი იყო, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე. ამის გარდა, საკმაოდ სოლიდური თანხები დროულად არ ჩაერიცხა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა არამწარმოებლური ხარჯები, რომელიც მათთვის არავის აუნაზღაურებია.

ამჟამად მთელი სიმწვავით დგას ჩვენი საწარმოების რუსეთის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების საკითხი, ღრმად გასააზრებელია საკორესპონდენტო ანგარიშისა და სადებეტო სალდოს მეშვეობით ურთიერთობის საკითხი. რუსეთი გვთავაზობს თავისთვის ხელსაყრელ ვარიანტს, ჩვენ კი მას ვერაფერს ვუპირისპირებთ. აუცილებელია საბანკო და საფინანსო სფეროს სპეციალისტებმა შეიმუშაონ რუსეთსა და მანეთის ზონის სხვა სახელმწიფოებთან საანგარიშსწორებო პოლიტიკის ჩვენთვის მისაღები მრავალვარიანტული მექანიზმი.

ამასთან, ანგარიშსწორების მექანიზმის ჩვენეული ვარიანტი

ჩადებულ უნდა იქნეს იმ ეკონომიკურ ხელშეკრულებებში, რომელსაც ვდებთ ცალკეულ ქვეყნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მექანიზმის მიხედვით, რომელსაც გვთავაზობს რუსეთის ცენტრალური ბანკი, რუსეთის მხრიდან გარანტირებული გვექნება სრული დიქტატი, რადგან საქართველოს გაცილებით მეტი რესურსი შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის რუსეთიდან, ვიდრე გააქვს.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან სამანეთო ზონის ყველა ქვეყანასთან მკაცრი საკორესპონდენტო ურთიერთობა დაამყარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანამ რუსეთის ცენტრალურ ბანკში, ჩვენს ანგარიშზე არ იქნება ჩვენივე საქონლის გაყიდვით ან მომსახურებით შემოსული ან კრედიტით აღებული სახსრები, რუსეთი არ მოგვაწვდის თავის პროდუქციას.

რუსეთთან ანგარიშსწორების ახალ, ფაქტობრივად ე.წ. საკლირინგო ფორმაზე გადასვლის შედეგად, საქართველო, უახლოეს პერიოდში, შეიძლება აღმოჩნდეს უდიდესი პრობლემის წინაშე. რუსეთი თუ ამ პრინციპს გაატარებს (რაც მოკლე ვადაში ტექნიკურად ძალზე ძნელი განსახორციელებელი ექნებათ), მაშინ მას დიდი უპირატესობა ექნება, რადგან ასეთ პირობებში, რესპუბლიკები რუსეთის ტერიტორიაზე შეძლებენ იყიდონ საქონელი მხოლოდ იმ მანეთზე, რომელსაც ისინი რუსეთშივე მიიღებენ.

რუსეთის გადასვლა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან მკაცრ საკორესპონდენტო ურთიერთობებზე ფაქტობრივად ნიშნავს, რომ საბოლოოდ დაესვა წერტილი ერთიანი სამანეთო სივრცის შენარჩუნების მცდელობას. სახელმწიფოთა შორის ანგარიშსწორების ახალი სისტემის პირობებში, ფულის ღირებულების ცვლილება სხვადასხვა რესპუბლიკაში ძალზე სწრაფად წარიმართება, ხოლო რუსეთის მანეთი უკვე არ იქნება ტოლი ბელარუსში, ყაზახეთში, უკრაინაში ან საქართველოში არსებული მანეთისა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველგან ერთნაირი სახელწოდება ექნება.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რუსეთის ოფიციალური, ასევე არაოფიციალური წყაროებიდან ჩანს, ამჟამად სამანეთო სივრცის დაშლის ინიციატივა უკვე რუსეთს ეკუთვნის. მათ მიაჩნიათ, რომ სამანეთო სივრცის შენარჩუნება ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. განსაკუთრებით თვალში საცემია რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სამანეთო ზონიდან განდევნის მცდელობა მას შემდეგ, რაც უკრაინის ეროვნულმა ბანკმა ამ ერთი თვის წინ მიიღო გადაწყვეტილება გადაეცა თავისი ქვეყნის საწარმოებისათვის 300 მლრდ მანეთის კრედიტი ნედლეულისა და პროდუქციის შესასყიდად. თავის მხრივ, რუსეთმა უფრო ადრე დაარღვია ტაშკენტში ხელმოწერილი შეთანხმება. ეკონომიკის პრიორიტეტული

დარგების დასაფინანსებლად რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა 200 მლრდ მანეთის საკრედიტო ემისია, რაც არ შეუთანხმა სამანეთო სივრცის სხვა ქვეყნების არც ერთ ცენტრალურ ბანკს.

ამჟამად ზუსტად არავინ იცის, თუ რამდენია საკრედიტო ემისიის მოცულობა სამანეთო ზონის სხვადასხვა ქვეყნებში.

ყოველივე ზემოთქმულს კიდევ ერთხელ მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ეროვნული ფულის დროზე დაბეჭდვა. რაც შეეხება მის მიმოქცევაში გაშვებას, ამ საკითხში არც აჩქარება ვარგა და არც დაყოვნება. უნდა შევარჩიოთ ყველაზე ოპტიმალური დრო, ხოლო მანამდე მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამანეთო სივრცეში შექმნილი სპეციფიკური, გარკვეულწილად ხელსაყრელი პირობები.

თუმცა, არც იმის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რომ ფულის ნიშნების უქონლობის გამო საქართველოში ვერ ხერხდება ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, სხვადასხვა შემწეობების დროული გაცემა. ინფლაციის გამო დარიგების მომენტისათვის მათი რეალური მყიდველობითი უნარი, სულ ცოტა, 20 პროცენტით მაინც არის შემცირებული. ანალოგიური პრობლემა აქვს სამანეთო ზონის სხვა სახელმწიფოებსაც, მათ შორის რუსეთსაც, თუმცა გაცილებით ნაკლები სიმწვავით — რუსეთის ცენტრალური ბანკი ფულის ნიშნებით პირველ რიგში უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას და მხოლოდ ამის შემდეგ — დანარჩენ ქვეყნებს. რუსეთმა, რომელზეც მოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 52% და წარმოებული ეროვნული შემოსავლის 61%, თავისი წილი მანეთის საერთო ემისიაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაზარდა 80%-მდე.

საქართველოში ფულადი და საკრედიტო პოლიტიკა წლის მეორე ნახევარში უნდა გამკაცრდეს.

კრედიტების ნომინალური მოცულობის ზრდა უნდა მოხდეს იმ ტემპით, რომელიც შეესაბამება ინფლაციის ზრდისა და წმინდა სავალუტო რეზერვების მატების ტემპებს. ამან უნდა უზრუნველყოს დაკრედიტების ზრდის ისეთი ტემპი, რაც საკმარისი იქნება შემოსავლის შესაძლო კლების პირობებში საწარმოთა აუცილებელი ფინანსური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, ფასების ახალ სტრუქტურასთან და საბაზრო პირობებთან შეგუებისათვის.

საბანკო პოლიტიკაში საპროცენტო განაკვეთი უნდა იქცეს მთავარ ინდიკატორად და იგი უნდა არეგულირებდეს ფინანსური რესურსების დაბანდებას ეკონომიკაში. აუცილებელია, რომ საბანკო სისტემა გადავიდეს ძირითადად რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე.

უნდა მოიხსნას დისკრიმინაციული მიდგომა არასახელმწიფო, კომერციული ბანკების საქმიანობისადმი. საწარმოებსა და დარგებს შორის კრედიტების განაწილებისას კომერციული ბანკები თანაბარ

პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული სახელმწიფო ბანკებთან.

6. მოსახლეობის სოციალური დაცვა

1992 წლის პირველ ნახევარში საქართველოში საცალო ფასებისა და ტარიფების ზრდის ტემპმა 644 პროცენტი შეადგინა. მოსახლეობის ხარჯების საერთო მოცულობაში გაიზარდა ხარჯები სურსათზე. ამჟამად, სურსათზე იხარჯება მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლების 2/3, რაც თითქმის 25 პროცენტული პუნქტით აღემატება ორი წლის წინანდელ მაჩვენებელს. სურსათზე გაღებული ხარჯების ხვედრითი წილის ასეთი ზრდის მიუხედავად, კვების პროდუქტების აბსოლუტური მოხმარება (პურის ჩათვლით) და შესაბამისი კალორიულობა 20-40%-ით შემცირდა.

ანალოგიურად არის მდგომარეობა ფასიანი მომსახურების მიხედვით, რომელთა ტარიფები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 6,9-ჯერ გაიზარდა, მათ შორის სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი მომსახურება — თითქმის 13-ჯერ, სამგზავრო ტრანსპორტი — 9-ჯერ, ბავშვების შენახვა სკოლამდელ დაწესებულებებში — 8,7-ჯერ, საყოფაცხოვრებო მომსახურება — 8,3-ჯერ.

ფასებისა და ტარიფების ასეთი ზრდის ფონზე "მოკრძალებულად" გამოიყურება ხელფასების ზრდა, რომლის ტემპმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 370 პროცენტი შეადგინა (ამ მაჩვენებელ'ში არ არის გათვალისწინებული ხელფასის 30%-ით მატება 1 აგვისტოდან). ფასებისა და ხელფასების ზრდის ტემპებს შორის წარმოშობილი დისპროპორციის გამო, მუშა-მომსახურეთა საშუალო ხელფასის მყიდველობითი უნარი 1992 წლის ივნის'ში, გასული წლის მიწურულის დაახლოებით 60 პროცენტის დონეზეა, რომ არა პირად დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლები, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართვა კომერციულ საქმიანობაში, საზოგადოების დიდი ნაწილის გაღატაკება გარდაუვალი იქნებოდა.

აღნიშნული გარემოება სხვა მომენტსაც უსვამს ხაზს: შეიმჩნევა ხელფასის სოციალური როლის დაკნინების პროცესი, რომელიც ორ ასპექტში ვლინდება — ჯერ ერთი, მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლები სულ უფრო და უფრო ნაკლებ ხვედრით წილს იკავებენ ხელზე არსებულ ფულის მასასთან შედარებით (მაგალითად, 1992 წლის ივნის'ში ხელფასების სახით გაცემული თანხა მოსახლეობის ხელზე არსებული ფულის თანხასთან შედარებით შეადგენდა 24,4 პროცენტს, მაშინ როდესაც 1980 წელს — 207 პროცენტი, ხოლო 1961 წელს — 441 პროცენტი იყო); მეორეც, მცირდება მიმდინარე შემოსავლებში ხელფასის ხვედრითი წილი და პირიქით, იზრდება ასეთ

შემოსავლებში სამეწარმეო ხასიათის და სხვა სახის შემოსავლების ხვედრითი წილი.

ამასთან, სამომხმარებლო საქონელზე საცალო ფასები საქართველოში ჯერაც შედარებით დაბალია (დაახლოებით ერთი მეოთხედით, მათ შორის საცალო საქონელბრუნვის ქსელში – 40%-ით, საქალაქო ბაზრებზე – 15%-ით). 1992 წლის იენისში 1991 წლის მარტთან შედარებით, ე.ი. ე.წ. "პავლოვის ფასების რეფორმის" დაწყებამდე, საქართველოში საცალო ფასები გაიზარდა 11,81-ჯერ, რუსეთში კი – 15,48-ჯერ, რის გამოც ჩვენი მოსახლეობის მიმდინარე ფულადი შემოსავლების ერთეულის მყიდველობითი უნარი დაახლოებით 1,3-ჯერ მაღალია, ვიდრე რუსეთის ფედერაციაში. მართალია, ეს ვერ სპობს განსხვავებას ორ ქვეყანაში ხელფასებისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების საშუალო სიდიდეებს შორის, მაგრამ რამდენადმე ამცირებს მას.

სანამ საქართველო რჩება სამანეთო ზონაში, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საცალო ფასები არ იყოს ჩვენთან რუსეთის დონეზე დაბალი, ხოლო მანეთის და საშუალო ხელფასის მყიდველობითი უნარი – მეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა საქონლის მასობრივ გადინებას. საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ კი, ამის საპირისპირო ტენდენციების განვითარებას უნდა შეეწყოს ხელი.

ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით მიმდინარე წელს გატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება.

გაიზარდა მოსახლეობის საპენსიო უსრუნველყოფის ხარჯები. მაგალითად, 1991 წლის დეკემბრისათვის საშუალო ასაკობრივი პენსიები 169 მანეთს შეადგენდა, ა.წ. 1 აგვისტოდან იგი 610 მანეთს გაუტოლდა, ანუ გაიზარდა 3,6-ჯერ, ინვალიდობის პენსია შესაბამისად 153 მანეთიდან 560 მანეთამდე, ანუ 3,6-ჯერ გაიზარდა, 1,5 წლამდე ბავშვებზე დახმარებები 210 მანეთიდან 360 მანეთამდე, ხოლო 1,5 წლიდან 6 წლამდე – შესაბამისად 270 მანეთიდან 410 მანეთამდე. ამ ხარჯების დაფინანსებას მიმდინარე წელს დასჭირდა თითქმის 10 მილიარდი მანეთი. ასეთი დაფინანსება ხდება უმწვავესი ფინანსური დეფიციტის პირობებში, მთავრობა იძულებულია ეს ნაბიჯი გადადგას მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით.

მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყო მიმდინარე წლის 15 იანვრიდან, 1 მაისიდან და 1 აგვისტოდან შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის – 130 მანეთიდან 650 მანეთამდე გადიდების, თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების, სტიპენდიების, პენსიებისა და დახმარებების მომატებასთან დაკავშირებით.

საშემოსაველო გადასახადით არ იბეგრება მუშათა, მომსახურეთა

და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავლები თვეში 650 მანეთამდე ოდენობით.

მოსახლეობის დანაზოგები, რომლებიც ანაბრების სახით შეტანილია სახელმწიფო – კომერციულ ბანკებში, 1 აგვისტოს მდგომარეობით გაიზარდა 100 პროცენტის ოდენობით. ამ ღონისძიებით მოსახლეობის შემოსავლები გადიდდა დაახლოებით 14 მილიარდი მანეთით.

პურის საცალო ფასების გაზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობას ეძლევა სათანადო კომპენსაცია.

მეურნეობის მრავალ სფეროში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დოტაციები, რაც იძულებითი ნაბიჯია, მაგრამ იგი მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფითაა ნაკარნახევი.

ენერგომატარებლებზე ფასების გადიდებისა და მუშაკთა ხელფასის განაკვეთების – სარგოების გადიდებასთან დაკავშირებით, გაიზარდა ყველა სახის ტრანსპორტის ხარჯები. მაგალითად, მეტროპოლიტენით ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება შეადგენს დაახლოებით 3 მანეთს, მაშინ როდესაც მგზავრი მხოლოდ 1 მანეთს იხდის, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საქალაქო ტრანსპორტშიც.

ტარიფების გადიდება კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მოსახლეობას და განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენას, რის გამოც ტრანსპორტის მნიშვნელოვან სახეობაზე შენარჩუნებულია დოტაციები.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, რძე მათ მიეწოდებათ ღირებულებასთან შედარებით საგრძნობლად დაბალ ფასში და აქედან მიღებული ზარალი თითქმის მთლიანად სახელმწიფო სახსრებიდან იფარება.

ეკონომიკური რეფორმის პირობებში გართულებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების პრობლემა. ეს ზოგადი კანონზომიერებაა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პირობებში კიდევ უფრო გამწვავებულია რთული პოლიტიკური სიტუაციის შედეგად. ეკონომიკური რეფორმის ამ ეტაპზე ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა ხდება მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება. ეკონომიკური რეფორმის ბედი დღეს მნიშვნელოვანწილად სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია საპენსიო უზრუნველყოფა. დღეისათვის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით პენსიებისა და დახმარებების მიმღებთა რიცხვმა მილიონ 300 ათასს გადააჭარბა. მათ შორის ასაკით პენსიის მიმღებია 797,1 ათასი, ინვალიდობით – 163 ათასი, მარჩენალის გარდაცვალების გამო – 64 ათასი, საშხედროები და მათი ოჯახები – 41 ათასი, სოციალური პენსიისა – 52 ათასი,

მარტოხელა დედები – 13 ათასამდე, განსაკუთრებული დახმარებების მქონენი დაახლოებით – 24 ათასი, მარტოხელები, რომლებსაც სოცუზრუნველყოფა ემსახურება – 6 ათასამდე და ა.შ.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ეს მაინც არ არის საკმარისი მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის. აუცილებელია სხვადასხვა სახის ისეთი მექანიზმების ამუშავება, რომელიც შეხამებული იქნება ეკონომიკური რეფორმის პრინციპებთან.

ნავარაუდევია რამდენიმე პრინციპული ხასიათის კორექტივის შეტანა სოციალურ პოლიტიკაში.

ჯერ ერთი, შემორჩენილი სუბსიდიები განაწილებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად ზუსტად, შემოსავლის დონეთა გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში ნაღდი ფულის გაცემის ფორმით, რათა მოხდეს ფასების მატების კომპენსაცია იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც ღებულობენ სოციალურ დახმარებას (პენსიები და ოჯახური დახმარებები).

მეორე, ნავარაუდევია ისეთი ოჯახური დახმარების სისტემის შემოღება, რომელიც დაიცავს დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯგუფებს. ეს სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ გამოირიცხოს ორმაგი კომპენსაციის შესაძლებლობა.

მესამე – უმუშევართა დახმარება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან უზრუნველყოს ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი სტიმული. ასეთი დახმარების ზუსტი მიზნობრივი გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავაფინანსოთ აქტიური დასაქმების პოლიტიკა, შრომის ბაზარზე უმუშევართა გადამზადების პროგრამების, მეწარმეობის სტიმულირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროექტების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების მიზანია უმუშევართა სწრაფი პროფესიული გადამზადება და მათი დაბრუნება შრომით საქმიანობაში.

აუცილებელია აგრეთვე კერძო საპენსიო ფონდებისა და სახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა.

უნდა მოხდეს თვით სახელმწიფო სოცუზრუნველყოფის სისტემის რეფორმა და მასთან ერთად, პენსიების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკური სამსახურის დეცენტრალიზაცია.

ეკონომიკური რეფორმის ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარებას. ყურადღების ცენტრში იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა:

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების რეგულირება;

სოციალურად დაუცველი ჯგუფების მიზნობრივი დახმარება;

დასაქმების უზრუნველყოფა და დახმარება იმ მუშაკთათვის, რომლებიც გამოთავისუფლდებიან სტრუქტურული გარდაქმნების

შედეგად;

— ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საპენსიო უზრუნველყოფისა და საბინაო რეფორმის დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების პრიორიტეტულობა ეკონომიკური რეფორმის ყველა ეტაპზე სხვადასხვა იქნება და მას განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა.

იმისათვის, რომ აქტიურად განხორციელდეს სოციალური პოლიტიკა, საჭიროა მუშაობის გაძლიერება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

— უნდა ამაღლდეს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამოყენების ეფექტიანობა, მათ შორის მიზნობრივი საგადასახადო შემოსავლების შემოღების გზით;

— შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების (არასახელმწიფოებრივი დაზღვევა და საპენსიო ფონდი) როლის ამაღლებით;

— სოციალური პროგრამების დაფინანსებაში დეცენტრალიზებული მიდგომის გაძლიერება იმ მიზნით, რომ სიმძიმის ცენტრი გადავიდეს არასახელმწიფოებრივ საფინანსო სტრუქტურებზე და მუნიციპალურ (ადგილობრივ) დონეზე.

7. სტრუქტურული პოლიტიკა

ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარებამ უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული გარდაქმნის დაწყება ეკონომიკაში, რომელიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის საჭირო მოხმარების საგნებისა და მომსახურების წარმოებას. სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ეკონომიკურ ბრუნვაში უნდა მოექცეს ისეთი ბუნებრივი რესურსები, რომელთა გამოყენება, დამახინჯებული ფასწარმოქმნის გამო, არაეფექტიანად იყო მიჩნეული. უნდა შეიქმნას რესპუბლიკის ახალი საექსპორტო ბაზა. სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს წინდახედულად. მისი გაგრძელება სტიქიურად, როგორც დღეს ხდება, იწვევს წარმოების დაცემას, მასობრივ უმუშევრობას, დაგროვილი სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის ფლანგვასა და დაკარგვას. საჭიროა ისეთი მიზანდასახული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს არ შეუშლის საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას და ამავე დროს ეკონომიკის რეკონსტრუქციას მართვადი ხასიათი ექნება. სიცოცხლისუუნარო საწარმოების დახურვას თან უნდა ახლდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესი. ეს უზრუნველყოფს სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობასაც.

პირველი რიგის ამოცანები სტრუქტურულ ცვლილებებში —

ესაა შე'სღუდული საინვესტიციო რესურსების პირობებ'ში ფუნქციონირებისადმი ადაპტაცია. კრიზისის შემდგომი გაღრმავების კვალობაზე, საწარმოთა აქტივები და მოსახლეობის ანაბრები მასობრივად უფასურდება. შესაბამისად მცირდება ინვესტიციები. ჩამოუყალიბებელია საფინანსო ბაზარი. არ არსებობენ მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ინვესტორები. კაპიტალი არამობილურია. ამიტომაც არაეფექტიანია იმ საინვესტიციო რესურსების გამოყენება, რომელიც გაგვანია.

ამდენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პროცესი გავხადოთ მართვადი. ამ მიზნით მეტნაკლებად სიცოცხლისუნარიან საწარმოებში უნდა შევინარჩუნოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების და დასაქმების დონე, რათა თავიდან ავიშოროთ სოციალური კონფლიქტები. უპერსპექტივო საწარმოების დახურვა უნდა განვახორციელოთ რეგულარულად. უნდა მოვახდინოთ მათ შორის ისეთების სანაცია, რომელთაც შეუძლიათ შეეგუონ საბაზრო ეკონომიკას. მინიმალური, მხარდამჭერი ინვესტიციებით აუცილებელია, რომ შევინარჩუნოთ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი ბლოკები, რათა თავიდან ავიშოროთ ტექნოლოგიური და ეკოლოგიური კატასტროფა. ხელი უნდა შევუწყოთ მცირე და საშუალო ბიზნესს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სამამულო საქონლის მსოფლიო ბაზარსე გასვლას და ა.შ.

ყველა ეს საკითხი უნდა წ:ყდებოდეს სტაბილიზაციის ღონისძიებების პარალელურად – შესაბამისი საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის პირობებში. ვფიქრობთ, შეიძლება განხორციელდეს (კერძო ინვესტიციების მხარდაჭერის მიზნით) მოგებიდან ინვესტიციებ'ზე მოხმარებული სახსრების დაბეგვრის ზომის შემცირება, საამორტიზაციო ანარიცხების ინდექსაცია, ბანკების მიერ სახელმწიფო გარანტიით პრიორიტეტული მიმართულებების დაკრედიტება, უცხოური ინვესტიციების წახალისება და სხვა. ამასთან საჭიროების მიხედვით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საჭირო კაპიტალური დაბანდებები იმ დარგებ'ში ან სფეროებ'ში, რომელთაც პრივატიზება არ ეხებათ. გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ჩარევაც საგანგებო სიტუაციების დროს, როცა საქმე ეხება სასიცოცხლო მნიშვნელობის სამეურნეო კავშირების შენარჩუნებას.

მიმდინარე და პერსპექტიულ განვითარებაში დანახული, ეკონომიკური პრობლემების თვალსაზრისით, სტრუქტურული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე შეიძლება იყოს სურსათი, სათბობი და ენერგეტიკა, კომუნიკაციები, საცხოვრებელი ბინები.

სტაბილიზაციის შემდეგ პერსპექტივაში, როცა შეიქმნება აუცილებელი ინსტიტუციონალური და მატერიალურ-ფინანსური

წანამძღვრები, როგორც მეორე რიგის ამოცანას სტრუქტურულ პოლიტიკაში წარმოადგენს მისი სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, ეკონომიკის პირველადი სექტორიდან (სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა), აქცენტის გადატანა მრეწველობაზე, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე და ინტელექტუალურ საქმიანობაზე. ალბათ უფრო შორეულ მომავალში განხორციელდება საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობის დივერსიფიკაცია. სახელმწიფო უბრალოდ იმპორტს კი არ დაუჭერს მხარს, არამედ იმ იმპორტს, რომელიც ხელს შეუწყობს ტექნიკური დონისა და სამამულო წარმოების საქონლის ხარისხის ამაღლებას.

8. პრივატიზაცია

ეკონომიკაზე ადმინისტრაციული კონტროლის შემცირების მიზნით საჭიროა რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს საკუთრებით ურთიერთობებში. ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს შემდეგი საკითხები:

— მცირე პრივატიზაციის დაჩქარებული ჩატარება, რაც გამოიხატება ვაჭრობის; მომსახურეობის სფეროს, წვრილი საწარმოების აუქციონის ან კონკურსის წესით გაყიდვაში. უკვე მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს მათი პრივატიზაცია.

— წელსვე უნდა დაიწყოს აუქციონებზე ან ტენდერების მოწყობის გზით დაუმთავრებელი ვადაგასული მშენებლობების ნაწილის გაყიდვა.

— დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები მსხვილი საწარმოების პრივატიზაციისათვის, მათი სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით. ეს წელსვე განხორციელდება, როგორც აქციების გაყიდვით საპრივატიზაციო საწარმოების მუშაკებზე, ასევე აუქციონზე.

ყოველივე ეს შექმნის საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლის ბაზას. ჩვენი პროგნოზული მონაცემებით, შესაძლებელია დაახლოებით 15-20 პროცენტი საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის განხორციელება მომავალ წელს. ეს შექმნის ფართო მოხმარების საგნების წარმოების და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების რეალურ საფუძველს, ამავე დროს გარკვეულწილად მოხდება ფასების სტაბილიზაციაც.

ერთობლივი საინვესტიციო საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს პრივატიზაციის ჩატარების მსვლელობაში. საჭიროა შეექმნათ ტრანსნაციონალური სააქციო საზოგადოებები, ჰოლდინგები. ამისათვის უნდა შემუშავდეს მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის კონკრეტული პროექტები უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით. პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმ საწარმოთა პრივატიზაციაზე

უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით, რომლებიც მოითხოვენ ტექნოლოგიური ცვლილებების გატარებას და რომელთა პროდუქცია გახდება კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

— 1993 წლის დამდეგიდან დაიწყება მასობრივი პრივატიზაციის პროცესი. იგი დაფუძნებული იქნება შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

— ფართოდ გავრცელდება უფასო საპრივატიზაციო ბარათები;

— მუშებს მიეცემათ განსაზღვრული წილი საწარმოს საკუთრებაში, აგრეთვე დაუწესდებათ შეღავათები საწარმოს ქონების შეძენისას;

— მკვეთრად შემცირდება შეზღუდვები ცალკეული საწარმოებისა და დარგების პრივატიზაციისათვის;

— მოიხსნება შეზღუდვები უცხოური ინვესტორების მონაწილეობაზე პრივატიზაციის პროცესში;

— განისაზღვრება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის წესი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისა და სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის პროცესის გავრცელების მიზნით, მოხდება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა აბსოლუტური უმეტესობის ლიკვიდაცია, ხოლო დარჩენილი ნაწილის რეორგანიზაცია განხორციელდება ახალ სამეურნეო საფუძველზე.

განვლილ პერიოდში შესრულებულია საკმაო სამუშაო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მომზადებისა და მისი დაწყებისათვის. შედგენილია საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მთავრდება მუშაობა საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებზე. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა ფაქტობრივად დაამთავრა ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის პროცესი.

ამასთან, შეიმჩნევა გარკვეული ძალების მხრივ პრივატიზაციის პროცესის ბლოკირების მცდელობა და მისი რაც შეიძლება გაჭიანურება სახელმწიფო ქონების ფარულად ხელში ჩაგდების მიზნით. არის უამრავი ფაქტები თანამდებობის პირთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისა.

მმართველობითი სტრუქტურები სხვადასხვა მიზეზის გამო აფერხებენ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტზე გასაყიდი ობიექტების ნუსხის გადაცემას. მიუხედავად კომიტეტის არაერთგზის მიმართვისა, ზოგიერთმა სამინისტრომ, ქალაქის მერიამ დღემდე ვერ უზრუნველყო იმ ობიექტების ნუსხის შედგენა, რომლებიც უნდა იქნეს უახლოეს პერიოდში გატანილი გასაყიდად პირველ აუქციონზე.

არის სხვა სახის დარღვევებიც.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ქონება, რომელიც გადმოეცა ჩვენს რესპუბლიკას და რომლის სამოქალაქო გამოყენებაა შესაძლებელი, პრივატიზაციის პროცესიდან ამოვარდნილია. ეს ქონება ისე იმალება, თითქოს არც კი იყოს სახელმწიფო

ქონების ნაწილი და არ ვრცელდებოდეს მასზე სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის კომპეტენცია. გარდა ამისა, ხდება ზოგიერთი სამოქალაქო პროდუქციის მწარმოებელი ფაბრიკა-ქარხნის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მსგავსი სტრუქტურის დამკვიდრების მცდელობაა.

ასეთმა ნაბიჯებმა შეიძლება ჩაუყაროს საფუძველი სამხედრო, საზოგადოებრივი კონტროლიდან გამოსულ მეურნეობას, რომელიც თავისი არაეფექტური საქმიანობით უზარმაზარ ტვირთად დააწვება მხრებზე მთელ მოსახლეობას.

სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი პასიურად მოქმედებს, ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს და ქონების განიავებაში გარეშე მეთვალყურის როლში გვევლინება. ამასთან, არც მთავრობა იჩენს სათანადო ყურადღებას ამ უწყების მიმართ, რომელსაც დღემდე არ გააჩნია სამუშაო შენობა, რის გამოც ფაქტობრივად პარალიზებულია მისი მუშაობა.

9. აგრარული რეფორმა

საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმის არსია აგრარული სექტორის ძირეული გარდაქმნა მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების დამკვიდრების, თავისუფალი მეწარმეობის გაშლისა და ამ სფეროში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე.

აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებებია: მიწის რეფორმა; ინსტიტუციონალური ცვლილებები სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების საფუძველზე; აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო და მომსახურე დარგებში პრივატიზება და დემონოპოლიზაცია; საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა აგროსამრეწველო კომპლექსში; სოციალური ცვლილებები სოფლად.

აგრარული რეფორმა არ არის ერთჯერადი აქტი. ის ეტაპობრივად განხორციელდება რამდენიმე წლის განმავლობაში. ამჟამად საქართველოში ხორციელდება აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი, რომლის დროსაც დასრულდება საკარმიდამო და მიმდებარე მიწების პრივატიზება; მოხდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია-რეორგანიზაცია; შეიქმნება გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, სააქციო საზოგადოებები, სამრეწველო და სერვისის ფირმები; შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, ეაჭრობის, აგროსერვისის და აგრობიზნესის საბაზრო სტრუქტურები. აგრარული რეფორმის მეორე ეტაპზე ჩამოყალიბდება კერძო საწარმოთა

სისტემა, რომელიც უსრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომარაგებას წარმოების საშუალებებით, მათ მომსახურებას, მათი პროდუქციის გადამუშავებასა და რეალიზაციას.

აგრარულ რეფორმაში უმთავრესი ელემენტია მიწის რეფორმა. ეს არის რეფორმის ის მიმართულება, რომელიც საქართველოში სწრაფად მიმდინარეობს.

რესპუბლიკის 56 რაიონში დაიწყო, და ზოგან უკვე დამთავრდა მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები.

უკვე შერჩეული და გადაცემულია 360 ათასი ჰექტარი მიწა (ძირითადად სახნავი და მრავალწლოვანი ნარგავები), რაც რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის საწარმოებზე რიცხული სახნავისა და მრავალწლოვანი ნარგავების საერთო ფართობის (920,9 ათასი ჰექტარი) 39 პროცენტს შეადგენს. მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია: თერჯოლის რაიონში, სადაც მოსახლეობაზე გაცემულია 3 ათასი ჰექტარი მიწა, რაც რაიონში საზოგადოებრივ მეურნეობებზე რიცხული სახნავი და მრავალწლოვანი ნარგავების ფართობის 36 პროცენტია, ახმეტაში — 3720 ჰექტარი (საერთო ფართობის 20 პროცენტი), საგარეჯოში — 8350 ჰექტარი (22 პროცენტი), თელავში — 12300 ჰექტარი (81 პროცენტი), დედოფლისწყაროში — 4000 ჰექტარი (8 პროცენტი), გორში — 7400 ჰექტარი (17 პროცენტი), ასპინძაში — 4700 ჰექტარი (87 პროცენტი), მცხეთაში — 4400 ჰექტარი (31 პროცენტი), ბორჯომში — 750 ჰექტარი (19 პროცენტი), წყალტუბოში — 4000 ჰექტარი (26 პროცენტი), თეთრ წყაროში — 8000 ჰექტარი (40 პროცენტი), ხაშურში — 6000 ჰექტარი (50 პროცენტი), დუშეთში — 1700 ჰექტარი (17 პროცენტი), გარდაბანში — 4680 ჰექტარი (11 პროცენტი) და ა.შ.

მიწის რეფორმის სამუშაოები არასწორად წარმართეს და ამ ლონისძიების ჩატარება შემდგომისათვის გადადეს ყვარლის, გურჯაანის ახალგორის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, ახალქალაქის რაიონებმა. შეფერხებით ახორციელებენ რეფორმას ბაღდათის, ტყიბულის, ცაგერის, ამბროლაურის რაიონები. საერთოდ არ დაწყებულა მიწის რეფორმის სამუშაოები აფხაზეთში და სამეგრელოს ზონის ზოგიერთ რაიონში.

რეფორმის მიმდინარეობას ხელს უშლის მრავალი საკითხის მოუგვარებლობა. პირველ რიგში, ეს ეხება მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივ და ეკონომიკურ მხარეს. ამ მიზნით მნიშვნელოვანი ამოცანებია: მიწის გადასახადის შემოღება; მიწაზე ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვის მოხსნა; მიწის ბაზრის ფორმირებისათვის მზადება (მიწის ეკონომიკური შეფასებისა და მისი საბაზრო ფასის განსაზღვრის უზრუნველყოფა); საადგილმამულო ბანკის შექმნა და საიპოთეკო კრედიტის შემოღება; მიწის განაკვეთის

გაყიდვაზე გადასახდელის შემოღება; მიწის მონიტორინგის შემოღება მიწათსარგებლობის სტრუქტურაში ცვლილებებზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხისა და რაოდენობის ცვლილებებზე ზედამხედველობის მიზნით, ეკონომიკური სანქციების მექანიზმის შემოღება მიწათსარგებლობის სფეროში ეკოლოგიური დარღვევისათვის და მატერიალური წახალისების სისტემის დანერგვა მიწის ნაყოფიერების ამაღლებისათვის და სხვა.

არის სხვა მოუგვარებელი პრობლემებიც. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ნორმატიული აქტები იმ მეურნეობების ქონების პრივატიზაციის წესის შესახებ, რომელთაც ფაქტობრივად აღარ რჩებათ საზოგადოებრივი მიწები, ან რჩებათ ძალზე მცირე მოცულობით. მათი ფერმებისა და სხვა შენობა-ნაგებობების, პირუტყვის, ტექნიკის, მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების შეფასებისა და გასხვისების საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროებმა, მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის კომიტეტმა, სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა უმოკლეს დროში შეიმუშაონ შესაბამისი ნორმატიული აქტები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

10. ანტიმონოპოლიური რეგულირება და კონკურენტული გარემოს შექმნა

თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის პოლიტიკის განხორციელებას. ეკონომიკის სწორად გააზრებული და თანამიმდევრული დემონოპოლიზაცია წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც უნდა აღმოცენდეს და განვითარდეს კონკურენცია მეწარმეთა შორის, როგორც თავისუფალი ფასების ბუნებრივი და ამასთან ეფექტიანი და უნივერსალური რეგულატორი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე, დემონოპოლიზაციის პოლიტიკის აქტიური განხორციელება იმითაც არის ობიექტურად აუცილებელი, რომ ის საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ მართვის უაღრესად ცენტრალიზებული სისტემის რაციონალიზაცია მართვის შუალედური რგოლების გაუქმების გზით. ისინი ხ'შირად გვეელინებიან მეურნეობის ძირეულ რგოლებში წამოწყებული საქმიანი ინიციატივის განვითარებისა და

დამკვიდრების ადმინისტრაციულ - ბიუროკრატიული ბარიერის როლში. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ, როდესაც სამინისტროების და სხვადასხვა სახის სამთავრობო უწყებების რიცხვი უაღრესად დიდია, ჩვენთან არსებობს სახელმწიფო კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების მთელი წყება, რომლებიც თავიანთი ფუნქციებით და მათში დამკვიდრებული მართვის მეთოდებით პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი დარგობრივი სამინისტროებისაგან. ასეთი სახელმწიფო მონოპოლიების აბსოლუტური უმრავლესობა შექმნილია ხელოვნურად, საღი აზრის და მათში შემავალი საწარმოების და სხვა ერთეულების სურვილის გაუთვალისწინებლად. პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ სტრუქტურებში სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესებზე ეფექტიანი კონტროლის დაწესება და მით უმეტეს მისი ეფექტიანი მართვა. აქედან გამომდინარე, საქართველოში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომზადდეს სასტარტო პირობები ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის დასაწყისისათვის.

მთავრობა შეუდგა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირებას. ამ პოლიტიკის რეალიზაციის პირველი ეტაპი, რომელიც უკვე დაწყებულია, ითვალისწინებს:

— ძველი მმართველობითი სტრუქტურების ბაზაზე წარმოქმნილი ჰორიზონტალური გაერთიანებების (კონცერნი, ასოციაცია, ჰოლდინგი და ა.შ.) დაწვრილერთეულებას;

— მსხვილი სამეურნეო სუბიექტების თვითდაყოფის ხელშეწყობას, მათ შორის პრივატიზაციის გზით;

— ანტიმონოპოლიურ მოთხოვნათა გათვალისწინებას ახალი გაერთიანების შექმნისას და ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის ფორმირების პროცესში;

— ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის დახვეწას და შემდგომ განვითარებას;

მთავრობის ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არ ითვალისწინებს ზემოდან დადგენილი ერთი შაბლონის მიხედვით ყველა ამჟამად არსებული სახელმწიფო კონცერნის, ასოციაციის და გაერთიანების შემდგომი ფუნქციონირების საკითხის გადაწყვეტას. რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, დეპარტამენტებს და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს უფლება მიეცათ — "სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების" შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მკაცრად დაცვის საფუძველზე ყოველი სახელმწიფო კონცერნის, ასოციაციის თუ გაერთიანების შემდგომი ფუნქციონირების საკითხის განხილვისას მიიღონ მიზანშეწონილი გადაწყვეტილება. ერთი სიტყვით, გარანტირებულია პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტის პირობები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მხოლოდ

ერთ სამინისტროსე (მრეწველობის სამინისტრო) შეიძლება ითქვას, რომ იგი თანაბიმდეგრულად ახორციელებს მთავრობის აღნიშნულ დადგენილებას. პროცესი დაწყებულია არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროში, თუმცა ბოლო პერიოდში მან ნეგატიური ფორმა შეიძინა.

საქართველოს მრეწველობის სამინისტრომ გააუქმა მასში შემავალი კონცერნები და ამასთანავე, მრეწველობის დარგებში ურთიერთკოორდინაციისა და დარგობრივი კოოპერაციის განხორციელებისას, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცათ რეკომენდაცია ნებაყოფლობით გაერთიანებულიყვნენ ახლად შექმნილ კორპორაციებში. მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ნებაყოფილობითი გაერთიანების საფუძველზე ყალიბდება კორპორაციები, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა უარი განაცხადა აღნიშნულ კორპორაციებში გაერთიანებაზე და შევიდნენ სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები.

ასევე რეორგანიზებულ იქნა ზოგიერთი მსხვილი საწარმოო გაერთიანება, როგორიცაა ქუთაისის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (მის ბაზაზე შეიქმნა 5 დამოუკიდებელი საწარმო), გორის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (შეიქმნა 4 დამოუკიდებელი საწარმო), წყალტუბოს სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (4 დამოუკიდებელი საწარმო) და სხვა.

კეებისა და გადამამუშავებული მრეწველობის სამინისტროში ხდება სხვადასხვა სახის გაერთიანებებისა და საწარმოების დემონოპოლიზაცია, თუმცა ეს პროცესი მეტად დუნედ მიმდინარეობს.ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს სტრუქტურული რეორგანიზაციის ღონისძიებები.

დემონოპოლიზაციის პროცესი არადამაკმაყოფილებელია თითქმის ყველა სამინისტროში.

ასევე გადაუწყვეტელია ეს საკითხი ცეკავშირის სისტემაში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მართვის ადმინისტრაციული სტრუქტურების ლიკვიდაციისა და თავისუფალი კონკურენციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით გაუქმდა სახელმწიფო კონცერნი "საქყოფსერვისი" და თბილისის მერიასა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიეცათ მითითება მოეხდინათ კონცერნის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ბალანსიდან ბალანსზე მიღება. არსებული ინფორმაციის თანახმად ეს პროცესი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

სხვა სამინისტროებში რაიმე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებანი არ მომხდარა. ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია

საკანონმდებლო-მეთოდური მასალების უქონლობით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში მმართველობითი სტრუქტურების პასიურობით, საკითხის განხილვის გაჭიანურებით, არსებული შუალედური რგოლების შენარჩუნების მცდელობით.

დარგობრივ სამინისტროთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაიკავა აშკარად ორჭოფული პოზიცია. ისინი არათუ წინ აღუდგნენ მმართველობის შუალედური რგოლების მბაფრ წინააღმდეგობას მიმართულს დემონოპოლიზაციის განხორციელების ჩასაშლელად, არამედ ხშირად აშკარად თუ ფარულად მხარს უჭერენ მათ უკანონო ქმედებებს. გამოიყენება ყველა შესაძლო მეთოდი და საშუალება დემონოპოლიზაციის პრაქტიკულად განხორციელების ჩაშლის მიზნით:

– ხდება იმ საწარმოთა ხელმძღვანელების თანამდებობიდან განთავისუფლება, რომლებსაც სურთ კონცერნებიდან და სხვა სახის გაერთიანებებიდან გასვლა. პარალელურად ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა ამ საწარმოთა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით და თუ ეს უშედეგოდ მთავრდება, მაშინ ამ მუშაკებს ითხოვენ სამსახურიდან;

– მონოპოლიური გაერთიანებებიდან გამავალ საწარმოს ართმევენ მის ბალანსზე არსებული ქონების ისეთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომ საერთოდ შეუძლებელი ხდება საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება.

ზოგიერთი სამინისტრო, დემონოპოლიზაციის პროცესების თავიდან აცილების ან შეფერხების მიზნით, საბაბად იყენებს საერთო ვალების და სხვა აქტივების და პასივების გაყოფის გარკვეულ სირთულეს, მაგრამ ამასთან ერთად ფორსირებულად და დიდი აზარტით (რაც მთავარია, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე) გასცემს სახელმწიფო ქონებას იჯარით გამოსყიდვის უფლებით და თან იჯარით გაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულების შეფასება, როგორც წესი, ხდება დარღვევებით.

სამეურნეო საქმიანობის დეკონცენტრაციისა და დემონოპოლიზაციის პროცესის წარმართვას აფერხებს აგრეთვე საბანკო-საანგარიშსწორებო მომსახურების ქსელის არასაკმარისი განვითარება. სამეურნეო რგოლებში აღრიცხვა-ანგარიშგების მუშაკთა ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია.

ამჟამად, მთავრობის მიერ მომზადებულია ზოგიერთი ნორმატიული აქტი, რომელთა შედგენისას გათვალისწინებულ იქნა სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის განხორციელების საქმეში უკვე დაგროვილი საწყისი გამოცდილება და რომელთა მიღებითაც, ვიმედოვნებთ, მაქსიმალურად მოვაწესრიგოთ და გავამარტივოთ მონოპოლიური გაერთიანებებიდან საწარმოთა თავისუფლად გასვლის პროცესი.

კერძოდ, გათვალისწინებულია სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის მიერ საერთო კონტროლის დაწესება სახელმწიფო ქონების მოძრაობაზე მონოპოლიურ გაერთიანებათა დაშლის დროს, დარგობრივი სამინისტროსა და ქონების მართვის კომიტეტის ერთობლივი მუშაობა მონოპოლიური გაერთიანებებიდან იურიდიული სტატუსის არმქონე სტრუქტურული ერთეულის გამოყოფის და მის დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბების საკითხის გადაწყვეტისას და ა.შ.

11. რეფორმის ხელის შემშლელი სუბიექტური ფაქტორები

საქართველოში არ არსებობს ეკონომიკური რეფორმის გატარების ერთიანი ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირებს ეკონომიკური რეფორმის შტაბი, ძირითადად იგი მხოლოდ ზოგადად თუ უძღვება რეფორმის მიმდინარეობას, რადგან მისი უფლებამოსილება შეზღუდულია. აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ არსებობს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. რეფორმის მიმდინარეობისას (თუმცა ფორმალურად ეს ფუნქცია ეკისრება რეფორმის შტაბის თავმჯდომარეს) ეკონომიკის სფეროში სამთავრობო დონეზე ფუნქციები არაა მკვეთრად გამიჯნული და არ არის რეალურად თავმოყრილი ერთი ადამიანის ხელში საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბანკო სისტემის კოორდინაცია, მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ყველა უფლებამოსილება დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში. სწორედ ამის შედეგი გახლავთ, რომ მთავრობა, სამინისტროები და უწყებები ღებულობენ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მიმართულების საპირისპირო, ხშირად აშკარად ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს.

მთავრობაში არ არის პრინციპული თანხმობა რეფორმის სტრატეგიული კურსის საკითხებში. ეკონომიკური რეფორმა ყველას თავისებურად ესმის. მთავრობის კაბინეტის წევრთა წარმოდგენა საბაზრო ეკონომიკაზე იმდენად განსხვავებულია, რომ ამგვარი კონცეპტუალური ეკლექტიზმის პირობებში შეუძლებელია ერთიანი პოლიტიკის გატარება. კონცეპტუალურ დაბნეულობას და ხშირ შემთხვევაში მოძველებული შეხედულებების ტყვეობაში ყოფნას მოსდევს სამთავრობო დონეზე მიღწეული პროგრესული გადაწყვეტილებების რევიზია სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს წინსვლას. თითქმის იშვიათია, რომ ქვემოდან მოდიოდეს რაიმე წინადადება რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით, ზემოდან მიღებულ გადაწყვეტილებებს კი ინდიფერენტულად ხვდებიან.

ყოველივე ამის შედეგად, მთავრობის მიერ მიღებული მრავალი დადგენილება, მათ შორის სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლი-

ზაციისა და დეცენტრალიზაციის შესახებ, ეაჭრობის თავისუფლების შესახებ და სხვა, ფაქტობრივად შეგნებულად ბლოკირებული აღმოჩნდა.

ეკონომიკის რეფორმის გატარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია წინააღმდეგობა სახელმწიფო და სამეურნეო ადმინისტრაციული მმართველობის ბიუროკრატიული და კორუმპირებული ნაწილის მხრივ. მათი ინტერესები მჭიდროდაა გადაჯაჭვული რეფორმის პროცესსე, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ქონებაზე კონტროლის დაკარგვა, მესაკუთრეთა და მეწარმეთა ახალი ფენის გაჩენა, მათი შემოსავლების წყაროს მოსპობის ტოლფასია.

დასკვნა

როგორც არ უნდა შეეხედოთ მოვლენებს, ოპტიმისტურად თუ პესიმისტურად, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გეაკმაყოფილებს თუ არ გვაკმაყოფილებს მიმდინარე პროცესების სიღრმე და ტემპი, ერთი რამ ცალსახად ნათელია: საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმა დაიწყო. მისი ათვლის წერტილად შეგვიძლია ჩავთვალოთ 1992 წლის პირველი ნახევარი, როცა დაიწყო მიწებისა და საცხოვრებელი ბინების კერძო მფლობელობაში გადაცემის პროცესი და ფასების ლიბერალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მიმდინარეობდა არა საკუთარი სცენარით, არამედ, როგორც რუსეთში, მიღებულ გადაწყვეტილებებზე იძულებითი ზომების სახით, რაც დიდ სოციალურ სიძნელეებს გვიქმნიდა და დღემდე გვიქმნის. შეიძლება ითქვას, რომ ფასების გათავისუფლება და მისი თანდათანობით ესოფლიო ფასების სტრუქტურასთან დაახლოება იყო რეფორმის კერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა, ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში ბიძგის მიმცემი ფაქტორი. ამჟამად, საბითუმო და საცალო ფასების 80-90 პროცენტი თავისუფალია, რამაც შესაძლებელი გახადა უმოკლეს დროში მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დამყარება.

თანდათან ქრება გეგმიანი მეურნეობისთვის დამახასიათებელი ისეთი მოვლენა, როგორიცაა ქრონიკული დეფიციტი. გარდა ზოგიერთი დასახელების საქონლისა (შაქარი, ბენზინი, საცხოვრებელი ბინები და სხვა), დეფიციტი თითქმის აღმოფხვრილია. დღეს ყველაფრის ყიდვა შეიძლება, თუმცა, ჯერჯერობით რა თქმა უნდა, ძალზე მაღალ ფასებში. წონასწორობის დამყარება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მიღწეულ იქნა ფასების უზარმაზარი ზრდისა და მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრად დაცემის პირობებში.

გაჩნდა პირველი სიმპტომები ჩვენთვის უცხო მოვლენისა. საწარმოებს უჭირთ საქონლის რეალიზაცია. დაიწყო საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი "გასაღების კრიზისი". ამ კრიზისიდან

გამოსავალი კი არის მხოლოდ ორი: სამეურნეო სუბიექტების ან მასობრივი გაკოტრება, ან ფასების შემცირება მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, მონოპოლიზმის შესუსტება. ამ მხრივ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ექსპორტისა და იმპორტის ლიბერალიზაცია. ჩვენი საწარმოების საგარეო-ეკონომიკური აქტივობა ხელს შეუწყობს შიდა კონკურენციული ბაზრის ჩამოყალიბებას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ლოგიკა ისეთია, რომ პირველ წლებში იგი ძალზე მძიმეა მრავალი სოციალური ფენისათვის. მაგრამ ყველაზე მძიმე პერიოდმა საქართველოში, ჩვენი აზრით, უკვე განელო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დარგში კვლავაც არის მოსალოდნელი წარმოების მოცულობის შემცირება, მისი უარყოფითი შედეგები ძირითადად კომპენსირებული იქნება სტრუქტურული მოდერნიზაციის შედეგად და ახალი სფეროების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის გააქტიურებით. იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში შეიქმნება ისეთი პირობები, რომელიც მოიზიდავს დიდძალ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში.

ივლისი. 1992 წ.

— ბატონო რომან, როგორც ცნობილია თქვენ ბრძანდებოდით რუსთაველის საზოგადოების ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე — რას გვეუბნებოდით ამ პერიოდზე?

— უნდა გითხრათ, რომ მაშინ გახლდით არა მხოლოდ ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე, არამედ თქვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრიც. იმ დროისათვის "მამული" იყო ლამის ერთადერთი ოპოზიციური გაზეთი, რომლის ფურცლებზე არაერთხელ გამომიხატავს ჩემი აზრები და გულისტკივილი. ამიტომ ამ გაზეთთან ბევრი მოგონება მაკავშირებს.

რაც შეეხება იმ პერიოდს. თავდაპირველად რუსთაველის საზოგადოება ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობის აღორძინების პროცესში ახლად შექმნილ ალტერნატიულ ორგანიზაციად და იყო "ცეკას" მიერ მართვადი სტრუქტურა. მაგრამ შემდეგ ბ-ნი აკაკი ბაქრაძის ძალისხმევითა და მის თანამოაზრეთა მონდომებით მოხდა ამ საზოგადოების კომუნისტური კლანჭებიდან გამოგლეჯა და მისი გარდაქმნა არსებული ძალაუფლების დაპირისპირებულ ძალად.

ჩვენ სწორედ მაშინ, პირველად შევქმენით დამოუკიდებელი ეკონომიკური რეფორმის კონცეფცია, რამაც შემდეგში გარკვეული საფუძველი შეუქმნა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია კომუნისტური რეჟიმის პერიოდს ეკუთვნის და იწერებოდა საკმაოდ რთულ პირობებში, მისი პრინციპული თეზისები და დებულებები დღესაც აქტუალურია და ბევრი მათგანი საფუძვლად შეიძლება დაედოს ჩვენს ახალ საბაზრო რეფორმებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას.

ბევრი ის ადამიანი, რომელიც მაშინდელ კომისიაში მუშაობდა, დღეს ეწევა აქტიურ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობას, როგორც სახელმწიფო სამსახურში, ასევე სამეცნიერო და სხვა სფეროში.

ასე რომ, მაშინ საკმაოდ ძლიერი ბირთვი იყო შეკრული, რომელმაც შექმნა დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებული მეცნიერული, იდეოლოგიური საფუძვლები.

— ბატონო რომან, სწორად მიგაჩნიათ თუ არა ის, რომ რუსთაველის საზოგადოება არ იღებს არჩევნებში მონაწილეობას?

— ეს ძალიან კარგია, რომ არ იღებს არჩევნებში მონაწილეობას. მე ვთვლი, რომ ეს არის მაღალინტელექტუალური საზოგადოება და იგი უნდა იყოს ერთგვარი ნეიტრალური ძალა პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის.

საქართველოს სჭირდება უაღრესად მაღალპროფესიული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ექნებათ მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პლატფორმები.

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, რასაც ვხედავთ და ვისმენთ ტელევიზიით და ვკითხულობთ პრესაში პოლიტიკური პარტიების პროგრამების და გამოსვლების სახით — პირდაპირ რომ ვთქვათ, არის სამარცხვინო. ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს რაღაც კრიტერიუმები, საიდანაც უნდა იწყებოდეს ათვლა, კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, თუნდაც პრეტენზიის განცხადება სახელმწიფოს მართვაზე.

ზოგიერთი "პოლიტიკური" პარტიის დღევანდელი სახე სამარცხვინო ლაქად დარჩება ისტორიას. აბსოლუტურად გაუნათლებელი ადამიანები პოლიტიკურ სფეროში, ეკონომიკაში ხელის შემშლელ მუშაობას ეწევიან. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არის ისეთი საკანონმდებლო სიტუაცია, როდესაც ორ-სამ ადამიანს შეუძლია იწოდოს პოლიტიკური ორგანიზაციის სახელი.

საჭიროა კანონი, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაარეგულირებს ხალხის ბედის განმგებლის პრეტენზიის მქონე ჯგუფების შექმნასა და საქმიანობას.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს იმას, ვისაც მცირედი ავტორიტეტი მაინც აქვს საზოგადოებაში. ასე რომ იყოს, დღევანდელ დღეს ტელევიზიით გამომსვლელი ზოგიერთი "პოლიტიკური" ორგანიზაციები, რომელთა განცხადებები და პროგრამები იუმორისტული გადაცემისათვის უფრო მართებული იქნებოდა, განახევრდებოდა მაინც.

შესაბამისად, იქნებ არ წარმოშობილიყო ის უხერხული მდგომარეობაც, რომელშიც აღმოჩნდა არჩევნების წინ მთელი ერი იმ მოჭარბებულად პატივმოყვარე ადამიანების წყალობით, რომლებსაც ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ საზოგადოების მოწყობის შესახებ. ამიტომ, უდავოდ უნდა არსებობდეს ისეთი ფილტრი, რომელიც ასეთ პროცესებს გარკვეული ზომით დაწმენდს.

რაც შეეხება რუსთაველის საზოგადოებას, როგორც უკვე ვთქვი, საქართველოს უეჭველად სჭირდება ინტელექტუალური, არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გარკვეული მედიატორის როლს შეასრულებს საზოგადოებაში, გაანეიტრალებს ისედაც გართულებულ სიტუაციას, და რა თქმა უნდა აქტიურად იმოღვაწეებს საზოგადოებრივ სფეროში. მე მჯერა, რომ იგი აუცილებლად გაართმევს თავს ამგვარ ამოცანებს და სავსებით სწორად მიმაჩნია მისი გადაწყვეტილება არ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა.

— მოსალოდნელია თუ არა უმუშევრობა საქართველოში?

— უმუშევრობა მოსალოდნელია. რაღა თქმა უნდა, საბაზრო

ეკონომიკას ახლავს თავისი კანონები, მოაქვს კონკურენცია. ჩვენს სასოგადოებას მოუწევს გარკვეული საწყისი ეტაპის გავლა, რომელიც მტკივნეული იქნება. ეს გარდაუვალია.

— რაზეა დამოკიდებული ჩვენი სამანეთო ზონიდან გამოსვლა და როდის არის მოსალოდნელი?

— ამ საკითხის გადაწყვეტა საჭიროა მეტად ფრთხილად და ფაქიზად. მას ახლავს მთელი რიგი სირთულეები, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით ეს პრობლემა იოლი გადასაჭრელია. გვაქვს მოლა-პარაკება მთელ რიგ ქვეყნებთან, სადაც შეიძლება ფულადი ნიშნის დაბეჭდვა, რომელიც დაჯდება ალბათ დაახლოებით 5-6 მილიონი დოლარი. როდის შევა იგი ბრუნვაში, ძნელი სათქმელია, იგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ანქარება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს, ისევე როგორც დაგვიანება.

— ბ-ნო რომან, თქვენ ახლახან დაბრუნდით ალმა-ატიდან, სადაც მიმდინარეობდა სამანეთო ზონის ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლების შეხვედრა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— ეს შეხვედრა შედგა 17-18 სექტემბერს. ალმა-ატაში განხილულ იქნა ყველა ქვეყანასთან წინასწარ შეთანხმებული რუსეთ-ყაზახეთის პროექტი, რომელშიაც რუსეთის ფედერაციას და მის ცენტრალურ ბანკს მინიჭებული ჰქონდა ძალზე დიდი უფლებები, როგორც ნაღდი ფულის, ასევე საკრედიტო ემისიის რეგულირების საქმეში.

ჩვენმა დელეგაციამ არსებითი ცვლილებები შეიტანა განსახილველ დოკუმენტში. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც არ დაუჭირეს მხარი მათ მიერვე უფრო ადრე მოწონებულ ვარიანტს. ცხარე დებატების შემდეგ, რუსეთის ვარიანტი დაწუნებული იქნა. რუსეთის დელეგაციამ ახალ ვარიანტს ხელი არ მოაწერა. მოგვიანებით კი საკუთარ მთავრობასთან, მოსკოვში კონსულტაციების შემდეგ დოკუმენტზე გააკეთა მინაწერი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთი დაეთანხმება პროექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლი შეცვლილი იქნება მათ მიერ შემოთავაზებული პირვანდელი ვარიანტით.

საქმე იმაშია, რომ რუსეთის ფედერაციას სურდა ისეთივე ფულად-საკრედიტო მექანიზმის შემუშავება, როგორიც ამჟამად მოქმედებს, როცა რუსეთის ცენტრალური ბანკი სხვა ქვეყნების ბანკებისაგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი კონტროლის გარეშე ახორციელებს სამანეთო ზონის ყველა ქვეყნის საკრედიტო და ფულადი სისტემის რეგულირებას.

ალტერნატიულ ვარიანტში ფულად საკრედიტო პოლიტიკა, მათ შორის ნაღდი ფულის ემისია და საკრედიტო ემისია უნდა განისაზღვროს მონაწილე ქვეყნების ცენტრალური (ეროვნული) ბანკების მიერ ერთობლივად, ბანკთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს

შექმნის გზით.

ასეთ პირობებში რუსეთის ცენტრალური ბანკი გახდება ერთ-ერთი მონაწილე და არა ერთადერთი გამტარებელი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკისა.

იმ შემთხვევაში, თუ ალმა-ატის შეხვედრაში მონაწილე ყველა ქვეყანა უკან არ დაიხევს და მხარს დაუჭერს საქართველოს დელეგაციისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წინადადებებს, მოწესრიგდება მრავალი ისეთი საკითხი, როგორიცაა: ფულადი ნიშნებით დროზე მომარაგება, საბანკო ოპერაციების დაჩქარება, საქონლის ურთიერთმიწოდებაზე ანგარიშსწორების გამარტივება, საკრედიტო ემისიის კვოტების სწორად განაწილება, უცხოური ვალუტის კურსის რეგულირება და მრავალი სხვა.

შეთანხმებული და არა რუსეთის ბანკის დიქტატის ქვეშ წარმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მანამ სანამ საკუთარ ვალუტას შემოვიღებდეთ. ეს კი, ალბათ მომავალ წელს მოხდება.

— დაბოლოს, რამდენადაც ყოფილთ თქვენ მონაწილეობას ღებულობთ არჩევნებში საარჩევნო ბლოკ "11 ოქტომბრის" სიით. თუ არ ეცდები, თბილისის №2 საარჩევნო ოლქის სიის სათავეში ბრძანდებით. რითაა განპირობებული თქვენი მონაწილეობა ამ ბლოკში.

— ეს ბლოკი შედგება მრავალნაცადი პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან. მასში გაერთიანებულია სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, "დასი", ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

ამ ბლოკში თავმოყრილნი არიან ძირითადად ახალგაზრდა, ძლიერი პოლიტიკოსები და მაღალი დონის სპეციალისტები. ეს არის ახალი თაობისა და გამოცდილი ადამიანების სინთეზი.

მე მიმაჩნია, რომ საქართველოში სწორედ ეს ბლოკი გახლავთ ზომიერი, უკიდურესობებისაგან დაშღვეული პოლიტიკური ძალა და წარმოადგენს პროფესიონალებით შედგენილ ჯგუფს.

სწორედ ამ ბლოკს დაუჭირა მხარი ბ-მა აკაკი ბაქრაძემ და თავის ამასწინანდელ ტელეგამოსვლაში მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მიეცათ მათთვის. ვფიქრობ, ეს თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ ბ-ნო რომან და გისურვებთ წარმატებებს მოახლოებულ არჩევნებში.

სექტემბერი. 1992 წ.

— ბატონო რომან, რა მიზანს ისახავდა ალმა-ატაში გამართული საერთაშორისო ზონის ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლების შეხვედრა?

— თათბირის დღის წესრიგში იდგა შეთანხმებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გამომუშავება იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც საკუთარი ვალუტის შემოღებამდე დროებით იყენებენ მანეთს ან რომლებიც მომავალშიც აპირებენ სამანეთო ზონაში დარჩენას და მანეთის შენარჩუნებას. ფაქტობრივად, რესპუბლიკებს წინასწარ ჰქონდათ პარაფირებული დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ცენტრალური ბანკის პრიმატს ფულად-საკრედიტო სივრცეში, მისთვის ძველი უფლებებისა და მდგომარეობის შენარჩუნებას.

სურათი ნათელია. რუსეთი დღეს ფაქტობრივად დამოუკიდებლად განაგებს მანეთის როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო ემისიას. მასზე მთლიანად არის დამოკიდებული, რა რაოდენობის ნაღდ ფულს გასცემს მანეთის ზონის ქვეყანებზე და რა დროში მიაწვდის მათ ამ თანხებს. იგი ასევე ატარებს უკონტროლო საკრედიტო ემისიას. რომელიც ინფლაციური პროცესების განვითარების სტიმულატორია.

ალტერნატიულ ვარიანტში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მათ შორის ნაღდი ფულისა და საკრედიტო ემისია, უნდა განისაზღვროს მონაწილე ქვეყნების ცენტრალური (ეროვნული) ბანკების მიერ ერთობლივად, ბანკთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის გზით. ასეთ პირობებში, რუსეთის ცენტრალური ბანკი გახდება სამანეთო ზონაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გამტარებელი.

— რა პოზიცია დაიკავა საქართველოს დელეგაციამ აღნიშნული დოკუმენტის მიმართ?

— უაღრესად კონსტრუქციული და პრინციპული, რომელმაც არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა განსახილველ დოკუმენტში. მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა — სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც აღარ დაუჭირეს მხარი სულ ახლახან მათ მიერვე მოწონებულ ვარიანტს.

ჩვენი დელეგაციის მონდომებით და აქტიური მოთხოვნით, შეთანხმების დოკუმენტში დაფიქსირდა მეტად პრინციპული მუხლი, რომლის თანახმადაც ნაღდი ფულის ემისია და საკრედიტო ემისიის დარეგულირება უნდა მოახდინოს არა რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა, არამედ სამანეთო ზონის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ შექმნილმა ორგანომ — ბანკთაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ. მან უნდა განსაზღვროს მთლიანი სამანეთო ზონის საკრედიტო ემისიის

ოდენობა, ნაღდი ფულის გამოშვების მოცულობა, შეიმუშაოს კვოტები, თუ რომელ ქვეყანას რა რაოდენობის კრედიტების გაცემა შეეძლება და რა წესით მოხდება ნაღდი ფულის მიწოდება.

რუსეთის დელეგაციამ ეს მოთხოვნები კატეგორიულად უარყო, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ცალკეულ ქვეყნებთან დადებული ჰქონდა ორმხრივი ხელშეკრულებები, საბოლოოდ თავისი ვარიანტი მაინც ვერ გაიტანა. ამასთან, შეთანხმებაში შევიდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებაც – სავალუტო კურსის რეგულირების საკითხი. აქაც, მანეთის ერთიან კურსს განსაზღვრავს არა მარტო რუსეთის ცენტრალური ბანკი, არამედ ბანკთაშორისი საბჭო.

აქვე განისაზღვრა რუსეთის ფედერაციის ვალდებულება – დააკმაყოფილოს მანეთის ქვეყნების მოთხოვნა ნაღდ ფულზე, პასუხი აგოს ზარალზე, რომელიც ფულადი სახსრების მოუწოდებლობით წარმოიქმნება.

არის სხვა მომენტიც. პირვანდელი ვარიანტით მანეთის გარდა სხვა რომელიმე საგადამხდელო საშუალების გამოყენება იკრძალებოდა. ახალი დოკუმენტი ნებას რთავს ქვეყნებს მანეთთან ერთად ნაღდ მიმოქცევაში გამოიყენონ ფულის სხვა ანალოგებიც – კუპონები, საანგარიშსწორებო ბილეთები და სხვა. ფულის ამ ანალოგების ემისია უნდა წარმოებდეს სამანეთო ემისიის საერთო თანხის ფარგლებში.

– ყველა ეს პრობლემა არსებითია. საინტერესოა, ხელშეკრულებას სამანეთო ზონის ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი?

– არა. ხელშეკრულება პარაფირებულია სომხეთის, ბელორუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის წარმომადგენელთა მიერ. განხილვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ლიტვის, მოლდოვეთისა და უკრაინის რესპუბლიკები, რომელთაც ძირითადად მოიწონეს დოკუმენტი და ხელი მოაწერეს როგორც მეთვალყურეებმა (მათი წარმომადგენლები უფლებამოსილი არ იყვნენ ემოქმედათ მთავრობის სახელით). რუსეთის დელეგაციამ შეთანხმების ახალ, გადამუშავებულ ვარიანტს თავდაპირველად ხელი არ მოაწერა, მოგვიანებით კი საკუთარ მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ დოკუმენტზე გააკეთა მინაწერი, რომ თანახმანი იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლი შეიცვლება მათ მიერ შეთავაზებული პირვანდელი ვარიანტით.

– რა მოხდება, რომელიმე ქვეყანამ რომ მიიღოს გადაწყვეტილება – შემოიღოს საკუთარი ეროვნული ფულადი ერთეული?

– ამ შემთხვევაში, მან სამი თვით ადრე უნდა აცნობოს სამანეთო სივრცის ყველა ქვეყანას, რათა ერთმანეთს ზარალი არ მიაყენონ.

— ბატონო რომან, ჩვენი დელეგაცია ამ შეხვედრაში მონაწილეობდა მეთვალყურის სტატუსით. საკითხავია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებით ჩვენ, თუ ამ ხელშეკრულებას არ შეეუერთდებით?

— ჩვენ გვაქვს რამდენიმე ვარიანტი. პირველი: გამოვიდეთ სამანეთო ზონიდან და შევქმნათ საკუთარი ვალუტა. უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ჩვენ არ შევუერთდებით ხელშეკრულებას, ისინი თვითონვე წამოგვიყენებენ მოთხოვნას — გავიდეთ სამანეთო ზონიდან. მეორე ვარიანტია — შევიდეთ სამანეთო ზონაში იმ პირობით, რომელსაც ამ ზონის ქვეყნები ერთობლივად შეიმუშავებენ. მესამე ვარიანტი — გამოვაცხადოთ, რომ ვაპირებთ საკუთარი ვალუტის შემოღებას და წინასწარ რამდენიმე თვით ადრე შევატყობინოთ ქვეყნებს, რომელი პერიოდიდან ჩაერთვება ფული ბრუნვაში. საკუთარი ფულის შემოღებამდე, რა თქმა უნდა, ჩვენთან ძირითად საგადამხდელო საშუალებად მანეთი დარჩება.

— როგორც ვიცით, უკრაინას, მოლდოვეთს, ლიტვას, ლატვიას, აზერბაიჯანს უკვე აქვთ საკუთარი ფულის ნიშნები, მაგრამ მთლიანად დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა და ფულად-საკრედიტო მექანიზმი ჯერაც არ შეუქმნიათ.

— ეს არც არის საკვირველი. ასეთი მექანიზმის შექმნა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული და მას სერიოზული მომზადება სჭირდება. ამ საქმეში როგორც დაგვიანებამ, ისე ჩქარებამ შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდოს. ამიტომ, უნდა ვიმოქმედოთ ფრთხილად, მოფიქრებულად, ეკონომიკური რეალობის შესატყვისად.

— საჯარაუდოდ, მაინც როდიდან შეიძლება საკუთარი ვალუტის შემოღების იმედი ვიქონიოთ?

— თუ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დღევანდელი თვალსაწიერიდან წარმოგვიდგენია, ალბათ ეს მოხდება 1993 წლის ბოლოსათვის. არც შეეხება ფულის ნიშნების დაბეჭდვას, ეს წმინდა ტექნიკური საკითხია და დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული. მისი დამზადება სულ რამდენიმე თვის საქმეა.

— მაგრამ ვიდრე საკუთარ ვალუტას შემოვიღებდეთ, როგორი იქნება ჩვენი პოზიცია.

— მანამდე ჩვენ ალბათ მოგვიწევს რუსეთთან ორმხრივი შეთანხმების დადება ან მოგვიანებით, თუკი ჩვენთვის მისაღები იქნა, ამ ხელშეკრულებასთან დროებით შეერთება, რადგან ჯერჯერობით მაინც სამანეთო ზონის ფარგლებში არსებული წესებით ვმოქმედებთ. თუ რუსეთი მიიღებს დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებებს, მაშინ იძულებული გავხდებით ფორსირებული წესით შემოვიღოთ ვალუტა, რაც, რა თქმა უნდა, დაარღვევს იმ გეგმას, რომლითაც ჩვენ მივდივართ. თუმცა ყველა მოსალოდნელი ვარიანტისათვის მზადა ვართ და

გარკვეული დამცავი მექანიზმიც გვაქვს შემუშავებული.

— არადა, საშანეთო ზონის ქვეყნები რუსეთის ეკონომიკაზე "ბუქსირით რომ არიან გამობმული", ეს ამ დღეებშიც გამოჩნდა. რუსეთში ერთნახევარჯერ გაიზარდა ფასები და აქაც შაშინვე იწყო აჯარდნა. დღეს საქართველოში საწვავის ციებ-ცხელებაა. რაში ხედავთ გამოსავალს?

— სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებლად წარმოიშვა პროცესები, რომელთა თავიდან აცილება ძალზე ძნელია. თუმცა არსებობს ამ ფაქტორების შერბილებურად მოქმედების მექანიზმიც. ყველა გარეშე ფაქტორის შედეგად გამოწვეული პროდუქციის გაძვირება კომპენსირებული უნდა იყოს მოსახლეობისადმი მხარდაჭერის პოლიტიკით. რაც შეეხება ბენზინის დეფიციტს, აქ მრავალი ობიექტური მიზეზის გარდა, არსებობს სუბიექტური ფაქტორებიც. სახელმწიფოს, რომლის მიერაც მონოპოლიზებულია ნავთობპროდუქტებით მომარაგება, დღევანდელ პირობებში უკვე აღარ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს კომერციულ სამეურნეო სუბიექტებს, ამიტომ საჭიროა ამ სისტემის სასწრაფოდ დეცენტრალიზება და მის ნაცვლად ახალი ფირმების წარმოშობა. მაქსიმალური თავისუფლება უნდა მივცეთ კერძო პირებს და ფირმებს, რომელთაც რუსეთიდან ნავთობის შემოტანა შეუძლიათ. ამჟამად არსებული სისტემა ყოველნაირად არღვევს ამ პროცესს, ხელს უწყობს ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის ფსევდოკომერციული პარალელური სისტემის დანერგვას. ამას დროზე უნდა მოევლოს.

— არის ხმები, რომ ბენზინის ფასი კიდევ უნდა გაიზარდოს.

— ახლო მომავალში ეს გათვალისწინებული არ არის. თუმცა, ხელოვნურად მისი შენარჩუნებაც არ არის მიზანშეწონილი. რა მოხდება შემდეგ, ამას ცხოვრება გვიჩვენებს.

სექტემბერი. 1992 წ.

"ღიმილს მოელი სერიოზულობით მოეპყარით" — ეს კეიპტაუნელი პროფესორის პილოუსკის მოწოდება გახლავთ, უახლესი მეთოდებით (კომპიუტერზე შექმნილი სიცილის მოდელის ჩათვლით) მის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სიცილის დროს ადამიანის სახის კუნთები წარმოქმნიან განსაკუთრებულ იმპულსებს, ისინი ხსნიან დაძაბულობას და სასიკეთო გავლენას ახდენენ ნერვულ სისტემასა და ტვინის მუშაობაზე.

მაშინაც კი, როცა განწყობაზე არა ხართ და ძალდატანებით იღიმებით, მექანიზმი მუშაობს და შედარებით სიმსუბუქეს გრძნობთ, ამტკიცებს მეცნიერი. იგი დარწმუნებულია, რომ სიცილი ადამიანების მიერ გამომუშავებული "სოციალური რეფლექსია", რამდენადაც გაღიმებულ ან გაცინებულ ადამიანს რომ უყურებენ, სხვა ადამიანებსაც კარგი განწყობილება ექმნებათ.

— ბატონო რომან, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე მინისტრი არა ვარ, რაკი მინისტრი არა ვარ, თანამდებობის დაკარგვის შიშიც არა მაქვს, რადგან უშიშარი ვარ, მაშასადამე, თავისუფალი ვარ. პოდა, გიწვევთ ერთობ არაორდინალურ დიალოგში. მეცნიერების სფეროში მცირე ექსკურსიც ამიტომ დამჭირდა.

— კეთილი!

— ეთანხმებით თუ არა ჩემს ამერიკელ მეგობარს და მის მიერ აღიარებულ "სოციალურ რეფლექსს" თქვენში რა უფრო იწვევს?

— ჩვენს დიალოგს სიცილით რატომ ვიწყებთ?

— აბა, ჩვენი ეკონომიკით რომ დავიწყოთ, ტირილი მოგვიწევს. ძალიან გთხოვთ, დაგვიჯერეთ მეც და კეიპტაუნელ პროფესორსაც. ესეც ვცადოთ, იქნებ სიცილმა მაინც გადაგვარჩინოს.

— რა გაეწყობა! ჩემში სიცილს იწვევს დახვეწილი იუმორი და ტიპაჟი.

— თეატრალურად თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ რაიმე ანეკდოტს ხომ ვერ გაიხსენებთ.

— ყოფილი უსენაესი საბჭო მთლიანად ანეკდოტი იყო. ედვარ შენგელაიას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა, ძველი პარლამენტი ფუნქციონირებდა, ფილმის გადაღების იდეა გაუჩნდა. იგი ამბობდა: პარლამენტი მალე დაიშლება, ყველა უმუშევარი დარჩება, მე ეათ ამ ფილმში დავასაქმებ და საკუთარ თავს განვასახიერებინებო.

— ვიცე-პრემიერობა ფილმში თქვენს მონაწილეობას ხელს

ხომ არ შეუშლის?

— მე, ალბათ, ეკონომისტ რომან გოცირიძის როლზე მიმიწვევს.

— რაკი სატირულ-იუმორისტულ სიტუაციებში გიწევდათ მოღვაწეობა, იქნებ გაიხსენოთ რაიმე კურიოზი?

— როცა ბიუჯეტში ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე შემოსავალი, ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ მაინც ხდება დაკრედიტება და ამაზე სპეციალისტები ამბობენ — წითელზე ვზივართო. ამ ექვსი თვის წინათ ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა მოხსენება ბიუჯეტის შესახებ, ზოგიერთებმა "კორიდორული" ჟარგონი სამეცნიერო ტერმინად მიიჩნიეს და ოფიციალურ დოკუმენტში გაჩნდა ფრაზა "წითელზე ვზივარ". მბეჭდავმა ეს შეცდომად ჩათვალა და მოხსენებაში თავისი "კორექტივები" შეიტანა — "ფინანსთა სამინისტრო წითელზე ზისო".

— საპინისტრო იქიდან როდის ჩამოვა არ ვიცი, მაგრამ თქვენ რომ ახლახან ჩამობრძანდით კორეიდან, ეს კარგად ვიცი. რადგან ამჯერად ჩემი ინტერესების სფერო ღიმილს არ სცილდება, იქნებ იქაური იუმორიც გაგვაცნოთ.

— კორეელ პარტნიორებს ძალიან უჭირდათ ჩვენი გვარების, განსაკუთრებით ეკონომიკის მინისტრის მიხეილ ჯიბუტის გვარისა და სახელის წარმოთქმა. ერთ მშვენიერ დღეს მიშამ განაცხადა: კორეელი ხალხის პატივსაცემად ვიცვლი გვარ-სახელს და ამიერიდან არა ჯიბუტი მიხეილი, არამედ ჯი მინ სუ ვიქნებიო. (სუ - კორეულად აღმატებულებას ნიშნავს). ამ იუმორმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და არაოფიციალურ შეხვედრებზე მიხეილ ჯიბუტს ჯი მინ სუდ მოიხსენიებდნენ.

— ჯი მინ სუს უახლოეს მომავალში თარჯიმანთან ერთად ვეწვევით, თქვენ კი ახლა მშობლიურ ენაზე ერთ ანეკდოტს გიამბობთ.

რომან გოცირიძეს ჰკითხეს: სამი წლის შემდეგ როგორი საახალწლო სუფრა გვექნებაო. — თუ საბაზრო ეკონომიკაზე რიგიანად გადავედით, ურიგო არ იქნებაო.

— შე კაი კაცო, რიგებზე ლაპარაკს მაინც არ იშლიო?

— მართლა ჩემზეა თუ... თქვენი ექსპრომტია?

— რა მნიშვნელობა აქვს. თქვენ გეძღვნებათ და უკვე გავრცელებულიცაა.

— მაშინ ასე გიპასუხებთ: სამი წლის შემდეგ უაღრესად რიგიანი სუფრა გვექნება.

— რაც მართალია, მართალია, ეკონომისტის გარდა ვერავინ გათვლიდა! თუ სამი წლის შემდეგ საქმე კარგად წავა, რომან გოცირიძე იტყვის: ხომ ვიწინასწარმეტყველე, როგორც წესი და რიგია, ისეთი სუფრა გვექნებაო, თუ არაფერი გვეშველა, მაშინ იტყვის ხომ ვამბობდი რიგები არ აგვცდებაო.

— ვიცე-პრემიერობამ თქვენი თაყვანისმცემლების რიცხვი რამდენ პროცენტამდე გაზარდა?

— საგრძნობლად შეამცირა. ამას წინათ, საერთაშორისო საგალუტო ფონდის ოკუპაციანი დელეგაციის გამოსათხოვარ ბანკეტზე მისმა ხელმძღვანელმა ჩემი სადღეგრძელო რომ წარმოთქა, მისურვა ყველაზე არაპოპულარული კაცი ვყოფილიყავი საქართველოში. აქ ღრმა ქვეტექსტი დევს. ეკონომიკური რეფორმების გამტარებლების პოპულარობა პირდაპირ პროპორციულია რეფორმების ჩავარდნასთან და უკუპროპორციულია მის წარმატებასთან.

— რაკი თქვენ ისევ ეკონომიკისაკენ გადაუხვიეთ, მაშინ მეც ამერიკელ მეცნიერებს დაუხედავ და მათი ხანგრძლივი კვლევის შედეგებს დავაზუსტებ - მკაცრი დიეტა ქსოვილებში ასაკობრივ ცვლილებებს ხომ არ აჩქარებს? ამ კითხვას ათასმა მეშიერმა თავგზა გასცა პასუხი. პირიქით, ცვლილებები წარმოიქმნებოდა ან გვიან, ან საერთოდ ქრებოდა. ერთი სიტყვით, სიბერე უკან იხევდა. გამხდარი თაგვები და ვირთხები ცოცხლობდნენ ერთნახევარჯერ მეტ ხანს, ვიდრე მათი მაძღარი თანამოძმენი. თურმე ნუ იტყვით, ბევრს შეჭამ — მალე დაბერდები. მარხვის შესახვა რომ სასარგებლოა, ამას ჩვენს ჯანმრთელობაზე ხელისუფლების ზრუნვაც ადასტურებს. ასეა თუ ისე, შიმშილობის პრობლემა გადაჭრილია, ახლა ჩასაცმელსაც მივხედოთ. მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა საქართველოში ლელვის ხეების მოშრაგლება?

— დიახაც გვჭირდება!

— ადამსა და ევას ლელვი მას შემდეგ დასჭირდათ, როცა სამყარო შეიცნეს. ჩვენ სამყაროს შეცნობის საწყის სტადიაში ვართ. თუ თქვენ ლელვის პრობლემა წინ წამოწიეთ მატერიალური სიდუხჭირის გამო, მე რატომღაც ჩვენი ცნობიერების გამოღვიძებას ვუკავშირებ. ჩვენ ახლა ჩაგვძახებენ — გაახილეთ თვალი, შეიცანით სამყარო, გაიხედ-გამოიხედეთ, შეიცვალეთ შეხედულებები, მათ შორის ეკონომიკური "მსოფლმხედველობა"... და მიხვდებით, თურმე ცოტა უხერხულ პოზაში ვყოფილვართ.

ლელვის ხის ფოთლის აუცილებლობა ჩემთვის გონიერი აზრის აღდგენისა და კაცობრიობის ცივილიზებული, ბუნებრივი განვითარების კალაპოტში დაბრუნებას ნიშნავს. სამწუხაროდ, ჩვენ ლელვის ფოთოლი ჯერჯერობით ხიდან არც კი ჩამოგვიგდია.

— მე ჯერ ეკონომიკასა და იუმორს რაღაც საერთო ჰქონიათ.

— დიახ, ერთიცა და მეორეც თუ კარგია, ერთნაირად დადებით ემოციებს იწვევს.

— ოჯახში მფლანგველ, უყაირათო ქალს თუ აიტანდით?

— ამას ეკონომიკური თვალით არ ვუყურებ, მაგრამ ასეთი დახასიათება მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის მაჩვენებელია და ალბათ დიდ სიამოვნებას არ მომგვრის.

— თვალი ჭაშს და თვალი სვაშსო, — ნათქვამია. ფერხორციანი ანუ კომუნისტების დროინდელი ქალები უფრო მოგწონთ თუ თავისუფალი საქართველოს ფერ-უმარილიანი, უპურ-უმარილო ასულები?

— გამხდრები კი... "ფერ-უმარილიანი" ზომიერად.

— ღვინოც ოდნავ შეფერადებული ხომ არ მოგწონთ?

— დიახ, წითელი ღვინო და ლუდი მიყვარს.

— დედის გაკეთებული საჭმელებიდან რა გენატრებათ?

— ღომი, სულგუნი, მჟავეული...

— მარტოკაცი ჭაშაშიაც ბრალიაო, არ დაგაკიწყდეთ, რომ მე და თქვენ ნათესავები ვართ!

— როგორ?

— ორივე ლრიანკალები ვართ, ვფიქრობ სულიერი ნათესაობა სისხლით ნათესაობას არ ჩამოუვარდება.

— გეთანხმებით... მაშ თქვენ ჩემი ხასიათი კარგად გცოდნიათ.

— მუშაობასა და ვალდებულებების შესრულებაში ამყლავნებთ რკინის ნებისყოფას, ბუნებით მებრძოლი ხართ. თქვენთვის მეტად ძვირფასია დამოუკიდებლობა... თქვენი დახასიათება რომ გავაგრძელო, თვითრეკლამა გამოვიყვა.

— პოროსკოპს ვუყურებ, როგორც გონებამახვილურ თამაშს, სიამოვნებით ვკითხულობ, მაგრამ პრაქტიკულად მისი რჩევები არ გამომიყენებია. თუმცა, სკეპტიკოსის კვალობაზე ვაღიარებ, დახასიათებები ძირითადად ემთხვევა.

— გულჩვილი ხართ?

— პათეტიკასა და სენტიმენტალიზმს ვერ ვიტან, გულჩვილი, ალბათ, ვარ...

— მერე არ გეცოდებით, რომ ჩაგვჩიჩინებთ: სამ წელიწადს ვინც გაუძლებთ — გაუძლებთ, ვინც არა და...

— მე ასე არ ვფიქრობ. თუმცა მედიცინაში სიმართლით განკურნებაც ერთ-ერთი ხერხია, თანაც ზნეობრივი.

— ასე ტკბილად (მხოლოდ წყვილად) დაგვიბერდით!

თებერვალი. 1993 წ.

— ბატონო რომან, რას ნიშნავს თქვენი აზრით პოლიტიკური გამარჯვება და როგორ დამოკიდებულებაშია იგი მორალურ, ზნეობრივ და სულიერ გამარჯვებასთან?

— გააჩნია "პოლიტიკურ გამარჯვებაში" რა იგულისხმება, ან ვის ეხება.

შეიძლება პოლიტიკური გამარჯვება სახელმწიფოთა დონეზე განვიხილოთ. შეიძლება პარტიებს შორის, პოლიტიკურ ძალებს შორის პაექრობაში გამოვლინდნეს გამარჯვებული, მაგალითად, არჩევნების დროს. შეიძლება, პოლიტიკურ გამარჯვებას პიროვნული თვალსაზრისით შევხედოთ, როცა ესა თუ ის პოლიტიკოსი აღწევს წარმატებას. ამიტომ, ცალსახად ძნელია პოლიტიკური გამარჯვების შესახებ მსჯელობა, თუ არ დავაკონკრეტებთ განზოგადების რა დონეზე გვაქვს საუბარი. ზოგადად, პოლიტიკური გამარჯვება არის დასახული მიზნების განხორციელება, თუმცა, სხვა საკითხია, რომ ეს მიზანი ყოველთვის არ შეიძლება იყოს ჰუმანური. სწორედ აქედან იწყება პოლიტიკური პროცესის მორალური და ზნეობრივი შეფასება. ბოლშევიკებმა პოლიტიკურად გაიმარჯვეს, ისევე როგორც პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია ჰიტლერმა თავის დროზე. გამარჯვება ერთია, შედეგი მეორე. საერთოდ, პოლიტიკური გამარჯვება მაშინ არის ზნეობრივი, როდესაც იგი ემსახურება ჰუმანურ, ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, ერისა და ადამიანის თავისუფლებას. ამიტომ, პოლიტიკაში მიზანი მნიშვნელოვანი მორალური ფაქტორია. ამასთან, პოლიტიკური მიზანი მაშინაა ზნეობრივი, როცა მისი მიღწევის საშუალება ასევე ზნეობრივია. როცა ეს საშუალება არის გაუმართლებელი ან უარეს შემთხვევაში დანაშაულებრივი, თავისთავად კეთილი მიზანიც კარგავს პირვანდელ დანიშნულებას. ცალკეული პიროვნებისათვის პოლიტიკური გამარჯვება არის არა ამწუთიერი პოპულარობა, მოსახლეობის უმეტესობის კეთილი განწყობა, ან ეგრეთწოდებული რეიტინგი, არამედ იმ საქმის სწორად წარმართვა, რომელსაც ემსახურება და რომლის შედეგები შეიძლება თვალში საცემი გახდეს მოგვიანებით.

პოლიტიკური წარმატების, თუ პოლიტიკური შეფასების კრიტერიუმი, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ადამიანის მასობრივი პოპულარობა, მეორეში კი პირიქით, იგივე საყოველთაო პოპულარობა შეიძლება იყოს ამ პოლიტიკის სიმცდარის მაჩვენებელი. სიძნელეს არ წარმოადგენს მაგალითების მოტანა იმ პოპულარული ადამიანებისა, რომლებიც სამართლიანად იმსახურებდნენ ხალხის სიყვარულს და იმ ადამიანებისა, რომლთა მიმართ მასობრივ აღტყინებას არავითარი გონივრული საფუძველი არ გააჩნდა. მოკლედ პოლიტიკის, თუ პოლიტიკოსის ჭეშმარიტების შეფასების კრიტერიუმი არის დრო, საქმე,

შედეგები.

– მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას რამდენად გაიზიარებდით, რომ არ იყოთ ვიცე-პრემიერი?

– ყველაფერი უნდა შეფასდეს ისტორიული მომენტის, რეალური სიტუაციის კონტექსტში. ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია რეალობის შეკრძნება, მოვლენების სწორად შეფასების უნარი (ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების ცოდნაზე და სოციალური პროცესების სიღრმისეულ შეფასებაზე), არა თუ არ შეიძლება იყოს პოლიტიკოსი, ამ სიტყვის მრავალმხრივი გაგებით, არამედ საზოგადოებისათვის საშიშიც კი არის მისი ამ სფეროში მოღვაწეობა. როცა მთავრობის, პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობის ავკარგიანობაზე მსჯელობენ და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც უამრავი ფაქტორით არის განპირობებული, დაყავთ ერთ რომელიმე გამარტივებულ მიზეზზე, ეს არის პოლიტიკური პრიმიტივიზმის ტიპიური გამოვლინება, რომელიც ასე დამახასიათებელია პოსტსოციალისტური საზოგადოებისათვის.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებაც ასეთია. თუ გაუბრალოებული სქემით ვილაპარაკებთ, მაშინ ტიპიურ პასუხს გაგცემდით – არ გაიზიარებდი. მაგრამ თუ კარგად ჩაეულრმავდებით მოვლენებს, თუ რატომ ტარდება ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რა ფატალური აუცილებლობაა, რომლის დაძლევა შეუძლებელია მზამზარეული პროგრამებითა და სქემებით, მივხვდებით, რომ ბევრი რამ აღემატება მთავრობის ძალისხმევას, და არა მარტო მთავრობის, მთლიანად ხელისუფლების შესაძლებლობებს, უფრო მეტიც, საქართველოს დღევანდელ პოტენციალს. ეს არის ის ისტორიული ხვედრი, რომელიც გვარგუნა დრომ თუ ბედმა და რომლის დაძლევაც შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი მონდომებისა და ისტორიულ გარემოებათა თანხვედრით. დღევანდელი დებატები სახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანის შესახებ, სადაც ლაპარაკია მთავრობის ფაქტორზე, მისი წევრების კარგ თუ ცუდ მუშაობაზე, პარლამენტარების კომპეტენტურობაზე და მათი განსწავლულობის დონეზე, სადაც მსჯელობენ იმაზე, ეკონომიკა მონეტარისტული გზით უნდა განვითარდეს თუ არამონეტარისტულით, არის თუ არა საჭირო, რომ ესა თუ ის პიროვნება შეიცვალოს სხვა პიროვნებით – ეს არის ქვეყნის დიდ, წინააღმდეგობრივ და მრავალფეროვან სურათზე წარმოსახული მოვლენები, რომელიც თავისთავად ცალკეულად აღებული არაფრისმთქმელია, მხოლოდ მთლიანობაში ქმნის ერთიან სახეს. და ეს ერთიანი სახე რომ დაინახო, საჭიროა არც მთლად ახლოდან შეხედო სურათს და არც მთლად შორიდან. არ უნდა გაამახვილო ყურადღება რომელიმე დეტალზე. მოკლედ, პოლიტიკოსობა ეს არის სამყაროს კომპლექსური აღქმა. ამიტომ, რომ არ ვყოფილიყავი ვიცე-პრემიერი

არც თუ ისე ცოტა ხნის მანძილზე, და რომ არ მქონოდა არა მარტო საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის გამოცდილება და ჩემს მიერ გარედან დანახული სახელისუფლებო პროცესი არ გაფართოებულიყო შინაგანი ხედვით, უკეთეს შემთხვევაში მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას დავინახავდი ისე როგორც, მეცნიერ-ეკონომისტი რომან გოცირიძე, უარეს შემთხვევაში როგორც მთავრობის მოკრიტიკე მეტ-ნაკლები ინფორმაციის მქონე ადამიანი. დღეს სულ სხვა მდგომარეობაში ვიმყოფები, სულ სხვა ინფორმაცია გამაჩნია, როგორც საშინაო, ასევე საგარეო, და რაგინდ ხმამაღლა არ უნდა იყოს ნათქვამი, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ პოლიტიკას ვქმნი კიდევაც. სიმართლე, რომ ვთქვა, ამ მთავრობის ნაკლი, ალბათ, ცოტამ თუ იცის ისე, როგორც მე, მაგრამ რა არის დღეს ქვეყნისთვის უკეთესი, ახლაევ ახალი მთავრობის დაკომპლექტება, თუ ამ პროცესის სამომავლოდ გადადება. ამის შეფასება მოსალოდნელი შედეგების უტყუარი განჭვრეტის საფუძველზე თუ იქნება შესაძლებელი. კითხვები კი უამრავი გაჩენადება ყველას: რომელია, ის ალტერნატიული მთავრობა, ვინ იქნება მასში, რა გავლენას მოახდენს ახალი მთავრობის ფორმირების პროცესი, შიდა პოლიტიკური განხეთქილების ფონზე, მოქალაქეთა ცხოვრებაზე, ქვეყნის ეკონომიკაზე; რამდენი ხნის სიცოცხლე ექნება ასეთი ტკივილებით მოვლენილ არსებას, პირველივე სულის დაბერვაზე ხომ არ გაგვიციცდება სასიკვდილოდ? მაშინ ხომ განაწყენებულთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება, ყიდრე ახლაა, ხოლო მოსახლეობის განწყობილება უფრო არასახარბიელო. მაშ, არის თუ არა ის ორგანო, ამ შემთხვევაში პარლამენტი, რომელმაც უნდა შექმნას ახალი მთავრობა, მ'სად იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს ოპტიმალური გეგმა და პასუხისმგებლობაც იკისროს მასზე. მოკლედ, ყველაფერი მაშინ არის კარგი, როცა ხდება თავისდროულად.

– რამდენად სწორად მიგაჩნიათ პარლამენტში გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო კრახის შემთხვევაში, ყიცე-პრემიერმა, პრემიერ-მინისტრისა და საერთოდ მინისტრთა კაბინეტისათვის, გარკვეულად ბუფერის როლი უნდა შეასრულოს.

– დღეს არის არა ეკონომიკური პოლიტიკის კრიზისი, არამედ სახელმწიფოებრიობის კრიზისი, რომელიც ყველაზე მწვავედ მატერიალურ სიდუხჭირესა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების სირთულეში ვლინდება. ეკონომიკური მდგომარეობა ეს არის ქვეყნის ყოველმხრივი მდგომარეობის გამოვლენა, თუ მოხდება ეკონომიკური კრახი, ეს იქნება არა მხოლოდ მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი, არამედ ქვეყანაში და მის გარეთ შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სხვა უამრავ ფაქტორთა გამო. ჩვენ შემთხვევაში,

ეკონომიკური კრახი სახელმწიფოებრიობის დაღუპვის ტოლფასია, ამიტომ ცნებებსაც სწორად უნდა შერჩევა. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ეკონომიკის უკიდურეს დაქვეითებაზე, ადამიანთა ცხოვრების დონის დაცემაზე, მაგრამ არა გარკვეულ ზღვარს ქვემოთ, რის შემდეგაც ხდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მოშლა, და სახელმწიფოებრიობის რღვევა. ჩვენ ეკონომიკურ კრიზისში ვართ, სადაც ზუსტად უნდა გაიმიჯნოს კრიზისის შიდა და გარე ფაქტორები, ჩვენი შეცდომები და ჩვენგან დამოუკიდებელი პროცესები. უნდა განისაზღვროს თუ სად შეგვიძლია მათი მართვა და სად უნდა მოვუხმოთ საერთაშორისო მხარდაჭერას ჩვენგან უმართავი პროცესების აღსაკვეთად.

რაც შეეხება ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის მიზეზების მხოლოდ პიროვნებებზე გადაბრალებას, ეს ფუჭი და უაზრო საქმეა. პირადად მე არც ბუფერად და არც განტევების ვაცად გამოვდგები. რომ ჰქონდეთ ამის დიდი სურვილი, რაგინდ ორგანიზებული არ უნდა იყოს სააშისო მცდელობა, ეს არეის გამოუვა რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, რომ ძნელია კერკეტი კაკლის გატეხვა, მეორეც — დრო და გარე სამყაროში მიმდინარე პროცესები იცავენ იმ საქმესა და კურსს, რომლის გატარებასაც მე ვცდილობ. რაც შეეხება პიროვნულ დონეზე კირკიტს, ხანდახან შეურაცხყოფამდე გადაზრდილს, საბედნიეროდ ყოველგვარი ემოციის გარეშე ვღებულობ, ვიცი, რა, რომ ეს ხელისუფლების აუცილებელი ატრიბუტია და განსაკუთრებული ამაში არაფერია. მოკრიტიკეთათვის ამგვარი საქციელი ზოგჯერ მათი თვითდამკვიდრების ფორმაა...

დაბოლოს, მჯერა, როცა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, ეს კი, ეჭვგარეშეა, მაშინ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ივნისი. 1993 წ.

დღეს საქართველოში არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც თავის თავზე სრულ პასუხისმგებლობას აიღებს

— დღევანდელი საქართველოს რეალობაში რა დოზით ერევა პოლიტიკური ფაქტორი ეკონომიკურ მოვლენებში?

— საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია მრავალწახნაგოვანია, რომელიც მიზეზ–შედეგობრივად ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და ძნელია, ხშირად განსაზღვრა რომელია მიზეზი და რომელი შედეგი. მაგალითად, პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა განპირობებულია ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით. თუმცა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე უკუგაელენას ახდენენ პოლიტიკური ფაქტორები, მათ შორის არა მარტო ომი აფხაზეთში და გართულებული პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან, არამედ შიდა პარტიული ბრძოლა და შიდა ეროვნული აშლილობა. ამასთან, პროცესები მიმდინარეობს ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფონზე და შექმნილია ისეთი სიტუაცია, როცა არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მართვაზე. მოკლედ, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია თქვას ყველასათვის კარგად ნაცნობი ერთი ფრაზა: "არის ასეთი პარტია!"

— პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების სინდრომი ქართველ პოლიტიკოსთა საერთო სენად ხომ არ იქცა?

— პარტიების, პოლიტიკური ძალების მხრიდან მიმდინარეობს ბრძოლა და ამ ბრძოლის კონკრეტული გამოვლინება ხშირად "ადრესატულ" ფორმას ღებულობს, დავუშვათ, პარლამენტის წინააღმდეგ, ან პარლამენტის ერთი ფრაქციისა მეორის წინააღმდეგ, ან პარლამენტის ნაწილისა მთავრობის წინააღმდეგ. დღეს არ არის პაექრობა ძალაუფლების მყისვე ხელში აღებისათვის. ეს არის პოზიციური ბრძოლა ურთიერთ დასუსტებისათვის, საზოგადოების თვალში საკუთარი სახის შექმნისათვის, ჯგუფური ბრძოლა "ლიდერის მაისურისათვის". მაგრამ ამ ურთულეს სიტუაციაში, როდესაც ეკონომიკის დაცემა ჯერ კიდევ ბოლო ზღვრამდე არ მომხდარა და არც სოციალური უკმაყოფილების ზღვარია გაყინული, პასუხისმგებლობის აღებას ყველა უფრთხის. ამიტომაც არ ჩანს, გარდა ლოზუნგებისა და მკვახე, ხშირად შეურაცხმყოფელი მოწოდებებისა, კონკრეტული ალტერნატიული კონცეფციები, პროგრამები, მოქმედების გეგმა. როდესაც მიმდინარეობს მთავრობის კრიტიკა მაშინ, როცა ეს ძალიან ადვილია, ხშირ შემთხვევაში ობიექტურიც, განსაკუთრებით მისი ჭრელი შემადგენლობის გამო, ეს კრიტიკა არასოდეს არ არის დასაბუთებული ალტერნატიული მოქმედების გეგმის სახით. როცა

ამბობენ, რომ არ მოსწონთ უკვე მოქმედი რეფორმების პროგრამა, ჯეროვნად არვის უთქვამს, აქვთ თუ არა ისეთი პროგრამა რომელიც ამ თუნდაც ცუდ. პროგრამას ჯობია. ამიტომ ის პროცესები, რაც დღეს ვითარდება, არის არა მარტო შიდასაპარლამენტო ბრძოლა ჯგუფებს შორის, არამედ ამ ჯგუფების მიერ ძალაუნებურად შეთანხმებული ზეწოლა მთავრობაზე მისი კომპრომეტაციის მიზნით. მისი საბოლოო დევალვაცია სურთ მაშინ, როცა გამოირკვევა ის ძალა, რომელიც გაბედავს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. შიში ხელისუფლების ხელში აღებისა და პასუხისმგებლობის განაწილებისა, ამ პროცესში პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ მომავალში არც ისაა გამორიცხული, რომ "ხელისუფლების იდუმალმა ხიბლმა", ანუ სკამების მიმზიდველობამ თავზეხელაღებულად, უპასუხისმგებლოდ ათქმევინოს ვინმეს, რომ "არის ასეთი პარტია!". დღესაც არიან ასეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მზად თვლიან ყველაფრისათვის. მე ამას ვუწოდებ "ყორღანაშვილის სინდრომს". გახსოვთ ალბათ, ამ პიროვნებას ეყო თავხედობა თავისი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად წამოეყენებინა. ამ სიტუაციაში, დაქუცმაცებული, ზოგი მეტნაკლებად სერიოზული, ზოგი კი კომიკური "პარტიებისა" და "პოლიტიკოსების" სიჭრელის ფონზე, არ არსებობს სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში ამღები ისეთი ძალა, რომელიც იქნებოდა უმრავლესობა არა მარტო პარლამენტში, არამედ მოსახლეობის უმრავლესობის ნდობით აღჭურვილიც. ხოლო ასეთი ძალის არარსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი პიროვნებების ჯგუფი, რომლებიც მოვლენ ხელისუფლებაში, უმოკლეს ხანში იქნებიან დამხობილნი ოპოზიციის მიერ, მოსახლეობის უკმაყოფილების ფონზე.

— ხელისუფლებისათვის ბრძოლისას, ობონენტ ბოლიტიკურ ძალას, როგორც წესი, სანაცვლოდ საკუთარი პროგრამა და ე.წ. ჩრდილოვანი კაბინეტი აქვს ჩამოყალიბებული. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში თუ არსებობს "ჩრდილოვანი კაბინეტი "?

— როდესაც ვამბობდი, რომ ალტერნატიული პროგრამის გარეშე ხელისუფლებაზე პრეტენზიები არასერიოზული და საშიშია, ამაში ვგულისხმობდი იმასაც, რომ პროგრამას უნდა ჰყავდეს შემსრულებელი პიროვნებებიც, ანუ იგივე "ჩრდილოვანი კაბინეტი". როდესაც იქნება პროგრამა და იქნებიან ადამიანები, მაშინ უკვე შეიძლება რეალური შეფასება იმისა, ქვეყნის მართვა განხორციელდება უკეთესად თუ უარესად.

— გარკვეულ წრეებში არსებობს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების აზრი.

— ხშირ შემთხვევაში კოალიციური ხელისუფლება აღწევს კონსენსუსს და შეუძლია მართოს ქვეყანა. ამის ბევრი მაგალითის

მოყვანა შეიძლება, თუნდაც, თურქეთის ან გერმანიის უახლესი პერიოდის ცხოვრებიდან. მაგრამ კოალიციურ ხელისუფლებას სჭირდება, ჯერ ერთი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციები და რაც მთავარია, უკვე სტრუქტურულად ჩამოყალიბებული და გარკვეული სოციალური ფენებისა და მსოფლმხედველობრივი იდეით გაერთიანებულ ადამიანთა ინტერესების გამომხატველი ნამდვილი პარტიები. ჩვენს დღევანდელ სიტუაციაში, კოალიციური მთავრობის შექმნა ხელისუფლების გაყოფა კი არ იქნება ძალთა შორის, არამედ პორტფელების განაწილება პიროვნებათა შორის. დღეს ჩემი აზრით, ჩვენთვის ყველაზე რეალურია ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო მმართველობა მთავრობის გარეშე, როცა ქვეყანას მართავს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და არა ფრანგული ვარიანტი, როცა არის პრეზიდენტი (ჩვენ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური) და მთავრობაც.

— რა გავლენას ახდენს ეკონომიკურ რეფორმაზე ხელისუფლებისათვის ბრძოლა და პოლიტიკურ დაფაზე ძალთა გადანაწილება?

— ჯერ ერთი, საერთო არასტაბილურობის შენარჩუნებით, მოსახლეობის განწყობის მანიპულაციით, ფსიქოლოგიურად არაკეთილგანწყობილი საზოგადოებრივი ფონი იქმნება. გარდა ამისა, მიმდინარეობს ეკონომიკური გავლენის სფეროების დანაწილება დაწყებული ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი, ფულად-საკრედიტო თუ ადმინისტრაციულ-სამართალდამცავი დონით, დამთავრებული რეგიონებითა და საავტომობილი ტრასების კონტროლითაც კი, რაც დაბალ დონეებზე კრიმინალურ შეფერილობასაც იღებს. თავის მხრივ, არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, საზოგადოებრივი ცხოვრების კრიმინალური ფონი სხვა მრავალ საკითხთან ერთად ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მდგომარეობაზეც ახდენს გავლენას. როცა მატულობს დანაშაულებები, როცა ერთ სამართალდამრღვევზე ლამის ერთი სამართალდამცავი უნდა დავაყენოთ და როცა ირიბი სახელმწიფოებრივი მართვისა და თვითმართვადი საზოგადოებრივი სტრუქტურების ნაცვლად, საჭირო ხდება ახალი და ახალი ადმინისტრაციული ერთეულების, მათ შორის შეიარაღებული ერთეულების ზრდა, უკვე ტიპიურად ვემსგავსებით ლათინურ ამერიკულ სახელმწიფოთა მილიტარისტულ წყობას, სადაც ლამის ნახევარი საუკუნეა თავიდან ვერ მოიშორეს ჰიპერინფლაცია და ბიუჯეტის დეფიციტი შიდა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის, მთავრობაზე კლანური ზემოქმედებისა და ჯგუფური პოლიტიკური ლობის შედეგად.

ბიუჯეტი ვახსენეთ და, მისი ხარჯების გადიდება ან შემცირება უკვე დამოკიდებულია იმ ძალებზე, რომლებიც დაინტერესებულნი

არიან ამ ხარჯებით. დაინტერესება ამ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ უარყოფითად. საკსებით ბუნებრივია, როცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ცდილობს სოციალური სფეროს, განათლების, ჯანდაცვის ან კულტურის დაფინანსების გადიდებას. ისევე როგორც სახელმწიფო დაბანდებების დამატებითი ზრდის მოთხოვნა ვთქვათ, მრეწველობაში ყოველთვის არ შეიძლება იყოს დაკავშირებული უწყებრივ ან სხვა ინტერესებთან. მაგრამ ფაქტია, რომ ბიუჯეტის ფორმირებაზე უკვე იწყებს გავლენას ინტერესთა ერთობლიობა. ეფექტიანი საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომპეტენტურობის, პრინციპულობისა და სახელმწიფო აღმშენებლობის პრიორიტეტების საფუძველზე.

— ახლად ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ისტებლიშმენტში ერთგვარი კრიზისია, თქვენი აზრით რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ამ მხრივ?

— სამწუხაროდ, პოლიტიკურ სარბიელზე, უკანასკნელი დროის განმავლობაში ვხედავთ ერთი და იგივე სახეებს. პოლიტიკოსთა ამჟამად არსებული ფენა, ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან პარლამენტში, მთავრობაში თუ გარეთ, ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის ნგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში. მიზნებისა და მოქმედების ფორმებიდან გამომდინარე, მათ ჰქონდათ საკუთარი სახე, სტილი, მიზანსწრაფვა, მსოფლმხედველობა, ინტელექტი. დღეს საჭიროა განახლება — ახალი ძალების, ახალი იდეების და მსოფლმხედველობის ადამიანების შეღწევა პოლიტიკურ ელიტაში, თუნდაც ახალი მორალით, დასავლური მსოფლმხედველური ორიენტაციით, რომელიც ჩვენი ცნობიერების ეროვნულ საფუძვლებს ფართო დემოკრატიულ-ლიბერალური შეხედულებებით შეავსებს. ეს ძალები საშუალო თაობაში და ახალგაზრდობაშია.

— რა როლი ეკისრება დღეს მიმდინარე პროცესებში პიროვნულ ფაქტორს?

— ჩვენში ადამიანურ ურთიერთობებში იგრძნობა სახელმწიფოებრივი მიდგომის პრიმატის უქონლობა — ძალიან ცოტანი არიან ისეთი სახელმწიფო მოხელეები, რომელთაც შეიძლება უწოდო ერის კაცები. როცა ადამიანი ქვეყნის და მოქალაქის ბედს განაგებს, მის მოქმედებაში უნდა ჭარბობდეს საერთო—სახელმწიფო ქმედების ზნეობრივი პრინციპები, როცა პირადული ინტერესები უკან იხევს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ. სამწუხაროდ, სუბიექტური ფაქტორი დღეს მძლავრობს — ჩვენ არ გვყავს, კლასიკური გაგებით, სახელმწიფო სამსახურის იდეით გამსჭვალული ბევრი სახელმწიფო მოხელე, თუმცა რა თქმა უნდა ასეთებიც არიან. ბუნებრივია, ასეთ

ადამიანთა სიმცირე არ არის რაღაც განსაკუთრებული ეროვნული ნიშანი, ეს არის საუკუნეობრივი სახელმწიფოებრიობის უქონლობის შედეგი. ასეთი ადამიანები ხელისუფლებაში (როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო) მოგვიანებით მოელენ, როცა სახელმწიფოებრიობის იდეა და ერისადმი სამსახური იქნება ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობა და არა თავგანწირვა, გმირობა, ხოლო ხელისუფლების სტრუქტურებში საქმიანობა, - მათი პროფესია, ანუ როცა ჩამოყალიბდება პროფესიონალ პოლიტიკურ მოხელეთა ფენა.

შეხედულებათა უკიდურესობით როგორადაც არ უნდა იყვნენ პოლარიზებული პოლიტიკური წრეები, იგი არ უნდა ვრცელდებოდეს ადამიანურ ურთიერთობებზე. დიდ სოციალურ ჯგუფებს შორის წყალგამყოფი, რომელმაც შემდეგ ცალკეული პიროვნებები გათიშა და ერთმანეთისადმი შეურიგებელი გახადა, კლასიკური ფორმით, ჩვენს დროში არის ბოლშევიზმი. ეს არის იდეოლოგია "ჩვენ და ისინი". გროსმანს თავის ერთ-ერთ რომანში რუსი ერის გათიშვის ტრაგედია პიროვნულ დონეზე ასეთი მაგალითით აქვს გამოხატული: როცა ფაშისტების ტყვეობაში აღმოჩნდება ორი რუსი, ერთი საბჭოელი და მეორე არასაბჭოელი, მიუხედავად იმისა, რომ საერთო მტრის მიერ დატყვევებულნი ერთ საკანში არიან გამომწყედეულნი, ერთმანეთისადმი მაინც მტრად გრძნობენ თავს.

უნდა მოხდეს არა მარტო იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა, ამა თუ იმ პიროვნებების მომხრეთა თუ არამომხრეთა გამთლიანება, არამედ თვით კონფრონტაციულ პარტიებს შორის პიროვნულ დონეზე ადამიანური ურთიერთობის დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შეხედულებები აქვთ მონარქისტებს და რესპუბლიკელებს, კონსერვატორებსა და დემოკრატებს, "მრგვალებსა" და "არამრგვალებს" უნდა შეეგუოთ ერთმანეთთან კეთილმოსურნე დამოკიდებულებას. მოკლედ, როგორც ეკზიუპერი იტყოდა "ყველაზე ძვირფასი, ადამიანური ურთიერთობებია".

ივნისი. 1999 წ.

პოლიტიკა არ არსებობს ეკონომიკის გარეშე

— ბატონო რომან, როგორ დაახასიათებთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას?

— საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფონზე მიმდინარეობს, რასაც თან სდევს სავარძლებისათვის გაწამწია და ციებ-ცხელება.

ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენთან ეს პროცესი უტიფარ ფორმებში ვლინდება. დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში ხელისუფლებაში მოსვლისათვის ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური და აუცილებელი ნაწილია. იგი კი არ ანგრევს ქვეყანას, არამედ ძველი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ეფექტიანი და ნაცადი ფუნქციების შენარჩუნებისა და ახლის ჩამოყალიბების ინსტრუმენტია. ჩვენთან კი აღრეულია პრიორიტეტები. ძირითადი ნიშანი დღეანდელი ჩვენი ყოფისა არის არა სახელმწიფო აღმშენებლობისათვის ბრუნვა ხელისუფლებაში მოსვლითა და მისი გამოყენების გზით, არამედ ძალაუფლების მოპოვება თავისთავად. მიზანი არის ძალაუფლება, და მის მისაღწევად გამოიყენება უკლებლივ ყველა ხერხი, როგორც ზნეობრივი, ასევე არაზნეობრივი. ხალხის მოტყუება და მათი უბადრუკი ეკონომიკური მდგომარეობით სპეკულაცია, დემაგოგია ჩვეულებრივ ნორმად იქცა. პოლიტიკური თამაში გახდა მოვლენების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ყველაფერი ემსახურება ამ თამაშს. ამიტომაცაა, რომ ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ეს პროცესი დამღუპველ გავლენას ახდენს აფხაზეთში კონფლიქტის მსელელობაზე. ხანმოკლე კონსენსუსი და მეტნაკლებად შეთანხმებული მოქმედება მხოლოდ ექსტრემალურ, უკიდურესად საგანგაშო სიტუაციისას ხერხდება, დანარჩენ შემთხვევაში ჩვენი ძალისხმევა შიდაპოლიტიკური ბრძოლისკენაა მიმართული და არა სტრატეგიული, საქვეყნო საქმეების გადასაწყვეტად.

საქართველოში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარება არის ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი.

— ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობის შეფასებას ახლა დიდი ცოდნა არ სჭირდება — იგი თითოეულ ჩვენთაგანს მძიმე ტვირთად გვაწევს, რა ფაქტორები განსაზღვრავენ დღეს ეკონომიკის დეგრადაციას (ომის ფაქტორი თავისთავად იგულისხმება).

— პირველი — ესაა რუსეთის ფაქტორი, საომარი მდგომარეობის ესკალაცია აფხაზეთში, ეკონომიკურ-ფინანსური ემბარგო, სხვა

სიძნელეები. მეორე – ზემოთნახსენები შიდაპოლიტიკური ბრძოლა და შიდაეროვნული აშლილობა. მესამე – საბჭოთა კავშირის ნგრევით გამოწვეული ობიექტური, გარდაუვალი ხასიათის დეზინტეგრაციული პროცესები. მეოთხე – ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის დაშლით, მეურნეობის სტრუქტურული ცვლილებებით გამოწვეული, გარდამავალი პერიოდის ასევე ობიექტური და აუცილებელი სიძნელეები, რომლებიც პირველ ეტაპზე, სტაბილიზაციის პერიოდის დადგომამდე იწვევენ წარმოების დაცემას. მეხუთე – შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორები: საკანონმდებლო და აღმასრულებელი (მათ შორის ადგილობრივი) ხელისუფლების სიძნელეები, შექმნას მძლავრი სახელმწიფოებრივი, როგორც ადმინისტრაციული, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურები, ახალი სახელმწიფო ინსტიტუტები და ბოლოს, მეექვსე – საერთო სახელმწიფო აღმშენებლობის კურსს, მათ შორის ეკონომიკურის, რადიკალური სხვადასხვაობა, ერთიანი კონცეფციის უქონლობა გავლენიან საზოგადოებრივ ძალებში, მათი ეკონომიკური პრიმიტივიზმი და სიძნელეები ახალი ეკონომიკური მოვლენების აღქმაში. მოკლედ ესაა მსოფლმხედველობითი და კონცეფციალური კრიზისი, გამომდინარე საზოგადოების წარმმართველი ძალების მოუმწიფებლობით.

არის აგრეთვე სხვა მიზეზებიც: კორუფცია, როგორც სახელმწიფო ორგანოებში, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენ სფეროებში, ჩრდილოეთი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა, კომპრადორობა – საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების გაყიდვა უცხოელზე პირადი გამორჩენის მიზნით და სხვა.

ასე, რომ სიძნელეები მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის მდგომარეობით არის გამოწვეული და არა ცალკე აღებული რომელიმე ფაქტორის შედეგად. პოლიტიკურ ძალებში გამოიკვეთა ტენდენცია, როცა ხდება ამ პროცესების გამარტივებული წარმოდგენა, რომელიმე ერთი ფაქტორის გააბსოლუტება, რაც მეტად საზიანოა.

– ყველასათვის უკვე ცნობილია თქვენი დამოკიდებულება იმ საფინანსო-საკრედიტო საქმიანობისადმი, რომელსაც ეროვნული ბანკი ატარებს. საწინააღმდეგო აზრისაა ამ ბანკის პრეზიდენტი დეშურ დვალიშვილი. დღეს თუ ხდება თქვენეული ხაზის გატარება ამ სფეროში, თუ ძველი ვითარება ისევ გრძელდება?

– როცა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფაქტორებზეა საუბარი, ეროვნული ბანკის საქმიანობა უკვე შეიძლება შეფასდეს როგორც ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი მოვლენა. ეს მოვლენა ახალია და სცილდება მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკურ სფეროს. ლაპარაკია ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის პროცესში მავნე საბანკო პოლიტიკაზე. ფულად-საკრედიტო პროცესების სწორად ან

არასწორად წარმართვას შეუძლია ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება ან მისი მოშლა.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული, რაციონალურ აზრს მოკლებული საბანკო პოლიტიკა დღეს უკვე გახდა სერიოზული დესტრუქციული ფაქტორი. ეს არის არა მარტო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების, ინფლაციის განუწყვეტელი ზრდის, არამედ სოციალური დაძაბულობის მიზეზიც. ამგვარი საბანკო პოლიტიკის, სელექციურად გაცემული უზარმაზარი "კრედიტების" შედეგად საქართველოში უკვე გამოჩნდა ახლად გამდიდრებული ერთი მუჭა ადამიანების ჯგუფი, რომელთა ახლადგაღვიძებული პოლიტიკური მადა ხელისუფლების ზემოქმედებაზე მრავალი პრობლემის წინაშე დააყენებს ქვეყანას მომავალში.

ეროვნული ბანკის საკრედიტო საქმიანობა იმდენად ოდიოზურია, რომ საერთაშორისო საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციებში უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა აშკარა შეშფოთება შექმნილი მდგომარეობის გამო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო მისიამ, რომელმაც ორი კვირა დაჰყო ეროვნულ ბანკში, უაღრესად კრიტიკული, გამაფრთხილებელი რეკომენდაციები დაგეგეტოვა. ხოლო ის ფაქტი, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა აშკარა დეზინფორმაციული ხასიათის განცხადებებს ავრცელებს, თითქოს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დამოკიდებულება შეცვალა ეროვნული ბანკის მიმართ, იმდენად ზღვარსგადასული ტყუილია, რომ არ შეიძლება ასეთმა მოქმედებამ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არ გამოიწვიოს ადეკვატური რეაქცია, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებითურთ.

რაც შეეხება შეკითხვის ბოლო ნაწილს, გრძელდება თუ არა ძველი ვითარება, მინდა გულისტკივილით მოგახსენოთ, რომ ამ სფეროში არაფერი შეცვლილა. კვლავინდებურად გრძელდება უკონტროლო საკრედიტო ექსპანსია.

— ოპონენტები გამოთქვამენ აზრს, რომ ეროვნული ბანკის პოლიტიკა ხელს უწყობს კერძო მეწარმეობის განვითარებას.

— პირიქით, მაშინ, როცა საქართველოში არსებობს ათეულ ათასობით წვრილი და საშუალო სიდიდის კერძო სამეწარმეო ერთეულები, კრედიტების 99 პროცენტი გაცემულია მხოლოდ 15-20 ფირმაზე. თუ არ ჩავთვლით ინფლაციის "უხილავ ხელს", ამ ფირმებს სესხის დაბრუნების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნიათ. მათი ქონება არის მხოლოდ მათი ბეჭედი და საფირმო დასახელება. შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინფლაციური პროცესებით მანიპულაციის შედეგად ისინი ფინანსურ გიგანტებად იქცევიან. მას შემდეგ რაც მფარველობაში მყოფი აღნიშნული ფირმები მიიღებენ სესხს, ხდება ამ რესურსების მეორადი გადანაწილება სხვა სამეურნეო

სუბიექტებზე. ესაა ნარჩენების, "ძველის" გადაგდების პოლიტიკა. უსარმაზარი, ახლადაღმოცენებული კერძო სექტორი კი ფაქტიურად მოკლებულია ყოველგვარ საკრედიტო ხელშეწყობას.

თუმცა ეს არის პრობლემის მხოლოდ ერთ-ერთი მხარე. უფრო მნიშვნელოვანია ამ საკრედიტო განუკითხაობის სოციალური შედეგები. გასულ 5 თვეში, იანვრიდან მაისამდე საქართველოში განათლებაზე მთლიანად დაიხარჯა 7 მილიარდი მანეთი, კულტურაზე 2 მილიარდი, ჯანდაცვაზე 5,5 მილიარდი, ესე იგი ამ სამი სფეროსათვის გაწეულმა ხარჯებმა დაახლოებით 15 მილიარდი მანეთი შეადგინა. აქედან, ხელფასების სახით გაიცა არაუმეტეს 8 მილიარდი მანეთისა. მთელი ეს თანხა არის იმაზე ნაკლები, რაც ეროვნულმა ბანკმა გასცა თუნდაც ერთ "დაძმობილებულ" ფირმას. არიან ისეთი ფირმები, რომლებმაც ამ პერიოდში მიიღეს რამდენიმე მილიარდი მანეთის შეღავათიანი სესხი. აქ არ იგულისხმება "მიზნობრივი" სესხები, რომელშიც გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების ან ხორბლის შემოტანა. თუმცა, ესეც ცალკე საუბრის თემაა, რადგან ამ კატეგორიის საქონლის შემოტანა ძირითადად სახელმწიფოთაშორისო კრედიტებით ხდება და არა "გადარიცხვებით". როცა რამდენიმე თვეში ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებს უშრომელად უნდებათ იმაზე მეტი სახსრები, ვიდრე ქვეყნის მთელი სოციალური სფეროს დაფინანსებისთვისაა საჭირო, ესაა კატასტროფა. საქართველოში მაისის ბოლოსათვის გაცემული შიდა კრედიტების ოდენობამ შეადგინა 477 მილიარდი მანეთი, რაც ორჯერ აღემატება ამავე პერიოდში ქვეყანაში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტს. ამ მაჩვენებლებმა თავსარდამცემი შთაბეჭდილება დატოვა ამ ორიოდე კვირის წინათ საქართველოში მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა მრავალრიცხოვან ჯგუფზე, რომლებმაც მოგვთხოვეს საერთოდ შეგვეჩერებინა ყოველგვარი ცენტრალიზებული კრედიტების გაცემა რამდენიმე თვით. ბუნებრივია, ამაში არ შედის კომერციული ბანკების მიერ მოზიდული თავისუფალი სახსრებით გაწეული დაკრედიტება.

— ეკონომიკური რეფორმების შტაბის საქმიანობის დაწყებიდან ერთი წელი გავიდა, შეიძლება თუ არა შედეგებზე საუბარი. ალბათ, უკვე კონკრეტულად უნდა ითქვას რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო და ვერ გაკეთდა.

— შედეგები მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ შტაბმა ეკონომიკური განვითარების მოდელი შექმნა, დასახა გეზი და მის მიერ შემუშავებულმა და მთავრობაზე ზეწოლის შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ჩამოაყალიბა ისეთი სისტემა, რომლის შეცვლა ან უკან მობრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის დებატები და ზოგიერთი დარგობრივი მინისტრის მცდელობა, რომელთაც სურთ სამინისტროთა ყოფილი ფუნქციების

დაბრუნება. ამის გაკეთება დღეს ქაღალდზეც კი ძნელია. თუმცა, რომც იქნეს დამტკიცებული ასეთი გადაწყვეტილება, ის მხოლოდ ფარატინა ქაღალდად დარჩება, რადგან რეალობა მას არ მიიღებს.

ამავე დროს, ნუ გავაზვიადებთ შტაბის ფუნქციებს. მას არა აქვს გადაწყვეტილებების მიღების უფლება. იგი მხოლოდ წინადადებებს ამზადებს მთავრობის კაბინეტზე განსახილველად, ან რიგ შემთხვევაში, ბლოკირებას უკეთებს ანტირეფორმულ პროექტებს. შტაბი მხოლოდ დღევანდელი რეალობის პირმშოა და არა საერთოდ მიღებული მარეგულირებელი მექანიზმი. პარლამენტში და მთავრობაში, შტაბმა შეძლო ერთიანი კონცეფციური პოლიტიკის — გნებავთ შემუშავება უწოდეთ, გნებავთ — თავს მოხვევა.

— შტაბის საქმიანობის წინასწარი მონახაზი შეათანხმეთ თუ არა უცხოელ ექსპერტებთან?

— ჩვენი ყველა ძირითადი გეზი და პროგრამა შეთანხმებულია ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამას ჯერჯერობით არა აქვს ალტერნატივა.

— ვის თვლით თქვენს ეკონომიკურ ოპონენტად, რომელსაც პატივს სცემთ, როგორც ამ სფეროში კომპეტენტურ ბიროვნებას.

— ოპონენტებად ძირითადად გამოდიან ან ყოფილი კომუნისტური ფუნქციონერები, ან მათი უწინდელი აპოლოგეტები, ზოგჯერ ეკონომიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებული პოლიტიკური ძალები და პიროვნებები. ხოლო, ის ადამიანები, ვისაც მე ანგარიშს ვუწევ და ვთვლი ამ სფეროში კომპეტენტურად, მონაწილეობას იღებენ აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ან ძირითადად გვიჭერენ მხარს, თუმცა ცალკეულ საკითხებში აქვთ განსხვავებული მოსაზრებები.

აქვე, ისიც მინდა ვთქვა, რომ რეფორმისადმი მიდგომა საქართველოში ისეთივე დამახასიათებელ სახეს ღებულობს, როგორც ყველა იმ ქვეყანაში, სადაც დაიწყო სოციალიზმის დემონტაჟი. განსხვავება ისაა, რომ ჩვენში იგი ნაკლებინტელექტუალურ ფონზე და მაღალემოციურ ტონალობაში მიმდინარეობს.

— ბოლო დროს უკვე ხშირად გაისმის, რომ დღევანდელი მინისტრთა კაბინეტი უნდა გადადგეს, მისი ადგილი კი ერთიანმა გუნდმა უნდა დაიკავოს. რამდენად რეალურად და აქტუალურად ჟღერს დღეს ეს საკითხი.

— მთავრობის გადადგომა ცხოვრების ნორმალური მოვლენაა და ამ თემაზე განგაშის და პანიკის ატეხვა საჭირო არაა. მაგრამ, დღეს საქმე გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან. ეს არაა მთავრობის კრიზისი. შექმნილი მდგომარეობა არის მთლიანად ხელისუფლების კრიზისის მაჩვენებელი. პარლამენტს უნდა, რომ აქცენტი მთავრობაზე გადაიტანოს და შენიღბოს მოსახლეობის თვალში თავისი ფაქტიური გაკოტრება. უბედურებაა, როცა საკანონმდებლო ხელისუფლების მუშა-

ობის პირველივე თვეებში ჩნდება აზრი მისი გადარჩენისა.

რაც შეეხება მთავრობას, იგი, რა თქმა უნდა, არაა ერთიანი გუნდი. თავისი შეხედულებებით რეტროგრადიულია, მაგრამ მცირეოდენი ჯგუფის ძალისხმევით, მაგისტრალური მიმართულების შეცვლა, ან მისი დამახინჯება ვერავინ შეძლო.

საერთოდ, მთავრობის გადადგომას, მხოლოდ მაშინ აქვს დადებითი ეფექტი, თუ მეტ-ნაკლებად მაინც არის გამოკვეთილი იმ მთავრობის კონტურები, რომელმაც იგი უნდა შეცვალოს. დღეს, ჩვენთან ალტერნატიული მთავრობისა და პროგრამის აჩრდილიც კი არ არსებობს. მხოლოდ სკამის ხელში ჩაგდების დაუოკებელი სწრაფვაა. ამასთან, შექმნილი ატმოსფერო ყოველ ახალ მთავრობას აიძულებს გადადგას პოპულისტური ნაბიჯები. ეს კი ეკონომიკის საბოლოო კრახის ტოლფასი იქნება. ახალ მთავრობას რომც აღმოაჩნდეს უნარი გაუძლოს მასობრივ ზეწოლას და პოპულისტურ ცდუნებას, დღევანდელი პარლამეტი მაინც არ მისცემს ამის საშუალებას. პარლამენტი შეეცდება, რომ ნებისმიერი მთავრობა დაუქვემდებაროს იმ შეხედულებებს, რომელიც იქ ბატონობს. ეს შეხედულებები კი არის სოციალ-პრიმიტივისტული. ახალი მთავრობა დიდხანს ვერ გაძლებს. შემდეგ კი დაიწყება პერმანენტული კრიზისი.

აქედან გამოსავალი ორია: უკეთესი –ერთდროულად გადაიჭრას ორივე ხელისუფლების პრობლემა – ჩატარდეს ახალი არჩევნები და შეიქმნას ახალი სტრუქტურები; უარესი – მოხდეს ამ პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის ჩამოყალიბება მაშინ, როცა ამისათვის იქნება მომზადებული შესაბამისი პირობები და კაბინეტს სათავეში ჩაუდგეს სახელმწიფო მეთაური.

– დღევანდელ პირობებში, იქნებ, საერთოდ სჯობდეს ეკონომიკური დიქტატურის დამყარება?

– მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს გამოცდილებამ ნათელყო, რომ ინფლაცია ქმნის საზოგადოებაში ისეთ ატმოსფეროს და წარმოშობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში იმგვარ წანამძღვრებს, რომელთაც არც თუ იშვიათად მივყავართ დიქტატურისაკენ.

დიქტატორული მეთოდებით, ან მკაცრი ადმინისტრირებით შეიძლება ტრადიციული, სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობითობის მქონე ქვეყნის მართვა. ჩვენს რეალობაში კი არ არსებობს არავითარი ამის წანამძღვარი. ძალისმიერი სამსახურები სუსტია და პოლიტიზირებული. იარაღი მიმობნეულია სხვადასხვა ორიენტაციის ჯგუფებს შორის. არ არსებობს პოლიტიკურად ძლიერი ერთიანი ძალა. ამიტომ, რომც იყოს უზარმაზარი სურვილი და მთელი საზოგადოების მოთხოვნა და მხარდაჭერა, დიქტატურას მაინც ვერ შეექმნით. ეს იქნებოდა მისი წარმოქმნის უბადრუკი მცდელობა, რაც მასობრივ ანარქიასა და ქაოსში გადაიზრდება. ამჟამად ერთადერთი გამოსავალია თანდა-

თანობით, ზომიერად მტკიცე პოლიტიკის გატარება, თანაც რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევაჩეროთ ინფლაცია, რომელიც ალატაკებს მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს.

თუ ლათინური ამერიკის ან სხვა ქვეყნებში ინფლაციურ სიდუხჭირეს სამხედრო გადატრიალება მოსდევდა ხოლმე, საქართველოში მოჰყვება სამოქალაქო აშლილობა, ტერორი და ქაოსი, ანუ სახელმწიფოს რღვევა.

სამწუხაროდ, დღეს როცა ჩვენში მრავალი ადამიანი პოლიტიკოსობაზე დებს თავს, ორიოდე ზოგადეკონომიკური ლიტერატურის გაცნობა არ აწყენდა. პოლიტიკა არ არსებობს ეკონომიკის გარეშე.

ივლისი. 1993წ.

მე ვიტყვი ჩემს სათქმელს

— ბატონო რომან, თქვენ სახელმწიფოს მართვის გარკვეული გამოცდილება დაგიგროვდათ. ვიცე-პრემიერობა ამ ურთულეს პერიოდში, დატვირთვასთან ერთად, სერიოზული ცოდნის შეძენის საშუალებაც არის თქვენთვის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისათვის. რას იტყოდით მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირების შესახებ. რა პრინციპებით უნდა იყოს იგი ჩამოყალიბებული?

— უპირველესად, მე ვიტყოდი, რომ მინისტრთა კაბინეტის გადადგომას ქვეყანა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა.

მთავრობა უნდა შეცელილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რა პროცესები უძღოდა წინ ხელისუფლებაში ამ მთავრობის მოსვლას, ეს წასვლა გამართლებულიც იყო როგორც პრაქტიკული, ასევე პროპაგანდისტული თვალსაზრისითაც. ამან, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასძლია ფორმიანი ხელისუფლების სახე. გარდა ამისა, არ შეიძლება მთავრობაში იმ ადამიანების ყოფნა, რომლებსაც არა აქვთ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დანახვისა და მათი მართვის უნარი.

— როგორი იქნება ახალი მთავრობა?

— კოალიციური მთავრობა არ იქნება, იქნება პორტფელების შეთანხმებით განაწილება გავლენიან ძალებს შორის. თუმცა ეს განაწილებაც რთულია, იმდენად ეკლექტურია შეხედულებები, განსხვავებული აზრები პოლიტიკის, ეკონომიკის შესახებ, თუნდაც რუსეთთან მიმართებაში. ერთი სიტყვით, არის დიდი სიჭრელე და რაც ყველაზე სავალალოა, სუფევს ეკონომიკური უცოდინარობა. ამ ფონზე, ბუნებრივია, ძალზე სუსტი იქნება მომავალი კაბინეტის სამეურნეო ქმედითუნარიანობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყნისათვის ამ რთულ მოვლენას, რომელსაც სამთავრობო კრიზისი ჰქვია, მოუმზადებელი შევეგებეთ, რაც ვერ მოგვიტანს რაიმე სასიკეთოს.

— ბატონო რომან, თქვენ ეკონომიკური რეფორმების შტაბის ხელმძღვანელი ხართ. რამდენი პროცენტით შესძელით თქვენი გეგმების რეალიზაცია?

— მე ვიტყოდი, რომ მხოლოდ 25-30 პროცენტით. ამავე დროს, ისიც მინდა ვთქვა, რომ საქართველო და მისი ეკონომიკა არ არის ის, რაც იყო თუნდაც ორი წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში დაიწყო შეუქცევადი პროცესები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციას. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა ეს ცვლილებები. ეკონომიკის რეფორმას ვერ განვიხილავთ, როგორც ცალკე პროცესს, მოწყვეტილს ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებისაგან. მე მხედველობაში მაქვს დაძაბული საგარეო ურთიერთობანი, ომი,

ბლოკადა, ეთნიკური დაპირისპირებანი და სხვა ცნობილი მოვლენები. და მაინც ვთქვი, რომ ამ ეტაპზე ბევრი გაკეთდა, თუმცა მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა. ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო — ის, რაც ამ მოკლე პერიოდში მოხდა, შევა ისტორიაში.

— დღეს ბევრი ლაპარაკია საგანგებო მდგომარეობაზე, როგორ აისახება ეგი ჩვენს ცხოვრებაზე ეკონომიკური თვალსაზრისით.

— საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში მე მესმის, როგორც წესრიგის დამყარება, სამართლებრივი, ვაკუუმის შევსება, იარაღიანი კაცის პრობლემის გადაჭრა. მოკლედ, ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების უსრულველყოფა. რაც შეეხება ეკონომიკას, თუ ვთქვათ, სახელმწიფო შეეცდება ძველი დირექტიული იდეების აღდგენას, ეს შეუძლებელია. საქართველო გამოვიდა ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან, რომელსაც ერქვა სოციალისტური ბანაკი. დღეს ჩვენი ქვეყანა და დანარჩენი თოთხმეტი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ერთად მიექანება ცივილიზაციის კალაპოტისაკენ. საქართველო სატელიტია ამ სივრცისა. გნებავთ ასეთი შედარებაც მოვიყვანოთ — მატარებლის თხუთმეტი ვაგონი ერთად მიჰქრის, რომელიმე მათგანის დამუხრუჭება გამოიწვევს მის დაღუპვას. ჩვენს ამ მოძრაობას განსაზღვრავს მსოფლიო განვითარების კანონზომიერება. ამ ბუნებრივი მოძრაობიდან ამოვარდნის მცდელობაც კი ბევრ რამეს ავნებს. ეს იქნება ადმინისტრირების უიღბლი მცდელობა. ჩვენ წესრიგის დამყარება უნდა დავიწყოთ იმ გაგებით, რომ მან მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საბაზრო ეკონომიკის დამყარება-განმტკიცებას.

— თქვენი აზრით, ბატონო რომან, ვინ დარჩება კაბინეტის ძველი შემადგენლობიდან ახალში?

— მე ამაზე ახლა არ მინდა ვილაპარაკო, როდესაც დადგება დრო, შეეცდები ვთქვა ჩემი სათქმელი, იმისათვის რომ არ განმეორდეს შეცდომები, არ დარჩნენ ხელისუფლებაში ის პირები, რომელნიც მე, როგორც ვიცე-პრემიერმა ძალიან კარგად შევისწავლე და დარწმუნებული ვარ, რომ ვერასდროს გამოსწორდებიან. შეეცდები გავაადვილო მთავრობის ფორმირება და თავიდან ავაცილო საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ხელისშემშლელი პირები.

— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული პროცესების მართვა, შეძლებდით თუ არა ბოლომდე მიიყვანოთ თქვენი დაწყებული საქმე და ხართ თუ არა ის კაცი, რომელმაც უნდა დაბოლოოს ეს საქმე. არის ასეთი რუსული ანდაზა "ცხენებს გადასასვლელზე არ ცვლიან".

— მე ასე ვიტყვი: თუ ქარავანი გააგრძელებს გზას იმ მიმართულებით, საითაც მიდიოდა, მაშინ მექარავნე არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ თუ ქარავანმა უნდა შეიცვალოს გზა, მაშინ მე არა თუ

მექარავნის, არამედ ამ ქარავანში ყოფნის არავითარი სურვილი არ გამაჩნია. ადამიანს უნდა ჰქონდეს დროის შეგრძნება. ჩვენ გვამოძრავებს ისტორიული პროცესი და თუ საჭე სწორად არ დავიჭირეთ – ან მეჩეჩზე დავჯდებით ან დავიმსხვრევით. ახლა რომც მოინდომოს ეინმემ და საქართველო უკან შემოაბრუნოს, არაფერი გამოვა. შეიძლება ახალგაზრდა კაცისაგან ეს განცხადება პრეტენზიული იყოს, მაგრამ მე, როგორც იტყვიან, ვიცი რა როგორ გაკეთდეს. ჩემი განვლილი საქმიანობა, მონაწილეობა იმ ბობოქარ პროცესებში რომელიც გავიარეთ, გამოცდილება, რაც შევიძინე მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ პროცესების მართვისათვის მზად ვარ. მე ვგრძნობ, რომ მაქვს ის ძალა, ის ინფორმაცია, რაც ამ მართვაში დამეხმარებოდა. დღეს ისეთი პრიმიტიული სტატიები იბეჭდება, იქმნება ანტიკუპონური განწყობილება, გამომდინარე პირადი და პოლიტიკური მიზნებიდან, რომ აქცენტი გადააქვთ სხვაზე, ეძებენ განტევების ვაცს. ამ როლისათვის მე არ გამოვდგები. მოსახლეობის განწყობილების მანიპულირება შეიძლება ერთხელ, ორჯერ, მაგრამ არა გამუდმებით. სწორედ მოსახლეობაზე ასეთი ზემოქმედების ფონზე ვაკეთებ განცხადებას – მე შემიძლია საქართველოში ეკონომიკური პროცესების მართვა, თუ მექნება თანამოაზროვნეთა გუნდის შექმნის საშუალება. მე მინდა შენება და არა მეხამრიდის როლის შესრულება – მე ეს უკვე გავიარე. სხვა შემთხვევაში მე არ დავრჩები მთავრობაში.

აგვისტო. 1993 წ.

ბლოკირებული იქნა სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ მოწონებული პროგრამა

— არც თუ დიდი ხნის წინათ თქვენ ხელმძღვანელობდით ეკონომიკური რეფორმების შტაბს, მაგრამ რეფორმები ძალიან ნელი მიდის, რატომ?

— ეკონომიკური რეფორმის შტაბმა და მის ირგვლივ შემოკრებილმა სპეციალისტთა მცირეოდენმა ჯგუფმა უზარმაზარი საქმე გააკეთა. საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციების ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ვითარებაში, მთავრობაში და ხელისუფლების სხვა სტრუქტურებში მოკალათებული მრავალი რეტროგრადის წინააღმდეგობათა გადალახვით, საქართველოში შექმნა საბაზრო გარემო. ეს გაკეთდა რეფორმების მომხრეთა დიდი ბრძოლისუნარიანობის, ხშირ შემთხვევაში კონფლიქტებამდე მისული გარემოებების დაძლევის გზით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იმ მასობრივი განუკითხაობის, შეიარაღებულ პირთა თარეშის, ნგრევის, საომარი მოქმედებების, გარეშე ძალების ჩარევის, არაკომპეტენტურობისა და მაფიოზურ-კრიმინალური ჯგუფების საქმიანობის პირობებში მაინც აღმოცენდა ახალი, საბაზრო ინფრასტრუქტურა და ჩამოყალიბდა მაკროეკონომიკური მართვის ადეკვატური ბერკეტები. თუ რა შეიცვალა ამ მხრივ, იოლად შეიძლება გავარკვიოთ, თუ გავიხსენებთ თუნდაც ორი წლის წინანდელ სამეურნეო მექანიზმს, იმას თუ რა უფლებები გააჩნდათ ცალკეულ საწარმოებს და კერძო პირებს, და რა უფლებები გააჩნიათ დღეს. აბა, დავუფიქრდეთ, რა მექანიზმებია ის, რომელთა წყალობით, სახელმწიფო ცენტრალიზებული მომარაგების სრული პარალიზების ვითარებაში, როცა სახელმწიფოს მხოლოდ ორიოდე სახის პროდუქტით ძლიესძლიეობით უსრულველყოფის გარდა თითქმის არაფრის უნარი არ შესწევდა, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, ქვეყანა მაინც ცოცხლობს, მაინც ფეხზე დგას. სწორედ ალტერნატიული სიცოცხლისუნარიანი (სამწუხაროდ, ჩვენი სპეციფიკური ვითარების გამო ხშირ შემთხვევაში გაუკულმართებული) თავისუფალი ბაზრის მექანიზმების გარეშე, ჩვენ გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდით.

რაც შეეხება იმას, რომ რეფორმები თანამიმდევრულად ვერ გატარდა, ამის მრავალი მიზეზი არსებობს, ეს სცილდება ეკონომიკური რეფორმების შტაბის ფუნქციასაც და კომპეტენციასაც. ძირითადი მიზეზი კი ჩემი აზრით, იყო საომარი მოქმედებები, რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მეთოდურად დაჩაჩანაკება თავისი საგარეო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, აგრეთვე სუბიექტური შეცდომები, ისეთი, როგორიცაა ხელისუფლების მცდარი საკადრო და ეკონომიკური (ძირითადად დარგობრივი და საბანკო-საკრედიტო) პოლიტიკა.

ფაქტიურად ბლოკირებული იქნა, საევალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ მოწონებული, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა არაკომპეტენტურობისა და პირად გამორჩენას დახარბებული ჩვენი ტექნოკრატ-პარტოკრატების მიერ.

ბუნებრივია, რეფორმები უფრო ღრმად და სწრაფად რომ გატარებულიყო, ან ელემენტარულად მოგვეწესრიგებინა ის მაინც, რაც ნგრევას გადაურჩა, მრავალი პრობლემა ან დაძლეული იქნებოდა ან საერთოდ არ წარმოიქმნებოდა. მაგრამ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ილუსიაა, თითქოს იმ დამანგრეველი ფაქტორების მოქმედების შემდეგ, რაც ჩვენთან შიდაპოლიტიკური ბრძოლების შედეგად წარმოიშვა, რეფორმები (სისტემის შეცვლა) ორიოდე წელიწადში გადაგვიჭრიდა ფუნდამენტალურ (მაგალითად, ენერგეტიკულ ან ნედლეულით მომარაგების) პრობლემებს. ჩვენ არა მარტო უნდა შევცვალოთ ეკონომიკური ურთიერთობები (ანუ გავატაროთ რეფორმა), არამედ თავიდან უნდა შევქმნათ ახალი საბაზრო გარემოში ადაპტირებული წარმოება (ანუ აღვადგინოთ ეკონომიკა). რეალურად უნდა შეეხედოთ ეკონომიკურ მოვლენებს და არ უნდა გაკაზვიადოთ ამა თუ იმ პროცესის მოსალოდნელი შედეგები, განსაკუთრებით ახლო პერსპექტივაში. ცალკეული, საწყისი რეფორმატორული ქმედებები სტაბილიზაციის მისაღწევად არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი ეკონომიკის აღორძინებისა. ჩვენ გვმართებს მრავალმხრივი მოქმედება. ეს კი არა მარტო რთულია როგორც საქმე, არამედ ეტყობა, ზოგიერთებისათვის ძნელად გასაგებიც. ამიტომაა, რომ დღევანდელი მმართველი ხელისუფლება (მთავრობა და სხვები) კონკრეტული, ამწუთიერი პრობლემების ფაციფუცით გადაჭრის გარდა ვერ ხედავს მომავალი განვითარების კონტურებს. ამიტომაა, რომ ბოლო პერიოდში მიღებული უკლებლივ ყველა ეკონომიკური გადაწყვეტილება მიმართულია მიმდინარე საკითხების გადაჭრაზე და პრინციპულად ეწინააღმდეგება ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ანბანურ მოთხოვნებს. საბოლოო ჯამში კი, არც მიმდინარე პრობლემა დაიძლევა და არც სამომავლო განვითარებას ჩაეყრება საფუძველი.

— იქნებ გვითხრათ, რა მოხდა 25-ათასიანი კუპიურების ბრუნვაში გაშვების დროს, რამ გამოიწვია ინფლაციის უცაბედად შატება? ამის მიზეზი მართლაც გლეხებისათვის ყურძნის შესასყიდი ფასის ანაზღაურება იყო, თუ ის ფულადი მასა, რომელიც რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წინასწარ ბირჟაზე იქნა გაშვებული და მხოლოდ ამის შემდეგ დაურიგდათ გლეხებს უკვე მკვდარი (ერთი-ორად გაუფასურებული) ფული?

— ბუნებრივია ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. თუმცა, გლეხებისათვის მართლაც რომ დარიგებულიყო ის მრავალმილიარდიანი თანხები, რაზეც საუბარია, ინფლაცია მთლად ამ ზომის მაინც არ

იქნებოდა (ამ თანხის ნაწილი ე.წ. დამამზადებლებს, შუამავალ კომერციულ ორგანიზაციებს, საკონსერვო თუ ღვინის ქარხნებს და ა.შ. შერჩათ). არა მგონია, რომ ათეულ ათასობით გლეხი ვალუტის არაორგანიზებულ ბირჟაზე გამოქცეულიყო ორიოდე დღეში და ამ თანხების კონვერტაცია დაეწყო ერთბაშად. საქმე სულ სხვა რამეშია. ეს თანხები, როგორც თქვენ სწორად ბრძანეთ, როგორც კი ნაღდი ფულადი ნიშნების სახით მოხვდა დამამზადებლების ხელში, სანამ გლეხებს დაურიგებდნენ, გატანილ იქნა სავალუტო ბაზარზე, რომლის შემდეგაც კუპონის კურსი რამდენიმე დღეში ორჯერ დაეცა. ამის შემდეგ, მიღებული დოლარების ნახევარიც კი საკმარისი იყო, ბირჟაზე ხელახალი რეალიზაციის გზით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩამბარებლებისათვის კუთვნილი თანხის მისაცემად. ბუნებრივია, ეს უკვე ორჯერ გაუფასურებული თანხაა, თავდაპირველთან შედარებით. ვიღაცები კი ხელს როგორც ითბობდნენ, ისევე ითბობენ.

წინათ იყო მცდელობა 25 მილიარდი კუპონის ნაღდი ფულის სახით გატანისა ხორბლის და სხვა სახის პროდუქციის "დასამზადებლად". მთავრობამ მიიღო კიდევაც ასეთი გადაწყვეტილება კაბინეტის წევრებთან შეუთანხმებლად. მე იძულებული გავხდი მიმემართა საჯაროდ პარლამენტისათვის, რათა შემენერებინა ეს უკანონო გადაწყვეტილება. სხვა დროსაც, პარლამენტის ტრიბუნიდან არა ერთხელ განვაცხადე, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა კუპონის ასეთ გაუფრთხილებელ მოპყრობას. სამწუხაროდ, ძალზე ცოტამ იღო ეს გაფრთხილება ყურად. დღეს იგივე ხდება, ოღონდ უკვე, ხელისუფლებაში არსებულ ჰარმონიულ ეითარებაში (სიმშვიდეს არავინ არღვევს, 200 და 300 მილიარდი ისე გადის, როგორც არაფერი). მოკლედ, ზოგიერთებისათვის ოქროს ხანა კვლავ გრძელდება (თუმცა ალბათ, არა იმ მასშტაბით, რა მასშტაბებითაც ეროვნული ბანკის გახმაურებული კრედიტების წყალობით). სხვათა შორის, კუპონის შემოღების დღიდან, ხუთი თვის განმავლობაში მისი საბაზრო კურსი დაეცა 3,3-ჯერ. ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბების შემდეგ კი, კუპონის ამ ზომით გაუფასურებას ერთ თვეზე ოდნავ მეტი დასჭირდა. მაგალითად, 1993 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში შეფარდება დოლარსა და კუპონს შორის იყო 1:27 000, ერთი თვის შემდეგ, დეკემბრის პირველ რიცხვებში მან შეადგინა 1:68 000, ანუ დაეცა 2,5-ჯერ თვეში. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია კიდევ უფრო ღრმავდება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ინფლაციის ძირითადი მიზეზი ამჟამად არის არა იმდენად საბანკო-საკრედიტო ექსპანსია, არამედ უკონტროლო და დაუმტკიცებელი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები. სახელმწიფოს არსებობა ბიუჯეტის გარეშე მთელი წლის განმავლობაში, სახსრების ხარჯვაზე ლიმიტების დაწესებისა და მასზე კონტროლის გარეშე, არის დანაშაული. მაგრამ, ეტყობა საბანკო

სკანდალის შემდეგ, ფინანსურმა მოთხოვნამ საბიუჯეტო ასიგნებების სფეროში გადაინაცვლა. სახსრების მოთხოვნის მოტივაცია ადვილია (შიმშილი, სიცივე, და სხვა), მისი მიზნობრივად ხარჯვის შემმოწმებელი (განსაკუთრებით პურისა და კომუნალურ სფეროში დოტაციებზე) კი დღეს კაციშვილი არ არის. მოკლედ, ვუახლოვდებით ფინანსურ ქაოსს. თუ კუპონის დაცემა არ შეჩერდა, ჰიპერინფლაცია ისეთ კულმინაციურ სახეს მიიღებს, რომელიც დიდ უბედურებას გამოიწვევს.

არ ვიქნებით ობიექტურები, ინფლაციის ზრდა მხოლოდ არაკომპეტენტურობისა და ანგარებითი ფაქტორებისათვის რომ მიგვეწერა. ბოლო პერიოდში ფასების ზრდის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი გახდა აფხაზეთის ოკუპაცია. შეწყდა ციტრუსების, ჩაისა და სხვა სახის საქონლის წარმოება და რეალიზაცია, ხოლო ლტოლვილები საჭიროებენ დამატებით ფინანსურ და მატერიალურ ხელშეწყობას, რაც ზემოქმედებას ახდენს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაზე.

— როგორ შეაფასებდით ამ ფაქტებს, იურიდიული კუთხით თუ ეკონომიკური თვალსაზრისით?

— როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, ეს დანაშაულია. სახელმწიფოს ფინანსური, ეკონომიკური თუ სამხედრო სიძლიერისათვის ძირის გამოთხრა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ერაყსე შეტევას იწყებდა, ოპერაციების დაწყებამდე, რამოდენიმე თვით ადრე დაბეჭდა დიდძალი ყალბი ერაყის ეროვნული ვალუტა და გაავრცელა იგი ამ ქვეყანაში, რამაც გამოიწვია ფინანსური და საბოლოო ჯამში სახელმწიფოებრივი დეზორგანიზაცია. ჩვენთან ან არ ესმით ზოგიერთებს, რომ კუპონის დევალვაცია ძირგამომთხრელი ქმედებაა ქვეყნისათვის, ან ყველაფერი მიმართულია პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ და სახელმწიფოს მომშლელი ამ დამანგრეველი ქმედების ჩამდენი ადამიანების მიმართ სერიოზული საყვედურიც კი არ გამოითქმის, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ზომებზე. საუბედუროდ, ქვეყანა პოლიტიკური სიმპათიებით იმართება და არა საერთოეროვნული ინტერესებით. პარტიული მართვის რეანიმაციის სიმპტომები უკვე ნათლად გამოიკვეთა. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ინფლაცია კრებითი ცნებაა და იგი როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ქმედებათა ერთობლიობით თუ დაიძლევა.

— ვინ უნდა გაატაროს დღეს რეფორმა?

— რეფორმა უნდა გაატაროს ან სახელმწიფოს პირველმა პირმა, ან სახელმწიფოს პირველი პირისა და პარლამენტის მიერ სათანადო უფლებებით აღჭურვილმა მაღალი პოსტის მქონე პირმა.

როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევის მაგალითები ბევრია ცხოვრებაში. ბოლო პერიოდში ძირითადად "მეორე ნომრები" ასრულებენ ამ ფუნქციას (გაიდარი — ვიცე-პრემიერი, ბალცეროვიჩი —

ფინანსთა მინისტრი და ვიცე პრემიერი და ა.შ.), რადგან "პირველ ნომრებს" სახელმწიფო მშენებლობის სხვა უამრავი ტვირთიც აწევთ. თუ იმ ადამიანს, ვინც პასუხისმგებელია რეფორმებზე, ყველა ჭკუას ასწავლის და რამდენი გავლენიანი პირი იქნება იმდენ გადაწყვეტილებას მიაღებინებს, ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდება. ასეც ხდება ჩვენთან. საქართველოში ყველა ბრძენია: მინისტრებითა და დეპუტატებით დაწყებული, სხვა მაღალი თანამდებობის პირებით დამთავრებული. ყველას სურს რეფორმის თავის "სცენარით" გატარება, რეალურად კი გამოდის პროვინციული დომხალი.

რეფორმა უნდა გაატაროს იმან, ვინც იცის მაკროეკონომიკა, ვისაც შესწევს საკუთარი თავისა და სხვების ორგანიზების უნარი, ვისაც არ ეშინია...

— დღეს მთავრობაში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ფაქტობრივად არც ერთი პროფესიონალი ეკონომისტი არ არის. თქვენი კომენტარი.

— ეს არის ტიპიური მოვლენა ტექნოკრატიულ-პარტოკრატიული მმართველობითი სისტემისა. ასეთი მმართველობითი კადრების ძირითადი სამუშაო ლექსიკაა: "დავიკაპიწოთ ხელები და ვიმუშაოთ", "დავირაზმოთ" და ა.შ. ხოლო თუ როგორ უნდა შექმნა ისეთი შრომითი მოტივაცია, რომ შეძახილების ნაცვლად სტიმულები აუმუშავდეს ადამიანს, ეს უკვე ეკონომიკის მოწყობის სხვა, შედარებით მაღალი პილოტაჟია. არც ერთი ქვეყანა არ განვითარებულა ზუსტი მაკრო და მიკროეკონომიკური მართვის გარეშე. ამის გააზრება და მრავალ ეკონომიკურ ფაქტორთა ერთ განზომილებაში მოყვანა მხოლოდ ეკონომისტს (რა თქმა უნდა, მაღალი რანგისას) შეუძლია. მთავრობაში თითო-ოროლა ეკონომისტი, როგორც წესი, ამინდს ვერ შექმნის.

— დიდი ხანია ლაპარაკია, რომ მთავრობა უნდა დაკომპლექტდეს კაბინეტური პრინციპით და უნდა შეიქმნას გუნდი. როგორ ფიქრობთ, აპას წინათ განსორციელებული კოსმეტიკური ორგანიზაციული ცვლილებების შემდეგ შეიქმნა ეს გუნდი?

— რაც შეეხება გუნდს, თუმცა გუნდს გააჩნია, იგი უკვე არის. ერთიანი, მშვიდობიანი, შეხმატკბილებული კოლექტივი, რომელშიც აგერ უკვე სამი თვეა ჰარმონიულად თანაარსებობენ. მოკლედ, ერთი "მყუდროების დამამრღვეველიც" კი არ შერჩათ (ან მე არ ვიცი, შეიძლება არის, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული წინააღმდეგობა რომ იყოს კაბინეტის წევრებს შორის, მე არ მსმენია).

კაბინეტური პრინციპი კი ჩვენი პოლიტიკოსების გამონაგონი ცნებაა და სიმართლე გითხრათ, ბოლომდე რას ნიშნავს არც ვიცი. ისე კი ერთი რამ დღეს ნათელია: საქართველოში არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ უახლოეს პერიოდში შეიქმნას ისეთი მთავრობა, რომელსაც გააკონტროლებს ერთი რომელიმე ძალა

(და არ ეყოლება ძლიერი გარე ოპოზიცია). ერთიანი გუნდი ჩვენი ლამაზი ოცნებაა. უნდა ვისწავლოთ თანამშრომლობა განსხვავებული აზრის მატარებელ ძალებს შორის, დავაყენოთ პირად ან პარტიულ ამბიციაზე მაღლა საქვეყნო საქმე და მოხდეს შეთანხმება ამ ძალებს შორის იმის თაობაზე, რომ ერთად აიღონ პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე. ყველა სხვა ქმედება ამ ძალების საქმიანობას აქცევს მხოლოდ საარჩევნო დემაგოგიად, როგორც ამჟამად ხდება, როცა ძირითადი "საქმიანობა" მიმართულია პარტიული თუ პირადი რეიტინგის ასამაღლებლად.

ადამიანები, რომელთაც აქვთ პრეტენზია მართონ ქვეყანა (დეპუტატები, მინისტრები, პარტიული ლიდერები თუ სხვა), უნდა მოქმედებდნენ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისათვის და არა მოსახლეობის მოტყუების გზით საკუთარი სახის დამკვიდრებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ პრეზიდენტებს უძღვნა ექვსი რჩევა თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთმა დიდმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა პიტერ დრაკერმა. ბოლო, მეექვსე შეგონება ასე ჟღერს: "პრეზიდენტის პოსტზე არჩევის დღიდანვე სასწრაფოდ შეწყვიტე საარჩევნო კამპანია", ე.ი. უნდა ზრუნავდე საქმეზე და არა მოსახლეობის გულის მოგებაზეო. ჩვენთანაც არ აწყენდა ბევრ ადამიანს ამ პრინციპის გათავისება.

დეკემბერი, 1993 წ.

ინფლაცია საქართველოში

1. რეალური ვითარება

საქართველოში უკანასკნელი თვეების განმავლობაში უმართავად მიშვებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა კიდევ უფრო გააუარესა ისედაც სავალალო ეკონომიკური ვითარება. ქვეყანაში რეალური ხელისუფლების მატარებელმა პირებმა და მათ მიერ ჩამოყალიბებულმა "შემოდგომის მთავრობად" წოდებულმა აღმასრულებელმა ადმინისტრაციამ ორიოდე თვეში მოშალა ორი წლის განმავლობაში, მრავალ წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად, უცხოელ ექსპერტთა დახმარებით ნაგები მაკროეკონომიკური მართვის ახლადშექმნილი ბერკეტები და თვითდინებაზე მიუშვა მეურნეობის ფუნქციონირება. არნახულად იმძლავრა როგორც დაქუცმაცებულად, ავტონომიურად მოქმედმა, ასევე ხელისუფლების გარკვეული ნაწილის მფარველობის ქვეშმყოფმა კრიმინალურმა წრეებმა, რომლებმაც არა მარტო წვრილ საქონელწარმოებასა და ვაჭრობაზე დააწესეს კონტროლი, არამედ - მსხვილ სახელმწიფო სექტორსა და საბანკო-საფინანსო სფეროზე. ქვეყანაში მეურნეობის მართვა თანდათანობით მაფიოზურ სახეს იძენს, რაც ქონების მასობრივი გადანაწილების პროცესში ახალი, კლანური ტიპის სოციალური ფენების გაჩენასა და დანაშაულებრივ სამყაროსთან დაკავშირებული პოლიტიკური წრეების ჩამოყალიბება-განმტკიცებას ემსახურება.

საბოლოოდ აიცრუა ჩვენზე გული საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა, რომლებმაც შეწყვიტეს მისიების გამოგზავნა და აქტიური თანამშრომლობა, რაც განსაკუთრებით არასახარბიელოა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის თვალსაზრისითაც.

სწრაფი ტემპით გრძელდება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაღატაკება. ფასები ბოლო პერიოდში კატასტროფულად იზრდება. ინფლაცია უკვე გადაიზარდა ჰიპერინფლაციაში და თანდათანობით აღწევს იმ მასშტაბს, რომლის შემდეგ იწყება მეურნეობის სრული პარალიზება, წარმოების ყოველგვარი სტიმულის მოშლა, რასაც თან სდევს სამოქალაქო აშლილობა, სოციალური, პოლიტიკური და სხვა სახის წინააღმდეგობათა უკიდურესი გამძაფრება.

განსაკუთრებით საშიში ხდება საფინანსო სისტემის დეგრადაცია. პრიმიტიული, ცალკეული ხელმძღვანელი პირების სუბიექტურ შეხედულებებზე და მათ გუნება-განწყობილებაზე დაფუძნებული ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პროცესი, სახსრების უკონტროლო ხარჯვა და ქვეყნის უბიუჯეტოდ არსებობა მთელი წლის განმავლობაში არა

მარტო ეოლუნტარიზმის გამოვლინებაა ხელისუფალთა მხრიდან, არამედ, ობიექტური ეკონომიკური პროცესების უგულებელყოფის დამანგრეველი სემოქმედების შეუფასებლობა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების საკითხებში სრული უცოდინარობა.

ეკონომიკური ორგანიზმის აგონია ყველაზე ნათლად აისახება ინფლაციის ტემპსა და ეროვნული ვალუტის (კუპონის) გაუფასურების ზომაში. ინფლაციის ოდენობა და კუპონის კურსი მოვლენის განვითარებას ასახავს და თავისთავად არ არის დამნაშავე იმაში, რომ არასასურველი პროცესების მაუწყებელია (ვგულისხმობ მოსახლეობის თვალში კუპონის არაპოპულარობას და მის ნაცვლად კვლავ მანეთის გამოყენებაზე გადასვლის გულუბრყვილო სურვილს).

ეროვნული ვალუტა ბოლო სამი თვის განმავლობაში, წინა მთავრობის გადაადგომისა და ახალი კაბინეტის ჩამოყალიბების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუფასურდა. ეს ტენდეცია კიდევ უფრო ღრმავდება.

კუპონის შემოღების დღიდან, ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებამდე კუპონის საბაზრო კურსის 3,3-ჯერ დაცემას დასჭირდა ხუთი თვე, მაშინ როცა მხოლოდ ბოლო სამი თვის განმავლობაში მისი კურსი დოლართან მიმართებაში 10-ჯერ გაუფასურდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა მთავრობაც თავისი შემადგენლობით ისეთივე ეკლექტური და რეტროგრადული იყო, როგორც ამჟამინდელი მინისტრთა კაბინეტი, ეკონომიკური რეფორმის შტაბისა და მაკროეკონომიკური ცოდნით აღჭურვილი რამდენიმე ადამიანის ძალისხმევით მაინც მოხერხდა კუპონის კურსის რყევის ამპლიტუდის შერბილება თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში. მაშინ, როცა მთავრობაში რეფორმის მომხრეები აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენდნენ, ხოლო ეროვნული ბანკი საბანკო სისტემას ანგრევდა და რჩეულებს ამდიდრებდა, მონეტარული სადაზღვევო მაინც არ იქნა გაშვებული ხელიდან და ინფლაციის ზრდა გეგმაზომიერად ნახტომების გარეშე, თანდათანობითი ტემპით ვითარდებოდა, რაც სამეურნეო სუბიექტებს და მოსახლეობას შექმნილ ფინანსურ გარემოში ადაპტირების საშუალებას აძლევდა. დღეს შორს აღარ არის ის დღე, როცა ჰიპერინფლაცია იმ სტადიაზე ავა, როცა ხელფასების გაცემა აუცილებელი გახდება ყოველკვირეულად და ყოველდღიურადაც კი, რათა მოსახლეობა ფულის ყოველსაათობრივი გაუფასურების გამო შიმშილისა და უკიდურესი გაჭირვებისაგან ვიხსნათ. თუ დროზე არ დამუხრუჭდა ინფლაცია, მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენის გადარჩენისა და მთელი მოსახლეობის უკიდურესი გაღატაკების თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად იქცევა მბრძანებლური სისტემისკენ დაბრუნება: კვლავ ნორმირებული განაწილების სისტემის დანერგვა, ფასების ადმინისტრაციული დადგენა, სამეურნეო ურთიერთობების ლიბერალიზაციის შედეგად ახლადფეხადგმული საბაზრო

ინფრასტრუქტურის მოშლა, მისი გარდაუვალი პოლიტიკური შედეგებითურთ — ე.წ. "მკაცრი ხელის", ავტორიტარიზმის რესტავრაციით. ჰიპერინფლაციიდან ავტორიტარულ რეჟიმამდე ნახევარი ნაბიჯია. ისტორიის მაგალითები ამ მოვლენას ძალზე თვალსაჩინოდ ასაბუთებენ.

ამიტომ, ქვეყანაში მძვინვარე ინფლაციის ალაგმვა არა მარტო ეკონომიკური პრობლემა, ფართო სოციალური ფენების ცხოვრების დონის დაცემის შეჩერება, არამედ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი რეჟიმის ფორმისა და, საერთოდ, მისი მომავალი დემოკრატიული განვითარების საკითხიცაა.

როგორც განვითარებული კაპიტალისტური, ასევე ნახევრადინდუსტრიული ეკონომიკების გამოცდილება გვკარნახობს, საჭიროა საბაზრო სექტორის ხვედრითი წილის სწრაფი ტემპით ზრდა მაკროეკონომიკური რეგულირების გამოცდილი, ადაპტირებული მეთოდების გამოყენებით. ჩამორჩენილი ქვეყნების მოქალაქეთა და პასუხისმგებელ პირთა ცნობიერებისათვის დამახასიათებელი "შესამე გზის", "ქართული განსხვავებული გზის" ძიება და აღიარებული ნორმების უგულებელყოფა მხოლოდ კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავების, დროის დაკარგვის ტოლფასი იქნება.

პოლონეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ბალცეროვიჩმა თავის დროზე, როცა რეფორმებს იწყებდა, მტკიცედ განაცხადა: "პოლონეთი ძალიან ღარიბია იმისათვის, რომ ექსპერიმენტები ატაროს. ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ მომუშავე, აპრობირებულ მოდელებს. ექსპერიმენტები მდიდარი ქვეყნებისათვის დაგვითმია, თუ უნდათ".

საქართველოში საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციების რეკომენდაციებისადმი აგდებული დამოკიდებულება და პროვინციული "ეკონომისტობანა", მეცნიერული ეკონომიკური პრინციპების შეცვლა პრიმიტიული დილეტანტიზმით, არარელურს ხდის სერიოზული საერთაშორისო დახმარების მიღებასა და ინვესტიციური პროგრამების ამოქმედებას.

საქართველოში კომუნისტური მმართველობის დროიდან დღემდე აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოდგენილი იყო ტექნოკრატიულ-პარტოკრატიული მმართველობითი შეხედულებებისა და ჩვევების მქონე პირებით, რომლებიც ვიწროდარგობრივი ჩარჩოებით შეზღუდულები ვერ ერკვეოდნენ ფართო ზოგადეკონომიკურ და ზოგადსახელმწიფოებრივ (მათ შორის, პოლიტიკურ) პრობლემებში. ასეთ ვითარებაში ეკონომიკური კატასტროფის თავიდან აცილების (ინფლაციის შეჩერების) ერთ-ერთი პირველი რიგის ფაქტორი ხდება ხელისუფლების (მათ შორის, საკადრო) პრობლემა. ეს თემა სცილდება დღეანდელი მსჯელობის საგანს, მაგრამ მისი არაღნიშვნა ვერ შეგვიქმნიდა სწორ წარმოდგენას იმ მოვლენებზე, რომელზეც ქვემოთ

გვექნება საუბარი და რომლის დაძლევაც მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შემუშავებული სწორი ქმედებით თუ იქნება შესაძლებელი.

2. ინფლაციის მიზეზები

საქართველოში ინფლაციის შეჩერება სახელმწიფოს ნომერ პირველი ეკონომიკური ამოცანაა. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, (სადაც, ჩვენი საზომებით თუ მივუდგებით, 80-იან წლებში ფასების იქაურ, ყოველწლიურ უმნიშვნელო ზრდას, ინფლაცია არც შეიძლება ეწოდოს), მისი აღმოფხვრა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად იქნა გამოცხადებული რეიგანის ადმინისტრაციის მიერ. რეიგანის ეკონომიკური საქმიანობა იმით დაიწყო, რომ ინფლაციიის დაძლევის მიზნით, მან გაამკაცრა საბანკო პოლიტიკა და ძალიან აამაღლა ცენტრალური ბანკის კრედიტის საპროცენტო განაკვეთი. გაამკაცრა საგადასახადო პოლიტიკაც. ეკონომიკურად განსწავლული სტუდენტისთვისაც კი ნათელი იყო, რომ ასეთი ნაბიჯები გამოიწვევდა საწარმოო აქტივობის შესუსტებასა და წარმოების ტემპის დაცემას. ასეც მოხდა. რამდენიმე თვეში შეერთებულ შტატებში უმუშევრობა იმ დონემდე ავარდა (7,5-დან 10%-მდე), რაც ამ ქვეყანას "დიდი დეპრესიის" შემდეგ არ ახსოვდა. მიუხედავად ამისა, ინფლაციის აღმოფხვრა, თუნდაც ასეთი მძიმე შედეგებით, აუცილებელი იყო. სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, რომელმაც შემდგომ "რეიგანომიკის" სახელი მიიღო, უმოკლეს პერიოდში არა მარტო ინფლაცია დაიძლია, არამედ დაიწყო წარმოების სწრაფი ტემპით ზრდა და მიღწეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე დაბალი უმუშევრობის დონე.

შეუძლებელია საწარმოო აქტივობის სტიმულირება მაღალი ინფლაციის პირობებში, ხოლო იქ, სადაც მძვინვარებს ჰიპერინფლაცია, წარმოუდგენელია ნორმალური ეკონომიკური ცხოვრება, წარმოების (გნებაავთ, მთელი საზოგადოების) განვითარება. ინფლაციის შესერების პროგრამის შემუშავება და მისი ხორცშესხმა არის გადაუდებელი, სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმე.

საქართველოში ინფლაცია, გარდა მისი გამომწვევი კლასიკური მიზეზებისა, ხასიათდება ზოგიერთი სპეციფიკური ნიშნით, რაც ზოგადად შეიძლება გამოიხატოს როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული დეზინტეგრაციული პროცესების, შიდა სამოქალაქო კონფლიქტებისა და აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი ფაქტორებით.

აფხაზეთის ოკუპაციამ და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აყრამ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან განსაკუთრებული

ბიძგი მისცა კუმულაციური ინფლაციური სპირალის განვითარებას. ერთი მხრივ, პირად საკარმიდამო მეურნეობაში (ასევე სახელმწიფო სექტორში) წარმოებული ციტრუსების, ჩაისა და სხვა სახის პროდუქციის, აგრეთვე, სამრეწველო საქონლის თითქმის 100%-ის (როგორც შიდა, ასევე გარე) სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნამ, მეორე მხრივ, ლტოლვილთათვის ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შექმნის აუცილებლობამ გამოიწვია უსარმაზარი ფინანსური პრობლემები, რამაც საბოლოო ჯამში ინფლაციის ზრდის დამატებითი ფაქტორის სახე შეიძინა.

ცალკე აღსანიშნავია ისეთი გახმაურებული, თავისი არაკომპეტენტურობითა და ცინიკურობით წარმოუდგენელი მოვლენა, როგორიცაა თითქმის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული ფულად-საკრედიტო "პოლიტიკა".

ეკონომიკური სიძნელეების წარმოქმნაში სუბიექტური ფაქტორი ვლინდება, ერთი მხრივ, მმართველობითი სტრუქტურების დაბალ პროფესიონალიზმში, ხოლო, მეორე მხრივ, კორუმპირებული, კლანური დაჯგუფებებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ სახელმწიფო სახსრებისა და ქონების მითვისებაში. ეს მოვლენები იწვევენ ფინანსურ დესტაბილიზაციას და ეროვნული ვალუტის კურსის ხელოვნურ დაცემას, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაღატაკების ხარჯზე მცირეოდენი ჯგუფების გამდიდრებას უწყობს ხელს.

ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზია ძველი ეკონომიკური სისტემის მსხვრევისა და ახალი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების მტკივნეული პროცესი, რაც თითქმის ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში შეიმჩნევა, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რომლებმაც მემკვიდრეობით დამატებით მიიღეს რუსეთის (სამანეთო სივრცის) ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ინფლაციის სიდიდე ამა თუ იმ ქვეყანაში დამოკიდებულია აგრეთვე ქვეყნის მთავრობათა მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის სისწორეზე.

ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციით გამოწვეული სტრუქტურული ხასიათის ინფლაციის შეჩერება შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციული საბიუჯეტო და მონეტარული საშუალებებით. მეორე მხრივ, ლიბერალური ფინანსური ქმედებები, ამ ტიპის ინფლაციის პირობებში, მაგალითად ნებისმიერი ღონისძიება მიმართული ამა თუ იმ ფორმის ინდექსაციის (ანაბრების, ანგარიშების, საბრუნავი საშუალებებისა და სხვა) გასატარებლად, მომენტალურად იწვევს მოთხოვნილებისა და, შესაბამისად, ინფლაციის ისეთი ტემპით ზრდას, რომ თავდაპირველი მიზანი – ინვესტიციური დანიშნულების აქტივების ზრდა ან მოსახლეობის რეალური შემოსავლის მატება არა თუ

მიუღწეველი ხდება, არამედ უფრო უფასურდება კიდეც ("შედარებით უკეთესი სოციალური შედეგები შეიძლება იქნას მიღწეული შერჩევითი, ე.წ. სელექციური პოლიტიკის შედეგად, როდესაც შელავათები ან კომპენსაციები გაიცემა მხოლოდ სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველ ჯგუფებზე).

სტრუქტურული მიზეზებით გამოწვეული ინფლაციის ტემპის შემცირების საშუალებები შეიძლება იყოს რამდენიმე: პირველი გზა – მზა საქონელზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება მისი მიწოდების მასირებული გაზრდით, ანუ ე.წ. სასაქონლო ინტერვენციის მეშვეობით. მოკლე პერიოდში ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იქნება გაწეული უცხოური დახმარება (კრედიტები), მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მხრიდან. მეორე გზა – მოთხოვნაზე კონტროლის დაწესება და მიმდინარე ფულადი შემოსავლების ზრდის შემცირება. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დიდ სოციალურ სირთულეებთან. ბუნებრივია, ორივე შემთხვევაში ინფლაციური პროცესების დამუხრუჭება უნდა ხდებოდეს ორთოდოქსული ღონისძიებების მეტ-ნაკლები სიმკაცრით გატარების თანხლებით (ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება უფრო დაწვრილებითი საუბარი).

ინფლაციის დამუხრუჭება დროებითი იქნება, თუ სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ არ ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიანი წარმოება. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში წარმოების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო შედარებით იაფი მუშახელის გამოყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოებისთვის. ყველაზე ნათელ მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენს მსოფლიო პრაქტიკაში "ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკად" ცნობილი აზიის, ე.წ. "დრაკონების" (სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური), ჩილეს, თურქეთის, მექსიკის მოდელები. თუმცა რეცესიიდან, ზრდის მდგომარეობაზე გადასვლას 10-12 წელიწადი დასჭირდა.

ამ გზის ხანგრძლივობა და სირთულე იმით არის გამოწვეული, რომ საექსპორტოდ გამოსადეგი კონკურენტუნარიანი წარმოება თავდაპირველად ძალზე მცირეა. ჩილეში ამის საფუძველი იყო იაფი სამთამადნო ნედლეული, თურქეთში – კონკურენტუნარიანი მსუბუქი (ძირითადად საფეიქრო) მრეწველობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა და მისი გატანა, მექსიკაში წარმოების ზრდის იმპულსი იყო შემოტანილი დეტალებიდან მზა ნაკეთობების პრიმიტიული აწყობა და მათი უკანვე გატანა მსოფლიო ბაზარზე გასაყიდად. ასეთ მეთოდს იყენებდნენ აზიის ქვეყნებშიც.

საჭიროა საქართველოშიც გამოიკვეთოს ისეთი დარგი ან დარგები, რომლებიც შეასრულებენ ლოკომოტივის ფუნქციას და წამოსწევენ მთელ ეკონომიკას. სწორედ ასეთი დარგების განვითა-

რებისკენ უნდა იყოს მიმართული შეღავათიანი საკრედიტო პოლიტიკა პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე.

საექსპორტო პროდუქციის წარმოების არც მეორე – ნაკეთობათა აწყობის გზა უნდა იყოს უარყოფილი. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის, წინათ შექმნილი ეკონომიკური პოტენციალისა და კვალიფიციური შრომითი რესურსების გათვალისწინებით უნდა იქნას გამოყენებული წარმოებისა და შემოსაელების ზრდის კომბინირებული მეთოდები.

დღევანდელ ვითარებაში, როცა აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში ომის შემდგომი ნგრევისა და სხვა მიზეზების გამო სწრაფი სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო – ტურიზმი ფაქტიურად მკვდარია და მისი გამოცოცხლება ძირითადად პოლიტიკურ სტაბილიზაციაზეა დამოკიდებული, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ახალი დარგობრივი პრიორიტეტების შემუშავება და საექსპორტო პოტენციალის ზრდის ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება.

ასეთი სცენარის რეალიზაციისათვის საჭიროა მიზანმიმართული საბიუჯეტო და საკრედიტო მხარდაჭერა, ინვესტიციური პოტენციალის გადიდება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. ამჟამად არსებული ფართომასშტაბიანი, ყველას და ყველაფრის გამათანასწორებელი პოლიტიკის გაგრძელება, როცა დარგობრივი სელექციის ნაცელად ხდება ისეთ უპერსპექტივო საწარმოთა იძულებითი შენარჩუნება, რომლებსაც პროფილის შეცვლისა და ახალი პროდუქციის წარმოების გარეშე არ შეუძლიათ არსებობა, იქნება ქრონიკული ფინანსური დაძაბულობის წყარო.

საქართველოში განხორციელებულმა საკრედიტო ექსპანსიამ (რომელიც, ფაქტიურად, არ შეხებია წარმოებას) პროდუქციის გამოშვების ზრდა კი არ გამოიწვია (რაც, ბუნებრივია, დამატებითი პროდუქციის შემოტანის ან შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილების გადიდების ტოლფასია), არამედ პირიქით, იგი წარმოების დაცემის ერთ-ერთი მიზეზთაგანი გახდა ფასებისა და ინფლაციის სწრაფი ზრდის გამო.

ინფლაციის ტემპთან შედარებით, ფაქტიურად, ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის პირობებში საწარმოებმა (რომელთაც ერგოთ კრედიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, ხოლო დანარჩენი სპეკულაციურ სავალუტო ოპერაციებში იქნა გაფლანგული) მიღებული სახსრები და შემოსაელები წარმოების განვითარების ნაცვლად მოხმარებისკენ მიმართეს, რამაც სტიმული მისცა შემდგომ ინფლაციურ ზრდას. ამას დაემატა შემოსავლების მასობრივი დამალვის პროცესი, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორის საწარმოთა მიერ, რომელთა დიდი ნაწილი ასევე მოხმარებისაკენ იქნა მიმართული. ხოლო ბიუჯეტში შემოსავლების შემცირების შედეგად, დეფიციტის

ზრდის დასაფარავად, კვლავ მოჭარბებული რაოდენობით ეროვნული ბანკის ფაქტიურად უპროცენტო კრედიტის გამოყენება გახდა აუცილებელი.

საბიუჯეტო ხარჯების გადიდებამ თავდაცვის, ადმინისტრაციული ორგანოების, სოციალური სფეროსა და სხვა საჭიროებისათვის (მათ შორის, დოტაციებზე) გამოიწვია ინფლაციური სპირალის მთელი ძალით გაშლა.

გარდა ინფლაციის ზრდის მაკროეკონომიკური ხასიათის მიზეზებისა, არ შეიძლება მხედველობიდან იქნას გაშვებული ის სპეციფიკური მოვლენები, რომლებმაც ჩვენში მოიკიდა ფეხი მრავალ სუბიექტურ გარემოებათა გამო (კრედიტის გაცემა ნაცნობობით და მათი არამიზნობრივი ხარჯვა, ნაღდი და უნაღდო ფულის მასით მანიპულაცია, სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საჭიროებისათვის ნაღდი ფულის ზედმეტი რაოდენობით გაცემა და ამ ფულის რეალიზება თავისუფალ სავალუტო ბირჟაზე, ბანკების მიერ საკასო წესების მასობრივი დარღვევა უკანონო შემოსავლების მიღების მიზნით და ა.შ.). ამ მოვლენების დაძლევას, წმინდა ეკონომიკური ხასიათის ქმედების პარალელურად, მკაცრი ადმინისტრაციული და სამართლებრივი ღონისძიებებიც უნდა ახლდეს თან.

3. ორთოდოქსული თუ ჰეტეროდოქსული სტაბილიზაცია

კუმულაციური ინფლაციური სპირალის დაძლევის რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს უარყოფითი მხარეები და განხორციელების სიძნელეები.

საზღვარგარეთის ეკონომიკურ შეხედულებებსა და ეკონომიკურ პრაქტიკაში მაღალი ინფლაციის დაძლევის გზად მიჩნეულია სტაბილიზაციის ორი ძირითადი ფორმა – ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული ღონისძიებები. ორთოდოქსულ ზომებში იგულისხმება ინფლაციის შეჩერების ისეთი ცნობილი საშუალებები, როგორიცაა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და ბიუჯეტის გაწონასწორება. ამ გზას ეკონომიის რეჟიმსაც უწოდებენ, რაც გულისხმობს სახელმწიფო სექტორის მხრიდან სესხებზე მოთხოვნილების შემცირებას, საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცას, პარალელურად კი მონეტარული რესტრიქციის განხორციელებას საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და კრედიტების გაცემის გამკაცრებით (ე.წ. ორთოდოქსული შოკი). ამასთან ეს ღონისძიებები, როგორც წესი, წარმოადგენენ ინფლაციის საბოლოოდ დაძლევის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის საშუალებას. ამ პროცესს თან უნდა ახლდეს სხვა ქმედებებიც.

მხოლოდ წმინდა ორთოდოქსული ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 1923 წელს გერმანიაში ჰიპერინფლაციის აღკვეთა. უფრო ახალ მაგალითს წარმოადგენს სტაბილიზაციის მიღწევა ბოლივიაში 1985 წელს (პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებიდან შეიძლება, ნაწილობრივ, ამ ტიპის სტაბილიზაციას მივაკუთვნოთ პოლონეთში გატარებული ღონისძიებები. თუმცა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში სტაბილიზაციის ღონისძიებები შედარებით განსხვავებული კუთხით უნდა განვიხილოთ, რადგან ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო სისტემით შეცვლის პროცესი, ეკონომიკის ახალი სექტორის ჩამოყალიბება და მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა წარმოშობს სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელიც საჭიროებს დამატებითი ზომების გატარებას).

ორთოდოქსული სტაბილიზაციის პროგრამების წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს თვით ქვეყნის ტიპი, მაგალითად, ბოლივია, რომელიც არის პატარა და ძირითადად მონოდარგობრივი ეკონომიკის ქვეყანა, კარგად იყო ინტეგრირებული მსოფლიო სამეურნეო კავშირებში, ფასების დონე არ იყო დამახინჯებული და იგი თითქმის იდენტური იყო მსოფლიო ფასებისა. ამ წინაპირობათა გამო, სწორედ აღნიშნული მეთოდით გახდა შესაძლებელი სტაბილიზაციის შედარებით ადვილად მიღწევა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ამ მეთოდის ძირითადი პრინციპების დაცვის შემთხვევაში იძლევიან ფინანსური მხარდაჭერის გარანტიას.

ჰეტეროდოქსულ ზომებში იგულისხმება შემოსავლებისა და ფასების რეგულირება. ეს შეიძლება განხორციელდეს ინფლაციის შესამცირებლად მიმართული "სოციალური პაკეტის" (სოციალური შეთანხმების) მეშვეობით, როცა ხდება შეთანხმება ხელფასების გაყინვის შესახებ გარკვეული დროით ფასების გაყინვასთან ერთად. ფასებისა და ხელფასების საყოველთაო კონტროლს თან ახლავს მოგების შეზღუდვა, ხშირად – ვალუტის კურსის ფიქსაცია და სხვა ადმინისტრაციული მონეტარული ქმედებები (ე.წ. ჰეტეროდოქსული შოკი).

ეს მეთოდი უპირატესად იმ ქვეყნებში იქნა გამოყენებული, რომლებშიც ფასების სტრუქტურა იყო დამახინჯებული, ხოლო ეკონომიკა – ნაკლებად კარგახსნილი.

სტაბილიზაციის პოლიტიკის ჰეტეროდოქსული ტიპი წარმატებით იქნა გამოყენებული მექსიკაში ანტირეცესიული ღონისძიებების დროს (1988-90 წ.წ.), ისრაელში (1985 წ). ანტიინფლაციური სტაბილიზაციის ეს მოდელი ჩავარდა არგენტინაში (1985-89 წ.წ.) პერუში (1985-87 წ.წ.), ბრაზილიაში (1986 წ.), რაც განპირობებული იყო სანახევრო, დაუმთავრებელი ზომებით. საბიუჯეტო და ფულად–საკ-

რედიტო პოლიტიკის ხანმოკლე, ეპიზოდური გამკაცრების შემდეგ კვლავ ხდებოდა უკან დახევა კომპრომისული პოლიტიკისაკენ და ინფლაცია კვლავ იკრებდა ძალას (ამ მოვლენას პროფესიული ჟარგონით "stop-go"-ს – "გაჩერება-წასვლის" პოლიტიკასაც უწოდებენ).

ინფლაციის აღმოფხვრისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ამ ორი ძირითადი გზის გარდა შეიძლება განხილულ იქნას რამდენიმე სხვა ღონისძიებაც, რომელიც საბოლოო ჯამში, ამოსავალი მეთოდის განმტკიცებას ემსახურება და იშვიათად თუ გამოიყენება როგორც ცალკე აღებული მეთოდი.

ერთ-ერთი ასეთი გზის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იგულისხმება ქვეყნის შიდა ბაზარზე მიწოდების ზრდისათვის იმპორტის მასირებული გადიდება, როგორც საგარეო კრედიტების, ასევე ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების ხარჯვის მეშვეობით).

არსებობს აგრეთვე ფასებზე ზემოქმედების მოხდენის მეთოდი რეალური გაცვლითი კურსის განმტკიცების ან რეალური ხელფასის შემცირების გზით. ამის მიღწევა შეიძლება იმით, რომ ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლის კურსი დოლართან მიმართებაში (ან რეალური ხელფასი) იზრდება უფრო ნელა, ვიდრე ფასების საერთო ინდექსი. ასეთ ვითარებაში საბოლოო ჯამში უნდა მოხდეს გაცვლის კურსის (ან ნომინალური ხელფასის) დასტაბილიზება. ასეთი სტაბილური კურსი (ან სტაბილური ხელფასი) თამაშობს შემაკავებლის როლს (ასეთი მეთოდი წარმატებით გამოიყენება ბოლო თვეებში რუსეთში, როცა სავალუტო ინტერვენციის გზით არ დაუშვეს მანეთის კურსის დაცემა დოლართან მიმართებაში ამ ხნის განმავლობაში).

სტაბილიზაციის რომელი ვარიანტია გამოსადეგი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისათვის? ამაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ეკონომიკური პროცესების რეგულირების როგორც ობიექტური, ზოგადი, საყოველთაო პრინციპების, ასევე ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინება. არ შეიძლება, აგრეთვე, იმ ღრმა ისტორიული და ინსტიტუციონალური განსხვავების იგნორირება, რომელიც პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებობს. თვით პოსტსოციალისტური ქვეყნებიც არაერთგვაროვანია. მაგალითად, სოფლის მეურნეობის საბაზრო რელსებზე გადაყვანა და მისი განვითარება გაცილებით ადვილია პოლონეთში, უნგრეთში, ჩინეთსა თუ ვიეტნამში (სადაც კოლექტივიზაცია ან არ განხორციელებულა, ან შეეხო მხოლოდ ერთ თაობას), ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ისინი თავის მხრივ, იმყოფებიან რუსეთთან "გაყრის" პროცესში, რაც კიდევ მრავალ სხვა სახის თავისებურებებსა და პრობლემებს

წარმოშობს (მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში).

დღეს ძნელია წმინდა სახით რომელიმე მეთოდის გამოყენება. თუმცა, ისიც უეჭველია, რომ სტაბილიზაციის ნებისმიერ პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს მკაცრი საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ღონისძიებები. სწორედ ეს პრინციპი ედო საფუძვლად ჩვენს მიერ შემუშავებულ "მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიან პროგრამას", რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ იქნა მოწონებული და რომელშიც ჩადებული პრინციპებით მოქმედებისაკენ მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას დიდი შეიდეულის წევრი ქვეყნების ზოგიერთმა ლიდერმაც (მეიჯორისა და კლინტონის წერილები საქართველოს სახელმწიფო მეთაურისადმი).

მაინც რატომ არის გამოსადეგი საქართველოს სტაბილიზაციის მიღწევის უპირატესად ორთოდოქსული ვარიანტი და რატომ არ გამოგვადგება ჰეტეროდოქსული გზა?!

საქართველოში დღეს არ არსებობს უცხოური ვალუტის რეზერვები (რუსეთის, ესტონეთის ან ზოგიერთი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით). ასეთ ვითარებაში გაცვლის კურსის ფიქსაცია (გამყარება) შეუძლებელი ხდება. ნაკლებრეალურია იმპორტის ზრდა შიდა რესურსების ხარჯზე. საეჭვოა მნიშვნელოვანი საგარეო საფინანსო და საკრედიტო დახმარების მიღება (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისთვის მოულოდნელად საქართველოს მთავრობამ სპონტანური, ცალკეული პრობლემის გადაჭრაზე გამოდევნებული ეკონომიკური კურსი აიღო და აბსოლუტურად უგულებელყო საერთაშორისო ორგანიზაციათა რჩევები).

რაც შეეხება ჰეტეროდოქსული ზომების პაკეტის რეალიზაციას. გარდა იმისა, რომ მისი გატარების ეკონომიკური წანამძღვრები ძალზე რთულია, მნიშვნელოვანი ხდება შიდა პოლიტიკური ფაქტორიც. ძლიერი, ხალხის ნდობით აღჭურვილი, მკაცრად ორგანიზებული სახელმწიფო ხელისუფლების, განსაკუთრებით ეფექტიანად და კომპეტენტურად ფუნქციონირებადი მთავრობის არსებობის გარეშე ამ ზომების გატარების მცდელობასაც კი შეიძლება დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს (რომ არაფერი ვთქვათ პროვინციული ავტორიტარიზმის აღორძინების საფრთხეზე). აქვე, გასათვალისწინებელია ჩვენში ფართოდ ფეხმოკიდებული კორუფცია, კანონისა და დადგენილი ნორმების საყოველთაო "გვერდის ავლა". ასეთ პირობებში ძალზე ძნელია (თუ თითქმის შეუძლებელი არა) ხელფასების გაყინვა, მასზე კონტროლის დაწესება, ისევე, როგორც წარმოუდგენელია საფინანსო სამსახურებისა და სააღრიცხვო-საანგარიშგებო საქმის მოუგვარებლობის ვითარებაში როგორ გაკონტროლდება მოგების ნორმა, შემოსავლების ხარჯვა, ფასების ზომა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ,

თუ რა საყოველთაო უნდობლობაა დამკვიდრებული ხელფასის კონტროლთან დაკავშირებით იმ ქვეყნებში, რომლებმაც გეგმურ ცხოვრებას ახლახან დააღწიეს თავი. ამასთან, ნებისმიერი ფასების სტრუქტურა, რომელიც წარმოიქმნება მისი გაყინვის შემდეგ, იქნება ძალზე დამახინჯებული, როგორც მაკრო, ასევე მიკრო პოზიციიდან, რაც მნიშვნელოვანი უკანდახევაა საბაზრო სისტემის დამკვიდრების გზაზე.

სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფასების გაყინვის შემთხვევაშიც კი სავსებით შესაძლებელია სამომხმარებლო მოთხოვნის სწრაფი ავარდნა, თუ ეს მეთოდი უაღრესად ზუსტად მართული არ იქნება. როდესაც მომხმარებლები იგრძნობენ რეალური ხელფასის შემცირების შეჩერებას და ანაბრების ეროზიის შეწყვეტას, თუ ზუსტი მიზანმიმართულებით არ იქნა წარმართული შემოსავლები, ისინი კვლავ იწყებენ ხელახალ ხარჯვას (მას შემდეგ, რაც ფასების სპირალი ადმინისტრაციულად ჩერდება). ამ შემთხვევაში საქონლის მიწოდება უნდა იყოს საკმარისად მაღალი, რომ ისევ არ წარმოიქმნას ინფლაციური სპირალი. პარალელურად უნდა არსებობდეს განვითარებული საფინანსო ბაზარი და სანდო საბანკო სტრუქტურები, რომლებიც მოიზიდავენ თავისუფალ ფულად სახსრებს. ჩვენს პირობებში ეს ძალზე არარეალურია, ისევე, როგორც არარეალურია საინვესტიციო მოთხოვნის სწრაფი ზრდა გარეეკონომიკური კავშირების სრული პარალიზებისა და ღრმა ენერგეტიკული კრიზისის გამო.

საწარმოებზე ზემოქმედება წმინდა მოგების შემცირების მიმართულებით არა მარტო ძნელი, არამედ მიზანშეწონილიც არ იქნება, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს საინვესტიციო მოთხოვნის (კაპიტალური დაბანდების) კიდევ უფრო დათრგუნვა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰეტეროდოქსული ღონისძიებები საქართველოში პირველსავე მცდელობაზე ჩავარდება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ორგანიზმი ამ მეთოდით მკურნალობას არ ექვემდებარება.

ორთოდოქსული გზის უპირატესობას მოითხოვს ჯერ ერთი, არსებული რეალობა. ჩვენს მდგომარეობაში შეუძლებელია ფასების სტაბილიზაციის მიღწევა მკაცრი ეკონომიის რეჟიმის გარეშე. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება შეზღუდავს ფულის ემისიას, ისევე, როგორც მკაცრი საკრედიტო რეჟიმის დამკვიდრება. თუმცა ეს მიიღწევა მრავალი ოპერაციის, მათ შორის გადასახადების ზრდით, რაც ბუნებრივია, მტკივნეული პროცესია, როგორც სამეურნეო სუბიექტების, ასევე კერძო პირებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკური პოპულიზმით დაავადებული პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი ძალების უარყოფით რეაქციაზე, რომელთა ნაწილი საზოგადო საქმეს საკუთარ სამეწარმეო ინტერესებს შეგნებულად უქვემდებარებს და შესაბამის კანონშემოქმედებასაც ეწევა (იგივე პირველი წაკითხვით

მიღებული კანონპროექტი დაბეგვრის შესახებ).

აუცილებელია, საპროცენტო განაკვეთის ამაღლება და მისი კორექტირება ინფლაციის ზრდის ტემპის შესაბამისად. პარალელურად უნდა ხდებოდეს ექსპორტის სტიმულირება ვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით, ოღონდ სავალუტო ამონაგების საქართველოს საბანკო სისტემაში აკუმულირების პირობებში. ეს დღემდე ვერ მოხერხდა ვალუტის დამალვის მსურველი, სახელმწიფო (ასევე კერძო) სექტორში მოკალათებული გავლენიანი პირებისა და ლობისტების მიერ შექმნილი ვითარების გამო.

დღევანდელ პირობებში, ძველი ცოდვებისაგან თავის დაღწევისათვის და უმკაცრესი საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ ახალი ეკონომიკური და ფინანსური ცხოვრების დაწყებისათვის აუცილებელია კუპონის სასწრაფოდ შეცვლა ახალი ფულადი ნიშნებით და დენომინაციის გზით ფასების ახალ მასშტაბებზე გადასვლა (ანუ ფულის რეფორმის გატარება). ფულის რეფორმის წინააღმდეგ გამოთქმული ის არგუმენტი, რომ მომავალ ფულად ნიშანსაც იგივე ბედი ეწევა, რაც კუპონს, სერიოზული კრიტიკის თემადაც არ გამოდგება. კუპონი არის ეროვნული ვალუტა მისი ყველა ატრიბუტით და თუ რას ვუწოდებთ მას, კუპონსა თუ ლარს, მისი ფუნქციები, სიმტკიცე თუ სხვა თვისებები, ამით, ბუნებრივია, არ იცვლება. მაგრამ დადებითი შედეგი მის შეცვლას შეიძლება თუნდაც იმიტომ მოჰყვეს, რომ უფრო სერიოზულად და ორგანიზებულად მოვეპყრობით ფულის რეფორმის საკითხს და არ გავიმეორებთ ძველ შეცდომებს. ამ მხრივ, პროცესს მამობილიზებელი დატვირთვაც ექნება. ყოველგვარი მცდელობა კუპონის ბრუნვაში შემდგომი დატოვებისა და მათი ახალ-ახალი პარტიების ბეჭდვაზე მილიონობით მყარი ვალუტის ხარჯვა მიუტევებელი შეცდომაა.

რაც შეეხება ფასების მასშტაბის შემცირებას დენომინაციის გზით, თავად ეს მეთოდი, უკვე არის მნიშვნელოვანი ანტიინფლაციური ღონისძიება.

ინფლაციის დაძლევა იქნება მძიმე, მაგრამ აუცილებელი, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის წინაპირობების შესაქმნელად. თუ ეს შეეძელით, მაშინ დღის წესრიგში დგება სხვა ურთულესი საკითხი: როგორ აღვადგინოთ წარმოება.

ეს ცალკე საუბრის თემაა.

დეკემბერი. 1993 წ.

შპასუხისმგებლობის ვითარებაში ყველა ეპოტინება საპასუხისმგებლო პოსტს

ჩვენ, მრავალი საუკუნეა, არ გექონია მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთიანი სახელმწიფო საფინანსო სისტემა. მაშინ, როცა ასე სწრაფად გვეწვია დამოუკიდებლობა, ნაცვლად იმისა, რომ ბალტიის რესპუბლიკების მსგავსად, ცივი გონებითა და ღრმა პროფესიონალიზმის საფუძველზე შეგეექმნა საკუთარი საფინანსო და სავალუტო სისტემა, ჩვენ პროვინციულ-კომპარტიული მართვის მეთოდებს ვერ გავცდით ამ სფეროში. საღი აზრის, საერთაშორისო ექსპერტებისა თუ ადგილობრივი პროფესიონალების შეხედულების საწინააღმდეგოდ, საფინანსო და საბანკო პოლიტიკა წარმართა უცოდინარი პირების მიერ. ამას დამატებული პარტიულ-სამეურნეო წრთობის დარგობრივი მინისტრები პოსტსაბჭოთა პერიოდის ოთხივე მთავრობაში, რომელთა საფინანსო-ეკონომიკური აზროვნება ვერ სცდებოდა საამქროს ტექნიკოსის დონეს, აგრეთვე - მმართველობის "ცკრაიკომის" მოდელის შენარჩუნება და შედეგიც სახეზეა. რეფორმის მცირეოდენ მომხრეებს, როცა ერთი ხელით ქმნიდნენ ახალს, მეორე ხელით სწორედ ამ ტიპის სახელმწიფო მოხელეთა "ნამოღვაწარის" შედეგების თავიდან აცილება უხდებოდათ.

დამოუკიდებელი საფინანსო და სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებისას ძირითად რეტროგრადულ სტრუქტურად მოგვევლინა, ეროვნული ბანკი (მცდარი მონეტარული პოლიტიკის ფუძემდებელი) და ფინანსთა სამინისტრო (საბჭოური ფინანსური სისტემის დამაკონსერვებელი). ეს, უწინარეს ყოვლისა, მათი ხელმძღვანელების არასწორად შერჩევის გამო მოხდა. სხვათაშორის, მე მაშინაც, მინისტრთა კაბინეტის ფორმირების პროცესში, წინააღმდეგი ვიყავი როგორც ბატონ დემურ დვალიშვილის, ასევე ბატონ კახა პოპიაშვილის დანიშვნისა ამ საპასუხისმგებლო პოსტებზე (რომ არაფერი ვთქვათ "ძველი გვარდიის" მუდმივ "ხელმძღვანელ კადრებზე" — დარგობრივ მინისტრებზე). ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრი რამ, რაც დღეს ხდება, სათავეს ცოტა შორიდან იღებს. მიუხედავად ამისა, უდიდესი ძალისხმევის შედეგად, ჩვენ მაინც მივაღწიეთ იმას, რომ კუპონის კურსის დაცემა "შოცკაი გრაფიკით", "პარაშუტის მეთოდით" მიმდინარეობდა, ხოლო მისი შემოღებიდან სამი თვის შემდეგ, უკვე თითქმის ყველაფერი (მათ შორის ბენზინიც) იყიდებოდა მხოლოდ კუპონებზე. კუპონისა და მანეთის ურთიერთმიმართება დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში არ დაცემულა 1:6-ზე დაბლა. ბუნებრივია, ინფლაციას შეუჩვეველი მოსახლეობისათვის ესეც კი გულისწყრომის საგანი იყო, მაგრამ მათ ვერც კი წარმოუდგინათ, რა ელოდათ ახალი

მინისტრთა კაბინეტის ფორმირების შემდეგ, როცა ერთ თვეზე ცოტა მეტ პერიოდში კუპონი იმდენჯერ გაუფასურდა, რამდენიც მთელი მისი წინა პერიოდის განმავლობაში. ეს თითქმის მთლიანად განპირობებული იყო მთავრობიდან რამდენიმე პირის ნებაყოფილობითი წასვლით და მთელი ეკონომიკური ძალაუფლების ტექნოკრატ-პარტოკრატი ლობისტების ხელში ჩავარდნით. დაიშალა ე.წ. ეკონომიკური ბლოკი, რომელსაც განასახიერებდა რეფორმის შტაბი. თითქმის ყველა მაკროეკონომიკური, დარგთაშორისი სამინისტროების ხელმძღვანელთა "სეპარატისტული" ქმედების შედეგად, აგრეთვე გავლენიანი ვიცე-პრემიერების ზემოქმედებით, ეს უწყებები დაიქსაქსნენ სხვადასხვა დაქვემდებარებაში, რის გამოც ვიცე-პრემიერი ეკონომიკურ დარგში ნომენკლატურის სიმბოლურ ფიგურად იქცა, ეკონომიკის სამინისტროს ყოველგვარი ფუნქცია დაეკარგა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს საქმიანობა ბუღალტერიის დონემდე დაეშვა. არც ეროვნული ბანკია კარგ დღეში მთავრობისა და სხვა გავლენიანი პირების არაკომპეტენტური "ინსტრუქციების", მითითებებისა და დავალებების წყალობით. შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკა დაემსგავსა იმ იალქნიან გემს, რომელსაც არა ჰყავს მესაჭე და მხოლოდ ბედისწერაზეა დამოკიდებული, მიენარცხება თუ არა იგი კლდეს.

ვინ არის პასუხისმგებელი ამ მოვლენებზე?

ალბათ, ხშირად გაიგონებთ ხოლმე თანამდებობების პირისაგან, რომ თუ ესა და ეს საქმე არ გამოვიდა, პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებო. როცა საქმე გაფუჭდება, უარეს შემთხვევაში ასეთი პიროვნება შეიძლება მხოლოდ გადადგეს. აი, თურმე რა იგულისხმება პასუხისმგებლობაში. ეს პასუხისმგებლობა კი არ არის, არამედ — დასვენება. ჩვენ არა გვაქვს სამართლებრივად განსაზღვრული სახელმწიფო (პოლიტიკური) მოღვაწის პასუხისმგებლობა. არ არის დაკონკრეტებული თუ რა იგულისმება ამ ცნებაში. როცა ესა თუ ის მინისტრი ან ბანკირი დააქცევს ქვეყანას, შემდეგ დამშვიდებით პენსიაზე წავა ან გადადგება (ბუნებრივია, ცხოვრება უსრულველყოფილი რომ ექნება, ამაში ნაკლებად თუ შეიძლება ეჭვი შეეიტანოთ), პასუხს კი არავინ მოსთხოვს, სწორედ ამით იწყება სახელმწიფოს დამღუპველი სენი — სამართლებრივი ნიჰილიზმი. უპასუხისმგებლობის ვითარებაში ყველა ეპოტინება საპასუხისმგებლო პოსტს.

ისტორიამ ინფლაციის გაცილებით უარესი ფაქტები იცის, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ არავის უცდია, რომ სადოლარო, საფრანკო ან სხვა ზონაში შესულიყო. საკითხის ასე დასმა ნებისმიერ დამოუკიდებელ ქვეყანაში უაზრობად გაიუღერებდა. კუპონის გადარჩენა-არგადარჩენაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ მის გამყარებაზე, რადგან დამოუკიდებელი ქვეყნის ვალუტა მუდამ "გადარჩება" ანუ მარადჟამს იარსებებს იმ ელემენტარული ვითარების გამო, რომ სხვა

გზა არ არსებობს. თუმცა სხვა საკითხია, რამდენად მყარი იქნება ან როგორ შეასრულებს იგი თავის ძირითად ფუნქციას. მას სჭირდება მკურნალობა და არა მოცილება. ორგანიზმი ძირითადი ნაწილის გარეშე უკვე მკვდარი ორგანიზმია. თუ არ არსებობს საკუთარი ვალუტა – არ არსებობს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს მოქალაქე კი ვერც წმინდა პრაგმატული, ეკონომიკური მხრითაც იქნება დაცული. საუბედუროდ, ამჟამად, მიმდინარეობს მოსახლეობის მასობრივი დეზინფორმირება, თითქოს მალე კუპონს შეცვლის მანეთი და უცბათ აღმოვჩნდებით სამოთხეში. ასეც რომ მოხდეს, თითოეული მოქალაქის შემოსავლების ოდენობა, ზუსტად იმდენივე იქნება, რამდენ მანეთსაც შეიცავს დღეს ჩვენი კუპონი. დადებითი შედეგი სამანეთო ზონაში შესვლისა იქნება ნული, უარყოფითი კი ძალიან ბევრი.

რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური საკითხიცაა. სახელმწიფო სუვერენიტეტის რაღაც ფუნქციების დათმობას მაშინ აქვს აზრი (მაგალითად, მსგავსად ევროკავშირისა), როცა იგი კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას, ზრდის მოქალაქეთა კეთილდღეობას, რაც მიიღწევა ძირითადად კოლექტიური ძალისხმევისა და არაეფექტიან კავშირურთიერთობათა გამარტივების ან სრული ლიკვიდაციის გზით. არც ერთ ამ ფუნქციას ერთიანი საგალუტო სისტემის რუსული ვარიანტი ვერ შეასრულებს მრავალ გარემოებათა გამო. თითქმის ყველგან, ბალტიის რესპუბლიკებით დაწყებული, უკრაინით დამთავრებული, რუსეთის არმიის მოსამსახურეებს ეკრძალებათ რუსული მანეთით ხელფასის მიღება. აუცილებელია ამ სახსრების ქვეყნის ეროვნულ ბანკში ადგილობრივ ვალუტაზე კონვერტირება მის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების გამო. ჩვენთან ჯერ კიდევ არსებობს ერთიანი საბჭოთა საბანკო სისტემის სამხედრო სტრუქტურა, ე.წ. საველე ბანკი. თუნდაც იგივე საბჭოთა კავშირის დროს, მაგალითად, გდრ-ში განლაგებული საბჭოთა ნაწილები ხელფასებს გერმანულ მარკებში იღებდნენ. საქართველოში კი პრობლემის ნაწილობრივ არცოდნის, ნაწილობრივ კი რუსეთისადმი განსაკუთრებული მოწიწების გამო, ელემენტარულად გადასაწყვეტი საკითხი დღემდე მოუგვარებელია. ის ფაქტი, რომ ირლვევა პარლამენტის დადგენილება კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად აღიარების შესახებ და რეკლამაც კი უკეთდება სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ დოლარისა თუ მანეთის თავისუფალ ხმარებას კუპონთან ერთად, ღუპავს საქართველოს ეკონომიკას და მის ფინანსურ სისტემას. რუსეთი რომ რუსეთია, იქაც კი აიკრძალა რაიმე ოპერაციის (მათ შორის საცალო ვაჭრობაში) წარმოება უცხოური ვალუტით.

მოკლედ, უკვე მერამდენედ მიხდება ერთი და იგივეს გამეორება:

ვიძირებით უცოდინარობის ჭაობში. არავის უნდა გაიგოს, რომ ეკონომიკას აქვს თავისი ობიექტური კანონები და მისი უგულებელყოფა ისევ ჩვენ შემოგვიბრუნდება.

ძველი მინისტრთა კაბინეტი რეფორმისტული არ იყო. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი ჯგუფის მიერ რეფორმას საქართველოში მაინც მიეცა ბიძგი. შეიქმნა საბაზრო გარემო, ჩამოყალიბდა შერეული ეკონომიკა, თანდათანობით წარმოიქმნა მაკროეკონომიკური რეგულირების ახალი ბერკეტები. საუბედუროდ, რეფორმის მაცოცხლებელი ნერგი სიპ ადგილზე აღმოცენდა. მაფიოზურ, შეიარაღებულ, საომარ და კიდევ ვინ მოთვლის, რა წინააღმდეგობათა გადალახვა არ უხდება მას. სწორედ ამიტომაა, რომ ასე ნელა მიდის ცვლილებები.

თუ ქვეყნის მმართველობაში მოვლენ წესიერი პროფესიონალები, როგორც ზემო, ასევე ქვედა დონეზე, რეფორმა სწრაფად მოგვიტანს პირველ ხელშესახებ შედეგებს. ჩვენი გატანჯული ყოფის პირობებში, ეს შეიძლება ბევრს ზედმეტად ოპტიმისტურად მოეჩვენოს, მაგრამ ამის რეალური საფუძვლები საქართველოში არსებობს. ბუნებრივია, ჩვენი პოლიტიკური თუ სხვა მდგომარეობის გამო უახლოეს პერიოდში არარეალურია "აზიის დრაკონების" მსგავსი ნახტომის გაკეთება, მაგრამ არც სიღატაკისთვის ვართ განწირულნი. თუკი მოწესრიგდება პოლიტიკური სიტუაცია, მოისპობა შეიარაღებული ბანდების თარეში, ოფიციალური და არაოფიციალური რეკეტი, ბიზნესი თავის გზას თვითონ გაიკვლევს (ბუნებრივია, სწორი მაკროეკონომიკური რეგულირების ვითარებაში).

პირველ რიგში, აუცილებელია აბსოლუტურად განსხვავებული (როგორც პერსონალურად, ასევე კურსით) მთავრობის ჩამოყალიბება. მას უნდა ჰქონდეს მოქმედების სრული თავისუფლება და არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ პიროვნების სუბიექტურ გუნებაგანწყობილებაზე. მთავრობამ უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს ინფლაციის აღკვეთა და ყველაფერი, მათ შორის პრიორიტეტული ღონისძიებები, უნდა წარმართოს ამ სტრატეგიული ამოცანის გადასაჭრელად. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გონივრული ფულადი და საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება (თუ როგორ, ეს დეტალურადაა ჩამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწონებულ "მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამაში". საჭიროა მხოლოდ მისი შესრულება). პარალელურად უნდა განხორციელდეს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა და გაგრძელდეს სოფლის რეფორმა, რომელიც აგერ უკვე წელიწადნახევარი შეჩერებულია ამ დარგის კურატორი პირებისა და მათი თანამზრახველების დანაშაულებრივი უმოქმედობის შედეგად. ასევე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღსრულებული წინა მთავრობის მიერ მიღებული ყველა დადგენილება ქონების პრივატიზაციის (მათ შორის აქციონირების) შესახებ, რომელიც

უკვე მეხუთე თვეა შეჩერებულია. ამაში დანაშაული მიუძღვით იმ მინისტრებს და მათი პოსიციების გაშსიარებლებს, რომლებიც მოითხოვდნენ დარგობრივი სამინისტროებისთვის ჩამორთმეული უფლებების აღდგენას, რასაც მიაღწიეს კიდეც. სწორედ ამის შემდეგ მოხდა ის, რომ ეს უფლებები მათ გამოიყენეს პრივატიზაციისა და სხვა რეფორმისტული ღონისძიებების ბლოკირებისათვის. მოტივი კი, როგორც ჩანდა, და შემდეგ კიდევაც დადასტურდა, იყო საკუთარი გავლენის შენარჩუნება სახელმწიფო ქონებაზე, აქედან გამომდინარე სხვა დანარჩენი მახინჯი შედეგებით.

რაც შეეხება ერთ, ცალკე აღებულ საკითხს – კუპონის კურსის სტაბილიზაციას და ინფლაციის ტემპის შემცირებას ზომიერ დონემდე, მისი მიღწევა შესაძლებელია 2-3 თვეში მხოლოდ ე.წ. ორთოდოქსული ზომების განხორციელებით. ეს ყველაფერი ცნობილია საქართველოს ხელისუფალთათვის, საჭიროა მხოლოდ იმ რეკომენდაციების წაკითხვა, რომელიც დაგვიტოვეს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიებმა. თუმცა, მათი გაცნობით ეტყობა დღეს თავს მაინცდამაინც არაეინ იტკიებს, რადგან ჩვენ ხომ ყველაფერი ვიცით, მაშინაც კი, თუ პროფესიულ წიგნებთან, რბილად რომ ვთქვათ, მწყრალადა ვართ.

ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღებაში ყველაზე ქმედითი უნდა იყოს პარლამენტისა და მთავრობის როლი. მაგრამ პარლამენტმა მთელი უფლებები ეკონომიკურ სფეროში გადასცა სახელმწიფოს მეთაურს და ფაქტობრივად გამოეთიშა ცხოვრებას. ალბათ, პირველი კვარტალი ისე დასრულდება რომ ბიუჯეტს ვერც ეიხილავთ პარლამენტზე, ან თუ იქნება გამოტანილი, მას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, ვინაიდან ეროვნული ბანკიდან უკვე გასულია დეფიციტის დასაფარავად თითქმის ნახევარი ტრილიონი კუპონი. ჩემი აზრით, აუცილებელია ჩვენც მივმართოთ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში დამკვიდრებულ წესს, როცა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროო ხდება კომერციული სესხი და არა ცენტრალური ბანკის კრედიტი. ამ უკანასკნელის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მინიმალური ოდენობით, მკაცრად ლიმიტირებული ფორმით და, რაც მთავარია, მისი ნომინალური ოდენობა უნდა იყოს დაკავშირებული წმინდა საავალუტო რეზერვების მატების ტემპთან.

საბიუჯეტო პროცესის რეგულირება, მასზე ზედამხედველობა არის პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია. ამ და სხვა უფლებებზე დროებით უარის თქმა პარლამენტის მხრიდან უდიდესი შეცდომა იყო.

რაც შეეხება მთავრობას, მისი ამჟამინდელი შემადგენლობით, დაუმტკიცებელი მინისტრებითა და "საჩემოდანო" განწყობილებით, საეჭვოა, რომ მისგან რაიმე სასიკეთოს მოველოდეთ.

შექმნილ ვითარებაში, მხოლოდ იმ სახელმწიფო ერთეულს შეუძლია ქმედითი გავლენის მოხდენა პროცესებზე, ვისაც აქვს რეალური, კანონით მინიჭებული უფლებები: ესაა სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, რაც თავისი ამჟამინდელი ფორმითა და ძალაუფლების ხარისხით არა თუ ჩამორჩება, არამედ აღემატება კიდევაც მრავალი ქვეყნის საპრეზიდენტო მმართველობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების (ასევე პასუხისმგებლობის) ხარისხი ამ თანმიმდევრობით შეიძლება დავალაგოთ: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა, ეროვნული ბანკი, პარლამენტი.

როცა ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დგას, უხნეობაა ფარისეველური მოკრძალებულობა და მოჩვენებითი თავმდაბლობა, ისევე, როგორც თავხედობაა, განაცხადო პრეტენზია იმაზე რისი კომპეტენციაც არ გაგაჩნია.

ქვეყანა დგას ისტორიული განსაცდელის წინაშე, ამიტომ ყველამ უნდა გაბედოს (თუნდაც გარისკოს) მხოლოდ იმის კეთება, რისი ძალაც შესწევს. როცა ესა თუ ის პიროვნება ბედავს წაეპოტინოს სახელმწიფო მმართველობის ისეთ პოსტს, რომელსაც უნდა სათანადო პროფესიული მომზადება, არა მარტო თავხედობაა, არამედ დანაშაულიც. ყველას ახსოვს, თუ რა ოდიოზური ტიპები აცხადებდნენ საქართველოში პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეტენზიას ქვეყნის პრეზიდენტობაზე (მაშინ, ჩვენ ვიწვებოდით სირცხვილით მათ ნაცვლად). ეს სინდრომი დამკვიდრებულია ჩვენში. განა უარი განაცხადა ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა მუშაობაზე, როდესაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ჰკიდებდა ხელს. ან ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულა ახლახან დანიშნული უზარმაზარი სახელმწიფო-კომერციული ბანკების ზოგიერთი ხელმძღვანელი, როცა ამ პოსტზე ინიშნებოდნენ, ყოფილან კი ოდესმე ბანკში. სხვათაშორის, ნუ გვგონია, რომ საბანკო სკანდალი ეროვნული ბანკის საქმით დამთავრდა. აუცილებლად მოუწევს მავანს პასუხი აგოს იმ ახლადდანიშნულ პირებზე, რომლებიც არაკომპეტენტურები არიან და ცნობილნი, როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის "თანამებრძოლები" (ზოგი როგორც რიგითი თანაშემწე, ზოგი როგორც აპოლოგეტი).

იმ საკადრო ვითარებაში (განსაუთრებით მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში), რომელიც საქართველოშია, იმ საკადრო "რეზერვებიდან" გამომდინარე, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ადგილობრივი ძალების სახით, თამამად შემიძლია ვთქვა: მე მზადა ვარ ვიკისრო პასუხისმგებლობა, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, საქართველოს ეკონომიკის ამ მდგომარეობიდან გამოყვანაზე (ბუნებრივია, იმ ზომით, რა ზომითაც მექნება მოქმედების თავისუფლება). მაგრამ მხოლოდ მაშინ შემეძლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაბრუნება, თუ

მექნება იმის შესაძლებლობა, რომ პირადად დავაკომპლექტო მაკროეკონომიკური ბლოკი და სხვა თანამდებობრივად მაღლა მდგომი პირი ან სახელმწიფო მართვის სტრუქტურა არ ჩაერევა ჩემს საქმიანობაში (ბუნებრივია, კანონის ფარგლებში). ყველაზე ცოტა, რაც შეიძლება შედეგად მივიღოთ ასეთი ადამიანების ერთობლივი საქმიანობიდან, იქნება ის, რომ ორიოდე წელიწადში ჩვენი ეკონომიკა მოექცევა თავისი ბუნებრივი მდინარების კალაპოტში (არაფერს ვამბობ მოკლევადიან ისეთ პროცესებზე, როგორიცაა ინფლაციის შერბილება და ა.შ.). კალაპოტში მოხვედრილი წყალი კი თავისი შინაგანი სიღრმიდან უკვე იძენს ავტონომიურ ძალას და თავისითაც კარგად იკვლევს გზას (თუ კვლავ ვიღაცამ ჯებირები არ დაუყენა). თუკი სხვა ამას შეძლებს (რაშიც, რა თქმა უნდა, არ მინდა ეჭვი შევიტანო), მისი, როგორც იტყვიან ხოლმე, მონა-მორჩილი ვიქნები. დღეს კი სწორედ უფრო ჯებირების აღმართვით არიან დაკავებულნი...

მოკლედ, ასეთ უთავბოლო ეკონომიკურ დომხალში მე არაფერი მესაქმება.

იანვარი. 1994 წ.

კაპათი ბულუბრყვილო - ფანტასტიკურ თემაზე ანუ როგორ შევცვალოთ კუპონი ეანეთით

— თქვენი გამოსვლები სიმწვავით ხასიათდებოდა ჯერ კიდევ "უძრაობის" პერიოდში. შემდეგ ხდებით ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ამუშავებთ საქართველოს მომავალი განვითარების კონცეფციებს. სახალხო ფრონტის წევრობას რაიმე გავლენა ხომ არ მოუხდენიათ თქვენზე, როგორც მეცნიერ-ეკონომისტზე?

— ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პროცესი, ბუნებრივია ზეგავლენას ახდენდა ადამიანის მსოფლმხედველობაზე, მათ შორის, მის ეკონომიკურ შეხედულებაზეც. ის, რაც დღეს მეტნაკლებად ყველასათვის ნათელია საბაზრო სისტემის შესახებ, მაშინ წარმოუდგენლად ძნელი გასაგებელი და მისაღები იყო არა მარტო ძირითადი სოციალური ფენებისათვის, არამედ მეცნიერებისა და პრაქტიკოსებისათვის. ჩემი ერთ-ერთი პირველი პუბლიცისტური წერილის სათაური, ეგრეთ წოდებული "უძრაობის" პერიოდში, "კარგია თუ არა გეგმის გადაჭარბება" იყო. საკითხის ამგვარი დასმაც კი მაშინ ითვლებოდა იდეოლოგიურ დივერსიად, იწვევდა დიდ უკმაყოფილებას არა მარტო ცკ-ში, არამედ ორთოდოქს მეცნიერ-ეკონომისტებშიაც. ამის მიზეზი იყო არა მხოლოდ იდეოლოგიური, მსოფლმხედველობრივი დოგმები, არამედ დასავლური ეკონომიკური პრაქტიკის, ეკონომიკური აზრის აბსოლუტური არცოდნა, ინფორმაციის უქონლობა. სახალხო ფრონტის დაარსების პერიოდში ჩვენ ვსწავლობდით კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილებას, ვეძებდით საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ჩვენეულ კონცეფციას (მაგალითად, "საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია" და სხვა.). ეს კონცეფციები, დღევანდელი გადასახედიდან უაღრესად სწორი და თანამედროვე მოსჩანს. მაშინ, როცა ისინი იწერებოდა, არავითარი შეხება არ გვქონდა არც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, არც მსოფლიო ბანკთან. ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი ე.წ. "ხავერდოვანი" რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და არ იყო დაწყებული ფართომასშტაბიანი რეფორმები, საიდანაც შეიძლებოდა გამოცდილების აღება. იმ პერიოდში ჩამოყალიბებული შეხედულებები ძირითადად იყო სწორი. ის, რომ გარეშე ძალების ზემოქმედების, შიდაპოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების, შემდგომში აფხაზეთის და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მომხდარი მოვლენების შედეგად ეს იდეები სრულფასოვნად ვერ იქნა ხორცშესხმული, სრულიადაც არ ნიშნავს მათ მცდარობას. დღეს, ბევრს სურს იმ პერიოდში მომხდარი მოვლენების გაყალბება, რათა დაასაბუთონ უსუსური დე-**

ბულება იმის შესახებ, თითქოს ყველაფერი ნაჩქარევად მოხდა და საქართველო მზად არ იყო დამოუკიდებლობისათვის. ამას ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომელთათვის რუსეთი და სოციალისტური სისტემა დღემდე წარმოადგენს დასაყრდენს.

— "ერგვალების" დროს, შეიძლება ითქვას, "თამაშგარეშე მდგომარეობაში" აღმოჩნდებით. ეს ალბათ, გუგუშვილის სახელმწიფო კაპიტალიზმის პოლიტიკასთან თქვენი შეურიგებლობის ლოგიკური შედეგი იყო...

— ეს ნაწილობრივ სწორია, თუმცა იმ პერიოდშიც ბევრი რამ გაკეთდა იმდროინდელი პარლამენტის ეკონომიკური რეფორმის კომისიის მიერ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვიყავი ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. სწორედ მაშინ შეიქმნა კანონები "სამეწარმეო საქმიანობის შესახებ", "საბანკო საქმიანობის შესახებ" და სხვა. თუმცა, მაშინ არსებული პოლიტიკური ატმოსფერო და ანტისაბაზრო ისტერია თავის უარყოფით კვალს ამჩნევდა ჩვენს საქმიანობას.

— ნებისმიერი მთავრობის დროს თქვენ რეფორმისტული პოლიტიკის მომხრე ხართ. მოხვედით რა ხელისუფლებაში ვიცეპრემიერად, საკუთარი ეკონომიკური კონცეფციები გაგაჩნდათ. ამ კონცეფციების ნაწილი უკვე განხორციელდა, ნაწილი ვერა. რამ შეუშალა ხელი მათ განხორციელებას.

— ბოლო ორ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა საბაზრო სისტემის დამკვიდრებისათვის. აღმოცენდა შერეული ეკონომიკა და ჩამოყალიბდა საბაზრო ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკური რეფორმის მიმართულებითაც, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე ძალაუფლებისათვის ბრძოლის პირობებში ერი შუაზე გაიხლიჩა. გარეშე ძალების ზემოქმედებით, ჩვენი მიუტევებელი შეცდომების შედეგად, სამოქალაქო კონფლიქტი დაგვიჯდა ქვეყნის დაძაბუნებისა და ტერიტორიების დათმობის ფასად. ასეთ ვითარებაში ქვეყანაში ცხადია ძნელდება რეფორმისტული პროგრამისა და გადაწყვეტილებების შესრულება. მათ აბრკოლებდნენ ის გავლენიანი ძალები, რომლებსაც ხელთ ეპყრათ ქონებრივი სადავეები (ე.წ. "ძველი გვარდია") ან რომლებიც ახლო პერიოდში დიდძალი საკუთრების მფლობელები გახდნენ (მათ შორის საჩუქრად მიღებული კრედიტებით). ისინი ქმნიდნენ ახალ კლანურ ეკონომიკურ სტრუქტურებს. ბუნებრივია, ასეთ დაჯგუფებებს არ აწყობთ დემოკრატიული და საბაზრო ცვლილებები, რადგან ხელი ეშლებათ უკანონო გამდიდრებაში. დღეს სიმდიდრის დაგროვების მრავალი გზა არსებობს, მათ შორის ძარცვაგლეჯით დაწყებული და "კულტურული" ფორმით (ხაზინის ქურდობა, საექსპორტო შემოსავლების დამალვა, სესხები და ა.შ.) დამთავრებული. რეფორმა და კანონიერების დამკვიდრება კი ამ მოვლენებს მოსპობს.

ამიტომ, რეფორმით პირველ რიგში დაინტერესებული უნდა იყოს ხალხის ფართო მასები. რეფორმის მოწინააღმდეგეებმა კი ცრუ პროპაგანდისა თუ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების გამოყენებით ხალხს მოახვიეს ანტირეფორმისტული, ანტიდემოკრატიული იდეები. ასეთი შეხედულებების დამკვიდრებას ხელს უწყობს სოციალური ფონი — უაღრესი გაჭირვება და ძალმომრეობა. ამგვარ რთულ ვითარებაში, ბუნებრივია, ძალზე ძნელია გადამჭრელი, მათ შორის არაპოპულარული, მაგრამ სამომავლოდ აუცილებელი და სასიკეთო ზომების გატარება.

— კუპონის შემოღება საკმაოდ გასაგებია, რომ იძულებითი ნაბიჯი იყო. ალბათ, ეყრდნობოდით განსაზღვრულ ბერკეტებს, რაც მას გაუფასურებისაგან დაიცავდა.

— კუპონის შემოღების იძულებაში არის ნაწილობრივი სიმართლე, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ მისი გამოშვება ცოტა უფრო ადრე მოგვიხდა, ვიდრე ველოდით. დღეს ბევრმა დაივიწყა ის ფაქტი, რომ რუსეთიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ მივიღეთ ვერც ერთი კაპიკი და რა მდგომარეობაში იყო ხალხი ხელფასების დაგვიანების გამო. საკუთარი ვალუტა რომ აუცილებლად შემოსაღები გვექნებოდა აპრილში თუ არა, ორი-სამი თვის შემდეგ მაინც, ამაში, საქმეში ჩახედულ ადამიანებს ეჭვი არ ეპარებოდათ. ყოველივე ეს კიდეც დაგვანახა შემდგომმა პროცესებმა. მაგრამ ვერა და ვერ შევაგნებინეთ ტექნოკრატ მინისტრებსა და უმაღლეს პასუხისმგებელ ზოგიერთ პირებს, რომ ილუზიაა სამანეთო ზონაში დაბრუნება, რომ ეს არაა დამოკიდებული მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე. აქ არაფერს ვამბობ იმ კაბალურ პირობებზე, რაც ჩადებული იყო ერთიანი ვალუტის - მანეთის გამოყენებაში. კუპონის შემოღება იყო გარდაუვალი. მისი ბრუნვაში გაშვება მოგვიწევდა აუცილებლად, როგორი დაპირებებიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მხრიდან რუსეთის წინაშე სამანეთო ზონაში დარჩენასთან დაკავშირებით. სხვა გზა არ იყო და არც მომავალში იქნება. ჩვენ გვაქვს საკუთარი ვალუტა და მას უნდა მოვუაროთ. რომ არა დილეტანტური და მიამიტური შეხედულებები დამოუკიდებელი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფუნქციაზე, რასაც ეროვნული ბანკის დამანგრეველი და დანაშაულებრივი მოქმედება დაემატა (სხვა მოვლენებთან ერთად), არ იქნებოდა კამათი გ'ულუბრყვილო-ფანტასტიკურ თემაზე: როგორ შევცვალოთ კუპონი მანეთით. არა და, ეს კი არაა საჭირო, არამედ უნდა გარდაიქმნას საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა, უნდა შეიცვალოს კუპონი ახალი ფულადი ნიშნით — ლარით და გატარდეს უმკაცრესი მონეტარული პოლიტიკა საერთაშორისო ზედამხედველობის ქვეშ.

— რამდენად რეალურია ახალი სამანეთო ზონა და თქვენი მოკლე კომენტარი ამის შესახებ.

— აბსოლუტურად არარეალურია. მცდელობა სამანეთო ზონაში დაბრუნებისა და უარის თქმა საკუთარ ვალუტაზე, არა მარტო პოლიტიკურად არის საზიანო, არამედ არახელსაყრელია წმინდა ეკონომიკური და პრაქტიკული მოსაზრებებითაც. ჩვენი მხრიდან სურვილი სამანეთო ზონაში დაბრუნებისა, არის რეალური პროცესების, მომავალი განვითარების ტენდენციის არცოდნა და ერთობ უპასუხისმგებლო, არასერიოზული განცხადება. ჩვენ არასდროს ვიტყვით უარს საკუთარ ვალუტაზე, ხოლო ამგვარი განცხადებები, ჯერ ერთი, ავლენენ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა არაკომპეტენტურობას ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში, მეორე მხრივ, ვუჩვენებთ მოწინააღმდეგეებს, რომ ვართ უსუსურები და არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ქვეყნის მართვა.

— როგორც ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცნობდა თქვენს რეფორმისტულ პოლიტიკას და მხარს გიჭერდათ...

—ჩვენ უაღრესად მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა გვქონდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მათი ექსპერტები ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში და გვთავაზობდნენ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს. მათი ყურადღების ცენტრში იყო ჩვენს მიერ გატარებული რეფორმები, ამიტომ მრავალი გადაწყვეტილება, ისევე როგორც რეფორმის საშუალოვადიანი პროგრამა, მათთან იყო შეთანხმებული. მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტს ჩამოშორდა ჟველა რეფორმატორი, აგერ უკვე ხუთ თვეზე მეტია არც ერთი მისია არ წვეულა საქართველოს ამ ორგანიზაციებიდან, რაც ძალზე სამწუხაროა. ეტყობა, ჩვენზე საბოლოოდ აიცრუეს გული. პირადად მე ღღემდე მაქვს კავშირი ამ ორგანიზაციებთან და შეძლებისდაგვარად ვიღებ ინფორმაციებს.

— ორიოდე სიტყვით ახალ ცნებებზე — "საბანკო მაფია" და "დვალიშვილის საქმე"...

— ეს მოვლენა არ ეხება მხოლოდ საბანკო საქმეს ან ერთი რომელიმე პიროვნების საქმიანობას. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სახელის წამდაუწუმ ხსენება და მომხდარი ამბების ახსნა ერთი ადამიანის არაკომპეტენტურობით, არის რეალური ვითარების მიჩქმალვა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ უკანონობის მექანიზმი, რომელიც საბანკო სფეროში იყო, არ იქნება ახსნილი და არც არავინ დაისჯება. რაც შეეხება ცალკული ფირმების დასჯას, ეს არის მოვლენათა შედეგზე შურისძიება მიზეზის ხელუხლებლად დატოვების პირობებში.

— ამ რამდენიმე დღის წინ თქვენ გამოხვედით ვრცელი მოხსენებით, სადაც სხვა პრობლემებთან ერთად, ისაუბრეთ იმ საკადრო ცვლილებებზე, რაც გაგტარდა სახელმწიფო-

კომერციულ ბანკებში. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?

— ჩემი გამოსვლისას არ მქონდა ინფორმაცია, თუ ვის ნიშნავდნენ, თორემ იგი გაცილებით მწვავე იქნებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მე მხოლოდ იმ მანკიერ საკადრო მექანიზმსე მქონდა საუბარი, როცა მოულოდნელად ინიშნებიან საქართველოს უდიდესი სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელები ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, ვიცე-პრემიერმა, რომელიც უშუალოდ კურირებს ამ სფეროს და პარლამენტის საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ. დაინიშნა ხალხი, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ პრაქტიკულ საბანკო საქმიანობაზე, თანაც ისინი არიან ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ბატონ დემურ დვალიშვილის იდეური და არა მარტო იდეური მიმდევრები.

— როგორ შეაფასებდით ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის საქმიანობს?

— ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი რომ დაბრუნებულიყო მაღალ საბანკო პოსტზე, ამის ინიციატორი მე ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი, როცა ვიცე-პრემიერად ემუშაობდი. როგორც კი გავიგე, რომ ბანკის პრეზიდენტად ინიშნებოდა ბატონი დემურ დვალიშვილი, საბანკო საქმეში აბსოლუტურად გამოუცდელი ადამიანი, მე ვთხოვე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომ დაენიშნათ ჯავახიშვილი მის პირველ მოადგილედ, რადგან მას კომპეტენტური ბანკირის რეპუტაცია ჰქონდა. ჩემი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ჯავახიშვილი ვერ დაინიშნა მაშინ მოადგილედ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თხოვნა სახელმწიფო მეთაურის წინაშე რამდენჯერმე იქნა გამეორებული, სულ ბოლოს კი ჩემი გადადგომის წინა დღეს. შემდგომში მე კმაყოფილებით შევხვდი მის დანიშვნას ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

თუ დავუკვირდებით ინფლაციის პროცესს საქართველოში, სამწუხაროდ, სასიკეთო ცვლილებები მაინც ვერ გატარდა. ერთია, შეწყდა განუკითხავი საკრედიტო ექსპანსია, მაგრამ სახსრები მაინც გადის ირიბი გზით. მათ შორის უკონტროლო საბიუჯეტო ხარჯების სახით. ბატონი ჯავახიშვილის ბოლო გამოსვლამ პარლამენტში, აგრეთვე ფინანსთა მინისტრისა და ეკონომიკის დარგში ვიცე-პრემიერის გამოსვლებმა ცხადყო, რომ მათ არა აქვთ საკმაო გაბედულობა, ვერ მოქმედებენ დამოუკიდებლად და ძირითადად, ეკონომიკურ პროცესებს მართავენ ძველი ტექნოკრატიულ-პარტოკრატიული ძალები. მათ უნდა ეყოთ პროფესიული ღირსება, რომ უფრო გაბედულად თქვან სიმართლე. როცა 1994 წლის ბიუჯეტი პარლამენტის დამტკიცების გარეშე იწყებს აღსრულებას და მხოლოდ პირველ კვარტალში თითქმის ნახევარი ტრილიონი კუპონის ოდენობის ხარჯებია გასაწევი, ინფლაციის სპირალი ისეთ სახეს მიიღებს, რომელზედაც მხოლოდ ლიტერატურაში თუ გვსმენია. ასეთ პირობებში, კომპრომისებზე წასვლა სახელ-

მწიფო თანამდებობის პირების მხრიდან, დანაშაულის ტოლფასია.

— ბატონო რომან, თქვენ საკმაო გამოცდილება გაქვთ როგორც მეცნიერ-ეკონომისტს. ხომ არ იფიქრებით ხელისუფლებაში დაბრუნებას და რა შემთხვევაში ისურვებდით?

— ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ბატონი მიხეილ ჯიბუტი მოსწრებული ენის პატრონი გახლავთ. ახლახან, ამგვარ შეკითხვაზე შინაურ წრეში უპასუხია: "იმ ყოფილ მინისტრს რა ეუთხრა, მინისტრობაზე რომ არ ოცნებობსო". საკუთარი ნებით გადამდგარი მინისტრის ასეთი სიმართლენარევი ხუმრობა სრულიადაც არ ეღერს ცუდად. რაც შეეხება ჩემს პოზიციას — ვიყავი და ვარ დარწმუნებული, რომ შემეძლო და შემიძლია ბევრი კარგი საქმის გაკეთება თუ მექნება შესაბამისი პირობები. მე არასოდეს ვიქნები იმ მთავრობაში, რომელშიაც ეკონომიკაში არაკომპეტენტურ პირებს ექნებათ იმის უფლება, რომ თავს მოგვახვიონ საკუთარი ნება— მოკლედ, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდები, თუ მექნება მოქმედების სრული თავისუფლება.

— დაბოლოს, ორიოდე სიტყვით ჟენევის მოლაპარაკების შესახებ...

— ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რუსეთის ჯარის ენგურის გასწვრივ განლაგება, არის საქართველოსათვის აფხაზეთის შემოერთების პრობლემის უსაშველო გართულება. ამ გზით ლტოლვილების დაბრუნება არარეალურია თუ არ ჩავთვლით მცირე რაოდენობით დაბრუნებულებს გალის რაიონში. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ვთქვათ დაბრუნდა მოსახლეობა ოჩამჩირეში, სოხუმში ან თუნდაც, შედარებით უსაფრთხო გალის რაიონში, რომელ ქვეყანაში იცხოვრებენ ისინი, ვინ იქნება ადგილობრივ ადმინისტრაციაში, რა ფულის ერთეული ექნებათ, რომელ ბანკში შეინახავენ ამ ფულს ან სად გახსნიან კომერციული სტრუქტურები ანგარიშებს. შეძლებენ თუ არა ამ სახსრების საქართველოში გადმორიცხვას, ვინ დაიცავს მათ სამეურნეო თუ პიროვნულ უფლებებს. როგორი იქნება სასამართლო სისტემა თუ ხელისუფლების სხვა ორგანოები და ვის დაქვემდებარებაში. როგორი იქნება მიმოსვლის რეჟიმი (ვიზით თუ უვიზოდ), ვინ დაბრუნდება ასეთ ვითარებაში ან ვინ იძლევა გარანტიას მათი სიცოცხლის ხელშეუხებლობაზე?

რეალურად გამოვა, რომ აფხაზები მთელს მსოფლიოს ამცნობენ, თუ როგორ სურთ ლტოლვილებს დაბრუნება და როგორ უშლის ხელს ამ საქმეს საქართველოს მხარე, რადგან ლტოლვილები ასეთი პირობებში ვერ გაბედავენ და არც მოისურვებენ დაბრუნებას. პირდაპირ ვიტყვი, რომ ჟენევის ხელშეკრულება ამ ბოლო პერიოდის მორიგი პოლიტიკური მარცხია.

იანვარი, 1994 წ.

ვართ თუ არა ზონაში დაბრუნების ღირსი?!...

- ბატონო რომან, ყველას გვახსოვს ის დღე, როცა კუპონი ერთადერთ საგადახდელო საშუალებად გამოცხადდა. შერე რა მოხდა, რატომ არ შესრულდა იგი?

ეს მთლად სწორი არ არის. გაიხსენეთ აგვისტოს თვე. კუპონზე იყიდებოდა აბსოლუტურად ყველაფერი, კომერციული ბენზინიც კი და აქა-იქ თუ გაბედავდა ვინმე მის გაყიდვას მანეთებზე ან დოლარებზე, ისიც ძალზე ფრთხილად... ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა განაღებული იყო შიდაპოლიტიკური ისტერია, არ დამტკიცდა ბიუჯეტი. გრძელდებოდა ეროვნული ბანკის საკრედიტო ექსპანსია. მიუხედავად ამისა, ჩვენ თითქმის შეუძლებელი შევძელით. ეკონომიკური რეფორმის შტაბი ყოველდღიურად იკრიბებოდა. შეიქმნა მრავალი დოკუმენტი, რომელიც სავალუტო ურთიერთობებს არეგულირებდა.

15 აგვისტოსათვის ერთი დოლარი 6,8 ათას კუპონს უდრიდა. შემდეგ რა მოხდა ყველამ კარგად იცის. ერთ თვეში განადგურდა ის, რასაც ხუთი თვე ვაშენებით. ეს შედეგია არაკომპეტენტურობისა და პოლიტიკური თამაშისა... დღეს უკვე ოფიციალურმა შემოსავლებმა დაკარგეს ყოველგვარი ეკონომიკური შინაარსი. ხელფასები ათჯერაც რომ გავადიდოთ ცხოვრების დონეს მაინც არ დაეშნევა, ეს არის ფინანსური სისტემის სრული კრახი, გამოწვეული მხოლოდ უცოდინარობითა და დანაშაულებრივი გულგრილობით. იმ ფაქტს, რომ ფინანსური სისტემა გაანადგეს, ვერაფითარი ობიექტური მიზეზებით ვერ ავხსნით.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ შესრულდა აღნიშნული დადგენილება, ამას აქვს ერთი მოკლე პასუხი: ჩემი წასვლის შემდეგ, ეს არავის მოუნდომებია. დღეს კი ეს ძალზე ძნელია, შეუძლებელი თუ არა. საჭიროა ფულის რეფორმის გატარება ხელისუფლების სრული განახლების ვითარებაში; სამწუხაროდ, უკვე ყველამ კარგად დაინახა, თუ რა დიდი უბედურება შეიძლება მოუტანოს ხალხს დილეტანტიზმმა და ეკონომიკური კანონების იგნორირებამ.

— გავრცელებული აზრის მიხედვით, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა. რა არის ამის მიზეზი და ახდენს თუ არა ზემოქმედებას პოლიტიკა ეკონომიკურ პროცესებზე?

- ჩვენ შევიმუშავეთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის 18 თვიანი პროგრამა, რომელიც მოიწონეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. სწორედ ეს პროგრამა შეეწირა პოლიტიკურ ინტრიგებს. იგი არავინ არ დაიცვა არც პარლამენტმა და არც სახელმწიფოს მეთაურმა. მის ბლოკირებას ეწეოდა თითქმის ყველა დარგობრივი

მინისტრი. მიუხედავად ამისა, თუკი რამე გაკეთებულა ეკონომიკაში, გაკეთდა სწორედ ამ პროგრამისა და მისი წინამორბედი პროგრამის საფუძველზე. რეფორმატორების წასვლის შემდეგ კი ძველმა ნომენკლატურამ როგორც იქნა მიაღწია საწადელს: რეფორმები შეანერა ყველა მიმართულებით და ამჟამად, მხოლოდ ინერციით თუ კეთდება ცოტა რამ. ამიტომ, ამ ვითარებაში, ბუნებრივია არ შეიძლება მთავრობას ახალი პროგრამა ჰქონდეს. უფრო მეტიც - იგი ვერაფერს შეექმნის ღირებულს, რადგან ძველისაკენ დაბრუნებას აშკარად ვერ შესძლებენ, ახალი კი მათთვის მიუღებელია. ასეთ ვითარებაში შეიქმნება "პროგრამა", რომელიც ფაქტიურად ამჟამინდელი "კურსის" გამგრძელებელი შეიძლება იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცი, თუ რა ძალები ქმნიან ამ დოკუმენტს და აღასრულებენ კიდეც. მოკლედ, ეს ალბათ იქნება "რიჟკოვ-სილაევის" დროინდელი რუსეთის მოიავრობის კურსის მსგავსი, ოღონდ მასთან შედარებით, დილეტანტური შესრულებით. როგორც იტყვიან, ცუდ მუსიკას ცუდი მუსიკოსები დაუკრავენ.

ასე კი დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ხალხის მოთმინება უსაზღვრო რომ არ არის, ამის მრავალი გაკვეთილი არსებობს. საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა, თორემ ღმერთმა იცის საით წარიმართება უმართავი ძალა. ჩემი აზრით, საჭიროა კომპრომისების საფუძველზე გაერთიანებული მოქმედება ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ უახლეს ხუთ წელიწადში ერთი რომელიმე ძალა მოიპოვებს აშკარა პოლიტიკურ გამარჯვებას, სრული გულუბრყვილობაა. ხალხი კარგად ხედავს ყველაფერს, მათ შორის ისეთი განცხადებების სიცრუესაც, როდესაც დამნაშავეებს ვითომ ახლადშექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციის ძალებით ებრძვიან. თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ნაგავიც კი მხოლოდ მათი ძალისხმევით გააქვთ ქალაქიდან. უკვე კარგა ხანია გაშიფრულია "მთავრობისა და პარტიის გადაწყვეტილებათა შუქზე" ჩატარებული კამპანიები. უკეთესის მოსაგონებლად კი, როგორც ჩანს, ფანტაზია არ ჰყოფნით. ეფიქრობ, დროა შეწყდეს პოლიტიკური ნიშნით სოციალური ფენების პოლარიზებისა და დაპირისპირების პროცესი. ბოლშევიკების მიერ დაწერილმა "წითელითა და თეთრით" აზროვნების პროცესმა ტრაგიკული კვალი დაამჩნია ისტორიას. დროა, საქართველოში ახალ წესრიგს დაედოს საფუძველი, ახალ ეკონომიკას, ახალ აზროვნებას, ახალ თაობას...

- ბატონო რომან, თქვენ გადადექით თანამდებობიდან და ბედის ანაბარა მიატოვეთ კუპონის შემყურე ხალხი, ხომ არ გავს თქვენი საქციელი პილატეს ხელის დაბანას?

- მე მზად ვიყავი ბოლომდე წინ აღუდგომოდი ეკონომიკის დამანგრეველი ძალების ქმედებას და ბოლომდე მიმეყვანა ერთობ

არაპოპულარული, მაგრამ სწორი ეკონომიკური რეფორმები. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ხელისშემშლელი პირების ჩამოცილება მთავრობიდან, აგრეთვე მხარდაჭერა პრეზიდენტისა და გაელენიანი პოლიტიკური ძალების მხრიდან. ეს კი არ გაკეთდა... როცა მთავრობის უმრავლესობა ძველი ტექნოკრატიულ-კომპარტიული აზროვნებით დაღდასმული პირებით არის დაკომპლექტებული, იქ ყოფნას, ვფიქრობ, აზრი არა აქვს. არის სიტუაცია, როცა უმცირესობაში ყოფნის დროსაც კი "შიგნით" უფრო მეტის გაკეთება შეგიძლია, ვიდრე "გარედან". ასე იყო წინა ორ მთავრობაში ჩემი საქმიანობის დროსაც. მაგრამ არის ვითარება, როცა არა მხოლოდ მთავრობაა უმაქნისი, არამედ სხვა გაელენიანი სტრუქტურებიც, რომლებიც სრულ ბლოკირებას უკეთებენ მათთვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებებს. ასეთ ვითარებაში საერთო-სახელმწიფოებრივი (და არა პირადი) ინტერესებიდან გამომდინარე სჯობია "გარედან" აკეთო საქმე.

მე არც დღეს ვარ განწყობილი. ყველას ამოვუდგები გვერდში, ვინც კი ოდნავ მაინც გამოიხედავს რეფორმებისაკენ. ვფიქრობ, კრიტიკა და სწორი გზისკენ მითითებაც თანამშრომლობის ფორმაა.

ე.წ. "ლიბერალურმა" ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ სულ გააჩანაგა ჩვენი ისედაც დანგრეული ეკონომიკა. თქვენი აზრით, თავის დროზე რატომ არ აღიმაღლეს ხმა ამის წინააღმდეგ?

- ამაში კი ვერ დაგეთანხმებით. უმალ პირიქით იყო. პირველი დღიდანვე, როგორც კი ასეთი ქმედებები დაიწყო წინააღმდეგი ვიყავით და დღემდე არ გაეცერებულვართ. მის წინააღმდეგ გამოდიოდა საქმეში ჩახედული ყველა ადამიანი, იყო ძალზე მძაფრი დაპირისპირებაც იმ პირებთან, ვინც ამ პოლიტიკას ატარებდა ან იცავდა. უფრო მეტიც, თვით სახელმწიფო საბანკო სისტემაში არ მოიძებნება ერთი ადამიანიც კი, ვინც ასეთ ქმედებას მხარს უჭერდა. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ამგვარი "ლიბერალური პოლიტიკისადმი", იგი მრავალგზის არის გამოხატული, როგორც პარლამენტისა და მთავრობის სხდომებზე, ასევე პრესაშიც... რომ არა ასეთი ზეწოლა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მკაცრი გაფრთხილება, დღეს შეიძლება უარეს მდგომარეობაში აღმოჩენილიყავით.

გაელენიანი ინგლისური ჟურნალი "ეკონომისტი" ერთი წლის წინ წერდა: "ფულის შემოღებაზე და ქართული ეკონომიკის რეფორმაზე პასუხისმგებელი ადამიანი რომან გოცირიძე პარლამენტს აბრალებს, რომ ის ფეხს ითრევს ახალი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისათვის კანონმდებლობის შექმნაში. ბანკები საქართველოში კრედიტს ყველა მსურველს აძლევენ. ბატონ გოცირიძეს ამის შეჩერება სურს".

სხვათაშორის, არაფერი გაკეთებულა სახელმწიფო საბანკო

სისტემის რეფორმის მხრივ. არადა, ამისათვის ყველაფერი მზად გვქონდა. მაშინ მე პარლამენტს მოვუწოდებდი დაეჩქარებინა ჩვენს მიერ მომზადებული კანონების მიღება. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და პარლამენტი უფუნქციო საკონსულტაციო ორგანოდ იქცა თავისი უფლებამოსილების სახელმწიფო მეთაურისადმი გადაცემის გამო. ამ უკანასკნელმა კი ფაქტიურად მხარი დაუჭირა ე.წ. "ლიბერალურ" ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

აგერ უკვე ორი წელია დევს კანონპროექტი გირავნობის შესახებ, რომლის გარეშეც ახალი, დამოუკიდებელი საბანკო სისტემა ვერ განვითარდება, ასევე არსებობს კანონპროექტი სავალუტო რეგულირების შესახებ, რომელიც ასე გვჭირდება დღეს, საკვირველია, რატომ ჭიანურდება მათი მიღება.

- ბატონო რომან, რა ბედი ეწია ჩვენს ეროვნულ ფულს - ლარს?

- იგი მსად არის დასაბეჭდად. საკმარისია საბეჭდი დაზგის ღილაკზე თითის დაჭერა და ორ კვირაში მისი საკმარისი რაოდენობა თბილისში იქნება.

თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა კუპონის გამყარება, თუ მაინც და მაინც სამანეთო ზონაა გამოსავალი?

რაც შეეხება სამანეთო ზონას, მასში შესვლით და იმ პირობებით, რასაც რუსეთი გვთავაზობს, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ვერავითარ სახეირო შედეგს ვერ მივიღებთ და საერთოდ, ამ თემაზე საუბარი დღეს უაზრობად მიმაჩნია. კუპონის გამყარება კი, ჩემი აზრით, ადვილად შეიძლება მისაღებ დონემდე... თუკი ხელისუფლება საწინააღმდეგოს ამტკიცებს, მაშინ უნდა შემუშავდეს ქვეყნის ცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობის პროგრამა ჰიპერინფლაციის პირობებში. 1990 წელს არგენტინაში ინფლაციის ტემპი იყო 4007 პროცენტი, ბრაზილიაში – 1764, ნიკარაგუაში 3904 ე.ი. იმდენი, რამდენიც ჩვენთან. მაგრამ არავის მოსვლია აზრად საკუთარი ვალუტა დოლარით შეეცვალა და შეერთებულ შტატებს შეერთებოდნენ. თუ ინფლაციის შემცირებას ვერ ახერხებ, ის მაინც გააკეთე, რომ ეკონომიკა და მოსახლეობის ცხოვრება ინფლაციურ რეჟიმში გადაიყვანო. უნდა შემუშავდეს ინფლაციის შეკავების გეგმა, პარალელურად კი გატარდეს ინფლაციურ გარემოში ადაპტაციის ღონისძიებები. მაგრამ ეინ გააკეთებს ამას? მეეჭვება, რომ დღევანდელ მმართველ წრეებში არამც თუ ასეთი პროგრამის შედგენის, არამედ მაკროეკონომიკურ დონეზე მისი სრულად გააზრების უნარი გააჩნდეს ვინმეს (რა თქმა უნდა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა).

- ბატონო რომან, როგორც ჩანს თქვენ ეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ კუპონის გაუფასურება სწორედ ხელისუფლებას სურდა.

- კუპონის გაუფასურება არის ხელისუფლების მოქმედებათა შედეგი, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს გაკეთებულიყო წინასწარ განზრახვით. რა მოტივით უნდა ყოფილიყო ეს განპირობებული, ეს ხომ ქვეყნის მიზანმიმართული ძირის გამოთხრა იქნებოდა... მე მაინც მგონია, რომ ეს იყო უცოდინარობის, დაუდევრობის, პრობლემების მთელი სიგრძე-სიგანით გაუაზრებლობის, აგრეთვე სიმდიდრის ადვილად ხელში ჩაგდების შედეგი.

წვალებითა და სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობაც სადაცაა ხელში შემოგვადნება, პასუხისმგებლობას ყველა იღებს საკუთარ თავზე, მაგრამ საბოლოოდ პასუხს მაინც არავინ აგებს. მოკლედ, როგორც ამბობენ, "ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის". ასეთი საქართველოსთვის იბრძოდით, ბატონო რომან?

- აუცილებლად საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობა. დღეს კი ეს ასე წარმოუდგენიათ: ჯერ საქმეს ჩააგდებენ, შემდეგ კი "დამსახურებულ პენსიაზე" წაელენ... იწყება ისტორიის რევიზია, სურთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა წარმოაჩინონ შავ ფერებში, ყველაზე პატიოსან და ღირსეულ ადამიანად მათი გამოყვანა სურთ, რომელნიც იმ პერიოდში სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ. ნაცვლად იმისა, რომ ახალი სახელმწიფო აგვეშენებინა პატიოსან და პროფესიულ ძალებზე დაყრდნობით, ჩვენთან ერთმანეთს გადაეჯაჭვა ძველი ნომენკლატურული და ახალი არაკომპეტენტური ძალები...

ვფიქრობ, საჭიროა პირუთვნელი ანალიზი იმისა, თუ რა მოხდა საქართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი უკიდურესობიდან მივალთ მეორე უკიდურესობამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი შინაარსი ერთნაირი იქნება, ფერი კი სხვადასხვა.

საქართველოში ჭეშმარიტი განახლების პროცესი, ვფიქრობ, სრულიად ახალ ზნეობრივ და პოლიტიკურ საფუძველზე უნდა დაიწყოს.

და ბოლოს, თქვენი ეკონომიკური პროგნოზი.

- დღეს არ არსებობს იმაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანა, ვიდრე ინფლაციის შეჩერება ან მისი ზომიერ დონეზე შერბილებაა. მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ შეიძლება საუბარი სხვა ეკონომიკურ პრობლემებზე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკურ მსოფლმხედველობას, მაღალი ეშელონების კომპეტენტურობის დონეს, უნდა დავასკვნათ, რომ უახლოეს ნახევარ წელიწადში მაინც, ვითარება სამწუხაროდ უცვლელი იქნება.

საუბედუროდ, ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიგებთ ამა თუ იმ მოვლენის

ძალას, როცა მას საკუთარ ტყავზე გამოვცდით, მაგრამ ასე გაგრძელება არ შეიძლება. საჭიროა უსწრაფესი მოქმედება, რომელსაც საფუძვლად დაედება საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნის ბედზე. ისტორიის წინაშე მაინც ყველა დამნაშავედ ჩაითვლება — ვინც ანგრევს და ვინც წინ ვერ აღუდგა ამ ნგრევას. დროა ეს ყველამ გააცნობიეროს და გამონახოს საერთო ენა, თორემ სხვაგვარად ჩვენ ვერ გადავჭრით ვერც ერთ პრობლემას, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

თუკი დღეს ეს ვინმეს არა აქვს გაცნობიერებული ან ვინმესთვის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიწროპარტიული ან სხვა ინტერესები, მაშინ ჩვენ მართლაც ღირსი ვყოფილვართ "ზონაში" დაბრუნებისა.

თებერვალი. 1994 წ.

გაზეთ »საქართველოს რესპუბლიკის» ეორიგი სიყალბის შესახებ

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 1994 წლის 15 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ხელმოუწერელი წერილი, რომელიც ეხებოდა მსოფლიო ბანკიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ შეტყობინებას და რომელიც, თურმე, თუ გაზეთს დაეჯერებთ "ყოფილი ვიცე-პრემიერის მიერ უკურადღებოდ იქნა დატოვებული" (იგულისხმება ამ დოკუმენტზე დადებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის რეზოლუცია), რამაც, თითქოს განაპირობა ამ ორგანიზაციის მიერ ჩვენთვის კრედიტების გამოუყოფლობა. "რას ნიშნავს 70 მილიონი დოლარი სესხი ჩვენი განანაგებული ეკონომიკისათვის, ბატონ რომან გოცირიძეზე უკეთ არავის უნდა სცოდნოდა" – აკეთებს ფილოსოფიურ-პათეტიკურ დასკვნას გაზეთი.

ასეთი აშკარა სიყალბის გაერცელება გაზეთ "კომუნისტის" იდეური და პირდაპირი მემკვიდრის მიერ არცაა გასაკვირი და შესაძლოა არც ეს ფაქტი იყოს სერიოზული მსჯელობის ღირსი, რომ არა გარკვეული ძალების მცდელობა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თუნდაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული "ინფორმაციის" გაერცელებით მოახდინონ ჩემი კომპრომეტაცია.

"საქართველოს რესპუბლიკაში" მსოფლიო ბანკის კონფიდენციალური დოკუმენტის გამოქვეყნება, რომელიც, ბუნებრივია, დაინტერესებული პირების მიერ იქნა მიწოდებული რედაქციისათვის, არის, ჯერ ერთი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში მიღებული ეთიკური ნორმების უხეში დარღვევა, როცა ხდება სამსახურებრივი დანიშნულების დოკუმენტის უნებართვოდ გამოქვეყნება და მისი გამოყენება ფაქტების ფალსიფიცირების გზით, უსნეო მისნების მისაღწევად, მეორეც, ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის ჩათრევა შიდა ინტრიგებში, რაც უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ხელისუფლების პრესტიჟზე და ამ ორგანიზაციიდან ესოდენ აუცილებელი მხარდაჭერის მიღებაზე. ამ ანონიმური წერილის გამოქვეყნება და მსოფლიო ბანკის დოკუმენტის დამახინჯებული ინტერპრეტაცია მითუმეტეს არასასიამოვნოა, როდესაც ამ დოკუმენტს აქვს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის რეზოლუცია.

აღნიშნული დოკუმენტი გამოგზავნილია ვაშინგტონიდან, მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის მიერ, იმ დეპარტამენტისა, სადაც ამჟამად ვიმყოფები როგორც მრჩეველი და ამ სტრიქონებსაც სწორედ აქედან ვწერ. მე მგონი შეიძლებოდა ჩემი პასუხისათვის აქ დამესვა წერტილი, რადგან ძნელად თუ დაიჯერებს ვინმე ჩემს მიერ მსოფლიო

ბანკის დოკუმენტის უყურადღებოდ დატოვების ფაქტს, თუმცა, მაინც მგონი, რომ საჭიროა ამ საკითხში სიცხადის შეტანა, რადგან მას სხვა მიზეზი აქვს.

საქმე კი შემდეგშია:

"საქართველოს რესპუბლიკის" პუბლიკაცია ერთგვარი გაგრძელებაა იმ დავისა, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ბ-ნ ე. შევარდნაძესა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბ-ნ თ.სიგუას შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოგზავნილი წერილისა და ამ წერილში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, საქართველოსათვის შელავათიანი კრედიტების გამოყოფის თაობაზე. სამწუხაროდ, ამ დაეაში უსაფუძვლოდ ვიყავი მოხსენებული, თითქოს ეს წერილი ჩემთვის ყოფილიყოს გადმოცემული თავის დროზე. მოგვიანებით ითქვა, რომ იყო სხვა წერილიც, რომელიც მე გადმომეცა და რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სადაეო დოკუმენტთან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთი დოკუმენტი არის საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მეორე კი - მსოფლიო ბანკის შეტყობინებაა საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთი უწყებისადმი. მე შეგნებულად ავარიდე მაშინ თავი ამ თემაზე კამათს, რადგან არ მინდოდა დაპირისპირების გაღრმავების მიზეზი ყოფილიყავი.

აქვე მინდა დავძინო, რომ პირადად მე, როგორც მაშინდელი მმართველი მსოფლიო ბანკში და საერთაშორისო საეალუტო ფონდში საქართველოს მხრიდან, ვლებულობდი ასობით წერილსა და დოკუმენტს არა მარტო საქართველოს, არამედ ამ ორგანიზაციათა წევრი თითქმის მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. გაზეთში გამოქვეყნებული კი იყო ერთ-ერთი იმ უამრავი წერილიდან, რომელშიც კიდევ ერთხელ გვახსენებდნენ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა გატარებულიყო სესხის მისაღებად. რაც შეეხება ამ და სხვა დოკუმენტებში მოცემულ რეკომენდაციებს, ისინი ჩვენს მიერ ძირითადად შესრულებული იქნა, რაც დაედო კიდეც საფუძვლად საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საშუალოვადიანი პროგრამის შემუშავებას, რომელიც მოწონებული იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ. საქართველოსათვის კრედიტების გამოუყოფლობის ძირითადი მიზეზი კი იყო სწორედ ამ პროგრამის იგნორირება გარკვეული ძალების და სტრუქტურების, პირველ რიგში კი, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკისადმი ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება მე მგონი დამატებით შეხსენებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის მიერ, ჩემს სახელზე, რეზოლუციადადებულ წერილზე გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის"

კომენტარს, მასში მოყვანილი უკლებლივ ყველა არგუმენტი არის ელემენტარულ სიცრუეზე აგებული შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი – როგორც უკვე აღვნიშნე, სახელმწიფოს მეთაურსა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს შორის დავის საგანი მსოფლიო ბანკიდან კი არა, არამედ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოგზავნილი დოკუმენტი იყო.

მეორე – საერთაშორისო სავალუტო ფონდის დოკუმენტი გამოგზავნილი იყო მთავრობის გადადგომის წინა პერიოდში, მაშინ, როცა მსოფლიო ბანკის ხსენებული წერილი – თითქმის წელიწადნახევრის წინ, 1992 წლის 19 ოქტომბერს.

მესამე – მსოფლიო ბანკის წერილის ფოტოასლში, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა, ნათლად ჩანს, რომ იგი გამოგზავნილია არა სახელმწიფო მეთაურის, პრემიერ-მინისტრის ან ვიცე-პრემიერის სახელზე, არამედ მაშინდელი საგარეო-ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის მისამართით და იგი მხოლოდ შეტყობინების ხასიათს ატარებს. ზუსტად ასეთივე შეტყობინება მიიღო მაშინ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ.

მეოთხე – ეს წერილი გაიგზავნა რამდენიმე სამთავრობო უწყების მისამართზე და არა ჩემს, როგორც ეკონომიკურ რეფორმებზე პასუხისმგებელი პირის სახელზე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წერილის ავტორს, აგრეთვე სხვა წარმომადგენლებს მსოფლიო ბანკიდან უშუალოდ ჰქონდათ საუბარი ამ პრობლემებზე ჩემთან, მათი მისიის თბილისში ყოფნის დროს. აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული ეკონომიკური რეფორმების შტაბის სხდომაზე, მათ შორის მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მეხუთე – "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ანონიმურ წერილში მოცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს უყურადღებოდ დავტოვე სახელმწიფო მეთაურის რეზოლუცია, არის აბსურდი, რადგან მსოფლიო ბანკის ის თანამშრომელი, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტს აწერდა ხელს, მას შემდეგ ორჯერ შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურს მსოფლიო ბანკის მისიის წევრთან ერთად, ჩემი მონაწილეობით. საუბარი ძირითადად სწორედ წერილში აღნიშნულ საკითხებს ეხებოდა. აქვე დავძენ, რომ ანალოგიურ პრობლემებზე გვქონდა მსჯელობა სახელმწიფოს მეთაურთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად.

და ბოლოს, მინდა ქვეყნის ოფიციალურ გაზეთს შევახსენო, რომ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება არასახარბიელოდ წარმოგვაჩენს გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში. მათ პოზიციაზე რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული, ეს მხოლოდ უმეცარმა შეიძლება ვერ შეამჩნიოს.

აპრილი, 1994 წ.

პასუხისმგებლობა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი სენია

ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი წერდა: "ეკონომისტებისა და პოლიტიკურ მოაზროვნეთა იდეებს – როცა ისინი მართლები არიან და როცა ცდებიან – გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ფიქრობენ. სინამდვილეში სწორედ ისინი წარმართავენ მსოფლიოს"

განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც თანდათანობით ვშორდებოდით საკავშირო ცენტრის მიზიდულობის არეს, მრავალი პროცესის განვითარება უკვე ქვეყნის შიდა ძალებზე იყო დამოკიდებული. სწორედ მაშინ დაიწყო განსხვავებულ იდეათა ჭიდილი, გაჩნდა სხვადასხვა შეხედულებები იმდროინდელი პრობლემების გადაჭრის გზათა შესახებ. წარმოიშვა პოლიტიკური, ჯგუფური თუ კერძო ინტერესების დაპირისპირება. გაისმოდა ლოზუნგები, იქმნებოდა კონცეფციები თუ პროგრამები, იდეები თანდათანობით იძენდნენ მატერიალურ დატვირთვას, სიტყვას მოჰყვებოდა ქმედება, ქმედება კი აჩენდა ახალ რეალობას, ზოგჯერ კარგს, ზოგჯერ ცუდს. ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ გარემომცველი სინამდვილე იცვლება და თურმე მისი შეცვლა მნიშვნელოვნად ჩვენი, ხშირ შემთხვევაში სტიქიური მოქმედებებით იყო გამოწვეული. ასე ჩანს ახლა, ცოტა შორიდან, თუმცა, ჯერ კიდევ არ ვიმყოფებით ახლო წარსული ცხოვრების სურათიდან იმ მანძილზე დაშორებულნი, საიდანაც უფრო ნათლად და ობიექტურად შეიძლება მისი დანახვა და აღქმა.

საუკუნეების განმავლობაში სხვათა მიერ მართულებმა და დამოუკიდებელ მოქმედებას გადაჩვეულებმა ვერ გავაცნობიერეთ, რომ დგება დრო, როცა უკვე ჩვენს გადაწყვეტილებებსეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ბევრი რამ. რომ ყოველი მოვლენა, ქუჩის აქციები იქნებოდა ეს, არჩევნები, ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლისაკენ მოწოდება, შიდა კონფლიქტები თუ პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირებანი, ქმნიდა ქვეყნის ცხოვრების რეალურ სახეს, აყალიბებდა მის მდგომარეობას, განსაღვრავდა მის ბედს, მომავალს. სწორედ ეს არ იქნა და არც ეხლაა ბოლომდე გააზრებული.

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ხასიათდებოდა ინფანტილიზმით, ეიფორიითა და გულუბრყვილობით. ეს იყო სანახევროდ პოლიტიკა და სანახევროდ თამაში.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მრავალი მიზეზი ჩვენს წინააღმდეგ წარმოებული საგარეო ქმედებებითაც რომ არის ნასაზრდოები, აფხაზეთის მოვლენებმაც გამოააშკარავა, მაგრამ უამრავი

რამ ხომ უშუალოდ ჩვენი შეცდომების, არაკომპეტენტურობის, ამბიციურობის, სიხარბის, მრავალ ინტერესთა დაპირისპირებით იყო გამოწვეული. როგორც არ შეიძლება უბულებელყოფა გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობათა ველში მოხვედრილ პატარა ქვეყანაზე საგარეო, (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) ფაქტორების ზემოქმედებისა, ასევე არ შეიძლება საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობის, საკუთარი ძალების სწორი მიმართულებით გამოუყენებლობისა და საკუთარი შეცდომებით გამოწვეული მარცხის მხოლოდ გარეშე ძალებზე გადაბრალება.

საკუთარი წარუმატებლობის სხვებზე გადაბრალება არ იძლევა სწორი დასკვნების გამოტანისა და შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას.

მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი დარტყმა იწვნია ქვეყანამ, დღემდე ბოლომდე მაინც არ არის გაცნობიერებული პოლიტიკური ძალების მიერ მმართველი სახელისუფლო უმრავლესობა იქნება ის თუ უმცირესობა, ის, რომ დღეს სწორედ ისინი განსაზღვრავენ და განაპირობებენ პროცესებს, მოელენებს, სწორედ ისინი არიან "ქვეყნის წარმმართველნი" (კეინსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ მათ მცდარ თუ სწორ მოქმედებაზეა დამოკიდებული მილიონობით მოქალაქის ბედი). ბუნებრივია, მმართველი პოლიტიკური ძალის ზემოქმედების წონა და პასუხისმგებლობის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე სხვების.

საუბედუროდ, ამის არც ჩვენს პოლიტიკოსებს სჯერათ და არც ხალხს, მათ შორის მის ინტელექტუალურ ნაწილს. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ სწორედ ჩვენი პოლიტიკოსები განსაზღვრავენ ქვეყნის გეზს, განაპირობებენ მის მომავალს, მათ მოქმედებაზეა დამოკიდებული მრავალი ადამიანის კეთილდღეობა და არა ვიღაც სხვაზე.

ხშირად ეს მართლაც ძნელი წარმოსადგენია. "ნუთუ ამაზე უკეთესები არ არიან ამ ქვეყანაში" – უსნდებათ კითხვა (განსაკუთრებით ალბათ მაშინ, როცა პარლამენტის სხდომებს უყურებენ). "ნუთუ ამ ოდიოზურმა პირებმა უნდა განსაზღვრონ ჩვენი ბედი? (როცა ორწიგნწაუკითხავი მთავრობის წევრი თუ პარანოიალური იდეებით შეპყრობილი პოლიტიკური ლიდერი წარმოუდგებათ თვალწინ). პასუხი მარტივია, დიახ, ისინი განსაზღვრავენ! სამწუხაროდ – ეს ასეა. ეს არის რეალობა და ამას უნდა დანახვა და ანგარიშის გაწევა. დაბრძენებული პოლიტიკოსები ერთ წელიწადში არ ინეკებიან. ახლადფეხადგმულ ქვეყანას გამოწრთობილი სტრატეგები დიახაც რომ მოუხდებოდა, მაგრამ გამოცდილება, პროფესიული ჩვევა და ცოდნა ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგია და ამას დრო სჭირდება.

დამოუკიდებელი საზოგადოების ფორმირების ამ ეტაპზე, იმ

წარსული პოლიტიკური მემკვიდრეობით, ცნობიერებითა და საკადრო პოტენციალი, რაც ჩვენ გეერგო, დღევანდელი ვითარება ასახავს ქვეყნის პოლიტიკური სიმწიფის რეალურ დონეს, გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ვიმყოფებით.

ძველი კომუნისტური საკადრო "გვარდია" თავისი "პარტიულ-სამეურნეო" ელიტით, განსხვავებით ზოგიერთი სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნის კადრებისაგან, საკვანძო მოუმზადებელი და სუსტი, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით გარკვეულად არასაიმედოც კი აღმოჩნდა. ახალი პოლიტიკური ძალებიდან კი საკადრო შევსება ჯერჯერობით ჭრელი, მოუმზადებელი და შედარებით მცირერიცხოვანია.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს ისინი, ვისაც დღეს პოლიტიკა მიჰყავს, ეს სხვა საკითხია. იგი უფრო ზნეობრივი შეფასების სიბრტყეზე დევს, სინამდვილე კი სახეშია და მისი ერთბაშად შეცვლა შეუძლებელია.

იბადება კითხვა – კი მაგრამ ხომ არიან სხვები? სად არიან ისინი? რატომ არ ჩანან? რატომ არ გამოდიან ასპარეზზე, რატომ არ აქტიურობენ უფრო ჭკვიანები, პატიოსნები, გაწონასწორებულები და ა.შ.

განვლილ პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების ყველა ფენამ, მათ შორის მისმა ინტელექტუალურმა ელიტამ (ხშირად ბარიკადის სხვადასხვა მხარესაც), ზოგმა უშუალოდ როგორიც პოლიტიკურმა ფუნქციონერმა, ზოგმა როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციის წევრმა თუ მხარდამჭერმა. პოლიტიკურმა პროცესებმა ვერავინ დატოვა გულგრილი. დღეს მათი დიდი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა– ასე რომ, ესა ვართ, რაცა ვართ. სხვა ადამიანები ჩვენ არა გვყავს. ქვეყანა პატარაა და უჩინარი გენიოსები სამწუხაროდ, არ გვეგულება (ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკოსობის მსურველნი). შესაძლოა, იმ ადამიანების ნაცვლად, რომლებიც ასე ხშირად ჩანან, გამოჩნდნენ სხვებიც, მათზე არანაკლები კვალიფიკაციის მქონენი. ასეთები მართლაც ბლომად არიან, მაგრამ ეს იქნება პოლიტიკური გარემოს მხოლოდ მცირეოდენი გადასხვაფერება. ერთობლიობაში პოლიტიკური ზედაფენა, საზოგადოების მმართველი ელიტა ხარისხობრივად ვერ შეიცვლება. ამის შეცვლა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ქვეყანა გაივლის ყრმობის პერიოდს, მიიღებს გამოცდილებას. საკმაწვილო სენი ზრდის შედეგად დაიძლევა. სწორედ მაშინ გამოვლენ თანდათანობით ასპარეზზე ახალი ძალები, ახალი ფიგურები, ახალი ზნეობის, უფრო მაღალი პროფესიული მომზადების ადამიანები.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი მდგომარეობა ფატალურია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინერტულად მიეყვეთ

ახლადწარმოქმნილი პოლიტიკური დინების გაყლეკნას და უკრიტიკოდ მივიღოთ მისი "ლიდერები" და "პოლიტიკოსები".

თანდათანობითი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს, თუკი პოლიტიკური ცხოვრება ისე იქნება ორგანიზებული (არჩევნების, საინფორმაციო საშუალებების განთავისუფლების და სხვა დემოკრატიული ღონისძიების შედეგად), რომ დაიწყოს განახლების პროცესი. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია საკმაოდ მოკლე პერიოდში შეიცვალოს თუ პოლიტიკური სპექტრი არი, მისი სნეობრივი ატმოსფერო, ხარისხობრივი შემადგენლობა.

ამ პროცესის დაჩქარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის შეგნებულობაზეც. პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ამომრჩევლებსაც ეკისრებათ და არჩეულებსაც. ამომრჩევლებს უფრო მორალური, როცა აძლევს ადამიანთა ჯგუფს ხელისუფლების ფორმირების, ქვეყნის გაძღოლის უფლებას. ძირითადი პასუხისმგებლობა, მათ შორის სამართლებრივი, ბუნებრივია, იმ პოლიტიკოსებმა უნდა იკისრონ ხალხისა და კანონის წინაშე, როცა, სხვათა მიერ ნდობით აღჭურვილნი, ვერ ამართლებენ ამ ნდობას.

პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობის პასუხისმგებლობის საკითხი არის ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მოუგვარებელი პრობლემა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ უპასუხისმგებლობა გახდა პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი თვისება, ხოლო დემაგოგია, დეზინფორმირება და იაფი პოპულიზმი პოლიტიკური პროცესის ძირითად ატრიბუტად იქცა.

უპასუხისმგებლობას არც თუ იშვიათად თან ახლავს უტიფრობა, თავხედობა, ყველაფრის მკადრებლობა. დღეს მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრი თავისი კომპეტენციით უკეთეს შემთხვევაში, როგორც ადრე იყტყოდნენ, კოლმეურნეობის ბრიგადირად თუ გამოდგება. ზოგიერთი პიროვნება მოურიდებლად აცხადებს პრეტენზიას იმაზე, რისი კომპეტენციაც არ გააჩნია. ეს გამოწვეულია არა მარტო სნეობის დეფიციტითა და ანგარებით, არამედ საკუთარი შესაძლებლობების არაადეკვატურად შეფასების გამო.

შესაძლებლობათა გადაჭარბებული, გაზვიადებული შეფასება, ზედმეტი თვითდაჯერებულობა – ზოგიერთი შემთხვევაში, პიროვნების არაჯანსაღი ფსიქიური, სულიერი თუ ემოციური მდგომარეობის მანიფესტაციაა. ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილეში განდიდების მანიით შეპყრობილი მრავალი გაუწონასწორებელი პიროვნება რომ საქმიანობს (და არც თუ მეორე პლანზე), ესეც საგულისხმო და გასათვალისწინებელი ფაქტორია.

თვითდაჯერებლობასა და იმაზე მეტი ტვირთის ზიდვის სურვილს, რომლის ძალაც არ შეგწევს ადამიანს, ერთხელ ყორღანაშვილის სინდრომი ვუწოდე. ბევრს ახსოვს ვინმე ყორღანაშვილი, 1991 წელს

საქართველოში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად რომ წამოაყენა. თუმცა იმ არჩევნებს არც სხვა ოდიოზური პირები აკლდა.

ასევე შეიძლება ითქვას იმ დეპუტატებზეც (თუ დეპუტატობის კანდიდატებზე), ხელისუფლების მაღალი თანამდებობის იმ პირებზეც, რომლებიც თავიანთი დაბალი პროფესიული და ზნეობრივი თვისებებით კომპრომენტირებას უწევენ არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ლახავენ სახელმწიფო ინსტიტუტების პრესტიჟს, იწვევენ უნდობლობას, უპატივცემულობას და ნიჰილიზმს ხელისუფლებისა და კანონიერების მიმართ.

პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღება შეუძლებელია მაღალპროფესიული, მაღალზნეობრივი, მოწესრიგებული და ქმედუნარიანი პოლიტიკური ორგანიზაციების (პარტიების) არსებობის გარეშე. ჩვენში დამკვიდრებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს ქვეყანაში საჭიროზე მეტი რაოდენობის პარტიებია, არ არის სწორი. ყველაფინ დაადგენს მათი რიცხოვნების ზუსტ მათემატიკურ ზღვარს. დროთა განმავლობაში, ის გავლენიანი პარტიები, რომლებიც ფაქტიურად ჩამოაყალიბებენ ხელისუფლებას სულ რამდენიმეღა თუ დარჩება. რაც შეეხება ანტიპარტიულ განწყობილებას და მოწოდებებს მათი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, არის არა მხოლოდ ცარიელ ემოციაზე აგებული, არამედ მრავალი სხვა მიზეზითაცაა გამოწვეული. ასეთი შეხედულებები არა თუ მცდარია, არამედ საშიშიც. პარტიები ძირითადად ასოცირდებიან როგორც დამანგრეველი და არა აღმშენებელი ძალა. ამიტომ ობივატელისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ "პარტიებმა დაღუპეს ქვეყანა".

ჩვენი პოლიტიკური პარტიების უვარგისობას როცა ამტკიცებენ, ეს სავსებით სწორია, როცა ამბობენ, რომ პარტიები არ გვინდაო — ძირშიეე მცდარია. ძნელია თუნდაც იმის დასაბუთება, რომ ასე თუ ისე, მეტ-ნაკლები პოლიტიკური გამოცდილების მქონე პიროვნებას სჯობია ყველასათვის უცნობი ე.წ. უპარტიო, ზოგჯერ მოსყიდული, ზოგჯერ დაშინებული, ხშირად კი არაინფორმირებული ამომრჩეველის მიერ არჩეული "მაჟოროტარი" დეპუტატი.

როცა ამტკიცებენ, პოლიტიკური პარტიები არ გვინდაო, რატომღაც არ სვამენ კითხვას, არსებობს კი საზოგადოების თვითორგანიზების რაიმე სხვა მექანიზმი დღევანდელ მსოფლიოში? (თუ არ ჩავთვლით აქა-იქ ჯერ კიდეე შემორჩენილ დიქტატურებს).

დღეს, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ პარტიები ასე არასიმპატიურებად გამოიყურებიან, მაინც ისინი არიან ადამიანთა ერთადერთი ორგანიზებული ნაწილი. ჩვენს პირობებში, ჯერჯერობით მხოლოდ მათ შესწევთ უნარი გამოხატონ და დაიცვან მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები და შეხედულებები, განსაკუთრებით

ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანაში შეიმჩნევა დანაშაულებრივი კლანების, ჯგუფურ-სამეურნეო ინტერესებზე დაფუძნებული ორგანიზმების ჩასახვის პროცესი, რომელიც თანდათან ერწმის ხელისუფლების მაღალ ეშელონებს და იძენს მაფიოზურ ნიშნებს. პარტიები რჩებიან ერთადერთ ძალად, რომელთაც აქვთ გაბედულება და ორგანიზებულობა, შესწევთ უნარი წინ აღუდგნენ ქვეყანაში მოვლენების არასასურველი მიმართულებით განვითარებას.

ანტიპარტიული ნიჰილიზმის დამკვიდრებისა და პარტიების საქმიანობის კომპრომეტირების კამპანია, პირველ რიგში, აწყობთ კლანურ-მაფიოზური ტიპის ძალებს ხელისუფლებაში მოსასვლელად და საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად.

ქვეყანაში კარგა ხანია არ არის საზოგადოების ერთიანობის შეგრძნება. იზრდება უკმაყოფილება და გაუცხოება. საზოგადოება პოლარიზებულია. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებად დიფერენცირებული ადამიანები ერთმანეთს დებენ ბრალს შექმნილი მდგომარეობის გამო. ღარიბებს მდიდრებზე გადააქვთ გულისწყრომა, ისინი კერძო მეწარმეებს ადანაშაულებენ (კომერცია, თუ უწინდელი დონით არა, მაინც აღიქმება მოსახლეობის თვალში სწრაფი და არასამართლიანი გამდიდრების საშუალებად). საყოველთაო უკმაყოფილება და უნდობლობაა ხელისუფლების ყველა დონის ორგანოების მიმართ (რომლებიც არა მარტო ცუდად ართმევენ თავს თაყანით მოვალეობებს, არამედ ჩაძირული არიან კორუფციაში).

საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია თანდათანობით ღრმავდება.

დაპირისპირების ნიშნები შეიმჩნევა თაობათა შორისაც.

გათიშულობის ყველაზე მთავარი მიზეზი არის პოლიტიკური ფაქტორი. პოლიტიკური დაპირისპირება განსაკუთრებულად ვლინდება წინა და ახლადელი ხელისუფლების აშკარა მხარდამჭერთა თუ თანამგრძნობთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაში.

საზოგადოების ასეთი დაპირისპირების პირობებში, თუ შეუძლებელი არა, ერთობ ძნელია მოსახლეობის უმრავლესი ნაწილისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღება. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ქვეყანაში ფართომასშტაბიანი რეფორმების (აქ არ იგულისხმება მხოლოდ ეკონომიკა) გატარება. ამისათვის ბევრს წინაპირობად ერთიანობის შეგრძნების აღდგენა მიაჩნია, შემდეგ კი ძირეული ქმედებების დაწყება. ზოგი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა და რეფორმისტული ღონისძიებების გასატარებლად ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას მიიჩნევს. ეს არ არის მოკლებული გონივრულობას. მაგრამ ეროვნული თანხმობის მთავრობის კანონიერი და დემოკრატიული წესით ჩამოყალიბება ისევ ქვეყნის მოქალაქეებზე, ამომრჩეველებზეა დამოკიდებული. დღეანდელი ელექტორატის სიჭრელე. ისევე როგორც

პოლიტიკურ ძალთა მრავალფეროვნება შეუძლებელს ხდის ამ მოკლე პერიოდში ყველასათვის მისაღები ხელისუფლების ფორმირებას.

როდესაც საზოგადოებაში არსებობს ღია ჭრილობები, მის მოშუშებას წლები სჭირდება. ქვეყანა კი ვერ დაიცდის მანამ, სანამ ერთი მხრივ, მოიხსნება აშკარა კონფრონტაცია, და მეორე მხრივ ჩამოყალიბდება ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, მითუმეტეს, ჩვენ გვაქვს ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები გადასაჭრელი (პირველყოველისა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), რომელთა განხორციელებას სჭირდება დრო და რომლის მიღწევის საშუალებები და ფორმები კიდევ დიდხანს იქნება ჩვენში საკამათო.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული თანხმობა კი არ არის რეფორმების განხორციელების საფუძველი, არამედ, სწორად გატარებული ცვლილებები ეკონომიკაში, პოლიტიკურ სისტემაში, ჰუმანიტარულ სფეროში არის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, სულიერი სიმშვიდის დამკვიდრების, სიძნელეთა მოხსნისა და საბოლოო ჯამში ერთიანობის შეკრძნების აღმოცენების საფუძველი.

ლოხუნგი ჯერ ერთობა და პოლიტიკური კონსენსუსი, შემდეგ კი რეფორმები – არის მცდარი. ამ შემთხვევაში იკარგება დრო. საჭიროა ყოველმხრივი ცვლილებების ეხლავე დაწყება, მათ შორის არაპოპულარული ზომების ხარჯზე. ხელისუფლებამ უნდა შეწყვეტოს ხალხისათვის დათვური სამსახურის გაწევა, როდესაც ფეხს ითრევს, დღეს გასაკეთებელს სახვალიოდ, "უკეთესი პირობების" შექმნამდე დებს, რითაც მძიმე დარტყმას აყენებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით კი მის ყველაზე დაბალშემოსავლიან და სოციალურად დაუცველ ფენას. ფრთხილი დამოკიდებულება რადიკალური რეფორმების დაწყებისადმი შეიძლება გარკვეულ თანაგრძნობასაც იწვევდეს, ეს ადამიანთა ბედისადმი მზრუნველი (თუმცა რეალური შედეგების გათვალისწინებით მცდარი) დამოკიდებულებით რომ იყოს ნაკარნახევი. სამწუხაროდ, ხელისუფლების მმართველი ჯგუფი ამას სრადის მოსახლეობის გულისწყრომის აცილების, მათი გულისმოგების, საკუთარი "რეიტინგის" შენარჩუნების მიზნით. საბოლოო ჯამში კი ცდილობს მათი უმოქმედობით მძიმე შედეგების სხვებზე გადაბრალებას, რისთვისაც მოხერხებულად იყენებს დეზინფორმაციის (ჯერ კიდევ) სახელმწიფო საშუალებებს.

ეს ხელისუფლება (რომლის ნაწილიც ვიყავით და დღემდე ვართ ყველანი, ვინც მის ამა თუ იმ სტრუქტურებში არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, უმრავლესობას განვეკუთვნებით თუ უმცირესობას, მმართველი ჯგუფია იგი თუ მისი სახელისუფლო ოპოზიცია) არის ისეთი მოვლენების პირდაპირი მემკვიდრე, რომელმაც გამოიწვია ერის შუაზე გახლეჩა (აქ არ შევეხები, რომელი "მხარე" იყო მტყუანი და რომელი მართალი. ეს ცალკე საუბრის თემაა. ამ

ფაქტს აღვნიშნავ არა შეფასების, არამედ რეალობის გამოხატვის თვალსაზრისით).

საქართველოში უკანასკნელ წლებში მომხდარი მოვლენების პირდაპირი თუ ირიბი მონაწილე დღეს თითქმის ყველაა, ვინც ამა თუ იმ ფორმით გამოსულია პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე. ვერც ერთი "მხარე" ვერ ასცდება ერთად ცხოვრების, საქმიანობის, პოლიტიკური თანაარსებობისა და თუნდაც თანამშრომლობის აუცილებლობას (პარლამენტში ერთად ყოფნაც ერთად შრომაა). მოგვწონს თუ არ მოგვწონს ერთმანეთი ეს ზნეობის საკითხია. ერთადრომ უნდა ვიმოღვაწეოთ — ეს ვალდებულებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმა ნაწილმა ბოლომდე უნდა გაიტანოს თავისი, გაანადგუროს მეორე ნაწილი, რასაც, ბოლშევიკური გამოცდილებიდან ვიცით, თუ რა დამღუპველი შედეგები მოსდევს.

მხარეთა შორის შეუწყნარებლობა და დათმობებზე წასვლის სურვილის არქონა არის ჩვენი მრავალი უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ადრე თუ გვიან ყველაფერი მოგვარდება. ასე ყოფილა ყველგან და არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისები. დრო ბევრ რამეს კურნავს, ბევრ რამესაც გვასწავლის, არ მგონია ისეთი უგუნურები ვიყოთ, რომ სხვების შეცდომებზე თუ არა, საკუთარ შეცდომებზე მაინც ვერ ვისწავლოთ.

ამისთვის კი საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა. პირველ რიგში, აუცილებელია არჩევნების დროული ჩატარება. ყოველი მცდელობა მისი გადადებისა, რა ფილოსოფიური, პრაგმატული თუ დემაგოგიური მტკიცებაც არ უნდა ედოს საფუძვლად, უნდა იქნას განხილული, როგორც საკუთარი პრივილეგიური მდგომარეობის, ძალაუფლების შენარჩუნებისა და ქვეყნის საერთო ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული მოქმედება. ახლავე უნდა დაიწყოს მზადება მომავალი არჩევნების დემოკრატიულად და კანონით განსაზღვრულ ვადებში ჩატარებისათვის. საჭიროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პრესა და განსაკუთრებით, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ცალმხრივად მართული ტელევიზია გაეხსნას თავისუფალ აზრს. უნდა იქნას უზრუნველყოფილი ყველა მეტნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ძალის თავისუფალი მონაწილეობა მომავალ არჩევნებში.

მრავალ შიდა დაპირისპირებათა მიზეზის განხილვისას გასათვალისწინებელია ერთი სუბიექტური ფაქტორი.

საქართველოში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად, როცა მოხდა ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა, საზოგადოება გაითიშა არა მარტო იდეური, მსოფლმხედველობრივი პოზიციების შეუთავსებლობის შედეგად, ან თუნდაც "წინა ხელისუფ-

ლების" და "ამჟამინდელი ხელისუფლების" მომხრე-მოწინააღმდეგე ბანაკად, არამედ ამა თუ იმ პიროვნებებთან სუბიექტური დამოკიდებულების თვალსაზრისითაც.

ღღეს წყალგამყოფად არა მარტო განსხვავებული შეხედულებები გეკვეთილინებიან, არამედ ამა თუ იმ პიროვნებისადმი დამოკიდებულებაც. ცნობილ მოვლენებთან და მის შემდგომ განვითარებულ პროცესებთან უშუალოდ დაკავშირებულმა ადამიანებმა ღღეს უკვე რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინეს, სახეებად იქცნენ. ასეთ უმთავრეს სიმბოლურ ფიგურებს ღღეს წარმოადგენენ ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი ერთი მხრივ, თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, მეორე მხრივ. დამხობილი ხელისუფლების ანუ მესამე მხარის ამჟამინდელი მდგომარეობის გამო (პირველ რიგში ექსპრეზიდენტის სიკვდილი) განსაკუთრებით გამაღიზიანებელი დამოკიდებულების ობიექტი ამ მხარეს უკვე ნაკლებადაა.

შიდაპოლიტიკური დაძაბულობის მოსახსნელად და ეროვნული თანხმობის მისაღწევად გადადგმული პირველი ნაბიჯები უფრო შედეგიანი იქნებოდა, რომ არა იმ ადამიანების ამჟამინდელი აქტიური პოლიტიკური საქმიანობა და მათ შორის დაპირისპირება. ზოგიერთი მათგანის პოლიტიკური სარბიელიდან ნებაყოფლობითი წასვლა მნიშვნელოვნად შეასუსტებდა კონფრონტაციას, შესაძლებელი გახდებოდა დიალოგი, კომპრომისი, განსხვავებულ პოზიციებზე მდგომ ძალებს შორის შეიქმნებოდა მეტი ნდობის ატმოსფერო, უფრო რეალური იქნებოდა საუბარი ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის თაობაზე.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ არის ადვილი და ალბათ, არცაა რეალური. განსაკუთრებით გაუძნელდებათ ამ ნაბიჯის გადადგმა იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყანას მართავენ და რომლებზეც არის დამოკიდებული მრავალი თანამოაზრის, მხარდამჭერისა თუ მაამებლის კარიერა. ასეთი არჩევანი რომც გააკეთონ, ეეჭვობ შეძლონ გარემოცვის კლანჭებიდან დაღწევა.

მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს მდგომარეობის გამოსწორების გარანტად კელავაც ერთადერთი ლიდერი მიაჩნიათ. საქართველოში ბელადების, ყოვლისშემძლეობის ლეგენდით შემოსილი ხარიზმატული პირების მმართველობის ერაა. ხარიზმატულ ლიდერებს კი ჩამორჩენილი და დაბეჩავებული მასა წარმოშობს და საჭიროებს.

ზოგიერთის გულწრფელ და შეშინებულ შეკითხვაზე – "ვინ, თუ არა ის", პასუხის გაცემა ღღეს მართლაც არ არის ადვილი. დადგება დრო, როდესაც საკითხის ამ სახით დასმაც კი ირონიული ღიმილის მომგვრელი იქნება.

ოქტომბერი, 1994 წ.

— ბატონო რომან, საუბარი მინდა თქვენიკენ ვრცელი ციტატით დავიწყო, რომელიც ცხრა თვის წინ გამოქვეყნდა ერთ-ერთ გაზეთში და რომელიც ეხება დღეისათვის ყველაზე აქტუალური ფულადი რეფორმის თემას. ეთანხმებით თუ არა თქვენს მიერ გამოთქმულ შეფასებებს, რომელიც ქვემოთ მოგვაქვს: "ფულის რეფორმა წესით ერთი წლის წინათ უნდა მოგვეხდინა. უკეთესი იქნებოდა, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელებულიყო იგი. მაგრამ თუ ამისათვის არ გატარდა მნიშვნელოვნი ღონისძიებები, ამ ნაბიჯის გადადგმას აზრი არა აქვს. ამ ეტაპზე შეიძლება, — უბრალოდ ანგარიშის გასაადვილებლად, კუპონისთვის რამდენიმე, თუნდაც ექვსი ნულის ჩამოშორება და ახალი, განსხვავებული ფერის დაბალნომინალიანი კუპიურის გამოშვება. ეს არავითარ დამატებით თანხებს არ მოითხოვს იმასთან შედარებით, რასაც მთავრობა ხარჯავს კუპონების ახალ-ახალი პარტიების ბეჭდვისათვის.

ფულის ნიშნების შეცვლა უნდა მოასწავებდეს, რომ უკვე მოგვარებულია ბიუჯეტის საკითხი, ლეგალიზებულია შემოსავლები და იკრიფება გადასახადები, მოწესრიგებულია ფულად-საკრედიტო სისტემა და რაც ყველაზე მთავარია - მიღწეულია კუპონის ფუნქციონირება ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად.

თეორიულად შეიძლება პირიქითაც გაკეთდეს. შემოღებული იქნას ფულის ახალი ნიშნები, გამოცხადდეს იგი ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად და შემდეგ მოხდეს ამ მდგომარეობის შენარჩუნება როგორც ეკონომიკური, ასევე ადმინისტრაციული ხერხებით. მაგრამ ეს არის ძალზე სარისკო. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში ინტერესთა მრავალფეროვნებას, ხელისუფლების სისუსტეს და სხვა ფაქტორებს, საეჭვოა, რომ ეს ვარიანტი ეფექტიანი აღმოჩნდეს. თუ ამ გზამ არ გაამართლა, რამდენიმე მილიონი დოლარი ორიოდე თვეში წყალში ჩაგვეყრება, რადგან ძვირადღირებული მონეტები და ქაღალდის ფულის ნიშნები, რომლებიც საფრანგეთში მზადდება, ინფლაციის შედეგად ღირებულებით დატვირთვას დაკარგავენ.

ერთადერთ იმედად გვრჩება საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, რომელთა ექსპერტები კარგა ხანია ჩვენთან ასრულებენ როგორც პედაგოგების (იძლევიან ელემანტარულ საწყის ცოდნას) ასევე ექსპერტების როლსაც. სესხის გამოყოფის შემთხვევაში კი მკაცრ მეთვალყურედაც მოგვევლინებიან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათ მაინც გაუწევს ჩვენი ხელისუფლება ანგარიშს"

— ჩემს ამ შეფასებაში დღესაც არაფერს შევცვლიდი. კუპონი იმ პერიოდისათვის გამოცხადებული არ იყო ერთადერთ საგადამხდელო

საშუალებად. ფაქტიურად კუპონი მიმოიქცეოდა ჩვენი ეკონომიკის უმცირეს სეგმენტზე. იგი, ალბათ ასრულებდა ფულადი ნიშნისა და სადღაც, რომელიმე საქონელზე ტალონის ფუნქციას შორის შუალედურ მოვალეობას. ამას გამოიწვია ის, რომ უცხოური სავალუტო რესურსები, რომელიც გამოყოფილი იყო ეროვნული ვალუტის გასამაგრებლად, ფაქტიურად დაიხარჯა კუპონის კურსის ფიქსაციაზე ისე, რომ მან ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა წარმოების სტიმულირებაზე, მისი დაცემის ტემპის შემცირებაზე, ექსპორტის სტიმულირების გზით შიდასავალუტო რეზერვების ფორმირებაზე. მოკლედ, ვერ მოახდინა ეკონომიკის გამოცოცხლება. ეს იყო კუპონის კურსის ფიქსაცია ისეთ ვითარებაში, როცა რეალურ საგადამხდელო საშუალებას რესპუბლიკაში რუსული მანეთი წარმოადგენდა. იმ დღეებში როცა დამთავრდა ლარზე კუპონის გადაცვლა, საბანკო სისტემაში შემოვიდა 13 ტრილიონზე ცოტა მეტი კუპონი, ანუ დაახლოებით 10 მილიონი ამერიკული დოლარის ექვივალენტური თანხა. ეს არის ფულადი მასის ის რაოდენობა, რომელიც შეადგენს საქართველოში მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულადი ნიშნის არაუმეტეს 2-3 პროცენტს. ელემენტარულად, კურიოზის დონის შემთხვევაა, რომ ქვეყანაში ეროვნული ვალუტა მიმოიქცეოდეს ასეთი მინიმალური რაოდენობით. ეს თანხა გაცილებით ნაკლებია იმაზე, ვიდრე საქართველოში ერთი თვის მანძილზე იყიდება დავუშვათ ბენზინი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა საქონელზე. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია ის. რომ საქართველოში დღეს ფაქტიურად პარალიზებულია კომერციული ბანკების საქმიანობა. შეიქმნა უსარმაზარი დეფიციტი საკრედიტო რესურსებისა, რასაც მოჰყვა აბსოლუტურად ყველა ბანკის კრედიტუნარიანობის მინიმალურამდე დაცემა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში კომერციული ბანკები რეალურად არც ფუნქციონირებენ. არსებობს ყოფილი სახელმწიფო კომერციული ბანკების ბაზაზე შექმნილი სააქციო ბანკები, აგრობანკი, ყოფილი ბინსოცბანკი, სამი ბანკის გაერთიანების ბაზაზე აღმოცენებული ბანკი, რომელსაც მეტ-ნაკლებად შეიძლება უწოდო ბანკი. მათ გააჩნიათ უზარმაზარი ვალდებულებები, ძალიან მცირე საწესდებო კაპიტალი, შეზღუდული საკრედიტო რესურსები. მიუხედავად ამისა, ფაქტიურად ეს ბანკები წარმოადგენენ საქართველოში მეტნაკლებად რეალურ საბანკო სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია საკრედიტო ოპერაციების განხორციელება. დანარჩენი კერძო ბანკები სულს ღაფავენ. ეს არის უზარმაზარი შეცდომა საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკისა, რომელმაც ვერ განახორციელა თავის დროზე კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების ღონისძიება. უფრო სწორად, ეს ღონისძიება ჩატარდა, მაგრამ იგი არ იქნა რეალურად დაცული და საქართველოს საბანკო სისტემა დარჩა ფაქტიურად შაკი ბაზრისა და ფარული საკრედიტო

მექანიზმების ამარა. დღეს კეთდება ის, რაც უნდა გაკეთებულიყო ერთი წლის წინ. ბუნებრივია, კუპონი რომ გამოცხადებულიყო ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, დღევანდელი პროცესი იქნებოდა მხოლოდ უხარისხო ფულადი ნიშნების ხარისხიანით შეცვლა და მისთვის ნულების ჩამოცილება (დენომინაცია). დღეს არის მცდელობა ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დამკვიდრებისა. ვიმეორებ, არაფერი წინ არ ედგა ამ პროცესს, რომ განხორციელებულიყო უფრო ადრე, და ის გართულებები, რაც შეიძლება მას მოჰყოლოდა, გადატანილი ყოფილიყო კუპონის მხრებზე. დღეს თქვენ კარგად ხედავთ, რომ ლარის შემოღების პირველსავე დღეებში, საქართველოში ფასებმა მნიშვნელოვნად იმატა. პირველივე დღეებიდან ჩანს, რომ ახალი ფულადი სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში ფასების წარმოქმნის პროცესი მაინცდამაინც ვერ მიმდინარეობს ისე, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ ამ ეტაპს გავიელიდით სხვა პირობებში და შედარებით უფრო მომზადებულად. თუმცა, მე მაინც მიმაჩნია, რომ მიუხედავად დაკარგული დროისა და დაკარგული შანსისა, მიუხედავად იმ უზარმაზარი დანაკარგებისა, რაც ამ რეფორმის დაგვიანებით განხორციელებას მოჰყვა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და მივესალმები იმას, რომ სამი წლის უმოქმედობის, ანბანური ჭეშმარიტებების გააზრების შედეგად, ხელისუფლება როგორც იქნა ატარებს ეროვნული ვალუტის ამოქმედების ღონისძიებებს. ეს პროცესი დაიწყო და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დადებით ზემოქმედებას მოახდენს ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების გამოცოცხლებაზე.

— კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა შეძელით თქვენ და მაშინდელი მთავრობის მცირეოდენმა რეფორმისტულმა ნაწილმა და როგორი იყო ანტირეფორმისტული ძალების წინააღმდეგობა?

— შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუკი დღეს არსებობს რაიმე მექანიზმი და ნორმატიული ბაზა პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებისა, ყველაფერი გაკეთდა ე.წ. "ფაცაციას კაბინეტის" მოსვლამდე. თან ეს ხდებოდა ომების პირობებში. არ არსებობს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტი, ან არ მომხდარა რაიმე ორგანიზაციული თუ სხვა სახის რეფორმა ეკონომიკაში, რომელსაც მაშინ არ ჩაყროდა საფუძველი. თუ არ ჩავთვლით უკანასკნელი პერიოდის ორიოდე უმნიშვნელო დადგენილებას თუ განკარგულებას, რომელიც გამიზნული იყო ჩვენს მიერ დაწყებული რეფორმების კორექტირებისაკენ. დღევანდელ ეკონომიკურ სინამდვილეში სხვა შედეგს, ახალ შექმნილს ვერ ნახავთ. მაშინდელი რეტროგრადული და ანტირეფორმისტული მთავრობის პირობებშიაც კი, უდიდესი ძალისხმევით მიღებულ იქნა

ორმოცდაათზე მეტი ისეთი დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საქმეს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა... მიწის, ბინებისა და საწარმოთა პრივატიზაცია, ეაჯრობის განთავისუფლება, საწარმოთა და გაერთიანებათა მართვის დეცენტრალიზაცია, სამინისტროთა ფუნქციების შეცვლა, ფასების თითქმის სრული ლიბერალიზაცია, (გარდა რამდენიმე დასახელების საქონლისა), საფინანსო და ფულადი რეფორმა, ეროვნული ვალუტის შემოღება და ა.შ. ბუნებრივია, იმ მძიმე და მრავალმხრივ წინააღმდეგობრივ პირობებში, ბევრი რამ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, იყო შეცდომებიც, მაგრამ რომ არა ეს ქმედებები, ამჟამად მდგომარეობა უარესი იქნებოდა. სამწუხაროდ, მრავალი წამოწყების სანახევროდ განხორციელებასა ან ჩავარდნაში დიდი "წელილი" მიუძღვით იმ ძალებსა და ცალკეულ პირებს, რომლებიც ხშირად უცოდინარობის, სოგჯერ კი პოლიტიკური, ჯგუფური და პირადი ინტერესის გამო ხელს უშლიდნენ რეფორმებს. მაგალითად მარტო ეროვნული ფულადი ნიშნის-კუპონის შემოღებისა და მისი დაკნინების ისტორიაც კმარა. უცოდინარობამ, სამანეთო ზონაში დაბრუნებაზე გულუბრყვილო ორიენტირებამ, დანაშაულებრივმა საკრედიტო პოლიტიკამ და სხვა შეცდომებმა კუპონი ფარატინა ქაღალდად აქცია და ქვეყანა ფინანსური ბერკეტების გარეშე, სტიქიური თვითრეგულირების ამარა დატოვა. შემდეგ, მოგვიანებით, თუმცა, ერთი ხელით ცდილობდნენ მის რეანიმაციას შედარებით მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, მეორე ხელით კი ძირს უთხრიდნენ მრავალვალუტიანი რეჟიმის შენარჩუნებით, შემოსავლების არასწორი პოლიტიკით, გადასახადების ამოღების მექანიზმის მოსპობით (კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დაუკანონებლობის გამო) და სხვა გაუმართლებელი ქმედებითა და უმოქმედობით.

— როგორც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, თქვენ ფლობდით ისეთ ინფორმაციას, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, საინტერესოა თუნდაც თქვენს მიერ წარმოებული მოლაპარაკებები რუსეთთან ფულად-საკრედიტო და ფინანსურ საკითხებზე. ხომ ვერ გვეტყვით, რა იყო რუსეთის მხრიდან საქართველოს გამორჩეული დისკრიმინაციის მიზეზი საფინანსო და არა მარტო აქ მიმართულებით. იყო თუ არა ქართული ვალუტის კრახი პოლიტიკური შეცდომების შედეგი?

— მე არა ერთხელ ვყოფილვარ მოსკოვში თუ "სნგ"-ს სხვა ქვეყნებში მაღალი დონის მოლაპარაკებებზე და ნათლად დავინახე, რომ რუსეთი (იგულისხმება მისი დემოკრატიულად წოდებული ოფიციალური ხელისუფლება და არა ე.წ. რეაქციული ძალები) არ გაგვიწევდა დახმარებას, სანამ არ მიაღწევდა თავის მიზანს აფხაზეთში.

მაშინ საქართველოსათვის გამოყოფილი ყოველი კაპიკი, ნებისმიერი დახმარება იქნებოდა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების თუნდაც მცირეოდენი შემსუბუქება, შესაბამისად ჩვენი რესურსების, ენერგიისა და ძალების მიმართვა აფხაზეთში წარმოქმნილი სიძნელეების დასაძლევად. ეს კი მათ ინტერესებს არა და არ ეხამებოდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ უშედეგოდ დამთავრდა ჩემი რამდენიმე ვიზიტი ჯერ კუთვნილი ნაღდი რუსული ფულის მისაღებად, შემდეგ კი კრედიტების გამოყოფის საკითხებზე. 1992 წლის მეორე ნახევრიდან საქართველო იყო ერთადერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც არ ჰქონდა რუსეთის მხრიდან გაწეული არავითარი ფინანსური დახმარება და იმყოფებოდა სრულ ფინანსურ ბლოკადაში.

სამწუხაროდ, საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ და სახელმწიფოს მეთაურმა ფინანსური ბლოკადის პოლიტიკური მოტივები სწორად ვერ ახსნა, მოსალოდნელი ქმედებები რუსეთის მხრიდან ვერ გათვალა და ბრმად მიენდო მათ. ამის მიზეზი იყო არა მარტო ძველი მენტალიტეტი და რუსეთისადმი ტრადიციული მორჩილი დამოკიდებულებით შექმნილი ფსიქო-პოლიტიკური სტერეოტიპის არსებობა, არამედ ფინანსური, ეკონომიკური საკითხების არცოდნა და მისი პოლიტიკური შედეგების გაუთვალისწინებლობა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის მხრიდან წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა არის სარკე, არის გასაღები იმ პერიოდში რუსეთის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებისა საქართველოსადმი და მისი ნამდვილი მიზნებისა თუ ინტერესების გაშიფვრის საშუალება. ამ სფეროში მომხდარი მოვლენების ანალიზი იძლევა პასუხს ბევრ კითხვაზე.

როგორც ლენინი ამბობდა ტოლსტოის შესახებ, რომ იგი არისო რუსული რევოლუციის სარკე, შეიძლება ითქვას, რომ კუპონი არის დამარცხებული ქართული პოლიტიკის სარკე. ეს არის ისეთი ლაკმუსი, რომელიც ავლენს მრავალ დაფარულ ქმედებას, ტენდენციას. მასში "ჩახედვით" კარგად მოჩანს ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მისი ორიენტაცია, პოლიტიკოსთა მიერ რეალობის შეგრძნების ქონა თუ არქონა, სწორი პროგნოზების გაკეთების უნარი; ნათლად ჩანს ის შეცდომები, რომელიც ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ დაუშვა როგორც საშინაო საქმეებში, ასევე საგარეო ურთიერთობათა სფეროში.

— რეფორმისტული კურსი რომ გაგრძელებულიყო, დაახლოებით რა პროცესები განხორციელდებოდა და რა ეტაპზე, როგორ ვითარებაში ვიქნებოდით ამჟამად?

— სახელმწიფო იქნებოდა იმაზე ძლიერი, ვიდრე ამჟამადაა. ვგულისხმობ არა მარტო ეკონომიკურ მდგომარეობას და ცხოვრების პირობებს, არამედ ჩვენ სამხედრო ძლიერებასაც. აფხაზეთის ომის

წინა პერიოდში და მისი მსვლელობისას, როცა ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხა გააჩუქა კერძო პირებზე, მეომრებს არ ჰქონდათ იარაღი, საჭმელი, ჩასაცმელი. ქვეყანამ ჰიპერინფლაციის გამო ვერ გამონახა ისეთი ბერკეტები, რომლებიც რესურსების რაციონალურ განაწილებასა და სახელმწიფო პრიორიტეტების გათვალისწინებით მის წარმართვას შეაძლებინებდა. აფხაზეთის ტრაგედია არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო შეცდომების შედეგია, არამედ ეკონომიკის სისუსტისაც. დღეს, როცა პერმანენტულად მივდივართ უშედეგო დათმობაზე აფხაზეთის საკითხში, იგი რუსეთისაგან ფინანსური მოწყალების გაღების მოლოდინითაც არის გამოწვეული.

რეფორმებს ხელი რომ არ შეშლოდა, შეწყდებოდა მიგრაცია, ბიზნესმენებისა და კაპიტალის გადინება, არ იქნებოდა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი ასე დეფიციტური, საეალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კრედიტები კარგა ხანია გვექნებოდა ათვისებული და პირველი უცხოური ინვესტიციებიც ამოქმედდებოდა. რაც მთავარია, არ დაიკარგებოდა დრო, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაშორა არა მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც ტრადიციულად ჩვენზე წინ იყვნენ, არამედ იმათთანაც, ვისთან მეტ-ნაკლებად ერთ დონეზე ვიმყოფებოდით. მოკლედ, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ჩამოვრჩით.

— როგორც პარლამენტში არაერთხელ საჯაროდ გითქვიათ, თქვენ იყავით კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების მომხრე და ამაში სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან წინააღმდეგობას ხვდებოდით. ხოლო, როდესაც კუპონი ბრუნვაში შემოვიდა, პირველ ხანებში, მიუხედავად სახელმწიფოს მეთაურის საპირისპირო წინასწარმეტყველებისა, წარმატებით ხორციელდებოდა. მაგრამ ფაცაცას მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აქ დადგენილების შესრულება შეწყდა იმ საბაბით, რომ ეს თითქოს შეუძლებელი იყო. როგორ ხდებოდა თქვენ დროს მიღებული დადგენილების განხორციელება და შემდეგ რა როლი შეასრულა კუპონის დევალვაციის საქმეში მისმა შეუსრულებლობამ?

— კუპონის გაუფასურების უმთავრესი მიზეზი იყო მისი ფაქტიური (და არა იურიდიული) ფუნქციონირება არა ეროვნული ვალუტის სტატუსით, არამედ როგორც რუსული მანეთის დანამატი. თავიდან ეს ასეც იყო. ნაღდი ფულის დეფიციტის გამო, რომლის მიზეზი ყველასათვის ცნობილია, ჩვენ გამოვეცით მისი ქართული ნაირსახეობა. იგი ჩვეულებრივი მანეთი იყო, მხოლოდ განსხვავებული დიზაინის მქონე. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. საჭირო იყო შემოღებიდან მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში, გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების და ამ პერიოდში

დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მისი გადაქცევა სრულფასოვან ყალუტად. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ 5 თვის შემდეგ მოხერხდა ცნობილი მიზეზების გამო, ისიც რუსეთის "წყალობით", რადგან იქ ბრუნვიდან ამოღებული იქნა გარკვეული ტიპის კუპიურები, რამაც წარმოშვა მრავალი სიძნელე და სწორედ აქედან ამოქმედდა კუპონი, როგორც ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება. სწორედ ამ დღიდან, რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქმის ყველაფერი კუპონზე იყიდებოდა. აგვისტოში მისი კურსი 1:7000-თან იყო (დოლართან მიმართებაში). შემდეგ კი, ჩემი გადადგომისა და ახალი მთავრობის მოსვლის პირველსავე დღეებში მან კატასტროფული ვარდნა იწყო და რამდენიმე თვეში სრული კრახი განიცადა. იყო პერიოდი, როცა ერთი დოლარი ხუთი მილიონი კუპონიც კი ღირდა შავ ბაზარზე. ეს მოხდა არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო პირების წყალობით, რომლებიც ვარაუდობდნენ ეროვნული ფულადი ერთეულის მალე მოცილებას და კვლავ სამანეთო ზონაში დაბრუნებას. მათი, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი პროგნოზის შედეგად, მანეთის მომლოდინე ქვეყნის ფინანსური სისტემა პარალიზებული აღმოჩნდა, რითაც მთლიანად მოიშალა საბიუჯეტო და საკრედიტო პროცესი. ამ დროს არც მთავრობამ და არც ეროვნულმა ბანკმა, ტრადიციული მაამებლობის გამო არ მისცა სწორი და კატეგორიული რჩევა სახელმწიფოს მეთაურსა და მისი სახელით მოლაპარაკე ხალხს. ამან კიდევ უფრო გაზარდა უნდობლობა კუპონის მიმართ. ისინი ელოდნენ იმ ნანატრ დღეს, როდესაც კვლავ აღმოჩნდებოდით რუსული სამანეთო ზონის სივრცეში.

წარმოება და ვაჭრობა მასობრივად გადასული იყო მანეთისა და დოლარის გამოყენებაზე. შემოსავლები და გადასახადები კი კუპონებში აღირიცხებოდა და იკრიფებოდა. ბიუჯეტის შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის 1-2 პროცენტს არ აღემატებოდა. ეკონომიკა იძულებით იქნა ჩაყენებული არალეგალურ, აღურიცხავ და დაუბეგრავ მდგომარეობაში. ფინანსური მექანიზმების მოშლის შედეგად კატასტროფულად იზრდებოდა სავაჭრო დეფიციტი და საგარეო ვალი, ვინაიდან წარმოებული და გატანილი პროდუქციისა და მომსახურების აღრიცხვა შეუძლებელი გახდა. საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასები სიმბოლურად იქცა და მომუშავე ადამიანთა უმეტესობა ფაქტიურად უხელფასოდ დარჩა.

დღეს უკვე ბევრი აღიარებს, რომ მანეთის დაბრუნების იმედი მცდარი იყო. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა.

იმის შემყურე, თუ როგორ ცოდვილობს მთავრობა, შეიძლება თანაგრძნობა გაგიჩნდეს კაცს, რომ არა ერთი გარემოება: სწორედ ის პირები და სტრუქტურები არიან ყოველივეზე პასუხისმგებელნი,

რომლებმაც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს.

ამ უმძიმესი ვითარებიდან, ვერც ძველი ნომენკლატურა და ვერც ახალი, შეშინებულ-გაუბედავ-მაამებელი პირები ქვეყანას ვერ გამოიყვანენ. საჭიროა მტკიცე ნებისა და მაღალი კომპეტენციის მთავრობა. როგორც ჩანს, უკეთეს შემთხვევაში, ასეთი ხელისუფლება შეიძლება მოვიდეს ახალი არჩევნების შედეგად. მანამდე კი უნდა ვინატროთ, რომ ამჟამინდელმა მმართველმა გუნდმა, თუ კარგის გაკეთება ვერ შეძლო, ბევრი ცუდის გაკეთება მაინც ვერ მოასწროს. სამწუხაროდ, პოლიტიკურ ძალთა ამჟამინდელი განლაგების პირობებში უფრო ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება მიჭირს...

— ბატონო რომან, ლარი, მისი წინაისტორია, მისი ბედი და საერთოდ თქვენი პროგნოზი...

— "ლარი" ეს არის პირობითი ცნება, იმიტომ, რომ ეროვნული ვალუტა საქართველოში უკვე დიდი ხანია არსებობს, თუმცა ფრთაშეკვეცილი უფლებებით, ხოლო კუპონიდან ლარზე გადასვლა გაცილებით იოლი პროცესია, ვიდრე თავად კუპონის შემოღება იყო იმ პერიოდში. რომ არა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციები, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის დახმარება, რომლებმაც ელემენტარული ეკონომიკური ჩვევები ასწავლეს ჩვენი მმართველი გუნდის წარმომადგენლებს და, რაც ყველაზე მთავარია გამოგვიყვეს ის საკრედიტო რესურსები, რომელიც დღეს ფულადი სისტემის სტაბილიზაციას ხმარდება, ფულის რეფორმა ვერ განხორციელდებოდა. დღეს ლარის შემოღება იქნებოდა მხოლოდ კუპონზე ნულების ჩამოცილება, რომ არა ეროვნული ვალუტის გამოცხადება ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად. ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკის, როგორც საფინანსო, ასევე ფულად-საკრედიტო სისტემის გამოცოცხლება და მნიშვნელოვანი ძვრები. ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ გონივრულად იქნება გამოყენებული ყველა ეკონომიკური ბერკეტი და რა თქმა უნდა საერთაშორისო ორგანიზაციები არ მოგვაკლებენ ყურადღებას. ამაში იგულისმება არა მარტო ფინანსური და მატერიალური დახმარება, არამედ მათი კვალიფიციური რჩევებიც, აგრეთვე მათ ხელთ არსებული ზეწოლის სხვა მექანიზმებიც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელისუფლებაში მოვლენ კომპეტენტური და პატიოსანი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ ლარის მიმოქცევის არეალის გაფართოებას, მის გამყარებას და ქვეყანაში ინფლაციის შეჩერებას. რაც შეეხება პროგნოზს, მისი გაკეთება ძალიან ადვილია, თუკი ეს პროგნოზი არ იქნება გრძელვადიანი. ერთი-ორი წლის განმავლობაში ლარს არავითარი დევალვაცია, არავითარი გაუფასურება არ ემუქრება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი

თანხები საკმარისი იქნება უცხოური ვალუტის კონვერტაციისათვის ჩვენს ვალუტაზე – ლარზე, ანუ გაცვლითი კურსის შენარჩუნება თავისუფლად შეიძლება იმ რესურსებით, რომელსაც უცხოელები გვაწვდიან მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე და ბუნებრივია. თუკი არ მოხდება ჩვენი მხრიდან შეთანხმებათა დარღვევა. დღესდღეობით ერთადერთი წყარო ეროვნული ვალუტის გამყარებისა არის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებები, როგორც ფინანსური, ასევე სხვა ფორმის, აგრეთვე ის მატერიალური დახმარებები, რომელსაც ჩვენ გვაწვდიან საზღვარგარეთის ქვეყნები ხორბლის, ენერგომატარებლებისა და სხვათა სახით. რომ არა ეს დახმარებები, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ვერაფრით ვერ დაიკავებნიდა, რადგან სტაბილიზაციის ის პირველი ნიშნები, რომელიც უკვე შეიმჩნევა, მხოლოდ უცხოეთის წყაროებზეა დაფუძნებული. სამწუხაროდ, ამ წყაროებზე დაყრდნობით ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ შეიმუშავა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუკი გაგრძელდება მომავალში უცხოეთის მხარდაჭერა და ამავე დროს საქართველოს ახალი ხელისუფლება შეძლებს ეკონომიკის გამოცოცხლებას, საეარაუდოა, რომ ლარის ბედი მომავალში არ იყოს პესიმისტური. ეს კი დამოკიდებულია სამ რამეზე: კომპეტენტური ხელისუფლების არსებობაზე; უცხოეთის ფინანსურ და მატერიალურ დახმარებაზე; საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლებაზე გონივრული დარგობრივი, სოციალური და მაკროეკონომიკური პროგრამების შემუშავების საფუძველზე.

— დაბოლოს, ერთი პატარა ტექნიკური საკითხი. როდის დაიბეჭდა ლარი და თეთრი?

– რაც შეეხება ლარის შექმნის ისტორიას... როდესაც ჩვენ ვმუშაობდით ფულად რეფორმაზე, საქართველოში ჩამოყალიბდა უკლებლივ ყველა დიდი ფირმის წარმომადგენელი, რომელიც ბეჭდავს ქაღალდის ფულსა და მონეტებს, დაწყებული ინგლისისა და ამერიკის უდიდესი ფირმებიდან დამთავრებული საფრანგეთის, გერმანიის ფირმებით. მე მქონდა ყველასთან პირადად საუბარი. მუშაობა დაწყებული იყო 1992 წელს. შემდეგ ამ ფირმებს შორის კონკურენციის საფუძველზე შეირჩა ორი ფირმა - ეს გახლდათ ინგლისური ფირმა "დელარუ" და ფრანგული ფირმა "ობერტური". "დელარუ" მუშაობდა ბ-ნ ელგუჯა ამაშუკელის დიზაინზე, ხოლო "ობერტური" ბ-ნ ნოდარ მალაზონიას მიერ შექმნილი ესკიზებით ამზადებდა ჩვენს მიერ შეკვეთილ ფულად ნიშნებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ "ობერტურმა" შემოგვთავაზა გაცილებით უფრო იაფი ვარიანტი და ამ კონკურენციულ ბრძოლაში "დელარუმ" დაუთმო უპირატესობა "ობერტურს", თუმცა, ბ-ნ ელგუჯა ამაშუკლის მიერ მომზადებული ფულადი ნიშნებიც ძალზე მიმზიდველი და საინტერესო იყო. ამ საკითხებზე მუშაობდა სამთავრობო კომისია,

გაწეულია ძალიან დიდი შრომა და როგორც ლარი, ასევე თეთრი მისი ძირითადი კომპონენტებით მზად იყო დასაბეჭდად 1993 წელს (ეს თარიღი კიდევაც არის ამოტვიფრული თეთრზე). ერთადერთი, რისი შეცვლაც საჭირო იყო, გახლდათ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრის ფაქსიმილეების შეცვლა. ჩასატარებელი იყო მცირეოდენი ტექნიკური კორექტირება, რომელიც სულ 2-3 დღის მუშაობას მოითხოვდა. ამიტომ ფული, როგორც გითხარით, მომზადებული იყო უკვე 1993 წელს, მაგრამ არსებითი საკითხი ის კი არ არის, როდის მომზადდა და დაიბეჭდა ეს ფულადი ნიშნები, აქ მთავარი ის არის, რომ ლარის შემოღება ტექნიკურად და ეკონომიკურადაც შესაძლებელი იყო უფრო დიდი ხნის წინ. დრო, რომელიც დაიკარგა, გვიჩვენებს ჩვენი ხელისუფლების როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური პროგნოზირების უუნარობას. ლარი არ შემოვიდა იმის გამო, რომ როგორც უკვე ვთქვი, საქართველოს ხელისუფლებას ეგონა, რომ ისევ დაბრუნდებოდა სამანეთო ზონაში და მაშინ არავის არ უნდოდა ლარის გაგონება. როცა ბელორუსიისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრებმა მოაწერეს ხელი ბელორუსიის სამანეთო ზონაში შესვლის თაობაზე დოკუმენტს, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებიც მოითხოვდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას. პირადად მე და სხვებიც, ვაცხადებდით, რომ ეს არის აბსურდი, არარეალური რამ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი ხელმოწერილი იქნა, ბელორუსიაც კი ვერ შევიდა სამანეთო ზონაში, რადგან მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციები მიდიოდა სხვა მიმართულებით. ჩვენთან ვერ მიხვდნენ, რომ გულუბრყვილობა იყო ფიქრი უცხოურ სავალუტო სივრცეში დაბრუნებაზე. სწორედ ამ პერიოდში იქნა შეჩერებული ეროვნული ვალუტის ბეჭდვა. საბედნიეროდ, ვერ განხორციელდა სამანეთო ზონის აღდგენის პროექტი. ხელისუფლება იძულებული გახდა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ ქვეყანას სჭირდება ეროვნული ფულადი ნიშანი. მოხარული ვიქნები, თუ ეს პროცესი უმტკივნეულოდ (განსაკუთრებით მოსახლეობისათვის) ჩაივლის. მინდა ვუსურვო წარმატება ქართულ ეროვნულ ვალუტას, რადგან მას განვიხილავ როგორც ჩვენი, იმჟამინდელი მთავრობის რეფორმატორული ნაწილის დაუღალავი შრომის ერთ-ერთ პროდუქტს.

ოქტომბერი; 1995 წ.

ᲝᲜ. ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ

– დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თემა დღესაც არ არის მოკიწყვეტილი არა მარტო მოჯლენების დრამატულობისა და მასში მოქმედი ზოგიერთი პერსონაჟის ტრაგიკული ბედის გამო (პირველ რიგში იგულისხმება ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის დეშურ დკალიშვილის თვითმკვლელობა), არამედ იმითაც, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ისეთი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმები, რომლებიც მოგვცემდა მსგავსი, მეტად საკვალალო მოჯლენების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

ამ თემაზე ჩვენ ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი მაშინდელი მთავრობის ვიცე-პრემიერს, ბ-ნ რომან გოცირიძეს.

— არა მარტო ფართო საზოგადოებას, არამედ არც ჩვენს ხელისუფლებას აწყენდა ერთხელ კიდევ კრიტიკულად გაეანალიზებინა ის, რაც მოხდა, რადგან თუკი პარკინსონის ცნობილ სალაღობო კანონებს მოვიშველიებთ, "ის, რაც ერთხელ მოხდა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს".

— დკალიშვილის მიერ წარმოებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა რა მიზეზებით იყო განპირობებული და იყო თუ არა იგი მიზანმიმართული ეკონომიკური დიკერსია?

ამ პერიოდში გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვერ ვუწოდებთ მხოლოდ დვალიშვილის სახელს, ისევე, როგორც არ შეიძლება პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ ადამიანსე იქნას გადატანილი. ეს იყო ფორმალურად ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პოლიტიკა და პასუხისმგებლობა სხვადასხვა ხარისხით ეკისრება არამარტო ბანკის პრეზიდენტს. თუმცა, ამ პოლიტიკის ძირითადი იდეოლოგიის შემმუშავებული და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიმღები, რა თქმა უნდა, ბანკის პრეზიდენტი იყო. ფორმალურად იმიტომ ვამბობ, რომ ეროვნული ბანკი მაშინ გადაქცეული იყო რაღაც უხილავი ავთვისებიანი საფინანსო-საბანკო პროცესების ცენტრალურ ნაწილად, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა უზარმაზარი თანხების განიავება (მითვისება) სხვადასხვა სახის მაქინაციების გზით. ფართო გაგებით, ეს იყო სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ორგანოებისა და ცალკეული პირების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საქმოსნების ერთობლივი ზემოქმედება ქვეყნის ეროვნულ ბანკზე და მთლიანად საბანკო სისტემაზე. ამ ზემოქმედების მოტივი იყო როგორც სახელმწიფო (მათ შორის, ვიწროუწყებრივი) ინტერესების დაკმაყოფილება (თუმცა, არჩეულ იქნა ამ ინტერესების დაკმაყოფილების ყველაზე მცდარი გზა, რამაც თავის მხრივ

საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში მანკიერი საფინანსო პროცესების აღმოცენებასა და უზარმაზარი სახსრების განიავებას), ასევე პირადი ინტერესები.

იმას, რომ ქვეყანაში მოიშალა საფინანსო-საბანკო სისტემა და მოხდა პირველი ეროვნული ვალუტის - კუპონის განადგურება ინფლაციის გზით, აქვს რამდენიმე მიზეზი: პირველი, ეს იყო აბსოლუტური უვიცობა (არ ვამბობ უცოდინარობას ან სხვა უფრო რბილ სიტყვას ამ მნიშვნელობის გამოსახატავად. ეს იყო ელემენტარული უვიცობა) მაკროეკონომიკური, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროში. ასეთი მდგომარეობა თავის მხრივ გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო სისტემიდან გამოსვლითა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მართვის ჩვეულების არქონით. ეს ეხებოდა უკლებლივ ყველა რგოლსა და სფეროს: მინისტრებს, დეპუტატებს, ხელისუფლებისა და საფინანსო-საბანკო სფეროს დაბალი ეშელონების წარმომადგენლებს. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ბევრმა აიტაცა ე.წ. ემისიის, ანუ ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში დამატებითი ფულადი მასის გამოშვებით საქართველოში უცხოეთიდან საქონლის შემოტანის იდეა. მეორე მხრივ, ეს იყო იმდენად მცდარი ქმედება, რომ შეუძლებელია იმ მოვლენების, რომლებიც მაშინ ხდებოდა, მხოლოდ ამ ერთი ფაქტორით — გამოუცდელობითა თუ უცოდინარობით ახსნა.

მეორე ფაქტორი იყო როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების გავლენიანი ფენების (სამეურნეო სტრუქტურები, პოლიტიკური ძალები და ა.შ.) პირადი ანგარება, სიხარბე, გამორჩენაზე (თუ თავის გადარჩენაზე) ზრუნვა. ქვეყანა ინგრეოდა, ზოგს ხელიდან ეცლებოდა ქონება და გავლენა, ზოგსაც უჩნდებოდა ამ ქონების მოპოვების შანსი. ეს იყო ბრძოლა არსებობისათვის და ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად, რომელმაც უკანა პლანზე გადასწია საქვეყნო ინტერესები და წინ წამოსწია პირადი. ეს იყო პერიოდი (და იგი, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება), როდესაც რაიმე სერიოზულ ღონისძიებას, მათ შორის გამომდინარეს სახელმწიფო ინტერესებიდან, თან სდევდა პირადი ან ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილება.

ხელისუფლებაში ქვეყნის ბედზე ზრუნვის ნაცვლად, ჯგუფურ ინტერესებზე ზრუნვის ფაქტორი გახდა ამგვარი ფულად-საკრედიტო (და არა მხოლოდ მისი) პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს — იყო თუ არა ეროვნული ბანკის ასეთი პოლიტიკა მიზანშმართული ეკონომიკური დივერსია, რა თქმა უნდა არა. საერთოდ, ჩვენს საზოგადოებაში, უფრო მეტად პოლიტიკურ ცხოვრებაში, დომინირებს პარანოიალური აზროვნება, როდესაც საღი ანალიზის ნაცვლად დასკვნები გამოაქვთ პრიმიტიული, აკვიატებული განცდების საფუძველზე. სერიოზულად

საუბრობენ იმაზე, რომ ვთქვათ, აფხაზეთი ვიღაცამ სპეციალურად ჩააბარა, რომ ვიღაც არის ვიღაცის აგენტი და ა.შ. ბუნებრივია, ჯაშუშები ყველგან არიან და არც მოღალატეების ნაკლებობაა, მაგრამ გაანია ამ მოვლენებს როკ, ორ განაზოგადებ. ის, რაც ხდებოდა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში იმ მიმე პერიოდში – ეს იყო არაპროფესიონალიზმი და ანგარება.

იმ პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიერ ქვეყნისათვის მიყენებული ზარალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ყველა დივერსიაზე მეტია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ნდება ეჭვი და ზოგჯერ აბსურდული დასკვნებიც გამოაქვთ...

– რას ემსახურებოდა იმ პერიოდში წარმოებული ფულადი პოლიტიკა. რითი შეიძლება მისი ახსნა?

– ფორმალურად იგი ითვალისწინებდა დამატებითი საკრედიტო რესურსების შექმნას და ამ თანხების უცხოეთში გადასროლის გზით დამატებითი საქონლის შემოზიდვას. რეალურად იგი ემსახურებოდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული პირებისა და მათთან დაკავშირებული საქმიანი წრეების გამდიდრებას. ამ პოლიტიკის შედეგად, მოსახლეობამ მთლიანად დაკარგა თავისი დანაზოგები. ფაქტიურად ხდებოდა მოქალაქეთა ფულადი და მატერიალური ფასეულობების გაუფასურება და მათი გადასვლა ერთი ხელიდან მეორეში ეროვნული ბანკის მიერ მუქთად გაცემული სესხების მეშვეობით. ინფლაციამ და ქვეყნის საკალუტო რესურსების აბსოლუტურ ნულამდე ამოწურვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავდაცვისუნარიანობის დასუსტებასა და აფხაზეთის ომში დამარცხებაზე.

–რატომ ვერ მოხერხდა ამ პროცესების შეჩერება. შესაძლებელია თუ არა ანალოგიური რამის გაკეთრება დღეს?

– ვერ მოხერხდა ამ ვითარების შეჩერება, იმდენად, რამდენადაც ასეთი პოლიტიკით დაინტერესებული იყო უამრავი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე თუ სახელმწიფო მოხელე და მათი გარემოცვა. ის ძალები, რომლებიც თავიდანვე წინააღმდეგი იყვნენ ასეთი პოლიტიკის, იმდროინდელ ხელისუფლებაში წარმოადგენდნენ უმცირესობას. ამასთან, ამ პერიოდში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი მხოლოდ ის-ის იყო იწყებდნენ ფეხის მოკიდებას საქართველოში და მათ რეკომენდაციებს ნაკლებად თუ პქონდათ ზემოქმედების ძალა.

დღეს სხვა ვითარებაა. ჯერ ერთი, არსებობს ახლო წარსულის მწარე გაკვეთილი. ასეთი უარყოფითი მოვლენისაგან დაზღვევის არსებითი მექანიზმი მაინც ის არის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი მსგავსი ქმედებების შემთხვევაში მყისვე შეწყვეტენ დახმარებას. ამ დახმარებათა გარეშე კი ხელისუფლება

(ქვეყნის მოქალაქეებიც) რა მდგომარეობაში აღმოჩნდება, ძნელი მისახვედრი არ არის. ამიტომ ხელისუფლება იძულებულია შეწყვიტოს თვით მოქმედება, (თუმცა სხვადასხვა სახის ადგილობრივი იმპროვიზაციები კვლავ შეიმჩნევა). ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის აუცილებელი საწყისი ცოდნა, რომელიც საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროს მართვისათვის, სწორედ ამ ორგანიზაციათა წყალობით ჩვენთან უკვე შეძენილია. მიუხედავად ამისა, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი დახმარებების შეწყვეტის შიში, არა ვარ დარწმუნებული, რომ იგივე არ განმეორდეს, რადგან საქართველოში ხელისუფლების სტრუქტურები არ არის მყარი და პოლიტიკურ პროცესებს მართავენ არა პოლიტიკურად, არამედ კლანურად ორგანიზებული ძალები.

— არსებულმა ემისიამ სათ წაიყვანა საქართველო?

— როგორც უკვე აღვნიშნე, ამ მოვლენებმა ხელი შეუწყვეს ქვეყნის უკიდურესად დასუსტებას. მის ფინანსურ შედეგებს დღესაც ვიმკით. გაცემული სესხების დიდი ნაწილი გადარიცხული იქნა რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაუბრუნდა ქვეყანას მატერიალური დოვლათის სახით. დანარჩენი უცხოეთის საბანკო ანგარიშებზე აღმოჩნდა.

გადარიცხვები წარმოებდა ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე (მას ტექნიკურ კრედიტს უწოდებდნენ). ეს იყო ფაქტობრივად იმ თანხების ლიმიტი, რომლის ფარგლებში შეეძლო ერთ ქვეყანას ესარგებლა მეორე ქვეყანაში საქონლის შესაძენად და ანგარიშსწორების განსახორციელებლად. წლის ბოლოს დგებოდა ბალანსი, რომლის მხიედვით საქართველო აღმოჩნდა ვალში უკლებლივ ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანასთან რომელიც შემდგომ გაფორმდა როგორც სახელმწიფოს საგარეო ვალი. მასზე პროცენტებს დღესაც ვიხდით. ძირითადი თანხის დაფარვის სიძნელეები ახლო მომავალში დააწვება ჩვენს სახელმწიფოს (და შესაბამისად მის მოქალაქეებს).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ ქვეყნის იმდროინდელ ინფლაციას მხოლოდ კერძო ფირმებზე გაცემული სესხით ავხნით. ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის დეფიციტმა (რომლის დაფარვის ერთ-ერთი წყარო ეროვნული ბანკის კრედიტი იყო). ინფლაციის დაჩქარებას ხელი შეუწყო საქართველოსდან საქონლის მასობრივად გატანით მიღებული შემოსავლების უკან დაუბრუნებლობამ (ფაქტიურად, არალეგალური ექსპორტი). საბანკო სისტემის მოუწესრიგებლობასა და აღრიცხვისა და კონტროლის მოშლის შედეგად საექსპორტო ამონაგები და შესაბამისად მყარი ვალუტა სხვადასხვა ფირმების საზღვარგარეთულ ანგარიშებში იქნა გადამალული.

ეს ყველაფერი სუბიექტური ფაქტორებია. იყო, რათქმა უნდა, ისეთი ობიექტური გარემოებები (როგორც გარეშე, ასევე შიდა), რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის დაცემაზე და ინფლაციის პროცესზე, რომლის გაუთვალისწინებლობა არ მოგვცემდა ქვეყნის ფინანსური სისტემის კრახის ზუსტ სურათს.

მიუხედავად მრავალი მიზეზისა, ძირითადი მაინც ქვეყანაში წარმოებული საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იყო. იმ რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ექვივალენტური სესხებიდან უკან საბანკო სისტემაში რეალური გამოხატულებით მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი თუ დაბრუნდა.

— იყო თუ არა სესხების ამ გზით გატანა დანაშაული?

— დანაშაულებრივი იყო თვით არსებული საბანკო პოლიტიკა. იყო მრავალი კანონდარღვევა. რაც შეეხება ამა თუ იმ ფირმის როლს, რომელმაც ეს სესხები მიიღო, სამართლებრივად ეს საკითხი ძალზე სადაოა. მასში ძნელია დანაშაული აღმოაჩინო — ბანკი იძლეოდა შეღავათიან სესხს, ფირმა ღებულობდა მას. ეს არის იმ ბანკის კომერციული შეცდომა თუ წინდაუხედაობა რომელმაც გასცა ამა თუ იმ ფირმაზე სესხი. კომერციული თუ სახელმწიფო ბანკები კი მაინც და მაინც თავს არ იკლავდნენ ამ რესურსების მაღალი პროცენტებით გაცემისაგან, ვინაიდან სესხები მუქთად მოდიოდა ეროვნული ბანკიდან (ძირითადად მიზნობრივად, ამა თუ იმ ფირმისათვის). საბოლოო ჯამში ზარალდებოდა ეროვნული ბანკი, ანუ ქვეყანა ანუ თითოეული ჩვენთაგანი, რადგან ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა საკუთარი მყარი სავალუტო რეზერვები და გაცემული სესხები ფაქტიურად მოქალაქეთა ჯიბიდან ამოღებული თანხები და მათი დანაზოგები იყო.

დანაშაულებრივია, რა თქმა უნდა, წინასწარი გარიგება, როცა შეთანხმებით ხდება ამ სახის სესხის გაცემა. თუმცა, იმ პერიოდში უამრავი სესხი იქნა გაცემული ასე ვთქვათ, "კეთილი მიზნით", მაგალითად, საწვავის, ხორბლისა თუ სხვა სახის საქონლის შემოსატანად. საბოლოოდ, საბანკო სისტემისათვის შედეგი მაინც ერთი იყო: ინფლაციის სტიმულირება და ეროვნული ვალუტის კურსის კატასტროფული დაცემა, ამიტომ ძალზე ძნელია საუბარი ცალკეული ფირმების დანაშაულზე. წმინდა თეორიულად მათ ძნელად თუ დასდებ ბრალს: აძლევდნენ სესხებს შეღავათიანი პირობით, ისინიც იღებდნენ მას. თუმცა, ყველას რომ არ ურიგებდნენ და რჩეულთა წრეში მოხვედრას სხვა რამეც რომ სჭირდებოდა, ეს სხვა საკითხია.

— არსებობს კრედიტების ამღები ფირმების სია. ვინ დგას ამ კრედიტების უკან და ეწევიან თუ არა ისინი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, თუ "გუშინდელი დღის" მოღვაწენი არიან?

— კრედიტების მიმღები ბანკებისა და ფირმების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს არ არსებობს (განსაკუთრებით ეს ეხება ფირმებს). მოხდა მათი ფერიცვალება. ფინანსური სახსრები სხვა, ახალ ფირმებში გადადინდა. ზოგიერთი, მიუხედავად დიდძალი ქონების დაგროვებისა, მაინც გაკოტრდა. მათზე გახშირდა თავდასხმები როგორც ე.წ. შავი სამყაროს მხრიდან (რეკეტი), ასევე სხვადასხვა სახის სახელმწიფო სტრუქტურებისაგან. ასეთ კამპანიას მოჰყვა მრავალი პატიოსანი გზით შექმნილი ფირმის განადგურება, რადგან ეროვნული ბანკიდან მიღებული ფული უამრავი არხით ჩაედინებოდა სამეურნეო სტრუქტურებში და ისინი ძალაუნებურად ხდებოდნენ ამ პროცესის თანამონაწილენი. სახელმწიფო და არასახელმწიფო რეკეტმა მრავალ კომერციულ სტრუქტურას მოუღო ბოლო. საბაბი ყველგან დაახლოებით ერთნაირი იყო — ძირითადად, ფულადი სახსრების არალეგალური კონვერტირება (შავ ბაზარზე, ე.წ. "კავკასიის ბირჟაზე" და მის მისადგომებთან და ა.შ.). რაც შეეხება სესხების უკან მდგომ გავლენიან პირებს, არ მსმენია, რომ რომელიმე მათგანი კანონიერი სახით დასჯილიყო (სხვა საკითხია არაფორმალური ე.წ. გარჩევები). ბევრი მათგანი დღესაც დაუბრკოლებლად საქმიანობს პოლიტიკასა თუ ბიზნესში.

— რა მიზეზი არსებობდა დვალიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობისაგან განთავისუფლებისათვის?

— ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ამ პოლიტიკის ავკარგიანობა გვიან, მაგრამ მაინც ყველასათვის გახდა ცხადი. ამასთან, შეიქმნა აუიოტაჟი საზოგადოებაში, პოლიტიკურ ძალებში, პარლამენტში. მისი განთავისუფლება აწყობდა იმ ადამიანებსაც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კრედიტებთან, რადგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გამაღიზიანებელი ფაქტორი გახდა ბევრისათვის. მათთვის მუდამ იყო საშიშროება, რომ ყბადაღებული კრედიტების საქმე თავიდან გაიხსნებოდა. ისინი ცდილობდნენ ამ თემის მივიწყებას. ამიტომ შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ყველას ხელს აძლევდა მისი განთავისუფლება, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტსაც. გარდა ამისა, შექმნილ ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა რაიმე სერიოზული დახმარების მიღება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან.

ფაქტიურად, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გამოყენებული და მოშორებული იქნა სხვადასხვა ძალების მიერ. ალბათ, სწორედ ეს იყო მისი პიროვნული ტრაგედიის მიზეზი. მისი ტრაგიკული ბედი ნათლად მეტყველებს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ზნეობრივ მხარეზე.

აპრილი; 1997 წ.

ნულოვან აუქციონზე ქონებას კვლავ დირექტორები ჩაიგდებენ ხელში

— სულ მალე გაირკვევა ე.წ. ნულოვანი აუქციონების შედეგები. რა მიზანს ისახავდა იგი და რას უნდა ველოდოთ ამგვარი აუქციონებისგან.

— ე.წ. "ნულოვანი აუქციონები", სადაც საწარმოთა აქციები გამოტანილი იქნება ნულოვანი საწყისი ფასით, ისახავს ერთადერთ მიზანს — სახელმწიფო ქონებისთვის პატრონის მიჩენას, განუსაზღვრელად იმისა, რა რაოდენობის თანხას გადაიხდის მასში მომავალი მესაკუთრე. აუქციონებზე გამოტანილი 273 საწარმოს აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერებულია, ხოლო ზოგიერთი მუშაობს თავდაპირველი სიმძლავრის 1-2 პროცენტის დატვირთვით. ამ საწარმოთა ქონების ნაწილი განიავებულია. ამასთან, იშვიათია საწარმო, რომ არ ჰქონდეს ვალები (ბიუჯეტის, ბანკის, მიმწოდებლის). საერთოდ, ნულოვანი საწყისი ფასით საწარმოთა გაყიდვა არის ყველაზე უარესი, მაგრამ დღეისთვის ერთადერთი გამოსავალი. რაც მეტი დრო გავა, მით უფრო განიავდება ქონება და გაეზრდება ქარხნებს ვალები (რა თქმა უნდა, არა მათი ამოქმედებისთვის, არამედ დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ, რადგან ამ ვალების სანაცვლოდ ხშირად არა საკუთარ, არამედ სახელმწიფო ქონებას აგირავებენ).

სახელმწიფო მართვის ორგანოებს არ შესწევთ იმის უნარიც კი, რომ ამ ქონებას უდარაჯონ. მინიმალურ, სიმბოლურ ფასებში ხდება საწარმოთა ქონების გადაცემა დირექტორებისათვის "მოდარაჯის" ფუნქციის შესრულების გამო. ლოგიკა მარტივია: როდესაც საკუთარია, უკეთესად მოუვლის, "მიბარებული" ქონებიდან კი ცდილობდნენ, მაქსიმალურად "გამოეწურათ" სარგებელი.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ნულოვან აუქციონებზე ძირითადი მყიდველები ქარხნის ხელმძღვანელობა იქნება. რატომ გამორიცხავთ მასში მოქალაქეთა მონაწილეობას?

— ამ საწარმოთა მყიდველი არავინ არის, ხელმძღვანელობისა და მცირეოდენი დაინტერესებული ჯგუფის გარდა. საქართველოს მოსახლეობის 99,9 პროცენტი ამ აუქციონში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან ეს ყოველგვარ ეკონომიკურ აზრს მოკლებულია. მოქალაქემ რომ რამდენიმე აქცია შეიძინოს, მას იმის იმედი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ ამ აქციებით მცირეოდენ დივიდენდს მაინც მიიღებს. ნულოვან აუქციონებზე გამოტანილი საწარმოების აქციების მიხედვით დივიდენდების გაცემა, უახლოესი წლების განმავლობაში, არარეალურია. წვრილი აქციონერი ვერასოდეს მიიღებს ისეთ შემოსავალს, რომელსაც შეიძლება რაიმე ფინანსური მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთ ვითარებაში მას ურჩევნია ფული მაგალითად, ბანკის

ანაბრებზე შეიტანოს, ვიდრე წლობით ელოდოს გაკოტრებული საწარმოებიდან შემოსავალს.

— ქარხნის ხელმძღვანელობას რა ინტერესი ამოძრავებს?

— რაც შეეხება მათ, ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ აქციათა საკონტროლო პაკეტი, მითუმეტეს, როდესაც ეძლევა შანსი აქციების კაპიკებად შეძენისა. ისინი მცირეოდენი ფულით, ფაქტობრივად, უზარმაზარი ქონების მესაკუთრენი ხდებიან. ეს ქარხნები არასოდეს რომ არ ამუშავდეს, იქ თავმოყრილი სიმდიდრე თუნდაც ჯართად რომ გაიყიდოს, მაინც აანაზღაურებს ყოველნაირ დანახარჯს. რომ არაფერი ვთქვათ იმ უზარმაზარ მიწის ფართობებზე, რომელსაც მომავალში ოქროს ფასი დაედება...

მოკლედ, რიგითი აქციონერი ამ პროცესში არაფერს იგებს (პირიქით, კარგავს), დაინტერესებული ჯგუფი კი (ბუნებრივია, თუკი გარკვეული ოდენობის ფინანსური რესურსებიც გააჩნია) დიდძალი სიმდიდრის მესაკუთრე ხდება. მას შეიძლება არც აინტერესებდეს ამ საწარმოს ამუშავება, თავის ქონებას კი მაინც არ დაკარგავს...

— რა ღირებულების ქონებაა გამოტანილი გასაყიდად და რა რაოდენობის თანხის შემოსვლაა ბიუჯეტში მოსალოდნელი?

— გასაყიდად გამოტანილი 273 საწარმოს ქონების ღირებულება, ოფიციალური შეფასებით, დაახლოებით 80 მილიონი ლარია. რეალურად იგი რამდენჯერმე მეტია. ჩემი აზრით, ნულოვან აუქციონებზე აქციები გაიყიდება ოფიციალური ღირებულების 3-4 პროცენტად, ანუ ბიუჯეტში შევა სადღაც სამი მილიონი ლარი.

— როგორ გაიყიდება საწარმო?

— ალბათ, საშუალოდ უნდა ვიანგარიშოთ, რომ თითოეულ საწარმოთა აქციების ერთობლივ რაოდენობაში გადაიხდიან გასაყიდი აქციების ღირებულების რამდენიმე პროცენტს. ზოგში, მეტს, ზოგში ნაკლებს. თუკი გამოტანილია გასაყიდად, მაგალითად ასი ათასი აქცია, საწარმოთა ადგილმდებარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ერთ შემთხვევაში მასში შეიძლება გადაიხადონ ათასი ლარი, მეორეში — ორ-სამჯერ მეტი. რა თქმა უნდა, იქნება გამონაკლისებიც, სულ რამდენიმე საწარმოა, სადაც კონკურსი შეიძლება მაღალი იყოს, მაგრამ ეს სურათს ვერ შეცვლის.

დარწმუნებული ვარ, აუქციონებზე გაყიდული აქციების 80-90 პროცენტის მეპატრონეები ქარხნის ხელმძღვანელობა იქნება. რაიონებში კი, სადაც მოსახლეობას არა აქვს აქციების შესაძენი თანხები (აბსოლუტურმა უმრავლესობამ კი, არც იცის ამ აუქციონების შესახებ), სხვაობა "გარე ინვესტორისა" და "შიდა ინვესტორის" მიერ შეძენილი აქციების ოდენობაში კიდევ უფრო დიდი იქნება.

— რამდენად მიზანშეწონილია ასეთი აუქციონების

ჩატარება?

— სამწუხაროდ, ჩვენთან ყოველთვის იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც სხვა გამოსავალი უკვე აღარ არის. თუკი აქამდე მიდიოდა საქმე, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ეს საწარმოები 4-5 წლის წინათ მიგვეცა ვინმესთვის "ჩალის ფასად". მაშინ ქონება არ განადგურდებოდა და მეპატრონეც ხელს გაანძრევდა. თუმცა, არა მგონია, პრივატიზაციის ამ ფორმამდე დავშვებულიყავით, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები დროულად და სწორად რომ განხორციელებულიყო. ყველაზე დიდი უბედურება, რაც ჩვენ გვჭირს, არის ის, რომ ყოველთვის ვაგვიანებდით 3-4 წლით. დღესაც, ბევრი რამ დადებითი, რაც განხორციელდა რეფორმების სახით (პირველ რიგში საფინანსო და სავალუტო სფეროში, ნაწილობრივ, პრივატიზაციის მიმართულებითაც), მიღწეულია სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ზეწოლისა და მოთხოვნის შედეგად. რომ არა ისინი, ჩვენი ხელისუფლება ვერ გადადგამდა ბევრ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ხელისუფლების ძირითადი მახასიათებელია უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ზრუნვა. ამისათვის, საჭიროა მასების კეთილგანწყობა, პოპულისტური ქმედებები და მტკივნეული, მაგრამ აუცილებლად გასატარებელი ზომების გადავადება. ყოველივე ეს იწვევდა და იწვევს დიდი დროის დაკარგვას, რასაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ.

"ნულოვანი აუქციონი" ასეთი პოლიტიკის შედეგია. საწარმოთა პრივატიზაციის მიზანი მათი ამოქმედება, ეფექტიანი მუშაობა და ინვესტიციების მოზიდვა კი არ არის, არამედ "ყარაულის" დანიშვნა, რომლის ძირითადი ფუნქცია ქონების განიავების პროცესის შეჩერებაა.

ივლისი; 1997 წ.

დღევანდელ პარლამენტში რომ არ ვარ, ალბათ ცუდია ხალხისთვის

— ბ-ნო რომან, ამჟამად რას საქმიანობთ?

— გახლავართ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეზიდენტი. ეს არის არასახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მეორე წელია რაც არსებობს და აერთიანებს მეწარმეებს, პოლიტიკოსებს, მასმედიის წარმომადგენლებს, ბიზნესმენებს.

— განაწყენებული კაცის კომპლექსი თუ გაწუხებთ?

— განაწყენების არავითარი საფუძველი არ მაქვს. პირიქით, მწამს, რომ ჩვენი მცირე ჯგუფი, რომელსაც ეკონომიკური რეფორმების შტაბი ერქვა, იყო პატარა კუნძული უზარმაზარ ბიუროკრატიულ სისტემაში და ამ ჯგუფმა ქვეყნისთვის მართლაც რომ ისტორიული საქმე გააკეთა. დღეს, თუკი რამეს ჰქვია რეფორმა, ყველაფერს იმ დროს ჩაეყარა საფუძველი. ყველას გვახსოვს ის პერიოდი, როდესაც ქვეყანაში არავითარი რესურსები არ არსებობდა, ბლოკირებული იყო ფულადი სისტემა. მოსახლეობა ვერ ღებულობდა ხელფასს, ქვეყანაში შიდა საომარი კონფლიქტები ღვიოდა. ამ პირობებში მოხდა წარმოუდგენელი სირთულის საკითხების გადაწყვეტა. ეს იყო ბინების პრივატიზაცია, მიწების დარიგება (ცუდი იყო ეს თუ კარგი, იმის შემდეგ არც ერთი მტკაველი მიწა აღარ გაცემულა), ყველა საქონელზე ფასების გათავისუფლება, გარდა პურისა და ნავთობპროდუქტებისა, რომლებზედაც ხელისუფლების ძლიერი ზეწოლის გამო, ფასების გათავისუფლება ვერ მოვახდინეთ. ეს იყო ეკონომიკური თავისუფლების პირველი სიო, რომელმაც შემდგომ იფეთქა და ხალხის გარკვეულ მასას, შიდა ინვესტიციების საშუალება მისცა. ჯიხურების მეპატრონეები დღეს მაღაზიებში გადადიან და ქმნიან ცივილიზებულ კომერციულ სექტორს. საქართველოში თავისუფალი ვაჭრობის შემოღება უდიდესი მონაპოვარია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასევე საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ბევრ დღევანდელ სიკეთეს იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

— თქვენი მოღვაწეობა დაემთხვა კუპონის პერიოდს... იყო თუ არა მისი შემოღება აუცილებელი?

— კუპონის შემოღება იყო აუცილებლობა. მაშინდელმა ხელისუფლებამ ეკონომიკის სრული უვიცობა გამოავლინა, როდესაც კუპონი დროებით ვალუტად გამოაცხადა და მოსახლეობას კვლავ სამანეთო ზონაში დაბრუნება აღუთქვა. ეს იყო დემაგოგიური პროპაგანდა. ქვეყნის ფინანსური რესურსების უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა ეროვნული ვალუტის — კუპონის სიმყარის შენარჩუნება. მაშინ, უცხოური დახმარების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში არც ერთი

ცენტი არ შემოდიოდა. კუპონის სიმყარის ერთადერთი საფუძველი ქვეყანაში არსებული მცირეოდენი რესურსები და გონივრული ეკონომიკური პოლიტიკა იყო. მიუხედავად ჩემი უდიდესი მცდელობისა, კუპონი დროულად არ გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად. ამას მოჰყვა დანაშაულებრივი შეცდომებიც ეროვნული ბანკის საქმიანობაში. გაიცა უზარმაზარი რაოდენობის სესხი, რომელიც, ფაქტობრივად, აღარც დაბრუნებულა. საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას მოესპო იარაღის შეძენის საშუალება მაშინ, როდესაც მილიონობით დოლარის სესხი გაიცა, ვითომდა პროდუქციის შემოსატანად. ეს მილიონები პოლიტიკაში მყოფი და მასთან დაახლოებული პირების საზღვარგარეთის ანგარიშებზე დაბინავდა უცხოეთის ბანკებში.

— ლარზე რას გვეტყოდით, იგივე ბედი ხომ არ ელის?

— დღესაც კი, ეროვნული ვალუტის, ლარის გამყარების ძირითადი წყარო უცხოური დახმარებაა. ლარის სიმყარე დამოკიდებულია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსურ ინიექციებზე.ისინი ფარავენ ბიუჯეტის მნიშვნელოვან დეფიციტსაც. რომ არა ეს დახმარება, საჭირო შეიქმნებოდა ფულის დამატებითი ემისია, მთავრობის დაფინანსება ეროვნული ბანკიდან, რაც გამოიწვევდა ლარის დასუსტებას. თუ შეწყდება ეს დახმარება, და ამოიწურება უცხოური ვალუტის რეზერვები, ლარი გახდება კუპონი. ისე, თუ გავითვალისწინებთ დახმარების იმ პროგრამას, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ, ორი წლის განმავლობაში, ლარს საშიშროება არ ელის. დღეს, აუცილებელი რეფორმების გატარების ოქროს ხანაა, თორემ, მერე ისევ არჩევნები დაიწყება, რასაც მოჰყვება მოსახლეობის მორიგი გაბრიყვების კამპანია. ერთადერთი იმედი კვლავ საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლაა. ისინი გამოდიან არა მარტო ფინანსური დონორების როლში, არამედ როგორც მასწავლებლები, მისიონერები. საქართველოში დღეს აუცილებელია, ფინანსურ კაპიტალთან ერთად, ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება.

— როგორ ფიქრობთ, მოესწრება ამ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება არჩევნებამდე?

— საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული გეგმები ძალიან მძიმედ, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც წინ მიიწევს.

— როდის უფრო მოახდინეთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზაცია, გამსახურდიას ხელისუფლების დროს თუ შემდგომებთან?

— გამსახურდიას დროს პარლამენტში ვიყავი ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. მაშინ ქვეყნის ეკონომიკის მართვაში სრული სიბნელის პერიოდი იყო. ხელისუფლებაში მყოფ

ადამიანებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა იყო ქვეყნის მართვა, ეკონომიკა. მიუხედავად ამისა, შეეძელით რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის მიღება.

რაც შეეხება შემდგომ ხელისუფლებას, მმართველობის სტრუქტურებში აქაც, ძირითადად, ძველი ნომენკლატურა იყო წარმოდგენილი, მაგრამ აქ, საღად მოაზროვნე ძალებიც შემოვიდნენ და შესაძლებელი გახდა ქვეყნისთვის აუცილებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღება.

— პრობლემებს თუ აწყდებოდით და ვისთან მოგდიოდათ კონფლიქტები?

— კონფლიქტი იყო მთავრობის აბსოლუტურ უმრავლესობასთან. ეს ის ძალები იყვნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საბაზრო სტრუქტურების აღმოცენებას. სამწუხაროდ, მთავრობის წევრთა ალბათ 95 პროცენტს სწორედ ეს ფრთა შეადგენდა.

— დღევანდელ მთავრობაზე რას იტყოდით?

— ამჟამინდელი მთავრობის უპირველესი შეცდომაა დროში დაგვიანება და ეს დრო არ არის ერთი-ორი თვე, ჩამორჩენა ზოგჯერ რამდენიმე წელს ითვლის. ეს არის შემგუებელ, მფრთხალ ადამიანთა ერთობლიობა.

— "გვაცალეთ, ბატონო", ცნობილი ფრაზაა: თქვენც არ დაგაცალეს?

— ხელისუფლებიდან ჩემი დისტანცირება, უკვე აღვნიშნე, რომ უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოთხოვნილება გახლდათ, რათა შემენარჩუნებინა ღირსება. ხელისუფლებაში დარჩენისათვის გაუმართლებელ კომპრომისებზე წასვლა და ფარისევლობა ადამიანის ღირსების შელახვად მიმაჩნია. ჩემს შემდეგ მოვიდა ამირან ქადაგიშვილი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა მაკროეკონომიკაზე. იგი ცოტა ხანი იყო. შემდეგ დაინიშნა ბასილია, რომელსაც მართვის უფრო მოქნილი უნარი აღმოაჩნდა, მაგრამ იმდენად მფრთხალია და უინიციატივო, რომ ძნელია მისთვის რეფორმების მინდობა. თუმცა, ერთი კარგი თვისება აღმოაჩნდა — ხელს არ უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებს (სხვებისგან განსხვავებით).

— საქართველოს მოსახლეობა თუ გიცნობთ?

— რასაკვირველია. მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე წელია, ხელისუფლების სტრუქტურებში არ ვმონაწილეობ და არც მასმედიის ხშირი სტუმარი გახლავართ. საერთოდ, რეფორმატორი, მოსახლეობის თვალში, პოპულარული ვერ იქნება. მისი საქმიანობის შეფასებას დრო სჭირდება.

— ქართველი კაცის შრომისმოყვარეობის თუ გწამთ. თუ ბოლოდროინდელ შეფასებას — "ზარმაცები ვართო" — იზიარებთ?

— შეუძლებელია სიზარმაცე ან შრომისმოყვარეობა გამორჩეული ეროვნული ნიშანი იყოს. ეს არის გარემოების შედეგი. წარმოიდგინეთ, რა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია ამ ოციოდე წლის წინ და რა არის დღეს. ქვეყნის წარმატებას განაპირობებს დიდი ეკონომიკური ძვრები. ქართველი კაცი უდავოდ ნიჭიერია, სიზარმაცე კი არსებული სისტემის შედეგია.

— როგორც რიგითი ქართველი, როგორ ფიქრობთ, დავიბრუნებთ აფხაზეთს და ომი თუ იქნა, აიღებდით ხელში იარაღს?

— აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღება, ეროვნული თანხმობის მიღწევა და რეალური სამხედრო ძალების ფორმირება. იარაღის ხელში აღება კი სიმბოლური ცნებაა. პოლიტიკოსმა პოლიტიკური იარაღით უნდა იბრძოლოს. როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ყარყარაშვილი, რიგითი ჯარისკაცის ფუნქციას ასრულებდა, მიუხედავად მისი პიროვნული ვაუკაცობისა, ეს იყო ჩვენი სამხედრო სისტემის უსუსურობა.

— რატომ "აღარ აწყობთ" დღეს ნოდარ ჯავახიშვილი?

— ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი, როდესაც გარკვეულ გავლენიან ძალებს თავიანთი წარმომადგენლის გასვლა სურთ ამ პოსტზე. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს რეალობის შეგრძნება და ობიექტურობის განცდა. ადამიანი, რომელიც თავდაჯერებულად დარწმუნებულია იმაში, რომ ის ყოველთვის მართალია, არასოდეს არის დაზღვეული შეცდომებისაგან. ჯავახიშვილის კანდიდატურა აღნიშნულ პოსტზე ქვეყნის პრეზიდენტს მე წარვუდგინე, როდესაც მთავრობის ვიცე-პრემიერი ვიყავი. მისი გარკვეული მიღწევების დაუნახაობა არ იქნებოდა სწორი, თუმცა, ვერ ამიხსნია თუნდაც, ის ელემენტარული დაუდევრობა, რომელმაც ქვეყანას დაუკარგვინა სესხად აღებული 15 მლნ დოლარი. რაც შეეხება ჯავახიშვილის პარლამენტში დამტკიცების შანსს, მეეჭვება, რომ ხელმეორედ წარდგენის შემთხვევაში ეს მოხდეს.

— დვალიშვილის სიკვდილი თვითმკვლელობაა თუ გამიზნული მკვლელობა?

— ეს იყო თვითმკვლელობა, სადამდეც დვალიშვილი ხელისუფლებამ და იმ ადამიანებმა მიიყვანეს, რომლებმაც ისარგებლეს მისი რბილი ხასიათით და შეცდომებით, რომელიც მან დაუშვა ფულად-საკრედიტო სფეროში. გამიზნულ მკვლელობას კი, მას საზოგადოებრივი აზრი აწერს, რომელიც ყოველთვის ეძებს დეტექტიურ სარჩულს. შეცდომები ფულად-საკრედიტო სისტემაში კი იყო, როგორც არცოდნის, ასევე ხელისუფლების მაღალი ეშელონების ანგარების შედეგი.

— საქართველოს უმდიდრეს ადამიანთა ყველა სიაში, მასმედიის გადმოცემით, ფიგურირებენ ასლან აბაშიძე, ნიკო

ლეკიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი და სხვები. მოკლედ, ხელისუფლების მმართველი ელიტა. თქვენი მოსაზრება ამის შესახებ?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ადამიანები არ არიან მდიდრები, მაგრამ იმის თქმაც მიჭირს, რომ ისინი არიან საქართველოში ყველაზე მდიდრები. ეს არავინ იცის, რადგან ჩვენთან ჯერ არ არის საჯაროობის ისეთი ატმოსფერო, რომ სიმდიდრე დემონსტრირებისა და სიამაყის ობიექტი გახდეს. მათზე მდიდრებიც არიან. საერთოდ კი, ასეთი სიების ობიექტურობისა არ მჯერა.

— ფინანსთა მინისტრი, ჭკუასელი, სწორად შერჩეული კადრია?

— ჭკუასელი იყო უნივერსიტეტში ჩემი ნიჭიერი სტუდენტი. მიუხედავად ამისა, ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე 26 წლის ახალგაზრდის დანიშვნა, ფრიად სარისკო ნაბიჯია. ცივილიზებულ ქვეყნებში, ფინანსთა სამინისტროში რიგით კლერკად მოხვედრა ასეთ ასაკში კარგი კარიერის დაწყების საწინდარია. ღმერთმა ქნას, რომ გაამართლოს ეს უდიდესი ნდობა. ვინაიდან მას სამსახური ახალი დაწყებული აქვს, მე კრიტიკული შენიშვნებისგან თავს შევიკავებ.

— დღევანდელი გადასახედიდან, როგორ დაახასიათებდით ქვეყნის პრეზიდენტს და მის პოლიტიკას?

— უდიდესი პიროვნული პოტენციალის მქონე ადამიანია. მტერსაც კი რამდენიმე წამში მონუსხავს და თავის მონა-მორჩილად გახდის (ურთიერთკონტაქტის დროს).

საერთოდ, ჩემი აზრით, პოლიტიკოსის სიბრძნე იმაში გამოიხატება, რომ მან უნდა იცოდეს ის, რომ ბევრი რამ არ იცის, მოუსმინოს და ენდოს მას, ვინც იცის. წარმოუდგენელია, ერთი ადამიანი კომპეტენტური იყოს ყველა სფეროში.

შევარდნაძე, როგორც ადმინისტრატორი, მსოფლიო დონის მმართველია, შესანიშნავად ახერხებს შიდაპოლიტიკური ინტრიგებიდან თავის დაღწევას და წარმატებას. თუმცა, მისი უდიდესი სისუსტეა რწმენა იმისა, რომ იგი ყველაზე ჭკვიანია, ყველაფერი იცის, მათ შორის, ეკონომიკაშიც. მთელი მისი საკადრო პოლიტიკა იყო და არის შეცდომა. შეცდომაა აგრეთვე და ქვეყნისათვის მეტად საშიში გუნდის შექმნის და შემდეგ მისი თავიდან მოცილების მეთოდიც (გავიხსენოთ, როგორ გრძელდება დღესაც სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურის ჩამოცილება). ეს არის შევარდნაძისეული, მეტად სარისკო, ფარული თამაშის წესები.

— თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რა თანამდებობას აირჩევდით პოლიტიკურ სარბიელზე?

— დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში მაქსიმალურად გამოვაელენდი ჩემს შესაძლებლობებს პარლამენტში. სასურველი,

თანამოაზრე გუნდის ჩამოყალიბების შემთხვევაში, მნიშვნელოვან გარდატეხას მოვახდენდი ეკონომიკაში, აღმასრულებელი ხელისუფლების საპასუხისმგებლო პოსტზე. თუმცა, დღევანდელი მთავრობის პროფილიდან გამომდინარე, მთავრობაში ყოფნის არავითარი სურვილი არ გამჩენია.

— დღეს ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს თავმოქმწონე, გაფუყული, ნაპატივები შესახედაობა აქვს. მიზეზი?

— ეს არის საზოგადოების შეკვეთა, ხალხს სურს, რომ მას "სერიოზული" ადამიანები მართავდნენ. ამიტომაც ირგებენ ისინი შესაფერის, გაფუყულ ნიღაბს. ზოგადად, ეს ფაქტი გამოწვეულია სახელმწიფო მოხელის კულტურის დაბალი დონით.

— მომავალ არჩევნებში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

— აუცილებლად. ეინაიდან ვარ ეკონომისტი და მაქვს პროფესიული და პოლიტიკური გამოცდილება. დღევანდელ პარლამენტში (და არა მთავრობაში) რომ არა ვარ, ცუდია ხალხისთვის (როგორ ხმამაღლა ნათქვამიც არ უნდა იყოს).

— პირველი ბრძანება, პრეზიდენტი რომ იყოთ?

— ეს იქნებოდა თავისუფალი მეწარმეობისა და კერძო საკუთრების დაცვის შესახებ (ისე, სახელმწიფო მოხელეს შეგნებულად ტყუილის თქმისთვისაც დავსჯიდი).

— თქვენი შემოსავალი გყოფნით ნორმალური არსებობისათვის?

— ჩვენი სტანდარტებით, ნორმალური არსებობისათვის მყოფნის, ხოლო სასიამოვნო და უპრობლემო ცხოვრებისათვის — არა. ნორმალური არსებობა — გარანტირებული არსებობაა.

— რა მოგიტანათ პოპულარობამ?

— პოპულარობა მობილიზებულს გხდის ადამიანს, არ გაძლევს მოდუნების საშუალებას, არ გაკადრებინებს იმას, რაც შეიძლება ზოგიერთ სხვა შემთხვევაში დაუშვა. ბუნებრივია, მას აქვს მეორე მხარეც — გიზღუდავს პირად თავისუფლებას, გიქმნის გარკვეულ დისკომფორტს.

— თავისუფალი დრო და თქვენი ჰობი?

— თუკი წინათ ჩემი ერთადერთი ჰობი იყო სპორტი, ლიტერატურა და ფილოსოფია, დღესდღეობით ჩემი მეუღლის წყალობით (იგი პროფესიით ფსიქიატრია), სიამოვნებით ვერთობი ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ლიტერატურის კითხვით.

— სად ისვენებს ბატონი რომანი ოჯახით?

— შარშან — ქობულეთში, წელს — ბორჯომში.

— რა აზრისა ხართ რეკლამებზე?

— გააჩნია, რა ნაწარმს უკეთდება რეკლამა. ქალაქში განთავსებული სიგარეტის მახინჯი რეკლამები, ნათელი სურათია იმისა,

თუ როგორ მდიდრდებიან პრივილეგირებული, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესმენები ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე.

— ბატონო რომან, ინტერვიუს გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლება. მით უფრო, რომ არც კითხვებია ამოწურული, მაგრამ აქ დროისა და გაზეთში ადგილის ფაქტორი თამაშობს თავის როლს...

გმადლობთ.

სექტემბერი. 1997 წ.

პრეზიდენტის ზურგს ამოფარებული მთავრობა პოლიტიკური ინტრიგების საშუალებით თავის მიზნებს აღწევს

ბატონო რომან, ყველასათვის მოულოდნელად, კვლავ აქტუალური გახდა პურის ფასები, რის გამოც პარლამენტს საგანგებოდ მოუხდა ახლახან მიღებული კანონის იმ მუხლების მოქმედების შეჩერება, რომელიც ეხება ხორბლის დაბეგვრას დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთით. რას უნდა მივაწეროთ ასეთი "აურზაური არაფრის გამო"?

"პურის საკითხის" წამოწევა და აჟიოტაჟის შექმნა, ძირითადად, ორი მიზეზით არის განპირობებული: პირველი, ეს არის მთავრობის არათანამიმდევრულობა რეფორმის გატარებაში, პრეზიდენტისათვის ჩვეული პოპულიზმი და მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლობის ასევე ჩვეული სიმხდალე და მაამებლური დამოკიდებულება "უფროსობისადმი", როდესაც საქმე ეხება სწორი ინფორმაციის მიწოდებას და პრინციპული პოზიციის დაკავებას მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებისას (ეს ეხება როგორც მთავრობის წევრებს, მაგალითად, ეკონომიკის მინისტრს ბ-ნ ვლადიმერ პაპავას, ასევე პრეზიდენტის მრჩეველს ბ-ნ თემურ ბასილიას, რომლებიც ვალდებულნი არიან, პირველ რიგში, დაიკავონ პრინციპული პოზიცია. ბუნებრივია, ცენტრალური ფიგურა ეკონომიკურ საკითხებში აგრეთვე არის ფინანსთა მინისტრი, მაგრამ იგი სულ ახლახან არის დანიშნული და ამიტომ, თავს შევიკავებდი რაიმე სახის შეფასებისაგან).

მეორე მიზეზი არის იმ სამეწარმეო წრეების არაჯანსაღი გააქტიურება, რომლთაც უპყრიათ პურის ბიზნესის სადავეები, აქვთ მონოპოლიური მდგომარეობა, როგორც ხორბლის იმპორტის, ასევე მისი გადამუშავებისა და პურის წარმოების სფეროში. ისარგებლეს რა მთავრობის შეცდომებით და შექმნილი ვითარებით, მათ ხელი შეუწყვეს მდგომარეობის დაძაბვას (მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით) და აიძულეს მთავრობა და პარლამენტი შეეცვალათ მათ მიერვე მიღებული სავსებით გამართლებული მუხლები საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

მაინც რით დაიწყო ყოველივე ეს?

"ყველაფერი ნიანგიდან დაიწყო" — ასეთი სათაური აქვს იტალიელი მწერლის ჯანი როდარის ერთ იუმორისტულ მოთხრობას. კომერსანტი ნიანგი, რომელიც სარეცხი ფხვნილის რეკლამას ეწევა, მიადგება სახლში ინდაურს... აი, აქედან იწყება ყველაფერი ამ მოთხრობაში და აირევა კიდეც მონასტერი...

ასეთივე უმნიშვნელო მოვლენისაგან დაიწყო ჩვენთან "პურის საკითხი" ამ ცოტა ხნის წინათ. ფინანსთა მინისტრმა ბიუჯეტის შემოსაელებთან დაკავშირებული პრობლემიდან გამოსავლის სახით, სავსებით სწორად მიიჩნია საქართველოში იმპორტირებული ხორბლის დაბეგვრა დამატებული ღირებულების გადასახადით იმ რეჟიმით, რომელიც გათვალისწინებული იყო ყველა სხვა სახის იმპორტირებული საქონლისათვის.

ეს გამართლებული იყო არა მარტო ფინანსური, არამედ სხვა, მათ შორის ხორბლის ადგილობრივად წარმოების სტიმულირების თვალსაზრისითაც. მანამდე პარლამენტშიც იყო მცდელობა საგადასახადო კოდექსის მიღებისას დაბეგრილიყო ყველა იმპორტირებული საქონელი ერთიანი წესით, მაგრამ "შეღავათების" მომხრე ლობისტთა წინააღმდეგობა ვერ იქნა დაძლეული ვერც მთავრობაში და ვერც პარლამენტში (რის გამოც სერიოზული უკმაყოფილება გამოხატა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და შეეცადა დაერწმუნებინა მთავრობა, რათა შეცვლილიყო ქვეყნის ეკონომიკისათვის საზიანო მუხლები საგადასახადო კოდექსში).

პრეზიდენტმა ფინანსთა მინისტრის ინიციატივას, მთავრობის საგანგებო სხდომაზე, მხარი არ დაუჭირა. თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მან რამდენჯერმე გაიმეორა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ შორის ტრადიციულ რადიოინტერვიუში. პრეზიდენტის აზრით, არ მოხდებოდა იმპორტირებული ხორბლის დაბეგვრა მანამ, სანამ არ გამოიძებნებოდა ბიუჯეტში საკომპენსაციო სახსრები პურის ფასების შესაძლო მომატებასთან დაკავშირებით.

"მშრომელთა ინტერესების დაცვის" პროპაგანდისტულ კამპანიას სხვებმაც აუბეს მხარი და ერთხმად გაიძახოდნენ, რომ არ დაუშვებდნენ პურზე ფასების მომატებას (ანუ შემოტანილი ხორბლის დაბეგვრას). ასეთი იაფფასიანი, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ გაუხუნარი "პატრიოტული" ლოზუნგები, გათვლილი მოქალაქეთა გულის მოსაგებად, სექტემბრის წინა დღეებშიც გაისმოდა. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: ყველას გამორჩა მხედველობიდან ის გარემოება, რომ 1 სექტემბრიდან ძალაში შედიოდა საგადასახადო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა დღგ-ით დაბეგვრის ახალ წესებს.

ერთი შეხედვით, თითქოს, ეს არც უნდა ყოფილიყო რაიმე უსიამოვნების შემცველი, ვინაიდან ხორბლის იმპორტი იბეგრებოდა ე.წ. "ნულოვანი" განაკვეთით (ანუ არ იბეგრებოდა საერთოდ), და არა 20%-ის ოდენობით, როგორც ყველა სხვა საქონელი. მაგრამ გამორჩათ ერთი გარემოება – მიუხედავად იმისა, რომ ხორბლის იმპორტი გათავისუფლებული იყო დაბეგვრისაგან, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ხორბლის გადამუშავების შემდეგ მიღებულ

პროდუქტს (ფქვილს, გამომცხვარ პურს) გაათავისუფლებდნენ ამ გადასახადისაგან. ეტყობა, ამის შესახებ არ მოახსენეს პრეზიდენტს მრჩეველებმა და მთავრობის წევრებმა, რითაც ნაადრევად გაკეთებული განცხადებებისა და დაპირებების სწრაფად აღსრულება გახდა აუცილებელი.

იყო თუ არა მართლაც მოსალოდნელი პურზე ფასების გაზრდა?

ხორბლის დაბეგვრა ჩვეულებრივი რეჟიმით გამოიწვევდა პურის ბიზნესში დასაქმებული მონოპოლისტური სტრუქტურების შემოსავლების გადანაწილებას ბიუჯეტის (ანუ ყველა მოქალაქის) სასარგებლოდ. რომ არა ხელისუფლებისა და დაინტერესებული წრეების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი, მიუხედავად პურპროდუქტების სისტემის მახინჯი ფორმით პრივატიზებისა, პურზე ფასები არ გაიზრდებოდა ან მოხდებოდა მისი ზრდა უმნიშვნელო ოდენობით იმ ჯანსაღი კონკურენციის გაჩენის შედეგად, რომელიც ფეხს იკიდებს ამ სფეროში, პირველ რიგში, მცირე და საშუალო მეწარმეთა და დამოუკიდებელ იმპორტიორთა სახით.

სამწუხაროდ, გარკვეულმა ძალებმა მშვენივრად ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, "გამოიჭირეს რა სიტყვაში" პრეზიდენტი და სულ სხვა მიზნებისათვის გამოიყენეს მისი სიტყვები, რომლებიც სულ არ იყო ნათქვამი აღნიშნულ კონტექსტში. მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფოდ შემოეტანა კანონპროექტი პარლამენტში პრეზიდენტის ავტორიტეტის გადასარჩენად და თითქოსდა ფასების მოსალოდნელი გადიდების გამო, მოსახლეობის გულისწყრომის თავიდან ასაცილებლად, პარლამენტმაც სასწრაფოდ შეცვალა ორიოდე თვის წინათ მის მიერვე მიღებული კანონი.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არ ისმის პრეზიდენტის მრჩეველების, მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წევრების "მართალი სიტყვა"?

ფინანსთა მინისტრი სულ ახალი დანიშნულია და მას არა აქვს ინტრიგებში და კულუარულ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება. სწორედ ამიტომ აიძულეს ის, გამოსულიყო პარლამენტში მისთვის ამ მეტად არასასიამოვნო კანონპროექტით.

რაც შეეხება მრჩეველებისა და სხვა მინისტრების მოქმედებას, ეს მე არ გამკვირვებია. ეკონომიკის მინისტრმა ფინანსთა მინისტრის ინიციატივის შესახებ დაბეგვრის ერთიანი რეჟიმის შემოღების თაობაზე ახლახან განაცხადა, რომ ეს არის სავსებით სწორი, ისევე როგორც სწორია პრეზიდენტიც, რომელსაც ეს არ უნდა (აი, დიპლომატიის "ბრწყინვალე" მაგალითი). პრეზიდენტის მრჩეველსა და მინისტრს უყვართ კამათი, როდესაც იხილავენ "საკითხს" თუ ვინაა პირველი (ნამდვილი) რეფორმატორი საქართველოში. ხოლო როდესაც

საჭირო ხდება "უფროსისათვის" სიმართლის თქმა და გაბედულება, მაშინ რატომღაც მოკრძალებული პოზის მიღება ურჩევნიათ.

მიმაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით შეფერხდა საგადასახადო სისტემის სრულყოფის პროცესი. მაშინ, როდესაც გაჭირდა იმპორტის "ნულოვანი დაბეგვრის" მექანიზმის ამოქმედება, კარგა ხანს ვერავინ გაბედავს საუბარს იმ მავნე შელავათების გაუქმების თაობაზე, რომელიც ასე ბლომადაა საგადასახადო კოდექსში. ერთადერთი გამოსავალი ისევ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პრინციპული პოზიცია თუ იქნება. ისინი, ალბათ, შეეცდებიან დახმარების შეწყვეტის მუქარით კიდევ ერთხელ გვაიძულონ იმის გაკეთება, რაც ჩვენსავე ინტერესებს პასუხობს და, რაც ქვეყნისა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობის საფუძვლის შექმნას ემსახურება.

პარლამენტის მიერ თავისივე გადაწყვეტილების სასწრაფოდ შეცვლა მის ავტორიტეტს რომ არ აამაღლებს, ესეც ფაქტია. თუკი გავითვალისწინებთ პარლამენტის დამოკიდებულებას მთავრობისადმი, შეუძლებელია, რომ მთავრობამ პარლამენტს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა პრეზიდენტის პოზიცია. ფაქტობრივად, მთავრობა და სხვა ძალებიც, პრეზიდენტის ზურგს ამოფარებულნი აღწევენ თავიანთ მიზანს, დახვეწილი და ნაცადი პოლიტიკური ინტრიგების, მათ შორის პრეზიდენტის სუსტი მხარეების გამოყენების წყალობით. ეს კი არავის მატებს ავტორიტეტს.

სექტემბერი. 1997 წ.

საქართველო ვალების ეახეში
(ვალების პალიტრა)

საქართველოს დაუგროვდა უზარმაზარი საგარეო ვალი. 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მისი ოდენობა 1,5 მილიარდი დოლარია. აქედან დსთ -ს ქვეყნებზე (თურქმენეთი, რუსეთი, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, უკრაინა) მოდის 638,3 მილიონი დოლარის საგალო ვალდებულება. ძირითადი მევალეები არიან: თურქმენეთი (393,6 მილიონი დოლარი) და რუსეთი (179,3 მილიონი დოლარი)

საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე საქართველოს აქვს 661,4 მილიონი დოლარის დავალიანება, აქედან მსოფლიო ბანკზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდზე მოდის 476,3 მილიონი დოლარი, ევროკავშირზე და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკზე – 185,1 მილიონი დოლარი.

საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების (ავსტრია, გერმანია, თურქეთი, ირანი, ჩინეთი) მიმართ დავალიანებამ შეადგინა 204,3 მილიონი დოლარი.

1988 წლის ბოლოსათვის საგარეო ვალი თითქმის ორ მილიარდ დოლარს მიაღწევს. რაც შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 32-34 პროცენტს. ეს თითქმის იმდენივეა, რაც ევროგაერთიანების ქვეყნების უმეტესობაში და განვითარებად ქვეყნებში საშუალოდ. თუმცა, ეს მედლის ერთი მხარეა. თუ გავითვალისწინებთ გარემოებას, რომ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი ძალზე დაბალია, ხოლო მისი მკვეთრი ზრდა უახლოეს წლებში არ არის მოსალოდნელი, საგარეო ვალი მეტად შემაშფოთებელ სახეს იღებს. იგი წლიური ექსპორტის 300 პროცენტს შეადგენს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საგარეო ვალის მომსახურების ტვირთი მეტნაკლებად, მართვად დონეზე რომ იყოს, ყოველწლიურად ვალების გასტუმრებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ექსპორტის 25 პროცენტს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ჩვენი ექსპორტის უაღრესად მცირე მოცულობას (289 მილიონი დოლარი გასულ წელს) ორჯერ და უფრო მეტად აღემატება იმპორტის ოდენობა (711 მილიონი დოლარი), რაც, საბოლოო ჯამში, გამოიხატება სავაჭრო ბალანსის მეტად დამაფიქრებელი დეფიციტით, ანუ ქვეყანაში გასულ წელს 421 მილიონი დოლარით მეტი საქონელი იყო შემოტანილი, ვიდრე გატანილი. ასეთი უარყოფითი ტენდენცია მიმდინარე წელსაც გრძელდება და მოსალოდნელია სავაჭრო ბალანსის დეფიციტის კიდევ უფრო გაზრდა. ეს კი იწვევს სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი ოდენობით გადინებას საზღვარგარეთ, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სავალუტო სისტემის სტაბილურობას.

ჯერჯერობით ეს პრობლემა აშკარად არ იგრძნობა, რადგან იგი საერთაშორისო დახმარების მეშვეობით კომპენსირდება. მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველომ გრანტების და სესხების სახით მიიღო 400 მილიონი დოლარი, ხოლო ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების ოდენობამ ერთ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თანდათანობით რთულდება შეღავათიანი სესხების მიღების შესაძლებლობა, ხოლო გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარების მოცულობა მცირდება, საქართველო მალე წააწყდება ამ უზარმაზარი საგარეო ვალის მომსახურების პრობლემას.

მიმდინარე წელს საგარეო ვალების მომსახურებაზე (მხოლოდ პროცენტების დაფარვაზე) დაიხარჯება დაახლოებით 50 მილიონი ლარი. მომავალი 1998 წლის ბიუჯეტის პროექტით საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო ვალების მომსახურების ხარჯები განსაზღვრულია ასევე 50 მილიონი ლარის ოდენობით. ეს თანხა იმდენივეა, რამდენიც გამოყოფილია ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვაზე და მეტია იმაზე, რაც უნდა მოხმარდეს განათლებას. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რა უზარმაზარ, ჩვენთვის ასე აუცილებელ რესურსებს ნთქავს ვალების მხოლოდ მომსახურება. მიუხედავად ამისა, ეს უმნიშვნელო ხარჯებად ჩანს იმასთან შედარებით, რომელიც გვექნება გასასტუმრებელი ახლო მომავალში. ბოლო სამი წლის განმავლობაში მოქმედებდა მევალეებთან მიღწეული შეღავათიანი რეჟიმი, როდესაც ვიხდიდით ვალის მხოლოდ პროცენტს და არა მის ძირითად ნაწილს. ეს, ასე ვთქვათ, შეღავათიანი პერიოდი, მთავრდება და თუ არ მოხდა ვალების რესტრუქტურიზაცია ჩვენთვის ხელსაყრელი პირობებით, მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. სასწრაფოდ თუ არ მოხდა თურქმენეთის ვალის ახალ პირობებში გადავადება, 1998 წლიდან ყოველკვარტალურად ბიუჯეტიდან გასაცემი გვექნება 20 მილიონი დოლარი (80 მილიონი დოლარი წელიწადში), რაც, ფაქტობრივად, დააჩოქებს ქვეყანას. ეს უმძიმეს ტვირთად დააწვება მოსახლეობას, მნიშვნელოვნად შეზღუდავს სოციალური და სხვა სახის პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობას. ამ და სხვა ვალებს სჭირდება არა მარტო გადავადება (რაც პრობლემის დროებითი მოხსნაა), არამედ ისეთი სახის შეთანხმება, რომელიც ქვეყანას რამდენიმე, დაახლოებით 15-20 წლის განმავლობაში მისცემს ფეხზე დადგომის საშუალებას და ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას.

ეს არის სერიოზული პოლიტიკური საკითხი. ვალების დიდი ნაწილი თავს მოგვახვიეს იძულებით, როგორც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანას. მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზვიადებულია (მაგალითად, რუსეთის ვალი), არის ვალი, რომელზეც ვალდებულება არ უნდა ეკისრა მთავრობას ან თუ აიღებდა, ისეთი

ფორმით უნდა ყოფილიყო გამოხატული, რომ არ დაზარალებულიყო ქვეყნის ინტერესები (მაგალითად, სასტუმრო "შეტეხის" ვალდებულების აღება მთავრობის მიერ და ამის შემდეგ ახალი კრედიტორის — ავსტრიის გაჩენა მევალეთა შორის). იყო მიუტევებელი შეცდომები, რომელიც დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო-ეკონომიკურ მოლაპარაკებებში (მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონებისა და ვალების სამართალმემკვიდრეობის შესახებ რუსეთთან ე.წ. "ნულოვან ვარიანტზე" ხელშეკრულების გაფორმება). ზოგი რამ შეიძლება გამოსწორდეს, ზოგიც შეიძლება გადაისინჯოს საერთაშორისო პრაქტიკისა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, უმეტესი ნაწილის ზიდვა კი საკუთარი მხრებით მოგვიწევს, მაგრამ ამასაც ცოდნა უნდა — ტვირთი ისე უნდა გავანაწილოთ "დროსა და სივრცეში", რომ მისი ზიდვა გაგვიადვილდეს,

ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ აუცილებელია რადიკალური რეფორმების დაჩქარება, პირველ რიგში ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ადგილობრივი წარმოების მიერ იმპორტული საქონლის ტოლფასი ნაწარმის გამოშვების მიმართულებით.

რუსეთის ვალი — დამოკლეს მახვილი ქვეყნის თავზე

საქართველოს მიერ რუსეთის წინაშე 179,3 მილიონი დოლარის ოდენობის ვალის აღიარება იყო ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური უსუსურობის, მთავრობის უხეში შეცდომების, ზოგ შემთხვევაში, სრული პროფესიული უცოდინრობის შედეგი. ობიექტურად, საქართველოს არა აქვს რუსეთის ვალი ამ რაოდენობით. თუნდაც იმ მეთოდიკითაც კი, რომელსაც გვკარნახობდა რუსეთი ვალების ოდენობის განსაზღვრისას, როდესაც არ ითვალისწინებდა ჩვენს სავსებით სამართლიან პრეტენზიებს, საქართველოს დავალიანება მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ზემოთ აღნიშნული თანხა.

პირადად არაერთხელ ვხელმძღვანელობდი საქართველოს დელეგაციას რუსეთთან მოლაპარაკებებში 1992-1993 წლებში, მათ შორის ვალებთან დაკავშირებით. რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ: მთავრობის ვიცე-პრემიერები, მინისტრები, ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები. იგრძნობოდა უზარმაზარი პოლიტიკური ზეწოლა. ისინი ყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ ანგარიშობდნენ და არ სურდათ ჩვენი მოთხოვნები გაეთვალისწინებინათ. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ მოგვიწერია ხელი მათთვის ხელსაყრელი და ჩვენთვის საზიანო არც ერთი ხელშეკრულებისათვის, მათ შორის კაბალური, გამოგონილი ვალების შესახებ. რუსეთის მოთხოვნა იყო, რომ ჯერ

მოგვეწერა ხელი მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათის დოკუმენტებზე - საგალუტო, საფინანსო, საბაჟო და სხვა, მათ შორის ვალების საკითხებზე, რის შემდეგაც გეპირდებოდნენ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას (კუთვნილი ნაღდი ფულადი ნიშნების გადმოცემის ჩათვლით). ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგაც, არავითარი დახმარება საქართველოს არ გაეწეოდა. ამიტომ უმჯობესი იყო, თავი შეგვეკავებინა რაიმე სახის მავალდებულებელი ხელშეკრულებების გაფორმებისაგან. ვიცოდით, რომ არ შეიძლებოდა ცალმხრივ დათმობებზე წასვლა ილუზორული დახმარებების სანაცვლოდ. პოლიტიკურ დივიდენდს ამ დათმობებიდან რომ ვერ მივიღებდით, დღესავით ნათელი იყო. ასეთი მიდგომის სისწორე შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურეს.

ერთადერთი ეკონომიკური მოტივი ძველი ვალების აღიარებისა, შეიძლება ყოფილიყო რუსეთის მიერ მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა. როგორც ჩანს, ამ ანკესზე წამოეგო ჩვენი ხელისუფლება და 1995 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერა ხელშეკრულებათა პაკეტს. ამის სანაცვლოდ ჩვენ ორჯერ – 1995 წლის ბოლოს და 1996 წელს მივიღეთ 20-20 მილიარდი მანეთის ღირებულების საწვავი, რომლის საერთო ღირებულება დაახლოებით 10 მილიონი დოლარი იყო და რომელიც ბუნებრივია, დაგვეწერა როგორც საგარეო ვალი და გაფორმდა რუსეთიდან მიღებული პროცენტიანი კრედიტის სახით. ეს იყო და ეს. სანაცვლოდ შეგვრჩა უმძიმესი ფორმის, განსაკუთრებული პოლიტიკური საფრთხის შემცველი უზარმაზარი საგარეო ვალი, რომელიც ბევრჯერ შეგვახსენებს თავს მომავალში. ასევე სერიოზული შეცდომა იქნა დაშვებული ამ ვალების რესტრუქტურიზაციისას. სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 10 წლით, რომლის განმავლობაში, 2007 წლისათვის საქართველოს მიერ რუსეთისათვის დაბრუნებული უნდა იყოს არა 179,3 მილიონი დოლარი, არამედ მას უნდა დაემატოს ყოველწლიური 4 პროცენტიანი ჯარიმა, ანუ 71,7 მილიონი დოლარი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. ყოველივე ამის შემდეგ, რუსეთისათვის გადახდილი თანხის რაოდენობა მიაღწევს 251 მილიონ დოლარს. ეს არის წარმოუდგენელი შეცდომა, რომელიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ხელისუფლება ზრუნავს მხოლოდ ძალაუფლებაზე, ფიქრობს მხოლოდ დღევანდელ დღეზე, სურს არსებული პრობლემები დააკისროს ქვეყნის ხვალინდელ მმართველობას, მთლიანად მომავალ თაობას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სესხების რესტრუქტურიზაციისას ეს მეთოდი გავრცელდება სხვა ვალდებულებებზეც, საქართველო, მომავალი 5-10 წლის განმავლობაში ვალების გამოუვალ მახეში აღმოჩნდება. ამ პერიოდში მხოლოდ თურქმენეთის ვალზე ყოველწლიური პროცენტის დარიცხვა ამ ვალს გაზრდის 157 მილიონი

დოლარით (ათწლიანი რესტრუქტურიზაციის პირობით), რის შემდეგაც თურქმენეთისათვის დასაბრუნებული თანხის ოდენობა 393 მილიონი დოლარის ნაცვლად, 551 მილიონი დოლარი იქნება. თუ ძალაში დარჩება დღევანდელი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მომავალი წლიდან სესხებისა და პროცენტების დაფარვის დაწყებას და 2002 წლამდე დამთავრებას (რაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება), მაშინ ძირითადი ვალის გარდა მოგვიწევს დამატებით 79 მილიონი დოლარის გადახდა.

აქ არაფერს ვამბობთ სხვა სესხებზეც, რომელთა რესტრუქტურიზაციის სქემა ანალოგიურია, აგრეთვე იმ ვალდებულებებზე, რომელთა დაფარვის აუცილებლობა ან მალე დადგინდება ან მოგვიანებით მოგვიწევს და რომელიც არანაკლებ პრობლემებს შეგვიქმნის როგორც ეკონომიკის, ასევე საგარეო ურთიერთობების სფეროშიც.

ასეთი ხელშეკრულების გასამართლებლად არ გამოდგება ის არგუმენტი, რომ საქართველოსათვის შეღავათიანი კრედიტების გამოყოფის წინაპირობად, სავალუტო ფონდი აყენებდა ჩვენი კრედიტორი ქვეყნების თანხმობას საქართველოს დავალიანების რესტრუქტურირების თაობაზე. ასეთი მოთხოვნა სულაც არ ნიშნავს, რომ ეს საჯარიმო პროცენტების დაკისრების ფორმით განხორციელებულიყო. გარდა ამისა, საჭირო იყო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან მუშაობის დროული დაწყება, წინმსწრები რეფორმების გატარება, სინამდვილეში კი ხდებოდა პირიქით — თვით ისინი გვაიძულებდნენ, გადაგვედგა ელემენტარული ნაბიჯები (პურზე ფასების გათავისუფლება, მიწის შესახებ კანონის მიღება, რეალური ბიუჯეტის შედგენა და ა.შ.). ამისთვის ფულსაც გვპირდებოდნენ (როგორც ბავშვს "პრიანიკს"), თუმცა არც მათრახს ივიწყებდნენ (დაფინანსების შეწყვეტის ხშირი მუქარა). მათი ძალისხმევა უფრო მეტად ჩვენზე ზეწოლაში იხარჯებოდა, ვიდრე რეალური ვითარების სიღრმისეულ კვლევაში. რომ არა ჩვენი უმოქმედობა და მუდმივი ჩამორჩენა დროში, მათ მიერ შეღავათიანი სესხების გამოყოფის პირობა შეიძლება სულ სხვა ყოფილიყო.

დავუბრუნდეთ კვლავ რუსეთის ვალს. ვალის უდიდესი ნაწილი წარმოიქმნა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებში გაჩენილი უარყოფითი ნაშთის შედეგად. რუსეთის მხარის მტკიცებით, საქართველომ რუსეთიდან შემოიტანა 135 მილიონი დოლარით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე რუსეთმა გაიტანა საქართველოდან. ჩვეულებრივ, სავაჭრო რეჟიმში ასეთი სახის დეფიციტი არ გამოიხატება საგარეო ვალში, მაგრამ ამ შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა სპეციფიკური სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ფარგლებში ხორციელდებოდა, რის გამოც უარყოფითმა სავაჭრო სალდომ საგარეო ვალის სახე მიიღო. გარდა ამისა, საქართველოს ვალად

დაეწერა ნაღდი ფულის ის მასა (როგორც საბჭოური, ასევე რუსული მანეთები), რომელსაც სესხად კი არ ეღებულობდით, არამედ როგორც ერთიან სამანეთო სივრცეში მყოფი ქვეყანა, რომელზეც ვრცელდებოდა ნაღდი ფულის ემისიის ყველასათვის საერთო რეჟიმი. ჩვენ, თავის დროზე, კატეგორიულად არ დავეთანხმეთ ამ სახის ვალის სტატისტიკური აღრიცხვის წესს, ასევე ამგვარ მეთოდოლოგიურ მიდგომასაც, რის შემდეგაც მოიხსნა ვალის ნაწილი დღის წესრიგიდან. მოგვიანებით, როგორც ვხედავთ, კვლავ "აგვიდეს" ეს თანხები. ამაზე პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც აღიარა ეს აბსურდული შინაარის ვალი. მაშინდელი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უნდა განმარტონ, რა არგუმენტების საფუძველზე იქნა ვალები აღებული და ცალ-ცალკე პოზიციების მიხედვით უნდა იქნას დასაბუთებული რუსეთის წინაშე ჩვენი ვალების მართებულობა.

საგარეო ვალის წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი. მისი დაკრედიტება ხორციელდებოდა ორი ქვეყნის ეროვნული ბანკების მეშვეობით, ვინაიდან მაშინ საქართველოსა და რუსეთის კომერციულ ბანკებს არ ჰქონდათ პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობები. ანგარიშსწორების სქემა შემდეგი იყო: რუსეთის ცენტრალური ბანკი გამოუყოფდა საქართველოს ეროვნულ ბანკს განსაზღვრული რაოდენობის თანხას (როგორც წესი, 20 მილიარდ რუსულ მანეთს) და გაუხსნიდა საკორესპონდენტო ანგარიშს. საქართველოს ეროვნული ბანკიც ასევე უხსნიდა რუსეთის ცენტრალურ ბანკს ანგარიშს იმავე ოდენობის თანხაზე. ამას "ტექნიკურ კრედიტს" უწოდებდნენ. შემდეგ იწყებოდა შემხვედრი გადარიცხვები საქართველოდან რუსეთში და პირიქით, ძირითადად, საქონლის შესაძენად. წლის ბოლოს დაითვლებოდა, თუ ვინ რამდენი თანხა გადარიცხა (ანუ მიიღო შესაბამისი ქვეყნის ვალუტა შიდა ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შესაძენად). შემდეგ ხდებოდა უარყოფითი სალდოს გაანგარიშება. თუ, მაგალითად, საქართველოს რუსეთში გადარიცხული ჰქონდა 20 მილიარდი მანეთი, ხოლო რუსეთს საქართველოში – 2 მილიარდი, სხვაობა – 18 მილიარდი იყო უარყოფითი სალდო და იგი ან უნდა დაფარულიყო მყარი ვალუტით, ან უნდა გაფორმებულიყო როგორც სახელმწიფო ვალი. ამ სქემით საქართველომ მნიშვნელოვანი ვალები დააგროვა. აქაც თავი იჩინა ე.წ. "დვალიშვილის კრედიტების" მეორე – საგარეო მხარემ. თუკი, ქვეყნის შიგნით გაცემული უზარმაზარი სესხები აჩქარებდა ინფლაციას და ანადგურებდა მაშინდელ ეროვნულ ვალუტას – კუპონს, ქვეყნის გარეთ გადარიცხული თანხები ვალად ედებოდა სახელმწიფოს. აქედან რაღაც ნაწილით მართლაც ხდებოდა რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა

(ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ), მაგრამ ფულადი რესურსების დიდი მასა ილექებოდა თვით რუსეთის საბანკო სისტემაში ან ხვდებოდა უცხოეთის ბანკებში ქართველი და რუსი თაღლითების ანგარიშებზე მყარი ვალუტის სახით.

ანალოგიური სქემის შედეგად იყო წარმოქმნილი საქართველოს მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების წინაშე დაგროვილი ვალების დიდი ნაწილი.

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, ამ კატეგორიის ვალებმა, რომელიც წარმოქმნილი იყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უარყოფითი სალდოს შედეგად, შეადგინა 184,4 მილიონი დოლარი იმ 638,3 მილიონი დოლარიდან, რომელიც გვმართებს "დსთ"-ს ქვეყნებისა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თურქმენეთის ვალი მართლაც არის საქონლის შემოტანით გამოწვეული (ძირითადად გაზის იმპორტი) და მას გამოვთიშავთ "დსთ"-ს ვალებიდან, დარჩენილი 244 მილიონი დოლარის ოდენობის ვალიდან სწორედ ასეთი გადარიცხვებით მიღებული დავალიანებაა.

დღეს, პოლიტიკური მოსაზრებებით მიჩუმათებულია ე.წ. "დვალიშვილის კრედიტების" საქმე, რადგან დავიწყებას მიეცა მისი საშინაო შედეგები. მაგრამ სანამ არსებობს საგარეო ვალები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მიმართ, ყოველთვის გაჩნდება კითხვა: რისთვის იქნა ქვეყნისათვის ეს ტვირთი დაკისრებული?

ე.წ. კრედიტების საქმეს ადრე თუ გვიან, ერთხელ და სამუდამოდ, მაინც უნდა მოეფინოს შუქი, უნდა მოხდეს მისი გამომწვევი მიზეზებისა და მიღებული შედეგების პირუთვნელი შეფასება.

საქართველოს საგარეო ვალების სტატისტიკის ამსახველ მაჩვენებლებში არ ფიგურირებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ცალკეული ქვეყნები (ბალტიის რესპუბლიკები, ტაჯიკეთი და სხვა) სადაც ასევე წარმოებდა ანალოგიური გადარიცხვები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, წმინდა წყლის ფინანსური თაღლითობა იყო. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებთან მოხერხდა საბანკო ანგარიშებზე უარყოფითი სალდოების გაწონასწორება და საკითხიც, როგორც იტყვიან, ჩაიფარცხა. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, 1993 წელს, მთავრობასთან შეუთანხმებლად, ეროვნული ბანკის მიერ ტაჯიკეთში "გადასროლილი" იქნა 15 მილიარდი მანეთი. ეს მაშინ აღმოვაჩინეთ, როდესაც ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე უზარმაზარი უარყოფითი სალდო გაგვიჩნდა. შემდეგ ეს დავალიანება სადღაც გაქრა. ვალებში იგი არ ფიგურირებს, არც რაიმე სახის საქონელი შემოტანილა ქვეყანაში. როგორც ჩანს, ამ ფულმა დიდხანს იტრიალა სხვაგან, "აკეთა" ფული, ხოლო შემდეგ, დვალიშვილის მიერ "ფარატინა ქაღალდად" წოდებული ავიზო, დიდი ხნის მერე უკან დაუბრუნდა საქართველოს ეროვნულ ბანკს. თუ ეს ასე არ

მოხდა, მისი დაბრუნების ისტორია უკვე ბანკის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ეცოდინება... ასეთ ვითარებაში, იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ავიზოს დაბრუნება ჩვენთვის კარგი აღმოჩნდა, რადგან არ დაგვეკისრა სხვა ქვეყნის ვალი, თუმცა არის მეორე მხარეც — ასეთმა ავიზოებმა საბოლოოდ შეიძლება, სერიოზულ სკანდალში გაახვიოს ქვეყანა.

რაც შეეხება ავიზოების "გადაგზავნას" და "დაბრუნებას", ეს რომ უანგაროდ არ ხდება, ამის მტკიცება ხელისუფლების კრიმინალურ ხლართებში გათვითცნობიერებულ მკითხველს ნამდვილად არ სჭირდება.

რაც შეეხება რუსეთში გადარიცხულ თანხებს, მის საბანკო არხებში "გატარებას" უზრუნველყოფდნენ რუსეთის საბანკო სისტემის მაღალი რანგის მოხელეები, ხელისუფლებისა და საქმიანი წრეების გავლენიანი წარმომადგენლები, კრიმინალური ავტორიტეტები. ისინი ბუნებრივია, აზარალებდნენ თავიანთ ქვეყანასაც — რუსეთს, თუმცა, საბოლოო ჯამში რუსეთის ხელისუფლების აგრესიულობისა და საქართველოს მთავრობის უსუსური მორჩილების შედეგად დაზარალებული მაინც ჩვენ გამოვედით — ათმაგად გვაზღვევინეს ყველაფერი, რეალური და გამოგონილი თანხების ანაზღაურება სახელმწიფო ვალის დონეზე დაგვაკისრეს.

საჭიროა ამ საკითხებზე რუსეთთან სპეციალური მოლაპარაკების გამართვა. ბევრი რამ გაურკვეველია როგორც ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძრაობის აღრიცხვის, ასევე ვალდებულებათა ზომის დადგენის მეთოდის მხრივაც.

კატეგორიულად უნდა დაისვას საკითხი რუსეთის ხელისუფლების წინაშე საქართველოსადმი იმ ვალდებულებათა აღიარების შესახებ, რომელიც ეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ბანკში არსებული (გაყინული) საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების განაღდებას. უნდა მოვითხოვოთ საკავშირო სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში ჩვენი კუთვნილი წილი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახის ვალდებულების აღიარება.

ვალების საკითხთან უშუალოდ უნდა იქნას დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზებისადმი დათმობილი ტერიტორიებისა და ინფრასტრუქტურის მომსახურების ხარჯები, აგრეთვე უნდა განისაზღვროს და აღიარებული იქნას რუსეთის სამხედრო ბაზების მიერ ქვეყნისათვის მიყენებული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა სახის ზარალის ოდენობა.

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების საქართველოსათვის დაკისრების აბსურდული წესი. საქართველოს მიერ

ამ უზარმაზარი ხარჯების ადიარება, როგორც დავალიანება რუსეთის წინაშე, არ შეესაბამება არც პოლიტიკურ, მითუმეტეს, არც ეკონომიკურ ლოგიკას. თუ ამჟამად მოქმედი მახინჯი მექანიზმი არ შეიცვალა, ქვეყანას ეს არც თუ იაფ სიამოვნებად დაუჯდება.

საბჭოთა კავშირის ქონებისა და ვალების განაწილების "ნულოვანი ვარიანტი"

კიდევ ერთი სერიოზული შეცდომა, რომელიც დაუშვა საქართველოს მთავრობამ რუსეთთან მოლაპარაკებაში იყო ის, რომ ჩვენ დავთმეთ რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს კუთვნილი წილი ყოფილი საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო აქტივებში, ასევე პასივებში, როგორც მისდამი ვალებში, ასევე მის სხვა ქვეყნებისადმი ვალდებულებებში. რუსეთს უნდოდა თავად ეკისრა საბჭოთა კავშირის დავალიანების გადახდის პასუხისმგებლობა საზღვარგარეთის ქვეყნების წინაშე, სამაგიეროდ მას უნდა მიეღო საბჭოთა კავშირისადმი სხვა ქვეყნების ვალები, აგრეთვე მისი კუთვნილება უნდა გამხდარიყო საზღვარგარეთ არსებული საბჭოთა კავშირის მთელი ქონება (მიწები, საელჩოების და სხვა სახის წარმომადგენლობების შენობა-ნაგებობები, სამეურნეო ინფრასტრუქტურა, წილები და აქციები ერთობლივ საწარმოებში, ბანკებში და ა.შ.)

საბჭოთა კავშირის ქონებასა და ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის აღების ამ მეთოდს უწოდებდნენ "ნულოვან ვარიანტს" იმის გამო, რომ საქართველოს (ისევე, როგორც ყველა სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას) ექნებოდა ნულოვანი ვალდებულება. მას არ ექნებოდა თავის თავზე ასაღები საბჭოთა კავშირის ვალი საზღვარგარეთის ქვეყნებისადმი, თუმცა ასევე არაფერს მიიღებდა კუთვნილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალებიდან და საზღვარგარეთ არსებული ქონებიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასში შემავალ ყველა რესპუბლიკაზე განსაზღვრული პროპორციით განაწილდა საბჭოთა კავშირის ქონებაც და ვალებიც. ჩვენ გვერგო საგარეო აქტივების ერთ პროცენტზე ოდნავ მეტი. ეს იყო დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი, ე.ი. ჩვენთვის უცხოეთის ქვეყნებს უნდა მოეცათ საბჭოთა კავშირისათვის დასაბრუნებელი ვალის ნაწილი. ამავე დროს, ჩვენი გასასტუმრებელი თანხის ოდენობაც, დაახლოებით, ამდენივე იყო. ჩვენ უნდა მიგვეღო ასეთივე პროცენტული შეფარდებით ჩვენი წილი საბჭოთა კავშირის უამრავ ქონებაში საზღვარგარეთ, ასევე სხვა სახის აქტივები ფასიანი ქაღალდებისა თუ ძვირფასი ლითონების სახით.

რუსეთმა აიძულა "დსთ"-ს ყველა ქვეყანა, გადაეცა მისთვის ეს ვალდებულებები. წინააღმდეგი იყო მხოლოდ უკრაინა და საქართველო. პირადად მე, 1993 წელს მქონდა მოლაპარაკება ამ საკითხებზე რუსეთის მთავრობის მაშინდელ ვიცე-პრემიერ შოხინთან. იგი გვთხოვდა, მოგვეწერა ხელი შეთანხმებაზე საბჭოთა კავშირის აქტივებისა და პასივების განაწილების "ნულოვან ვარიანტზე". ჩვენ ამ წინადადებას არც მაშინ და არც შემდგომ არ დავუჭირეთ მხარი. დარწმუნებული ვიყავით, რომ მომავალში საბჭოთა კავშირის ქონებაში ჩვენი წილის დაკანონება მეტად მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, მოგვიანებით, საქართველოს მთავრობამ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას ხელმოწერით წყალში ჩაგვიყარა მთელი ჩვენი ნაჯაფი...

თანამდებობის პასუხისმგებელი პირების ქმედებაში ჩვენთან ხშირად ეძებენ ანგარებას. ეს არც თუ ისე საფუძველს მოკლებულია. ამ შემთხვევაში დათმობების მიზეზი ეს ნამდვილად არ ყოფილა. ეს იყო როგორც მთავრობის (პირველ რიგში, ეკონომიკური ბლოკის ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკის მინისტრის) ასევე ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ახლომხედველობისა და პროფესიული არაკომპეტენტურობის შედეგი.

მაინც რა დავკარგეთ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით?!

საბჭოთა კავშირის ვალი ჰქონდა საზღვარგარეთის ორმოცდაათზე მეტ, ძირითადად, განვითარებად ქვეყანას. ამ ვალის ნაწილის გადმოფორმება გაგვხდიდა მილიარდამდე დოლარის თანხისა და ქონების სამართალმემკვიდრედ. ამ ქვეყნების აბსოლუტური უმეტესობა დღეს გადახდისუუნაროა, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა მაინც ფარავს ნელ-ნელა ამ ვალებს (ინდოეთი, ერაყი და სხვა). არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა: როდესაც ვალები მიეყიდება დაინტერესებულ ქვეყნებს (მყიდველის მოტივი მრავალნაირია), ამ ვალებში იხდიან ღირებულების 10-20 პროცენტიდან 50-60 პროცენტამდე, ზოგჯერ მეტსაც. მიუხედავად იმისა, რომ, ახლო მომავალში, ამ ვალებით საქართველოს მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება გაუჭირდებოდა, იგი შეიძლება გამოყენებულიყო მეორად ბაზარზე ე.წ. "ჩათვლებისათვის".

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დავალიანებას სხვა სახელმწიფოების მიმართ, მისი კრედიტორები, ძირითადად, განვითარებული

კაპიტალისტური ქვეყნები იყვნენ, პირველ რიგში, დიდი შეიდეულის წარმომადგენლები. ვალების გადანაწილებისას ჩვენ სწორედ ამ ქვეყნების წინაშე ვიქნებოდით ვალდებულნი.

თუ რუსეთს არ გადავცემდით ჩვენს ვალდებულებებს, შესაძლებელი იყო მოვლენები შემდეგნაირად განვითარებულიყო:

ა) მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა გადახდისუუნარონი, ჩვენს წინაშე მსოფლიოს უამრავ ქვეყანას (სხვა ვარიანტით – რამდენიმე ქვეყანას) ექნებოდა მნიშვნელოვანი ვალი, რომლის გამოყენება შეიძლებოდა უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ან ვალების ნაწილის დასაფარავად (მაგალითად, თუ, ვთქვათ, უზბეკეთს ექნებოდა ინდოეთის ვალი, ხოლო ინდოეთს საქართველოს ვალი, მაშინ ჩვენ ჩამოვაწერდით ვალს ამ უკანასკნელს უზბეკეთის სასარგებლოდ. თავის მხრივ, უზბეკეთი ჩამოგვაწერდა დავალიანებას. ეს არის ე.წ. "ჩათვლა"). როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლებოდა ამ ვალების რეალიზება დაბალ ფასებში ან მისი გადაფორმება დაინტერესებული ქვეყნებისა და ფირმებისათვის.

ბ) ჩვენ გვექნებოდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ვალი, რომელიც, უარეს შემთხვევაში, გადაგვივადდებოდა 30-40 წლით, უკეთეს შემთხვევაში კი, ჩამოგვაწერდნენ რამდენიმე წელიწადში, როგორც სპეციფიკურ კი, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ არაორდინალურ ვალდებულებას (მითუმეტეს, როდესაც ქვეყანას უახლოეს 10-20 წელიწადში ვალების გადახდის შესაძლებლობა არა გააჩნია).

გ) ყველაზე მთავარი – ჩვენ დაგვრჩებოდა რეალური მატერიალური და ფინანსური ფასულობები საბჭოთა კავშირის საგარეო აქტივების სახით, რომელიც დღეს რუსეთს ეკუთვნის (საზღვარგარეთ განლაგებული ბანკები, საწარმოები, ძვირფასი ლითონები, მიწები, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ინფრასტრუქტურის ობიექტები, წილები, აქციები და ა.შ.).

მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, შეემცირებინა მათი ღირებულება სტატისტიკურ ანგარიშებში, დღეს მისი დამალვა შეუძლებელია. ჩვენ მივიღებდით საკუთრების უფლებას ძალზე სოლიდური ღირებულების ქონებაზე. შემდგომში შეგვეძლო ამ ქონების სანაცვლოდ მოგვეთხოვა შესაბამისი თანხის გადმოცემა ან რომელიმე, ცალკე აღებული ქონების დათმობა, ან, რაც ყველაზე მარტივი იყო, დაგვებრუნებინა მოგვიანებით ეს ქონება რუსეთისათვის ახლანდელი ვალების ჩამოწერის სანაცვლოდ. ეს ქონება იყო ძალზე სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტი რუსეთთან ურთიერთობაში.

განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა ჩვენი მიდგომის სისწორე. რუსეთი ერთი თვის წინ მიიღეს პარიზის კლუბში (აერთიანებს კრედიტორ ქვეყნებს). ასევე მჭიდრო კავშირები დაამყარა მან

ლონდონის კლუბთან (აერთიანებს კრედიტორ ბანკებს). ამის გამო მოხდა რუსეთის (მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის) ვალების რესტრუქტურიზაცია და მას გადაუვადდა ვალების დაფარვა, თუ არ ვცდები, 30 წლით, მით უფრო საქართველოსთვის არ შეიქმნებოდა ამ ვალების გადავადების პრობლემა.

რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს? გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს პარლამენტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთთან ხელმოწერილი კაბალური ხელშეკრულებების, პირველ რიგში, ვალების აღიარების, მისი რესტრუქტურიზაციისა და "ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება. ამაში ხელს გვიწყობს თვით რუსეთის სათათბიროც, რომელიც ჯიუტად არ ახდენს საქართველოსთან დადებული არც ერთი ხელშეკრულების რატიფიცირებას, მათ შორის ვალების შესახებ.

რუსეთის ვალების შემცირებისთვის შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას ჩვენი კუთვნილი შავი ზღვის ფლოტის ნაწილიც. რუსეთი, უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, გადმოგვცემს 3-4 გემს. ჩვენი მოთხოვნა უნდა იყოს მაქსიმალური და პრინციპული (ყველა გემზე, რომელიც იდგა ფოთის სამხედრო ნავსადგურში და ჩუმად გააპარეს პორტიდან). გადმოუცემელი გემების ღირებულება უნდა ჩავიწეროთ ჩვენს ბალანსზე. სხვაობა გადმოცემული და გადმოუცემელი გემების ღირებულებას შორის იქნება დადებითი სალდო, რომელიც შეიძლება, ჩამოვაწეროთ რუსეთს ჩვენი საგარეო ვალების სანაცვლოდ. ამ გემების საერთო ღირებულება აღემატება იმ ვალს, რომელიც რუსეთის მიმართ გვაქვს.

საქართველოს ხელისუფლებამ ერთხელ მაინც უნდა მიმართოს ზეწოლის პოლიტიკას და დაძლიოს ტრადიციული მფრთხალობა. დათმობების პოლიტიკამ არც ეკონომიკას არგო, არც სხვა სფეროებს.

დსთ-სა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ვალები

გარდა რუსეთისა და თურქმენეთისა, საქართველოს აქვს დსთ-ს სხვა ქვეყნების ვალები, რომელიც უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსის შედეგად დაგვეკისრა. ყაზახეთის გვმართებს 27,8 მილიონი დოლარი, სომხეთის — 19,6, აზერბაიჯანის — 16,2, უზბეკეთის — 1, უკრაინის — 0,9 მილიონი დოლარი.

რაც შეეხება საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ვალებს, მათი ოდენობა და წარმოქმნის ფორმა მეტად განსხვავებულია. ყველაზე მსხვილი კრედიტორი მათ შორის არის ავსტრია (უფრო ზუსტად, ამ ქვეყნის ერთ-ერთი ბანკი), რომლის ვალი 108 მილიონი დოლარია

(სხვა მონაცემებით — 88,4 მილიონი დოლარი). გერმანიის გემართებს 65,8 მილიონი დოლარი, თურქეთის — 41,5 (პროცენტითურთ დაახლოებით — 47 მილიონი), ირანის — 12,8, მილიონი, ჩინეთის — 3,5 მილიონი დოლარი.

საქართველოს მთავრობამ, კრედიტორთა უმეტესობასთან, გააფორმა ხელშეკრულება ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რომელიც დაფარვის გადავადებას ითვალისწინებს. ზოგიერთ შემთხვევაში, პირველი ხუთი წელიწადი შეღავათიანია, მომდევნო წლებში კი უნდა იქნას გადახდილი დამატებითი თანხები წლიური 4 პროცენტის ოდენობით. არ არის დასრულებული თურქეთის, ჩინეთისა და ევროკავშირის დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის პროცესი.

ყოველად დაუშვებელია, რომ რესტრუქტურიზაციის პირობებში, რუსეთის, თურქმენეთის და სხვა ვალების ანალოგიურად, ჩაიწეროს საჯარიმო პროცენტების გადახდა. ჩვენ მდგომარეობაში ეს დამატებითი ტვირთია.

ამ ვალებიდან ყველაზე უცნაურია ავსტრიის ვალი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ათი წელიწადია აღებული აქვს ქართულ მხარეს სახელმწიფო ვალის სახით, მიმდინარე წლამდე არსად ჩანდა.

საქართველოს მთავრობას ავსტრიის სახელმწიფოსაგან ან კომერციული ბანკისაგან სესხი არ აუღია. ავსტრიის კომერციულ ბანკ "კრედიტანშტალტიდან" სესხი აიღო კომერციულმა სტრუქტურამ, ერთობლივმა ფირმა "მეტეხმა" სასტუმროების ასაშენებლად. ფირმას ორი დამფუძნებელი ჰყავდა: — თბილისის ქალაქის საბჭო (ამჟამად თბილისის მერია) და ავსტრიული ფირმა "ასვ", რომელსაც განაგებს საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, სკანდალურად ცნობილი პიროვნება, ავსტრიის მოქალაქე ლეოპოლდ ბაუსბეკი. "მეტეხის" მიერ სასტუმროების ასაშენებლად (თბილისსა და გუდაურში) აღებული თანხა უნდა დაეფარათ თვით ამ იურიდიულ პირებს თავიანთი შემოსავლებიდან. სესხის გარანტი იყო თბილისის მერია, კონტრაგარანტი — საქართველოს მთავრობა.

"მეტეხის" თემა მრავალი საეჭვო (მათ შორის კრიმინალური) ხლართებით გადაბმული პრობლემაა, რასაც პირადად შევეჯახე მთავრობაში მუშაობის პერიოდში. ეს საწარმო უზარმაზარ ტვირთად დააწვა ქვეყანას. ერთ პერიოდში მალავდა საბიუჯეტო შემოსავლებს (ფინანსთა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელის ხელშეწყობით), რომლის ნაწილი, მოგვიანებით, იძულებით ამოვიღეთ ბიუჯეტში. უცხოელ პარტნიორებს არ ეკისრებოდათ ფინანსური ვალდებულება, თუმცა კი ფლობდნენ სოლიდურ წილს (თუ არ ვცდები, ამჟამად თბილისის მერიას ეკუთვნის სასტუმრო "მეტეხის" 84 პროცენტი, 16 პროცენტი კი ბაუსბეკს).

გარდა ამისა, მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: ქალაქის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საქართველოს მხარის კუთვნილი წილი, რომლის ღირებულება ფაქტობრივად 10 მილიონ დოლარს აღემატებოდა, უსასყიდლოდ დაუთმო ავსტრიელ პარტნიორებს. წილის უკანონო გასხვისება (გაჩუქება) მოხდა სიმბოლურ ფასად, 16 ათას დოლარად. ამ დარღვევის აღმოჩენის შემდეგ, ჩვენი ძალისხმევით ეს წილი ჩამოვართვით უცხოელ მონაწილეს და დავუბრუნეთ საქართველოს. თუმცა, ბატონ ბაუსბეკს უამრავი მფარველი ჰყავდა ხელისუფლებაში და ისიც, გამუდმებით შანტაჟს აწყობდა ჩვენს წინააღმდეგ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შესამოწმებელია სასტუმრო "მეტეხის" წილების საკითხი. დასაზუსტებელია, მოგვიანებით, სამთავრობო ცვლილებების შემდეგ ხომ არ მოხდა კვლავ ძველი, არაკანონიერი წილობრივი მდგომარეობის აღდგენა? საქართველოში იმდენად ზღვარგადასულია სახელმწიფო მოხელეთა სიხარბე, რომ ეს გამორიცხული არ არის, ვინაიდან ზემოქმედების წნეხი ძალზე ძლიერია (როგორც მაღალი თანამდებობის პირების დაინტერესების, ასევე ფინანსური და კრიმინალური თვალსაზრისით).

გასარკვევია, რატომ იკისრა საქართველოს მთავრობამ მთელი ვალები? შეიძლება იმის გამო, რომ დაეფარა "მეტეხის" ვალი და თავიდან აეცილებინა მისთვის საჯარიმო სანქციები. ასეთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის აქციების მეპატრონე უნდა გამხდარიყო საქართველოს მთავრობა (ან სხვა ფორმით უნდა შეცელილიყო წილობრივი პრიორიტეტი). ეს კი ასე არ მომხდარა. დღეისათვის "მეტეხი" არ არის საქართველოს მთავრობის (ქონების მართვის სამინისტროს) ბალანსზე. გამოდის, რომ ვალის გადახდაზე პასუხისმგებელნი ვართ ჩვენ, წილი და, შესაბამისად, მომავალი დივიდენდები დარჩება სხვას ისე, რომ ფინანსური პასუხისმგებლობა არ ექნება დაკისრებული.

ავსტრიის ვალის საკითხი მოითხოვს ობიექტურად გარკვევას. მითუმეტეს, ახლახან "მეტეხის" მართვის უფლება გადაეცა სხვა უცხოურ ფირმას. ამიტომ დასადგენია, თუ რა ფორმით მოხდება "მეტეხის" მიერ ვალის დაფარვა და როგორ გააკონტროლებს ამ პროცესებს საქართველო. დღემდე, სასტუმროს შემოსავლების უდიდესი ნაწილი თავს იყრიდა ავსტრიის კრედიტორი ბანკის სპეცანგარიშზე, ამის გამო ძალზე გაძნელებული იყო მისი მოძრაობის კონტროლი.

რაც შეეხება თურქეთის ვალს, იგი, როგორც საპროცენტო განაკვეთის ოდენობით, ასევე დაფარვის პირობით, შეიძლება არც თუ ისე მძიმე კრედიტად ჩათვლილიყო, სწორად რომ მომხდარიყო მისი ათვისება. პრობლემა ის არის, რომ ეს სესხი არამიზნობრივად გამოიყენეს. იგი გაცემული იქნა პროტექციების საფუძველზე, მაღალი თანამდებობის პირების მფარველობაში არსებულ კომერციულ სტრუქტურებზე და სახელმწიფო ორგანიზაციებზე, ისე რომ არ იქნა

მოთხოვნილი არც გირაო, არც სხვა სახის ქონებრივი თუ ფინანსური უზრუნველყოფა. ამ თანხის დიდი ნაწილი განიავდა. ალბათ, მოსალოდნელია, რომ უახლესი 3-5 წლის განმავლობაში დაიფაროს დაახლოებით 10 მილიონი დოლარი. დანარჩენი 31,5 მილიონი დოლარის (პლუს ყოველწლიური პროცენტები) დაბრუნების შანსი თითქმის არ არსებობს. მისი დაფარვა მთლიანად საქართველოს მთავრობას (ანუ თითოეულ მოქალაქეს) მოუწევს.

გერმანიის კრედიტების უმეტესობა ინვესტიციური ხასიათისაა. თუ გავითვალისწინებთ ამ ქვეყანასთან არსებულ განსაკუთრებულ, თბილ პოლიტიკურ ურთიერთობას, სავარაუდოა, რომ მოხდეს მისი შელავათიანი პირობით გადავადება, იმ ფორმით რესტრუქტურიზაცია, რომელიც არ იქნება მძიმე ქვეყნისათვის.

ასევე, არ უნდა იყოს ახლო მომავალში პრობლემის შემქმნელი ირანის, განსაკუთრებით კი ჩინეთის კრედიტი. ეს უკანასკნელი შესაძლოა გრანტადაც კი ჩაგვითვალონ მომავალში.

ირანის ვალი გაზის მოწოდების შედეგად წარმოიშვა. ის გადავადებულია 10 წლით, თუმცა აქაც ფიგურირებს სესხის ჩვენთვის არასასურველი "პროცენტიანი საჯარიმო განაკვეთი". პროცენტების გადახდა უნდა დავიწყოთ 15 წლის შემდეგ.

ჩინეთის წინაშე არსებული დავალიანება, რომელიც ამ ქვეყნიდან მინიტრაქტორების შემოტანის შედეგად წარმოიქმნა, თვალსაჩინო ნიმუშია მთავრობის არაკომპეტენტურობისა. სამი წელიწადია, შემოტანილი ტექნიკა იუანგება ლია ცის ქვეშ, რადგან, ჩვენი მოხელეების მიერ დაწესებული მაღალი ფასის გამო, მას მყიდველი არა ჰყავს. ხომ შეიძლება, ასეთ ვითარებაში შელავათიან ფასებში გადაცემოდა იგი გლეხებს. ეს უფრო გონივრული იქნებოდა, ვიდრე ის, რომ, როგორც ერთი კლასიკოსი იტყოდა, ჩავარდნილი "თაგვების მღრღნელი კრიტიკის" ხელში.

საერთაშორისო ორგანიზაციების ვალები

საერთაშორისო ორგანიზაციების 661,4 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანებიდან 476,3 მილიონი მსოფლიო ბანკზე და საერთაშორისო სავალუტო ფონდზე მოდის. დანარჩენი ევროპის კავშირზე – 142,8 მილიონი დოლარი, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და და განვითარების ბანკზე – 42,3 მილიონი დოლარი.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები მნიშვნელოვანი დახმარების გამოხატულებაა. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტიანად (და წესიერად) ვიყენებთ მას. კრედიტების უმეტესობა აღებულია ძალიან შელავათიანი პირობებით – დაფარვის

ვადა არის 35 წლამდე, შეღავათიანი პერიოდი 10 წელიწადია, საპროცენტო განაკვეთი კი თითქმის სიმბოლური – 0,75 პროცენტი წელიწადში.

ამ კრედიტების უდიდესი ნაწილი მიმართულია საფინანსო და სავალუტო სისტემის სტაბილიზაციისაკენ. ამ სახსრებით ხდება ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა და ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის შენარჩუნება.

ევროკავშირიდან მიღებული სესხები მოხმარდა 1992-1993 წლებში საკვები პროდუქტების, მედიკამენტებისა და საწვავის შეძენას. ეს კრედიტი იყო ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებშეღავათიანი როგორც საპროცენტო განაკვეთის, ასევე დაფარვის ვადებისა და გამოყოფილი თანხის დასაქონლების პირობების თვალსაზრისით. საქონელი უნდა შეგვეძინა მხოლოდ ევროპის განსაზღვრულ ქვეყნებში (რაც ირიბად ითვალისწინებდა ამ ქვეყნების დახმარებასაც), ეს კი მნიშვნელოვნად ზრდიდა საქონლის ფასს და ამცირებდა გამოყოფილი თანხების მყიდველობითუნარიანობას. მიუხედავად ამისა, იმ უმძიმეს პერიოდში, ეს იყო თითქმის ერთადერთი საგარეო დახმარება, რამაც თავიდან აგვაცილა მოსალოდნელი შიმშილობა.

სესხის დაფარვის ვადა უკვე დადგა. მიმდინარე წელს საქართველომ უკვე გადაუხადა ევროკავშირს 9 მილიონი დოლარი საპროცენტო დავალიანების დასაფარავად. აუცილებელია ვალის გადავადება, რადგან მისი გასტუმრება ქვეყანას ამჟამად არ შეუძლია.

როგორც ბოლო პერიოდში ევროკავშირიდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, გაჩნდა შესაძლებლობა ამ სესხის სიმძიმის შესარბილებლად, რაც ევროკავშირის საქართველოსადმი პოლიტიკური ინტერესების ზრდით უნდა აიხსნას. უკვე საუბარია იმის თაობაზე, რომ ევროკავშირი გეგმავს საქართველოსათვის 70 მილიონი დოლარის გამოყოფას გრანტის სახით, რომელიც უნდა მოხმარდეს აღებული სესხის ნახევრის დაფარვას. ეს არის სესხის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერა ირიბი ფორმით. თუ იგი დროულად განხორციელდა, ეს სერიოზული დახმარება იქნება ქვეყნისთვის, რითაც დაიზოგება ამ ვალის მომსახურებასა და გადახდასთან დაკავშირებული რესურსები.

საერთოდ, საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციების, სხვა საერთაშორისო სტრუქტურების, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი კრედიტები და გრანტები იყო სასიცოცხლო მნიშვნელობის მხარდაჭერა უმძიმეს ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის. ერთადერთი ქვეყანა, ვინც დახმარების ნაცვლად, პირიქით, ცდილობდა, ესარგებლა ჩვენი დასუსტებით და გვაქცევდა ფინანსურ თუ პოლიტიკურ ხლართებში, რუსეთი იყო. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის მიერ გაწეული დახმარება (თუ უმძიმესი პირობებით გაფორმებულ სესხს დახმარებას ვუწოდებთ)

არ აღემატება ერთი, რომელიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის ღირებულებას.

უმადურობა იქნებოდა, არ აღვნიშნოთ ჩვენი მეორე დიდი მეზობლის – თურქეთის მიერ გარკვეული რაოდენობით ხორბლის უსასყიდლოდ გადმოცემის ფაქტი, აგრეთვე ის 50 მილიონიანი კრედიტი (რომელიც ჩვენივე დაუდევრობით გავანიავეთ), რაც თურქეთის მთავრობამ საქართველოს გამოუყო.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სესხების აღების აუცილებლობისა და მათი შეღავათიანი პირობებისა, სესხების უდიდესი ნაწილი არაინვესტიციური დანიშნულების იყო. მისი მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ხმარდებოდა კაპიტალურ დაბანდებას, უმეტესობა მიმდინარე მოხმარების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა.

სახელმწიფო საშინაო ვალი. სხვა ვალები

საქართველოს მთავრობის საპროგნოზო მონაცემებით, სახელმწიფო საშინაო ვალის მოცულობა 1998 წლის ბოლომდე 500 მილიონ ლარს მიაღწევს. აქედან საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე დავალიანება შეადგენს 438 მილიონ ლარს. ვინაიდან ეს ვალი პროცენტიანია, მომავალი წლის ბიუჯეტში მხოლოდ სესხის მომსახურებისთვის 40 მილიონი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული.

შიდა ვალების საკითხში მრავალი სახის გაუგებრობაა. სერიოზული ხარვეზებია მათი განსაზღვრის საკითხებშიც. იგივე 40 მილიონი ლარი, რომელიც ბიუჯეტმა უნდა გადაუხადოს ეროვნულ ბანკს, სინამდვილეში კვლავ ეროვნული ბანკიდან იქნება აღებული. ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, მომავალ წელსაც, გამოყენებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის რესურსები (იგივე დამატებითი ემისია) 54 მილიონი ლარის ოდენობით. აქედან, როგორც აღვნიშნეთ, 40 მილიონი ლარი ისევ ეროვნულ ბანკს დაუბრუნდება მისივე ვალის პროცენტის დასაფარავად.

ამ თანხების გარდა, მომავალ წელს, გათვალისწინებულია შიდა ვალის დასაფარავად ბიუჯეტიდან დამატებით 15 მილიონი ლარის გამოყოფა.

საქართველოს მთავრობამ ვალად აიღო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების წინაშე დაგროვილი ვალდებულებები. კერძოდ, უნდა გაისტუმროს მოსახლეობის ანაბრების ინდექსაციის თანხები (სულ 500 მილიონი ლარი; მომავალ წელს – 8 მილიონი ლარი), აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკური

საქმიანობის ბანკის თბილისის განყოფილებაში ბლოკირებული ფიზიკური პირების კუთვნილი თანხები (სულ 1,5 მილიონი ლარი; მომავალ წელს – 0,3 მილიონი ლარი).

საქართველოს მთავრობამ ასევე შიდა ვალად აიღო იმ იურიდიული პირების წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებები, რომლებმაც მიაწოდეს თურქმენეთს თავიანთი პროდუქცია ბუნებრივი აირის ღირებულების სანაცვლოდ. საქონლის ღირებულების ნაწილი დღემდე დაუფარავია. ამ პროცესში მრავალი კერძო და სახელმწიფო საწარმო დაზარალდა, მრავალმა კი, მთავრობის გავლენიანი მფარველების ხელშეწყობით, მაქინაციების შედეგად უზარმაზარ სარგებლობას გამოჰკრეს ხელი (საბოლოო ჯამში, ქვეყნის ინტერესების საზიანოდ).

შიდა ვალებში გაჩნდა საერთაშორისო პრაქტიკისთვის ტრადიციული, ჩვენთვის კი ახალი ცნება: სახელმწიფოს მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებები. სახელმწიფო, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით, ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირებისგან იღებს სესხს, სანაცვლოდ კი აძლევს სახაზინო თამასუქებს, ობლიგაციებს და სხვა სახის ფასიან ქაღალდებს. ჩვენთან, მიმდინარე წელს სახაზინო ვალდებულებათა რეალიზაციის გზით მოხდება 8 მილიონი ლარის მოზიდვა ბიუჯეტში. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, მთავრობა ამ გზით აპირებს 32 მილიონი ლარის მიღებას. მიმდინარეობს ექსპერიმენტი. მოზიდულ სახსრებზე მთავრობის მიერ გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი, ჩატარებული აუქციონების მიხედვით, ჯერჯერობით ძალზე მაღალია. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ასეთი ძვირი კრედიტის აღება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, გამართლებული არ იქნება, თუმცა მოსალოდნელია, რომ საპროცენტო განაკვეთის ოდენობა მომავალში დაეცეს.

საქართველოს კერძო სტრუქტურების ვალები

ქვეყნის საგარეო დავალიანება განისაზღვრება არა მარტო სახელმწიფოს საგარეო ვალით (ანუ მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებებით), არამედ კერძო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხებითაც. ეს უკანასკნელი ჩვენთან ჯერჯერობით არც კი აღირიცხება, რომ არაფერი ვთქვათ მისი ოდენობის სამართლებრივ რეგულირებაზე. მრავალ ქვეყანაში არსებობენ სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საზღვარგარეთიდან მოზიდული სახსრების ზღვრულ ოდენობას როგორც სახელმწიფო ფორმით, ასევე კერძო სესხების სახით. უმეტეს ქვეყნებში გამოიყენება კერძო სექტორის მიერ მოზიდული რესურსების

რეგისტრაციის, სტატისტიკური აღრიცხვიანობის პრინციპი.

საქართველოში, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, გამოიყენება დამატებითი სახელმწიფო ვალის აღების წლიური ლიმიტი, რომელიც 1998 წლისთვის განსაზღვრულია 181 მილიონი ლარის ოდენობით (მათ შორის: საგარეო ვალის მოცულობა - 87 მილიონი ლარი, ხოლო საშინაო ვალისა - 94 მილიონი ლარი). ეს ლიმიტი კანონის სახეს ღებულობს ბიუჯეტთან ერთად.

ამასთან, როგორც აღინიშნა, არ რეგისტრირდება საქართველოს კერძო სექტორის მიერ აღებული კრედიტები. ეს აუცილებელია, რათა ქვეყანაში მართვადი იყოს მაკროეკონომიკური პროცესები. თუმცა, მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით (პირველ რიგში, განვითარებადი სახელმწიფოები), სადაც მკაცრი კონტროლია დაწესებული ქვეყანაში უცხოური სესხების მოზიდვაზე კერძო სექტორის მიერ, საქართველოში ჯერჯერობით, ამ ეტაპზე უმჯობესია მარეგისტრირებელი აღრიცხვის მეთოდის დანერგვა.

საქართველოში არასამთავრობო სესხებმა, ბოლო ორ წელიწადში, უკვე იწყო შემოსვლა. უცხოური კრედიტებით მოხდა მაგალითად, თბილისსა და ქუთაისში სატელეფონო სადგურების დამონტაჟება; უცხოური ფირმების მიერ გამოიყოფა საქართველოსთან ერთობლივად შექმნილი საწარმოებისთვის საბრუნავი სახსრები. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, აგრეთვე ევროკავშირმა საქართველოს კომერციულ ბანკებს გამოუყო საშუალოვადიანი სესხები კერძო სექტორის დასაფინანსებლად. მათ მიერ დაფინანსდა სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტი (ზოგიერთ ამ სახის სესხებს გარანტად დაუდგა საქართველოს მთავრობა, რაც არ არის სასურველი).

კერძო სტრუქტურების მიერ მიღებული სესხების გამოყენების ეფექტიანობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტებისა. მათი პასუხისმგებლობა იზრდება მაშინ, როდესაც რისკი მთლიანად მათზეა განაწილებული და პირიქით, მივყევართ რესურსების გაფლანგვამდე, როდესაც სესხის დაბრუნების გარანტად გამოდის მთავრობა ან ეროვნული ბანკი. ასეთი უყაირათობის (თუ კორუმპირებულობის) ნათელი მაგალითია ახლახან გახმაურებული ინციდენტი საქართველოს ეროვნული ბანკის "ხორბლის გარანტიებთან" დაკავშირებით, როდესაც ექვს კერძო ფირმას, უცხოური ბანკების წინაშე ეროვნული ბანკის გარანტია მიეცა. ექვსიეე ფირმამ ვერ შეასრულა ვალდებულება, რის გამოც საზღვარგარეთის ბანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩამოაჭრეს 15 მილიონი დოლარი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო გამოყოფილი ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

კერძო არხებით სახსრების საზღვარგარეთიდან მოზიდვას მეტად

წინდახედული მიდგომა სჭირდება. რომც არ იყოს აღებული საგარანტიო ვალდებულებები საქართველოს მთავრობის მხრიდან, მისი უკონტროლო ზრდა მაინც სერიოზულ საფრთხეს მოასწავებს. მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან (უფრო ხშირად ლათინური ამერიკის ქვეყნები), როდესაც კერძო სექტორის დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტს დასწოლია მხრებზე. ეს ხშირ შემთხვევაში იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან მთავრობა რომ არ გამოსულიყო ვალების გასტუმრების გარანტად, ამ ქვეყნების ეროვნული კომპანიების კრახი გაცილებით დიდ ეკონომიკურ და სოციალურ ზიანს მოუტანდა ქვეყანას.

როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საზღვარგარეთის ბანკებიდან სესხების მოზიდვა, არც თუ იშვიათად, პოლიტიკურ პრობლემებშიც გადაიზრდება. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზღვავება წარმოშობს როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს. ამ პროცესს სჭირდება რეგულირება და ქვეყნის სტრატეგიულ პოლიტიკურ ინტერესებთან შეხამება.

ოქტომბერი. 1997 წ.

მინისტრები მიდიან, ბანკირები რჩებიან?!

— უკანასკნელ ხანს დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტის თაობაზე. კიდევ უფრო საეჭვო გახდა ნოდარ ჯავახიშვილის დამტკიცება პარლამენტში მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრისა და კონტროლის პალატის ინფორმაციები თავმჯდომარის ნოდარ ჯავახიშვილის მიერ გაცემული გარანტიების შედეგად ეროვნული ბანკისათვის უცხოური ბანკების მიერ 15 მილიონი დოლარის ჩამოჭრის შესახებ.

საერთოდ, რა კომენტარს გაუკეთებდით ჯავახიშვილის ირგვლივ ატეხილ ხმაურს? როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას?

როგორც ცნობილია, ნოდარ ჯავახიშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა დემურ დვალიშვილი. მისი კანდიდატურა მე წარვუდგინე ქვეყნის პრეზიდენტს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვიყავი მთავრობის ვიცე-პრემიერი. ყველამ კარგად ვიცით, რა ხდებოდა მაშინ ეროვნულ ბანკში. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, დვალიშვილი იმ პერიოდში ჯერ კიდევ ხელშეუხებელი იყო. გადავწყვიტე, რომ შემეთავაზებინა პრეზიდენტისათვის (მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურისათვის) ჯავახიშვილის კანდიდატურა დვალიშვილის მოადგილის პოსტზე, რათა ცოტათი მაინც მოწესრიგებულიყო ვითარება ეროვნულ ბანკში, ამ სტრუქტურებში ნამუშევარი სპეციალისტის ჩართვით. ორჯერ მქონდა ამის თაობაზე საუბარი ჯავახიშვილთან, რომელიც უკვე წამოსული იყო ყოფილი საკავშირო სახელმწიფო ბანკის საქართველოს ფილიალიდან (შემდგომში საქართველოს ეროვნული ბანკი) და მუშაობდა ბინსოცბანკის ისნის რაიონული განყოფილების უფროსად. რამდენჯერმე მქონდა საუბარი ამ საკითხზე სახელმწიფოს მეთაურთან და იგი თანახმა იყო ასეთი დანიშვნისა. შემდეგ, აფხაზეთში და ქვეყნის სხვა რეგიონებში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, საკადრო საკითხებმა დროებით მეორე პლანზე გადაიწია. სულ ბოლოს ჯავახიშვილის დანიშვნის შესახებ მქონდა საუბარი პრეზიდენტთან მთავრობიდან წამოსვლის დღეს, დაბეჯითებით ვურჩიე დვალიშვილის განთავისუფლება და ჯავახიშვილის დანიშვნა. რამდენიმე თვეში ასეც მოხდა.

ჯავახიშვილთან მხოლოდ ხანმოკლე ურთიერთობა მქონდა. იგი ტოვებდა ნორმალური ბანკირის შთაბეჭდილებას, თუმცა უკლებრივ ყველა, ვინც კი მას ახლოს იცნობდა, მირჩევდა, წინასწარ მქონოდა მხედველობაში, რომ იგი მეტად პატივმოყვარე იყო, ლამის ნარცისიზმით შეპყრობილი, საკუთარ თავზე შეყვარებული პიროვნება, რის გამოც გამუდმებულ კონფლიქტურ ვითარებას ქმნიდა ირგვლივ.

აღნიშნავდნენ, რომ მის უკიდურეს თავდაჯერებულობას შეეძლო ზიანის მოტანა მაღალი თანამდებობის პირობებში. სიმართლე გითხრათ, ამისათვის არც მიმიქცევია მაშინ ყურადღება, რადგან ამბიცია არავის აკლდა იმდროინდელ პოლიტიკურ გარემოში. მე არ მომიწია მასთან მუშაობამ და ვერაფერს ვიტყვი ზემოთქმულის მართებულობა-არამართებულობაზე. თუმცა ასეთი შეხედულებები კელავ საკმაოდაა ფეხმოკიდებული ამჟამადაც... სხვა მხრივ, ვერ ამიხსნია ის ელემენტარული დაუდევრობა, რომელმაც ქვეყანას დააკარგვინა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან სესხად აღებული 15 მილიონი დოლარი. გასცე ეროვნული ბანკის გარანტია ექვს სხვადასხვა კერძო ფირმაზე, ყოველგვარი გირაოსა და სხვა სახის უზრუნველყოფის გარეშე, ექვსივე პროექტი ჩავარდეს და ამით უცხოურმა ბანკებმა ჩამოაჭრან საქართველოს ეროვნულ ბანკს ასეთი უზარმაზარი თანხები, ძალიან ძნელი ასახსნელია.

დვალიშვილის შემდეგ, ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, აშკარად დადებითი ფაქტორი იყო ჩვენს საბანკო ცხოვრებაში და მისი გარკვეული მიღწევების დაუნახაობა არ იქნება სამართლიანი. მაგრამ ობიექტურნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში რეფორმების გაგრძელების მაიძულებელი ძალა იყო და რჩება საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. რომ არა მათი მხარდაჭერა, ზეწოლა და ფინანსური ინიექციების შეწყვეტის შიში, მეეჭვება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმ დაბრკოლების დაძლევა, რომელსაც დღეანდელი ხელისუფლების წამყვანი პირების უდიდესი ნაწილის ეკონომიკური მსოფლმხედველობა და ინტერესი ქმნის.

- კვლავ ჯავახიშვილის შესახებ. აქბობენ, რომ მის წინააღმდეგ მიმართული კაშპანია არის ბრძოლა გავლენის სფეროების ხელში ჩასაგდებად გარკვეული ძალების მიერ და ამიტომაც ეწევიან მის კომპრომეტაციას, რომ ესაა გარიგება, ფარული თამაში პოლიტიკურ ძალებს შორისაც...

- ბუნებრივია, ეს ასეც არის. მაგრამ ესაა სინამდვილის ერთი, თუმცა საკმაოდ წონადი მხარე. ამაში არც არაფერია გასაკვირი. პირიქით, ზნეობისა და კანონიერების ფარგლებში ასეთი ქმედებებიც დასაშვებია. დაინტერესებული ჯგუფები საჯაროს ხდიან, ააშკარავებენ მრავალ პრობლემას, რაც მომავალში შეცდომებისაგან დაზღვევისა და პოლიტიკური კონტროლის მექანიზმის ამოქმედების გარანტიაა. სულაც არ მგონია, ცუდია, რომ ვიღაცა მხარს უჭერს მას, ვიღაც კი - არა. ერთი კი ფაქტია: ზოგიერთ პუბლიკაციაში ცილისწამების ნიშნებია, რაც ანგარიშსწორების ეჭვსაც ბადებს.

რაც შეეხება გარიგებებსა და ფარულ თამაშებს, ამგვარი ქმედებები გვინდა თუ არ გვინდა, მთელ მსოფლიოში პოლიტიკური პროცესის მუდმივი ატრიბუტია. უბრალოდ, ყოველთვის უნდა იყოს

ზღვარი.

როგორია მისი პარლამენტში დამტკიცების შანსი?

- ერთი რამ ცხადია - ქვეყნის პრეზიდენტს რომ უნდოდეს, პრობლემა მოხსნილი იქნებოდა. არადა, გამოცდილი ბანკირის ასეთ თანამდებობაზე დანიშვნა მას კიდევაც უნდა აწყობდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ის პიროვნული თვისებები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი და რომელიც არც თუ სახარბიელო მახასიათებელია ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საფინანსო ფიგურისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეეჭვება, რომ ხელმეორედ წარდგენის შემთხვევაში პარლამენტმა დაამტკიცოს მისი კანდიდატურა.

- მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები ეროვნული ბანკის საბჭოს იმ შემადგენლობაში, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა წარუდგინა პარლამენტს ამ რამდენიმე თვის წინათ და რომლის დამტკიცების საკითხი გადაიდო ჯავახიშვილის კანდიდატურის ორჯერ ჩავარდნის გამო?

- იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი არ წარადგენს ჯავახიშვილის კანდიდატურას (რაც საკმაოდ შესაძლებელია), ან თუკი მისი წარდგენის შემთხვევაში მას არ დაამტკიცებს პარლამენტი (რაც თითქმის ასეა), ეროვნული ბანკის საბჭოს პირვანდელი შემადგენლობა ალბათ მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობის ამჟამინდელი ვარიანტი არის უაღრესად დაბალკვალიფიციური. იგი იქმნებოდა არა პროფესიული თვისებების გათვალისწინებით და ეროვნული ბანკის ეფექტიანად მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ დაინტერესებული მხარეების გარიგების შედეგად. იგი ითვალისწინებდა ჯავახიშვილის განეიტრალებას, გარკვეული ბალანსის შექმნას და აგებული იყო იმაზე, თუ მომავალში რომელ ჯგუფს დაუჭერდა მხარს საბჭოს ესა თუ ის წევრი. ყველამ კარგად იცოდა, თუ "ვინ ვისი კაცი იყო" (ქართული პოლიტიკური ლობირებისთვის დამახასიათებელ გამოთქმას თუ ვიხმართ).

საბჭოს ამ შემადგენლობით დამტკიცება ძალიან შეუშლის ხელს ეროვნული ბანკის კომპეტენტურად და მიუკერძოებლად მართვის საქმეს.

- ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნის გაჭიანურების მიზეზი ხომ არ იყო ის გარემოება, რომ ქვეყნის პრეზიდენტს უჭირდა შესაფერისი კანდიდატურის მოძებნა?

ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ესეც იყო. პრეზიდენტს უჭირდა ღირსეული შემცვლელის მოძებნა იმის გამო, რომ იგი ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეძებდა საქართველოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელობაში. აქ კი ასეთი პიროვნების მოძებნა

ძალიან ძნელია (თუ არ ჩავთვლით ორ-სამ მეტნაკლებად მისაღებ კანდიდატურას).

საქართველოს კომერციული ბანკების საკადრო შემადგენლობა მეტად სპეციფიკურია. თუ არ ჩავთვლით ყოფილ სახელმწიფო ბანკებს, ახალი ბანკები სულ რაღაც ხუთიოდე წელიწადია, რაც შეიქმნა. მათ ხელმძღვანელობას შესაძლოა აქვს გარკვეული გამოცდილება პატარ-პატარა საფინანსო ოპერაციების წარმოებაში (ძირითადად, სესხების გაცემაში), მაგრამ მათი ცოდნა ზოგადეკონომიკურ საკითხებზე, საბანკო სფეროსა და ეკონომიკის ურთიერთკავშირზე ჯერჯერობით ძალზე დაბალია. ჯავახიშვილი, სხვებისგან განსხვავებით, ფლობდა ბანკების რეგულირების სათანადო ცოდნას, თუმცა მოისუსტებდა მაკროეკონომიკურ დონეზე ეროვნული ბანკის როლის საკითხებში. ის იყო კარგი ზედამხედველი (კომერციულ ბანკებზე), მაგრამ არ იყო ასეთივე რეგულატორი ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით.

სხვა ბანკირები ამ ფონზე უსუსურად გამოიყურებიან. პრეზიდენტის შეცდომა ისაა, რომ იგი ეძებს ჯავახიშვილის შემცვლელს ბანკირებში. არადა, ეროვნული ბანკის საქმიანობა ნაკლებად ჰგავს კომერციული ბანკის საქმიანობას. პრობლემა ისიცაა, რომ თუკი შევარდნაძე მისი ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე აქცენტს აკეთებდა ძველ პარტიულ-საბეურნეო ფუნქციონერებზე, ბოლო ორი წელიწადია მისი საკადრო პოლიტიკა ემყარება ახალგაზრდა ყოფილ კომკავშირულ კადრებს. მას მათთან მუშაობა და ურთიერთობა უფრო უადვილდება მრავალი მიზეზის გამო. ამ წრეში კი ქვეყნის პირველი ბანკირის მოძებნა შეუძლებელია.

თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის პრეზიდენტის საკადრო გეგმოვნებას, მეეჭვება, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე შესაფერისი კანდიდატურა მივიღოთ.

რაც შეეხება ჯავახიშვილს, მისი წასვლით, როგორც იტყვიან, ქვეყანა არ დაინგრევა, რადგან შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ. თანაც მის მიერ დაშვებული შეცდომები გარანტიებთან დაკავშირებით მის გადადგომას სინანულის გრძნობას აკარგვინებს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ მოუვიდა ასეთი უხეში შეცდომა ჯავახიშვილს გარანტიების გაცემისას. იყო თუ არა ზეწოლა "ზემოდან" და რას იტყვით იმის შესახებ, რომ მან დაარღვია კანონი ეროვნული ბანკის შესახებ?

- საქართველოს კანონმდებლობის წაკითხვა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ორნაირად შეიძლება რაც, რა თქმა უნდა, მისი სერიოზული ხარვეზია. კანონით კიდევაც შეიძლება და კიდევაც არა. გააჩნია, ვინ როგორ გაიგებს. საერთოდ, მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს, რა თქმა უნდა, აქვს ასეთი გარანტიების გაცემის უფლება, ბუნებრივია, თუ საკუთარი რესურსები ამის შესაძ-

ლებლობას აძლევს. ჩვენ შემთხვევაში, ეროვნული ბანკი მანიპულირებდა ფაქტიურად იმ საევალუტო რეზერვებით, რომელიც ლარის სტაბილიზაციის მიზნით გამოჰყო სავალუტო ფონდმა და რომელიც განთავსებული იყო საზღვარგარეთის ბანკებში. სწორედ ეს თანხა ჩამოაჭრეს ამ ბანკებმა, რითაც, ამჟამად 15 მილიონი დოლარით შემცირდა ჩვენი რეზერვები. თანაც, ეს ფული არ არის ეროვნული ბანკის. ესაა საქართველოს მთავრობის სესხი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ეროვნული ბანკი ამ შემთხვევაში გამოდიოდა, როგორც მთავრობის ბანკი-აგენტი, რომელიც მას მომსახურებას უწევდა.

თუმცა, გარანტიების საკითხში მნიშვნელოვანია არა იმდენად მისი კანონთან მიმართება, რამდენადაც რისკის ფაქტორის აბსოლუტური იგნორირება მიღებული შედეგებითურთ.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა ზემოქმედება "ზემოდან". მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთ ნაბიჯს ჯავახიშვილი ვერ გადადგამდა, თუ პირველ შემთხვევაში მაინც ამას არ შეუთანხმებდა ქვეყნის პრეზიდენტს. შემდეგ, ალბათ, თვითინიციატივას მიეცა, რომელიც ასეთი მძიმე შედეგებით დამთავრდა.

- ხომ არ გამოიწვევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ლარისადმი ნდობის დაკარგვას, ხომ არ ემუქრება ლარს სერიოზული საფრთხე რეზერვების შემცირების გამო?

- ლარს ამჟამად არ ემუქრება არავითარი საფრთხე არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან. სანამ არის მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მხარდაჭერა და სანამ დაცული იქნება მათი რეკომენდაციები, მისი სტაბილურობა გარანტირებულია. პრობლემა ისაა, რომ ამ დახმარების შეწყვეტის შემდეგ შეიქმნას ქვეყნის ეკონომიკაში ისეთი ვითარება, რომელიც საკუთარი სავალუტო რეზერვების ხარჯზე შეგვაძლებინებს სავალუტო და საბიუჯეტო წონასწორობის შენარჩუნებას. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს (როცა იმპორტი მნიშვნელოვნად სჭარბობს ექსპორტს), ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის დიდ პროცენტს საგარეო წყაროებიდან, სამეწარმეო აქტივობის დაბალ დონეს, აგრეთვე საგარეო ვალის მომსახურების ტვირთს, ხელისუფლება დღესვე უნდა ფიქრობდეს ხვალინდელ დღეზე. სამწუხაროდ, მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში ხვალინდელი დღის პრობლემებზე ზრუნვა თითქმის არა ჩანს.

- ჯავახიშვილის წასვლა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტიდან უფრო უარყოფითი შედეგია თუ დადებითი?

- ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება მომავალი პრეზიდენტი და რა შემადგენლობით დაკომპლექტდება ბანკის საბჭო. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კადრები იცვლებიან. ეს ასე იყო

ოდითგანვე. ჯერ კიდევ მოპასანი ამბობდა, რომ "მინისტრები მიდიან და მოდიან, ბანკირები რჩებიანო" (ბანკირებში იგულისხმება კომერციული ბანკების მენეჯერები). ეროვნული ბანკი სახელმწიფო პოსტია, იგივე "ბანკების სამინისტრო", მისი პრეზიდენტი კი პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც "მიდი-მოდის".

თუკი ბანკის ახალი პრეზიდენტი გახდება რომელიმე ფინანსური კლანის მიერ "დელეგირებული" პირი, ეს ძალზე სერიოზული საფრთხე იქნება ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობისთვის. იგი ფაქტიურად 7 წელი ხელშეუხებელი იქნება.

თუ ბანკის პრეზიდენტი იქნება არა მარტო "სპეციალისტი", როგორც, ჩვენთან უყვართ ხოლმე გამოთქმა, არამედ პოლიტიკური მოვალეობით აღჭურვილი პირი, მაშინ პასუხისმგებლობაც უფრო მეტი იქნება და ფინანსური კლანების ზემოქმედებაც ნაკლები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი, ისევე, როგორც ნებისმიერი მინისტრისა, პირველ რიგში არის პოლიტიკური პოსტი. თუკი მოიძებნება პოლიტიკური ჩვევების მქონე, სათანადო ეკონომიკური ცოდნით აღჭურვილი პიროვნება, მაშინ ბანკის პრეზიდენტის შეცვლაში საგანგაშო არაფერი არის. დამაფიქრებელია მხოლოდ ის, რომ დღემდე საკადრო პოლიტიკაში დომინირებდა ფული და მეეჭვეება, რომ ახლა რაიმე გამონაკლისი მოხდეს.

დღემდე იდუმალებითაა მოცული ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, დემურ დვალიშვილის მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის ამბავი. არის თუ არა მისი ცხოვრების ასეთი დასასრული დაკავშირებული ე.წ. "კრედიტების საქმესთან"?

- ჯერ ერთი, რაც შეეხება მის ტრაგიკულ ბედს.

ჩვენს პოლიტიკურ ელიტას, სამწუხაროდ მასმედიასაც და, ალბათ, მთელს საზოგადოებას ახასიათებს პარანოიული აზროვნების საკმაო ნიშნები. ეს, ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მოუმწიფებლობის შედეგია და, ალბათ, დროთა განმავლობაში გაივლის. მოვლენების ახსნა ხდება გამარტივებულად, ცალმხრივად. ხშირად ობიექტური, სიღრმისეული კანონზომიერების ნაცვლად ვეძებთ აგენტების, მტრების და სხვათა ქმედებებს. ასეთივე ტიპის აზროვნების გამოხატულებაა ის, როდესაც არ გვინდა დავიჯეროთ ელემენტარული სინამდვილე და ახსნას რთულ, დეტექტიურ ხლართებში ვეძებთ... დვალიშვილმა, სამწუხაროდ, თავი მოიკლა. ეს კი არ უნდათ დაიჯერონ. უფრო "რეალურია", რომ იგი მოკლეს. საზოგადოებაში შექმნილი ძალმომრეობის ატმოსფერო და პოლიტიკური ინტრიგები ასეთ მოსაზრებას ფესვებს უმაგრებს.

- რა იყო მისი თვითმკვლელობის მიზეზი?

ზოგადად, რა თქმა უნდა, კრედიტები, კონკრეტულ ვითარებაში

- ადამიანის ემოციური მდგომარეობა. ასეულ მილიონობით დოლარის ექვივალენტური სესხები (რეალურად კი, ინფლაციური ფაქტორის გათვალისწინებით - საჩუქარი) გაიცემოდა შერჩევით, პოლიტიკურად თუ სხვა მხრივ გავლენიან პირებზე. დვალიშვილს არ ემუქრებოდა საფრთხე, მიუხედავად ამ თემის ირგვლივ ამტყდარი სამართლიანი აჟიოტაჟისა, სანამ მისი "კლიენტები" მყარად იყვნენ. თუმცა, ბოლო პერიოდში მოხდა რამდენიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა. კერძოდ, სესხები გაცემული აღმოჩნდა იმ ადამიანებზეც, რომლებიც ერთ დროს კი იყვნენ "ხელისუფლების პარტიაში", მაგრამ შემდგომ ვითარებათა გამო აღმოჩნდნენ ოპოზიციაში. როგორც კი უმრავლესობის "იმუნიტეტი" ამ პირებს გაუქრათ, დაიწყეს მათი დაკავება (ესეც სერიოზული პრობლემაა დღევანდელი ვითარების - თუკი ხარ სახელისუფლებო კლანში, ხელშეუხებლობა გარანტირებული გაქვს). ერთ-ერთი ასეთი სერიოზული ფაქტი აღმოჩნდა დეპუტატ ჟორჟოლიანის საქმე. მას კრედიტები აღებული ჰქონდა, როდესაც იმყოფებოდა "უმრავლესობაში" (საარჩევნო ბლოკი "შშვიდობა"), ხოლო დაბრუნება მოსთხოვეს მაშინ, როდესაც აღმოჩნდა "უმცირესობაში". აქედან დაიწყო დვალიშვილის დაკითხვები, რასაც შეიძლებოდა ძალზე უსიამოვნო სხვა სკანდალიც მოჰყოლოდა...

საუბედუროდ, ცოცხალი არაა ადამიანი, რომელიც შეეწირა იმ პიროვნებებს, რომლებმაც კარგად ისარგებლეს, ერთი მხრივ, მისი ხასიათის სირბილით, და იმ საბანკო პოლიტიკით, რომელსაც ეროვნული ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელობა ატარებდა. შედეგად კი, არ დასჯილან (და, ალბათ, არც არასოდეს დაისჯებიან) ისინი, ვინც თავიანთი ანგარებით ხელი შეუწყო საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის დასუსტებას და პირველი ეროვნული ვალუტის (კუპონის) განადგურებას.

ოქტომბერი. 1997 წ.

სასტუმრო »მეტეხის« ვალი თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან დაიფარება

— თქვენს წერილში: საქართველო ვალების მახეში, გაკვირვება იყო გამოთქმული, რატომ აიღო საქართველოს მთავრობამ ვალად ასე მძიმე პირობით ავსტრიის ბანკის წინაშე კომერციული სტრუქტურის მეტეხის დავალიანება. რა იყო მიზეზი?

— ავსტრიის წინაშე ვალი (უფრო ზუსტად, საქართველოს მთავრობის ვალი ავსტრიის ერთ-ერთი კომერციული ბანკის "კრედიტანშტალტის" მიმართ) წარმოიშვა სასტუმრო "მეტეხის" ასაშენებლად აღებული სესხის დროულად დაუფარაობის შედეგად. სესხის თავდაპირველი რაოდენობა იყო 69 მილიონი დოლარი, რომელიც 1989 წელს აიღო ერთობლივმა საწარმო "მეტეხმა". ამჟამად ამ თანხამ 88,4 მილიონ დოლარს მიაღწია პროცენტებისა და ჯარიმებს ზრდის გამო. ავსტრიულ მხარესთან საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებით, სესხის ძირითადი თანხის დაფარვის გადავადების გამო (პროცენტებს უკვე ვიხდით ბიუჯეტიდან) დასაბრუნებელი თანხის მთლიანი ოდენობა იქნება 108 მილიონი დოლარი. ამ თანხით ერთი კი არა, ორი "მეტეხის" აშენებაც შეიძლებოდა. ეს ვალი არის სასტუმრო "მეტეხის" და არა საქართველოს მთავრობის ვალდებულება. რატომ იკისრა საქართველოს მთავრობამ მისი გასტუმრება იმ ფორმით, რა ფორმითაც ხდება, ჩემთვის გაურკვეველია. ბუნებრივია, როდესაც გამოუვალი მდგომარეობაა, შეიძლება გარკვეული კომპრომისი, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. კერძო კომერციული ფირმის ვალებს საქართველოს მოსახლეობა იხდის საკუთარი ჯიბიდან (ანუ საქართველოს ბიუჯეტიდან);

— ვის ეკუთვნის სასტუმრო მეტეხი?

— "მეტეხი" ერთობლივი საწარმოა, რომლის დამფუძნებლები იყვნენ, ერთი მხრივ, თბილისის ყოფილი საქალაქო საბჭოს აღმასკომი, (ამჟამად თბილისის მერია), რომელსაც ეკუთვნოდა საწესდებო ფონდში 90 პროცენტი და, მეორე მხრივ ავსტრიული ფირმა "აბვ" (ფირმის ძირითადი მეპატრონეა ავსტრიის მოქალაქე ლეოპოლდ ბაუსბეკი, რომელსაც კარგად იცნობენ საქართველოში, მისი სახელი სულ ბოლოს ამოტივტივდა ჩვენი და უცხოური პრესის ფურცლებზე ეენაში "ქურდული სამყაროს" ავტორიტეტის დავით სანიკიძის მკვლელობის შემდეგ. ეს უკანასკნელი იყო ფირმა "აბვ-ს" საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი "სნგ-ს" ქვეყნებში).

ავსტრიული ფირმის წილი "მეტეხის" საწესდებო ფონდში თავდაპირველად შეადგენდა 10 პროცენტს (ამჟამად 15 პროცენტია), სესხის დაბრუნებაზე პასუხს აგებდა თვით ეს ერთობლივი საწარმო.

გარანტი იყო თბილისის ქალაქის საბჭო, კონტრგარანტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ეს ნიშნავდა, რომ თუ დამოუკიდებელი კომერციული ფირმა "მეტეხი" ვერ შეასრულებდა ვალდებულებებს, პასუხი უნდა ეგო მასვე საკუთარი ქონებით, თუ ეს საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ თბილისის მერიას. რაც შეეხება კონტრგარანტს, ასე ვთქვათ, ბოლო ინსტანციის მაგარანტირებელ ორგანოს – საქართველოს მთავრობას, ფინანსთა სამინისტროს სახით, მის მიმართ პრეტენზიების წარდგენა შესაძლებელი იყო კრედიტორ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის გავლის შემდეგ. იურიდიულად ეს მეტად რთული, ხანგრძლივი და სადავო საკითხია და მთავრობისადმი კერძო სტრუქტურის ვალების დაკისრება სულაც არ არის ადვილი. გასაკვირია, რატომ დათანხმდა მთავრობა კრედიტის რესტრუქტურიზაციას ასეთი მძიმე პირობით.

თუ საქმე მაინც იქამდე მივიდოდა, რომ აუცილებელი გახდებოდა, მთავრობას თავის თავზე დაეწერა ვალი, მაშინ, როგორც საქართველოში მოქმედი კანონების, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, აგრეთვე თვით ერთობლივი საწარმო "მეტეხის" წესდებისა და სადამფუძნებლო ხელშეკრულების თანახმად, სასესხო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მთელი ქონება (სასტუმრო "მეტეხი") გადადიოდა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში (ანუ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბალანსზე), ხოლო "მეტეხის" პარტნიორები - თბილისის მერია და ავსტრიული ფირმა კარგავდა წილს. სინამდვილეში მოხდა პირიქით: ვალებს ფარავს საქართველოს მთავრობა, ხოლო ოთხმოცმილიონიანი (მიწისა და ინფრასტრუქტურის ჩათვლით გაცილებით მეტი) ქონების შესაბამისი წილის და მთელი ცხოვრების განმავლობაში მისაღები მოგების მეპატრონენი ხდებიან გადახდისუუნარო დამფუძნებლები. მოკლედ, ჩვენმა უცხოელმა პარტნიორმა საწესდებო ფონდში ჩადო გროშები, ვალები უხადა მთავრობამ, ქონება კი შერჩა.

– რას უნდა მივაწეროთ მთავრობისა და თბილისის მერიის ასეთი გადაწყვეტილება?

– ჯერ ერთი, მთავრობას არ უნდა ეკისრა ეს ვალი, რადგან არსებობდა სხვა საშუალებებიც ვალის გასტუმრებისა (მაგალითად, კრედიტორი ბანკისთვის გადახდისვადადამდგარი თანხის ოდენობით "მეტეხის" წილის გადაცემა ან "მეტეხის" წილის ნაწილის გაყიდვა და მიღებული შემოსავლით სესხის დაფარვა. ასეთ ვითარებაში არ მოხდებოდა პროცენტების, საჯარიმო სანქციებისა და სხვა სახით დასაბრუნებელი თანხის უპრეცედენტო ზრდა). "მეტეხის" ნაწილი ამჟამად რომ გამოიტანონ გასაყიდად, მას უსწრაფესად დაიტაცებენ მხოლოდ ადგილობრივი ბანკები, ფირმები, კერძო პირები, რომ არაფერი

ვთქვათ უცხოურ კაპიტალზე, მათ შორის სასღვარგარეთ მომუშავე იმ ქართველებზე, რომელთაც სურთ, ლეგალური ფორმით საქართველოში კაპიტალის დაბანდება.

სახელმწიფო ვალად ამ სესხის გადმოფორმების მიზეზი კი, ალბათ, არის არაკომპეტენტურობა. არ გამოვრიცხავ მაღალი თანამდებობების პირების ანგარებასაც. ვერ ვიტყვი ამჟამად რა მდგომარეობაა, მთავრობის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე მოახდინა თუ არა გავლენა დაინტერესებული პირების ლობირებამ, მაგრამ რაც შეეხება რამდენიმე წლის წინანდელ მდგომარეობას, "შეტეხის" ირგვლივ შექმნილი იყო მეტად არაჯანსაღი ვითარება, რაც ქვეყნის ინტერესების შელახვაში გამოვლინდა.

სამწუხაროდ, ვერც საქართველომ აუარა გვერდი ჩამორჩენილი, განვითარებადი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ სენს, რომელსაც კომპრადორობა ჰქვია. ეს არის ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფა უცხოური კაპიტალის სასარგებლოდ, პირადი გამორჩენის მიზნით. "შეტეხის" მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი დიდი იქნება, თუკი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მოგვიწევს სესხისა და პროცენტის დაფარვა. ამ ხარჯებს სასტუმრო ექსპლუატაციაში შესვლიდან 20 წლის განმავლობაში თუ ამოიღებს.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ მეტეხში არსებულ დარღვევებს პირადად შეეჯახეთ ვიცე-პრემიერობის დროს, რას გულისხმობთ ამაში?

— პირველი სერიოზული დარღვევა მოხდა ჯერ კიდევ სასტუმროს მშენებლობის პერიოდში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, საწარმოს დაფუძნებისას ორ მესაკუთრე მხარეს შორის წილი განაწილებული იყო შემდეგი პროპორციით: 90 პროცენტი ეკუთვნოდა თბილისის მერიას, 10 პროცენტი ავსტრიულ ფირმას.

1990 წლის ივლისში, საქართველოს მხარის წაყრუებით თუ ხელშეწყობით, უკანონოდ შეიცვალა წილობრივი მდგომარეობა. საწესდებო ფონდის 5 პროცენტი გადაეცა ავსტრიულ ფირმას (ბუნებრივია, ჩვენი წილის შემცირების ხარჯზე), რის შედეგადაც წილობრივი თანაფარდობა გახდა — 85 პროცენტი თბილისის მერიას, 15 პროცენტი "აბვ"-ს.

— რატომ მიგაჩნიათ, რომ ჩვენი მხარის ხელშეწყობით მოხდა წილის დათმობა?

— ჯერ ერთი, ფირმის ხუთკაციან მმართველობაში სამი იყო საქართველოს მხარის წარმომადგენელი და მათი ხმების გარეშე, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. მეორეც, არ იყო არავითარი აუცილებლობა ამ წილის გაზრდისა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი შევსება მოხდა არა ფულადი ფორმით, არამედ სამშენებლო ტექნიკით, თანაც წილის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღე-

ბიდან ნახევარი წლის შემდეგ. ანუ მაშინ, როდესაც დამთავრდა სასტუმროს მშენებლობა და ამ ტექნიკის უცხოეთში გატანა უფრო ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე მისი ადგილზე დატოვება. იმ პერიოდში დაწყებული ინფლაციის გამო, ხუთი პროცენტი წილის შესაძენად უკვე კაპიკები იყო საჭირო. გაცვეთილი ტექნიკის ღირებულება არ ასახავდა ამ წილის რეალურ ფასს. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს შეიძლება არც იყოს მთავარი. ყველაზე თვალშისაცემია ის გარემოება, რომ, საწარმოს წესდების თანახმად, საწესდებო ფონდში ახალი შენატანების გაკეთება (ანუ მისი გაზრდა) შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დაირღვეოდა წილობრივი პროპორციები.

ასეთივე მაქინაცია მეორეჯერაც განხორციელდა. 1992 წლის მაისში თბილისის მერიამ მიჰყიდა ფირმა "აბვ"–ს საწესდებო ფონდის 16 პროცენტი 16 ათას დოლარად. "მეტეხი" უკვე აშენებული იყო და ფუნქციონირებდა. მისი აქტივების საერთო რაოდენობაში ეს თექვსმეტი პროცენტი აღემატებოდა თერთმეტ მილიონ ამერიკულ დოლარს. ამ უკანონო გადაწყვეტილებით, ავსტრიულ მხარეს საწესდებო ფონდში 31 პროცენტი გაუხდა წილი, თბილისის მერიას კი 69 პროცენტი, ანუ სულ რამდენიმე ათას დოლარად დავთმეთ (გავაჩუქეთ) სასტუმროს ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის საერთო ღირებულება 22 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება.

ამ პერიოდში მთავრობის ვიცე-პრემიერი ვიყავი. ინფორმაციის მიღების შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი დაპირისპირება, რომელშიც ჩაერთო უამრავი გავლენიანი ადამიანი, როგორც ხელისუფლებაში, ასევე მის გარეთ მყოფი პიროვნებები. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, 1993 წლის თებერვალში მაინც შევძელით, დაგვებრუნებინა ეს წილი თბილისის მერიისათვის, რომელმაც უმოწყალოდ გაასხვისა იგი.

რაც შეეხება პირველად დაკარგული წილის ხუთ პროცენტს, იქამდე ვერ მივწვდით, არც დრო გვეყო (წამოვედი მთავრობიდან), თანაც წილის გადაცემა მოხდა კომუნისტური ხელისუფლების დროს, რაც ართულებდა მის დაბრუნებას.

— ვინ უჭერდა მხარს ავსტრიულ ფირმას?

— უამრავი ადამიანი. ზოგი აშკარად, ზოგიც კულისებს მიღმა მოქმედებდა. აშკარად უჭერდა მხარს ავსტრიულ მხარეს და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა "მეტეხთან" მაშინდელ ფინანსთა მინისტრს კახა პოპიაშვილს, რომელიც მეტად მონდომებული იყო, რომ ფინანსთა სამინისტროს ეკისრა ავსტრიის ვალი. ეს ის მექანიზმია, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ "მეტეხის" ვალდებულებათა ისეთი ფორმით აღიარებას ითვალისწინებს, რომელიც მთლიანად ათავისუფლებს უცხოელ დამფუძნებელს ვალდებულებებისაგან. დაინტერესებას იჩენდნენ უფრო დაბალი რანგის "ლობისტებიც". "მეტეხში" მყარად

იყენენ ფეხმოკიდებულნი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებიც.

რაც შეეხება პირადად ბატონ ბაუსბეკს, ავსტრიული ფირმის მესაკუთრეს, მას მრავალი მფარველი ჰყავდა, როგორც კომუნისტების დროინდელ, ისე გამსახურდიას მთავრობაში. თუმცა, მფარველები არც შემდგომ ხელისუფლებაში მოპკლებია. კავშირი ჰქონდა ე.წ. "შავი სამყაროს" წარმომადგენლებთანაც.

როდესაც დავიწყეთ "მეტეხში" საქართველოს მხარის კანონიერი უფლებების აღდგენა (სხვათა შორის, სასტუმრო მალავდა შემოსავლებს, რაშიც ხელს უწყობდნენ ფინანსთა სამინისტროსა და მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლები), ბაუსბეკმა დაიწყო აშკარა შანტაჟი.

მან ჩართო ზეწოლის, როგორც ქართული, ასევე უცხოური საშუალებები. ზეწოლისთვის იყენებდა კრედიტორ ავსტრიულ ბანკს, რომელიც მუქარით სავსე წერილებს გვიგზავნიდა, ხოლო თვით ბატონი ბაუსბეკი აგზავნიდა წერილებს ჩემს საწინააღმდეგოდ პარლამენტში (სპიკერ ვახტანგ გოგუაძის სახელზე), სახელმწიფოს მეთაურთან (ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან), პრემიერ - მინისტრთან (ბატონ თენგიზ სიგუასთან). ამ წერილებში იტყობინებოდა, რომ ვიყავი არაკომპეტენტური, რომ წილს, რომელიც მან მიიღო, ღირებულება არ გააჩნია და ა.შ. იმუქრებოდა საქართველოს შესახებ უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებით საზღვარგარეთ ("თუ როგორ ექცევიან უცხოელ ინვესტორებს") და ჩვენი ქვეყნის იზოლაციაში მოქცევით საერთაშორისო საკრედიტო და საფინანსო სტრუქტურების მხრიდან. ბაუსბეკი ჩიოდა ჯაბა იოსელიანთანაც.

— იყო თუ არა მათი მხრიდან ზეწოლა, რომ საკითხი ბაუსბეკის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო?

— ჯერ ერთი, როგორი ხმამაღალი ნათქვამიც უნდა იყოს, არა მგონია, ჩემზე ზეწოლა ასე ადვილი იყოს. ეს ბევრმა იცოდა...

თენგიზ სიგუა კატეგორიულად იყო წინააღმდეგი დაეთმო ბაუსბეკისთვის. სახელმწიფოს მეთაურთან გვქონდა საუბარი აგვეღო თუ არა სამთავრობო სესხი ავსტრიის იმავე ბანკიდან "მეტეხის" ვალების დასაფარავად. იგი ძალზე რბილად გვაგრძნობინებდა, რომ ბაუსბეკი გავლენიანი კაცია თავის ქვეყანაში და არ ღირს ურთიერთობის გაფუჭებაო. თუმცა, მას დაწვრილებით არ ჰქონია ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა "მეტეხში". ამისთვის მას ნაკლებად ეცალა. ქვეყანა საომარ ვითარებაში იმყოფებოდა.

რაც შეეხება ვახტანგ გოგუაძეს, გულწრფელად იყო შეშფოთებული წერილების ტონით და მთხოვდა, დამეთმო მისთვის, მეტიც - ბოდიშიც მომეხადა. ეს, რა თქმა უნდა, მოსდიოდა იმით, რომ ძალზე სუსტად ერკვეოდა ეკონომიკურ საკითხებში (გაიხსენეთ ბატონი ვახტანგის, და არა მარტო მისი, გამუდმებული მოწოდება სამანეთო

ზონაში დაბრუნების შესახებ, რამაც ცუდად იმოქმედა მრავალმხრივი დარტყმის ქვეშ მოქცეულ ეროვნულ ვალუტაზე - კუპონზე).

რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, მან ერთხელ დამირეკა მაშინ, როდესაც ბაუსბეკი და აწ გარდაცვლილი, დავით სანიკიძე ჩემთან იმყოფებოდნენ კაბინეტში და სასხვათაშორისოდ მითხრა: "ლეოპოლდი ქვეყნისთვის საჭირო კაცია", ბევრი კარგი რამ გაუკეთებია და გულთბილად მიიღეო. ეს იყო და ეს...

ზუსტად არ ვიცი, რა ფორმის ზეწოლა ხდებოდა "ქვედა დონეზე" და ვისგან, მაგრამ ფაქტი ერთი იყო: სხვადასხვა უწყებებში და თბილისის მერიაში იგრძნობოდა ხელისშეშლა, "მეტეხთან" დაკავშირებული პრობლემები ობიექტურად რომ გადაწყვეტილიყო. მაგალითად, როდესაც გადავწყვიტეთ, გაგვეყიდა "მეტეხის" აქციათა 16 პროცენტი, რომელიც უცხოელ მონაწილეს დავათმობინეთ, თბილისის მერია ამას ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა (ობიექტური პოზიცია ეკავა ქალაქის მაშინდელ ვიცე-პრემიერს ბატონ გიორგი ცაგარელს).

— იმ პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, მათ შორის გაზეთის მეშვეობითაც, რომ მეტეხის ეს წილი იყიდა კავკასიის კონცერნმა. როგორც ჩანს, ასე არ ყოფილა.

— რადგან ავსტრიის ბანკი ძალზე აგრესიულად იქცეოდა, თბილისის მერიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა ტენდერი და "მეტეხის" წილის ერთი ნაწილი გაეყიდა. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ "კავკასიის კონცერნი", რომლის ხელმძღვანელი იყო მაშინდელი "კავკასიის ბირჟის" უფროსი ამირან ქადაგიშვილი. იგი, საქართველოს მოსახლეობას ახსოვს მისი უამრავი ფინანსური პირამიდული სტრუქტურების გაკოტრებითა და ათასობით მეანაბრის თანხების განიავებით. ის შემდეგ ვიცე-პრემიერადაც კი დაინიშნა, ამჟამად კი იძებნება. ამ პიროვნებამ, როდესაც მოიგო ტენდერი და მიიღო "მეტეხის" წილის 16 პროცენტის შეძენის უფლება, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, მოულოდნელად უარი თქვა მის შესყიდვაზე. ეს ღალატი იყო, რადგან კრედიტორ ბანკს მივაწოდეთ ინფორმაცია ვალების უახლოეს პერიოდში გასტუმრების შესახებ, ხოლო მანევრირებისათვის უფულოდ დარჩენილ საქართველოს მთავრობას დრო არ ჰქონდა...

როდესაც ვკითხე ქადაგიშვილს, რატომ ჩაიდინა ეს, რამ გამოიწვია პირობის დარღვევა, მიპასუხა, რომ ვერ იქნება გულახდილი. ერთი კი მითხრა, ეს რომ გამეკეთებინა, ფიზიკურად გამანადგურებდნენო. არ ვიცი, ეს სინამდვილეა, თუ იმ ადამიანებმა, რომლებიც ქადაგიშვილის უკან იდგნენ ვერ გამოძებნეს სახსრები (ჭორებს თუ დავუჯერებთ, რუსეთში მყოფი ქართველები, რომელთა შორის ერთორ "ავტორიტეტსაც" მოიხსენიებდნენ). ასე იყო თუ ისე, "მეტეხის" თუნდაც მცირეოდენი წილის გაყიდვა მაშინ თავს აგვაცილებდა საქართველოს მთავრობის მიერ ამ სესხის სახელმწიფო ვალად

აღებას. ამის შემდეგაც იყო "მეტეხის" ნაწილის გაყიდვის რამდენიმე მცდელობა, რომელიც ყოველთვის აწყდებოდა ბარიერებს.

— გქონდათ თუ არა პირადად საუბარი მეტეხის უცხოელ პარტნიორთან იმის თაობაზე, რომ მეტეხის ვალი ორივე მხარის გასასტუმრებელია, ბუნებრივია, პროპორციულად მათი წილისა საწესდებო ფონდში.

— ბაუსბეკს შევხვდი როგორც თბილისში, ასევე ვენაში. საქართველოს მთავრობაში შედგა მასთან მეტად არასასიამოვნო საუბარი. ჩვენი მხრიდან, ჩემს გარდა, შეხვედრას ესწრებოდა მთავრობის ეკონომიკურ რეფორმების შტაბის მრჩეველი დავით ონოფრიშვილი, რომელიც ამჟამად პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. ავსტრიულ ფირმას წარმოადგენდა ბატონი ბაუსბეკი და ვენაში მოკლული "ავტორიტეტი" დავით სანიკიძე. ბაუსბეკის თხოვნით, თარჯიმნობდა მისი ქართველი მეუღლე. ბატონი ბაუსბეკი მეტად აგრესიული იყო და ხშირად აღნიშნავდა, რომ "ამ საქმეს ასე არ დატოვებდა" და "ზემოთ იჩივლებდა". თუ ვის გულისხმობდა, არ ჩავძიებივარ და არც თვითონ უთქვამს. მისი აზრით, ალბათ, უნდა მივმხდარიყავი, ვინ იყო მაშინ ხელისუფლებაში რანგით "ჩემს ზემოთ". "ზემოთა" იმედი რომ ჰქონდა, ეს მისი საუბრის ტაქტიდანაც კარგად ჩანდა, თუმცა არც იმას მალავდა, რომ "ქვემოთაც" უმაგრებდნენ ზურგს. იმ შეხვედრაზე დავით სანიკიძე ყველაზე ლირსეულად იქცეოდა. იგი ადგილზე წრიალებდა, რადგან ხედავდა, რომ პარტნიორს "რაღაც ეშლებოდა" და გამოუსწორებელ შეცდომას უშვებდა თავისი ქცევით და ლანძღვამდე მისული ტონით. ჩვენი საუბარი დამთავრდა იმით, რომ ბაუსბეკი გაიქცა "ზემოთ", დავით სანიკიძემ კი მთხოვა, დავრჩენილიყავი და ცალკე გვესაუბრა.

... არ ვიცოდი ვინ იყო დავით სანიკიძე. სავიზიტო ბარათზე, რომელიც ბაუსბეკთან ერთად გადმომცა, ეწერა, რომ იგი განაგებდა ამ ფირმის საგარეო კავშირებს

როდესაც მარტო დარჩენილმა საუბარი დაიწყო, უნდოდა მიეხვედრებინა ჩემთვის თავისი ნამდვილი "სტატუსი". პირდაპირ რომ ეთქვა, "კანონიერი ქურდი" ვარო, მეტად არასასიამოვნოდ გაიუღერებდა და უხერხულობას შექმნიდა. ამიტომ, საუბრის დასაწყისშივე იყენებდა ამ სამყაროსთვის დამახასიათებელ ლექსიკონს, რომ მივმხვდარიყავი, ვისთან მქონდა საქმე. მან მითხრა, რომ იყო ედუარდ შევარდნაძისა და ჯაბა იოსელიანის ახლობელი. მაჩვენა სურათები, რომელიც გადაღებული იყო თვითმფრინავში ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მისი თბილისში პირველად ჩამოსვლისას, ხელისუფლების დამხობის შემდეგ. ორიოდე სიტყვით დამიხასიათა ბაუსბეკი, როგორც ენერგიული და საქართველოზე შეყვარებული ბიზნესმენი. მომიყვა, რომ კურირებდა ავსტრიული ფირმის წილს "სნგ"-ში და იცავდა მის ინტერესებს

თბილისში, ალმა-ატა'ში, ლენინგრადსა და ა.შ. მთხოვა, ობიექტურად შემესწავლა "მეტეხ'ში" საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმებული მასალები, რადგან მიაჩნდა, რომ იქ ზედმეტად იყო გაზრდილი საჯარიმო სანქციები, რომელიც სასტუმროს დაეკისრა შემოსავლების დამალვის გამო.

წილებთან დაკავშირებულ საკითხს უწოდა გაუგებრობა და არც კი უცდია ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩემი პოზიციის გადახედვა. პირიქით, თქვა, რომ "მეტეხის" გამგეობის პირველსავე კრებაზე დაუბრუნებდნენ ამ წილს თბილისის მერიას. რაც შეეხება "მეტეხის" ნაწილის გაყიდვას და სხვა პარტნიორის შემოსაჟალს, მიაჩნდა, რომ ეს იქნებოდა ჩვენი მხრიდან შეცდომა, რადგან, მისი აზრით, არ იყო სასურველი ხელისუფლების წილის შემცირება და, შესაბამისად, მომავალში მოსალოდნელი შემოსავლების დაკარგვა; ეს საზიანოც იქნებოდა სასტუმროს მართვისათვის, რადგან მისი აზრით, უცხო მონაწილის შემომატებით, აირ-დაირეოდა უკვე აწყობილი მექანიზმი.

ამასთანავე, გვთავაზობდა "მეტეხის" ვალის ნაწილის მთავრობაზე გადმოწერას ავსტრიის ბანკის მიერ შემოთავაზებული პირობით. ჩემი პასუხი იყო ის, რომ ვიმოქმედებდით მხოლოდ ობიექტურად, უკიდურეს შემთხვევაში, ვალების გადმოფორმებისას კი ვალდებულებები უნდა განაწილებულიყო ორივე მხარეზე, პროპორციულად საწესდებო ფონდში მათი წილის მიხედვით.

— ამ პიროვნებაზე მრავალნაირი ხმა დადის. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე? ჰქონდა თუ არა მის მკვლელობას რაიმე კავშირი მეტეხთან?

— მას ორჯერ ვესაუბრე, ჯერ თბილისში, მოგვიანებით ვენაში. დატოვა საკმაოდ გამჭრიახი და მოქნილი ადამიანის შთაბეჭდილება. ჩემი აზრით, მომენტალურად ერკვეოდა ადამიანებსა და სიტუაციაში. იცოდა, ვინ უნდა მოესყიდა, ვინ დაეშინებინა, ვინ მოეთაფლა...

რაც შეეხება მის მკვლელობას, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი "მეტეხთან", არ ვიცი.

— შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები მეტეხის ირგვლივ?

— ჩამოვართვით 16 პროცენტიანი წილი. უკან დავუბრუნეთ, რა თქმა უნდა, 16 ათას დოლარზე ცოტა მეტი. ბაუსბეკს მერიისთვის ფულის მოცდენაზე პროცენტის დაბრუნებაც მოუთხოვია და თუ არ ვცდები, 600 თუ 700 დოლარიც მიიღო დამატებით. ეს წვრილმანია, მაგრამ გვიჩვენებს იმას, თუ როგორ უნდა მოეპყრო საკუთარ ქონებას. ეს არ არის სიძუნწე. ეს არის ნამდვილი (და არა ჩვენი ქალაქის მერიის მსგავსი დოყლაპია) მესაკუთრის ჯანსაღი ინსტინქტი.

იმის გამო, რომ "მეტეხის" გაყიდვა ვერ მოხერხდა, მთავრობა

იძულებული გახდა, თავის თავზე აეღო "შეტეხის" ვალდებულებათა ნაწილი (20 მილიონი დოლარის ოდენობით) ავსტრიის ბანკის წინაშე. მაგრამ, შესაბამისად დამფუძნებელთა წილობრივი პროპორციისა, უნდა შემცირებულიყო მათი წილი საწესდებო ფონდში მთავრობის სასარგებლოდ. მოკლე ხანში მე დავტოვე მთავრობა და აღარ გამიგია, თუ როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები. ახლახან კი, როდესაც დავინტერესდი ქვეყნის საგარეო ვალებით, აღმოჩნდა, რომ საქართველომ მთლიანად ითავა ყველა ვალდებულება ისე, რომ საკუთრების გადასინჯვის შესახებ საკითხი არც კი წამოჭრილა...

— გქონდათ თუ არა შემდეგ მოლაპარაკება ამ საკითხებზე მეტეხის უცხოელ პარტნიორთან?

— მე მომიწია ყოფნა ავსტრიაში, ვენაში ადამიანის უფლებების დაცვის მსოფლიო კონგრესზე, რომელიც გაერო—ს ეგიდით იმართებოდა. მაშინ მივედი კრედიტორ ბანკში ვითარების გასარკვევად. დავრწმუნდი, რომ საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი პასუხისმგებელი პირი უყოყმანოდ ეთანხმებოდა მათ წინადადებებს, თორემ სესხის რესტრუქტურიზაციის პირობები შეიძლება უფრო შეღავათიანი ყოფილიყო. მაშინ გარკვეული პრობლემები დროებით მოიხსნა...

იმ პერიოდში ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ავსტრიაში საქართველოს წარმომადგენელი იყო ბ-ნი ნოდარ გიორგაძე. მას საქართველოში უფრო იცნობენ როგორც "ავღანელთა კავშირის" თავმჯდომარეს. მან მთხოვა შეეხვედროდი ბ-ნ ბაუსბეკს და მოგვწესრიგებინა ურთიერთობები, რადგან ვენაში ოფისის ქირას დროებით ბაუსბეკი იხდიდა თურმე. მეც, ბუნებრივია, დავთანხმდი. იმ პერიოდში მიწევდა შეხვედრები ავსტრიის მთავრობაში, მათ შორის ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან. ამიტომ არ მინდოდა, რაიმე წინასწარი უარყოფითი ფონი ჰქონოდა ამ კონტაქტებს (ბაუსბეკი რომ გავლენიანი პირი იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მოგვიანებით იგი ავსტრიის პარლამენტის დეპუტატი გახდა. თუმცა, დავით სანიკიძის მკვლელობამ, როგორც ამბობენ, მნიშვნელოვნად შელახა მისი რეპუტაცია. იმასაც ამბობენ, რომ მისი ფირმა "აბე" ახლახან გაკოტრდა კიდეც. არ ვიცი, ეს ინფორმაცია რამდენად ზუსტია).

ეს იყო ფორმალური, ასე ვთქვათ "შერიგების ვიზიტი". ძველი ცოდვები არც ერთ მხარეს არ გვიხსენებია, რადგან საკითხების უმეტესობა იმ დროისათვის მოხსნილი იყო...

მიუხედავად ამისა, პრობლემები კვლავ დარჩა. რომ არაფერი ვთქვათ იმ უზარმაზარ ვალდებულებაზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ აიღო სესხის დასაფარავად, გაურკვეველია ასევე სასტუმრო "გუდაურის" ბედი, რომლის მონაწილეც ბ-ნი ბაუსბეკია. აქაც არ იყო ყველაფერი წესრიგში. დღემდე ამ სასტუმროსაც ზარალის მეტი არაფერი მოუტანია ქვეყნისთვის. გასარკვევია აგრეთვე მესაკუთრეთა

საკითხი. მთავრობაში ჩემი ყოფნის პერიოდში "გუდაურს", რბილად რომ ვთქვათ, "შეფობას უწევდა" ბ-ნი სოლიკო ხაბეიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე მქონდა მასთან საუბარი სხვადასხვა ფინანსურ საკითხებზე, "გუდაურის" თემა არ წამოწეულა. ალბათ, იმიტომ, რომ ბოლომდე არ მქონდა ზუსტი ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა იქ. თანაც ეს "შეფობა" უფრო არაფორმალური ხასიათის იყო.

"გუდაურის" საკითხი ახლავე სერიოზულად არის შესასწავლი, რომ შემდგომში მასზე რაიმე ქონებრივი პრეტენზიები არ წარმოიშვას.

სხვათა შორის, როდესაც ერთობლივმა საწარმო "მეტეხმა" აიღო სესხი ავსტრიის ბანკისაგან, მან მისი ნაწილი არამიზნობრივად გამოიყენა. ნაცვლად იმისა, რომ იგი მთლიანად მშენებლობას მოხმარებოდა (რასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა), ამ ფულით მოხდა "გუდაურის" წილის 10 პროცენტის შეძენა სასტუმრო "მეტეხის" მიერ (სასტუმროს კი ამის უფლება არც ჰქონდა, რადგან იგი არ იყო ცალკე იურიდიული პირი, შედიოდა რა ერთობლივი საწარმო "მეტეხის" შემადგენლობაში). იყო სხვა, შედარებით უმნიშვნელო დარღვევებიც.

— ხომ არ შეილახა მეტეხის ისტორიით უცხოელი პარტნიორის კომერციული ინტერესები?

— უცხოურმა მხარემ "მეტეხის" მეშვეობით მიიღო იმ მოგებაზე გაცილებით მეტი, ვიდრე იგი გეგმაედა ან საერთოდ წარმოედგინა. "მეტეხი" ავსტრიის ფირმა "აბგ-ს" აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც იმედოვნებდა მიეღო სასტუმროს აშენების უფლება, ე.ი. 70 მილიონი დოლარის ოდენობის შეკვეთა. ეს არის უზარმაზარი პროექტი, თუ გნებავთ, იღბალი. "მეტეხმა" შექმნა ბაუსბეკი, როგორც ბიზნესმენი. მას უნდა აეშენებინა სასტუმრო, მოხდა კი სულ სხვა რამ: მიიღო წილი ერთობლივ საწარმოში (როგორც ვნახეთ, ვალდებულებათა გარეშე), მართავდა "მეტეხს" მისი მეორე ფირმის "მარკო-პოლოს" მეშვეობით და, რა თქმა უნდა, ღებულობდა დიდ შემოსავალს (მათ შორის ავსტრიიდან "მეტეხისთვის" საჭირო საქონლით მომარაგების გზითაც). მომავალში კი, ლამის უსასყიდლოდ მიღებული წილიდან ექნება დიდძალი მოგება ან ახლავე შეუძლია, გაყიდოს ეს წილი რამდენიმე მილიონ დოლარად. აქვს წილი სასტუმრო "გუდაურში", რომელიც მანვე ააშენა და მართავს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სასტუმროში საკონტროლო პაკეტი და უფრო მეტიც, საქართველოს მხარეს ეკუთვნის, რეალურად ჩვენ ისინი არასოდეს გვიმართია და არც კი ვიცით, რა ხდება მის ბუღალტერიაში.

ასე რომ, ჩვენი მხრიდან უცხოელ ინვესტორს ხელშეწყობის მეტი არაფერი მიუღია. თუკი იყო პრობლემები, ეს ქვეყანაში ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარების ბრალია, რომელიც ისევე მოქმედებდა "მეტეხზე" (მის დატვირთვაზეც), როგორც ყველა სხვა სტრუქტურაზე.

"მეტეხმა" შექმნა ძალზე უარყოფითი პრეცედენტი ბიზნესის

ქართულ მორეკვში. კრიმინალური სამყარო, რომელიც, როგორც წესი, მცირე ბიზნესს "აკეთებდა", საერთაშორისო, მრავალმილიონიანი სტრუქტურის "მფარველად" მოგვეველინა. ამ იმიჯისაგან "მეტეხი" (და არა მარტო ის) უნდა გათავისუფლდეს.

— გასულ თვეში გაქრა ქართული საფირმო სახელწოდება მეტეხი და იგი გადაიქცა შერატონ-ოტელოდ. რაშია საქმე?

— როგორც გითხარით, "მეტეხს" მართავდა ფირმა "მარკო-პოლო". როგორც ჩანს, სასტუმროსათვის უკეთესი იყო მსოფლიო სახელის მქონე კომპანიის საფირმო ნიშნითა და მისი უშუალო მართვით მომხდარიყო ფუნქციონირება. ალბათ, არის სხვა, კულისებს მიღმა მიზეზებიც. ჩემი აზრით, "შერატონის" შემოსვლა საქართველოში მისასალმებელია. რაღაც ფორმით ქართული სახელწოდებაც რომ შენარჩუნებულიყო, არ იქნებოდა ურიგო. "შერატონიც" ხომ თავის დროზე ის გიგანტი არ იყო, რაც ამჟამად. იქნებ ჩვენც ოდესმე ისეთივე სიამაყით გვეთქვა "მეტეხი", როგორც შერატონზე ამბობენ— თუმცა, საერთაშორისო ბიზნესს საკუთარი კანონები აქვს. ჯერ ადრეა ჩვენი მხრიდან ამბიციებზე ფიქრი. ამის დროც მოვა. ახლა სულ სხვა პრობლემებზე უნდა ვიფიქროთ!

ოქტომბერი. 1997 წ.

ენთუზიაზმით საქმე არ კეთდება. ენთუზიაზმით საქმე იწყება

— ბატონო რომან, ბოლო პერიოდში მომხდარი რამდენიმე ინციდენტის ფონზე საქართველოში პოლიტიკური კლიმატი თანდათანობით იძაბება. ასეთ ვითარებას კარგად იყენებენ ის ძალები, რომლებიც ოცნებობენ დაიბრუნონ თავიანთი "ადგილი მზის ქვეშ", ანუ კვლავ გახდნენ შევარდნაძის ამალის წამყვანი წევრები. რა კომენტარს გაუკეთებდით ხელისუფლებისათვის ბრძოლის ამჟამინდელ გამოვლინებას. ხომ არ აზიანებს გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი ქვეყნის ინტერესებს?

— საერთოდ, ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებულია ასეთი მიდგომა: თუკი ხარ ოპოზიციაში, თვალი უნდა დახუჭო იმაზე, თუ რაიმე კარგს აკეთებს სახელისუფლებო უმრავლესობა და პირიქით, თუკი ხელისუფლებაში ხარ, არ უნდა შეამჩნიო (არც უნდა გაიზიარო) ის დადებითი, რასაც ოპოზიცია აკეთებს ან გთავაზობს. მოქმედებს პრინციპი რაც უფრო მეტი უსიამოვნება მიადგება პოლიტიკურ კონკურენტს, მით უკეთესია ჩემთვის. ამიტომ, ძალზე იშვიათია განსხვავებული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალების მიერ მოვლენათა არატენდენციური შეფასება. შესაძლოა, ასეთი მიდგომა ზოგადად დამახასიათებელიც იყოს პოლიტიკური პროცესებისთვის ყველგან, მაგრამ სხვა საკითხია, რა ზომით და რა ვითარებაში. როდესაც საქმე ეხება ქვეყნის ინტერესებს, ვიწრო პარტიულმა თუ პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიაზე დამყარებულმა ფაქტორებმა მეორე პლანზე უნდა გადაიწიოს. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდებოდა და არც ახლა ხდება.

რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას. ამჟამად მართლაც მომდინარეობს მრავალმხრივი დარტყმები ხელისუფლების იმ ფრთის მიმართ, რომელსაც აქვს დასავლური და არა პრორუსული ორიენტაცია. ეს დარტყმები მოდის როგორც რუსეთიდან, ასევე ქვეყნის შიგნიდანაც. გავიხსენოთ აჭარის ხელისუფლების მიერ მოწყობილი სკანდალი, მემარცხენე ყაიდის საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო პარტიების გააქტიურება, სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფებისა და ცალკეული პიროვნებების გეგმაზომიერი მცდელობა ხელისუფლების ე.წ. რეფორმისტული ნაწილის წარმომადგენელთა კომპრომეტირებისა და ა.შ.

ამ პროცესებს ემოციური მუხტი რომ შემატონ და ხალხისთვის გასაგებ ენაზე რომ გადაიყვანონ თავიანთი მცდელობა, მიმართავენ ჩვეულ მეთოდს: საქმე დაჰყავთ პიროვნებათა განქიქების დონეზე. იწყება პრობლემის პერსონიფიცირება და შემდეგ მათ ირგვლივ

არავჯანსაღი აჟიოტაჟის ატეხა. ამჟამად, როგორც იტყვიან, "პროგრამაში" "ჟვანია და მისი გუნდი" ჰყავთ.

— გამოდის, რომ ჟვანიას "ტერორისტობის" შესახებ მავანთა აღსარება იქნება ეს თუ ზოგიერთების მიერ ანტიკორუფციული კომისიის თაგვისვერდამჭერ მჩხავანა კატად გამოცხადება, რაღაც მიზანს ემსახურება?

— თბილისში არსებული მემარცხენე (და არა მარტო მათი) ძალების მიზანია ჩამოაცილონ ჟვანია და მისი გუნდი შევარდნაძეს და დაიკავონ მათი ადგილი (ეგულისხმობ გავლენას და არა პოსტებს). აჭარაში ატეხილი ხმაური შეიძლება შეფასდეს, ერთი მხრივ, როგორც რუსეთის პოზიციების გაძლიერების მცდელობა ამ რეგიონში, მეორე მხრივ კი, იმ წმინდა ავადმყოფური, პარანოიალური შეტევებით, რომელიც დროდადრო ჰპოვებს ხოლმე გამოვლინებას აჭარის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ის ძალები, რომლებსაც არც ერთი მხარე ეხატება გულზე და არც მეორე, ჩვენი პოლიტიკოსებისათვის ტრადიციულ ზემოთ ნახსენებ პოზაში იმყოფებიან და მიაჩნიათ, რომ რაც უფრო უარესია სხვისთვის, უკეთესია მათთვის. არადა, აშკარად იგრძნობა ისეთი ძალების მომძლავრება (განსაკუთრებით ქონების ხელახალი გადანაწილების შედეგების გათვალისწინებით), რომელთაც არასოდეს ჰქონიათ სხვა ინტერესი, გარდა პირადი სტატუსისა და პირადი კეთილდღეობისა.

— ხომ არ გამოგვდის ისე, ორ რუსეთზე რომ უყვართ ხოლმე საუბარი - არის რუსეთი ტოლსტოის, დოსტოევსკის (თურმე იგივე ელცინის) და რუსეთი გრაჩოვების, ბაბურინების, ჟირინოვსკების. ჩვენი ხელისუფლებაც ხომ არ გავმიჯნოთ "კარგებად" და "ცუდებად"?

— ირონია სავსებით ლოგიკურია. ხელისუფლება ერთია და პასუხისმგებლობაც ყველაფერზე მას ეკისრება. მიუხედავად ამისა, არ ვიქნებით სწორი, თუ ყველას ერთი თარგით გავზომავთ. ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე მარტივი სქემები. პოლიტიკური პროცესიც ინტერესთა ბალანსია. სულაც არ იქნება გასაკვირი გვეთქვა, რომ მართლაც არის ხელისუფლებაში რეფორმატორული და ანტირეფორმატორული, კორუმპირებული და არაკორუმპირებული ნაწილი. გახსოვთ, ალბათ გურამ დოჩანაშვილის გმირი რომ ამტკიცებ, ერთს პლიუს ერთი განა ყოველთვის ორიაო... სერვანტესიც ერთი კაცია და ვიღაც გამვლელიცო. განა სააკაშვილიც დეპუტატია და ვიღაც "გამვლელი" პარლამენტარიც, რომელსაც ჩვენი ყველაზე დიდი მტერი სავალუტო ფონდი ჰგონია? ან რეზო შავიშვილიც "მინისტრია" და ნადიბაიძეც?

სხვათა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი ნაბიჯი შევარდნაძის საკადრო პოლიტიკაში (უფრო სწორი იქნებოდა, რომ

გვეთქვა - საბაზო პოლიტიკური ძალის არჩევაში) იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ე.წ. "უვანიას ფრთაზე" ანუ მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკურ ნაწილზე დაყრდნობა და მისი მხარდაჭერა.

მოქალაქეთა კავშირი რომ ყოფილი კომუნისტურ-კომკავშირულ-სამეურნეო აქტივისა და კონფორმისტული ინტელიგენციის ნაკრებია, ეს აღმოჩენას არ წარმოადგენს. ეს პარტია არაფერია შევარდნაძის გარეშე და მომავალში ამ სახით ვერც იარსებებს. ამ მასას პოლიტიკურ სახეს აძლევს ორი რამ - ერთი თვით შევარდნაძის ფაქტორი, როგორც ამ ორგანიზაციის ლიდერისა და მეორე - ახალგაზრდა პოლიტიკოსთა გუნდი, ძირითადად ყოფილი "მწვანეები", რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ ამჟამად "მოქალაქეთა" პოლიტიკურ სახეს. დანარჩენი, ასე ვთქვათ, "ჭაობი", მანამ იქნება ამ სტრუქტურის შემადგენლობაში, სანამდის აძლევს "შევარდნაძის ამალაში", "უმრავლესობის პარტიაში" ყოფნის საშუალება. ხელისუფლების პარტიაში ყოფნა მათ სჭირდებათ თავიანთი უსაფრთხოებისათვის, რაც საბოლოო ჯამში, მათი, როგორც პირადი, ასევე ჯგუფური ინტერესების დასაკმაყოფილებლად (მათ შორის წმინდა მერკანტილური — ქონების დასაგროვებლად) სჭირდებათ.

— დაახლოებით ისე გამოდის, როგორც ჩაპაევი ამბობდა! როდესაც მას ჰკითხეს, რომელ პარტიაში ხარო, უპასუხა - პარტია არ ვიცი მე, იქა ვარ, სადაც ლენინი არისო...

— არც მთლად ასეა საქმე. ჩაპაევის ეს სიტყვები მის იდეურობაზე მიუთითებს. სწამს ამ კაცის და იმიტომაც დგას იქ. ჩვენი ზემოთნახსენები პირებისათვის უფრო ყოზეფ ფუშეს პრინციპი გამოდგება, რომელიც ამბობდა, რომ იმ პარტიის წევრი ვარ, რომელიც ხელისუფლებაშიაო. ამიტომაც იყო, რომ ყველა ხელისუფლებას კარგად ერგებოდა... მოქალაქეთა კავშირის წევრების უმეტესობა (პირველ რიგში მათი რეგიონული წარმომადგენლობა), ხვალ რომ გამსახურდიას ე.წ. "კანონიერი ხელისუფლება" აღდგეს, დარწმუნებული ვარ, ასევე წარმატებით იქნებიან "უმრავლესობის პარტიაში".

ამ ფონზე, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, დღევანდელ სახელისუფლებო სტრუქტურებში მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული, პოლიტიკური ნაწილი არის ყველაზე ჯანსაღი რგოლი და ბოლო ხანებში მათ წინააღმდეგ მიმართული მრავალმხრივი დარტყმების (რუსეთიდან, თბილისიდან თუ ბათუმიდან) გათვალისწინებით, მათ მხარდაჭერა სჭირდებათ.

ბუნებრივია, ბევრს აღიზიანებს მათი არათანამიმდევრულობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისეთი ნაბიჯებიც იქნა გადადგმული, რომელიც თუმცა ძალზე მოკრძალებული, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი მოქმედება იყო. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მათი გარიყვა ბევრს უნდა და გარკვეული სიფრთხილე ზოგჯერ საჭიროც კი არის.

მოკლედ, როგორადაც არ უნდა ვაკრიტიკოთ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკა (რაზეც ორი აზრი თითქმის არავის აქვს, მათ შორის მის მხარდამჭერებსაც), არ ვიქნებით ობიექტურები, თუ არ აღვნიშნავთ იმას, რომ ეროვნული მოძრაობის არც თუ ისე წონადი, მაგრამ მაინც თვალშისაცემი ფრთის თავის ერთ-ერთ დასაყრდენ პოლიტიკურ ძალად გამოკვეთა იყო მის მიერ გადადგმული მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

— რამდენად მყარია ამ ჯგუფის პოზიცია. შევარდნაძე ხომ ხშირად ცვლიდა პარტნიორებს?

— შევარდნაძეს, მისი ჩამოსვლის დღიდან, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები სთავაზობდნენ თავის თავს დასაყრდენად. სხვადასხვა ეტაპზე იგი ირჩევდა ფავორიტებს, როგორც პარტიებს, ასევე პიროვნებებს. ეს იყო მეტად ჭრელი და ოდიოზური სიმბიოზი (გავიხსენოთ ბლოკი "მშვიდობა" თავისი მონარქისტებით, კომუნისტებით, სოციალისტებით, ლიბერალებით...) თითქმის ყველა მეტნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური ძალა (გარდა გამონაკლისი პარტიებისა) ილტვოდა მის გუნდში მოსახვედრად. ამ "ფავორიტმა ძალებმა" ძალზე ცუდად დაგვამახსოვრა თავი.

დღესაც, როდესაც ძირითადი პოლიტიკური, დიპლომატიური თუ სამეურნეო პოსტები ყოფილ პარტიულ და განსაკუთრებით - კომკავშირულ ელიტას უჭირავს, როდესაც სახელმწიფო ქონების გადანაწილების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა ძველი "პარტიულ-სამეურნეო აქტივის" პოზიციები ქვეყანაში, დღევანდელ ხელისუფლებაში აქა-იქ მიმობნეული (პარლამენტში კი შედარებით მეტად წარმოდგენილი) ახალი ტიპის პოლიტიკოსები ქმნიან იმ "უმცირესობას უმრავლესობაში", რომლებიც, თუკი ყოველთვის ვერ ახერხებენ კარგი საქმის კეთებას, ხელს მაინც უშლიან ცუდს. მათი დასუსტება არ წაადგება არც იმ ეროვნულ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მათ სავსებით ობიექტურად აკრიტიკებენ მრავალი მიზეზის გამო და არც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღების საქმეს.

— მიუხედავად იმისა, რომ აქლემისა და ნემსის ქურდი ნამდვილად არ არის ერთნაირი წონითი კატეგორიის ქურდი, თუკი პრესაში ატეხილ აურზაურს და სასამართლო გარჩევებს გავიხსენებთ, არც მთლად ანგელოზებად გამოიყურებიან ჩვენი ახალი ტალღის პოლიტიკოსები?

— მე არა ვარ კომპეტენტური განვსაჯო ამ დავაში მტყუანი და მართალი. ერთი რამის თქმა კი დაბეჯითებით შემიძლია: მთელი ცხოვრება რომ იპარონ ყოფილმა "მწვანეებმა", იმდენს მაინც ვერ მოიპარავენ, რამდენსაც ზოგიერთი ჩვენი ვიცე-პრემიერი ერთ დღეში იპარავდა.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარცხი, რაც საქართველოში პატი-

ოსანმა პოლიტიკოსმა და საერთოდ ნებისმიერმა წესიერმა ადამიანმა განიცადა - ესაა კორუმპირებული ძალების გამარჯვება საზოგადოებრივ აზრზე. მათ კარგად გამოიყენეს ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი თავისუფალი მასმედიის სისუსტეები და მათი მეშვეობით შექმნეს ისეთი სურათი, რომ ამ ქვეყნად წესიერი არავინაა. ამით მათ გადაირჩინეს თავი, აიცილეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან დანაშაულისათვის შეიძლება დასაჯო ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ შეუძლებელია ყველას დასჯა. მათი ქმედების ლოგიკა მარტივი იყო: "დასწამე ცილი ყველას, რათა საკუთარი დანაშაული ასევე ცილისწამებად იქნას აღქმული". საზოგადოებაში ამნაირად შექმნილ შთაბეჭდილებათა გამო, დღეს ვერავისზე იტყვი, პატიოსანიაო. კაცი არ მეგულება საქართველოში, მეტნაკლებად ცნობილი, ვისზეც არ უთქვამთ: ეს მოიპარა, ამის აგენტია, ამისაგან ქრთამი აიღოო.

სწორედ საზოგადოებრივი აზრის "დამსახურებაცაა" ის გარემოება, რომ არ დასჯილა არც ერთი ადამიანი, ვინც უზარმაზარი ზიანი მიაყენა ქვეყანას თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (თუ არ ჩავთვლით იმ პიროვნებებს, რომელთა დასჯაც განპირობებული იყო "პოლიტიკური მიზანშეწონილობით"). ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნე, ისიც იყო, რომ საყოველთაო ცილისწამების პირობებში გაძნელდა მტყუან-მართლის გარჩევა. ყველა რაღაცით დამნაშავე გამოვიდა. არადა, ეს ხომ ასე არ არის. ცილისწამებათა კამპანიამ კი თავისი შედეგი გამოიღო.

— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ერთი ნაწილის მხრიდან არის მცდელობა ებრძოლონ კორუფციას, შედეგი მაინც ნულის ტოლია. მოიტანს თუ არა პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის კამპანიური მუშაობა რაიმე შედეგს, თუ მოხდება ისე, როგორც "მარგიანის საქმესთან" დაკავშირებით გამოვიდა, ანუ იყო აურზაური, დამთავრდა ჩუში ზავით... უფრო სწორად, რეფორმატორთა მარცხით.

— კორუფციის დაძლევის პრობლემაზე ძნელია ორიოდე სიტყვით საუბარი. ის საზოგადოების ყველა კუთხე-კუნჭულში და მის ცნობიერებაში გამჯდარი სენია. მის აღმოფხვრას სჭირდება დრო, ძალისხმევა, ეკონომიკური კეთილდღეობა, კანონები, კულტურა, ზნეობა და ა.შ.

რაც შეეხება ანტიკორუფციულ კამპანიას, პირადად მე მირჩევნია, რომ იგი იყოს, ვიდრე საერთოდ არაფერი არ იყოს, ისევე, როგორც მირჩევნია არსებობდეს ასეთი კომისია, ვიდრე არ არსებობდეს. ერთი კომისიით პრობლემა რომ არ გადაიჭრება, ყველამ კარგად ვიცით. მთავარია რაღაცით დავიწყოთ, შევაჩვიოთ ჩვენი გონება იმას, რომ ეს არის პრობლემა, სერიოზული დაავადება და მას უნდა ამოძირკვა.

ამ კამპანიას აქვს ზნეობრივი (არა მარტო დამაფრთხობელი) დანიშნულებაც. ყველაფერი რაღაცით იწყება.

რაც შეეხება მარცხს, ეს პროცესი, სპორტული ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, არ არის სპრინტი. ესაა მარათონი. გამარჯვებულ-დამარცხებულს აჩვენებს დისტანცია.

ამ კონტექსტში, ერთი ანალოგიური აქცია მინდა გავიხსენო. როდესაც მთავრობაში მოვედი 1992 წელს, მრავალ სხვადასხვა რეფორმებთან ერთად, პირველივე დღეებში გამოვაცხადეთ სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა. უპირველეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციების გადახედვა და ე.წ. "ობეხეს" გაუქმება დავისახეთ მიზნად. ეს იყო ურთულესი ბრძოლა. ბევრს ჰგონია, რომ ეს ბრძოლა წავაგე. არა, ეს ასე სულაც არ არის. უკვე არ არსებობს ის მახინჯი სტრუქტურა, რაც მაშინ იყო. დღეს კონტროლის პალატას თავისი ფუნქციები აქვს, საგადასახადო სამსახურს თავისი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს კი თავისი. მაშინ კი "ობეხე" იყო ყველაფერი: რევიზორიც, კონტროლიორიც, პროკურორიც და ინკასატორიც. დღეს რომ ფუნქციები გამიჯნულია, არ არის განუკითხაობა და სამეურნეო სუბიექტთა კონტროლის სფერო მეტნაკლებად მოწესრიგებულია, სწორედ იმ რეფორმების შედეგია.

ერთი კია, არც მაშინ და არც ახლა, ჯანსაღი სტრუქტურების დამკვიდრება არასდროს ყოფილა ხელისუფლების, როგორც ერთიანი გუნდის სადარდებელი. ბევრმა რამემ ენთუზიასტების მხრებზე გადაიარა. ენთუზიაზმით კი საქმე არ კეთდება, ენთუზიაზმით საქმე იწყება.

ჩვენს პირობებში ესეც საქმეა!

დეკემბერი. 1997 წ.

საქართველო რეფორმებს გენერალ შარაშენიძეს უნდა უეადლოდეს

რომან გოცირიძესთან შეხვედრისას მრავალ საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებზე ვისაუბრეთ. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მხოლოდ კურიოზებზე შევაჩერებთ. იმედია ჩვენი რესპონდენტი ამით არ გაგვინაწყენდება და ავტორის არჩევანს საშობაო მილოცვად მიიღებს.

სამგზის პირველკურსელი

სკოლა გალის რაიონში დავამთავრე. მინდოდა ფილოსოფიურზე ან ფილოლოგიურზე ჩამებარებინა. იმ პერიოდში აღნიშნულ ფაკულტეტებზე რომ ჩარიცხულიყავი, თითქმის ყველა საგანში უმაღლესი შეფასება უნდა მიგელო. ვინაიდან უცხო ენაში მოვიკოჭლებდი, გადავწყვიტე, არ გამერისკა და სხვაგან ჩამებარებინა. ამით "ჯავშანს" მივიღებდი და ჯარიდან გავთავისუფლდებოდი, შემდეგ კი მშვიდად მოვემზადებოდი მომავალი წლისათვის. ასეც მოვიქეცი.

ჩავაბარე ეკონომიკურზე, სამიოდე თვე ვიარე ლექციებზე, შემდეგ გამოვიტანე საბუთები. მაისში სამხედრო კომისარიატიდან შეტყობინება მივიღე, არ გამოვცხადდი, რადგან მისაღები გამოცდები კარს იყო მომდგარი. კვლავ დილემის წინაშე აღმოვჩნდი: უცხო ენა აქილევსის ქუსლად რჩებოდა. ავდექი და ისევ ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე.

პირველ სექტემბერს ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი ნათელა მესხი ჩვენს ჯგუფში რომ შემოვიდა, მიცნო და სტუდენტებს ასე მიმართა: ეს ბიჭი მთლად ნორმალური არ გეგონოთ, აი, ნახავთ, ორიოდე თვეში თუ არ მიგატოვოთო. ახდა ქალბატონი ნათელას წინასწარმეტყველება, მაგრამ სულ სხვა მიზეზით...

რადგან მაისში თავი ავარიდე გაწვევას, როგორც "დეზერტირს", გამიუქმეს ჯავშანი და უკვე სტუდენტს (თანაც ორგზის) თავი მიკრეს ციმბირს იქით, ვლადივოსტოკის მისადგომებთან. მანამდე მე და მამაჩემმა თხოვნით მივმართეთ საქართველოს სამხედრო კომისარს, რომ ჩემთვის სწავლის გაგრძელების საშუალება მოეცა. მან საკმაოდ მკაცრი ტონით მითხრა: მადლობელი იყავი, ჯარში კი არა, ციხეში რომ არ მიდიხარო...

დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, როდესაც ვიცე-პრემიერი გავხდი, ერთი მხიარული გენერალი გავიცანი, ისიც ახლად დანიშნული იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

ხშირად მიხდებოდა მის გვერდით ყოფნა. არც გენერლისათვის და არც სხვისთვის არ მითქვამს, რომ მინისტრის მოადგილე სწორედ ის კომისარი შარაშენიძე გახლდათ, რომელმაც საბრალო სტუდენტს ჩინეთის საზღვარზე ამომაყოფინა თავი. ყოველივე ამას საჯაროდ პირველად ვამბობ.

ერთ რამეში კი ნამდვილად ვემადლიერები ბატონ შარაშენიძეს. სამხედროდან დაბრუნებულს არავითარი სურვილი აღარ მქონია გავმხდარიყავი ფილოლოგ-ფილოსოფოსი და პატიოსნად შევუდექი ეკონომიკის შესწავლას. ჯარიდან დაბრუნებული უკვე მესამედ აღმოვჩნდი ეკონომიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე.

ეტყობა, ეს თავგადასავალი გახდა იმის მიზეზი, რომ ჩემდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩვენი დეკანი, ქალბატონი ნათელა მესხი. მისი შუამდგომლობით გავხდი ლენინური სტიპენდიანტი, მანვე მოაპოვებინა ჩემთვის ასპირანტურის ადგილი (რაც იმ დროს მხოლოდ პროტექციით ხდებოდა) და საერთოდ, ყოველთვის გვერდით მედგა. გული მწყდება, რომ სათანადოდ ვერ გადავუხადე სიკეთე. იქნებ, ამ სამადლობელო სიტყვებმა ქალბატონ ნათელამდეც მიაღწიოს: იგი დღესაც უამრავ ყოფილ სტუდენტს უყვარს და ეთაყვანება...

როგორ გავხდი გმირი

ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ძირითადად მოსკოვში მიწევდა ყოფნა. ანდროპოვის მკაცრმა რეჟიმმა ჩვენს საერთო საცხოვრებელსაც დაატყო ხელი. კომენდანტის ნებართვის გარეშე ნაცნობ-მეგობრებს ვერ ვიღებდით სტუმრად. კომენდანტი კი ერთი უუმური კაცი გახლდათ...

მამაჩემს, როგორც მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს, უამრავი ჩინ-მედალი ჰქონდა. მთხოვა, რომ გამეკეთებინა ე.წ. "პლანკა", რომელსაც მედლების ნაცვლად იბნევდნენ მკერდზე. თან გამატანა ჯილდოების დამადასტურებელი საბუთებიც. ერთხელაც კორპუსის კომენდანტი შემოვიდა ჩემს ოთახში. მაგიდაზე უამრავი საბუთი იდო, სადაც ეწერა, რომ რ.გოცირიძე (მამაჩემს რაჟდენი ჰქვია) არის ამა და ამ ორდენისა თუ მედლის კავალერი. კომენდანტს გაოცებისაგან თვალები შუბლზე აუვიდა. მივხვდი, რაღაც ეშლებოდა... მეც ყალბი მოკრძალებით ვუთხარი: ჩინეთის საზღვარზე ვმსახურობდი, ყოველ ზამთარს, როგორც კი ამური გაიყინებოდა, ჩინელი დივერსანტები გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ ჩვენს ტერიტორიაზე. მეც, მეტი რაღა დამრჩენოდა, ვიჭერდი და ვიჭერდი მათ. მედლების უმრავლესობა ამისათვის მიეიღე. იყო სხვა ამბებიც, მაგრამ ამაზე აქ ლაპარაკის

უფლება არა მაქვს, მეთქი. იმ დღის შემდეგ სალამს ვერ ვასწრებდი. მლიქვნელურად მიღიმოდა, ჩემთან მოსულ სტუმარს კი კარი მუდამ ღია ხვდებოდა.

მეტი რა უნდა ქალს

ვიდრე რომან გოცირიძე მორიგ კურიოზს მოგვითხრობდეს, მის მეუღლეს გაგაცნობთ: ქალბატონი მანანა შარაშიძე ფსიქიატრია, მუშაობს ფსიქიატრიის სამეცნიერო — კვლევით ინსტიტუტში.

ჩვენს შეკითხვაზე - რით შეძლო რომან გოცირიძემ თქვენი მოხიბვლა - უპასუხა: "ჭკუით და კომპლიმენტებით. ასე მეუბნებოდა, ჩემს გემოვნებას არ შეესაბამები, ქალი უნდა იყოს ლამაზი და სულელი, შენ კი, სამწუხაროდ, ლამაზი და ჭკვიანი ხარო... მეტი რა უნდა ქალს?"

პოეტი ავთანდილ მარგიანი

ამერიკაში, მსოფლიო ბანკში ყოფნისას, ერთ მეტად პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. კონფერენციას საქართველოში დემოკრატის იმიჯის მქონე ერთი მაღალი თანამდებობის პირიც ესწრებოდა. რესტორანში ავედით. თან გვახლდა ჩემი მეუღლე. "დემოკრატმა" ცოტა რომ შესვა და გულწრფელობის საღერღელიც აეშალა, მისაყვედურა: რას გადაეკიდეთ ამ ავთანდილ მარგიანს, იცით, რა კაცია?! ისეთ ლექსებს წერს, შეუძლებელია, არ დააფასო მისი ნიჭიო! ავთანდილ მარგიანის პოეტობის ამბავი ნამდვილად არ ვიცოდი და შეცბუნებულმა ვთხოვე, იქნებ რაიმე წაეკითხა... დაიწყო, მარა, რა დაიწყო! ისეთი ლექსები წაგვიკითხა, თვალებზე ცრემლი მოგადგებოდა კაცს...

ქეიფს რომ მოვრჩით, მეუღლემ მითხრა: როგორ მოგეწონა რევაზ მარგიანის ლექსებიო. რა-მეთქი?! - გადამკრა სიწითლემ. თურმე, იმ საწყალს რევაზ მარგიანის ლექსები ავთანდილ მარგიანისა ჰგონებია... მაგრამ არც მე ვიყავი უკეთეს მდგომარეობაში, მეც ხომ დავიჯერე!

ეჰ, ისე კი, არ სჯობდა, მართლა პოეზიას გაჰყოლოდა ის კაცი?...

ჯი-მინ-სუ

ქართული იუმორი, ისევე, როგორც ქართული სიმღერა მრავალ-ფეროვანი და კოლორიტულია. იუმორი შეიძლება იყოს "აკადემიური" და "იმპროვიზებული". პოლიტიკოსებში შეუდარებელია ედუარდ შევარდნაძის იუმორი ("აკადემიური" სკოლა). იუმორის მეფედ კი თემიკო ჩირგაძეს აღიარებენ, რომლის "იმპროვიზაციები" ხელოვნების შედევრების დონეზეა.

...სამხრეთ კორეაში ვიყავით ერთ-ერთი ცნობილი ფირმის მიწვევით, რომელიც საქართველოში სოლიდური კაპიტალის დაბანდებას აპირებდა. დელეგაციის შემადგენლობაში მთავრობის რამდენიმე წევრი, მათ შორის ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი მიხეილ ჯიბუტიც შედიოდა. მიშა, როგორც გურულების უმეტესობა, იუმორის გრძნობით დაჯილდოებულია. ისეთ ამბებს ჰყვებოდა, მთელ დელეგაციას მუცელი ხელით ეჭირა. უცნაური კი ის იყო, რომ რატომღაც ჩვენს მასპინძლებს მის ხუმრობაზე არ ეცინებოდათ. მიზეზი მოგვიანებით გაირკვა - თურმე, კორეელ თარჯიმანს ისევე სცოდნია რუსული, როგორც ჯიბუტს კორეული.

ერთ-ერთ წვეულებაზე ჯიბუტმა ჟენ-შენის ჩაი ითხოვა: "ჟენ-შენ ხაჩუ" - უთხრა თარჯიმანს. ჩვენმა ბედოვლათმა თარჯიმანმა, არც აცია, არც აცხელა და მასპინძლებს მოუთარგმნა: "ჟენშჩინას" ითხოვსო. ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე... მიშა მიხვდა, რომ არასწორად გაუგეს და კელავ გაიმეორა: ჩაი მინდა, ბატონო, ჟენ-შენიანი ჩაიო. მასპინძლებმა შვებით ამოისუნთქეს: "ჟენშჩინა" არ მოითხოვო, თორემ ჟენ-შენი თავზე საყრელად გვაქვსო...

მიირთვა მიშამ ჩაი და თქვა: როგორც ცნობილია, ჟენ-შენი "ჟენშჩინას" ანდომებს კაცსო. კორეელები უკვე აღარ დაიბნენ: სავსებით სწორი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, თქვენს მიერ მირთმეული ჟენ-შენი საზრუნავს ვერ გაგვიჩენს, იგი მხოლოდ თხუთმეტი დღის შემდეგ იწყებს მოქმედებასო. კი ვიცი, ამოიოხრა ჯიბუტმა, - მაგრამ ამაზე კი არ გეუბნებით, იმ ჟენ-შენზე მაქვს საუბარი, თხუთმეტი დღის წინ სახლში რომ დაელიეო... ამის თქმა იყო და, ჩვენს მასპინძლებს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდათ.

იმ დღიდან მოყოლებული ვამჩნეედი, როგორ საეჭვოდ ჩურჩულებდნენ ჯიბუტი და მასპინძლები. საღამოობით, ალბათ იმიტომ გადაიკარგებოდა ხოლმე მიშა, რომ ჟენ-შენის სარგებლობის შესახებ წიგნები ეკითხა სეულის ბიბლიოთეკაში...

მასპინძლებს, რომლებსაც ძალიან უჭირდათ მისი გვარის წარმოთქმა, ერთი პრობლემაც მოეხსნათ, ჯიბუტმა გამოგვიცხადა: დღეიდან ჯი-ბუ-ტი კი არა, კორეელების პატივსაცემად ჯი-მინ-სუ (სუ აღმატებულების ნიშანია) დამიძახეთო... ასეც ვეძახდით სტუმრებიც

და მასპინძლებიც.

"ნუ გეშინია, რომან!"

ევროსაბჭოს დელეგაცია ჩამოდიოდა საქართველოში, მე და ელდარ შემგელაია აეროპორტში უნდა დავხვედროდით. დაცვამ (რომელიც ნეენდამი სიმპათიებით იყო განწყობილი) გაგვაფრთხილა: გარეთ გასელა საშიშია, პარლამენტი კეტებით შეიარაღებული კარვის ქალებითაა გარშემორტყმული, თანაც ჯოხებზე რკინის კაუჭები აქვთ ჩამოცმულიო. ამ საუბარში ვიყავით, რომ გავიხედ-გამოვიხედე და ბატონი ელდარი აღარ იყო (როგორც მერე შევიტყვე, პირველი სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან გადამხტარა). სხვა გზა აღარ იყო, გავრისკე და გასასვლელისაკენ წავედი. ყიყინით გამოემართა ჩემსკენ რამდენიმე ქალი, ერთ-ერთი მათგანი დაწინაურდა: დამითმეთ ქალებო, მე უნდა გავპუტო ეს ოპოზიციონერიო. ეს თქვა და ყელში ჩამაფრინდა, მაგრამ იმწამსვე ოსტატურად დაიხარა და ფერდაკარგულს ყურში ჩამჩურჩულა: ნუ გეშინია, მაია ნათაძის (ნოდარ ნათაძის დის) ბიძაშვილი ვარ, აქ შემოვიპარეო. ამ ქალბატონმა ჯოხის ქნევა-ქნევით გამარიდა იქაურობას.

კარვის მაჭანკალი

კარვის ქალების ერთ-ერთი შემოტევის დროს, ალყაში მოქცეული რომან გოცირიძე მეგრული ენის ცოდნამ იხსნა (შეგახსენებთ გალის რაიონში დაიბადა და გაიზარდა). გაწიწმატებული მანდილოსნების ბრალდებაზე - რატომ არ გიყვარს შენ ჩვენი პრეზიდენტიო? გული აიჩვილა და დაარწმუნა ისინი, რომ პრეზიდენტის სიყვარულით მეგრული ენაც კი შეისწავლა. თავისი მეგრულით ერთ-ერთი ქალბატონი ისე აღაფრთოვანა, რომ მან მაჭანკლობა შესთავაზა: ჩვენს კარავში სამი ქორწილი გადავიხადეთ, მეოთხე შენი იქნებაო...

კიბოს ფორმულა

"ვიცე-პრემიერი ვიყავი, ზურაბ მურვანიძე რომ მომადგა: კიბოს წამალი აღმოვაჩინე, ფორმულა უკვე გამოყვანილი მაქვს, ახლა ექსპერიმენტების ჩატარებაა საჭირო და სამი მილიონი დოლარი მჭირდება

ამისთვისო. ეთხოვეთ, დაეწერა ეს ფორმულა. ამიხსნა, რომ ფორმულა სიტყვიერად ასე გამოითქმისო: "კუჭის კიბო უდრის შინაგანი მხურვალება პლიუს, მინუს..." და ა.შ., დაახლოებით ისე, როგორც ულდარ შენგელაიას "ალეგორიებში". გაოცებისაგან პირი დავაღე. მას შემდეგ მრავალგზის "აჯანსაღა "კიბოს ფორმულის" დაფინანსების შესახებ. ერთხელ დამეძებინა კიდეც, თუ თანხას არ გამომიყოფთ, ავდგები და ამერიკელებს მივი

ყველა დახმარების ეფექტიანობის კრიტერიუმი ისეთი ედგომარეობის შექმნაა, როდესაც დასახმარებელი არაფერი გვჭირს

— ბატონო რომან, ამ დღეებში საქართველოს კვლავ ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. როგორც წესად იქცა, ამას ვარკვეულ ძალთა მხრიდან მათი კრიტიკის გააქტიურება უძღვის. ვიცე-პრემიერად ყოფნის დროს თქვენ მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში საქართველოს წარმომადგენელი ბრძანდებოდით. ამდენად, ამ ორგანიზაციებს კარგად იცნობთ. თქვენი აზრით, სჭირდება თუ არა ისინი დღევანდელ საქართველოს?

— საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ამ საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციათა როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენთან ორი უკიდურესი მიდგომა შეიმჩნევა. ერთი მხრივ, ხელაღებული კრიტიკა, თითქოს, ეს ორგანიზაციები მკაცრი ფულად-საკრედიტო ღა საბიუჯეტო პოლიტიკის მოთხოვნით საქართველოში წარმოების განვითარებას ზღუდავენ. მეორე მხარე კი თვლის, რომ მათი ფინანსური დახმარების გარეშე ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენება შეუძლებელია.

ბუნებრივია, უკიდურესობანი ჭეშმარიტებას არ ასახავს, თუმცა, არც ის იქნებოდა მართებული, ჭეშმარიტება ამ უკიდურესობათა სადღაც შუაში გვეძებნა. ამ შემთხვევაში, ქვეყნის რეალური მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ. რომელიმე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნისათვის, ფინანსური დისბალანსის გამო დროდადრო ამ ორგანიზაციათაგან მხარდაჭერას რომ საჭიროებს, კრიზისის დაძლევის ერთადერთ საშუალებად ხსენებულ ორგანიზაციებს ნამდვილად ვერ მივიჩნევთ, თუმცა მათი წვლილიც ძალზე მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი რეალობა ისეთია, როცა ერთ-ერთი ზემოაღნიშნული უკიდურესობა ჭეშმარიტებას შეიცავს. საქართველოში ამ ორგანიზაციათა ფინანსური ინიექციის გარეშე ბიუჯეტის დაბალანსებაზე, ეროვნული ვალუტის მყარი კურსის შენარჩუნებაზე, ინფლაციის შეჩერებაზე და საერთოდ, რაიმე სტაბილიზაციაზე საუბარიც კი წარმოუდგენელია. არის ერთი გარემოებაც, რაც ჩვენისთანა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია. თუ რეფორმის მიმდინარეობისას ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის კომპეტენტურობის ხარისხს გავითვალისწინებთ, აგრეთვე ფინანსური, ქონებრივი გადანაწილებით წარმოქმნილ თუ სხვა სახის კერძო ინტერესთა არსებობას და ამ ინტერესთა უკან ხელისუფლებას შესრდილ მძლავრ ჯგუფებს, ამ ორგანიზაციათა მხრიდან ზეწოლის გარეშე აუცილებელი და

გონიერული ეკონომიკური ნაბიჯების გადადგმა შეუძლებელი იქნებოდა. ისინი ზეწოლას მაშინ ემორჩილებიან, თუკი პირობის შეუსრულებლობას რაღაც შედეგი მოსდევს – ეს შედეგი კი, რეკომენდაციების მიუღებლობის ან ორმხრივი შეთანხმებული პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევათა გამო, დიდძალი ფინანსური დახმარების შეწყვეტა გახლავთ.

— გამოდის, რომ ხელისუფლება, როგორც იტყვიან, უფრო შიშით ახორციელებს რეფორმას, ვიდრე სიყვარულით...

— რაღა თქმა უნდა, გადამწყვეტია არა შეგნება, არამედ შიში სანქციისა. ეს, რასაკვირველია, უმაღლესი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს არ ეხება.

— მაგრამ, საერთაშორისო სავალუტო ფონდს არა მხოლოდ შემარცხენეები, შემარჯვენეებიც აკრიტიკებენ...

— საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მემარცხენე კრიტიკოსები ძირითადად სოციალისტური და პროკომუნისტური ძალებია. პოსტსაბჭოურ სივრცეში მათი მსგავსი მოძრაობა ადვილი შესამჩნევია. რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით ხშირად გვესმის ანალოგიური მსჯელობანი "შეზავებული" ზიუგანოვის თუ ლუკაშენკოს ფრიად ოდიოზური გამონათქვამებით... არანაკლებ ოდიოზური მსჯელობით მათ მხარს ქართველი მემარცხენეებიც უმშვენებენ. ეს ასე ვთქვათ, იდეოლოგიური საფუძველია, თუმცა, იდეოლოგიურ სიწმინდეს ბოლომდე მაინც არავინ იცავს და ამგვარი მსჯელობანიც უფრო პოპულიზმის გამოვლინებაა. ეს პოლიტიკური თამაშის ელემენტია, როცა ვიღაცა ხალხისთვის "ზრუნავს", ხელფასებისა და პენსიების მომატებასა და სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამების დაფინანსებას ითხოვს, თუმცა კარგად იცის, რომ ქვეყანას ამის შესაძლებლობა არა აქვს.

მეორე მიზეზი მათი კრიტიკისა წმინდა ფინანსური და მატერიალური ინტერესი გახლავთ. დაინტერესებული ძალები თავისი გავლენის სფეროში მოქცეული საწარმოებისათვის სხვადასხვა საგადასახადო თუ საბაჟო შეღავათს ითხოვს და კონკურენციის თავიდან აცილებასა და მისთვის ხელსაყრელი რეჟიმით მუშაობას ცდილობს. თანაც, ასეთი მოთხოვნა სახელმწიფოებრივი ზრუნვისა და სამამულო წარმოების განვითარების "დიადი მიზნითაა" შეფერილი.

რაც შეეხება კრიტიკას მარჯვნიდან, ეს ობიექტური კრიტიკაა, თუმცა იგი არა იმდენად ამ საერთაშორისო ორგანიზაციებისადმია მიმართული, არამედ ჩვენი ხელისუფლებისადმი, რომელიც ხშირად ღირსეულ და თანასწორ პარტნიორად ვერ გამოდგება ხოლმე და საერთაშორისო ორგანიზაციებს ადგილობრივ პრობლემებს სრულად ვერ აწვდის, რის გამოც ფინანსური თუ საკონსულტაციო დახმარება იმ შედეგს ვერ იძლევა, რაც შეიძლებოდა გამოელო.

— ჯერ-ჯერობით ფინანსური დახმარება ქვეყანას ვალად აწვება. რამდენად გამართლებულია დღევანდელი პრობლემების ვალით გადაწყვეტა?

— გააჩნია ვალს ვისგან, რა პირობით და რა მიზნით ვიღებთ. დღეისათვის საქართველოს საგარეო დავალიანება მილიარდ დოლარს აჭარბებს. იგი ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ერთი — ეკონომიკურად არაეფექტიანი და პოლიტიკურად კაბალური კრედიტები, ძირითადად საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისა (პირველ რიგში რუსეთის და თურქმენეთის ვალი) და მეორე — ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციებისა (სსფ და მსოფლიო ბანკი). თუ თურქმენეთის უსარმა'სარ ვალს ეკონომიკური ეფექტი მაინც ჰქონდა — გა'ხს გვაწოდებდა, დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებსა და უპირველესად რუსეთთან ხელშეკრულების უკან მხოლოდ უმნიშვნელო მატერიალური სარგებელი იდგა. დავალიანების უდიდესი ნაწილი ე.წ. "ტექნიკური" კრედიტი იყო, რითაც რუსეთმა ჩვენს სამეურნეო სუბიექტებს, ცენტრალიზებული წესით, ეროვნული ბანკის მეშვეობით, ამავე ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელობისაგან პრივილეგირებულ პირებზე კრედიტების ვითომდა საქონლის შესაძენად გადარიცხვის შესაძლებლობა მისცა. შემდგომ ამ თანხების მყარი ვალუტით კონვერტაცია ხდებოდა და რუსეთის თუ საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშებზე იგზავნებოდა. ამით ხელი მოითბეს ადგილობრივმა და "პარტნიორი" ქვეყნის ავანტიურისტებმა, საქართველოს მოქალაქეს კი ეს ვალი კისერზე დააწვა. ბიუჯეტში არც თუ მცირე თანხაა ამ ვალის მომსახურებისათვის ჩადებული, რაც, ბუნებრივია, თითოეული მოქალაქისათვის მკურნალობის, განათლების და სხვა აუცილებელი სოციალური ხარჯების დაუფინანსებლობას ნიშნავს.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებს, მათი პირობები და გადახდის ვადა, აგრეთვე პოლიტიკური შინაარსი იმდენად ხელსაყრელია, რომ მას ნამდვილი ფინანსური დახმარება უნდა ეწოდოს.

— თქვენი აზრით, რამდენად მართებულია საკითხის ასე დასმა, რომ სჯობს ახლა არ ავიღოთ ან ნაკლებად ავიღოთ ვალი და უფრო მეტად ავამოქმედოთ საკუთარი შესაძლებლობანი?

— ბუნებრივია, ვალით ცხოვრებას საკუთარი რესურსებით პრობლემის გადაჭრა სჯობს. საერთაშორისო ორგანიზაციათა შეღავათიანი კრედიტები 'სოგ ქვეყანას ბოლომდე არც დაუხარჯავს, რადგან, საკუთარი ფინანსური და მატერიალური რეზერვების მობილიზაციის უნარი აღმოაჩნდათ. რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ ვითარებას, ადვილი წარმოსადგენია, როგორი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა იქნებოდა, რომ არა ის თანხები, რასაც

საერთაშორისო ორგანიზაციები გვაძლევენ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისათვის, თუმცა ამ დახმარების შედეგი უნდა ყოფილიყო არა მარტო მიმდინარე პრობლემების მოგვარება, არამედ მისი ეფექტიანი გამოყენებისა და სწორი დარგობრივი პრიორიტეტის განსაზღვრის საფუძველზე ეკონომიკის გამოცოცხლება.

— ეკონომიკის გამოცოცხლებას, ერთი მხრივ, წარმოების დაცემის შეჩერება და ეროვნული შემოსავლის ტემპის მატება მიუთითებს, მეორეს მხრივ კი, საგადასახადო მექანიზმის გაუმჯობესებით ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა.

— შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის ძვრები, რაც უკვე ხდება და სტატისტიკითაც ვლინდება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეროვნული შემოსავლის მატება საქართველოში არა იმდენად წარმოების გამოცოცხლების შედეგია, რამდენადაც დამალული შემოსავლების ლეგალიზებისა. ამა'ში მნიშვნელოვანი როლი საგადასახადო შეღავათების გაუქმებამ ითამაშა, ეს შეღავათები შემოსავლების დაფარვის ერთ-ერთი სერიოზული სა'შუალება იყო. მიუხედავად ამისა, დღესაც კი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მესამედი და უფრო მეტი "იატაკქვეშ", ჩრდილოვანი სექტორის სახით იქმნება და მისი ლეგალიზაციის შემთხვევა'ში წარმოქმნილი საბიუჯეტო შემოსავლის მატება სულაც არ ნიშნავს წარმოების რეალურ ზრდას. ეს ორგანიზაციული ქმედების შედეგია და არა ეკონომიკური გამოცოცხლებისა.

ვუბრუნდები იმ საკითხს, თუ რა ეფექტი მოაქვს საერთაშორისო დახმარებას. რომ არა ეს დახმარება, სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად (მათ შორის პოლიტიკური არასტაბილურობის ჩათვლით) ავტომატურად დაეცემოდა წმინდა საბიუჯეტო შემოსავლები 3-4 წლის წინანდელ დონემდე.

საერთოდ, ყველა დახმარების ეფექტიანობის კრიტერიუმი ისეთი მდგომარეობის შექმნაა, როცა დასახმარებელი არაფერი გჭირს. თუ ასეთი ვითარება მალე შეიქმნება, სწორედ ეს იქნება ჩვენი ეკონომიკის რეალური გამოცოცხლების ჭეშმარიტი ნიშანი.

დეკემბერი. 1997 წ.

ეკონომიკის სტაბილიზაციის მთავრობის პროგრამა სიტყვასიტყვით არის გადაწერილი ჩემი პროგრამიდან

— ბატონო რომან, მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის დაწყება. რა იგულისხმება პირველ ეტაპში და რამდენად წარმატებით იქნა იგი განხორციელებული?

— მთავრობა რეფორმების პირველ ეტაპში გულისხმობდა რამდენიმე მომენტს, კერძოდ - ა) პურის ფასების გათავისუფლება; ბ) ელექტროენერგიის ფასების მოწესრიგება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი მომატება. გ) ლარის შემოღება; დ)პრივატიზაციის პროცესის გაღრმავება (მსსვილ საწარმოთა აქციონირების გზით).

თუმცა, ამის შემდეგ ლოგიკურად ისმება კითხვა: კი მაგრამ რომელი ეტაპი იყო ის, როცა 1992-1993 წლების განმავლობაში მოხდა ფასების სრული ლიბერალიზაცია ათეულ-ათასობით დასახელების საქონელზე (გარდა პურის ფასისა, რომელიც მაშინ ვერ გავათავისუფლეთ სწორედ იმ ადამიანთა მიზეზით, რომლებიც დღეს მიიწერენ რეფორმატორობას), როდესაც ერთი ხელის დაკვრით უკლებლივ ყველა მოქალაქემ მიიღო კერძო საკუთრებაში ის ბინები, რომელსაც ისინი ფლობდნენ, თანაც ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე, რომელ ეტაპს მიეკუთვნება მიწების დარიგება გლეხებისათვის (რომლის შემდეგაც საქართველოში ერთი მტკაველი მიწაც არ გადაცემულა კერძო საკუთრებაში), რას მივაკუთვნოთ სამინისტროთა და მართვის მთელი სამეურნეო სისტემის რეფორმა, მათი ფუნქციების შეცვლა, საწარმოთა და გაერთიანებათა დემონოპოლიზაცია, ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია, რომელმაც ფაქტობრივად ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა საბაზრო ეკონომიკას. რეფორმის რომელი ეტაპია ჩვენს მიერ განხორციელებული მცირე საწარმოთა (პირველ რიგში, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ობიექტები) სწრაფი პრივატიზაცია და მსხვილი საწარმოების აქციონირების პროცესში პირველი, გამკვალავი ნაბიჯის გადადგმა, განა რეფორმის ურთულესი შემადგენელი ნაწილი არ იყო საკუთარი ეროვნული ვალუტის - კუპონის შემოღება და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო და საფინანსო სისტემის შექმნა და ა.შ. და ა.შ. არ ვიცი რომელი ერთი ჩამოვთვალო. მათი აზრით კი, თურმე რეფორმა ის ორიოდე ნაბიჯი ყოფილა, რომელიც, რომ არა საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციების ზეწოლა და ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის მუქარა, ალბათ კიდევ დიდხანს არ გადაიდგმებოდა და რომლის განხორციელებასაც მთელი ხუთი წელიწადი მოანდომეს.

— თქვენს მიერ დაწყებული რეფორმები მიმდინარეობდა იმ პერიოდში, როდესაც ახალი დაწყებული იყო საომარი მოქმედებები შიდა ქართლში და აფხაზეთში. ღვიოდა სამოქალაქო ომი დასავლეთ საქართველოში, წამდაუწუმ იტაცებდნენ ვიცე-პრემიერებს, მინისტრებსა თუ ძალოვანი სისტემის უმაღლესი თანამდებობების პირებს. საქართველო მაშინ იყო სრული ფინანსური და სავაჭრო იზოლაციის პირობებში რუსეთის მხრიდან. კარგად მახსოვს, თქვენ მაშინ გიწეყდათ მოსკოვში ხშირი ვიზიტები ჩვენთვის კუთვნილი იმ ნაღდი ფულის ნიშნების ჩამოსატანად, რომელიც მ თვის განმავლობაში არ მიგვეღო და არც შემდგომ მიგვიღია. ცოტა გრძელი შეკითხვა კი გამომივიდა, მაგრამ ამით იმის თქმა მინდა: ხომ არ იყო ნაჩქარევი რადიკალური გარდაქმნების დაწყება. ხომ არ ჯობდა, რომ უკეთესი დრო შეგეგერჩია?

— არავითარ შემთხვევაში. მაშინ დაგვიანება დაღუპვის ტოლფასი იყო. თქვენ სწორად გაიხსენეთ რუსული მანეთის მოწოდების შეწყვეტის მაგალითი. საქართველო მაშინ ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამანეთო სიერცეში. გარდა დეკლარირებული დამოუკიდებლობისა და მისი ორიოდე ატრიბუტისა, რეალურად ჩვენ არ გაგვაჩნდა ავტონომიურად მართვის ბერკეტები. საჭირო იყო მათი შექმნა, პირველ რიგში კი, საფინანსო - ეკონომიკურ სფეროში. როცა ქვეყანაში სუსტი ფულადი ერთეულია, ქვეყანა უმძიმეს კრიზისში ჩავარდება, ხოლო როცა ქვეყანაში არ არსებობს საკუთარი ფულადი სისტემა, ის ქვეყანა განწირულია დასაღუპად. სხვა გზა არ იყო, უნდა დაგვეწყო სწრაფი გარდაქმნები. რეფორმა თავისთავად არის უმძიმესი პროცესი. იგი ორმაგად უფრო მძიმეა, როდესაც მისი განხორციელება აუცილებელია ისეთ ვითარებაში, როდესაც გარშემო ინგრევა ყველაფერი (ვგულისხმობ საბჭოთა კავშირის დაშლას), როდესაც ხარ გარშემორტყმული მტრული ძალებით, ქვეყანა შინააშლილობის პერიოდშია, არ გააჩნია არც მყარი ვალუტის რეზერვები და არც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართვის სისტემები. ერთბაშად უნდა აკეთო უამრავი რამ. მოლოდინი დაღუპვის ტოლფასი იყო. ჩვენ დავიწყეთ დროულად. სამწუხაროდ, მაშინაც და ჩვენს შემდგომაც, ბევრი რამის გაკეთება ვერ ხერხდებოდა. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა, ძირითადი მაინც იყო ერთიანი გუნდის არარსებობა. დაგვიანება ჩვენი ხელისუფლების ქრონიკული სენია. ამით ჩვენ ბევრი რამ დაეკარგეთ. თუნდაც გავიხსენოთ ის უზარმაზარი რიგები, რომელიც პურზე იდგა. საჭირო იყო ფასების გათავისუფლება, რათა წარმოება გამოცოცხლებულიყო. ნაცვლად ამისა, ჯერ კიდევ ჩემი ვიცე-პრემიერობის დროს, ყურად არ იღო რა არც მთავრობამ, არც პარლამენტმა ჩვენი მოთხოვნა, კიდევ უფრო ოდიოზური გადაწყვეტილება

მიიღო პურის ტალონების შემოღების სახით. ამან მთლად მოსპო ეს სისტემა. თითქმის სამი წელიწადი და სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის გამუდმებული მუქარა დასჭირდა იმას, რაც შეშდეგ მთავრობამ განახორციელა. არა და დაიკარგა დრო, რესურსები (რომელიც ასე აკლია უამრავ სხვა სფეროს). ასევე აგვიანებს მთავრობა თითქმის ყველაფერში. ამიტომ მიმაჩნია, რომ რეფორმები დაიწყო დროულად და სწორად. ეს რეფორმები დაიწყო ახალგაზრდა რეფორმატორთა მცირე ჯგუფმა, რომელსაც მაშინდელ მთავრობაში ეკონომიკური რეფორმების შტაბის სახელით მოიხსენიებდნენ. დაიწყო ისეთ ვითარებაში, როდესაც მას მხარს არ უჭერდა არც საპარლამენტო უმრავლესობა, არც მთავრობის უდიდესი ნაწილი და არც საზოგადოებრივი აზრი. ასეთი გარდაქმნების გარეშე ქვეყანა გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე იგი ამჟამადაა. მომავლის პერსპერქტივაც უფრო ბუნდოვანი იქნებოდა.

— თქვენ ამბობთ, რომ არ იყო მხარდაჭერა. ცოტა რბილად ხომ არ გამოდის ნათქვამი. იყო თუ არა ხელის შეშლა ხელისუფლების გავლენიანი პირების მხრიდან?

— რა თქმა უნდა იყო, რაც გამოწვეული იყო როგორც წმინდა კონცეპტუალური შეუთავსებლობით, აგრეთვე ინტერესთა ბრძოლის (მათ შორის პირადი და ჯგუფური) შედეგად. მაგალითად ისიც კმარა, თუ რა ბედი ეწია პირველ ეროვნულ ვალუტას - კუპონს. როცა პარლამენტის სპიკერი გოგუაძე გაიძახოდა - არ გვინდა ეროვნული ვალუტა, დავბრუნდეთ სამანეთო ზონაშიო, ფინანსთა მინისტრი პოპიაშვილი ქადაგებდა - კუპონი დროებითი ფულია და არ უნდა იყოს ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალებაო, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დვალიშვილი ასეულ მილიონობით დოლარის ექვივალენტ თანხას ჩუქნიდა გავლენიან პირებს და ბიძგს აძლევდა ინფლაციას, და როდესაც ქვეყნის პრეზიდენტიც ძალზე გვიან მიხვდა ასეთი პოლიტიკის დამღუპველობას, რომელ მხარდაჭერაზე შეიძლება საუბარი. ამ და სხვა მრავალი ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ხასიათის უარყოფითი პროცესების მიუხედავად, ქვეყანაში გატარებულმა პირველმა, უმთავრესმა რეფორმებმა მაინც გამოიღო ის შედეგი, რომლის შემდეგაც ისპობა პროცესების უკუშექცევის შესაძლებლობა. ჩვენ უკვე გადავაბიჯეთ იმ ზღვარს, როცა შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ძველისაკენ დაბრუნება შეუძლებელია. უკვე აშენებულია ის ძირითადი ფუნდამენტი, რომელზეც შეიძლება მომავალში მყარი შენობის აგება.

— მაინც ვაზუსტებ ჩემს კითხვას, რეფორმების რომელ ეტაპზე ვიმყოფებით ამჟამად?

— თუკი აუცილებელია რაღაცნაირი კლასიფიცირება ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ეტაპებისა, მე ვიტყოდი, რომ ესაა პირველი

ეტაპი, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ლიბერალიზაციას და სტაბილიზაციას. ეს პროცესი გაგრძელდება კიდევ ორი-სამი წელიწადი, შემდეგ კი შეიძლება საუბარი მეორე ეტაპის დაწყებაზე, როდესაც ძირითადი პრიორიტეტი იქნება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა და დარგობრივი პრიორიტეტების გამოკვეთა.

— ვინ იყო იმ მთავრობაში ე.წ. "პროგრესული ძალა", რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის საბაზრო გზით განვითარებას და ვინ იყო დამამუხრუჭებელი. გაზეთ "კავკასიონში" თემურ ბასილია წერდა, რომ თურმე რეფორმებს ამუხრუჭებდა რომან გოცირიძე და მიხეილ ჯიბუტი.

— რაც შეეხება თემურ ბასილიას ამ გამონათქვამს, ამის კომენტირება შეიძლება ორიოდე ფრაზით - ესაა სისულელე. მომიყიდა ხმები, რომ ბასილია უარყოფს ამ სიტყვებს და ყველაფერს გაზეთის ჟურნალისტის გამონაგონს უწოდებს. თუ ასეა, ელემენტარული წესიერება მოითხოვს, რომ ასევე გაზეთის მეშვეობით გამიჯვნოდა ამ მოსაზრებას. ასე რომ მომხდარიყო, ეს შეკითხვა თქვენ არც დაგებადებოდათ...

მაშინდელ მთავრობაში ძირითადად იყვნენ ადმინისტრაციული, კომუნისტური მეთოდებით მართვის მომხრეები. იყო რეფორმატორთა ჰატარა ჯგუფიც, მაგრამ გაცილებით მეტი ე.წ. "მეორე ეშელონი" - მინისტრების მოადგილეთა და სხვათა სახით. ახალგაზრდა სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული რეფორმების შტაბის აპარატი, რომლებიც მუშაობდნენ დოკუმენტებზე.

პარლამენტშიც იყო მცირე, მაგრამ წონადი ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერდნენ რეფორმებს.

— სად არის ამჟამად ეს ხალხი. რა ბედი ეწია "შტაბის" კადრებს?

— მათი ერთი ნაწილი უცხოეთში მუშაობს, მათ შორის მსოფლიო ბანკში და სავალუტო ფონდში. ნაწილი ამჟამინდელი პარლამენტის დეპუტატია, ნაწილი ბიზნესში გადაერთო.

— რა არის იმის მიზეზი, რომ უგულებელყოფილია წინათ ჩატარებული რეფორმები. "ერთ დროს პირველი რეფორმატორი" რატომ მოექცა ჩრდილში?

— მიზეზი ორ რამეშია: ჯერ ერთი, სხვათა დამსახურების დაკნინებით სურთ საკუთარი როლის გაზვიადება. მეორეც, მოქმედებს წმინდა პოლიტიკური ფაქტორი — რეფორმები დაიწყო ე.წ. "სიგუას მთავრობის" დროს და ამის აღიარება ძალაუნებურად შეასუსტებდა მაშინდელ პრემიერ-მინისტრზე განხორციელებული პოლიტიკური თავდასხმების ძალას. არა და ამ მთავრობის წევრთა უმეტესობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა რეფორმებთან.

ორივე ფაქტორი თანაბრად მოქმედებს და ძალზე ბევრს აწყობს

სხვათა წელილის მინქმალვა.

— მოკლედ, მოქმედებს ძველი, კომუნისტური პოლიტბიუროს პრინციპი, როდესაც ყველა ლანძღავს მის წინამორბედს?

— ზუსტი მიგნებაა. თუმცა ხანდახან "ერთ პოლიტბიუროში" მყოფთაც არ ავიწყდებათ ურთიერთლანძღვა. კარგად გახსოვთ ალბათ, ბასილიასა და პაპავას შორის ატეხილი დავა, — არა მე დაავწერე რეფორმების პროგრამა და არა მეო. მოკლედ, ვერ გაუყვიათ პირველი რეფორმატორის სავარძელი. არა და, ეკონომიკის სტაბილიზაციის მთავრობისეული პროგრამა სიტყვასიტყვით გადაწერილია ჩემი პროგრამიდან, თუმცა ამის მინქმალვას ყოველთვის ცდილობენ.

პოლიტიკური კონიუნქტურისა თუ სხვა, პირადი მოტივებით სხვათა ნამუშევრის დაუფასებლობა ან საკუთარ თავზე მიწერა უხნეობაა. როცა ქვეყანა (და ხალხი) ასეთ დღეშია, არც იმაზე საუბარია მაღალზნეობრივი, რომ რაღაც დამსახურებებზე ილაპარაკო. უბრალოდ, არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის შემდეგ კაცი იძულებული ხდება ხმა ამოიღოს.

მარტი. 1998 წ.

- ბატონო რომან, რით იყო აუცილებელი და რა მიზნით შეიქმნა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი?

- ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საბიუჯეტო პროცესის მართვაა. ჩვენი პარლამენტის დროის უდიდესი ნაწილი, ბუნებრივია, კანონების შექმნაზე იხარჯება, რადგან ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება უხდება - ჩვენ ხომ ათასზე მეტი კანონი გვაქვს მისაღები, რასაც ტრადიციულად ჩამოყალიბებული ქვეყნები რამდენიმე საუკუნეს ანდომებენ.

ამიტომ, თუკი ასე ვთქვათ, "ნორმალური" პარლამენტის მთავარი ფუნქცია ბიუჯეტის მართვაა, ჩვენს პირობებში ბიუჯეტის პრობლემა პარლამენტში მხოლოდ მისი დამტკიცებისას თუ დგება, რაც რა თქმა უნდა, სწორი არაა, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ვითარება ჩვენი რეალობის ანარეკლია.

საბიუჯეტო ოფისი პარლამენტის ის ინსტრუმენტი უნდა გახდეს, რომლის საშუალებითაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საგადასახადო, ფულად-საკრედიტო თუ ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს შესახებ ყველა სახის ინფორმაციას მიიღებს, რასაც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების, მიღებისა და დამტკიცებისათვის პირდაპირი თუ ირიბი გაელენა აქვს. ოფისი გაანალიზებს ამ ინფორმაციას და პარლამენტს იმ მოქმედებათა პროგრამას შესთავაზებს, რაც აუცილებელია როგორც ბიუჯეტის მისაღებად, ასევე საიმისოდ, რათა ორივე დონის ბიუჯეტმა – ცენტრალურმა და ადგილობრივმაც – ეკონომიკაზე თუ საერთოდ სოციალურ სფეროზე ეფექტური ზემოქმედება მოახდინოს. ოფისი – ესაა ოპონირების ინსტრუმენტი პარლამენტის ხელში მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიმართ. ამიტომ, ოფისს აქვს როგორც ანალიტიკური, ასევე ბიუჯეტის ფორმირების, დამტკიცების და შესრულების პროცესზე საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქცია. საბოლოოდ კი, ეს სამსახური ხელს შეუწყობს ქვეყნის ცენტრალური ფინანსების რაციონალურ გამოყენებას.

- თუ ეს სამსახური, როგორც თქვენ დაახასიათეთ, ასე აუცილებელი და საჭიროა, აქამდე მისი ჩამოყალიბება რატომ არ მოხერხდა?

- თანამედროვე მმართველობითი სტრუქტურების აღმოცენებისათვის საკმარისი როდია მარტო სურვილი და თქმა იმისა, რომ ისინი უნდა შეიქმნას ან მარტო სხვათა გამოცდილების შეძენა, არამედ საჭიროა დაფინანსება და სათანადო კადრები. ამ მხრივ,

მეტად მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თანადგომა, ხელი შეეწყო საქართველოში ანალოგიური სამსახურის შექმნისათვის (როგორც ცნობილია, აშშ-ს კონგრესმი საბიუჯეტო ოფისი დიდი ხანია არსებობს). ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ოფისის მთლიანი აღჭურვა და ნაწილობრივი დაფინანსება ითავა.

გარდა ამისა, ოფისის ყველა თანამშრომელი სტაჟირებას გაიელის შეერთებული შტატების შესაბამის სტრუქტურებში. ასევე, ჩვენთან ორგანიზებული იქნება კადრების სწავლება ამ სფეროში საერთაშორისო დონის სპეციალისტების მონაწილეობით. ასე, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი საფინანსო სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მართვის თანამედროვე მექანიზმის დამკვიდრებას.

- ბატონო რომან, თქვენ, ყოფილი ვიცე-პრემიერი, ახლა ოფისის ხელმძღვანელი ხარო, თუმცა ოთხი წელია სახელისუფლებო სტრუქტურებში არ ჩანდით. საინტერესოა, რამ გადაგაწყვეტინათ ისევ ამ სტრუქტურებს დაბრუნებოდით?

- ჯერ ერთი, ოფისი არა აღმასრულებელი, არამედ საკანონმდებლო ორგანოს შემადგენელი ნაწილია, ამასთან მისი ნეიტრალური, არაპოლიტიკური ნაწილი. იგი პარლამენტს, ასე ვთქვათ, მიუკერძოებლად ემსახურება და ვერც ერთი პოლიტიკური ძალა მას დიქტატს ვერ გაუწევს. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აქ მუშაობა არ მხღუდავს ოფისგარე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობისას. მეორეც, ჩემთვის წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია იმ არეალში ყოფნა, რომელშიც, ვფიქრობ, რომ საჭირო ვარ.

რა თქმა უნდა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს წმინდა პიროვნულ ფაქტორსაც. დღეს პარლამენტში არის ზოგიერთი პიროვნება, ვისთანაც ერთად ეკონომიკური რეფორმები წამოვიწყეთ.

ასევე მნიშვნელოვანია ჩემთვის ის ფაქტიც, რომ კვლავ იმათ შორის მიხდება საქმიანობა, რომლებთანაც ეროვნულ მოძრაობას ვიწყებდით.

მოკლედ, ჩემთვის ეს უცხო გარემო არაა და წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩემი არჩევანისთვის ამან გარკვეული როლიც შეასრულა.

დავუბრუნდეთ ისევ ოფისს. საბიუჯეტო პროცესი, თუ შეიძლება ასე ითქვას კონსტიტუციურად "გაიმართა". ამის მაგალითია ის, რომ წლევანდლი ბიუჯეტი დადგენილ ვადაში მივიღეთ, მაგრამ მრავალი სიძნელე კვლავაც არსებობს, როგორც ბიუჯეტის პროექტის დამუშავების, ისე პარლამენტში მისი ფილტრაციისას, ეს კი, ბუნებრივია, ბიუჯეტის ხარისხზეც

აისახება. საინტერესოა, რით შეუწყობს ხელს ოფისი ამ პროცესს ან რა ფორმით ითანამშრომლებს იგი ბიუჯეტის მთავარ "შეურყევლთან" ფინანსთა სამინისტროსთან?

- მისასალმებელია, რომ ბიუჯეტი დროულად მივიღეთ, თუმცა მხოლოდ დროული მიღება არ განაპირობებს მის ეფექტურობას. აბსოლუტურად უკონტროლოა ადგილობრივი ბიუჯეტები, ეინაიდან ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლება ჯერ კიდევ აერჩევილია (განსაკუთრებით, ეს ეხება ერთ-ერთ დამოუკიდებელ და უსარმაზარ ქალაქ თბილისის ბიუჯეტს). აქედან გამომდინარე, ბიუჯეტს ის ამტკიცებს, ეინც მას ადგენს, ანუ ბიუჯეტის პრიორიტეტს განსაზღვრავს აღმასრულებელი მოხელე და არა ხალხი თავისი წარმომადგენლის – დეპუტატის მეშვეობით.

ეს ვითარება, როგორც საბიუჯეტო განუკითხაობის, ისე კორუფციის წყაროა. ბუნებრივია, ეს პოლიტიკური საკითხიცაა და ოფისის კომპეტენციას არ წარმოადგენს, თუმცა ჩვენს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტების ობიექტურმა ანალიზმა შეიძლება ხელი შეუწყოს საკითხის თვით პოლიტიკურ გადაწყვეტასაც (თუნდაც ადგილობრივი არჩევნების დროულად ჩატარებას).

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, მასთან წმინდა პარტნიორული ურთიერთობა გვექნება (იმის მიუხედავად, რომ ოფისს, როგორც აღვნიშნე, მაოპონირებელი ფუნქცია აქვს). დარწმუნებული ვარ, "მეთვალყურე" ხელს არ შეუშლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესს და სამინისტროც, ოფისის სპეციალისტების თანადგომით, უფრო სრულყოფილ ბიუჯეტს მიიღებს. ამით კი, როგორც მთავრობა, ასევე პარლამენტი და ხალხია დაინტერესებული.

- ბატონო რომან, ერთია ბიუჯეტის შედგენა და მეორე მისი შესრულება. დამეთანხმებით, რაც არ უნდა იდეალური ბიუჯეტი გვქონდეს, მთავარი მაინც მისი შესრულებაა და ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. რა როლი დაეკისრება ამ პროცესში ოფისს, მით უმეტეს, თუ პარლამენტი წელს უკვე შეუდგა თავის პირდაპირ საკონსტიტუციო მოვალეობას, რასაც ბიუჯეტზე საპარლამენტო ზედამხედველობა პქვია.

- ერთ მაგალითს მოეიშველიებ. ბევრ საბიუჯეტო ორგანიზაციას მათთვის გამოყოფილი თანხა თვეობით უგვიანდება. ჩვენი ოფისის ანალიტიკური სამსახური სხვადასხვა მეთოდის მეშვეობით, მათ შორის ინფორმაციის ადგილზე გაცნობით, დაადგენს ამის ობიექტურ მიზეზს. დაეუშვათ, ეს იყო საგადასახადო თუ საბაჟო სამსახურის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგი ან ხაზინის მოუქნელობის ბრალი აკუმულირებული სახსრების გადანაწილებისას; ან თავად დამტკიცებული ბიუჯეტი იყო რეალობას მოკლებული; ან არ იქნა მიღებული ისეთი ფულად-საკრედიტო თუ ადმინის-

ტრაციული ზომები, რაც ამ ვითარებას თავიდან აგვაცილებდა. საბიუჯეტო ოფისი მოამზადებს ზუსტ დასკვნას და დოკუმენტაციას, რის მიხედვითაც პარლამენტი სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს.

ოფისის მუშაობის რეალიზების ძირითადი ბერკეტი, რაღა თქმა უნდა, პარლამენტი და მისი სტრუქტურებია.

მარტი. 1998 წ.

ეკონომიკური პოლიტიკა: რა პაკეთია? ვინ აკეთებს?

ბაზეთის ანკეტა

1. როგორ განსაზღვრავდით ეკონომიკური პოლიტიკის თავისუფლების ხარისხსა და საზღვრებს? ანუ მოქმედებას საერთაშორისო საგალუტო ფონდისაგან თავისუფალ არეალში?
2. დღეს საქართველოში ვინ ახორციელებს ეკონომიკურ პოლიტიკას? საპარლამენტო და აღმასრულებელი სტრუქტურების კოორდინაცია და სუბორდინაცია.
3. რამდენად თავსდება ერთიანეთთან საერთაშორისო საგალუტო ფონდისა და საქართველოს პრეზიდენტის ახალი სოციალური პოლიტიკა?
4. რა მიგაჩნიათ ეკონომიკური პოლიტიკის ნოქერ პირველ ამოცანად, როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში - საკანონმდებლო, ინსტიტუციურ, საბანკო სფეროში?
5. რაში გამოიხატება რეფორმის მეორე ეტაპი და მას რა პარამეტრებზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ?
6. რეფორმის პირველ ეტაპზე მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი იყო რეფორმის საგანი, მიზანი, სუბიექტი. დღეს ეს ბუნდოვანია, რა ორიენტირები გვაქვს რეფორმაში?
7. რა ხდება დარგობრივ დონეზე? კონკრეტულ მაგალითებს ხომ ვერ დაგვისახელებდით, სად ფერხდება რეფორმა, რომელ ინსტიტუტებში?
8. რას იტყოდით საკადრო საკითხზე რეფორმაში?
9. რას იტყოდით ინტერესთა კონფლიქტზე რეფორმაში - დაინტერესებულ ჯგუფებსა და პიროვნებებზე?
10. რას იტყოდით კონკურენციის რეგულირებაზე. რას აკეთებთ ჯანსაღი კონკურენციის დასამკვიდრებლად?
11. რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს ეკონომიკური აღმავლობის დასაწყებად? ამ ღონისძიებებს რა უშლის ან რა შეუშლის ხელს? თუ წინააღმდეგობა დაუძლეველად გეჩვენებათ, რა ვქნათ? - დაველოდოთ საერთაშორისო საგალუტო ფონდს, დაველოდოთ პრეზიდენტს, დაველოდოთ ახალ არჩევნებს, სხვა...

1. ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის სრული თავისუფლება აქვს საქართველოს მთავრობას. თავის დროზე, ამ თავისუფლებამ ქვეყნისათვის ძალზე მძიმე შედეგები გამოიღო ინფლაციის

მძვინვარებისა და სახელმწიფო ფინანსების განიავების სახით. მაშინ "თავისუფალი" ვიყაოით კრედიტების გამოყოფა-განაწილება'ში, თავისუფლად შეგვეძლო დიდძალი თანხები გამოგვეყო პურისა თუ სხვა სახის საქონელის ფასების უკიდურესად დაბალ დონეზე შენარჩუნებისათვის, საბიუჯეტო დოტაციის სახით. სრული თავისუფლება სუფევდა ამ თანხების მითვისებაშიც. არავინ გვიშლიდა ხელს, აგვეჯლო დიდძალი საგარეო ვალი ან გვეებეჭდა და მიმოქცევაში გაგვეშვა დამატებითი ფულის ნიშნები და ა.შ. ასე რომ, იყო დამოუკიდებელი, ანუ უპასუხისმგებლო საერთაშორისო ნორმებისაგან და აკეთო ის, რაც მოგესურვება, ყოველთვის არ იძლევა დადებით შედეგს. დღეს ასეთი თავისუფლება გარკვეული ფორმით იზღუდება, თუმცა საერთაშორისო ვალდებულებები ჩვენი გადაწყვეტილებით არის მიღებული და თავზე იძულებით არავინ გვახვევს. უპირველესად ვგულისხმობ საერთაშორისო შეთანხმებებს, მათ შორის მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდთან.

ქვეყანაში იმდენად მკვეთრად და თავგასულად არის წარმოჩენილი მრავალი კერძო თუ ჯგუფური ინტერესი, რომ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციების წინა'შე აღებული ვალდებულებები, კვლავინდებურად ძალზე საში'ში იქნებოდა გავლენიანი ძალების ვოლუნტარიზმი. დღეისათვის, სწორედ ასეთის სახის ხელშეკრულებები გვეელინება იმ ძირითად შემაკავებელ ფაქტორად, რომელიც აფერხებს როგორც მცდარი ექსპერიმენტების ჩატარებას, ასევე, დაინტერესებული ჯგუფების მიერ ეკონომიკის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას. ქვეყანაში ჯერ კიდევ იმდენად სუსტია სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტები, იმდენად მყიფეა სამართლებრივი გარემო, რომ ძალზე ძნელი გახდებოდა, საერთაშორისო ზეწოლის გარე'შე, დემოკრატიული ნორმების დამკვიდრება. რომ არა ხელისუფლების შიში საგარეო ფინანსური დახმარების შეწყვეტისა, ადგილობრივი ბიუროკრატია გაცილებით ხარბი და აულაგმავი იქნებოდა.

ასე რომ, ჩვენ არ ვართ იმ დონეზე, რომ ვიწუწუნოთ თავისუფლების ხარისხის შეზღუდვის გამო, პირიქით, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით იმის სწორად გამოყენება, რასაც თავისუფლება ჰქვია.

ეკონომიკურ პროცეს'ში საერთაშორისო სტრუქტურების მონაწილეობის უარყოფით მხარეს წარმოადგენს გამოყოფილი რესურსების უკუგების ძალზე დაბალი მაჩვენებელი. ისინი ვერ გამოიყენება რაციონალურად, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ვერ უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს სათანადო პარტნიორობას, ვერ სთავაზობს პრიორიტეტებს, რის შედეგადაც ხდება მხოლოდ სტანდარტული პროგრამების დაფინანსება. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ორგანი'ზაციებს უწევთ ბრძოლა იმის მისაღწევად, რომ ჩვენი მხრიდან გატარებულ იქნას ისეთი მინიმალური, აუცილებელი

ქმედებები, რაც შემდეგი დახმარების საფუძველი შეიძლება გახდეს.

2. დღეს საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა სტიქიურად ყალიბდება. ამ პროცესში მონაწილეობს როგორც საერთაშორისო ფონდი და მსოფლიო ბანკი თავიანთი პროგრამებით, ასევე მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურები ურთიერთგამომრიცხავი პროექტებითა და ქმედებებით. საბოლოოდ, ეკონომიკური პოლიტიკა იქმნება თვითდინებით. დადებითი შედეგი მხოლოდ იმ სფეროშია მიღწეული, რომელიც საერთაშორისო სტრუქტურების მკაცრ მეთვალყურეობაში იმყოფება - ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროები, - თუმცა, თვითნებური იმპროვიზაციები ადგილზე მნიშვნელოვნად აბრკოლებს ამ პროცესს.

3. საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ მიზნობრივი სოციალური პროგრამების განხორციელებას. მთავრობის სოციალური პოლიტიკა გულისხმობს ისედაც მწირი რესურსების უამრავ ადამიანსა და სფეროზე გადანაწილებას, რაც ამ პროცესს სიმბოლურ ელფერს ანიჭებს. ყველაზე დიდი რეზერვი სოციალური პროგრამების დაფინანსებისა, მათ შორის ყველაზე მტკივნეული - ჯანდაცვის პრობლემებისა, არის დამალული შემოსავლების გამოვლენა და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული მრავალი, ყოვლად გაუმართლებელი შეღავათის გაუქმება.

4. ეკონომიკური პოლიტიკის უპირველესი ამოცანა საფინანსო სფეროში არის ეფექტური საგადასახადო სისტემის შექმნა და არა ისეთის, როგორსაც დღეს მოითხოვენ, შეღავათების დაწესებისა და შემოსავლების დამალვის შესაძლებლობების დაშვებით. ინსტიტუციური თვალსაზრისით, უპირველეს ამოცანად მესახება სახელმწიფო ადმინისტრაციის ფუნქციების არსებითი შეცვლა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ უამრავი ცნობების, ლიცენზიების, ნებართვებისა და სხვა "ქაღალდების" მოთხოვნის მაქსიმალურად შესაძლებელი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ძირითადი ამოცანა კი არის ქვეყანაში საინვესტიციო პროცესის დაჩქარება. საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში ვერ გაჩნდება მსხვილი ინვესტიციების შიდა წყარო. საჭიროა საგარეო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა - არა შეღავათების, არამედ ხელსაყრელი პროექტების მეშვეობით. აუცილებელია მიწების ყიდვა-გაყიდვის სასწრაფოდ დაწყება.

5. რეფორმის ეტაპების კლასიფიკაცია ძალზე სუბიექტურია და ის რეალობას არ ასახავს. მთავრობის მიერ რეფორმის პირველი ეტაპი განსაზღვრულია როგორც 1994-1995 წლებში გატარებული ღონისძიებების ერთობლიობა: პურზე ფასების გათავისუფლება, ლარის შემოღება, მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია მათი აქციონირების გზით. ბუნებრივად იბადება კითხვა: კი მაგრამ, თუკი პურზე ფასების გათავისუფლება რეფორმაა, მაშ რა იყო 1992 წელს

ათეულ ათასობით დასახელების საქონელზე ფასების ლიბერალიზაცია (გარდა პურზე ფასისა, რომლის გათავისუფლება მაშინ ვერ შეეძელით, სწორედ მათი მიზეზით, ვინც დღეს ამით ამაყობს)? თუკი მსხვილ საწარმოთა აქციონირება რეფორმაა, რა უნდა ვუწოდოთ 1992-93 წლებში, ერთბაშად, ყველა წვრილი და საშუალო საწარმოს, მაღაზიისა თუ მომსახურების სფეროს ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემას? განა მაშინ არ ჩაეყარა საფუძველი იგივე მსხვილი საწარმოების აქციონირებას? რეფორმის პირველი ეტაპი 1992 წელს დაიწყო, და შემდგომში გატარებული რეფორმის უკლებლივ ყველა ღონისძიებას სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი. მხოლოდ რამდენიმე მათგანის ჩამოთვლა კმარა: მიწების პრივატიზაცია (რომლის შემდეგ, ერთი მტკაველი მიწა არ გადაცემულა კერძო საკუთრებაში); ბინების პრივატიზაცია; ფასების ლიბერალიზაცია (პირველად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველოში მოხდა ფასების გათავისუფლება ბენზინსა და ენერგომატარებლებზე); თავისუფალი ვაჭრობის დაშვება, რომელმაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ითამაშა გადამწყვეტი როლი საბაზრო ეკონომიკის შექმნაში; სამინისტროთა ფუნქციების შეცვლა, როდესაც დარგობრივი სამინისტროები ფაქტიურად წარმოადგენდნენ მსხვილ სამეურნეო კონცერნებს და არა სახელმწიფო მართვის ორგანოებს; საკუთარი ეროვნული ვალუტის – კუპონის შემოღება და მის ბაზაზე დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება; დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის შექმნა.

არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ არ ვიტყვით, რომ რეფორმის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში გარკვეული დადებითი როლი ითამაშა გამსახურდიას დროინდელმა უზენაესმა საბჭომ. კერძოდ, მაშინ შეიქმნა კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და, მიუხედავად ორი წლის წინ ახალი კანონის მიღებისა, იგი არსებითად პირველისაგან არაფრით განსხვავდება. იმავე უზენაესმა საბჭომ მიიღო ძალზე მნიშვნელოვანი კანონი კომერციული ბანკების, აგრეთვე, ეროვნული ბანკის შესახებ და ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტი. ასე რომ, რეფორმის პირველი ეტაპი გაცილებით შორიდან მოდის და მისი გაყალბება არა მხოლოდ უზნეობაა, არამედ ისტორიისადმი უპატივცემლობა.

ჩემი აზრით, მეორე ეტაპზე საუბარი ნაადრევია, რადგან პირველი ეტაპი დღემდე გრძელდება, რომლის ძირითადი ნიშანი არის ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ფინანსური სისტემის სტაბილიზაცია. ამასთან, პირველი ეტაპი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსური დახმარების გამოყოფამდე და მას შემდეგ. ეს არსებითია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური მდგრადობა თუ არამდგრადობა

მნიშვნელოვნად განპირობებულია არა ოდენ ჩვენი ძალისხმევით, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით. მეორე ეტაპის პარამეტრებზე საუბარი მიჭირს, რადგან მათ, უბრალოდ ვერ ვხედავ.

6. თუკი პირველი ეტაპი ხელშესახები იყო და მკვეთრად ჩანდა, ერთი მხრივ, ინფლაციის შესღუდვის პროგრამა და ეროვნული ვალუტის გამყარება, ხოლო, მეორე მხრივ, ინსტიტუციური ცვლილებები — სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაციის სახით, მეორე ეტაპი ძნელად აღსაქმელია როგორც ვიზუალურად, ასევე ლოგიკურადაც, რადგან მას დეკლარაციული ხასიათი აქვს. მეორე ეტაპში მთავრობა გულისხმობს კონკრეტული პროგრამების განხორციელებას, რაც, თავისთავად, არასაკმარისია იმისათვის, რომ ეკონომიკური რეფორმის პროცესში რაღაც განსაზღვრულ ეტაპად გამოიყოს. პროგრამები ეკონომიკური ცხოვრების მუდმივი თანამდევი ატრიბუტია და არა რეფორმის ეტაპის განმსაზღვრელი. მეორე ეტაპი დაიწყება მაშინ, როდესაც სხვადასხვა დარგებში მოხდება სტრუქტურული ცვლილებები და გაჩნდება ინვესტიციური ბუმი. ღღეს დარგობრივი სტრუქტურა, ფაქტობრივად, უცვლელია და კვლავ გრძელდება საბჭოთა კავშირის დროინდელი სტრუქტურის შენარჩუნების მცდელობა, მათ შორის სახელმწიფო პროტექციონისტური პოლიტიკის გზით. რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებს, მათი მოზიდვის მხრივ, საქართველო უკანასკნელ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. შეადარეთ: შარშან, წლის ბოლოსთვის, საქართველოში ოფიციალურად აღრიცხული უცხოური ინვესტიციების ოდენობამ 120 მილიონი დოლარი შეადგინა - წვრილი ინვესტიციების დამატებით, ალბათ, 140 მილიონი, - მაშინ, როცა მაგალითად, ლიტვაში, რომელიც პარამეტრებით საქართველოს სიდიდისაა, ამავე პერიოდში 974 მილიონი დოლარის უცხოური ინვესტიციები იყო დაბანდებული. რეფორმის მეორე ეტაპის დაწყების ერთ-ერთ წანამძღვრად შეიძლება იქცეს ნავთობსადენის ამოქმედება და მისი თანამდევი პროცესი ეკონომიკის გამოცოცხლების სახით.

7. დარგობრივ დონეზე, უკლებლივ ყველგან, ჩავარდნაა. ერთადერთი სფერო, რომლის გამოყოფაც შეიძლება, კერძო ბინათმშენებლობა და მომსახურების სფეროს გამოცოცხლებაა, სადაც მნიშვნელოვანი, თუმცა, აღურიცხავი კაპიტალდაბანდებები ხდება. რა თქმა უნდა, ეს დაბანდებები არ არის ინვესტიციური ხასიათის, ისინი ძირითადად მიმართულია შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობასა და დიზაინის გაუმჯობესებაზე. თუმცა, ესეც ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ იწყება წარმოების გამოცოცხლება და იზრდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციებში არც თუ მცირე წილი მოდის საზღვარგარეთიდან შემოსულ იმ თანხებზე, რომლებსაც საქართველოდან სამუშაოდ წასული ჩვენი

თანამემამულეები აბანდებენ.

8. კადრები, ალბათ, ხელისუფლების ყველაზე სუსტი ადგილია რეფორმაში. მისი ბაზა და უდიდესი ნაწილი არის ყოფილი კომკავშირულ-პარტიულ-სამეურნეო აქტივი. დღევანდელ ხელისუფლებაში ძალზედ ცოტაა ე.წ. ეროვნული ძალები. ამ მხრივ, საპირისპირო მდგომარეობაა კერძო, წვრილი ბიზნესის დონეზე, სადაც აღმოცენდა ჯანსაღი სტრუქტურები, ახალი ადამიანების სახით, რომლებიც სუსტად, მაგრამ მაინც უწევენ კონკურენციას ყოფილ ნომენკლატურას, რომელსაც ხელთ უპყრია მსხვილი ბიზნესის სადავეები.

9. დაინტერესებულ ჯგუფებში განსაკუთრებით გამოვყოფდი "წითელ დირექტორებს", რომლებსაც მუქთად ერგოთ სახელმწიფო ქონება, მათ შორის, ბოლო ორი ნულოვანი აუქციონის გზით, იმის გამო, რომ რეფორმების დაგვიანების შედეგად, ხელისუფლება იძულებული გახდა, სასწრაფოდ მოეცილებინა თავიდან ისედაც უკვე განიავებული ქონება. ასევე გამოვყოფდი იმ ორგანიზებულ ძალას, რომელსაც სერიოზული დასაყრდენი აქვს მთავრობასა და პარლამენტში და რომელიც ყოველთვის აღწევს შეღავათების, განსაკუთრებით საგადასახადო შეღავათების მიღებას.

10. გადაუდებლად მიმაჩნია მონოპოლიზმის მოსპობა, განსაკუთრებით სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს და, ჯერჯერობით, ბიუჯეტისათვის შეუღწეველ დარგებში: სიგარეტის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, გაზის, სპირტიანი სასმელების, ხორბლის იმპორტში.

11. რა ვაკეთოთ? – აუცილებელია სისტემის პოლიტიკური განახლება, როგორც ორგანიზაციულ, ასევე პერსონალურ დონეზე; სასწრაფოდ ჩასატარებელია ადგილობრივი არჩევნები, რათა შეწყდეს ადგილობრივ დანიშნულ მოხელეთა მიერ სახელმწიფო სახსრების განიავება და უკონტროლობა. აუცილებელია ახალი პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბების ხელშეწყობა დემოკრატიული ძალების მიერ; სასამართლო რეფორმის გატარება; კორუფციასთან ბრძოლა; უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. აუცილებელია შიდა ბაზარზე იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლება ადგილობრივით, რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს როგორც ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსზე, ასევე, მოქალაქეთა დასაქმებაზე.

მაისი. 1998 წ.

ხელისუფლება ძლანების ინტერესებს არ უნდა იცავდეს

— საბიუჯეტო ოფისი ახლახან შეიქმნა. როგორ გაემიჯნება მისი ფუნქცია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისას და ხომ არ გადაიქცევა ზედმეტ სტრუქტურად?

— საბიუჯეტო ოფისის შექმნა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტს ჰქონდეს ქვეყანაში მიმდინარე ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პროცესებზე ზემოქმედების საშუალება. ხშირად პარლამენტი გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ბიუჯეტის განხილვის საკითხებში. საბიუჯეტო დებატები ხშირად იღებს მწვავე, მაგრამ ფორმალურ ხასიათს და როგორც წესი, აღმასრულებელ ხელისუფლებას თავისი გააქვს. პარლამენტი ვერასოდეს იხედება ამ კონკრეტიკაში და დეპატატების ენერგია უფრო მეტად პოპულისტურ რიტორიკაზე იხარჯება. ყოველივეს მიზეზი კი ის არის, რომ დეპუტატები უამრავი საქმით არიან დაკავებული და დეტალურად განხილვის დრო არ რჩება. ასეა ყველგან. ამიტომ, აუცილებელია ისეთი სტრუქტურის არსებობა, რომელიც სიღრმისეულად და ობიექტურად შეაფასებს საკითხებს. ფაქტობრივად, საბიუჯეტო ოფისი აკვირდება საბიუჯეტო (როგორც ტერიტორიული, ასევე სახელმწიფო ჭრილში) პროცესს (ანუ ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, მიღებისა და შესრულების მიმდინარეობას). ამ დაკვირვების შედეგად ოფისში მუშავდება ინფორმაცია, რომელიც ანალიზურ სახეს იღებს და დასკვნები რეკომენდაციების სახით წარედგინება პარლამენტს სხვადასხვა საკითხზე. საზოგადოდ, საბიუჯეტო ოფისი მიუკერძოებელია და გვევლინება მთავრობის ოპონენტადაც და მხარდამჭერადაც.

ოფისი აკეთებს ყოველკვირეულ და ყოველკვარტალურ დასკვნებს. მან უკვე სერიოზული შეხედულებები ჩამოაყალიბა 1997 წლის ბიუჯეტის შესრულების და 1999 წლის ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე მრავალ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხზე.

ჩვენი სამსახურის ჩამოყალიბების პირველივე დღიდან მუშაობა დაიწყო ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც, სამწუხაროდ, ნაკლები წარმოდგენა აქვს ჩვენი ხელისუფლების ორგანოებს. ეს არის აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება: აფხაზეთის ტერიტორიაზე რა საქონელი შედის და გადის, ვინ აფინანსებს ღიად თუ მალულად, როგორ ნაწილდება ელექტროენერგია და ვინ იხდის მის საფასურს, როგორია ბიუჯეტი და სხვა. ძალიან გაგვიჭირდა ამ ინფორმაციის მოპოვება და ეს არ მოხერხდა მხოლოდ ადგილობრივი წყაროებიდან. ამის შესახებ ერცელი

მოხსენება ამ თვის ბოლოს იქნება მზად. საბიუჯეტო ოფისი ტექნიკურად დაკომპლექტდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ. თანამშრომელთა ნაწილს იგი 2 წლის განმავლობაში გადაუხდის ხელფასს.

ერთი სიტყვით, ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, ოფისი დადებით ან უარყოფით დასკვნებს წარუდგენს პარლამენტს, რის შემდეგ, პარლამენტმა შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს. საბიუჯეტო ოფისის სახით პარლამენტმა მძლავრი ინტელექტუალური და ორგანიზებული ბერკეტი შეიძინა.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩვენი საგადასახადო კოდექსი კარგია. თუ მართლაც კარგია, თქვენი აზრით, რატომ არ ხერხდება გადასახადების აკრეფა და თუ ცუდია, ვისი ბრალია?

— ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ამ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ საგადასახადო კოდექსი ცუდია, რადგან, მათი შემოსავლების თითქმის ნახევარი ბიუჯეტს მიაქვს. მაგალითად, შვეიცარიაში შემოსავლების 50 პროცენტი მიდის ბიუჯეტში, ევროკავშირის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 40 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ამერიკაში კი — დაახლოებით 35 პროცენტამდე. მეორე მხრივ, ამერიკაში გადასახადების გადიდებას მოითხოვს ის, ვისაც სურს მეტი თანხა დაიხარჯოს მასზე ეი. ჯანმრთელობის დაცვაზე, პენსიებზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე... საქართველოში კი უცნაური მდგომარეობაა: აქ მეწარმეც და პენსიონერიც (რომელსაც 10 ლარი აქვს პენსია) გადასახადების შემცირების მომხრეა. რის საფუძველზე უნდათ პენსიების და ხელფასების შენარჩუნება ან მომატება?! ყოველი შეღავათის დაწესება, გადასახადების შემცირება ან გადაუხდელობა ხდება ვიღაცის ხარჯზე. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ სამეწარმეო გარემო ჩვენთან საუკეთესოა. მაგრამ არ შეიძლება პრობლემის დაყვანა ერთ — გადასახადების საკითხზე. საგადასახადო კოდექსი არც ცუდია და არც იდეალურია. იგი ისეთივეა, როგორც მთელ მსოფლიოში, ესე იგი არც სხვაზე — უარესი და არც სხვაზე — უკეთესი. საგადასახადო განაკვეთებიც მეტნაკლებად ნორმალურია. მთავარი ის არის, რომ ჩვენთან გადასახადებს თითქმის არავინ იხდის. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა წარმოებული ეროვნული პროდუქციიდან გადასახადის ამოღების დონით. ახლა ეს მაჩვენებელი 10 პროცენტამდეა, მაშინ, როცა დსთ-ის ქვეყნებში 27 პროცენტია, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში — 40-45 პროცენტი. 1995 წლის ბიუჯეტში მხოლოდ საკუთარი შემოსავლები 202 მილიონ ლარს შეადგენდა, 1996 წელს — 446 მილიონ ლარს. აკრეფის დონით დსთ-ს ქვეყნებს მაინც რომ გავუთანაბრდეთ, 1997 წლის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლები 568 მილიონი კი არა, 1,5 მილიარდამდე მაინც უნდა ყო-

ფილიყო. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება საგადასახადო შემოსავლებზე ლაპარაკი. დღეს მეწარმეთა ლოზუნგი – გადასახადების სიმცირე ქვეყანას ააყვავებსო, ეს არის მხოლოდ იმ ადამიანების გამოგონება, ვისაც არასოდეს უნდოდა ფულის გადახდა ბიუჯეტში და ვინც ყოველთვის საკუთარ ჯიბესე ზრუნავდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მეწარმეებს ყოველ ნაბიჯზე უხდებათ არაოფიციალური გადასახადების გადახდა. ამიტომ, ჯამური საგადასახადო ტვირთი ოფიციალურზე ბევრად მეტია. გონიერება მოითხოვს, რომ პრობლემა მრავალმხრივ დაინახო.

ამბობენ, რომ იძულებული არიან გადასახადების სიდიდის გამო დამალონ შემოსავლები. კი ბატონო! ხომ დამალეთ, მაშ რატომ არ აყვავდა წარმოება? უამრავ ფაქტორთა გამო ეკონომიკური ბუმი ვერ მოხდება, ხოლო ყველა მისეული გადასახადებამდე დაყვანით, სახალხო ინტერესების დამცველ ლოზუნგს ამოფარებულები უკეთესად იცავენ საკუთარ ინტერესებს.

– მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ დღგ-ს შემცირებამ 20 პროცენტიდან 5 პროცენტამდე წისქვილკომბინატები და პურის ქარხნები ამოასუნთქა?

– ამის შემდეგ პური არ გაიაფებულა. ვინც ამ საგადასახადო შეღავათს ითხოვდა, მათი წარმოების მოცულობა აბსოლუტურად არ გაიზრდება შარშანდელთან შედარებით. მათი გაჩერების მიზეზი უამრავი ალტერნატიული პატარა წისქვილქარხნების აღმოცენებაა. თუ დიდი ქარხნები წარმოებას არ გადაიარაღებენ და წარმოების ხარჯებს არ შეამცირებენ, დაიღუპებიან. გადასახადებთან მიმართებაში ყოველთვის ლაპარაკია, რომ ცუდ მდგომარეობაშია დამქირავებელი, მაგრამ არ ამბობენ, რა მონურ ექსპლუატაციაში არიან მოქცეული დაქირავებული ადამიანები. ჩვენთან მუშახელის სიიაფის მიუხედავად, მრავალ დარგში მაინც ვერ შეიქმნა კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მერე წუწუნებენ, რომ იმპორტულმა საქონელმა წალეკა დახლები. რატომ არის იაფი? – იმიტომ, რომ მათ სხვა შრომის კულტურა აქვთ, სხვა დონის ტექნოლოგია და ასე შემდეგ.

– აქვთ დაბალპროცენტიანი საკრედიტო რესურსებიც...

– ამის გარდა, ჩვენთან, ფაქტობრივად, არ არსებობენ პროფკავშირები. ვინც არის, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს. ატეხილი დავები პროფკავშირული ბიუროკრატიის პირადი ინტერესების დაცვას ემსახურება. მივესალმები ალტერნატიული დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის შექმნას. დღეს რიგით ადამიანს არავინ იცავს, თუ არ ჩავთვლით ულტრამემარცხენე პოლიტიკოსებს, რომლებიც მხოლოდ უპასუხისმგებლო ლოზუნგებით ესარჩლებიან ხალხს. ამიტომ, სჯობს, საკუთარ ჯიბეზე მოწუწუნეებმა სხვებზეც იფიქრონ. გარკვეული ჯგუფების სიხარბე და დემაგოგიური მადა იქამდე მიეი-

და, რომ წიგნებიც გამოსცეს საერთაშორისო ორგანიზაციების ეითომ-და, ბოროტ ჩანაფიქრ'სე. შელავათებ'სე რომ ჩიეიან, ნულოვანი აუქციონებით, ანუ უფასოდ ხელ'ში ჩაგდებული ქონება განა შელავათი არ არის?

— ეს იყო იძულებითი მოვლენა, რადგან ქონება შეფასებულ თანხად არ იყიდებოდა.

— კი მაგრამ, წესიერი და დროული პრივატიზაციისას, ეს ქონება შეიძლება გაცილებით უკეთესად გაყიდულიყო. რატომ იყიდება სომხეთში ობიექტები უფრო ძვირად, ვიდრე საქართველოში?! განა იქ უკეთესი ეკონომიკური გარემო და მეტი ფინანსური რესურსებია?! მეწარმისა და ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. იშვიათად მინახავს, გავლენიანი ფინანსური წრის ადამიანის მოქმედება სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდეს. დღეს საქვეყნო და პირად ინტერესებს შორის დარღვეულია ბალანსი.

— მეწარმეთა უკმაყოფილება გამოწვეულია საგადასახადო კოდექსის "გაუკუღმართებული" მუხლების მოქმედებით, რასაც საგალუტო ფონდის წარმომადგენელი საქართველოში პანტერ მონრო აღმასრულებელ ხელისუფლებას აბრალებს. რატომ და ვინ გადააქცია 20-პროცენტიანი დღგ 20-პროცენტიან ბრუნვის გადასახადად?

— 20 პროცენტიანი დღგ ისეთივეა ჩვენთან, როგორც მთელი დედამიწის ზურგზე.

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 1997 წლის სექტემბრიდან ამოქმედებულმა დღგ-მ ვაჭრობის სფეროს ობიექტები გაკოტრებამდე მიიყვანა და უნივერმაღ თბილისის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, შტატის შემცირებაში მოყოლილმა, თავიც მოიწამლა.

— არა, ადამიანი დღგ-ს გამო თავს არ იწამლავს. იმან რა ქნას, ვინც თავი არ მოიწამლა, მაგრამ იმიტომ გარდაიცვალა, რომ საარსებო ან სამკურნალო ფული არ გააჩნდა?

საკითხს უნდა მივუდგეთ ასეთნაირად: რა თქმა უნდა, ფასგაზრდილ ორგანიზაციაში საქონელი ნაკლებად იყიდება. მყიდველის პოზიციიდან ბაზრობები უფრო ხელსაყრელია დაბალი ფასის გამო. ამიტომ, რიგით მყიდველს ეს პრობლემა არ აწუხებს. ვაჭრობის წარმომადგენლები ბაზრობების დაბეგვრასაც მოითხოვენ, რაც ბუნებრივია. დღეს მომხმარებელი დაბალი მყიდველობითი უნარის გამო იშვიათად სარგებლობს პრესტიჟული სუპერმარკეტებით და უნივერმაღებით. ასე რომ, ამტყდარი აჟიოტაჟი გამოწვეულია კონკურენციის გამო და ინტერესების შეჯახებით. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ბაზრობები დიდხანს იქნებიან კონკურენტუნარიანი. ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს.

— ბატონო რომან, თქვენ თუ იცით კონკრეტული მაგალითი, როცა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაარღვია საგალუტო ფონდის რეკომენდაცია?

— დღეს საბაჟო გადასახადების სიმცირე, იმის ბრალია, რომ ჩვენთან იმპორტირებული საქონლის 60 პროცენტი შელავათებით შემოდის, ან საერთოდ იმალება, რასაც მიაღწიეს ცალკეულმა გავლენიანმა პირებმა. მათ მიაღწიეს შელავათებს აქციზების, იმპორტირებული საქონლის დაბეგვრაში. საერთაშორისო საგალუტო ფონდი რეკომენდაციების დარღვევაში გულისხმობს შელავათების დაწესებასაც. ხელისუფლებაზე დიდი გაელენის მქონე ადამიანებმა, რომლებიც ფლობენ წისქვილკომბინატებს (რომელიც ვერ მარაგდება ელექტროენერგიით, აქვს მოძველებული დანადგარები და სხვა) პრეზიდენტსაც კი მიაწერინეს წერილი საგალუტო ფონდის დირექტორისათვის, რომ 20-პროცენტიანი დღგ 5 პროცენტამდე შემცირებულიყო. მათი აზრით, ამის შედეგად დასაქმდებოდა 2 000-3 000 კაცი, ქარხნები ამუშავდებოდა და ასე შემდეგ. ისმის კითხვა — ჩვენთან არსებობს კი ფქვილისა და პურის დეფიციტი? საქართველოში მსხვილი წისქვილკომბინატები გამოიმუშავებდნენ 800 ათას ტონა ფქვილს წელიწადში, დღეს კი მხოლოდ — 200 ათას ტონაზე ნაკლებს. იმპორტის გადიდებისა და წარმოების შემცირების მიუხედავად, დღეს წარმოებული ფქვილის რაოდენობა 500-600 ათას ტონას აღწევს, რასაც სწორედ ის პატარ-პატარა კომერციული სტრუქტურები ახერხებენ. ამიტომ, შელავათმა მაინც ვერ აამუშავა დიდი წისქვილქარხნები, ბიუჯეტს კი უზარმაზარი შემოსავლები დააკლდა. ნუთუ დღეს ხორბლის დღგ-ზე მეტი პრობლემა არა აქვს პრეზიდენტს? თუნდაც გადასახადების, საგარეო ვალების, ენერგეტიკის და სხვა სფეროებში. საგალუტო ფონდის ხელმძღვანელის დონეზე ქვეყნისთვის სტრატეგიულ საკითხზე უნდა ხდებოდეს მსჯელობა და არა კერძო პირების ლობირება. ევროკავშირი 50 მილიონი ეკიუს გამოყოფას დაგეპირდა გრანტის სახით იმ პირობით, თუ პურპროდუქტების სფეროს რესტრუქტურიზაციას მოვახდენთ და შელავათს გავაუქმებთ. ევროკავშირს უნდა, რომ მის მიერ გამოყოფილი თანხა მოხმარდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მათ უკვე უარი გვითხრეს ამ თანხის გადმოცემაზე, სანამ არ გაუქმდება ის შელავათები, რაც პურთან დაკავშირებით იქნა მიღებული. ხელისუფლებას კი მცდარი ნაბიჯის შეცვლა მაინც მოუხდება. ამით იკარგება დრო და ილახება ქვეყნის ავტორიტეტი.

ამიტომ, საგალუტო ფონდს კი არ უნდა საყვედურობდნენ, არამედ იმათ, ვინც ეკონომიკურ პოლიტიკას განსაზღვრავს. ეკონომიკური პოლიტიკა კი კუს ნაბიჯებით მიდის. რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციები, ბევრი სფერო ხელუხლებელი იქნებოდა.

— რამდენადმე უცნაურად ჟღერს, რომ უცხოელებს უფრო

მეტად აღელვებთ ჩვენი პრობლემები, ვიდრე ჩვენ.

— ჩვენ ვართ ამ ორგანიზაციების წევრები და ეიყენებთ ჩვენს კანონიერ უფლებას, მათგან მივიღოთ ფიხანსური დახმარება. მათი ჩვენდამი ზრუნვა გამომდინარეობ' იქიდან, რომ საქართველომ პრობლემები არ შეუქმნას სხვა წევრ ქვეყნებს. მოგეხსენებათ, უცხოელები ფილანტროპები არ არიან, რომ მილიონები გვაჩუქონ. ამ დროს ჩვენი და მათი ინტერესების თანხვედრა ხდება. საერთა'შორისო ორგანიზაციის ყველა წევრი "თამა'შობს" კოლექტიურად და დებს ურთიერთმისაღებ და ხელსაყრელ ხელშეკრულებას. ამიტომ ვისწრაფვით ამ ჯანსაღ საერთაშორისო ორგანზიაციაში გაერთიანებისაკენ, რომ მისი ბუნებრივი გაელენის ქვეშ მოვექცეთ, თორემ 50 მილია სავალუტო ფონდი ჩვენს გარეშეც მშვენიერად არსებობს. საბჭოთა კავშირიც არსებობდა იზოლირებულად, ათი გაელენის გარეშე და რაც დაემართა ყველას კარგად მოგეხსენებათ.

ივლისი. 1998 წ.

ეცოცავი განვითარების დრო აღარ არის. საჭიროა ნახტომი

— ბატონო რომან, შაბათს, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა და ნახევარი წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები. როგორ აფასებთ ეკონომიკის განვითარების დღევანდელ მდგომარეობას, შეიძლება თუ არა იგი დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ?

— ჩემთვის, როგორც ეკონომისტისათვის, ნათელია, რომ მცოცავი განვითარებით ძალიან დავიგვიანებთ, ჩვენ გვინდა გარღვევა. დროში გაწერილი ქმედებები, მაგალითად, ერთწლიანი პროგრამა არის აუცილებელი პირობა კრიზისიდან გამოსვლისა.

რაც შეეხება ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ თეზისებს, მასში ბევრი რამ არის საყურადღებო, თუმცა ძირითადად მაინც უტოპიურია (ამნისტია და მსგავსი ინიციატივები). ამ წინადადებების გატარებისას, მთლიანად შესაცვლელი გახდება ის საერთაშორისო ვალდებულები, რომელიც მთავრობას აქვს აღებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინაშე. ვეჭვობ, ეს რეალური იყოს.

რაც შეხება ეკონომიკურ ვითარებას: როგორც მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, 1998 წლის პირველი ექვსი თვე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის შენელებით აღინიშნა. თუკი 1996 და 1997 წლებში ზრდის ტემპმა 11%-ს გადააჭარბა, 1998 წლის პირველ ნახევარში მან 8,9% შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 1990-1994 წლებში ქვეყნის ეკონომიკა მკვეთრად დაეცა, ზრდის ტემპის აბსოლუტური სიდიდე არც თუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება. ასეთი მატებით თუნდაც 1989 წლის დონეს რომ მიეაღწიოთ, კიდევ 10 წელიწადი დაგეჭირდება.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ 1998 წლის ხუთ თვეში, 1997 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოების მოცულობა შემცირდა მრეწველობის ორივე ძირითად დარგში: მომპოვებულ მრეწველობაში — 3%-ით, ხოლო გადამამუშავებელ მრეწველობაში . — 0,4%-ით.

სამრეწველო საწარმოთა თითქმის ნახევარი კვლავ გაჩერებულია.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ძირითადად ხდება მშენებლობის, ვაჭრობისა და მომსახურების, აგრეთვე არამატერიალური

დარგების ხარჯ'ს. დარგის სპეციფიკიდან გამომ'ლინარე, აქ წარმოებული პროდუქციის მოცულობის აღრიცხვა უფრო გართულებულია, რის გამოც შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი იმალება და აღნიშნული სფერო სრულად არ მონაწილეობს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში.

ამასთან, არ ვიქნებით ობიექტურნი, აქეე თ'ე არ აღვნიშნავთ იმ წინსვლას, რითაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი ეკონომიკა ხასიათდება. დამყარდა მაკროეკონომიკული სტაბილურობა, ბიძგი მიეცა ეკონომიკური აღმავლობის დაწყებას. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მისი შედეგები რაც შეიძლება სწრაფად მოვიმკათ. ხალხი დაიღალა 'შორეული მომავლის იმედით ცხოვრებით. ახლო მომავალი უფრო მიმ'ხიდველი უნდა იყოს.

სწორედ ამიტომ, მკაცრად უნდა დაისვას საკითხი ეკონომიკის, პირველ რიგ'ში კი საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს დროული გაჯანსაღებისა და იმ უწყებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემის მოგვარება.

- რომელი კონკრეტული დარგი შეიძლება იქცეს ლოკომოტივად, რომელიც გასწევს ეკონომიკის დანარჩენ ვაგონებს?

- ა'ხიისა თუ ლათინური ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფოსგან განსხვავებით (მაგალითად, ჩილეში, სადაც ასეთი "ლოკომოტივის" ფუნქცია სპილენძის საბადოების ათვისებას დაეკისრა), ჩვენთან გაძნელდება ეკონომიკის ერთი რომელიმე სფეროს გამოყოფა და მთელი აქცენტის მასზე გადატანა. ასეთი დარგი შეიძლება ყოფილიყო ტურიზმი (დასვენების ინდუსტრია) და საკურორტო მეურნეობა, რომელიც იძლევა უსარმაზარი კაპიტალის სწრაფი თაკდაპირველი დაგროვების საშუალებას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს უნიკალური შესაძლებლობები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი ვითარება (განსაკუთრებით აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა) არ ქმნის დარგის სწრაფი აღორძინების პირობებს. თუმცა მისი განვითარებისთვის დღესვე უნდა გატარდეს რადიკალური ღონისძიებები.

რაც შეეხება "ეკონომიკური გარღვევის" წანამძღვრებს, იგი უნდა ვეძიოთ როგორც ეკონომიკის რამდენიმე პრიორიტეტული სეგმენტის გამოყოფაში, ასევე შესაბამისი ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებაში. ამ პროცესს ერთდროული და კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

- ექვსი თვის სახლმწიფო ბიუჯეტის გეგმა ვერ შესრულდა. ბიუჯეტის შემოსავლებს დააკლდა 21 მილიონი ლარი, რამაც შექმნა მრავალი სოციალური პრობლემა. რა ძირითად სირთულეებს გამოყოფდით საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში?

- სახლემწიფო შემოსავლების შეგროვების ძალზე დაბალი

მაჩვენებელი ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, რომლის წინაშეც დგას საქართველოს სახელმწიფო საფინანსო სისტემა. თუ ასე გაგრძელდა, საფინანსო კრიზისი გარდაუვალია.

სახელმწიფო შემოსავლებმა (ანუ სახელმწიფო ბიუჯეტისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ერთობლივმა შემოსავლებმა) 1997 წელს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგინა 10,9%. 1996 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო – 8,4%, რომ აღარაფერი ვთქვათ 1995 წელზე, როცა, ფაქტობრივად, არ ხდებოდა შემოსავლების გადანაწილება საბიუჯეტო არხებით და ქვეყანა მოკლებული იყო დაფინანსების ადგილობრივ წყაროებს (იმ პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 5,7% იყო).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით შეინიშნება გარკვეული დადებითი ძვრები (მათ შორის მიმდინარე წლის ექვს თვეშიც, როდესაც ეს თანაფარდობა გაიზარდა და დაახლოებით 13%-ს მიაღწია), გადასახადების მობილიზების ასეთი დაბალი დონე კვლავ საგანგაშო პრობლემად რჩება.

ნიშანდობლივია ის, რომ გადასახადების აკრეფის მხრივ საქართველო კვლავინდებურად ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში.

საილუსტრაციოდ მინდა მოვიტანო რამდენიმე მაგალითი:

ბიუჯეტში გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საქართველოში რომ ყოფილიყო იმ მოცულობით, როგორც მაგალითად, შეეციაშია (52%-ის ფარგლებში), ყველა დონის ბიუჯეტის ერთობლივი შემოსავალი გასულ წელს 705 მილიონი ლარი კი არ იქნებოდა, არამედ 3,4 მილიარდი ლარი (ანუ ხუთჯერ მეტი).

ეს მაჩვენებელი ევროკავშირის დონეს რომ გათანაბრებოდა (სადაც გადასახადების აკრეფა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 40-45%-ია), მაშინ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები იქნებოდა 2,6-2,9 მილიარდი ლარის ტოლი (ანუ ოთხჯერ მეტი).

თუკი სახლემწიფო შემოსავლების მოცულობის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დონეზე მაინც დარჩებოდა (საშუალოდ 27%), მაშინ საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლები 1,8 მილიარდ ლარს მიაღწევდა (ანუ 2,5 ჯერ მეტი იქნებოდა).

სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენ აფრიკის ჩამორჩენილ სახელმწიფოებს თუ შეკედრებით, თუმცა, იქაც კი, ქვეყნების უმეტეს ნაწილში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და დაახლოებით 16-20%-ის ტოლია. ეს დონე მაინც რომ შეგვენარჩუნებინა, ჩვენი საბიუჯეტო შემოსაელები ამჟამინდელთან შედარებით 40%-ით მეტი იქნებოდა.

ამ სფეროში უზარმაზარი რეზერვები გაგვაჩნია.

მაშინ, როდესაც 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავლები მხოლოდ 593 მილიონი ლარი იყო, ხოლო 1998 წლის გეგმა 761 მილიონი ლარი' ოდენობითაა განსაზღვრული (რაც სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ვერ შესრულდება), ქვეყანაში შემოსავლების ზრდის არსებული შესაძლებლობების გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია. ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ უმნიშვნელო ოდენობით იქნება დაფინანსებული ჩვენი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სოციალური პროგრამები, ქვეყნის უშიშროება და თავდაცვა, ეკონომიკის განვითარება.

ასევე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალური მონაცემების მიხედვით საგადასახადო ტვირთი ძალზე დაბალია, რეალურად ის გაცილებით მძიმეა. გადასახადების მთელი სიმძიმე აწვება გადამხდელთა შედარებით მცირე ნაწილს. ამასთან, გარდა ოფიციალური გადასახადებისა, ჩვენთან მოქმედებს არაფორმალური, უკანონო დაბეგვრის მექანიზმები, რომლითაც ხდება დიდძალი ფულადი სახსრების ფარული გადანაწილება არასაბიუჯეტო არხებით (შესაბამისად, ეს სახსრები ემსახურება არა მთელი საზოგადოების, არამედ მხოლოდ ვიწრო ფენის ინტერესებს).

შემოსავლების ლეგალიზება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შეკვეცა, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში კორუფციის მასშტაბების შემცირება და მოსახლეობის საგადასახადო კულტურის ამაღლება არის საბიუჯეტო შემოსავლებისა და, შესაბამისად, საზოგადოებრივად აუცილებელი სახელმწიფო ხარჯების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი.

როცა ქვეყნის საფინანსო მეურნეობაში ასეთი საგანგაშო ვითარებაა შექმნილი, გაუმართლებელია მისი ახსნა რაიმე ობიექტური მიზეზის მოშველიებით. ეს ძირითადად, ჩვენი სახელმწიფო სამსახურების სუსტი მუშაობის შედეგია (აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ფინანსთა სამინისტროსა და მის ძირითად სტრუქტურებს – საგადასახადო ინსპექციის, საბაჟო სამსახურისა და ხაზინის სახით. თუმცა მათი უშუალო პასუხისმგებლობაც ძალზე დიდია).

მიზეზი უნდა ვეძიოთ აგრეთვე საკანონმდებლო ბაზაშიც, რომელიც არ იძლევა შემოსავლების სრული მობილიზების შესაძლებლობას.

- ხშირად გაისმის როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის კრიტიკა დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით. ჩამოყალიბდა აზრი, რომ ეკონომიკური განვითარების ძირითადი შემაფერხებელი მიზეზი ჩვენი საგადასახადო სისტემაა. თქვენი აზრი ამის შესახებ.

- ეკონომიკური კრიზისის მიზეზად, ზოგჯერ, ამა თუ იმ ცალკე აღებულ პრობლემას მიიჩნევენ. უფრო ხშირად ასეთ ფაქტორად საგადასახადო სფეროში წარმოქმნილ სიძნელეებს ასახელებენ.

როგორი დიდი ზეგავლენაც უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ფაქტორს, ჩვენთან შექმნილი ვითარება იმდენად მრავალმხრივი მიზეზებით არის გამოწვეული, რომ ერთუცნობიან განტოლებამდე მისი დაყვანა პრობლემის მეტისმეტი გამარტივება იქნებოდა.

ეკონომიკის გამოცოცხლებას ხელს უშლის ისეთი ფაქტორების ერთობლიობა, როგორიცაა საწარმოების მოძველებული ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვა, ნაწარმის მაღალი თვითღირებულება და დაბალი ხარისხი (ანუ მათი არაკონკურენტუნარიანობა), რის გამოც ხდება სამამულო პროდუქციის ჩანაცვლება საზღვარგარეთული საქონლით, ენერგეტიკული კრიზისი და ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოშლა, იმპორტირებული ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი გაძვირებდა და ა.შ.

უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი ხვედრითი წილი (შავი ბაზარი) და კორუფცია, სუსტი საბანკო სექტორი და საკრედიტო ინსტიტუტების განუვითარებლობა, დაბეგვრაში არსებული პრობლემები, საკუთრებითი ურთიერთობების მოუწესრიგებლობა (მათ შორის მიწაზე), უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, სახელმწიფო ადმინისტრაციის ჩარევა ეკონომიკაში, მყიფე მონეტარული წონასწორობა, უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა, ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო ვალების მომსახურების ტვირთი და მრავალი სხვა.

ამიტომ, ვიმეორებ, პრობლემის ერთ რომელიმე კონკრეტულ მიზეზამდე დაყვანა საკითხის ძალზე გაუბრალოება იქნებოდა.

ნურც პოლიტიკური (გარე და შიდა) ფაქტორი გამოგვრჩება მხედველობიდან.

ეკონომიკური კრიზისის მიზეზი მრავალმხრივია და მისი გადაჭრაც ასევე მრავალმხრივი ღონისიებების ერთად გატარებას მოითხოვს.

ივლისი. 1998 წ.

ლარის გაუფასურების ძირითადი მიზეზი ევისია

ვინაიდან ქვეყანაში მიმდინარე საფინანსო კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა ყოთარება, გამოიწვია ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურება, აუცილებელია მოვლენების ობიექტური შეფასება, რათა იგი არ გადაიზარდოს კიდევ უფრო ღრმა და ყოვლისმომცველ ეკონომიკურ კრიზისში.

ლარის დევალვაციის პროცესმა საგანგაშო ხასიათი მიიღო.

ლარის მიმოქცევაში გაშვების დღიდან, ანუ 1995 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის სექტემბრამდე (მთელი სამი წლის განმავლობაში) მისი ნომინალური კურსი დოლართან მიმართებაში მხოლოდ 5 პუნქტით შემცირდა (1,3-დან 1,35-მდე), მაშინ, როცა 1998 წლის სექტემბერ-ნოემბერში (მხოლოდ სამი თვის განმავლობაში) იგი მთელი 25 პუნქტით დაეცა (1,35-დან 1,6-მდე).

შეშფოთებას იწვევს, აგრეთვე, ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვების ამოწურვის ტემპიც. თუკი 1998 წლის დასაწყისში რეზერვები დაახლოებით 170 მილიონი დოლარის ტოლი იყო, დღეისათვის მხოლოდ 70 მილიონი დოლარია დარჩენილი.

1997 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე განხორციელებულმა წმინდა ინტერვენციამ 39,5 მილიონი დოლარი შეადგინა, 1998 წლის თერთმეტ თვეში კი მან 86 მილიონს გადააჭარბა (აქედან, ბოლო სამ თვეში ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ბირჟაზე გაყიდა 46 მილიონ დოლარზე მეტი). ამას ემატება ის თანხა, რომელიც საქართველოს მთავრობამ პირდაპირ შეიძინა ეროვნული ბანკიდან საგარეო ვალების მომსახურებისათვის და ნათელი გახდება, თუ რატომ შემცირდა ასე სწრაფად ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები.

მაინც რა არის ამის ძირითადი მიზეზი? უნდა ვაღიაროთ, რომ მას საფუძველი საბიუჯეტო კრიზისმა დაუდო.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დადგენილი იყო 178,4 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც დაფინანსების საგარეო წყარო განისაზღვრა 88,4 მილიონი (მსოფლიო ბანკის სესხი), ხოლო შიდა წყარო — 90 მილიონი ლარის ოდენობით. აქედან, 54 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი კრედიტი, 32 მილიონი ლარი კი ბიუჯეტში უნდა შემოსულიყო ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები სახაზინო ვალდებულებების განთავსებით. დანარჩენი 4 მილიონი ლარის მობილიზება გათვალისწინებული იყო სხვა შიდა წყაროებიდან.

სინამდვილეში კი, ვითარება სულ სხვანაირად წარიმართა: მსოფლიო ბანკმა დადგენილ ვადაში არ გადმორიცხა თანხების დიდი ნაწილი (დღემდე არ არის მიღებული 57 მილიონი ლარის ეკვივალენტი თანხა დოლარებში), ჩაეარდა სახაზინო ვალდებულებების გამოშვების პროცესი, ვერ მივიღეთ აგრეთვე ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 20 მილიონი ლარი). ამას დაემატა საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის კატასტროფული ჩავარდნა, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა მიემართა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის ყველაზე უარესი ხერხისათვის — ემისიისათვის. ბუნებრივია, ეს მოხდა ეროვნული ბანკის მიერ.

ბიუჯეტის ხარჯების დასაფარად მთავრობამ ეროვნული ბანკიდან აიღო სესხი 169,6 მილიონი ლარის ოდენობით (მაშინ, როცა კანონით, ანუ 1998 წლის ბიუჯეტით, ეროვნული ბანკის სესხი მხოლოდ 54 მილიონი ლარის ოდენობით იყო განსაზღვრული). ამ თანხის უდიდესი ნაწილი უკვე დახარჯულია. დარჩა მხოლოდ 14 მილიონი ლარი, რომელიც, დეკემბრის თვეში იქნება ათვისებული.

ბიუჯეტის ხარჯების ამ გზით დაფინანსება ძირითადად განხორციელდა ბოლო 4 თვის განმავლობაში. იგი დაემთხვა რუსეთის კრიზისსა და სხვა უარყოფით შიდა (მათ შორის პოლიტიკურ) მოვლენებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სავალუტო ფონდმა დადგენილ ვადაში არ გადმოგვირიცხა თანხების დიდი ნაწილი და ეს სამომავლოდ გადაიდო, ადგილი გასაგებია, თუ რატომ შეიქმნა მყარი ვალუტის მნიშვნელოვანი დეფიციტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლის სექტემბრის პირველი შაბათ-კვირის სავალუტო პანიკის შემდეგ, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული იქნა არასწორი გადაწყვეტილება ვალუტის გადამცვლელი მრავალი პუნქტის გაუქმების შესახებ. ასევე, ნაადრევი და ვითარებასთან შეუსაბამო იყო ის ღონისძიებები, რომელიც კომერციული ბანკების სისტემაში მათ მოქცევას ითვალისწინებდა. ამას მოჰყვა საპირისპირო რეაქცია სავალუტო ბაზრის მხრიდან, მნიშვნელოვნად შემცირდა ბრუნვა, მრავალი გადამცველელი პუნქტი კი დაიხურა (ან გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში). შემოსავლების კლებისა და კომერციული ბანკების მეურვეობის ქვეშ საქმიანობის წამგებიანობის გამო, ბევრმა მათგანმა საერთოდ შეწყვიტა მუშაობა.

თვით კომერციული ბანკები არ აღმოჩნდნენ მზად ჩანაცვლებოდნენ სავალუტო პუნქტებს, როგოიც საბრუნავი საშუალებების უკმარისობის, ასევე ახალი, კაპიტალური ოფისების მოწყობისათვის საჭირო სახსრების უქონლობის გამო.

ეროვნულმა ბანკმა წაუყრუა შექმნილ ვითარებას, დაჰყვა მთავრობის ნებას და გასცა დიდძალი სესხი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ისე, რომ ამის შესახებ არ ჰქონია ნებართვა პარლამენტის-

აგან. ამით უხეშად დაარღვია შესაბამისი კანონიც. სამწუხაროდ, ამას წინათ პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ბიუჯეტში და „დააკანონა" მთავრობის მიერ არაკანონიერად გაწეული როგორც ძველი, ასევე 1998 წლის დეკემბრის თვისათვის აუცილებელი ხარჯები, რითაც ბიუჯეტის დეფიციტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 188,4 მილიონ ლარამდე. აქედან, საგარეო წყაროები მხოლოდ 37,4 მილიონი ლარის ტოლია, ხოლო შიდა — 169,6 მილიონი ლარი ეროვნული ბანკის სესხის სახით იქნა განსაზღვრული (ე.ი. თავდაპირველად დადგენილ მოცულობაზე 115,6 მილიონი ლარით მეტი).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლარის დევალვაციის ძირითადი მიზეზი არის საბიუჯეტო კრიზისი და მთავრობის ხარჯების დაფინანსება ეროვნული ბანკის მიერ. რა თქმა უნდა, ამას დაერთო სხვა ფაქტორებიც — რუსეთის კრიზისი (რომლის ზემოქმედებასაც ჩვენთან ზედმეტად აზვიადებენ), გალის მოვლენები, არეულობა სენაკში (იმ ქუჩაზე, სადაც ტანკები გაიელიან, გადასახადების გადახდაზე არავინ იფიქრებს), ტერაქტები და სხვა. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, რომ სწორი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების შედეგად, ქვეყანაში ვერ აკრეფილიყო იმ რაოდენობის შემოსავალი, რომელიც ემისიის აუცილებლობას გამორიცხავდა.

განვლილი 11 თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებული იქნა დაახლოებით 300 მილიონი ლარი, ანუ იმდენი, რამდენიც წესით უნდა შემოსულიყო მხოლოდ სიგარეტის, ნავთობისა და სპირტიანი სასმელების ბიზნესის დაბეგვრის შედეგად.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში შექმნილი ფინანსური და ფულად-საკრედიტო კრიზისის ძირითადი მიზეზია ხელისუფლების სისუსტე, მისი უუნარობა — მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს შემოსავლების მობილიზება ბიუჯეტში და დაიცვას საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიუჯეტში შემოსავლების კლების გამო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და ზოგიერთმა საბიუჯეტო ორგანიზაციამ კომერციული ბანკებიდან აიღო დიდძალი სესხი (25 მილიონ ლარზე მეტი) ფინანსთა სამინისტროს გარანტიით (საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით). ეს, ფაქტობრივად, არის შიდა ვალის ნაირსახეობა, რომლის გაცემის პროცედურა ასევე არაკანონიერი იყო. ამანაც გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებები. რა გზით და როდის დაიფარება იგი, გაურკვეველია, რადგან ის მწირი შემოსავლები, რაც ბიუჯეტში იყრის თავს, დაცულ მუხლებსაც კი არ ჰყოფნის. ამას დამატებული, მიმდინარე წლის ბიუჯეტის ის დავალიანება, რომელიც 1999 წლის ბიუჯეტი-

დან უნდა იქნას დაფარული (დაახლოებით 150 მილიონი ლარი) ნათელი გახდება, თუ რა უზარმაზარ საფინანსო პრობლემასთან გვაქვს საქმე.

კრიზისული მდგომარეობის მიზეზი ხელისუფლებამ უნდა ეძიოს საკუთარ შეცდომებში (მათ შორის საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობაში).

შექმნილმა ვითარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც წარმოებაზე, ასევე საბანკო სისტემაზეც. განსაკუთრებით გაძნელდა სესხის მიღება, რადგან ისედაც მწირი საკრედიტო რესურსები გაიცა ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კურსთა სხვაობის წარმოქმნამ, კომერციული ბანკებისათვის ხელსაყრელი გახადა სავალუტო ბირჟაზე ვალუტის ყიდვა და შემდეგ მისი რეალიზება გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით (ანუ სავალუტო სპეკულაცია), რაც გაცილებით მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე რისკიანი სესხების გაცემა საწარმოებზე.

ამ მოვლენებმა, შეიძლება, საფუძველი დაუდოს საბანკო კრიზისს, ვინაიდან ლარის დევალვაციას თან სდევს ბანკების როგორც საწესდებო ფონდებისა და ეროვნულ ბანკში მათ მიერ განთავსებული სავალდებულო რეზერვების, ასევე გაცემული კრედიტების გაუფასურება.

დღეისათვის ვითარება უკვე ისეთ სახეს იძენს, რომ მისი მიჩუმათება დაუშვებელია. საჭიროა სწორი და დროული გადაწყვეტილებების მიღება. თუკი საერთაშორისო დახმარებებმა არ დაიგვიანა, ხოლო, თავის მხრივ, ხელისუფლებამ ზუსტი ნაბიჯები გადადგა, სავსებით შესაძლებელია, რომ სავალუტო კრიზისი დაძლეული იქნას მინიმალური დანაკარგებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგომარეობა არასახარბიელო იქნება.

სამწუხაროა, რომ კვლავ მეორდება ის შეცდომები, რომელიც ერთხელ უკვე იქნა დაშვებული.

დეკემბერი. 1998 წ.

ინტერვენციების შეწყვეტა ნაადრევიც იყო და ნაგვიანევიც

დღეს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაირკვევა, თუ რა ღირს რეალურად ლარი. კორესპონდენტთან საუბარში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა, რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი მნიშვნელოვანია და მოხდება ეროვნული ბანკის მიერ ამ დეფიციტის დაფინანსება. თუ წინა წლებში მისი დაფარვა უცხოური გრანტებითა თუ სესხებით ხდებოდა, წელს ყოველივე ემისიის ხარჯზე განხორციელდა.

- ბოლო, დასუსტებული მონაცემებით, 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მიაღწევს 201 მლნ. ლარს. აქედან, მისი დაფინანსების საგარეო წყარო იქნება 31,4 მლნ. ლარის ეკვივალენტური თანხა დოლარებში, მსოფლიო ბანკის სესხის სახით, დანარჩენი 169,6 მლნ. ლარი კი – შიდა წყარო (მათ შორის, ეროვნული ბანკის სესხი 165,6 მლნ. ლარის ოდენობით, ანუ მთავრობის ემისიური დაფინანსება).

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის ბიუჯეტში ფიგურირებს უკვე მიღებული გრანტების სახით 15 მლნ.ლარი, ფაქტობრივად ეს არის ევროკავშირის მიერ მისივე ვალების დასაფარად გამოყოფილი თანხა (ანუ იგივე თანხა), რაც ბიუჯეტში არც შემოსულა. ასევე შეიძლება ითქვას მსოფლიო ბანკის ზემოთ ნახსენებ სესხზეც, რომელიც პირდაპირ წარიმართა ინვესტიციური პროექტების დასაფინანსებლად (სოციალური ინვესტიციების ფონდი, კულტურული მემკვიდრეობის პროექტი, მუნიციპალური განვითარების პროგრამა) და იგი მხოლოდ ფორმალურად თუ აღირიცხება ბიუჯეტში. უშუალოდ ბიუჯეტისთვის განკუთვნილი მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტი კი მთავრობას მიმდინარე წელს არ მიუღია. ამას დაემატა საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებაში წარმოქმნილი პრობლემები, რის გამოც ეროვნულ ბანკს მოუწია, თავდაპირველად გათვალისწინებული 54 მლნ. ლარის ნაცვლად, ბიუჯეტი დაეკრედიტებინა 165,6 მლნ.ლარის ოდენობით, საიდანაც 16 მლნ.ლარის მოცულობის ემისია განხორციელდება დეკემბრის თვეში.

- რით იყო გამოწვეული ბიუჯეტის დაბალანსების საგარეო წყაროს კლება?

- როგორც მსოფლიო ბანკს, ისე ევროკავშირს უკვე გამოყოფილი ჰქონდა ჩვენთვის თანხები, მაგრამ მათი გადმორიცხვა შეჩერებულია, საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი

სანქციები გამოიყენა სავალუტო ფონდმაც, რომელმაც სამომავლოდ გადადო ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად უკვე გამოყოფილი თანხების გადმოცემა. ამ გადაწყვეტილებებმა კი მნიშვნელოვნად შეამცირა როგორც ბიუჯეტის დეფიციტის არაინფლაციური ხერხებით დაფინანსების შესაძლებლობა, ასევე ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე.

- როგორი იყო ვითარება ამ მხრივ გასულ, ასე ვთქვათ, სტაბილურ წელს და რით განსხვავდება იგი მიმდინარე წლის საბიუჯეტო და ფულადი პარამეტრებისგან?

- გასულ 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 225,1 მილიონი ლარი. ერთი შეხედვით, ეს უფრო მეტია, ვიდრე მიმდინარე წელს, მაგრამ მის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ეკავა საგარეო წყაროებს, მსოფლიო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების სესხების სახით – 103,3 მილიონი ლარი (აქედან, ნაწილი ინვესტიციურ პროექტებზე მოდიოდა.). ეროვნული ბანკის სესხის ოდენობა 116 მილიონი ლარი იყო. თითქმის 50 მილიონი ლარით ნაკლები, ვიდრე 1998 წელს. გარდა ამისა, ბიუჯეტის შემოსავლებში 1997 წელს 32,3 მილიონი ლარი შემოვიდა უცხოური გრანტების სახით. მთლიანობაში, გასული წლის ბიუჯეტში საგარეო დაფინანსება, ანუ ე.წ. "სავალუტო ნაწილი" 70 მილიონი ლარით მეტი იყო, ვიდრე 1998 წელს. შარშან ეროვნული ბანკის რეზერვების შევსებაც შეუფერხებლად მიმდინარეობდა. 1997 წლის ბოლოსთვის იგი 110 მილიონი დოლარით მეტი იყო, ვიდრე ამჟამად გაგვაჩნია.

რუსეთის კრიზისისა და ქვეყანაში შიდაპოლიტიკური არეულობის (გალისა და სენაკის მოვლენები, ტერაქტები, წინასაარჩევნო მარათონი და ა.შ.) მიუხედავად, თუ არ გვინდა, თავი მოვიტყუოთ, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ ყველა უარყოფითი ეკონომიკური ფაქტორის (მათ შორის რუსეთის კრიზისის გავლენის) დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა გაცილებით ნაკლები დანაკარგებით. მათ შორის გამოვყოფდი იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, აგრეთვე არათანამიმდევრულობას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

- რამდენად დროული და სწორი იყო ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციების შეწყვეტა. იქნებ ის ნაადრევი იყო, ან ნაგვიანევი?

- ერთი რამ ცალსახად უნდა ვთქვა - სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების შეწყვეტას ექნება მძიმე შედეგები როგორც ცალკეული მოქალაქეებისათვის, ასევე საწარმოებისა და ბანკებისათვის, მთელი ეკონომიკისათვის. ვალუტის მყარ, ფიქ-

სირებულ კურსებზე უარის თქმა იმ გამოუვალი მდგომარეობის შედეგია, რომელშიც ჩვენივე უნიათობით აღმოვჩნდით.

აუცილებელია, შეწყდეს დემოგოგიური მტკიცებანი მის უარყოფით გავლენასთან ერთად, რაღაც დადებითი მომენტების არსებობაზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ მტკიცე ლარი იყო არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სიძლიერის ფაქტორიც.

მან ნაწილობრივ შეაღწია როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთშიც. მისი მოქმედების გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რეგიონული მართვის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ბერკეტი უნდა გამხდარიყო. რაც მოხდა, იმდენად სავალალოა, რომ ყოველად დაუშვებელია მისი თვითდინებაზე მიშვება.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა ინტერვენციების შეწყვეტა დროული, როგორ უცნაურადაც არ უნდა ეღერდეს, ეს გადაწყვეტილება ნაგვიანევიცაა და ნაჩქარევიც.

გააჩნია რას ისახავს იგი მიზნად. თუკი ძირითადი ამოცანა იყო ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვების შენარჩუნება, რატომ არ შეწყდა ინტერვენციები ორი ან თუნდაც ერთი თვით ადრე? (მხოლოდ ბოლო სამ თვეში ეროვნულმა ბანკმა ბირჟაზე ვაყიდა 54 მილიონი დოლარი, მაშინ, როცა მთელი 1997 წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულმა წმინდა ინტერვენციამ დაახლოებით 40 მილიონი დოლარი შეადგინა).

მხოლოდ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გაიყიდა 6 მილიონ დოლარზე მეტი, თანაც უკვე ნათელი იყო, რომ ინტენსიურად ხდებოდა ვალუტის შეძენა კომერციული ბანკიების მიერ, არა იმდენად საგარეო-სავაჭრო ოპერაციების დასაფინანსებლად, რამდენადაც თავიანთი რესურსების დოლარებში გადასაყვანად. როგორც ჩანს, ეროვნულ ბანკსა და მთავრობას ჰქონდათ იმედი, რომ მოუსწრებდათ ბლოკირებული გრანტები და კრედიტები, რაც არ მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა აზრი ჰქონდა ვალუტის ფლანგვას?

თუკი ინტერვენცია მაინც უნდა შეწყვეტილიყო (ეს კი, უნდა გაეთვალათ კიდეც), იგი დროულად უნდა განხორციელებულიყო, რათა დაზოგილიყო რეზერვები.

იმ სცენარით კი, როდესაც მთელი სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ლარის კურსის მეტნაკლებად მყარ კორიდორში შენარჩუნების მცდელობა, ზომებიც ადეკვატური უნდა ყოფილიყო მიღებული (მათ შორის ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების კუთხითაც).

შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში, როდესაც მნიშვნელოვნად იკლო რეზერვებმა, ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა ეროვნული ბანკის მონაწილეობა საბირჟო ვაჭრობებში შემცირებული მასშტაბებით. პარალელურად კი, უნდა გაგრძელებულიყო მუშაობა საგარ-

ეო წყაროების მოსაზიდად.

ინტერვენციის შეწყვეტის გზით ლარის დევალვაცია გაცილებით მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე რეზერვებზე ზრუნვა... მოკლე ხანში ეროვნულ ბანკს მაინც მოუწევს ამ პროცესებში ჩარევა. ამას უკარნახებს ვითარება.

- მაინც, რა იყო ინტერვენციების შეწყვეტის ძირითადი მიზეზი?

- ძირითადი მიზეზი, ალბათ, სხვაა. 1999 წლისათვის საქართველოს მთავრობას საგარეო ვალდებულებებისა და ზოგიერთი სახის საგარეო ხარჯების დასაფინანსებლად სჭირდება 90 მილიონ დოლარზე მეტი მყარი ვალუტა (საგარეო ვალების მომსახურებისათვის - 65 მილიონი ლარი (ძველი, მყარი კურსით), თურქმენეთის ძირითადი ვალის ნაწილის დასაფარავად - 42 მილიონი ლარი, უცხოეთში საელჩოების შესანახად - 16,5 მილიონი ლარი, საწევრო შენატანებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებში - 2 მილიონი ლარი, ანუ სულ 125 მილიონი ლარი). ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვი ამჟამად მხოლოდ 65 მილიონი დოლარია დარჩენილი. ეს კი ამ ვალდებულებათა გასტუმრებასაც არ ეყოფა (ანუ მთავრობის საბიუჯეტო თანხების იმ ნაწილის კონვერტირებას, რომელიც საგარეო ვალების მომსახურებისათვის იქნება გამოყოფილი).

- ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ლარის დევალვაციას მოჰყვება ექსპორტის სტიმულირება, იმპორტის შემცირება და სამამულო წარმოების გამოცოცხლება.

- ასეთი მარტივი სქემები მხოლოდ სახელმძღვანელოთა თეორიულ ნაწილშია მოცემული... თანაც ისეთ პირობებში მოქმედებს ასეთი ეფექტი, როდესაც ქვეყანაში აწყობილი სამეურნეო სისტემაა და ადგილობრივი წარმოებაც ფეხზე დგას.

დავუშვათ, მართლაც შემცირდა ამა თუ იმ საქონლის იმპორტი, გვაქვს კი ადგილობრივი საქონლით ჩანაცვლების საშუალება? ან როცა ექსპორტის სტიმულირებაზეა საუბარი, განა მისი ხელის შემშლელი მიზეზი მყარი ვალუტის პირობებში წარმოქმნილი ადგილობრივი საქონლის სიძვირეა? ძირითადი მიზეზი ხომ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგების მოშლაა?!

ამას ლარის დევალვაცია ვერ უშველის. ამიტომ, ჩვენს პირობებში დევალვაცია ვერც საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის პრობლემებს გადაჭრის. ქვეყნის იმპორტის 70 პროცენტზე მეტი მოდის ისეთ საქონელზე, რომელიც ადგილზე უკვე თითქმის არ იწარმოება (ენერგოშემცველები, მანქანა-დანადგარები, მედიკამენტები, თამბაქოს ნაწარმი, ელექტროსაქონელი და ა.შ.)

მათ შეცვლას ადგილობრივი ნაწარმით სჭირდება მნიშვნე-

ლოვანი ინვესტიციები და საკმაო დრო.

- რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ არ შეწყვეტილიყო ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბირჟაზე? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამომავლოდ?

- უნდა ყოფილიყო მიღწეული შეთანხმება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანხების დროული მიღების შესახებ.

ბუნებრივია, დადებული ხელშეკრულებების პირობებიც უნდა შესრულებულიყო: მაგალითად, ეზრუნათ თელასის პრივატიზაციიდან თანხების დროულად ჩარიცხვაზე; დროზე უნდა მომხდარიყო კავშირგაბმულობისა და ზოგიერთი სხვა დარგის ობიექტების პრივატიზება. საოცარია, როდესაც იყიდება ფოთის პორტი, რა, ან ვინ აფერხებს სასტუმრო "მეტეხის" გაყიდვას, საიდანაც შეიძლება 100 მილიონამდე დოლარის მიღება?! ასევე გაურკვეველია, რატომ არ ხდება იმ საწარმოთა მიმართ გაკოტრების კანონით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც არ ფარავენ თურქული კრედიტის დავალიანებას?

პოლიტიკური უსუსურობის გამოხატულებაა, თუნდაც, რუსი სამხედრო მოსამსახურეების ხელფასების ლარებში გაცემის პრობლემის მოუგვარებლობა.

ქვეყანაში არსებობს მყარი ვალუტის მოზიდვის მრავალი წყარო (მათ შორის პირდაპირი ინვესტირების სახით) და საჭიროა ამ რეზერვების ამოქმედება.

დაბოლოს, ყველაზე მთავარ პრობლემად კი მაინც რჩება ჩვენი ბიუჯეტი, მისი უაღრესად მწირი შემოსაელები. იმ ავანტიურისტულმა ექსპერიმენტებმა, რაც 1998 წლის საფინანსო ცხოვრებაში ხდებოდა (საგადასახადო შეღავათები, ამნისტიები და ა.შ.) კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ მარტივ ჭეშმარიტებაში, რომ ეკონომიკასთან თამაში, მისდამი პოპულისტური დამოკიდებულება ბუმერანგივით უკან ბრუნდება, თანაც გაცილებით უფრო მეტი ძალით, ვიდრე თავიდან იყო გასროლილი...

დეკემბერი. 1998 წ.

ხელისუფლება ეიხვდა, რომ ეკონომიკასთან თავაში სახიფათოა

სპეციალისტების დასკვნით, პარლამენტისათვის წარდგენილი 1999 წლის ბიუჯეტი თავიდანვე მცდარ პარამეტრებს მოიცავდა, თუმცა ლარის დევალვაციას (იმ ლარისა, რომელმაც ძლივს "შეაღწია" ცხინვალის რეგიონსა და ბოლო ხანს აფხაზეთშიც) შედეგად მოჰყვა ის, რომ მთავრობა, ფაქტობრივად ახალ ბიუჯეტზე მუშაობას შეუდგა.

— როგორ შეაფასებდით საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციას?

ვითარება, ცხადია, ძალზე მძიმეა. საბიუჯეტო კრიზისმა, რომელიც ძირითადად შემოსავლების კლებით გამოიხატა, უმძიმესი შედეგი გამოიღო ეროვნული ვალუტის გაუფასურების სახით. ბუნებრივია, ეს არა მხოლოდ სავალუტო პრობლემაა. ლარი იყო და დღემდე რჩება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად, რომელმაც შექმნა ეკონომიკური ზრდის საფუძველი. ამიტომ ცხადია, სუსტი ეროვნული ვალუტა ქვეყანას მრავალ პრობლემას უქმნის.

— საბიუჯეტო კრიზისის ძირითად მიზეზებად რას მიიჩნევთ?

პირველ რიგში, ესაა ჩვენი ხელისუფლების სისუსტე გადასახადების აკრეფაში, საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა და არათანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა. ხდებოდა მუდმივი კორექტირება ერთხელ აღებული ეკონომიკური კურსის, რომელიც შეთანხმებული იყო როგორც მსოფლიო ბანკთან, ასევე სავალუტო ფონდთან. ეს გაუთავებელი იმპროვიზაციები ქმნიდა მრავალ პრობლემას ყველა სფეროში, წესდებოდა გაუმართლებელი შეღავათები სხვადასხვა ძალების ლობირების შედეგად და იქმნებოდა ილუზია, თითქოს მათი რაოდენობრივი დაგროვება თვისებრიობაში არ გადაიზრდებოდა. პრობლემათა თანდათანობით დაგროვებამ კი გამოიწვია ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უზარმაზარი რაოდენობის გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების, ბიუჯეტის დაუფინანსებელი მუხლების წინაშე აღმოვჩნდით. ამ თანხამ უზარმაზარ ციფრს, დაახლოებით 150 მილიონ ლარს მიაღწია, რაც მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავლების) 25 პროცენტია. ცხადია, ეს თანხა მძიმე ტვირთად დააწვება მომავალ წელს.

— სხვა ფაქტორებიდან რას გამოყოფდით? კერძოდ, რუსეთში მიმდინარე პროცესებმა რამდენად იქონია გავლენა საქარ-

თველოზე?

ცხადია, არ შეიძლება შიდაპოლიტიკური ფაქტორების იგნორირება, იგივე გალისა და სენაკის მოვლენებისა, ტერაქტებისა, თუ არჩევნებისა. მინდა გითხრათ, რომ არჩევნებიც ფინანსებისა და ბიუჯეტის მტერია, რადგან ქვეყანაში არარეალისტური, პოპულისტური განწყობა იქმნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკვე შევედით საარჩევნო ფაზაში (წინ გვაქვს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები) და ცხადია, ხელისუფლება შეეცდება, მოსახლეობის გულის მოსაგები ნაბიჯები გადადგას. რა თქმა უნდა, რუსეთის საფინანსო კრიზისის ფაქტორიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა. თუმცა, თუ გვინდა, რომ თავი არ მოვიტყუოთ, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ ყველა უარყოფითი ფაქტორის (მათ შორის კრიზისის) დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა გაცილებით ნაკლები დანაკარგებით, რომ არა ის შეცდომები, რომელიც დაშვებული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში და ის არათანამიმდევრულობა, რომელსაც მთავრობა ეწეოდა საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

— მთავრობაში ძირითადად აპელირებას სწორედ რუსეთის კრიზისზე აკეთებენ...

პირველადი ფაქტორი შიდა მიზეზებია, ხოლო რუსეთის ფაქტორი, ასე ვთქვათ, დამამძიმებელი გარემოება, მაგრამ ვიმეორებ, ყველა შიდა თუ საგარეო ფაქტორის დაძლევა შეიძლებოდა, თუ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა გატარდებოდა და არც ავტორიტეტს დავკარგავდით ამ საერთაშორისო ორგანიზაციებში. ის, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ ევროკავშირის გრანტი, მსოფლიო ბანკის გრანტი და სავალუტო ფონდის მომდევნო ტრანში, ჩვენდამი უნდობლობის გამოხატულებაა. არც ის არის გამორიცხული, თუ საქმით გვაგრძნობინეს, რომ ჩვენ 1992-1993 წლების შეცდომებზე ვერ ვისწავლეთ. დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები გარკვეულ ეტაპზე ისევ ამოგვიდგებიან მხარში. ფაქტობრივად, უკვე ხელისუფლებაც მიხვდა, რომ ეკონომიკასთან თამაში ძალზე სახიფათოა და ამან შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს.

— თქვენს მიერ დასახელებულ მიზეზთა უმრავლესობა ცხადყოფს, რომ კონკრეტულ პასუხისმგებლობაზე საუბარი აუცილებელია...

კონკრეტული პასუხისმგებლობა ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს ეკისრებათ, ვინც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. მათ არ ჰქონდათ ერთი პოზიცია, რომელიც პარლამენტსა და მთავრობაში უნდა ყოფილიყო გამოხატული, და პრინციპულად არ დაიცვეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებული

ხელშეკრულებები. კომპრომისულმა პოლიტიკამ და რა თქმა უნდა, მთლიანად ხელისუფლების სისუსტემ კი აქამდე მიგვიყვანა. ცხადია, ხელისუფლების კორუფციის ფაქტორიც არის მნიშვნელოვანი, ანუ როცა გადასახადები ოფიციალურის ნაცვლად „არაოფიციალურ ბიუჯეტში" მიდის. ის, რომ გადასახადები ხაზინაში არ იყრის თავს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გადასახადებით მეწარმეები და სხვა მოქალაქეები არ იბეგრებიან.

— პრეზიდენტი ყველაზე ხშირად აქცენტირებას "ურჩ გადამხდელებზე" აკეთებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ძნელია მათი ვინაობის დადგენა?

ამისათვის პოლიტიკური ნებაა საჭირო. როგორ გგონიათ, რატომ არ არის ამოღებული ე.წ. თურქული კრედიტი? რატომ არ არის მიღებული ზომები იგივე „ურჩ გადამხდელთა", საწარმოების გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე. ამ საწარმოების დავალიანება ლარის კურსის დაცემასთან ერთად დაიწევს და თუ ასე გაგრძელდა, ახდება ყოფილი ფინანსთა მინისტრის ოცნება. ფაქტობრივად, ამ-ნისტიას ნიშნავს, როცა ვალუტის დევალვაციის პირობებში გადასახდელი თანხა იმავე რაოდენობის რჩება, მაგრამ მისი რეალური დატვირთვა მნიშვნელოვნად ეცემა.

— რამდენად დროული და სწორი იყო ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციების შეწყვეტა?

ერთი რამ ცალსახად უნდა ითქვას — სავალუტო ბაზარზე ინტერვენციის შეწყვეტას მეტად მძიმე შედეგები მოაქვს, როგორც ცალკეული მოქალაქეების, საწარმოებისა და ბანკების, ასევე მთელი ეკონომიკისათვის. მკაცრ, ფიქსირებულ კურსზე უარის თქმა გამოუვალი მდგომარეობის შედეგია და უნდა შეწყდეს დემაგოგიური მტკიცებები მის უარყოფით ზეგავლენასთან ერთად, რაღაც დადებითი მომენტების არსებობის შესახებ. მინდა განვაცხადო, რომ ეს გადაწყვეტილება ნაგვიანევიცაა და ნაჩქარევიც. გაანალიზა, იგი მიზნად რას ისახავს. თუკი ძირითადი ამოცანა ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვების შენარჩუნება იყო, რატომ არ შეწყდა ინტერვენციები ორი, ან თუნდაც ერთი თვით ადრე? მხოლოდ ბოლო კვირის განმავლობაში გაიყიდა 6 მილიონ დოლარზე მეტი, თანაც ნათლად ჩანდა, რომ კომერციული ბანკების მიერ ინტენსიურად მიმდინარეობდა ვალუტის შეძენა, არა იმდენად საგარეო-სავაჭრო ოპერაციების ჩასატარებლად, რამდენადაც საკუთარი რესურსების დოლარებში გადასაყვანად. როგორც ჩანს, ეროვნულ ბანკს და მთავრობას ჰქონდა იმედი, რომ გრანტები და კრედიტები მოუსწრებდა, ასე კი არ მოხდა. ამგვარ ვითარებაში თუკი ინტერვენცია მაინც უნდა შეწყვეტილიყო (და ეს უნდა გაეთვალათ), იგი დროზე უნდა განხორციელებულიყო, რათა რეზერვები დაეზოგათ. საერთოდ კი,

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა ეროვნული ბანკის შემცირებული მასშტაბით მონაწილეობა საბირჟო ვაჭრობებში და პარალელურად საგარეო წყაროების მოზიდვაზე მუშაობა. ინტერვენციის შეწყვეტის გზით ლარის დევალვაცია გაცილებით მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე რეზერვებზე ხრუნვა. მოგვიანებით ეროვნულ ბანკს მაინც მოუწევს ამ პროცესებში ჩარევა. ამას ვითარება უკარნახებს. ინტერვენციის შეწყვეტის ძირითადი მიზეზი კი ალბათ სულ სხვაა. მომავალი წლისათვის საქართველოს მთავრობას საგარეო ვალდებულებებისა და ზოგიერთი ხარჯის დასაფინანსებლად 90 მილიონ დოლარზე მეტი სჭირდება (თურქმენეთის ძირითადი ვალის ნაწილის დასაფარად, ჩვენი საელჩოების შესანახად თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევრო შენატანებისათვის), ამჟამად კი ეროვნულ ბანკში უცხოური ვალუტის რეზერვი იმ რაოდენობისაა, რაც ამ ვალდებულებათა გასტუმრებას არ ეყოფა.

— რა უნდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ არ შეწყვეტილიყო ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბირჟაზე?

მიღწეული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან თანხების დროული მიღება, უნდა ეზრუნათ, მაგალითად, თელასის პრივატიზაციიდან თანხების დროულად ჩარიცხვასა და კავშირგაბმულობისა და ზოგიერთი სხვა ობიექტების სწრაფად პრივატიზებაზე. მაკვირვებს, როცა ფოთის პორტი და რკინიგზა იყიდება, ვინ აფერხებს სასტუმრო "მეტეხის" გაყიდვას, საიდანაც 100 მილიონამდე დოლარის მიღება შეიძლება? ან კიდევ ვიმეორებ, რატომ არ ხდება იმ საწარმოთა მიმართ გაკოტრების კანონით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც არ ფარავენ თურქეთის მთავრობის მიერ გამოყოფილ კრედიტს. ქვეყანაში არის ვალუტის მოზიდვის წყაროები და მათი დროულად ამოქმედებაა საჭირო.

— შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს თუ ხედავთ?

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევარჩიოთ სწორი გზა ეკონომიკური რეფორმებისაკენ და არ უნდა ხდებოდეს მისი კორექტირება ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ეკონომიკა პოლიტიკურ გუნება-განწყობილებასა და კონიუნქტურას არ უნდა ექვემდებარებოდეს. ბოლო ხუთ წელიწადში, ხელისუფლებამ ამ მიზეზით ორი მწარე გაკვეთილი ნახა, თუმცა დღეს აბსოლუტურად სულ სხვა ვითარებაა. ახლა არგუმენტად არც ხელისუფლების წარმომადგენელთა გატაცება გამოდგება და არც უზარმაზარი რესურსების აფხაზეთის ომში გადინება. ასეთ პირობებში, ეროვნული ვალუტის გაუფასურება ამ მასშტაბით არ უნდა მომხდარიყო, რომ არა სუბიექტური ფაქტორები, და გან-

საკუთრებით ემისია, რაც ეროვნულმა ბანკმა დაუშვა. ასე ეთქვათ, ასფალტიან გზაზე რომ კაცმა ფეხი წაიმტვრიო, ცხადია, მისი საკუთარი მოძრაობის ტრაექტორიაში უნდა ეძებო. ბოლო ოთხ წელიწადში, საქართველომ დახმარებისა და გრანტების სახით დაახლოებით ბილიარდნახევარი დოლარი მიიღო, მაშინ, როცა იყო დრო, რომ ეროვნულ ბანკში, მხოლოდ 300 000 რუსული მანეთი იდო. არის ვითარება, როცა გაცილებით მეტად ხარ დაზღვეული, ვიდრე ექსტრემალურ სიტუაციაში. დღეს შეიძლება ითქვას, რომ პროცესი საშიში ფორმით არ უნდა განვითარდეს, რადგან დიდი რაოდენობის თანხები ისევ მისაღებია უცხოური დახმარებების სახით.

— თქვენი პროგნოზი?

პროგნოზი სახარბიელო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ მთავრობა სწორ ნაბიჯებს გადადგამს და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა დაიწყება. ზურგშექცეული საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები რეფორმებით უნდა შემოვაბრუნოთ — ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

დეკემბერი. 1998 წ.

ელიტა საქართველოში

გაზეთის ანკეტა

1. რას მოიაზრებს, როგორი კონკრეტული დატვირთვა აქვს ტერმინს „ელიტა“, კონკრეტულად - პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტას? რა მატერიალურ და თანამდებობრივ ცენზს გულისხმობა ეს ტერმინი?
2. ვინ ქმნის საქართველოში პოლიტიკურ ელიტას?
ა) ყოფილი პარტიულ-სამეურნეო ნომენკლატურა (წარმოადგინეთ მისი სოციალურ-პოლიტიკური დახასიათება).
ბ) ეროვნული მოძრაობიდან მოსული კადრები (წარმოადგინეთ მისი სოციალურ-პოლიტიკური დახასიათება).
გ) ახალი ძალები. ე.ი. არც ძველი ნომენკლატურა და არც ეროვნული წარმომავლობისანი (დაახასიათეთ).
3. ვინ ქმნის საქართველოში ბიზნეს ელიტას? ვისა აქვს ფული საქართველოში?
ა) არალეგალურ სფეროში (სახელმწიფო თანამდებობის „კრიშის“ ქვეშ ვინ აკეთებს დიდ ბიზნესს?).
ბ) დახურული ბიზნესის ელიტაში (ალკოჰოლური სასმელი, სიგარეტის იმპორტი, პურპროდუქტები და ფქვილი. ვინ არიან ამ ელიტის წარმომადგენლები?).
გ) ლეგალური ბიზნესის ელიტაში (ბანკები, ენერგოსექტორი და ა.შ.).
4. როგორია პოლიტიკური და ბიზნეს ელიტის ურიერთმიმართება და ურთიერთსარგებლობა საქართველოში?

1. ელიტა, ფაქტიურად, საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური ზედაფენაა. ის მართავს ქვეყანას, თანაც, უპირატესად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე (განსაკუთრებით ჩვენნაირ, გარდამავალ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებაში).

საქართველოში ელიტა ჩამოყალიბების პროცესშია. მე მას უფრო ფსევდოელიტას ვუწოდებდი.

ვინაიდან, პოსტკომუნისტურ პერიოდში ჩვენთან მნიშვნელოვანი ძვრები ხდება, საზოგადოება არამყარია, ელიტაც ასევე "მობილურია". ძალზე დიდია იმის შანსი, რომ ელიტიდან ამოვარდე (ძირითადად მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების ან პოლიტიკური სტატუსის დაკარგვის გამო) და პირიქით, სწრაფად აღზევდე. არამდგრად საზოგადოებაში, სადაც ხდება ხელისუფლების ძალით დამხობა ან სამოქალაქო დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე, ძალზე ადვილი შესაძლებელია, რომ იერარქიის მაღალ საფეხურზე

მდგომი უცბად პატიმრის საკანშიც კი აღმოჩნდეს (ანუ ციხის ელიტ-ას ჩაუდგეს სათაეში), რომ არაფერი ეთქვათ ძალაუფლების დაკარგვას-თან ერთად, მისი სოციალური სტატუსის დევალვაციაზე.

ჩვენს საზოგადოებას, რომელიც პროდუქტია კომუნისტური სისტემისა, ბევრი რამ ერგო მემკვიდრეობით მისგან, თუნდაც ის, რომ ქვეყნის მოქალაქეთა "ნაღები"ნაწილი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ხელისუფლებასთან (ე.წ. კარის ინ-ტელიგენცია, პარტიულ-სამეურნეო ნომენკლატურა, თავის სფეროში გამოჩენილი ადამიანები, მაგალითად სპორტსმენები და ა.შ.). იგი იყო ხელისუფლების ატრიბუტი, მისი რუპორი, იდეოლოგიური საყრდე-ნი. თავის მხრივ, ხელისუფლება აძლევდა მათ "ელიტარულობის" უფლებას, ანუ ფაქტიურად, თვითონ ქმნიდა მას. ასეთი "დანიშნუ-ლი" ელიტის ქონებრივი უზრუნველყოფა, ძირითადად, ხდებოდა სხვადასხვა შეღავათებისა და პრივილეგიების გზით.

დღესაც, ზემოთქმულის ანალოგიურად, ხელისუფლებასთან სიახლოვე არის ელიტაში დამკვიდრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

2. ა) ელიტის ძირითადი ნაწილია ყოფილი პარტიულ-სამეურ-ნეო-კომკავშირული ნომენკლატურა. ძირითადად, ეს ფენა მართავს დღეს ქართულ ბიზნესს და მნიშვნელოვანი უპირატესობით არის წარმოდგენილი სახელისუფლო სტრუქტურებში (მათ შორის, ადგ-ილობრივი მმართველობის დონეზე).

ბ) ეროვნული მოძრაობიდან მოსული კადრები ძალ`სე მწირად შემორჩნენ ხელისუფლებაში. შედარებით უკეთ გამოიყურებიან პარლა-მენტში, რასაც ვერ ვიტყვით აღმასრულებელ სტრუქტურებზე. მათი გავლენის სფერო შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური სეგმენ-ტის არც თუ უმნიშვნელო ნაწილით და თითქმის არ გააჩნია დასაყრდენი ბიზნესში (მათ შორის, პირადი ქონებრივი წონა). ელ-იტაში წამყვანი პოზიციები განპირობებულია მათი პოლიტიკური წონით, იმ გარემოებით, რომ პოლიტიკურ სპექტრში მათ კონკურენ-ციას ვერ უწევენ ვერც ერთი სხვა ნიშნით გამორჩეული ელიტარუ-ლი პირები თუ ჯგუფები. დღეს "პოლიტიკური პარადი" როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში ამ ძალებს მიჰყავთ. ისინი, როგორც უცხოეთის, ასევე შიდაგავლენიან წრეებში, ითვლებიან ყველაზე პერსპექტიულად.

რაც შეეხება ეროვნული მოძრაობიდან ამოტივტივებულ იმ კადრებს, რომლებიც დღეს "შეურიგებელი ოპოზიციის" სახელით მოიხსენიებენ თავს (სხვები კი "ზვიადისტებს" უწოდებენ), ისინი ჯერ კიდევ ვერ გამოსულან მომხდარის ტყვეობიდან. გაყინული არიან დროში. დროიდან ჩამორჩენამ და რეალობიდან მოწყვეტამ კი ისინი, ფაქტიურად, ამოაგდო პოლიტიკური გავლენის ორბიტიდან.

გ) ახალი ძალები, რომლებიც არც ძველ ნომენკლატურას და არც ეროვნულ მოძრაობას არ განეკუთვნებიან, ფაქტიურად, არენაზე არ გამოსულან. საერთოდ, საქართველოში გამორჩეული პოლიტიკური ფიგურების გამოჩენა ძალზე იშვიათად ხდება და ძალზე ძნელია. "ელიტარულ კლუბს" ახალი წევრის სახით, ერთი საპარლამენტო ციკლის განმავლობაში ორი-სამი ადამიანი თუ შეემატება. ახალი ძალები უფრო ბიზნესის სფეროში იკიდებენ ფეხს და სწორედ ისინი გახდებიან მომავალში ანგარიშგასაწევი.

3. ა) საქართველოში ბიზნეს-ელიტას ძირითადად ქმნიან ე.წ. წითელი დირექტორები, ყოფილი პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, კომკავშირული სკოლაგავლილი კადრები, კოოპერატიული მოძრაობიდან და მის შემდგომ პერიოდში თავისუფალი მეწარმეობის ნიადაგზე აღმოცენებული მეწარმეები. დიდია აგრეთვე კრიმინალური და არალეგარული კაპიტალის (მათ შორის ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველთა) გავლენა საზოგადოებაზე. ეს ფენა ჯერ კიდევ არ გამოსულა აშკარად გავლენის არენაზე (რუსეთისაგან განსხვავებით) და თავის ინტერესებს ძირითადად ლობირების მექანიზმებით ახორციელებს.

ბ) დახურული ბიზნესი (ალკოჰოლი, სიგარეტი, ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია, პური, მედიკამენტები და ა.შ.) მთლიანად ხელისუფლების მაღალი პირების კონტროლის ქვეშ არის მოქცეული. დიდია ნარკობიზნესის გავლენაც, თუმცა, ჩემი აზრით, იგი ნაკლებადაა დაკავშირებული ხელისუფლებასთან და საკუთარი რისკის ფასად მოქმედებს.

ქართული საბჭოთა ტრადიციებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ დიდია საზოგადოებაზე კრიმინალური ძალების გავლენა, რომელთა ერთი ნაწილი ("ქურდული" ავტორიტეტები) დაუფარავად მონაწილეობს პროცესებში ხელისუფლებაში მოკალათებული "კაცური გაგების" პირების მხარდაჭერით. ეს უკანასკნელნი ზოგჯერ პოლიტიკური ნიშნითაც ერთიანდებიან ხოლმე სხვადასხვა "ნაღდი ქალაქელებისა" თუ "საძმო-სამეგობროების" სახით.

4) ბიზნეს ელიტა ღებულობს როგორც მნიშვნელოვან დაკანონებულ (სესხები, საგადასახადო შეღავათები, ლიცენზიები და ა.შ.) ასევე არაფორმალურ პრივილეგიებს. ბიზნეს ელიტას აქვს დაუსჯელობის, ხელშეუხებლობის გარანტია. თავის მხრივ, ისინი იცავენ არსებულ რეჟიმს და ხელს უწყობენ პოლიტიკური ელიტის სიმყარეს (არჩევნებში მხარდაჭერის ან საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სახით).

მთლიანობაში, სამოქალაქო საზოგადოება ჩვენთან ჯერ ფეხის ადგმის პროცესშია, რის გამოც ქვეყანა იმართება კლანურობისა და ელიტარული ჯგუფების კომპრომისული თანაარსებობის (თანამშრომ-

ლობის) პირობებში. მათი უპირველესი მიზანია ძალაუფლების შენარჩუნება თუნდაც საქვეყნო ინტერესების საზიანოდ.

რაც შეეხება ხალხს, მისი უდიდესი ნაწილი ჯერჯერობით არის დემაგოგიისა და პოპულიზმის ბანგით გაბრუებული.

ამიტომ, ის გახდა მეტად საშიში მოჩვენებითი დემოკრატიულობის პირობებში, რადგან სავსებით მოსალოდნელია, რომ იგი "გამოვიდეს კონტროლიდან" და არჩევნების გზით "გააელიტარულოს" ის, ვინც ამას ვერც კი წარმოიდგენდა. ანუ, მარტივად მოხდეს ადგილების გადანაცვლება: ვინც ზემოთაა-ქვემოთ, ვინც ქვემოთაა - ზემოთ.

ასეთ შემთხვევაში კი ადგილების გადანაცვლებით ჯამი ნამდვილად იცვლება.

იანვარი. 1999 წ.

საქართველომ რუსეთის ელექტროენერგიის ვალი საგარეო ვალად არ უნდა აიღოს

ჩვენი ენერგოსისტემა დეფიციტურია. საწარმოებს, მოსახლეობას და სხვა ენერგომომხმარებლებს არ ჰყოფნით საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ელექტროენერგია. მის ნაწილობრივ შევსებას მთავრობა ცდილობს რუსეთის ფედერაციიდან, სომხეთიდან და სხვა მეზობელი ქვეყნებიდან.

ამჟამად, საქართველოს ელექტროსადგურებში დღე-ღამეში საშუალოდ 22-23 მილიონი კვტ.სთ. ელექტროენერგია გამომუშავდება. იმისათვის, რომ საქართველოში ელექტროენერგიის 24 საათიანი მიწოდება განხორციელდეს, საჭიროა 40 მლნ.კვტ.სთ. ელექტროენერგია.

1999 წლის იანვრის დასაწყისში „საქენერგოს" ხელმძღვანელობა იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც გაიმართა შეხვედრები რუსეთის ენერგოსისტემის ხელმძღვანელობასთან. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ქართულ პრესაში გამოქვეყნდა სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის" გამგეობის თავმჯდომარის, ანატოლი ჩუბაისის ინტერვიუ, სადაც აღნიშნულია, რომ ამ შეხვედრების შედეგად რუსეთის მხარე წავიდა კომპრომისზე და აღადგინა ელექტროენერგიის მოწოდება „კავკასიონის" და შედარებით მცირე მოცულობით აფხაზეთის „სალხინოს" ხაზზე.

მიღწეულია შეთანხმება, რომ რუსეთის მიერ მოწოდებული ელექტროენერგიის საფასური გადახდილი იქნას „ცოცხალი" ფულით, რათა არ გაიზარდოს დავალიანება. ჩუბაისის განცხადებით, საქართველოს დავალიანების მოცულობამ მოხმარებულ ელექტროენერგიაზე 46,0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით იგი 40,9 მლნ. აშშ დოლარია).

ამასთან, უნდა შემუშავდეს ამ ვალის სახელმწიფო დავალიანებად გადაყვანის შესაძლებლობა. საკითხის ამ გზით გადაწყვეტა საქართველოსათვის მიუღებელია და საჭიროა სხვა სახის გამოსავლის პოვნა. იმისათვის, რომ გაირკვეს პრობლემის რეალური არსი, მოკლედ მისი ისტორიის შესახებ.

რუსეთ-საქართველოს შორის არ გაფორმებულა რაიმე სახის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში ელექტროენერგიის მოწოდების შესახებ 1993 წლიდან 1995 წლის 20 ნოემბრამდე.

1995 წლის ნოემბერში კი დაიდო შეთანხმება რუსეთიდან აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ელექტროენერგიის მოწოდების თაობაზე. კერძოდ, არსებობს რუსეთ-საქართველოს შორის უწყე-

ბათაშორისი ხელშეკრულება ელექტროენერგიის მოწოდების შესახებ (ხელშეკრულება გაფორმებულია მოსკოვში, 1995 წლის 20 ნოემბერს), ერთი მხრივ, რუსეთის „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის“ (ეეს) ცენტრალურ სადისპეტჩერო სამმართველოსა და მეორე მხრივ, საქართველოს ენერგეტიკის და ელექტროფიკაციის დეპარტამენტ „საქენერგოს“ შორის.

ხელშეკრულება ძალაში იყო მისი რეგისტრაციის დღიდან 1996 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, თუ ორივე მხარე წინააღმდეგი არ იქნებოდა და ამის შესახებ არ განაცხადებდა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე, იგი შეიძლება გაგრძელებულიყო მომავალ წელსაც. აღნიშნულ და მომდევნო ხელშეკრულებებში აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ნახსენები არ არის.

შემდგომში ხელმოწერილი იქნა 1995 წლის 20 ნოემბრის ხელშეკრულების №1 დამატებითი შეთანხმება (მოსკოვი, 1996 წლის 25 ნოემბერი) რუსეთის „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის“ ცენტრალურ სადისპეტჩერო სამმართველოსა და ენერგოკომპანია „საქენერგოს“ შორის. ამ შეთანხმების თანახმად, საქართველოს მხარემ რუსეთის ერთიან ენერგეტიკულ სისტემას უნდა დაუბრუნოს 1992-1996 წლებში მიღებული და გადაუხდელი ელექტროენერგია.

ფაქტობრივად, ელექტროგადამცემი ხაზით „კავკასიონი“, 1993-1996 წლებში დაბრუნდა 6,0 მლნ. კვტ.სთ. ელექტროენერგია, რომლის ღირებულება შეადგენს 179,4 ათას აშშ დოლარს.

ვინაიდან „საქენერგოს“ მართებდა რუსეთის ენერგოსისტემის ვალი, ამ მიზეზით, მათ შორის ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულება 1996 წლის 31 დეკემბრიდან აღარ გაგრძელდა. ხელშეკრულების გაგრძელებისათვის რუსეთის მხარემ დასვა საკითხი ძველი დავალიანების დაფარვის შესახებ. ამ გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ რატომღაც მიზანშეწონილად ჩათვალა შპს „ენერგოკონტრაქტის“ ჩამოყალიბება.

„ენერგო-კონტრაქტი“ წარმოადგენს შუამავალს „საქენერგოსა“ და რუსეთის სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიან ენერგისისტემას“ (რეე) შორის. იგი პასუხს არ აგებდა ძველ დავალიანებაზე, მაგრამ ვალდებულებას იღებდა, შემდგომში თავად მოეხდინა მიღებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება (შპს „ენერგიკონტრაქტის“ დამფუძნებლები არიან: შვეიცარული ფირმა „ასტრო ენერჯი ფინანსი“, ბრიტანული ფირმა „ეორდ ენერგო ბიზნესი“, კომერციული ბანკი „რესპუბლიკა“, სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგო“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი. შპს „ენერგო-კონტრაქტი“ რეგისტრირებულია 1996 წლის 18 ივლისს).

ამ შუამავალი სტრუქტურის შექმნის მიზანი ბუნდოვანია, ისეე,

როგორც გაურკვეველია მასში უცხოელი დამფუძნებლების მონაწილეობის მიზანშეწონილობა, მითუმეტეს, როდესაც მომავალში დავალიანების დაფარვაზე მიდგება საქმე.

რუსეთის სტრუქტურებთან ამ თემაზე უფრო ადვილია საუბარი, ვიდრე ევროპელ პარტნიორებთან, ვინაიდან რუსეთს აქვს დავალიანებები საქართველოს წინაშე (დაუბრუნებელი სამხედრო ქონება, გემები, რუსეთის სამხედრო ბაზების ხარჯები და ა.შ.).

მომდევნო ხელშეკრულება დადებულია 1996 წლის 26 დეკემბერს შპს „ენერგო-კონტრაქტსა" (საქართველო) და რუსეთის „ერთიანი ენერგოსისტემის" ცენტრალურ სადისპეტჩერო სამსახურებს შორის.

1997 წლის 26 დეკემბერს, მოსკოვში კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება, ამჯერად, რუსეთის ენერგეტიკის და ელექტროფიკაციის სააქციო საზოგადოებასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენერგო-კონტრაქტს" შორის. დადებულია აგრეთვე ხელშეკრულება (თბილისი, 22 აპრილი 1997 წელი) შპს „ენერგო-კონტრაქტს", რომელიც ამ ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენს „მიმწოდებელს" და საქართველოს ენერგეტიკის და ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" შორის, რომელიც წარმოადგენს ელექტროენერგიის „მყიდველს". ამ კონტრაქტის თანახმად, ელექტროენერგიის მოწოდება ხორციელდება ყველა იმ ელექტროგადამცემი ხაზების მეშვეობით, რომელიც რუსეთის ფედერაციის ენერგოსისტემას აკავშირებს საქართველოსთან.

მათ შორის: 500 კილოვოლტიანი საჰაერო ხაზი — ცენტრალური ქვესადგური (რუსეთი)-ენგურჰესი (საქართველო); 200 კილოვოლტიანი საჰაერო ხაზი — ქვესადგური ფსოუ (რუსეთი)-ბზიფი (საქართველო); 110 კილოვოლტიანი საჰაერო ხაზი — ქვესადგური ფსოუ (რუსეთი)-ლესელიძე (საქართველო). დანარჩენი ორი 110 კილოვოლტიანი ხაზით რუსეთის ენერგოსისტემა დაკავშირებულია ყაზბეგთან და ჯავასთან. 1998 წლიდან რუსეთიდან ცხინვალის რეგიონში ელექტროენერგია მიეწოდება პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია ცხინვალსა და მოსკოვს შორის (1998 წლის 16 იანვარი).

როგორც ვხედავთ, რუსეთიდან ელექტროენერგიის მოწოდება მრავალი (ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი) შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ელექტროენერგიის მიმღები ფორმალურად იყო ქართული მხარე, რეალურად კი იგი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისათვის იყო განკუთვნილი.

„საქენერგოს" ელექტროენერგიის აღრიცხვისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, 1993-1998 წლებში რუსეთიდან საქართველოში სულ მოწოდებულია 1837,0 მილიონი კვტ.სთ. ელექტროენერგია, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 40,9

რუსეთიდან საქართველოში 1993-1998 წლებში შოკოლადებული ელექტროენერგიის შოცულობა და მისი დირებულება

პერიოდი			მათ შორის							
			აფხაზეთი		ცხინვალის რეგიონი		ყაზბეგი		„ეკეკასიონი“	
	მდწკვნ. სთ.	ღირებულება (ათასი დოლარი)	მდწკვნ. სთ.	ღირებულება (ათასი დოლარი)	მდწკვნ. სთ.	ღირებულება (ათასი დოლარი)	მდწკვნ. სთ.	ღირებულება (ათასი დოლარი)	მდწკვნ. სთ.	ღირებულება (ათასი დოლარი)
1993-96 წწ.	1447.0	31303.8	1030.0	21940.3	337.9	8343.1	33.1	791.3	-60	-1794
1997 წ.	213.6	6043.0	136.6	4423.3	66.0	2210.6	5.6	123.6	3.4	123.3
1998 წ.	176.4	2545.9	31.9	2543.9	94.3					
მათ შორის:										
თებერვალი			13.1	5662						
ოქტომბერი			22.1	6374						
მარტი			19.4	6039						
აპრილი			9.3	3040						
მაისი			8.3	2536						
ივნისი			0.2	5.3						
ივლისი										
აგვისტო										
სექტემბერი										
ოქტომბერი										
ნოემბერი			0.5	13.5						
დეკემბერი			3.5	103.0						
ჯამი	1837.0	40834.7	1248.5	28910	548.4	11053.7	40.7	974.9	0.6	53.9

მილიონ აშშ დოლარს.

მათ შორის: აფხაზეთში მოწოდებული ელექტროენერგიის მოცულობამ 1248,5 მილიონი კვტ.სთ. შეადგინა, რომლის ღირებულება 28,9 მილიონი დოლარია. (1998 წლის პირველ ოქტომბრამდე, „საქენერგო"-დან მიღებული ინფორმაციით 1993-96 წლებში რუსეთიდან აფხაზეთში მოწოდებული ელექტროენერგიის მოცულობამ შეადგინა 1020,0 მილიონი კვტ.სთ., რომლის ღირებულება იყო 19,6 მილიონი დოლარი. პირველი ოქტომბრის მდგომარეობით კი, რუსეთიდან აფხაზეთში მოწოდებულია 1030,0 მილიონი კვტ.სთ. ელექტროენერგია, საერთო ღირებულებით – 21,9 მილიონი აშშ დოლარი).

რუსეთიდან აფხაზეთში მოწოდებული ელექტროენერგიის მოცულობაში და ღირებულებაში ცვლილებები მოხდა ელექტროენერგიის გადასახდელების ურთიერთანგარიშსწორების შედარების აქტის (26.12.97 №268/22 რუსეთის სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა"-შპს „ენერგო-კონტრაქტი" (საქართველო) საფუძველზე. 10.01.98 მდგომარეობით, ცხინვალის რეგიონში მოწოდებული ელექტროენერგიის მოცულობამ კი შეადგინა 548,46 მილიონი კვტ.სთ., ელექტროენერგია, რომლის ღირებულება 11,1 მილიონი აშშ დოლარია; რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას, მან მხოლოდ 40,1 მილიონი კვტ.სთ. შეადგინა, საერთო ღირებულებით 974,9 ათასი აშშ დოლარი, ხოლო „კავკასიონის" ხაზით 1993-1998 წლებში კი პირიქით - საქართველოდან რუსეთისათვის მიწოდებულია 0,6 მილიონი კვტ.სთ ელექტროენერგია, რომლის ღირებულებაა 53,9 ათასი აშშ დოლარი.

ამრიგად, 1993 წლიდან რუსეთის ფედერაციიდან ძირითადად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს მიეწოდებოდა ელექტროენერგია, რომლის საფასურის გადახდას იგი საქართველოს მხარეს აკისრებს. 28,9 მილიონი აშშ დოლარიდან, რომელსაც რუსეთი აფხაზეთში მოწოდებული ელექტროენერგიის ვალად გვითვლის, „საქენერგომ" შპს „ენერგო-კონტრაქტს" მხოლოდ 100,0 ათასი დოლარი გადაუხადა, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული თანხა გადასცა რუსეთის მხარეს.

დანარჩენი თანხა საქართველოს მხარეს ერიცხება ვალად, თუმცა გაურკვეველია, თუ რა სახის არის ეს დავალიანება. ხელშეკრულებები დადებულია ორი ქვეყნის კომერციულ სტრუქტურებს შორის, რომელთაც გარანტად არ უდგას საქართველოს მთავრობა და იგი არსად არ არის აღიარებული, როგორც სახელმწიფო ვალი (ვინაიდან რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულება ელექტროენერგიის მოწოდების შესახებ სახელმწიფოებრივ დონეზე არ გაფორმებულა), თუმცა, არსებობს „როსენერგოს" პრეზიდენტის სახელზე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ო.ფაცაციას მიერ 1995 წლის 17

აგვისტოს გაგზავნილი წერილი, რომელშიც იმ პერიოდისათვის დარიცხული თანხები აღიარებულია საქართველოს სახელმწიფო ვალად, მაგრამ ასეთი სახის წერილს რაიმე იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ 40,9 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის დავალიანება გადაფორმებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ვალად რუსეთის ფედერაციის წინაშე. ეს არის, ერთი მხრივ, სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის“ და მეორე მხრივ, „საქენერგოსა“ და „ენერგო-კონტრაქტის“, როგორც დამოუკიდებელი კომერციული სტრუქტურების სამეურნეო ურთიერთობის პრობლემა.

თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დავალიანება, ფაქტობრივად, მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისათვის რუსეთის მიერ გაწეული დახმარებაა, მათი მხრიდან პოლიტიკურ გარიგებათა სანაცვლოდ, მისი აღება საქართველოს საგარეო ვალად სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იქნება.

თებერვალი. 1999 წ.

დოლარიზაციის პროცესი ლარის დაცემას გამოიწვევს

— ბატონო რომან, რას იტყოდით ქვეყანაში არსებულ სავალუტო კრიზისზე?

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ბოლო 23 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღინიშნა საბანკო კრიზისის 54 და სავალუტო კრიზისის 158 შემთხვევა; აქედან, 55 დახასიათებულია, როგორც „სავალუტო კრახი". ამაში იგულისხმება ისეთი სავალუტო კრიზისი, რომლის დროსაც ეროვნული ვალუტის კურსი ეცემა 25 პროცენტით, ან უფრო მეტად. 1998 წელს საქართველოში მომხდარი ლარის კურსის 35-40 პროცენტით დაცემა შეესაბამება სავალუტო კრახს.

— ხომ არ ვდგავართ უფრო დიდი საშიშროების წინაშე?

— ალბათობა იმისა, რომ საქართველოში მოვლენები მსოფლიოში მომხდარი კრიზისების ანალოგიურად განვითარდეს, საკმაოდ დიდია. თუმცა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკისა და საგარეო ფაქტორების (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) ზეგავლენის შედეგად, ვითარება შეიძლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს, ან პირიქით.

— თქვენი აზრით, რა მოხდა 1998 წლის სექტემბერში?

— 1998 წლის სექტემბრიდან ამერიკულ დოლარზე მოთხოვნა გაიზარდა. ლარის საბაზრო კურსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, რაც ფართომასშტაბიანი სპეკულაციის საშუალებას ქმნიდა. სპეკულაციის პროცესში აქტიურად ჩაებნენ კომერციული ბანკებიც. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კურსთა სხვაობის წარმოქმნამ კომერციული ბანკებისათვის ხელსაყრელი გახადა სავალუტო ბირჟაზე ვალუტის ყიდვა და მისი რეალიზება მათივე გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით, რაც გაცილებით მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა საბანკო ოპერაციები.

— იმ ცნობილი შაბათ-კვირის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკა გაატარა...

— რაც შეეხება გადაწყვეტილებას, რომელიც ეროვნულმა ბანკმა სექტემბრის პირველი შაბათ-კვირის შემდეგ მიიღო, მცდარი იყო. ის ითვალისწინებდა ვალუტის გადამცვლელი მრავალი პუნქტის გაუქმებას. ასევე, ნაადრევი და ვითარებასთან შეუსაბამო იყო ის ღონისძიებები, რომელიც კომერციული ბანკებისათვის მათ დაქვემდებარებას ითვალისწინებდა. მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ვერ შეძლო

სპეკულაციური აქციოტაჟის ჩაქრობა, რაც რეზერვების ამოწურვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. სპეკულაციური ფაქტორი განმსაზღვრელი იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციების შეწყვეტის შემდეგ, ლარის დაცემა კი არა, გარკვეულად გამყარებაც მოხდა.

— რა იყო ლარის კურსის დაცემის მიზეზი?

— ლარის დევალვაციის ძირითადი მიზეზი იყო საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი და საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის ზრდა. საგადასახადო-საბიუჯეტო კრიზისი გამოვლინდა ბიუჯეტის დეფიციტში, რამაც აუცილებელი გახადა მთავრობის დამატებითი ხარჯების დაფინანსება ეროვნული ბანკის მიერ.

— ზოგი ამას რუსეთში არსებულ საფინანსო კრიზისს მიაწერს...

— რუსეთის საფინანსო კრიზისი საქართველოში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი დამამძიმებელი, მაგრამ არა ძირითადი ფაქტორი იყო. რუსეთში მიმდინარე საფინანსო კრიზისმა კიდევ ბევრი პრობლემები შეგვიქმნა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ ქვეყანაში საქონლის გატანა შეიზღუდა, ამასთან, გაიზარდა გაიაფებული პროდუქციის იმპორტის მოცულობა, რამაც გაამწვავა ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემები, კიდევ უფრო გააუარესა სავაჭრო ბალანსი. ამ გარემოებამ დააჩქარა საქართველოდან უცხოური ვალუტის გადინებაც. რუსეთთან ვაჭრობაში უარყოფითი ტენდენციები ჯერ კიდევ ამ ქვეყნის საფინანსო კრიზისამდე ჩამოყალიბდა, თუმცა, მდგომარეობა კრიზისის მომდევნო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა.

— იქნებ აგვიხსნათ, თქვენი აზრით, რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი?

— ქვეყანაში არსებული ფინანსური და ფულად-საკრედიტო კრიზისის ძირითადი მიზეზია ხელისუფლების სისუსტე, მისი უუნარობა მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოს შემოსავლები ბიუჯეტში და დაიცვას საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

— 1999 წელს რამდენი პროცენტის ფარგლებშია ინფლაცია მოსალოდნელი?

— რა თქმა უნდა, ლარის კურსის დევალვაციას თან მოჰყვება ინფლაცია. ინფლაციის სიდიდე, როგორც წესი, მეტია დევალვაციის ზომაზე. 1998 წლის სექტემბერში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,35 იყო. თუ კი იგი ერთი წლის განმავლობაში 2,5 ლარს მიაღწევს, წლიური ინფლაცია მოსალოდნელი იქნება 60 პროცენტის ფარგლებში.

— მოსახლეობაში ე.წ. დოლარიზაციაა გამეფებული. რა

იწვევს აქას?

— ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონის მიზეზებია ინფლაციური მოლოდინი და საბანკო სისტემებისადმი უნდობლობა.

— რა "სარგებლობა" მოაქს დოლარიზაციას?

— დოლარიზაცია კიდევ უფრო ასუსტებს ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სისტემას, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის გადასახადების დაშალვისათვის. კერძოდ, არალეგალური სავალუტო გარიგებების უდიდესი ნაწილი ხორციელდება სწორედ გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით. დოლარიზაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებიც.

—თქვენი პროგნოზით, რა მოჰყვება ლარის დევალვაციას და საბიუჯეტო კრიზისს?

— ლარის დევალვაციას საქართველოში თან მოჰყვება სავაჭრო ბალანსის გაუარესება, რადგან ექსპორტის მნიშვნელოვანი ოდენობით ზრდის შესაძლებლობას არ იძლევა ეკონომიკის არსებული დარგობრივი სტრუქტურა, კერძოდ, მასში ექსპორტირებადი დარგების ძალზე დაბალი ხვედრითი წილი. არაექსპორტირებადი პროდუქციის წარმოებიდან ექსპორტირებადზე გადასვლა კი საკმაოდ ძნელი პროცესია. რაც შეეხება საბიუჯეტო კრიზისს, მის პირობებში შიდა მოთხოვნის შემცირების გამო, არაექსპორტირებადი დარგების ნაწილი იძულებული გახდება შეკვეცოს წარმოება, რასაც მოჰყვება თანამდევი უარყოფითი შედეგები, კერძოდ, გაიზრდება უმუშევრობის დონე, საბოლოო ჯამში შემცირდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ან დაეცემა მისი ზრდის ტემპი.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ჩვენს მთავრობას და ეროვნულ ბანკს სერიოზული შეცდომები დაუშვია...

— თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსის პოლიტიკის გატარება დღეისათვის საქართველოში ნაკლებად სასურველია, ვინაიდან იგი გამოიწვევს ინფლაციის დაჩქარებას. გარდა ამისა, მცურავ სავალუტო კურსს სხვა სერიოზული პრობლემის შექმნაც შეუძლია: კერძოდ, მისი გამოყენება დაკავშირებულია რისკთან და გაურკვევლობასთან, რასაც შეუძლია სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადების მოშლა, ვაჭრობის პირობების გაუარესება, ვალუტის ღირებულების დაცემა. იგი მადესტაბილიზირებელ ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, საექსპორტო საქონლის მწარმოებელ დარგებზე. გააძნელებს საგადასახადო და ფულადი პოლიტიკის გამოყენებას დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის მისაღწევად.

— აქედან რა გამოსავალს ხედავთ?

— ჩვენს პირობებში მიზანშეწონილია სავალუტო რეგულირების ისეთი სისტემის არჩევა, რომელსაც ექნება დადებითი ძვრების გამოწვე-

ვის შესაძლებლობა, როგორც სავალუტო ბაზარზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველოში ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მისაღები იქნებოდა ვალუტის მართვადი (რეგულირებადი) მცურავი კურსის მექანიზმის გამოყენება. ლარის იძულებითი დევალვაციის შემდეგ ჩვენმა მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელონ ზომიერი ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასტაბილური და არაპროგნოზირებადი მონეტარული ვითარება და მაღალი ინფლაცია სერიოზულ პრობლემებს შექმნის ქვეყნის ეკონომიკაში.

— თუ საქართველოს მთავრობა ვერ შეძლებს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემების დაძლევას, რას უნდა ველოდოთ?

— თუ მთავრობა ვერ შეძლებს იმ ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას, რომელმაც გამოიწვია საგადამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, აგრეთვე საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, მაშინ ვალუტის კურსის გადასინჯვის ეფექტი ძალზე ხანმოკლე იქნება და მომავალში კრიზისის გაღრმავების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

თებერვალი. 1999 წ.

სავალუტო სტრატეგიის როელი ვარიანტია ჩვენთვის მისაღები?

სავალუტო სტრატეგიის ვარიანტების რიცხვი მრავალია. ისინი უკვე გამოიყენებოდა პრაქტიკაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში. სავალუტო კურსის რეჟიმის არასწორი არჩევა იწვევდა მნიშვნელოვან ზარალს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრის სიფრთხილის აუცილებლობას.

შეიძლება გამოვყოთ სავალუტო სტრატეგიის სამი ძირითადი ვარიანტი:

თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსები

სავალუტო კურსების „ცურვის" სტრატეგია გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო არ ერევა სავალუტო კურსის დაწესებაში და იგი განისაზღვრება თავისუფალ სავალუტო ბაზარზე.

„თავისუფლად მცურავი" სავალუტო კურსების განხილვისას აუცილებელია მისთვის დამახასიათებელი ორი თავისებურების გათვალისწინება.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კურსების „თავისუფლად ცურვა" იწვევს ზედმეტად მაღალ ინფლაციას, რომლის პირობებშიც ქვეყანა დგება არჩევანის წინაშე: ან შეასუსტოს ინფლაციის ზრდა, რაც განაპირობებს უმუშევრობის ზრდას ან გაატაროს სრული დასაქმების პოლიტიკა და შეურიგდეს ფასების ზრდას.

„მცურავი სავალუტო" კურსების დროს, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო არ ერევა რეგულირებაში, ამიტომ თუ ბაზარზე განხორციელდება სპეკულაციური თამაშები, მაშინ სავალუტო კურსების რყევა იქნება მნიშვნელოვნად დიდი, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური კრიზისი.

მუდმივად ფიქსირებული კურსები

„თავისუფლად მცურავის" საპირისპიროს წარმოადგენს ფიქსირებული სავალუტო კურსები. მათი გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს ინფლაციის შეკავებაში და მადესტაბილიზებელი სპეკულაციის აღკვეთაში. იგი ამცირებს საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსებთან დაკავშირებულ რისკს და გაურკვევლობას.

თუ სახელმწიფო აწესებს და ინარჩუნებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქსირებულ კურსს, რომელიც არ შეესაბამება რეალურად ჩამოყალიბებულს, მაშინ ეს შექმნის კრიზისულ ვითარე-

ბას ეკონომიკაში და გამოიწვევს უცხოური ვალუტის რეზერვების დიდ დანაკარგს.

ვალუტების მართვადი (რეგულირებადი) "ცურვა"

ვალუტის რეგულირებადი „ცურვა" განსხვავდება „თავისუფალი ცურვისაგან" იმით, რომ სავალუტო კურსის დადგენის მომენტში თავისუფალ ბაზარზე მონაწილეობს ცენტრალური ბანკი, რომელიც აკავებს კურსის ცვალებადობას, რათა უფრო ადვილი გახდეს მათი პროგნოზი. ასეთი სახით რეგულირებისას წარმოიქმნება შემდეგი პრობლემა: როგორ შეიძლება განისაზღვროს, არის თუ არა სავალუტო კურსის მიმდინარე რყევა მისი მოძრაობის ცვლილების შედეგი, თუ იგი გამოწვეულია დროებითი მიზეზებით?

ამ სფერო'ში პროგნოზირება საკმაოდ რთულია, ვინაიდან კურსის წარმოქმნაზე პირდაპირ და ირიბად მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ამასთან, ძალზე ხშირად ისინი ურთიერთდაკავშირებულია. ამიტომ, საჭიროა არა მხოლოდ დამოკიდებულების დადგენა სავალუტო კურსსა და მის წარმომქმნელ ფაქტორებს შორის, არამედ აუცილებელია უშუალოდ ამ ფაქტორების მნიშვნელობათა ზუსტი პროგნოზი განხილულ პერიოდში.

როგორც წესი, თუ ცენტრალური ბანკი ცდება თავის გაანგარიშებებში და ჯიუტად აკავებს კურსს, რომელიც განსხვავდება ბაზარზე რეალურად ჩამოყალიბებულისაგან, იწყება „ცალ კარში" ფართომასშტაბიანი სპეკულაციური თამაში, რომლის შედეგადაც ხდება უცხოური ვალუტის რეზერვების შემცირება. სახელმწიფო მნიშვნელოვნად ზარალდება.

სავალუტო სტრატეგიის რომელი ვარიანტია ყველაზე უფრო მისაღები საქართველოს სავალუტო ბაზარზე შექმნილ ვითარებაში?

ა) "თავისუფლად მცურავი" სავალუტო კურსები. ასეთი პოლიტიკა უფრო ხშირად გავრცელებულია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. როგორც წესი, მათი ვალუტა კონვერტირებადია.

მცურავი კურსის წარმატებული გამოყენება შესაძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში, ინფლაციის არარსებობის ანდა მისი უმნიშვნელო დონის შემთხვევაში გატარებული სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის დროს.

მსგავსი თავისუფალი კურსის პოლიტიკის გატარება დღეისათვის საქართველოში არასასურველია, ვინაიდან იგი გამოიწვევს ინფლაციის გაძლიერებას. გარდა ამისა, მცურავ სავალუტო კურსს

საქართველოში სხვა სერიოზული პრობლემის გამოწვევაც შეუძლია: კერძოდ, მისი გამოყენება დაკავშირებულია რისკთან და გაურკვევლობასთან, რომლებსაც შეუძლიათ სავაჭრო ნაკადების მოშლა, ვაჭრობის პირობების გაუარესება, ვალუტის ღირებულების დაცემა. იგი მადესტაბილიზებელ ზეგავლენას მოახდენს საშინაო ეკონომიკაზე, საექსპორტო საქონლის მწარმოებელ დარგებზე, გააძნელებს საგადასახადო და ფულადი პოლიტიკის გამოყენებას დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის მისაღწევად.

ბ) ვალუტების მართვადი (რეგულირებადი) "ცურვა". ამ პოლიტიკის განხორციელების პროცესში სახელმწიფოს წარმატება შედარებით უმნიშვნელოა და იგი მიზანშეწონილია მკვეთრი მოკლევადიანი, ხოლო ზოგჯერ საშუალოვადიანი მოთხოვნის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოსათვის აუცილებელია, უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი რეზერვის ქონა. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგულირებადი „ცურვის" არასწორად გამოყენებას მივყავართ რეზერვების მნიშვნელოვან დანაკარგებამდე. მისი მართვა კი მოითხოვს უმაღლეს პროფესიონალიზმს და შესაბამის მომზადებას.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის ვალუტის რეგულირებადი „ცურვის" გამოყენებამ შეიძლება საფინანსო ბაზარზე მეტნაკლებად პროგნოზირებადი სიტუაცია შექმნას.

გ) უცვლელად ფიქსირებული კურსები. სავალუტო სტრატეგიის ამ ვარიანტს უპირატესობა აქვს არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც შიდაკრიზისული ვითარებაა. იგი უზრუნველყოფს ინფლაციის უფრო დაბალ ტემპებს. ამ დროს, მადესტაბილიზებელი სავალუტო სპეკულაცია ნაკლებად არის მოსალოდნელი, (თუ მოსახლეობაში არ არსებობს ეჭვი, რომ ხელისუფლებას უნარი ექნება შეინარჩუნოს კურსი მუდმივ დონეზე). მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, რომელიც გამოდიოდა კრიზისიდან, განსაზღვრულ ეტაპზე მიმართავდა სწორედ ფიქსირებული კურსის პოლიტიკას.

ფიქსირებული კურსი ემყარება ორ ძირითად პირობას: რეზერვების არსებობას და საგადამხდელო ბალანსის მცირე დეფიციტს. იგი გულისხმობს სავალუტო ბაზარზე მანიპულირებას ოფიციალური რეზერვების დახმარებით. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ რეზერვები საკმარისი იყოს ვალუტის მიწოდების გასადიდებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადამხდელო ბალანსი შედარებით გაწონასწორებულია და უარყოფითი ან დადებითი სალდო შემთხვევით წარმოიშობა, მაშინ რეზერვების გამოყენებასთან დაკავშირებით არ იქმნება არავითარი პრობლემა. მაგრამ თუ ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი დეფიციტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მა-

შინ სავალუტო ინტერვენციების განხორციელება სერიოზულ პრობლემად იქცევა და შეიძლება ფიქსირებული კურსის გამოყენებაზე უარის თქმაც გამოიწვიოს. დიდ და ხანგრძლივ დეფიციტებს შეუძლიათ ქვეყნის რეზერვების ნულზე დაყვანა.

არასაკმარისი რესურსებით ქვეყანას არჩევანის ნაკლებხელსაყრელი შესაძლებლობა აქვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო'ში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სავალუტო რეგულირების ისეთი სისტემის არჩევა, რომელსაც აქვს დადებითი ძვრების მიღწევის შესაძლებლობა როგორც სავალუტო ბაზარზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველოში ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მისაღები იქნებოდა ვალუტის მართვადი (რეგულირებადი) მცურავი კურსის მექანიზმის გამოყენება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა, ვალუტის გაცვლის რა სახის მექანიზმს იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები.

1984-1990 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნები იყენებდნენ ვალუტის გაცვლის კურსის რამდენიმე მექანიზმს: 1984 წელს 95 ქვეყანას ჰქონდა მიბმული ვალუტები (იგივე ფიქსირებული კურსი). მოქნილობა, შეზღუდული ერთადერთი ვალუტის ან ვალუტების ჯგუფთან მიმართებაში ჰქონდა 7 ქვეყანას; ერთობლივი შეთანხმებები — 8 ქვეყანას; მოქნილობა, რომელიც იცვლება მაჩვენებლების ნაკრებთან შესაბამისად — 6 ქვეყანას; მართვადი (რეგულირებადი) მცურავი კურსი — 20 ქვეყანას და თავისუფლად მცურავი კურსი — 12 ქვეყანას.

1990 წელს 86 ქვეყანას ჰქონდა მიბმული ვალუტები. მოქნილობა, შეზღუდული ერთადერთი ვალუტის ან ვალუტების ჯგუფთან მიმართებაში ჰქონდა 4 ქვეყანას; ერთობლივი შეთანხმებები — 10 ქვეყანას; მოქნილობა, რომელიც იცვლება მაჩვენებლების ნაკრებთან შესაბამისად — 5 ქვეყანას; მართვადი (რეგულირებადი) მცურავი კურსი — 23 ქვეყანას და თავისუფლად მცურავი კურსი — 25 ქვეყანას.

მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის თავისუფლად „ცურვას" აქვს ბევრი უპირატესობა სხვა რეჟიმთან შედარებით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მისი სწრაფად და ადვილად გავრცელება განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნებში.

მართალია, 90-იან წლებში დაგროვდა გარკვეული გამოცდილება განვითარებად ქვეყნებში ვალუტის მცურავი კურსის გამოყენების თვალსაზრისით, იგი სულაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საქართველოში ამჟამად შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში ასეთი ექსპერიმენტი მოეწყოს.

ხშირ შემთხვევაში თავისუფლად მცურავი კურსის გამოყენების სიძნელეები და უარყოფითი ეკონომიკური შედეგები გადასწონი-

ან ხოლმე მის სარგებლიანობას. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ქვეყანა ხანმოკლე, რამდენიმე თვიანი ექსპერიმენტის შემდეგ, იძულებული გახდა უარი ეთქვა მასზე (მაგალითად, მექსიკა – 1976-1977 წლებში, არგენტინა – 1978 წელს, კოსტა-რიკა – 1981 წელს, ჩილე – 1982 წელს).

ამ საკითხებში სიფრთხილეს იჩენს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც. რის გამოც, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ახორციელებს ფიქსირებული სავალუტო კურსის პოლიტიკას.

ლარის იძულებითი დევალვაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა აუცილებლად უნდა გააგრძელონ ზომიერი ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასტაბილური და არაპროგნოზირებადი მონეტარული ვითარება და მაღალი ინფლაცია სერიოზულ პრობლემებს შექმნის ქვეყნის ეკონომიკაში.

რაც შეეხება დევალვაციას, იგი შეიძლება იყოს სამეურნეო გარდაქმნების ძალზე ქმედითი ინსტრუმენტი (უპირველეს ყოვლისა ექსპორტის სტიმულირებისა და სამამულო წარმოების გამოცოცხლების სახით), მაგრამ მას სჭირდება განსაკუთრებულად წინდახედულად და მაღალპროფესიულად გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუკი არ იქნება გათვალისწინებული უამრავი თანმხლები გარემოება, დევალვაციას მოაქვს გაცილებით მეტი ზიანი, ვიდრე სარგებელი. იგი სერიოზული პოლიტიკური რისკის მატარებელიცაა.

ვალუტის კურსის შემცირება განხილული უნდა იყოს არა როგორც იზოლირებული ღონისძიება, არამედ როგორც სამეურნეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

თუ მთავრობა ვერ შეძლებს იმ ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას, რომლებმაც გამოიწვიეს საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, აგრეთვე, საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისი, მაშინ ვალუტის კურსის გადასინჯვის შესაძლო დადებითი ეფექტი ძალზე ხანმოკლე იქნება და იგი მომავალში კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავების დამაჩქარებელი ფაქტორი გახდება.

მარტი. 1999 წ.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა სულ უფრო ერთვება მსოფლიო მეურნეობაში. მაგალითად, 1995 წელს საზღვარგარეთ ექსპორტირებული იყო 151,3, ხოლო იმპორტირებული – 391,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. მომდევნო, 1996 წელს ექსპორტმა – 198,8, ხოლო იმპორტმა 686,8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

1997 წელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდით ხასიათდებოდა. კერძოდ, უცხოეთში ექსპორტირებული იყო 239,8 მილიონი აშშ დოლარის საქონელი, ხოლო იმპორტის მოცულობამ 943,5 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, ანუ საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1183,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ორჯერ აღემატება 1995 წლის დონეს. ამავე ტენდენციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში სავაჭრო ბრუნვის ხვედრითი წილი თუ 1995 წელს 19 პროცენტი იყო, ხოლო 1996 წელს – 22, 1997 წელს იგი თითქმის 24 პროცენტამდე გაიზარდა.

1998 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არარეგისტრირებული საქონელბრუნვის გარეშე) 1242,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5,0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 194,0 მილიონი აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 1048,6 მილიონი აშშ დოლარი.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ 1998 წელს, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში თვისებრივი გაუმჯობესების მიხედვით, რაიმე ცელილება არ შეინიშნება. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ განუვითარებელია საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგები და საწარმოო ინფრასტრუქტურა, სუსტია შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტები და შედარებით მწირია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამოცდილება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის რეალიზებაში სერიოზული პრობლემები წარმოიშობა. ადგილობრივ წარმოებას უჭირს ახალ ეკონომიკურ სიტუაციასთან შეგუება. იგი ვერ აკმაყოფილებს შიდა ბაზრის მოთხოვნას, ამიტომ იმპორტზე მოსახლეობის დამოკიდებულება მაღალია. ექსპორტის ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ სამამულო ნაწარმი, განსაკუთრებით შრომატევადი პროდუქცია, დაბალკონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე. იგი არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ნეგატიურ ტენდენციებზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა ვერც წარმოების გამოცოცხლებამ და ვერც ექსპორტის ყოველმხრივმა ლიბერალიზაციამ. პირიქით, მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუარესდა. იმპორტის ზრდასთან შედარებით,

ექსპორტის დინამიკა ბევრად ნელი ტემპით ყალიბდება, მათ შორის დისპროპორცია კიდევ უფრო ღრმავდება. აღსანიშნავია, რომ 1998 წლისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, საქართველო მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის წილს (დაახლოებით 3 პროცენტი) მიხედვით, ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა.

საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წარმოდგენილია ეკონომიკის სამი უმსხვილესი დარგი: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი და მომპოვებელი მრეწველობა. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი გადამამუშავებელ მრეწველობას უჭირავს, შედარებით მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქცია. რაც შეეხება მომპოვებელი მრეწველობის პროდუქციას, ბოლო წლების მანძილზე მისი წილი ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კლებულობს. საქართველოში ამ დარგის ნაწარმი უმნიშვნელო რაოდენობით შემოდის.

ეკონომიკაში არსებული კრიზისული მდგომარეობის გამო, საქართველო მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საგარეო ბაზარზე, უპირატესად – მეზობელ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებზე. არასახარბიელოა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა, რომელშიც ჭარბობს ნედლეული და ბუნებრივი რესურსები. რაც შეეხება იმპორტს, მთელი რიგი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, საზოგადოებრივი მოთხოვნილება თითქმის მთლიანად ან ძირითადად შემოტანილი პროდუქციით კმაყოფილდება. ამასთან, ბევრი ტრადიციული საქონელი, რომლის საწარმოებლად ქვეყანას ბუნებრივი ან შეძენილი უპირატესობა გააჩნია, უცხოეთიდან შემოდის.

თუმცა, უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი დარგის, განსაკუთრებით კი კვების მრეწველობის პროდუქციის ცალკეული სახეობის იმპორტი შემცირდა ადგილობრივი ნაწარმის ჩანაცვლებით.

1998 წელს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი იყო „ფეროშენადნობები" (თითქმის 12 პროცენტი მთელ ექსპორტში), ხოლო უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი – „ნავთობი და ნავთობპროდუქტები", რომლის წილიც მთელ იმპორტში 15 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა დამოუკიდებელია იმპორტის სტრუქტურისაგან, ეი. რომელიმე სასაქონლო ჯგუფის ექსპორტის მოცულობა დაცილებულია ამავე სასაქონლო ჯგუფის იმპორტის მოცულობისაგან. ამის მიზეზია ის, რომ ამჟამად, ექსპორტის სტრუქტურა, ძირითადად, განისაზღვრება მისი კონკურენტუნარიანობითა და შეფარდებითი უპირატესობით, ხოლო იმპორტისა – შიდა ბაზრის მოთხოვნით.

ბოლო წლებში, ძირითადად, გამოიკვეთა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები, რაც შესაბამისად

ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს. თუ მაგალითად, 1994 წელს საგარეო სავაჭრო ოპერაციები განხორციელდა 54 ქვეყანასთან, 1998 წელს – უკვე 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან.

საგარეო საქონელბრუნვის ორიენტაციას საქართველოსთვის, ძირითადად, ტერიტორიული სიახლოვე განსაზღვრავს. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები არიან უახლოესი მეზობლები (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი). ვაჭრობის მოცულობის დიდი წილი მოდის იმ ბაზრებზეც, რომლებიც შედარებით ახლოს მდებარეობენ. ამავე დროს, სულ უფრო იზრდება იმპორტი დასავლეთ ევროპიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან და, განსაკუთრებით კი, დიდი ბრიტანეთის ოფშორული ტერიტორიებიდან.

სავაჭრო პარტნიორების წრის გაფართოების მიუხედავად, 1998 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საგარეო საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი (38 პროცენტი) დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებზე მოდიოდა. დსთ-ს ყველა ქვეყანასთან საქართველოს გააჩნია ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები. მათგან ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია რუსეთი, რომლის წილიც დსთ-ს სახელმწიფოებში გატანილი მთელი პროდუქციის დაახლოებით 54 პროცენტია. თანამეგობრობის ქვეყნებზე მოდის საქართველოს ექსპორტის უმეტესი ნაწილი. რაც შეეხება საიმპორტო ოპერაციებს, იგი გასულ წლებთან შედარებით უფრო გააქტიურდა.

აღსანიშნაეია, რომ მთლიანობაში საქართველოს სავაჭრო ბალანსი თანამეგობრობის სახელმწიფოებთან უარყოფითია. სომხეთისა და უზბეკეთის გარდა, საქართველოს დსთ-ს ყველა სახელმწიფოსთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 1998 წლის მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნებზე სავაჭრო დეფიციტის დაახლოებით 30 პროცენტი მოდიოდა. ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1998 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 11 პროცენტით შემცირდა, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 16 პროცენტით გაიზარდა.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანასთან სავაჭრო კავშირზე. 1998 წელს, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, შვეიცარია, იტალია, ბულგარეთი) ხვედრითი წილი საგარეო საქონელბრუნვაში და დაახლოებით 75 პროცენტი შეადგინა.

იმპორტული საქონლის ხარისხის მხრივ სერიოზულ კონკურენციას ქმნის დასავლეთ ევროპული და ჩრდილოეთ ამერიკული პროდუქცია, ხოლო ფასის მიხედვით, დსთ-ს სახელმწიფოებიდან, თურქეთიდან და განვითარებადი ქვეყნებიდან შემოტანილი ნაწარმი.

თუმცა მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი და სტრუქტურა, ამავე დროს, მას რაიმე არსებითი გარდატეხა არ გამოუწვევია სავაჭრო ბალანსის დეფიციტში. ძალზე დაცილებულია ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებები, ხშირად ისინი ცალმხრივი, ეპიზოდური ხასიათისაა. ჩვეულებრივ, ამა თუ იმ საქონლის ექსპორტი ერთჯერადია და განმეორებით მასზე მოთხოვნა აღარ წარმოიშობა. პრაქტიკულად არ ხორციელდება ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს მსხვილ სავაჭრო კავშირებთან და სხვა რეგიონულ ბლოკებთან.

1998 წლის მონაცემებითაც, რუსეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო. მის წილად მოდიოდა მთელი სავაჭრო ბრუნვის თითქმის 17 პროცენტი, ამასთან, მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, რუსეთთან არარეგისტრირებული ვაჭრობის მნიშვნელოვანი მასშტაბები და ის გარემოება, რომ საქართველო ჯერ კიდევ გარკვეულწილად არის მასთან "ერთიან სავაჭრო სივრცე"ში".

საქართველოს საწარმოთა ორიენტაცია რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გამოწვეულია არა იმდენად ტრადიციული სამეურნეო და სატრანსპორტო კავშირურთიერთობების აღდგენით, ან შემორჩენილი მენტალიტეტით, არამედ იმით, რომ წარმოების მოძველებული ტექნიკური აღჭურვილობა და არსებული ტექნოლოგიები ისეთ ბაზრებზე შეღწევის საშუალებას არ იძლევა, სადაც, ძლიერი კონკურენციის გამო, მხოლოდ მაღალი ხარისხის და შედარებით იაფი პროდუქცია გაიყიდება. ამიტომ, ადგილობრივი ნაწარმისათვის დსთ-ს სახელმწიფოების ბაზარი ჯერჯერობით უფრო მისაწვდომია, ვიდრე სხვა ქვეყნებისა.

საქართველოს მთავრობამ განსაზღვრული მიმართულებით უნდა წარმართოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, კერძოდ, იმ ქვეყნებზე ორიენტაციით, რომლებიც სტაბილურობით ხასიათდებიან, სადაც ჩამოყალიბებულია საბაზრო მეურნეობის ფუნქციონირების მექანიზმი, ნაკლებად არის მოსალოდნელი რეფორმების შეფერხება და საფინანსო-ეკონომიკური რყევები.

სავაჭრო ბალანსი საგარეო საქონელბრუნვის ეფექტიანობის მთავარი მახასიათებელია. იგი მნიშვნელოვანწილად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, მიუთითებს მის დამოკიდებულებაზე მსოფლიო ბაზართან, აგრეთვე, საერთაშორისო კონიუნქტურის, კონკურენციის, არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ.

საქართველოს საგარეო საქონელბრუნვის მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ ყოველწლიურად უარესდება სავაჭრო ბალანსი. ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუარესება, ძირითადად, გამოწვეულია სწორედ საგარეო ვაჭრობაში არსებული მდგომარეობით, კერძოდ, სავაჭრო ბალანსის დეფიციტის სისტემატური ზრდით. აღსანიშნა-

ეია, რომ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის უარყოფითი სალდოს დინამიკა თითქმის იმეორებს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდის ტენდენციას. გასული წლების მიხედვით, სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მნიშვნელოვნად აღემატებოდა მიმდინარე ანგარიშის ბალანსის უარყოფით სალდოს.

თუ მაგალითად, 1995 წელს, საქართველოს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო 240,4 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, 1996 წელს 448,0 მილიონი იყო. სავაჭრო დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდა 1997 წელს, როდესაც იგი 703,7 მილიონი აშშ დოლარის ტოლი გახდა. 1998 წელს ამ მაჩვენებელმა 854,6 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. წინა წელთან შედარებით, სავაჭრო დეფიციტის სიდიდის ასეთი ზრდა (150,9 მილიონი აშშ დოლარი) იმის გამო მოხდა, რომ იმპორტის მოცულობამ 11 პროცენტით მოიმატა, ხოლო ექსპორტი 19 პროცენტით შემცირდა.

თუ 1996 წელს ექსპორტის წილად მოდიოდა მთელი სავაჭრო ბრუნვის 22 პროცენტი, მომდევნო, 1997 წელს ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე, ხოლო 1998 წელს 16 პროცენტამდე შემცირდა. ამავე წლებში იმპორტის ექსპორტით დაფარვის დონემ, შესაბამისად 29-დან 25 პროცენტამდე იკლო, ხოლო 1998 წელს 19 პროცენტი შეადგინა.

დამაფიქრებელია, რომ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს აქვს 100 სავაჭრო პარტნიორიდან 85 ქვეყანასთან, მათ შორის — დსთ-ს 9 სახელმწიფოსთან.

სავაჭრო ბალანსის განხილვისას, სერიოზულ ანალიზს მოითხოვს ეროვნულ ეკონომიკაზე და კერძოდ, საგარეო ვაჭრობაზე რუსეთის ფინანსური კრიზისის ზემოქმედება. ამ ფაქტორის გასათვალისწინებლად, 1998 წელი პირობითად შეიძლება დაიყოს: იანვარი-აგვისტოს და სექტემბერ-დეკემბრის პერიოდებად.

1998 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოდან ექსპორტი (136,0 მილიონი აშშ დოლარი) კლების ტენდენციით ხასიათდებოდა წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლთან (139,3 მილიონი აშშ დოლარი) შედარებით. იმპორტმა 675,3 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 82,8 მილიონით მეტი იყო წინა წლის შესაბამის მონაცემზე. ამავე პერიოდებში, იმპორტის ექსპორტით დაფარვის დონემ, შესაბამისად, 24 პროცენტიდან 20 პროცენტამდე იკლო. ამის შედეგად საგარეო ვაჭრობის ბალანსი კიდევ უფრო გაუარესდა, უარყოფითმა სალდომ 560,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 107,2 მილიონით აღემატებოდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი პარამეტრები გაუარესდა 1998 წლის აგვისტო-სექტემბრიდან, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ამ სფეროში არსებული მდგომარეობა. საკმარისია აღინიშ-

ნოს, რომ ამავე წლის სექტემბერ-დეკემბერში ექსპორტმა მხოლოდ 58,0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 1997 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელი 100,2 მილიონი აშშ დოლარის ტოლი იყო. თუ 1997 წლის სექტემბერ-დეკემბერში ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვის მთელ მოცულობაში 22 პროცენტი იყო, 1998 წლის ანალოგიურ პერიოდში იგი 13 პროცენტამდე დაეცა. იმპორტი 373,3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ანუ 25,2 მილიონით მეტი წინა წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ თუ 1997 წლის სექტემბერ-დეკემბერში იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი თითქმის 29 პროცენტი იყო, 1998 წლის სექტემბერ-დეკემბერში 16 პროცენტამდე შემცირდა. სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 1998 წლის სექტემბერ-დეკემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 67,4 მილიონით მოიმატა და 315,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ის გარემოება, რომ წინა წელთან შედარებით, 1998 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარგარეთ საქონლის გატანა, პირველ რიგში მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე, კერძოდ იმაზე, რომ აუმოქმედებელია მთელი რიგი, განსაკუთრებით კი საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგები, სუსტია საწარმოო ინფრასტრუქტურა, დაბალია საქართველოში წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობა. დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ შეინიშნება ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესება, კერძოდ, წარმოების ცალკეული სექტორის დაქვეითება, მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური ზრდის ტემპები. ამ მდგომარეობაზე მიუთითებს ის, რომ 1998 წელს საქონლის უმეტესი სახეობების მიხედვით ექსპორტი ბევრად შემცირდა წინა წელთან შედარებით, მათ შორის შავი ლითონების ნაწარმის — 14,7 მილიონი აშშ დოლარით (ანუ 27ი პროცენტით), მინერალური სასუქების 4,9 მილიონი აშშ დოლარით (36 პროცენტით), მადნის — 2,5 მილიონი აშშ დოლარით (35 პროცენტით). მათი საერთო წილი კი საქართველოს ექსპორტში საკმაოდ მნიშვნელოვანია (12 პროცენტი).

1998 წლის ცალკეული თვეების მიხედვით, ზემოაღნიშნული სახეობის საქონლის სავაჭრო ბრუნვის ანალიზი მოწმობს, რომ რუსეთის საფინანსო კრიზისზე უფრო ადრე, წლის დასაწყისიდანვე აღინიშნა უცხოეთში ექსპორტის შემცირება.

1998 წლის იანვარ-აგვისტოსა და სექტემბერ-დეკემბრის პერიოდების შედარება უჩვენებს, რომ რუსეთის კრიზისის შემდეგ შავი ლითონების ნაწარმისა და მადნის ექსპორტი არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. მართალია, სექტემბერ-ოქტომბერში მკვეთრად იკლო რუსეთში აღნიშნული პროდუქციის გატანამ, სამაგიეროდ, გაიზარდა მისი ექსპორტი სხვა ქვეყნებში. საშუალო თვიური

მაჩვენებლის მიხედვით, სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში იანვარ-აგვისტოსთან შედარებით, მადნის ექსპორტი თითქმის 38, ხოლო შავი ლითონების ნაწარმის გატანა 73 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება სასუქების ექსპორტს, იგი სეზონური ხასიათისაა და წლის ცალკეული პერიოდების მიხედვით უთანაბროდ ხორციელდება, რითაც აიხსნება მისი შემცირება.

ამრიგად, 1998 წელს, საქართველოს ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორი იყო საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგების განუვითარებლობა და საგარეო ბაზარზე ადგილობრივი ნაწარმის კონკურენტუნარობა. ამასთან, რუსეთის საფინანსო კრიზისმა კიდევ უფრო დააჩქარა საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდის არსებული ტენდენცია, რაზეც მიუთითებს ზემოთ განხილული დარგების ანალიზი რუსეთის კრიზისის წინა და შემდგომი პერიოდების მიხედვით.

შეზღუდულ საექსპორტო შესაძლებლობებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1998 წელს, ქვეყნის ექსპორტის ისედაც შემცირებულ მოცულობაში მნიშვნელოვანია რეექსპორტით გატანილი საქონლის წილი (დაახლოებით 14 პროცენტი), რომელიც საქართველოში არ ყოფილა წარმოებული. 1998 წლის თერთმეტი თვის მონაცემებით, მისი ღირებულება 25,2 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით 4,2 მილიონი აშშ დოლარით, ანუ 20 პროცენტით მეტია.

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთთან ვაჭრობამ, იქ არსებული მწვავე ფინანსური კრიზისის გამო, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ბაზარზე, რადგან, 1998 წელს საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 28 პროცენტი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. იგი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. რუსეთში მიმდინარე კრიზისის გამო, ამ ქვეყანაში საქონლის გატანა ძლიერ შეიზღუდა, გაიზარდა იმპორტის მოცულობა, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაამწვავა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემები, კიდევ უფრო გააუარესა სავაჭრო ბალანსი.

გასული წლების მანძილზე სავაჭრო ბალანსი რუსეთთან ქრონიკულად დეფიციტური იყო და უარყოფითი სალდო განუწყვეტლივ მატულობდა. მაგრამ, თუ 1995 წელს ექსპორტსა და იმპორტს შორის თანაფარდობა დიდად არ განსხვავდებოდა და იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი თითქმის 98 პროცენტს შეადგენდა, მომდევნო წლებში უკვე შეინიშნებოდა სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობაში ექსპორტის წილის მკვეთრი შემცირება. ასე მაგალითად, აღნიშნული მაჩვენებელი 1995 წელს თითქმის 50 პროცენტი იყო, 1996 წელს – 31, 1997 წელს – 35, ხოლო 1998 წელს 20 პროცენტამდე დაეცა. ამის შედეგად, თუ მაგალითად, 1995 წელს სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მხოლოდ 1,0 მილიონი აშშ დოლარი იყო,

1996 წელს – 70, 1997 წელს – 57, ხოლო 1998 წელს იგი თითქმის 157 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება მხოლოდ 1998 წელს, რუსეთთან ვაჭრობა იანვარ-აგვისტოს პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა. საგაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ 4,5 მილიონი აშშ დოლარით იკლო, ექსპორტის წილმა ბრუნვის საერთო მოცულობაში 32 პროცენტიდან 35 პროცენტამდე მოიმატა.

მაგრამ, აგვისტო-სექტემბრიდან, იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტის მოცულობა, მკვეთრად გაღრმავდა ექსპორტსა და იმპორტს შორის დისპროპორცია. თუ 1998 წელს ყველაზე მეტი მოცულობით (10,9 მილიონი აშშ დოლარი) ექსპორტი ივლისში განხორციელდა, სექტემბერში მან მხოლოდ 1,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება იმპორტს, შესაბამისად, ივლისში შემოტანილი იყო 10,6 ხოლო სექტემბერში – 43,0 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. ყველაზე დიდი მოცულობით იმპორტი აღინიშნა დეკემბერში (65,1 მილიონი აშშ დოლარი). თუ 1997 წლის სექტემბერ-დეკემბერში უარყოფითი საგაჭრო ბალანსი 13,3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, 1998 წლის სექტემბერ-დეკემბერში ეს მაჩვენებლი განსაკუთრებით გაუარესდა, უარყოფითმა სალდომ უკვე 117,3 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. შესაბამისად გაუარესდა საგარეო საქონელმიმოქცევის ამსახველი სხვა პარამეტრებიც, მაგალითად, თუ 1997 წლის სექტემბერ-დეკემბერში ექსპორტის წილი საგაჭრო ბრუნვის მოცულობაში 41 პროცენტი იყო, 1998 წლის იგივე პერიოდში 7 პროცენტამდე დაეცა. 1998 წლის იანვარ-დეკემბერში საგაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ რუსეთთან 156,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი (61,3 მილიონი აშშ დოლარი) მხოლოდ დეკემბერზე მოდის. 1997 წლის იანვარ-დეკემბერში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 57,4 მილიონი აშშ დოლარი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, საქართველოს დადებითი ბალანსი აქვს რუსეთთან ვაჭრობაში, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს საქართველოში სტატისტიკური აღრიცხვის მოუწესრიგებლობაზე და საქონლის მნიშვნელოვანი მოცულობის არალეგალური გზით მიმოქცევაზე. 1997 წელს საქართველოს მხარის მიერ აღრიცხული ექსპორტის მოცულობა რუსეთში 68,7 მილიონი აშშ დოლარის ტოლი იყო, ხოლო იმპორტი – 126,1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. რუსეთის საბაჟო კომიტეტის მონაცემებით კი, საქართველოდან ექსპორტირებული იყო 148,0 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების, ხოლო იმპორტირებული 144,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საქონელი. როგორც ჩანს, რუსეთის მხარის მიერ ნაჩვენები, ამ ქვეყანაში ექსპორტირებული პროდუ-

ქციის მოცულობა 2-ჯერ აღემატება საქართველოს მიერ აღრიცხულს.

ამრიგად, რუსეთთან ვაჭრობაში უარყოფითი ტენდენციები, ჯერ კიდევ ამ ქვეყნის საფინანსო კრიზისამდე ჩამოყალიბდა, თუმცა, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა კრიზისის მომდევნო პერიოდში.

რუსეთში საფინანსო კრიზისის შემდგომმა გაღრმავებამ შესაძლოა კიდევ უფრო შეამციროს საქართველოდან საქონლის ექსპორტი და შესაბამისად გაზარდოს საეაჭრო ბალანსის დეფიციტი. ასეთ შემთხვევაში გაიზრდება გაიაფებული პროდუქციის იმპორტი რუსეთიდან, რაც დააჩქარებს საქართველოდან უცხოური ვალუტის გადინებას.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის გაუარესება ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდით, რაც ნებისმიერი სახელმწიფოსათვის არასასურველ ტენდენციად არის მიჩნეული, რადგან იმპორტის დაფინანსება საექსპორტო შემოსავლით უნდა მოხდეს. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი დიდ პრობლემებს ქმნის საგადამხდელო ბალანსში, აუარესებს ქვეყნის საფინანსო მდგომარეობას, ზრდის საგარეო ვალების მოცულობას.

საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის მიზეზების დადგენისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ჯერ ერთი, მისი გამომწვევი გარემოება და მეორე – მისი მდგრადობა და ხანგრძლივობა.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის იგი დასაშვებ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან მსარდი შემოსავლები ზრდიან იმპორტზე მოთხოვნას, ხოლო ადგილობრივი წარმოება შედარებით კონსერვატიულია, ნელი ტემპით ერთვება საგარეო ვაჭრობაში და სრულფასოვანი პროდუქციის შექმნას სწრაფად ვერ ახერხებს.

საეაჭრო ბალანსის დეფიციტის პრობლემა მხოლოდ საქართველოს წინაშე როდი დგას. ასეთივე ვითარება დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე უმეტესი ქვეყნისათვის, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტი შესაბამისობაშია შიდა დანაზოგების დაბალ და ინვესტიციების შედარებით მაღალ დონესთან. დეფიციტი უმეტესწილად არის ეკონომიკაში უცხოური მონაწილეობის ასახვა. ისევე, როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, საქართველოშიც უცხოურ ინვესტორებს და პირებს შემოაქვთ უცხოური ვალუტა, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ახდენს იმპორტის დაფინანსებას.

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საგარეო ვაჭრობის დისბალანსი ყოველთვის როდი ნიშნავს ეკონომიკაში მიმდინ-

არე არასასურველი პროცესების არსებობას. მეტისმეტად გამარტივებული სახით იმ დასკვნის გაკეთება, რომ „აქტიური სალდო – კარგია, ხოლო დეფიციტი – ცუდი“ სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავაჭრო ბალანსის ცვლილებების მიზესია ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის გაზრდა ან შემცირება.

მაგრამ სავაჭრო ბალანსზე მოქმედებენ სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, შედარებით ხანგრძლივი დეფიციტის მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი. როდესაც ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, იწყებს ეკონომიკის რადიკალურ გარდაქმნას, გარედან სხვადასხვა სახის პროექტების დაფინანსება ესაჭიროება. საქართველოში, ჯერჯერობით მცირეა ეკონომიკური ზრდით მიღებული დანაზოგები და საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო შიდა ფინანსური რესურსები. ეკონომიკის გამოცოცხლება, ინფრასტრუქტურის და მსხვილი საწარმოების მშენებლობა იწვევს კაპიტალის დიდი ნაკადის შემოდინებას. მათ ხარჯზე ხდება საზღვარგარეთ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შეძენა. ამ სახის იმპორტი კი დამატებით ზრდის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს. ამიტომ, შეცდომა იქნებოდა სავაჭრო დისბალანსის ახსნა ყოველთვის ქვეყნის სუსტი ეკონომიკური მდგომარეობით. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელ ქვეყანას ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა უნდება.

ზოგიერთ შემთხვევაში, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი შეიძლება იყოს და ამიტომ გამართლებულია საგარეო დავალიანების ზრდა. მით უფრო, საქართველოში, სადაც დანაზოგების დონე საკმაოდ დაბალია, რადგან, ჯერ ერთი, მცირეა მოსახლეობის შემოსავალი, ხოლო, მეორე მხრივ, თვით მოსახლეობა, გასაგები მიზეზებით, უნდობლად არის განწყობილი საბანკო და საფინანსო დაწესებულებებისადმი. დანაზოგების დონე კი უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკის ზრდასთან. მაგრამ, როგორც აღინიშნა, საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების სფეროში იმყოფება ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თუმცა ინვესტორთა რაოდენობა მცირეა, მაგრამ დიდი მოცულობის მოგების რეინვესტირებას ახდენენ ის უცხოური კომპანიები, რომლებმაც უკვე დააბანდეს მნიშვნელოვანი თანხები საქართველოში.

ქვეყანაში არსებული შიდა დანაზოგების დაბალი დონე განაპირობებს იმ გარემოებას, რომ უცხოური კრედიტები მოზიდული იყოს ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ინვესტიციების მიზნით, განსაკუთრებით იმ დარგებში, რომელთაც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნიათ, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას უფრო ნაკლები დანახარჯებით აწარმოოს საქონელი. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ჩართვა მომავალში საგარეო

სავაჭრო დეფიციტის შემცირების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოში საქონლის იმპორტის ნაწილი ხორციელდება უცხოური ინვესტიციების ხარჯზე. მხოლოდ 1998 წლის განმავლობაში ამ გზით შემოტანილი იყო 70,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი (მთელი იმპორტის 7,6 პროცენტი), მათ შორის ტექნოლოგიური მოწყობილობები, ელექტრომოწყობილობები, პლასტმასები და მათი ნაკეთობები და სხვა.

საერთოდ, გარდამავალი ეკონომიკის ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ინვესტიციური მოთხოვნის გადიდება წარმოშობს საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სალდოს და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. მიმდინარე ანგარიშზე ასახული საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადები პირდაპირ დაკავშირებულია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში წარმოდგენილ ინვესტიციურ სახსრებთან. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ყალიბდება ან კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სალდო და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ან პირიქით – კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტი და მიმდინარე ოპერაციების დადებითი სალდო. ამასთან, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კაპიტალის მოძრაობის დადებით სალდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება შემოსავლისა და გასაელის დაბალანსება.

ამრიგად, ექსპორტის გადამეტება იმპორტზე ყოველთვის არ წარმოადგენს საგარეო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაკუთრებულ ნიშანს. ექსპორტის განვითარება საქართველოსათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სავაჭრო დეფიციტის შემცირება. ამ მხრივ, უაღრესად არასაკმარისია საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარების ტემპი. დაბალი ხარისხის და, შესაბამისად, სუსტი კონკურენტუნარიანობის გამო, გაძნელებულია მზა ნაწარმის რეალიზება. საგარეო ბაზარზე ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა ბევრი, საქართველოსთვის პრიორიტეტული პროდუქცია. ამასთან, ექსპორტზე ორიენტირებული სამეურნეო კავშირების დამყარებას, მარკეტინგული გამოცდილების შეძენას და ეფექტიანი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებას დრო სჭირდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების იმ დარგების განვითარებას, რომელთაც შეუძლიათ მომავალში მნიშვნელოვანი საექსპორტო შემოსავლის მოტანა.

აქვე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მაღალი ტემპით ზრდის ტენდენცია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მისი ჩამოყალიბებული, მდგრადი ხასიათი უაღრესად დამაფიქრებელია. იგი ამცირებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის

შემოდინებას, აუარესებს საგადამხდელო ბალანსს და აფერხებს საგარეო ვალების მომსახურებას. დეფიციტი უნდა დაფინანსდეს ქვეყნის ოფიციალური რეზერვებით, რომლის მოცულობა ძალზე მცირეა. თუკი, 1998 წლის დასაწყისში იგი 170 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, წლის ბოლოსათვის მხოლოდ 72 მილიონი აშშ დოლარი იყო დარჩენილი. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის ბოლოსათვის ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვებმა 173,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2,9 თვის იმპორტის ტოლი იყო. ეს კი საერთაშორისო სტანდარტებით მისაღები დონეა.

პარადოქსულია, მაგრამ საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვან დეფიციტს არ მოუხდენია ადეკვატური ზეწოლა საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვებზე. თუკი, 1996 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი იყო 295,4 მილიონი, ხოლო 1997 წელს – 499,1 მილიონი აშშ დოლარი, შესაბამისად, ამავე წლებში ეროვნული ბანკის მიერ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაყიდული იყო 97,2 და 39,5 მილიონი აშშ დოლარი.

როგორც ვხედავთ, 1997 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ეროვნული ბანკის წმინდა ინტერვენციებმა იკლო და არც თუ ისე დიდი მოცულობის თანხა შეადგინა. როგორც ჩანს, დეფიციტის დაფინანსების წყარო იყო უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და ა.შ. ამიტომ, სწორი საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოსთვის მიმდინარე ანგარიშის დაახლოებით 500 მილიონი დოლარის ოდენობის დეფიციტის პირობებში, ლარის მეტ-ნაკლებად სტაბილური გაცვლის კურსის შესანარჩუნებლად საკმარისი შეიძლება იყოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციების განხორციელება 80-100 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში. თუმცა, მისი ქვედა ზღვარი შეიძლება გაცილებით ნაკლებიც კი აღმოჩნდეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ან ექსპორტის ზრდის შემთხვევაში.

რაც შეეხება 1998 წელს, 84,2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სავალუტო ინტერვენცია არ გახდა საკმარისი ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის, რაც მრავალი მიზეზით იყო განპირობებული.

სავაჭრო დისბალანსის დასაძლევად დიდი მნიშვნელობა ექნება, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, რამაც 1998 წლის ბოლო ხანებში, უმძიმესი საფინანსო კრიზისის პირობებში, მნიშვნელოვანი მასშტაბები მიიღო. ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე ქვეყანაში მეწარმეობის გამოცოცხლებაზე, შეფარდებითი უპირატესობის საფუძველზე საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენებაზე, საწარმოთა ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სრულყოფაზე და, რაც მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რეალური ექსპორ-

ტისა და იმპორტის აღრიცხვის მოწესრიგებაზე.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში განსაკუთრებით ძლიერია პრივილეგირებული ბიზნესმენების ზეწოლა ხელისუფლებაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, საბიუჯეტო შემოსავლების დამალვა, მაღალშემოსავლიანი საქონლის კონტრაბანდა, სხვადასხვა სახის ფინანსური მანიპულაციების ჩატარება, რამაც საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომი გააბატონა.

ქვეყნის საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსი და სავალუტო პოლიტიკა. როცა გაცვლითი კურსი მაღალია, მაშინ უცხოური საქონელი შედარებით იაფია, ხოლო ადგილობრივ წარმოებული საქონელი შედარებით ძვირი და, პირიქით. იაფი ფულის პოლიტიკას შეუძლია საგარეო სავაჭრო დეფიციტის შემცირება, მაგრამ საბოლოოდ ამან შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს. ლარის დევალვაციას საქართველოში არ მოჰყვება სავაჭრო ბალანსის საგრძნობი გაუმჯობესება, რადგან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა შეუძლებელია ეკონომიკის არსებული დარგობრივი სტრუქტურის პირობებში – მასში დაბალია ექსპორტირებადი დარგების ხვედრითი წილი. არაექსპორტირებადი პროდუქციის წარმოებიდან ექსპორტირებადზე გადასვლა კი საკმაოდ ძნელი და ხანგრძლივი პროცესია.

თუ სავაჭრო ბალანსი გამუდმებით დეფიციტური იქნება, მაშინ სულ უფრო მეტად გაუარესდება ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, გაიზრდება უცხოური ვალების მოცულობა. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება საგადამხდელო ბალანსის კორექტირება საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლის გადიდების ან დანახარჯის შემცირების ხარჯზე. მაგრამ, ამ ღონისძიებას შეიძლება მოჰყვეს მეტად უარყოფითი ცვლილებები მაკროეკონომიკაში, აუცილებელი გახდება პროტექციონისტული სავაჭრო შეზღუდვის შემოღება, ეროვნული ვალუტის კურსის შეცვლა, ფულის დამატებითი ემისია და ა.შ.

სავაჭრო ბალანსის ქრონიკული ხასიათის დეფიციტი აუცილებლად გამოიწვევს ლარის შემდგომ დევალვაციას, რაც დიდ საშიშროებას ქმნის – ამ დროს მკვეთრად დაეცემა მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა. კაპიტალის მსხვილი ნაკადი გადინებას დაიწყებს უცხოეთში, ეს კი საგადამხდელო ბალანსის კრიზისის გამაძლიერებელი იქნება.

დღევანდელ ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურება, რადგან ლარის კურსის სიმტკიცეზეა დამყარებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ლარის

გათავისუფლება, მისი თვითდინებაზე მიშვება და ეროვნული ბანკის მიერ ლარის კურსის რეგულირების გადაცემა სტიქიური ბაზრისათვის დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკას და მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობას. ასეთ პირობებში მნიშნელოვნად შემცირდება ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ნაკადი, რადგან ინვესტორებისათვის სავალუტო კურსის ცვლილებები დამატებით რისკთან და გაურკვეველობასთან არის დაკავშირებული. შექმნილ ვითარებაში მთავრობამ სასწრაფოდ უნდა იზრუნოს, რათა დროულად მიიღოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან დაპირებული კრედიტი და გააგრძელოს ზომიერი ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს საქართველოში სავალუტო ბაზრისა და საფინანსო სისტემის სტაბილიზებას და დაიცავს მათ გარე ეკონომიკური რყევებისაგან.

1999 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციაში მონაწილეობა მნიშვნელოვნად დააჩქარებს ქვეყნის ჩართვას საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში და მყარი გარანტი იქნება საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დასარეგულირებლად.

მარტი. 1999 წ.

ბიუჯეტი რეალურია. შესრულება არარეალური

— ბატონო რომან, რეალურია თუ არა 1999 წლის ბიუჯეტი, რომელიც ახლახან მიიღო პარლამენტმა.

— ახლა საბიუჯეტო დებატებში მოარულ ფრაზად გადაიქცა, რეალურია თუ არა ბიუჯეტი, რაც პროფესიული ანალიზის ლექსიკას არ შეეფერება და ბიუჯეტზე ძალიან გამარტივებულ წარმოდგენას ქმნის, რამდენადაც რეალურობის თუ არარეალურობის კრიტერიუმად ასახელებენ ბიუჯეტის შესრულებადობას. ამ ლოგიკით, ყველაზე რეალურია ის ბიუჯეტი, სადაც ერთი სოფლის საკმარისი შემოსავლები და ხარჯებია დაგეგმილი.

ბუნებრივია, რომ ასეთი ბიუჯეტის შესრულება არათუ 100 პროცენტით, არამედ გადაჭარბებითაც შეიძლება. ამიტომ, ბიუჯეტის რეალურობას ჩვენთან დამკვიდრებული თეორიით თუ მივუდგებით, 1999 წლის ბიუჯეტი აღმოჩნდება სედმიწევნით რეალური, რადგან მასში, ფაქტობრივად, შემოსავლები მინიმალურ დონეზეა დაყვანილი. ხარჯებიც რეალური იქნება, თუ შემცირებული შემოსავლების გეგმა შესრულდება და თუ მივიღებთ იმ კრედიტებსა და გრანტებს, რაც წლევანდელი ბიუჯეტით არის გათვალისწინებული: გრანტებს — 86,4 მილიონი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად უცხოურ კრედიტებს — 284,8 მილიონი დოლარის ოდენობით. აქედან 254,8 მილიონი ლარი მსოფლიო ბანკის კრედიტი უნდა იყოს. ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია. გამოდის, რომ წლევანდელი ბიუჯეტი რეალურია. ბიუჯეტი რეალურობის დატვირთვას მაშინ იძენს, როცა ის პირობები შესრულდება, რა პირობებითაც ეს თანხები უნდა გამოიყოს. პირობები კი არის იმ რეფორმების გაგრძელება, რომელიც შეთანხმებულია საერთაშორისო საეალუტო ფონდთან (სსფ) და მსოფლიო ბანკთან. საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკიდან რამდენიმე ხნის წინათ მიიღო წერილი, სადაც იგი ასეთ პირობებს აყენებს: საქართველო მაშინ მიიღებს კრედიტებს სრული რაოდენობით, თუ მიიღებს ტრანშს სსფ-დან. ტრანშის თანხა შეადგენს 37 მილიონ დოლარს და იგი გათვალისწინებულია ეროვნული ბანკისათვის ლარის კურსის სტაბილიზაციის უსრუნველსაყოფად. სსფ-გან ეს თანხა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ უნდა მიგვეღო. თუ ჩვენ დაეამყარებთ ელემენტარულ წესრიგს საგადასახადო სფეროში, 37-ს კი არა, 47 მილიონ დოლარს მიეიღებთ. მაგრამ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება არარეალურად იქცეს. 1999 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, გადასახადების მობილიზების თვალსაზრისით, სერიოზული შეფერხებებია, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დაუბეგრავი, კონტრაბანდული ტვირთების რაოდენობის ზრდამ. ამასთან, ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციიდან გადასახადების შე-

მოსელა პარალიზებულია. 1998 წლის ნოემბერ-დეკემბერის ფინანსურმა კრიზისმა უკვე 1999 წლის თებერვალში საგრძნობლად შეამცირა იმპორტი. ზოგს ჰგონია, რომ იმპორტის შემცირება ყოველთვის კარგის მიმანიშნებელია, მაგრამ ავიწყდებათ, რომ იმპორტი მხოლოდ ძეხვი და ფქვილი არ არის. იმპორტია საინვესტიციო საქონელიც რაც შიდა წარმოების ზრდის ფაქტორი უნდა გახდეს. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ რატომღაც, ლარის დევალვაციის გამო, იმპორტის შემცირების კვალობაზე ექსპორტი გაიზრდება. პირიქით, 1999 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ექსპორტმაც იკლო. მთლიანობაში სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა მარშანდელთან შედარებით. მაგრამ, ასეთი გაუმჯობესება, როგორც აღინიშნა, ექსპორტის ზრდით კი არ მოხდა, არამედ იმპორტის მკვეთრი შემცირების გამო, რაც ლარის დევალვაციით და მოსახლეობის მყიდველობითი უნარის დაცემითაა გამოწვეული. სამწუხაროა, რომ პენსიებისა და ხელფასების დავალიანების დაფარვის ნაცვლად, 1999 წლის სამი თვის მონაცემებით, სახელმწიფოს დავალიანება მოსახლეობის წინაშე კიდევ უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით რთული ვითარებაა საბაჟო შემოსავლების მობილიზების მხრივ.

— რამდენიმე ხნის წინათ საბიუჯეტო ოფისი შეგვპირდა, რომ ურჩი გადამხდელების სიას და ანალიზს გამოაქვეყნებდა...

— ფირმების დიდ ნაწილს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დავალიანება აქვს. მისასალმებელია, რომ საგადასახადო ინსპექციამ გააკეთა სრული აღრიცხვა — ვის რა სახის, რა რაოდენობის და ვისი დავალიანება აქვს. ამ მონაცემების საფუძველზე ოფისი გააკეთებს გამოკვლევას ამ სფეროში შექმნილი ვითარების შესახებ. სახელმწიფოს წინაშე დავალიანება არ ნიშნავს მხოლოდ ბიუჯეტის ვალს. აქ იგულისხმება, აგრეთვე, თურქეთის კრედიტის დაუბრუნებლობა, ეროვნული ბანკისა და ადგილობრივი ბიუჯეტის გარანტიით გაცემული სესხები და სხვა.

თუმცა სახელმწიფოს წინაშე სესხის ამღებ ორგანიზაციებს ეს ვალდებულებები დღემდე გააჩნიათ, მათი უმრავლესობა გაკოტრებულია, ზოგიერთის საქმე კი ძიებაშია გადაცემული. ამიტომ საეჭვოა, მათგან თანხების მიღება. თუმცა, ზოგიერთი ვადებულების დაბრუნება მაინც შეიძლება. ყოველი თეთრი კი ის ფულია, რომელიც თითოეულ მოქალაქეს პენსიებისა და ხელფასების სახით უნდა დაუბრუნდეს.

— ამ ლოგიკით ხელფასებისა და პენსიების დარიგება საქართველოს მთავრობის სიზმრადქცეული, განუხორციელებელი ოცნება ყოფილა...

— ათიოდე წლის წინათ რუსული ფილმი „კურიერი“ გადიოდა. იქ

ერთ-ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი მეორეს ეკითხება: – რაზე ოცნებობო. მე ვოცნებობ, რომ მქონდეს პალტო – უპასუხა ახალგაზრდამ. შეკითხვის ავტორმა პალტო გაიხადა და მისცა, თან დააყოლა: ცოტა ამაღლებულ რამეზე იოცნებეო.

დღეს, საქართველოს მთავრობა 10-ლარიანი დავალიანების დაფარვაზე ფიქრობს იმის ნაცვლად, რომ იოცნებოს უფრო „ამაღლებულზე" – ინვესტიციებზე, მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და სხვა. ანუ ჩვენი ოცნება "პალტოს დონემდე" დავიდა. აშკარაა, არა მარტო ეკონომიკური, არამედ სერიოზული პოლიტიკური პრობლემები, ანუ ხელისუფლების მთლიანი სისტემის არაეფექტიანი და არაჯანსაღი ფუნქციონირების საკითხი, რაც ვლინდება ლობირების მექანიზმში, უსუსურობაში, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკაში. თუნდაც ის, რომ იმპორტული ტვირთების 50 პროცენტზე მეტი ან გათავისუფლებულია ან შეღავათიანი რეჟიმით იბეგრება. ხშირად ეს რეჟიმი სამართლიანად არის დაწესებული, მაგრამ არასწორად იყენებენ და ჰუმანიტარული და ინვესტიციური ტვირთების სახით უამრავი ისეთი საქონელი შემოდის, რომელიც აუცილებლად უნდა იბეგრებოდეს. ამიტომ, საერთოდ, კრიზისი ხელისუფლების სახით ვლინდება.

– დღეს რატომღაც მიზეზებზე არავინ საუბრობს...

– ეს სწორედ მიზეზებია. საბიუჯეტო ოფისის ფუნქციაა გამოიკვლიოს მიზეზები და სწორი რეკომენდაციები შეიმუშაოს. მაგრამ „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა" – ეს საქმეს ვერ უშველის. სიმღერაში ამ ფრაზას მოსდევს „ქვეყანას უნდა პატრონიო", ანუ ერთია – სწორად თქვა, მეორეა – სწორად გაიგო და გადაიტანო საკანონმდებლო ენაზე, მესამეა – ეს კარგად ნათქვამი და გაგონილი აღასრულო. შეცდომებს დღეს სწორედ რეფორმების შინაარსობრივ ჩამოყალიბებაში უშვებენ. ამიტომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეული შეთანხმებების 15-20 ძირითადი პარამეტრი არ სრულდება.

– როცა საბიუჯეტო ოფისი შეიქმნა, თქვენ მის ერთ-ერთ ფუნქციად დაასახელეთ საპარლამენტო ფორმალური დებატების სწორი მიმართულებით წაყვანა, სად იგრძნობა ოფისის გავლენა?

– საბიუჯეტო დებატებს ადრე მართლაც ჰქონდა ფორმალური ხასიათი. ერთხელ, ბიუროს დახურულ სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარემ ყველა დამსწრეს ხუმრობით მიმართა: რა ჩვენი თავის ასატკივებლად შევქმენით საბიუჯეტო ოფისი, წინათ მუნჯებივით ისხედით, ახლა ყველა ციფრებით და ქაღალდებით ხართ შეიარაღებულიო. უნდა აღვნიშნო, რომ ეს მარტო ჩვენი დამსახურება არ არის, თუმცა პარლამენტს მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინფორმაციებს ვაწვდით. თვით პარლამენტი „გაიზარდა". საკანონმდებლო

ცვლილებებმა ეფექტური გახადა ბიუჯეტზე საკანონმდებლო ზემოქმედების პროცესი. მაგალითად, როცა მუშაობა დავიწყეთ, თვეების მანძილზე არ ვიცოდით, რა ხდებოდა შემოსავლების თვალსაზრისით. ახლა, ყოველ დილით გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია ყოველდღიური შემოსავლების შესახებ საბაჟოდან, საგადასახადოდან, რასაც ხაზინა გვაწვდის. მაგრამ ხარჯების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე თვის შემდეგ მოდის. ამ დროს უკვე დაგვიანებულია რეაქცია, როცა ხედავ, რომ ხელფასებზე გასაცემი ხარჯები 60 პროცენტით სრულდება, ხოლო საოფისე ხარჯები 100-105 პროცენტით ფინანსდება.

— ხარჯებს ალბათ სუბიექტური ხელი აკონტროლებს...

— რა თქმა უნდა, ხარჯების განაწილებაში სუბიექტური ფაქტორი ერთვება. მასზე რეაგირება ბოლო ინფორმაციით უნდა მოხდეს. ინფორმაციის არაოპერატიულობა სისტემის ბრალია და ამ უწყების ცუდი მუშაობის შედეგებზე მიუთითებს. დროულ ინფორმაციას სათანადო რეაგირება და გადაწყვეტილების მიღება მოყვება. სასიხარულოა, რომ არაეკონომიკური განათლების პიროვნებები საბიუჯეტო დებატებში აქტიურად მონაწილეობენ, მაგრამ ხშირია პოპულიზმი და დემაგოგია. თუმცა, ეტყობა, ორივე პოლიტიკური ცხოვრების ატრიბუტია.

— ბატონო რომან, საქართველოს ფინანსური კრიზისის მიზეზად ხელისუფლების უსუსურობას ასახელებთ. შიდა ფაქტორები რომ გამოვრიცხოთ, ლარის კურსი რამდენი პროცენტით დაეცემოდა?

— ძალიან მცირე პროცენტით, ან ლარის დევალვაცია სულ არ მოხდებოდა. პრობლემა იმაშია, რომ მთავრობაში ობიექტური სურათის აღწერა დროულად არ ხდება. ამიტომ იქმნება ილუზიები, რომ ეს პრობლემები დროებითია და რამდენიმე თვეში მოგვარდება. მაგალითად, ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი ირწმუნებოდა, რომ შარშანდელი პენსიების დავალიანება 3 თვეში დაიფარებოდა. საბიუჯეტო ოფისმა ჯერ კიდევ შარშან გააკეთა გამოკვლევა და განაცხადა, რომ არსებულ ვითარებაში ამ დავალიანების დასაფარად, სულ ცოტა, ერთი წელია საჭირო. წლევანდელი მდგომარეობა შარშანდელი სცენარით ვითარდება და უფრო უარესად. ამიტომ, ახლავეა საჭირო ამის აღიარება და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა საკადრო სტრუქტურის, მთავრობის 20-კაციანი ჯგუფის გადაადგილება-გადმოადგილებას შედეგი არ მოჰყვება. ცვლილებები უნდა განხორციელდეს მთელს ვერტიკალში. შექმნილ ვითარებას კი, წარმატებით იყენებენ დემაგოგები და ავანტიურული პოლიტიკური ძალები, რომლებსაც გაუჩნდათ მოსახლეობის მოტყუების შანსი.

აპრილი. 1999 წ.

რამდენად რეალურია ლარის გაცვლის კურსი? ანუ ბიგ მაკის ინდექსი

სამი წლის განმავლობაში, ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში თითქმის უცვლელი იყო და 1,3-ის ფარგლებში მერყეობდა. ამ სტაბილურობას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან ნასესხები 260 მილიონი დოლარი მოახმარა. უკვე რამდენიმე თვეა, ლარი თავისუფლად „ცურავს" და დოლართან მიმართებაში მან დაახლოებით 75 პროცენტიანი დევალვაცია განიცადა. 1999 წლის მარტში დოლართან მიმართებაში ლარის საშუალო კურსმა 2,3 შეადგინა. დევალვაციის ტენდენცია გრძელდება მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი შედეგებითურთ.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმის დადგენა, თუ რამდენად რეალურია ვალუტის გაცვლის კურსი.

ვალუტის გაცვლის კურსის განსაზღვრისათვის რამდენიმე მეთოდი შეიძლება იქნას გამოყენებული: 1. საბაზრო კურსი, რაც ბანკთაშორის ბირჟაზე და თავისუფალ ბაზარზე ყალიბდება; 2. უცხოური ვალუტის რეზერვების მიხედვით განსაზღვრული კურსი, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დგინდება და 3. „ბიგ მაკის ინდექსით" გაანგარიშებული.

1. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსი ითვლება ოფიციალურ კურსად. იგი ორიენტირის როლს ასრულებს თავისუფალ ბაზარზე (ძირითადად ვალუტის გადამცველელ პუნქტებში) კურსის ფორმირებისათვის. ამჟამად, 1 აშშ დოლარი 2,3 ლარზე იცვლება.

2. უცხოური ვალუტის რეზერვების მიხედვით განსაზღვრული კურსის დადგენა შესაძლებელია მიმოქცევაში გაშვებული ფულის რაოდენობის შეფარდებით სახელმწიფო რეზერვებში არსებულ უცხოური ვალუტის მოცულობასთან.

მიმოქცევაში არსებული ფულის მასა განსხვავებული სტრუქტურით ხასიათდება, ამიტომ ვალუტის გაცვლის კურსის პროგნოზირებისათვის გამოყენებული უნდა იქნას მისი ის ნაწილი, რომელიც უფრო ზუსტად გამოხატავს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის წარმოქმნას. ეროვნული ბანკის მიერ, მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული (MO) სრულად არ ასახავს ფულის იმ ოდენობას, რომელმაც შეიძლება წარმოშვას პოტენციური მოთხოვნა აშშ დოლარზე, ამ შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი იქნება მოსახლეობის და საწარმოების ანაბრების მოცულობა ლარებში. გაცვლის კურსის გასაანგარიშებლად არც M3-ის (ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე) საწყის ერთეულად მიჩნევა იქნება გამართლებული. ამ შემთხვევაში,

ფულის მასაში უკვე იგულისხმება ანაბრები უცხოურ ვალუტაში (საქართველოს შემთხვევაში, ძირითადად აშშ დოლარებში), რაც ხელოვნურად ზრდის საანგარიშო მაჩვენებელს. მიმოქცევაში გაშვებული ფულის მასის ძირითად ერთეულად უნდა მივიჩნიოთ M2 (ფართო ფული უცხოური სავალუტო ანაბრების გარეშე), ვინაიდან, ფულის ეს აგრეგატი სრულად და ზუსტად ასახავს საქართველოში მიმოქცევაში არსებული (ნაღდი და უნაღდო) ლარების ოდენობას.

უცხოური ვალუტის რეზერვების მოცულობის დადგენისას, გასათვალისწინებელია მხოლოდ სახელმწიფოს (ეროვნული ბანკის) უცხოური სავალუტო რეზერვების ოდენობა, რადგან მიმოქცევაში გაშვებული ფულადი ბანკნოტები წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომელიც საჭიროებისას უნდა დაიფაროს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივებით (ანუ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ეროვნული ბანკის უცხოური სავალუტო რეზერვებით), ე.ი. გაცვლის კურსის გაანგარიშებისას, უცხოური სავალუტო რეზერვების ოდენობაში არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო სექტორში არსებული უცხოური ვალუტა.

ამრიგად, ამ მეთოდით საქართველოში ვალუტის გაცვლის კურსის განსაზღვრა შეიძლება შემდეგი შეფარდებით:

$$1 \text{ აშშ დოლარი} = \frac{\text{ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე (M2)}}{\text{ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვები}}$$

ამ ფორმულის მიხედვით, 1999 წლის 1 მარტისათვის ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი შეადგენს – 268 მლნ ლარი (M2) შეფარდებული 108 მლნ აშშ დოლართან = 2,48.

ეროვნული ბანკის მიერ ემისიის დაშვების შემთხვევაში, გაიზრდება წილადის მრიცხველი, ხოლო სავალუტო რეზერვების ხარჯვისას შემცირდება მნიშვნელი. ორივე შემთხვევაში მოხდება ლარის დევალვაცია დოლართან მიმართებაში. პირიქით, ფულის მასის ნაწილის ამოღების შემთხვევაში შემცირდება მრიცხველი, რეზერვების მატება კი გამოიწვევს მნიშვნელის გაზრდას, ანუ ამ დროს ლარი უფრო გამყარდება.

3. ვალუტის კურსის გრძელვადიანი პროგნოზირებისათვის გამოიყენება კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ინდიკატორი, რომელიც ცნობილია **"მაკდონალდსის" საფირმო ჰამბურგერის – ბიგ მაკის ინდექსის სახელით.** მას 1986 წლიდან პერიოდულად აქვეყნებს ცნობილი ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი". ბიგ მაკის ინდექსი, როგორც მსოფლიო ვალუტების შედარების მეთოდი, ემყარება მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიას, რომლის მიხედვით დოლარმა უნდა იყიდოს ერთი და იგივე რაოდენობის საქონელი ნებისმიერ ქვეყანაში. ამ თეორიის თანახმად, გრძელვადიან პერიოდ-

ში, გაცვლის კურსი ორ ვალუტას შორის მიისწრაფის ფასების წონასწორობისაკენ იდენტურ სამომხმარებლო კალათაზე. ასეთი „კალათა“ მაკდონალდსის ბიგ მაკია, რომელიც სტანდარტული ტექნოლოგიით მსოფლიოს 111 ქვეყანაში, მათ შორის, ორიოდე თვეა საქართველოშიც იწარმოება. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტი ათანაბრებს ჰამბურგერის ფასს აშშ-სა და მის ფარგლებს გარეთ. ვალუტის რეალურად არსებული გაცვლის კურსის შეფარდება მყიდველობითუნარიანობის პარიტეტთან გვიჩვენებს, თუ რამდენად შემცირებულად, ან გადაჭარბებით არის ესა თუ ის ვალუტა შეფასებული.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია ბიგ მაკის ფასი ადგილობრივ ვალუტასა და აშშ დოლარებში (1998 წლის აპრილის მონაცემებით). აშშ-ში ბიგ მაკი 2,56 დოლარი ღირდა (იანგარიშება ბიგ მაკის საშუალო ფასი ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოსა და ატლანტაში). ყველაზე იაფი ბიგ მაკი ინდონეზიასა და მალაიზიაში იყო – 1,16 აშშ დოლარი, ხოლო, ყველაზე ძვირი შვეიცარიაში – 3,88 აშშ დოლარი. შესაბამისად, მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შვეიცარული ფრანკი ყველაზე გადაჭარბებულად არის შეფასებული. „ძვირია“ აგრეთვე ბრიტანული, შვედური და დანიური ვალუტა (ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს ქვეყნები, ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ „ევრო“-ში გაერთიანებისაგან). ძალზე შემცირებულად გამოიყურებიან ინდონეზიური რუპიის და მალაიზიური დოლარის (-55%), ჩინური იუანისა და უნგრული ფორინტის (-53%), ჰონკონგის დოლარის (-49%) კურსები. ეს ადასტურებს, რომ ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მოკლევადიან პერიოდში ვალუტის დევალვაცია კონკრეტულ უპირატესობას წარმოშობს, თუ ის გრძელვადიან პერიოდში ინფლაციით არ განეიტრალდა.

თბილისში გახსნილ „მაკდონალდსში“ ბიგ მაკი 3,5 ლარი ღირს. კურსით 1 აშშ დოლარი – 2,32 ლარი, ბიგ მაკის ფასი თბილისში 1,51 აშშ დოლარია. შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში ლარის კურსი ბიგ მაკის ინდექსით – 41 პროცენტია (ანუ ლარის გაცვლის კურსი 41 პროცენტით არის შემცირებული). ერთიანი ფასის კანონისა და მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თანახმად, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში უნდა იყოს 3,5 ლარი შეფარდებული 2,56 დოლართან = 1,37.

მიუხედავად იმისა, რომ „ბიგ მაკის ინდექსი“ მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის სრულყოფილი საზომი ვერ იქნება, ხშირ შემთხვევაში, ის უფრო მიახლოებულ შეფასებებს იძლევა, ვიდრე სხვა მეთოდებით მიღებული პროგნოზები და ინვესტორებისათვის გარკვეული ორიენტირის როლს ასრულებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ,

რომ ლარის გაცვლის კურსი დოლართან მიმართებაში უნდა ვეძებოთ ამ სამი მეთოდით გაანგარიშებული სიდიდის ინტერვალში.

1 დოლარი — 2,32 ლარი (ოფიციალური);

1 დოლარი — 2,48 ლარი (უცხოური ვალუტის რეზერვების მეთოდით გაანგარიშებული);

1 დოლარი — 1,37 ლარი ("ბიგ მაკის ინდექსით");

თუ რომელია ლარის უფრო რეალური კურსი, ეს ძნელად დასადგენია. **ოფიციალური კურსი,** რომელიც თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე ყალიბდება, არ არის სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის ობიექტური ფასი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობებზე მოთხოვნა მკვეთრად აჭარბებს მიწოდებას, მაგრამ ვალუტის გაცვლის კურსი ან არ იცვლება, ან მხოლოდ მცირედით შეიცვალა, რაც აშკარას ხდის მის ხელოვნურად რეგულირებას და ფარულ ჩარევას ეროვნული ბანკის მხრიდან.

ვალუტის **ბაზარზე კურსი** თავისუფალი ვაჭრობით ყალიბდება, მაგრამ, აქ ვალუტის გადამცვლელი პუნქტები ამოსავალ წერტილად ოფიციალურ კურსს იყენებენ.

რეზერვების მეთოდით კურსის დადგენა, მართალია ემყარება ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების კანონს, მაგრამ ამ მეთოდსაც თავისი ნაკლი აქვს. ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მკვეთრი (მით უმეტეს დროებითი) ზრდა ან შემცირება იწვევს კურსის მერყეობას, რაც შეიძლება არ ნიშნავდეს კურსის რეალურად ცვლილებას. მითუმეტეს, რომ დღეისათვის საქართველოში უცხოური ვალუტის რეზერვების შევსების თითქმის ერთადერთი წყარო საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები და საზღვარგარეთის ქვეყნების გრანტებია.

მიუხედავად არასრულყოფილებისა, **ბიგ მაკის ინდექსი** მაინც ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ინდიკატორად არის მიჩნეული ვალუტის გაცვლის კურსის დადგენისას. ამ ინდექსით გაანგარიშებული კურსი ემყარება ერთი სახის საქონელზე ფასთა სხვაობას ქვეყნებს შორის (ამაში იგულისხმება პურის, ხორცის, ბოსტნეულის, ელექტროენერგიის ფასები, შრომის ანაზღაურება, ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა).

ჩვენ შემთხვევაში, ბიგ მაკის ინდექსით მიღებული ლარის ასეთი „სიმყარე" კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თავის დროზე ლარის მკვეთრი დევალვაცია შეიძლება აგვეცილებინა თავიდან და რომ მისი ერთ-ერთი მიზეზი სხვა, უფრო არსებით ფაქტორებთან ერთად, იყო კომერციული ბანკებისა და არაორგანიზებული სავალუტო პუნქტების მხრიდან ლარზე სპეკულაციური ზეწოლა.

პანამარბერის სტანდარტი

ბიგ მაკის ფასები და გაცვლის ანაგების ძირი (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონცეფციის გამოყენება გაცვლის ანაგების ძირის დასაბუთებად)

ქვეყანა	ადგილობრივი ვალუტის დასახელება	ბიგ მაკის ფასი		გაცვლის კურსი		ადგილობრივი ვალუტის კურსის შეფასებულია (-) ან გადაჭარბებულია (+) შეფასება აშშ დოლარან მიმართებაში (%-ში)
		ადგილობრივ ვალუტაში	დოლარში	ბიგ მაკის ფასით გამოანგარიშებული	რეალური ბანკისეული	
აშშ	დოლარი	2.56	2.56	1.00	1.00	0
ბელგია	დოლარი	3.45	1.50	1.35	1.22	-26
ავსტრალია	დოლარი	2.65	1.75	1.04	1.51	-31
ავსტრია	შილინგი	34.00	2.62	13.23	12.96	2
არგენტინა	პესო	2.50	2.50	0.98	1.00	-2
ბელგია	ფრანკი	109	2.87	42.58	38.00	12
ბრაზილია	რეალი	3.10	2.72	1.21	1.14	6
ბრიტანეთი	ფუნტი	1.24	3.05	1.20	1.66	19
ბულგარეთი	ბრიკა	495	2.69	1.93	1.84	5
დანია	კრონა	23.00	3.30	9.00	7.02	32
უნგარეთი	ფორინტი	375	2.40	146.43	156	-6
თაბორეთა	ფუნტა	220	2.07	109.38	135	-19
ირლანდია	რუბლი	99.00	1.16	386.719	350.00	-55
ისრაელი	შეკელი	12.50	3.38	4.88	3.70	32
ესპანეთი	პეზეტა	400	2.43	175.781	158.13	-3
კანადა	დოლარი	2.79	1.56	1.09	1.42	-23
მალაიზია	დოლარი	4.30	1.16	1.68	3.72	-55
მექსიკა	პესო	17.90	2.10	6.99	3.54	-18
ნიდერლანდი	გულდენი	5.45	2.63	2.13	2.07	3
ბიელორუსეთი	ხალიტი	5.30	1.53	2.07	3.46	-40
რუსეთი	მანეთი	12.00	2.00	4687.50	5999	-22
[illegible]	ლარი	3.50	1.51	1.37	2.32	-41
სინგაპური	დოლარი	1.75	2.34	683	617	11
სინგაპური	დოლარი	3	1.22	1.17	1.65	-29
ტაივანი	დოლარი	68	2.06	26.56	33.0	-20
უნგრეთი	ფორინტი	250	1.22	101.17	213	-53
შვეიცარია	ფრანკი	4.4	3.00	9.38	3.00	17
შეერთებული	დოლარი	2.90	3.33	2.30	1.52	52
ნეპალი	რუპია	54	1.57	21.09	34.4	-39
ნიდერლანდი	ფლორინი	5.50	2.75	4333.33	455	7
ირლანდია	ფუნტი	1.50	1.32	3.58	7.75	-49

შენიშვნა:
1. ეალუტის გაანგარიშებული კურსი არის ისეთი კურსი, რომლის დროსაც ბიგ მაკის ფასი ყოველ ქვეყანაში ტოლი იქნებოდა ბიგ მაკის ფასისა აშშ-ში. წყარო: The Economist, 11 აპრილი 1998 წ. გვ. 70.
2. საქართველოს მონაცემები აღებულია 1999 წლის მარტის თვის მდგომარეობით.

იმის გამო, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რამდენიმე თვეა შეწყვიტა ინტერვენციები და ლარი „თავისუფლად მცურავი“ სავალუტო კურსის რეჟიმში მოექცა, ქვეყნის სავალუტო ბაზარზე შეიმჩნევა მკვეთრი რყევები. არასტაბილური ეკონომიკური ვითარება, თავის მხრივ, წარმოშობს ვალუტის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის უთანაბრობას მთელი წლის განმავლობაში. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ლარის გაცვლის კურსის სიდიდე მიმდინარე წლისათვის სავარაუდოდ იქნება 2,5-ის ფარგლებში, თუმცა წლის ბოლოსთვის უფრო მოსალოდნელია, რომ იგი ამ ნიშნულსაც გასცდეს.

რაც უფრო მეტი იქნება ხელოვნური ჩარევა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და ლარის არაფორმალური მეთოდებით „დაჭერის“ მცდელობა, გამოწვეული კონიუნქტურული მოსაზრებებით, მით უფრო მკვეთრი იქნება ნახტომები და, შესაბამისად, მისი უარყოფითი შედეგები.

აპრილი. 1999 წ.

რომან გოცირიძე
ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება
თბილისი. შ.პ.ს. „ფავორიტი“, 1999წ.,
474 გვ., ტირაჟი 500.

Роман Гоциридзе
Экономика, политика, жизнь.
Тбилиси. ООО “Фаворит”, 1999 г.,
474с. Тираж 500
(на грузинском языке)

Roman Gotsiridze
Economics, Politics, Life.
(in Georgian)
Tbilisi, “Favorit” Ltd, 1999,
474., Number of copies - 500.